ნოდარ ბასილაძე

პედაგოგიკა

(პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები
და აღზრდის თეორია)

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი“ – 2017

ნაშრომში განხილულია პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლებისა და აღზრდის თეორიის აქტუალური საკითხები. მასში გაცემულია პასუხი ისეთ კითხვებზე, რომლებსაც თანამედროვე ცხოვრება და საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ სკოლისა და ოჯახის წინაშე აყენებს.

წინამდებარე ნაშრომი არის 2006 წელს გამოცემული წიგნის – „ლექციების კურსი პედაგოგიკაში“ მეორე გამოცემა, რომელსაც ამ გამოცემაში დაემატა სამი თავი: „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელი“, „თვითაღზრდის პროცესის არსი და როლი პიროვნების განვითარებაში“ და „გარემოს როლი პიროვნების ფორმირებაში“, სხვა თავებში კი, არსებული ვითარების შესაბამისად, შევიდა მცირეოდენი ცვლილებები. ესაა და ეს.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, დოქტორანტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებისათვის, ასევე ყველა იმათთვის, ვინც ჩვენი მომავალი თაობის ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბებითაა დაინტერესებული.

რედაქტორი

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **იური ბიბილეიშვილი**

რეცენზენტები

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **კოტე რამიშვილი**

ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი
გული შერვაშიძე

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი“ – 2017

ავტორისაგან

პედაგოგიკა, აღზრდის მეცნიერება,რაც დრო გადის, მით უფრო მეტი ადამიანის ინტერესის საგანი ხდება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში კიდევ უფრო გართულდა ბავშვის აღზრდა. იგი, სკოლასთან ერთად, თითოეული სააღმზრდელო დაწესებულების, ოჯახის, მთელი საზოგადოების უპირველეს მოვალეობად და ერთ-ერთ საპატიო ამოცანად იქცა. „განათლების სახელმწიფო პროგრამასა და მისი რეალიზაციის გეგმაში“ ვკითხულობთ: „რესპუბლიკაში არსებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ თავისი გავლენა მოახდინა სასწავლო დაწესებულებათა ცხოვრებაზე... ერთი ხელის მოსმით, სრულიად გაუმართლებლად, უარყოფილ იქნა აღმზრდელობითი მუშაობის ისეთი ფორმები და მეთოდები, რომლებმაც გაუძლეს ცხოვრებისეულ გამოცდას; ამან ზიანი მიაყენა აღზრდის უმნიშვნელოვანეს საქმეს. სიახლეთა დანერგვის პროცესი ვითარდება ძალზე ნელი ტემპით, ხშირად ზერელედ, პროგნოზის, სათანადო ანალიზის და პერსპექტივის გაუთვალისწინებლად. თანამედროვე საზოგადოების დეჰუმანიზაციისა და ზნეობრივი დეფიციტის პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდა“.

დიახ, უკანასკნელ ხანებში ჩვენს ქვეყანაში თავი იჩინა ერთმანეთის მიმართ დაუნდობლობამ: ძმა ძმას არ ინდობს და მოკეთე – მოკეთეს; მკვლელობა, ქურდობა, ძარცვა-გლეჯა, ნარკომანია ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. აქედან გამომდინარე, მკითხველს ვთავაზობთ პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლებისა და აღზრდის თეორიის ყველა ძირითად საკითხს, რომელთა შემოქმედებითი გამოყენება ხელს შეუწყობს მომავა-

ლი თაობის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ჭეშმარიტ მამულიშვილებად, ერისა და ქვეყნის მსახურებად ჩამოყალიბებას.

ნაშრომში წარმოდგენილი თემების დიდი ნაწილი გაშუქებულია ჩვენ მიერ ადრე გამოცემულ „პედაგოგიკის საკითხებში“ (ბათუმი, 1999) და წიგნში „ლექციების კურსი პედაგოგიკაში“ (ბათუმი, 2006). აღნიშნული საკითხები ამ ნაშრომში თითქმის უცვლელად შევიდა. აქვე დავსძენთ, რომ ჩვენს ნაშრომს არ გააჩნია ორიგინალობისა და სრულყოფილების პრეტენზია. იგი ძირითადად ლექციების კურსია და განკუთვნილია პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. მასში განხილული საკითხები სასურველია, გამოყენებულ იქნას შემოქმედებითად, ადგილობრივი პირობებისა და სტუდენტთა მომზადების დონის გათვალისწინებით.

ნაშრომში გამოყენებულია: შ. ჩხარტიშვილის „აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია“ (თბ., 1974), გ. თავზიშვილის „პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები“ (თბ., 1968), ნ. კოვალიოვის, ბ. რაისკისა და ნ.სოროკინის „პედაგოგიკის შესავალი“ (თბ., 1978), ვ. გაგუას, დ. გურგენიძის, შ. კუჭუხიძის, ა. რაფავას „პედაგოგიკის შესავალი (თბ.,1978), გ. ხუხუას „პედაგოგიკა“ (თბ.,2009), გ. ნიკოლაიშვილის, ვ. გაგუას, ნ. ვასაძის, შ. მალაზონიას, ზ. ცუცქირიძის, ა. გობრონიძის, დ. ლორთქიფანიძის, ჯ. ბერიშვილის, ი. ბაბანსკის, ტ. ილინას, ნ. სავინის, გ. შჩუკინას, ს. ბარანოვის, ვ. სლასტენინის, ბ. ესიპოვის, ნ. გონჩაროვისა და სხვათა ავტორობით თუ რედაქტორობით გამოცემული პედაგოგიკის დამხმარე სახელმძღვანელოები; პედაგოგიკის კლასიკოსების — ი. ა. კომენსკის, ჟ.-ჟ. რუსოს, ჰ. პესტალოცის, ა. დისტერვეგის, კ. უშინსკის, ი. გოგებაშვილის, ა. მაკარენკოს, ვ.სუხომლინსკისა და სხვათა შრომები, სკოლის შესახებ არსებული სახელმძღვანელო დოკუმენტები, პედაგოგიური პრესა, საკუთარი ნაშრომები და აჭარის ავტონომიუ-

რი რესპუბლიკის მასწავლებელთა დახელოვნების ინ-
სტიტუტში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა და შემდეგ
უნივერსიტეტში, საქართველოს საპატრიარქოს წმინ-
და ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნი-
ვერსიტეტში, ასევე დამოუკიდებელ უმაღლეს სასწა-
ვლებლებში ხანგრძლივი მოღვაწეობის შედეგად და-
გროვილი გამოცდილება.

წიგნზე გაწეული უანგარო დახმარებისა და საქ-
მიანი შენიშვნებისათვის ავტორი დიდ მადლობას უხ-
დის ამ წიგნის რედაქტორს, საქართველოს განათლე-
ბის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს, პროფესორ
იური ბიბილეიშვილს.

ვფიქრობთ, წინამდებარე სახელმძღვანელო დიდ
დახმარებას გაუწევს პედაგოგებს, სტუდენტებს,პრო-
ფესორ-მასწავლებლებსა და ყველა იმას, ვინც მოზა-
რდი თაობის აღზრდის საკითხებითაა დაინტერესებუ-
ლია.

ნაშრომი, ცხადია, ვერ იქნება დაზღვეული ნაკ-
ლოვანებებისაგან. ავტორი სიამოვნებით მიიღებს ყვე-
ლა შენიშვნას, რომელიც საქმის სასარგებლოდ იქნე-
ბა მიმართული და გაითვალისწინებს თავის შემდგომ
მუშაობაში.

ნაწილი პირველი

პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები

თავი I

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელი

1. აღზრდისა და პედაგოგიკის წარმოშობა და განვითარება

როგორც ცნობილია,დედამიწაზე ადამიანი გაჩნდა დაახლოებით 3 მილიონი წლის წინ. ადამიანთა საზოგადოების გაჩენასთან ერთად, გაჩნდა აღზრდა, როგორც საზოგადოების არსებობისა და განვითარების ერთ-ერთი პირობა, ხოლო რაც შეეხება პედაგოგიკას, აღზრდის მეცნიერებას, იგი გაცილებით გვიან წარმოიშვა. მისი ფუძემდებელია დიდი ჩეხი პედაგოგი **იან ამოს კომენსკი** (1592-1670), რომელმაც თავის უკვდავ, „ოქროს წიგნად“ წოდებულ ნაშრომში *„დიდი დიდაქტიკა“* პედაგოგიკა დამოუკიდებელ მეცნიერებად დააფუძნა, რომელიც მანამდე, ისე როგორც ადრე სხვა მეცნიერებანი, ფილოსოფიაში შედიოდა.

პირველყოფილი თემური წყობილების დროს, წინა საგვარეულო პერიოდში, მოზარდი თაობის აღზრდა უშუალოდ შრომის პროცესში, ბუნების მიერ ბოძებულ საარსებო საშუალებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში ხორციელდებოდა. თემის წრევრები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ტყეში და აგროვებდნენ საკვებ პროდუქტებს, რაშიც პატარა ბავშვებიც მონაწილეობდნენ.უფროსებისადმი მიბაძვით ისინი იძენდნენ ელემენტარულ შრომით ჩვევებს და ეუფლებოდნენ გარკვეულ ცოდნა-გამოცდილებას. მოგვიანებით გა-

ჩნდა მესაქონლეობა,მიწათმოქმედება და ხელოსნობა, რის გამოც აღზრდა უფრო რთულდება, ღებულობს გეგმაზომიერ და მიზანმიმართულ ხასიათს. თავი იჩინა სამხედრო აღზრდის საწყისებმა: ბიჭებს ასწავლიდნენ მშვილდ-ისრით სროლას, ცხენოსნობას, შუბის ტყორცნას და ა.შ. თემის თანასწორუფლებიან წევრებად ვაჟებისა და გოგონების მიღება ხდებოდა საგანგებო სადღესასწაულო გამოცდებით, რომლის დროსაც მოწმდებოდა ცხოვრებისათვის მათი მომზადება: გაჭირვების ატანა, გამძლეობა,სიმტკიცე და სხვ. ასეთ გამოცდებს, ჩვეულებრივ, უხუცესი ადამიანები ატარებდნენ. გამოცდები ტარდებოდა საჯაროდ.

გვაროვნული საზოგადოების უკანასკნელ პერიოდში, რელიგიის წარმოშობის შემდეგ, აღზრდა მისი გავლენის ქვეშ მოექცა. ამ პერიოდში ბავშვის ყველაზე უფრო საჭირო თვისებად ითვლებოდა ჯანმრთელობა, გამძლეობა, ამტანობა, შრომისა და ბრძოლის უნარი. ეს გარემოება წინა პლანზე აყენებდა მათ ფიზიკურ აღზრდას. ამიტომ აღზრდის შემადგენელ ნაწილთაგან ყველაზე ადრე ფიზიკური აღზრდა გაჩნდა, მაგრამ იმ დროისათვის მივიწყებული არ იყო მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის ელემენტებიც, რადგან მორალი საზოგადოებრივი მოვლენაა და იგი ადამიანთან ერთად წარმოიშვა. პირველყოფილი ადამიანის ყოფაცხოვრების კეთილმოწყობისა და თავდაცვის ინტერესები მოითხოვდნენ ისეთ ზნეობრივ ნორმებს, როგორიცაა: მშობლიური ტომისა და მისი ადგილსამყოფელის სიყვარული,მათი დაცვა და მოვლა-პატრონობა, ტომისა და „დიდი ოჯახისათვის“ თავგანწირვა, ურთიერთდახმარება, შებრალება, ქომაგობა, სიმართლე, სიმკაცრე, შურისძიება, სისხლის აღება, მოყვასის სიყვარული, მტრის სიძულვილი და სხვა.

რაც შეეხება გონებრივ აღზრდას, პირველყოფილი საზოგადოებისათვის ეს პირობითი ტერმინია, და თუ მაინც ვლაპარაკობთ ამ საზოგადოებაში მისი ელემენტების არსებობის შესახებ, ასეთებად შეგვიძლია ჩავთვალოთ იარაღის კეთება, ნადირობა, ნანადირევის გატყავება-დამუშავება, ამინდის პროგნოზირება, ვარსკვლავებზე დაკვირვე-

ბით გზების გაგნება, ურთიერთგაგებინებისათვის აუცილებელი მიმიკური ნიშნები, ანდაზები, ზღაპრები, გამოცანები, ცეკვა, სიმღერა და სხვ.

პირველყოფილი საზოგადოება იყო უკლასო. ამიტომ მასში ყველა ბავშვის აღზრდა ერთნაირი იყო. საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როცა ადამიანებმა ისწავლეს სამუშაო იარაღების დამზადება და გამოყენება, გოგონებისა და ვაჟების აღზრდა შეიცვალა: ვაჟები მამაკაცებთან ერთად მონაწილეობდნენ იარაღის დამზადებაში, ნადირობაში, თევზაობაში, ხოლო გოგონები ქალებთან ერთად ამზადებდნენ საჭმელს, აკეთებდნენ ჭურჭელს, ქსოვდნენ, კერავდნენ და სხვ. ყოველივე ამან მოითხოვა სპეციალური სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების დაარსება, სადაც მოხდებოდა უფროსი თაობის მიერ ცოდნა-გამოცდილების მოზარდ თაობაზე გადაცემა. ასე გაჩნდა პირველი სკოლები და მასწავლებლის პროფესია. ეს მოხდა მონათმფლობელური წყობილების დროს.

მონათმფლობელურ საზოგადოებაში აღზრდის იდეებს ვპოულობთ ძველი ბერძენი ფილოსოფოსების დემოკრიტეს, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელესა და სხვათა ფილოსოფიურ შრომებში. პლატონი თავის ნაშრომებში *„ნადიმი“, „სახელმწიფო“, „კანონები“,* ხოლო არისტოტელე თავის *„პოლიტიკაში“* საკმაოდ ვრცლად განიხილავენ მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხებს. ჩვენი წელთა აღრიცხვის პირველ საუკუნეში კი ცნობილმა რომაელმა პედაგოგმა **მარკუს ფაბიუს კვინტილიანემ** თავის ვრცელ ნაშრომში *„ორატორის აღზრდის შესახებ“* საფუძვლიანად დაამუშავა სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული პრობლემები. ამიტომაც ითვლება იგი პირველ დიდაქტიკოსად.

ბავშვთა აღზრდა-განათლების გამოცდილების შესწავლისა და მასზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მონათმფლობელურ საზოგადოებაში ჩაისახა პედაგოგიკის მეცნიერება.

განათლებისა და მეცნიერების პირველი შუქი აღმოსავლეთიდან ამობრწყინდა. ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია, ეგვიპტე წარმოადგენდნენ კულტურის პირველ კერებს. ეს

ქვეყნები იქცნენ სწავლა-განათლების დაწესებულებათა პირველ სამშობლოდ. სწორედ აქ გაჩნდა პირველად დაბალი და მაღალი საფეხურის სკოლები. ეს მოხდა დაახლოებით XII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ამავე ქვეყნებში ჩაისახა აგრეთვე პედაგოგიკის ისეთი დარგი, როგორიცაა დიდაქტიკა, რადგან სწავლების საქმის მოწოდების სიმაღლეზე დაყენება სწორედ ამ დარგის შექმნას მოითხოვდა.[1]

მონათმფლობელურ წყობილებაში განათლებამ და მეცნიერებამ თავისი განვითარების ყველაზე მაღალ საფეხურს მაინც საბერძნეთსა და რომში მიაღწია. აქ შეიქმნა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების საკმაოდ ორგანიზებული სისტემა დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლების ქსელის სახით. გაუმჯობესდა საოჯახო-ინდივიდუალური აღზრდა. იგივე ითქმის პედაგოგიკის მეცნიერებაზე. აღზრდის ამ მეცნიერებამ შემოქმედებითად გამოიყენა ზემოთ დასახელებული აღმოსავლეთის ქვეყნების გამოცდილება მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის შესახებ და პიროვნების ფორმირებას უფრო ახალი და ფართო ამოცანები დაუსახა.

ანტიკური საზოგადოების დიდმა პედაგოგებმა და ფილოსოფოსებმა — დემოკრიტემ, სოკრატემ,პლატონმა,არისტოტელემ, ციცერონმა, კვინტილიანემ, სენეკამ და სხვებმა — პირველად პედაგოგიკის ისტორიაში აღზრდის იდეალად წამოაყენეს ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალების ჰარმონიული განვითარება, ზნეობრივი მოვალეობის შეგნება, ესთეტიკური გრძნობების ფორმირება.

გარდა ამისა, ანტიკურმა პედაგოგიკამ აღიარა ბავშვის, როგორც აღზრდის ობიექტის, შესწავლის აუცილებლობა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას ამ მხრივ წარმოადგენდა მოზარდის განვითარების ასაკობრივი პერიოდიზაცია, რომელიც პირველად ანტიკური ხანის დიდმა მოაზროვნემ არისტოტელემ მოგვცა.

ანტიკურ პედაგოგიკაში დამტკიცდა ასევე საზოგადო-

---

[1] *გ. თავზიშვილი, პედაგოგიკის წარმოშობა და განვითარება, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1961, №6, გვ. 21.*

ებრივ-სახელმწიფოებრივი აღზრდისა და სასწავლო-სააღ-მზრდელო დაწესებულებების უპირატესობა ინდივიდუალ-ურ საოჯახო აღზრდასთან შედარებით. ამის მიხედვით სა-ბერძნეთსა და რომში შეიქმნა საკმაოდ ორგანიზებული ზოგადი და სპეციალური განათლების ქსელი სათანადო სკოლების სახით. აქვე განისაზღვრა განათლების შინაარ-სი, რომელსაც შემდგომ შვიდი თავისუფალი ხელოვნების (ტრივიუმისა და კვადრიუმის) სახელით მოიხსენიებდნენ და შუა საუკუნეების მანძილზე რჩებოდა ძალაში.

ანტიკური საზოგადოების დიდმა პედაგოგებმა შეიმუ-შავეს სწავლების პრინციპები, როგორიცაა: შეგნებულობა, თვალსაჩინოება, სისტემატურობა და სხვ. მათ ჩამოაყალი-ბეს ასევე პედაგოგიკური ტერმინები და ცნებები, მათ შო-რის თვით მეცნიერების სახელწოდებაც.

ფეოდალური წყობილების დროს სწავლა-განათლება ძირითადად სამღვდელოების ხელში იყო. სკოლების აბსო-ლუტური უმრავლესობა ეკლესია-მონასტრებთან არსებობ-და, სწავლების მთელი შინაარსი კი რელიგიურ სამოსელ-ში იყო გახვეული. სწავლების ყველა სფეროში გაბატონე-ბული იყო სქოლასტიკა და დოგმატიკა.

შუა საუკუნეების მეორე პერიოდში პედაგოგიკის გან-ვითარება უმთავრესად მოწინავე სამოქალაქო მოტივზე დამკვიდრდა. მართალია, სამღვდელოება მძაფრად განაგრ-ძობდა ბრძოლას მოზარდი თაობის სწავლა-განათლებაზე თავისი მონოპოლიის შენარჩუნებისათვის, მაგრამ ცხოვ-რების რეალური სინამდვილე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. მომავალი თაობის სწორი, მეცნიერული აღზრდა უფრო მეტად გამოხატავდა ხალხის მოთხოვნილებას, ვიდრე რე-ლიგიური აღზრდა. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა აღორ-ძინების პერიოდის ჰუმანიზმის იდეებში.

აღორძინების ეპოქამ (XIV–XVI სს.) წარმოშვა ისეთი დიდი ჰუმანისტი პედაგოგები, როგორიც იყვნენ: ვიტორი-ნო და ფელტრე (იტალია), ფრანსუა რაბლე და მიშელ მონეტენი (საფრანგეთი), ერაზმ როტერდამელი (ჰოლან-დია), ლუდოვიკ ვივესი (ესპანეთი), ტომას მორი (ინგ-ლისი), ტომაზო კამპანელა (იტალია) და სხვები. მათ და-

უნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს შუა საუკუნეებში გაბატონებულ სქოლასტიკური აღზრდა-განათლების სისტემას და საფუძველი ჩაუყარეს ჰუმანიზმის პედაგოგიკას. ისინი მოითხოვდნენ პიროვნების ფიზიკური, გონებრივი და სულიერი ძალების ჰარმონიულ განვითარებას, ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების ყოვლმხრივ შესწავლასა და მათ გათვალისწინებას სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, სწავლა-განათლების დაახლოებას რეალურ ცხოვრებასთან, ბავშვთა და მოზარდთა შორის შრომისმოყვარეობის, აქტივობისა და თვითმოქმედების უნარ-ჩვევების დანერგვას, ფიზიკური დასჯის აღკვეთას, ეკლესიისა და სასულიერო წოდების გავლენისაგან სკოლისა და ოჯახის განთავისუფლებას.

ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის პერიოდში კიდევ უფრო იხვეწება და სრულყოფილი ხდება აღზრდის იდეები. ამ საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს ცნობილმა ინგლისელმა მოაზროვნემ ჯონ ლოკმა, ფრანგმა განმანათლებლებმა კლოდ ჰელვეციუსმა, დენი დიდრომ, ჟან-ჟაკ რუსომ,შვეიცარიელმა კლასიკოსმა პედაგოგმა ჰენრიხ პესტალოციმ, გერმანელმა პედაგოგებმა ადოლფ დისტერვეგმა და ფრიდრიხ ჰერბარტმა, რუსეთში რევოლუციონერ-დემოკრატებმა – ბელინსკიმ, გერცენმა, ჩერნიშევსკიმ, დობროლიუბოვმა, მწერალმა და პედაგოგმა ლ. ტოლსტოიმ, ინდოეთში ასევე ცნობილმა მწერალმა და პედაგოგმა რაბინდრანათ თაგორმა და სხვებმა. ლ. ტოლსტოიმ და რ. თაგორმა გლეხთა ბავშვებისათვის გახსნეს სკოლა და შეადგინეს დაწყებითი კლასების არაერთი სახელმძღვანელო, მათ შორის ლ. ტოლსტოიმ ცნობილი „ანბანი“ („Азбука“), რომლითაც, როგორც თავად აღნიშნავდა, სამარადისო ძეგლი დაიდგა.

განსაკუთრებით დიდია რუსული მეცნიერული პედაგოგიკის ჩამოყალიბებისა და მის შემდგომ განვითარებაში კონსტანტინე უშინსკის დამსახურება. მისი მოთხოვნები აღზრდის ხალხურ ნიადაგზე დაფუძნებისა და მშობლიურ ენაზე სწავლების შესახებ საყოველთაო აღიარებისა და დაფასების ღირსია. კ.უშინსკის კალამს ეკუთვნის რუსეთ-

ში პირველი ნაშრომი პედაგოგიკურ ფსიქოლოგიაში „ადამიანი როგორც აღზრდის საგანი“ და შესანიშნავი სახელმძღვანელოები *„მშობლიური სიტყვა“* („Родное слово“) და *„ბავშვთა სამყარო“* („Детский мир“), რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი აღმზრდელობითი ძალა.

თავისი მარად უკვდავი სახელმძღვანელოებით – „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „რუსკოე სლოვო“ და საბავშვო მოთხრობებით პედაგოგიკისა და პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ასევე გამოჩენილმა ქართველმა პედაგოგმა და საბავშვო მწერალმა იაკობ გოგებაშვილმა. იგი ითვლება ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლად. დიდი იაკობი თავის თავს კ. უშინსკის მიმდევრად თვლიდა და მის იდეებს საქართველოში ავრცელებდა. უშინსკის მსგავსად, იგი თავდაუზოგავად იბრძოდა აღზრდის ხალხურობის პრინციპის დამკვიდრებისა და მშობლიურ ენაზე სწავლების დანერგვისათვის.

ი. გოგებაშვილს,ი.ჭავჭავაძესთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის ასევე თურქთა სამასწლიანი უღლისაგან თავდახსნილ და საქართველოსთან – დედასამშობლოსთან დაბრუნებულ აჭარაში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ პირველი ქართული სკოლის გახსნასა (1881 წ.) და მის შემდგომ წინსვლა-განვითარებაში.

საქართველოში პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებაში არანაკლები წვლილი მიუძღვის ილია ჭავჭავაძეს. მან ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა პედაგოგიკის განსაზღვრება. „პედაგოგია, – ამბობს იგი, – არის მეცნიერება ყმაწვილთა აღზრდის შესახებ“. მას ეკუთვნის ასევე ბრწყინვალე ნაშრომი *„პედაგოგიის საფუძვლები“* და სხვები.

პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს აგრეთვე დიდმა საბჭოთა პედაგოგებმა – ა. ს. მაკარენკომ, ს. თ. შაცკიმ, დ. უზნაძემ, ვ. ა. სუხომლინსკიმ და სხვებმა. სამწუხაროდ, აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური მემკვიდრეობა ჯერ კიდევ სრულყოფილად არაა შესწავლილი და გამომზეურე-

ბული. არადა, მისი პედაგოგიკური იდეები,უეჭველია,ხელს შეუწყობენ ჩვენს ეროვნულ სკოლაში დისციპლინის განმტკიცებასა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას.

2. პედაგოგიური პროფესიის წარმოშობა და განვითარება

პედაგოგიური პროფესია, ყველა სხვა პროფესიათა შორის, ერთ-ერთი უძველესთაგანია მსოფლიოში. იგი, შეიძლება თამამად ითქვას, გაჩნდა ადამიანის გაჩენასთან ერთად, მაგრამ მაშინ არც სიტყვა „პედაგოგი“ და არც „მასწავლებელი“ არ არსებობდა. ეს ტერმინები მოგვიანებით შემოვიდა.

როგორც ვიცით, საზოგადოების განვითარების პირველი საფეხურია *პირველყოფილი თემური წყობილება,* რომელიც იყო უკლასო საზოგადოება. თემის ყველა წევრი თანაბარი უფლებით სარგებლობდა. პირველყოფილ საზოგადოებაში არ იყო შრომის დანაწილება. ამიტომ მასწავლებლის პროფესია ცალკე არ არსებობდა. მოზარდი თაობა უფროსთა გამოცდილებას ეუფლებოდა მიბაძვის გზით. მათ აღზრდას პირველ ხანებში თემის უფროსი წევრები, შემდეგში კი ოჯახის მოზრდილი წევრები კისრულობდნენ. ამ დროს ყველა ბავშვი ერთნაირ აღზრდას ღებულობდა.

თემის ყველა ზრდადასრულებული წევრის უშუალო მოვალეობა იყო საარსებო საშუალებების მოპოვება.ამ საქმეში, თემის უფროს წევრებთან ერთად, მონაწილეობდნენ ბავშვებიც. ისინი ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ტყეში და აგროვებდნენ ყველა იმას, რაც საკვებად გამოადგებოდათ. ბავშვების სწავლება და აღზრდა ძირითადად ამ დროს, შრომის პროცესში ხორციელდებოდა. უფროსები ასწავლიდნენ ბავშვებს, რა და როგორ უნდა შეეგროვებინათ, როგორ უნდა ენადირათ და ა.შ.

მას შემდეგ, რაც ადამიანებმა ისწავლეს უმარტივესი იარაღების დამზადება და მეცნიერული ცოდნის სფერო გაფართოვდა, შეუძლებელი შეიქმნა სხვა რომელიმე პროფესიის ადამიანისათვის (პოეტები, მწიგნობრები, ქურუმე-

ბი, ხელოსნები) მიენდოთ ახალგაზრდებისათვის მეცნიერების სწავლება. საჭირო გახდა შრომის უნარ-ჩვევების სპეციალური გადაცემის აუცილებლობა. ამიტომ გვარის მამასახლისებმა, უხუცესმა ადამიანებმა შექმნეს, თანამედროვე გაგებით, ადამიანთა პირველი სოციალური ჯგუფები. ესენი იყვნენ აღმზრდელები, რომელთა უშუალო მოვალეობა იყო როგორც საკუთარი, ისე საზოგადოების მიერ თავისი არსებობის მანძილზე დაგროვილი ცოდნა-გამოცდილების გადაცემა, მოზარდი თაობის სულიერ-ზნეობრივ ამაღლებაზე ზრუნვა და ამ გზით მათი ცხოვრებისათვის მომზადება. ამის გარეშე საზოგადოება ვერ შეძლებდა არა თუ არსებობას, განვითარებასაც კი, რადგან ახალგაზრდა თაობა იძულებული იქნებოდა ყველაფერი თავიდან დაეწყო. ასე მომწიფდა მასწავლებლის, როგორც დამოუკიდებელი პროფესიის, საჭიროება.

ეს მოხდა ძველ საბერძნეთსა და რომში.

შუა საუკუნეების მეორე ნახევრიდან ქალაქების ზრდასა და საერო სკოლების წარმოშობასთან ერთად, გაჩნდნენ დაქირავებული მასწავლებლები, ანუ რეპეტიტორები, რომლებიც უფრო მეტად, ვიდრე სასულიერო სკოლებში, ასწავლიდნენ მოსწავლეებს წერა-კითხვასა და ანგარიშს, მაგრამ მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, გლეხობა, თითქმის მოწყვეტილი იყო სწავლა-განათლებას.

პირველ ხანებში სიტყვა აღზრდაში მხოლოდ გამოკვება იგულისხმებოდა. ამიტომ ტერმინები „აღზრდა“ და „გამოკვება“ სინონიმებად იხმარებოდა. თანამედროვე გაგებით,აღმზრდელი არის ის პირი, რომელიც ბავშვის აღზრდით არის დაკავებული და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას იღებს მის განვითარება-ჩამოყალიბებაზე. მონათმფლობელურ საბერძნეთში, სადაც უკვე არსებობდა სკოლები, პედაგოგს უწოდებდნენ მონას, რომელსაც მონათმფლობელის ბავშვი დაჰყავდა სკოლაში. შემდეგ ამ სიტყვამ მნიშვნელობა შეიცვალა და დღეს ჩვენ პედაგოგს ვუწოდებთ იმ პირს, ვინც ასწავლის და ზრდის ბავშვს სკოლასა თუ სკოლამდელ დაწესებულებაში. სიტყვა „მასწავლებელი“ კი მოგვიანებით გაჩნდა, როდესაც კაცობრიობამ

შეიგნო, რომ ცოდნის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების წინსვლა-განვითარება.

ძველ ბაბილონში, ეგვიპტეში, სირიაში, საბერძნეთში მასწავლებლებად მუშაობდნენ ყველაზე ჭკვიანი, ნიჭით დაჯილდოებული მოქალაქეები: პედონომები, დიდასკალები, პედაგოგები.

ძველ რომში მასწავლებლებად ინიშნებოდნენ სახელმწიფო ჩინოსნები (მოხელეები), რომლებსაც კარგად ჰქონდათ შესწავლილი მეცნიერება, სხვა ქვეყნების კულტურა, ადათ-წესები და უცხო ენებსაც ფლობდნენ.

უძველეს ჩინურ ქრონიკებში, რომლებიც ჩვენ დრომდე არის შემონახული, მოხსენიებულია, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთააღრიცხვამდე XX საუკუნეში არსებობდა განათლების სამინისტრო. სწორედ ის ნიშნავდა მასწავლებლის მოვალეობის შემსრულებლად საზოგადოების ყველაზე ბრძენ და ჭკვიან წარმომადგენელს.

შუა საუკუნეებში კი პედაგოგები, როგორც წესი, მღვდლები იყვნენ, თუმცა ქალაქის სკოლებსა და უნივერსიტეტებში პედაგოგებად მხოლოდ სპეციალური განათლების მქონე ადამიანები ინიშნებოდნენ.

ძველ საქართველოში მასწავლებლის აღმნიშვნელ ცნებად სხვადასხვა დროს იხმარებოდა მამამძუძე, დედამძუძე, მოძღვარი, ხოლო XIX საუკუნეში მასწავლებელს ოსტატსაც უწოდებდნენ, მოსწავლეს კი მოწაფეს ან შეგირდს. სწორედ ამ ტერმინებს იყენებდა თავის თხზულებებში დიდი ილია.

3. მასწავლებლის როლი და დანიშნულება

როგორც აღინიშნა, მასწავლებლობა ერთ-ერთი უძველესი პროფესიაა. იგი წარმოიშვა საზოგადოების განვითარების იმ საფეხურზე, როცა ადამიანს საკმაოდ დიდი გამოცდილება და ტრადიცია დაუგროვდა სამეურნეო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სფეროში. სწორედ ამ გამოცდილების ერთი თაობიდან მეორისათვის გადაცემისათვის წარმოშვა მასწავლებლობა.

მასწავლებლის როლი და დანიშნულება ერთი საზო-

გადოებრივ-ეკონომიური ფორმაციიდან მეორეზე გადასვლისას იცვლებოდა, მაგრამ კლასობრივ საზოგადოებაში მასწავლებელი მუდამ გაბატონებილი კლასის იდეების გამტარებელი, მათი ნება-სურვილის შემსრულებელი,მათი ინტერესების დამცველი იყო.

მიუხედავად ამისა, ყველა ეპოქის მოწინავე მოაზროვნეები და პედაგოგები ხაზგასმით აღნიშნავდნენ მასწავლებლის, პედაგოგიური პროფესიის უდიდეს საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ჯერ კიდევ ანტიკური სამყაროს დიდი მოაზროვნე **პლატონი** თვლიდა, რომ მომავალ საზოგადოებას საფრთხე შეექმნება, თუ მას ცუდი მასწავლებლები ეყოლებაო. იგი წერდა: *„თუ ათენში იქნებიან ფეხსაცმლის ცუდი მკერავები, ამით სულ ბევრი ის უბედურება მოხდება, რომ ათენელებს უშნოდ შეკერილი ფეხსაცმელი ეცმევათ, მაგრამ თუ ბავშვებისა და ახალგაზრდების აღმზრდელნი მოწოდების სიმაღლეზე არ იქნებიან, ეს საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფოს მომავალს“.*[1] და მართლაც, მასწავლებლის მორალური სახე და მისი ცოდნა ძირითადად განსაზღვრავს ახალგაზრდის პიროვნებად ჩამოყალიბებას, ახალაზრდისა, რომელიც **ბ. ბელინსკის** სიტყვებით რომ ვთქვათ, *„აწმყოს სტუმარია და მომავლის მასპინძელი.*

ჭეშმარიტი, ავტორიტეტული პედაგოგის სახელი და მისი სიყვარული ზოგიერთ ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე თან დაჰყვება და განსაზღვრავს მის მსოფლმხედველობას. დიდი სამამულო ომის პერიოდში ერთმა საბჭოთა კავშირის გმირმა, რომელსაც უთხრეს, რომ მშობლიურ სოფელში მას ბრინჯაოს ბიუსტს დაუდგამენ, განაცხადა: მე ვთხოვ მთავრობას, რომ ბრინჯაოს ბიუსტი დამიდგან არა მე, არამედ ჩემს მასწავლებელს, რომელმაც დამანახა სიცოცხლის აზრი და სილამაზეო. [2]

კაცობრიობის ისტორიამ შემოგვინახა მრავალი პრო-

---

1 ვ. გაგუა და სხვები, პედაგოგიკის შესავალი, თბ., „განათლება“, 1978, გვ. 5.

2 ბ. პ. ესიპოვი და ნ .კ. გონჩაროვი, პედაგოგიკა, სოხუმი, 1950, გვ. 472.

გრესულად მოაზროვნე ადამიანის სახელი, რომლებმაც დიდების შარავანდედით შემოსეს მასწავლებლის საპატიო წოდება და ნათლად დაგვანახეს ამ პროფესიის სიდიადე და ცხოველმყოფელობა. გამოჩენილი მასწავლებელი ჰყავდა ყველა ერს, ყველა დროში. ასე, მაგალითად, ჩინელებს უდიდეს მასწავლებლად აღიარებული ჰყავდათ **კონფუცი** (551-479 წწ. ჩვენს წელთააღრიცხვამდე), ბერძნებს **სოკრატე** და ა.შ. მაგრამ მსოფლიოში ყველაზე დიდ პედაგოგად მაინც მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი **იან ამოს კომენსკია** მიჩნეული, ავტორი „ოქროს წიგნისა“ – „დიდი დიდაქტიკა“, რომელიც თითქმის ოთხი საუკუნის წინ დაიწერა, მაგრამ დღესაც ინარჩუნებს მასწავლებელთა პირველი სახელმძღვანელო წიგნის მნიშვნელობას. გარდა ამისა, კომენსკიმ შექმნა ათამდე სახელმძღვანელო სკოლისათვის და დღეს თითოეული მასწავლებლის მიერ გმოყენებული სიტყვა„გაკვეთილი“, „კლასი“, „არდადეგები“, „სწავლება“, „სწავლა“ და ა.შ. მის სახელთანაა დაკავშირებული.

კომენსკის აზრით, მასწავლებელს „მინდობილი აქვს შესანიშნავი თანამდებობა, რომელზეც უფრო მაღალი არაფერი შეიძლება არსებობდეს ამ მზის ქვეშ“. კომენსკი მასწავლებელს ადარებს მებაღეს, მოქანდაკეს, ადამიანის სულსა და გონებას რომ ძერწავს და აქანდაკებს და ბოლოს, მხედართმთავარს, რომელსაც იერიში მიაქვს უმეცრებაზე. იგი განსაკუთრებით დიდ როლს ანიჭებდა მასწავლებლის პირად მაგალითს, რადგან „...*არავის არ შეუძლია ადამიანი გააბრძენოს, გარდა ბრძენისა, არავის არ შეუძლია ადამიანი მჭერმეტყველი გახადოს, გარდა მჭერმეტყველისა, არავის არ შეუძლია იგი ზნეობრივი და ღვთისმოშიში გახადოს, თუ არა სწორედ ასეთმა ადამიანმა*“. [1]

1957 წლიდან იან ამოს კომენსკის დაბადების დღე – 28 მარტი ჩეხეთის რესპუბლიკაში მასწავლებლის დღედ არის გამოცხადებული.

---

[1] *Коменский Я.А. Избр. пед. соч., М., 1955, с . 5.*

მასწავლებლის სახელის სიდიადე და ცხოველმყოფელობა ნათლად გვიჩვენა ასევე დიდმა შვეიცარეიელმა პედაგოგმა **ჰ. პესტალოციმ,** რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე, ცოდნა და გამოცდილება ობოლი ბავშვების აღზრდასა და ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბებას მოახმარა. ამიტომაც მადლიერმა ხალხმა მისი საფლავის ქვას წააწერა: „ყველაფერი სხვისთვის, არაფერი თავისთვის“.

არანაკლები როლი მიუძღვის ამ საქმეში ცნობილ გერმანელ პედაგოგს — დიდაქტიკოს **ადოლფ დისტერვეგს,** რომელსაც სიცოცხლეშივე უწოდებდნენ „გერმანელ მასწავლებელთა მასწავლებელს“. იგი ავტორია ოცამდე სახელმძღვანელოსი. ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში, კერძოდ, 1862 წელს რუსულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა მისი „ელემენტარული გეომეტრია“.

ა. დისტერვეგი დიდ როლს ანიჭებდა მასწავლებლს, მის ერუდიციასა და განათლებას. *„მასწავლებელი სკოლისათვის იგივეა, რაც მზე სამყაროსათვის“,* — წერდა იგი და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მასწავლებლის სისტემატურ მუშაობას თავის თავზე. „თქვენ მხოლოდ იმ დრომდე შეგიძლიათ ხელს უწყობდეთ სხვების განათლებას, — მიმართავდა იგი მასწავლებლებს, — სანამ აგრძელებთ მუშაობას საკუთარ განათლებაზე“. [1]

დიდი რუსი პედაგოგი, რუსული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი **კონსტანტინე უშინსკი** მასწავლებელს *„ძზის გამანაყოფიერებელ სხივს“* ადარებდა. მისი აზრით, მასწავლებელი არის სიკეთისა და ჭეშმარიტებისათვის მებრძოლი, ცოცხალი რგოლი წარსულსა და მომავალს შორის. კ. დ. უშინსკი ამტკიცებდა, რომ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მთლიანად დამოკიდებულია მასწავლებელზე, მის ცოდნასა და განათლებაზე, მას ვერაფერი შეცვლის — ვერც კარგად შედგენილი პროგრამა და ვერც სახელმძღვანელო.

---

1 ნ. ა. კონსტანტინოვი და სხვები, პედაგოგიკის ისტორია, თბ., „ცოდნა“, 1964, გვ. 155.

კ. დ. უშინსკი გაუნათლებელ მასწავლებელს ადარებდა ექიმბაშს მედიცინაში და მისაგან მოითხოვდა სისტემატურ მუშაობას თავის თავზე. *„მასწავლებელი ცოცხლობს მანამ,- წერდა იგი, - ვიდრე სწავლობს. როგორც კი სწავლას შეწყვეტს, მასში მასწავლებელიც კვდება“.*

მასწავლებლის პიროვნებისა და მოღვაწეობის საკითხზე ყურადღებას ამახვილებს ასევე საქვეყნოდ ცნობილი ინდოელი კლასიკოსი მწერალი და პედაგოგი **რ. თაგორი.** მისი აზრით, მასწავლებელს გადამწყვეტი როლი ენიჭება სწავლა-აღსრდის პროცესში, რამეთუ იგი ღრმად იყო დარწმუნებული,რომ*„ცოდნის მიღება ადამიანს შეუძლია მხოლოდ ადამიანისაგან. როგორც წყალსატევი ივსება წყლით, ცეცხლი ინთება ცეცხლით, ისე ადამიანის სული იქმნება მეორე ადამიანის სულით“.* [1]

ბავშვებში ამ ადამიანური სულის ჩამდგმელი, მშობლებთან ერთად, მასწავლებელია, მაგრამ გოეთეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველა როდი იმსახურებს ამ სახელს, ვინც კი გვასწავლის“. მასწავლებელი ამ საპატიო სახელს მხოლოდ მაშინ იმსახურებს, როცა მოსწავლესა და მას შორის ურთიერთპატივისცემა და სიყვარულია.

მასწავლებელი არ უნდა კმაყოფილდებოდეს მხოლოდ საგნის სწავლებით. იგი უნდა იყოს ბავშვის თამაშისა და გართობის მონაწილე, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შეძლებს ბავშვის სულის დაუფლებას, რომლის გარეშე, თაგორის აზრით, ჭეშმარიტი აღზრდა-განათლება არ არსებობს.

სწავლების ეფექტურობა ასევე დამოკიდებულია მასწავლებლის ცოდნის დონეზე, მის ერუდიციასა და განათლებაზე. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი სისტემატურად უნდა მუშაობდეს თავის თავზე, იმაღლებდეს თავისი ცოდნის დონეს, რადგან *„ადამიანის გონება მუდმივ განვითარების პროცესშია. მისი ამოცნობა ძალუძს მხოლოდ იმას, ვისი გონებაც ასევე მოძრავ მდგომარეობაშია.*[2]

---

[1] *Тагор Р. Соч. в 8 томах, т. 8, М., 1957, с. 391.*

2 *Там же, с. 390 .*

იაკობ გოგებაშვილს მასწავლებელი მიაჩნდა ერის დედაბოძად. მასწავლებელი არის *„მჭიდრო სულიერი კავშირი ინტელიგენციასა და ხალხს შორის“,* — წერდა იგი. სოფლის სკოლის მასწავლებლის შესახებ კი ამბობდა: *„ჩვენ არ ვიცით სხვა ისეთი სამსახური, რომელიც თავისის მაღალი მნიშვნელობით შეედრებოდეს სოფლის შკოლის მასწავლებლობას“.*[1] მისი აზრით, ქართველი ხალხი მასწავლებლების წყალობით დაწინაურდა წიგნის ცოდნაში და ბევრად მეტი მონაწილეობა მიიღო განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ვიდრე კავკასიის სხვა ხალხებმა.

მასწავლებელთა მატერიალური პირობების გაუმჯობესების მიზნით ი. გოგებაშვილი მოითხოვდა მათი ხელფასის გაზრდას ოცდაათ მანეთამდე მაინც. გარდა ამისა, იგი საჭიროდ მიიჩნევდა მასწავლებელთათვის „დამხმარებელი კასის“ (შემდგომში „ურთიერთდამხმარე სალარო“) შემოღებას.

მასწავლებელთა დამახასიათებელ თვისებებიდან იგი პირველ ადგილზე აყენებდა სიკეთეს, ბავშვებისა და საერთოდ, ადამიანების სიყვარულს.

მასწავლებლის შესახებ თავისი საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ასევე **ილია ჭავჭავაძეს.** იგი მასწავლებელს „მეორე შემოქმედს“ უწოდებდა (მშობლის შემდეგ — **ნ. ბ.**). *„მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედიაო“,* — წერდა იგი. მისი აზრით, მასწავლებლობა *„ბეწვის ხიდზე გავლაა“. „მე და ბავშვი დავმეგობრდით, ბეწვის ხიდი გავიარეთ“,* — ამბობს პატარა პატიკოს მასწავლებელი სოლომანი (ეტიუდი „უცნაური ამბავი“).

ი. ჭავჭავაძე იმდენად დიდ როლს ანიჭებს პედაგოგს მოსწავლის პიროვნების ფორმირებაში, რომ თამამად აცხადებს:

„სწავლას ნურას დააბრალებთ, თუ ვერ იქმნა შვილი წვრთნილი,
ცემა გმართებთ გამზრდელისა, რა ყრმა ნახოთ ავად ზრდილი“.

---

[1] *ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზ ხუთ ტომად, ტ. 1, თბ., 1989, გვ. 141.*

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით დიდ როლს ანიჭებს მასწავლებლის პედაგოგიურ ტაქტს.

ამავე საკითხებზე თავისი მოსაზრებები აქვს გამოთქმული **აკ. წერეთელს** „გამზრდელსა“ და „ჩემს თავგადასავალში“. თუ ილიამ ცუდი გამზრდელის გაწკეპლვა მოითხოვა, აკაკიმ მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

იაკობ გოგებაშვილის ღირსეული მემკვიდრისა და მისი საქმის გამგრძელებლის, **ლუარსაბ ბოცვაძის** აზრით, *„მასწავლებლის პიროვნებაზე, მის მომზადებაზე და უნარზეა დამოკიდებული სკოლის ბედ-იღბალი. კარგ მასწავლებელს კარგი პროგრამა რომ არ ჰქონდეს, მაინც შეუძლია სკოლის საქმე რიგიანად წაიყვანოს, ხოლო კარგი პროგრამიდან და სუსტი მასწავლებლიდან არა გამოდნება რა სკოლის სასიკეთოდ: იმას პროგრამა ვერაფერს უშველის და მისი სკოლა, რაც უნდა კარგი პროგრამა ეჭიროს ხელში, მაინც ჩამოქვეითებული იქნება... მასწავლებელი სული და გულია მთელი სკოლისა და თუ ეს სული საღი არ არის და გულიც ჭიანია, სკოლაც დაავადებული და სუსტი იქნება“.* [1]

მასწავლებლის დამახასიათებელი თვისებებიდან ლ. ბოცვაძეს, უწინარეს ყოვლისა, მიაჩნდა ბავშვების, პროფესიისა და საქმის სიყვარული, გულწრფელობა, ალალმართლობა და სხვ. გარდა ამის, კ. უშინსკის მსგავსად, ლ. ბოცვაძე ყოველი მასწავლებლისგან მოითხოვდა სისტემატურ მუშაობას თავის თავზე. იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ მასწავლებელი მანამდე რჩება სახალხო მასწავლებლად,სანამ აგრძელებს თავის თავზე მუშაობას, რადგან,მისი აზრით, *„ვინც თვითონ ერთ წერტილზედ სდგას, იმას არ შეუძლიან სხვები წინ წასწიოს“.*

ლ. ბოცვაძის აზრით, ჭეშმარიტი ხელოვანი პედაგოგი არ ჩამოუვარდება არც ერთ ნიჭიერ მსახიობს და მწერალს. ამიტომ მას ისეთივე დაფასება სჭირდება, როგორც ხელოვნების მუშაკებს.

მასწავლებლის, განსაკუთრებით კი სოფლის სკოლის

---

[1] *ი. ჭკუასელი, ლუარსაბ ბოცვაძე, თბ., 1954, გვ. 123.*

მასწავლებლის სახელი შორს გატყორცნა XX საუკუნის დიდმა უკრაინელმა პედაგოგმა **ვასილ სუხომლინსკიმ**. იან ამოს კომენსკის მსგავსად, სუხომლინსკის მასწავლებლის პროფესია მიაჩნდა ყველაზე კეთილშობილურ პროფესიად, რადგან, მისი ღრმა რწმენით, პედაგოგი ქმნის *„ყველაზე რთულ, ჩვენი საზოგადოების ყველა ფასეულობათა შორის ყველაზე ძვირფასს – ადამიანს“.* მისი აზრით,პედაგოგი სიკვდილის შემდეგ თავის თავს ტოვებს ადამიანში. ეს არის მისი უკვდავება და უმაღლესი ბედნიერება.

მასწავლებლის ერთ-ერთ ძვირფას თვისებად ვ. სუხომლინსკის მიაჩნდა *ბავშვების სიყვარული,* რაც წითელ ზოლად გასდევს მთელ მის პედაგოგიურ მოღვაწეობას. *„რა იყო უმთავრესი ჩემს ცხოვრებაში,* – ეკითხება იგი საკუთარ თავს წიგნში „გულს ვუძღვნი ბავშვებს“ და უყოყმანოდ პასუხობს: – *ბავშვების სიყვარულული.* ამ სიყვარულს იგი განუხრელად ატარებდა ცხოვრებაში.

მასწავლებლის სხვა თვისებებიდან ვ. სუხომლინსკი ყურადღებას ამახვილებს *სამართლიანობაზე, პედაგოგიურ ტაქტზე, საგნის საფუძვლიან ცოდნაზე* და სხვა. მისი აზრით, მასწავლებელმა ათჯერ, ოცჯერ მეტი უნდა იცოდეს, ვიდრე გაკვეთილის გადაცემისთვისაა საჭირო.

ვ. სუხომლინსკი 52 წლისაც არ იყო, როცა გარდაიცვალა, მაგრამ თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე დაწერა იმდენი წიგნი და სამეცნიერო ნაშრომი, რომ 10 კაცს ეყოფოდა. ამიტომაც ითვლება იგი გასული საუკუნის უდიდეს პედაგოგად.

დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს განათლების სისტემის ძირეული გარდაქმნა და ამ გარდაქმნის შესაბამისად იცვლება სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები, მკვიდრდება ახალი ტიპის სკოლები, შემოდის ახალი საგნები, განსაკუთრებით მაღლდება მასწავლებლის როლი და პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე. და ეს არცაა გასაკვირი, რადგან როგორადაც არ უნდა შეიცვალოს სკოლა, როგორი კონცეფციაც არ უნდა იქნას მიღებული და როგორი პროგრამებითაც არ უნდა მოგვიხდეს მუშაობა, მასწავლებლის მაღალი კულ-

ტურის, ერუდიციისა და თბილი გულის გარეშე შეუძლებელია მცოდნე, გონებაგახსნილი ადამიანის, ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდა, რადგან იგი არა მარტო ასწავლის, არამედ კიდევაც ზრდის ბავშვებს. ბავშვის აღზრდა კი მეტად რთული, ხანგრძლივი და მრავალწახნაგოვანი პროცესია. აღზრდა მიზნად ისახავს ბავშვის არა მარტო ფიზიკურ ზრდა-განვითარებას, არამედ აღზრდის პროცესში და მის შედეგად იგი იქცევა მაღალმორალურ, ესთეტიკურად სრულყოფილ, შრომისმოყვარე პიროვნებად, რომელშიც *„ჰარმონიულად იქნება შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა“.* აღზარდო ნიშნავს მოსწავლეებთან თავი გეჭიროს ისე, რომ მათ შეექმნათ იმის ღრმა რწმენა, რომ მასწავლებელი სწორად იქცევა, მაგრამ თუ მასწავლებელმა დაუმსახურებელი ნიშანი დაუწერა რომელიმე სუსტ მოსწავლეს, ეს შეუმჩნეველი არ დარჩებათ ბავშვებს, რადგან მასწავლებელი თავისებური სარკის ლაბირინთშია, მას უცქერის ათობით წყვილი თვალი. მოსწავლეებს კარგად ეხერხებათ, შენიშნონ მასწავლებლის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

ამრიგად, მოსწავლეთა აღზრდა, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლის ყოფაქცევაა კლასში, ეს არის მისი დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი და სწორედ ეს ხდის აღზრდას მეტად რთულ საქმედ.

მასწავლებლის მუშაობის სიძნელე იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი მოწოდებულია, ყოველდღიურად აკვირდებოდეს და სწავლობდეს თავის მოსწავლეებს, იცნობდეს მათ ოჯახურ პირობებსა და ინდივიდუალურ თავისებურებებს, ბავშვის განვითარების ასაკობრივ პერიოდიზაციას და ამის გათვალისწინებით წარმართავდეს მათი ფორმირების რთულ და საპატიო საქმეს.

თუ მასწავლებელი კარგად არ იცნობს თავის აღსაზრდელებს, მათ ოჯახურ პირობებს, შეიძლება მარცხი განიცადოს მათთან ურთიერთობაში. აი,ამის მაგალითი. ერთმა მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, დღიურებში ჩაენიშნათ, რომ ხვალ მშობელთა კრებაა. ყველა მოსწავ-

ლე შეუდგა ჩანიშვნას, მაგრამ ერთმა დღიური არ გადა-შალა.

— შენ რატომ არ ინიშნავ, ეს შენ არ გეხება? თუ არ გინდა შენმა მშობლებმა გაიგონ შენი ამბავი? (იმ დღეს ამ მოსწავლემ ერთ-ერთ საგაწში ორიანი მიიღო).

— მაგას მშობლები არ ჰყავს, — წამოიძახა მეზობელი მერხიდან ერთმა მოსწავლემ.

როგორც დავინახეთ, მასწავლებელმა დასანანი წინ-დაუხედაობა გამოიჩინა იმის გამო, რომ იგი არ იცნობდა თავის აღსაზრდელთა ოჯახებს.

მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს არა მარტო თავისი მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებები, არამედ მათი მშობლებისაც. ჩვენი სკოლის X კლასის მო-სწავლის ერთმა მშობლმა კრება მიატოვა იმის გამო, რომ კლასის ხელმძღვანელმა მკაცრად გააკრიტიკა მისი ქალი-შვილი. მას რომ ამ მშობლის თავისებურებანი სცოდნოდა, გაითვალისწინებდა და ასეთი მარცხი არ მოუვიდოდა.

ცნობილია, რომ ყოველი ბავშვი განუმეორებელ ინდი-ვიდუალობას წარმოადგენს. ყოველ ბავშვს თავისებური ხედვისა და აზროვნების უნარი აქვს, თავისებური გემოვ-ნება, ხასიათი, სურვილი, ინტერესი, მიდრეკილება გააჩ-ნია. მასწავლებელი კი ვალდებულია გაითვალისწინოს მო-სწავლეთა ეს თავისებურებანი და ისე წარმართოს სწავ-ლა-აღზრდის პროცესი. ეს კი, ცხადია, ძნელი საქმეა,დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს.

მასწავლებელი ბავშვის სულის ინჟინერია. მარტო რად ღირს ის ფაქტი, რომ ქვეყანამ და ერმა მასწავლე-ბელს უდიდესი ნდობა გამოუცხადა მოზარდი თაობის აღ-ზრდაში. თვით გენიალური ადამიანებიც კი თავიანთ ცოდ-ნას მასწავლებელს მიაწერენ. რუსთაველი, შექსპირი, გოე-თე, სერვანტესი, პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი, დოს-ტოევსკი, ზაქარია ფალიაშვილი, მოცარტი, შტრაუსი, რი-მსკი-კორსაკოვი, მენდელოსონი თუ სხვები თავიანთი მას-წავლებელების დახმარებითა და ხელშეწყობით იქცნენ მსოფლიოში ცნობილ და მოწინავე ადამიანებად. მათი ში-ნაგანი ნიჭი, გენიალობა მხოლოდ წინა პირობა, ნოყიერი

ნიადაგი იყო, რომელიც საჭიროებდა შემდგომ დამუშავებასა და ფორმირებას. ამიტომაც ამბობდა **იოსებ ნონეშვილი:** *„ქვეყნად არც ერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.*

ამრიგად, ყველა სხვა პროფესიასთან შედარებით მასწავლებლის პროფესია გამოირჩევა თავისი სირთულითა და საზოგადოებრივი მნიშვნელობით. მასწავლებელი სპეციალისტია, რომელიც ეწევა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა თუ სასწავლებელში. იგი ხელმძღვანელობს ახალგაზრდობის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის რთულ პროცესს და პიროვნებას ყოველმხრივად ავითარებს.

ფართო გაგებით მასწავლებელს საზოგადო მოღვაწეს უწოდებენ, რომელიც საზოგადოებაში გარკვეულ რწმენას აყალიბებს და ავრცელებს. მასწავლებელია ისიც, ვინც მეცნიერების, ლიტერატურის ან ხელოვნების დარგში საკუთარი სკოლა შექმნა და ჰყავს მიმდევრები, მოსწავლეები. დემოკრატიული ახალგაზრდობის მთელი თაობის მასწავლებლები იყვნენ რევოლუციონერ-დემოკრატები: ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და სხვები.

მასწავლებელს სხვანაირად პედაგოგსაც უწოდებენ. პედაგოგი წარმოსდგება ბერძნული სიტყვებისაგან პაის – ბავშვი და აგოგოს – ტარება. ძველ საბერძნეთში პედაგოგს უწოდებდნენ მონას, რომელსაც მონათმფლობლის ბავშვი დაჰყავდა სკოლაში. შემდეგ ამ სიტყვამ მნიშვნელობა შეიცვალა და დღეს პედაგოგს ვუწოდებთ არა იმას, ვისაც ბავშვი დაჰყვას სკოლაში, არამედ მასწავლებელს, რომელიც ასწავლის და ზრდის ბავშვებს.

როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკუნეში მასწავლებელს ოსტატს უწოდებდნენ, მოსწავლეს კი – მოწაფეს ან შეგირდს. ამიტომაც ამბობს ერთგან პოეტი **გიორგი წერეთელი**:

„რადგან, ოსტატო, მრუდე ხისგან ძელი გამთალე,
თვალს თუ დაგაკლდეს, მე ვიქნები შენი სათვალე,
მუხლს თუ დაგაკლდეს, შენს ყავარჯენს მეც მიმათვალე“.

ერთი სიტყვით, მასწავლებლის გარეშე ჩვენს ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა. ყველა ჩვენგანი მასწავლებლისგან მოვდივართ, რამეთუ ყველაფერი მისით იწყება და მთავრდება. ამიტომაც იყო, რომ დიდი ხნის წინათ, როცა ერთმა სახელმწიფომ მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ომი მოიგო, მისმა მეთაურმა მადლობა გადაუხადა არა მხედართმთავრებს და ჯარისკაცებს, არამედ მასწავლებლებს, აღმზრდელებს.

იყო მასწავლებელი დიდი ხელოვნებაა. კარგი მასწავლებელი რომ იყო, ამისათვის არც დიდი ცოდნა კმარა, არც გამოცდილება – სული უნდა გქონდეს მასწავლებლისა, მასწავლებლად უნდა იყო დაბადებული. *„მხოლოდ ნამდვილმა ადამიანობამ, მაღალმა მოქალაქეობრიობამ უნდა მოგანიჭოთ ეს უფლება“,* – ამბობდა ვასილ სუხომლინსკი.

თუ შენს პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული არა ხარ, არ გიყვარს ბავშვები, არდადეგებზე თუ სკოლა არ გენატრება, შენი მოსწავლეები თუ არ გესიზმრება, ვერ იქნები კარგი მასწავლებელი.

ჩვენი სასიქადულო მწერლის, **ნოდარ დუმბაძის** აზრით, *„მასწავლებლობა უდიდესი საიდუმლოს გამხელას უნდა ჰგავდეს მოძღვარი შეგირდისათვის მისანი უნდა იყოს, მისანი, რომელიც მას ბუნების საიდუმლოს ანდობს“.* მისი აზრით, მასწავლებელი, როგორც მინიმუმი, ოთხ საიდუმლოს მაინც უნდა ფლობდეს:

1. „უზღვროდ უყვარდეს ბავშვები.

2. უსაზღვროდ უყვარდეს საგანი, რომელსაც ასწავლის.

3. ჰქონდეს უნარი – ეს სიყვარული სხვასაც შეჰყაროს, როგორც სენი უკურნებელი.

4. იყოს უაღრესად თანამედროვე, ჰქონდეს ცოდვა-მადლის ანუ სამართლის გარჩევისა და მოთმინების დიდი უნარი. სხვანაირად ყველა მცდელობა იმისა, რომ იყო მოძღვარი, ფუჭია, ყალბი და უშედეგო“. [1]

---

[1] *ნ. დუმბაძე, შთაბეჭდილებები, წერილები, გამოსვლები, თბ., 1984, გვ. 173-174.*

ერის მომავალი მასწავლებლის ხელშია. ვამბობ ამ სიტყვებს და **ნიკო ლორთქიფანიძის** ნოველა *„ჯიოკონდა“* მახსენდება,რომელშიც მწერალი ამბობს: *„დავსეირნობდით. ვიღაც ღარიბი მასწავლებელი ქალი დავინახეთ. დაქანცული, გაცრეცილ ტანსაცმელში ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა, უსათუოდ, სახლისაკენ.*

— ვინაა? — დამეკითხა ქალი.

— მასწავლებელი.

— საწყალი!

— როგორ თუ საწყალი. ის არის ბედნიერი: მის ხელშია ყოველ ჩვენგანის იმედი. პატარა ბავშვები არიან ხელოვნების, მეცნიერების, ბედნიერების და თავისუფლების მჭედელნი“. [1]

დიახ, ერის მომავალი მასწავლებლის ხელშია, ვინაიდან ქვეყნის აწმყოცა და მომავალიც იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი თაობა იზრდება დღეს, რა სულიერი საგზლითა და ფიზიკური მხნეობით აღჭურვილ ახალგაზრდობას გაუშვებს სკოლა ცხოვრების ძნელ გზაზე. *„ვინ არის ჩვენი ახალგაზრდობის პირველი აღმზრდელი? —* კითხულობს **ა. ფადეევის** რომან „ახალგაზრდა გვარდიის“ ერთ-ერთი პერსონაჟი მატვეი შულგა და იქვე პასუხობს: *— მასწავლებელი! აბა, ერთი დააკვირდით, რა სიტყვაა!.. მასწავლებელი! ადვილად ითქმის! ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყოველი ბავშვი სწავლობს, მასწავლებელი პირველი კაცია! ჩვენი ბავშვების, ჩვენი ხალხის მომავალი მასწავლებლის ხელთ არის, მის ოქროს გულშია ჩამარხული. დავინახავთ თუ არა მას ქუჩაში, მისდამი უაღრესი პატივისცემის ნიშნად ორმოცდაათ მეტრზე უნდა ვუხდიდეთ ქუდს“.* [2]

ამავე აზრს ავითარებს პოეტი **მორის ფოცხიშვილი** ლექსში — *„მასწავლებელი მოდის“.* იგი წერს:

---

[1] *ნ. ლორთქიფანიძე, თხზ., თბ., „განათლება“, 1989, გვ. 19.*

[2] *ა. ფადეევი, ახალგაზრდა გვარდია, თბ., „ნაკადული“, 1982, გვ. 294.*

„თენდება დილა საიადონო,
ბოლო ეღება მწუხრსა და ლოდინს...
ქუდი მოიხადეთ, ჩემო ბატონო,
მასწავლებელი მოდის!
მოდის საქართველო ამაყი, ბრძენი,
რწმენის ცისარტყელა ჩანგივით ჟღერს:
თოვლივით თეთრი, ნათელი, წრფელი
მასწავლებელი წინამძღვრობს ერს!
არ უძებნია სიმშვიდის ჩერო,
მზის ნაბიჯებით ლეგენდებს წერს...
ჩაჰბერე საყვირს, ბატონო ჩემო,
მასწავლებელი წინამძღვრობს ერს!“

სრული ჭეშმარიტებაა! ეს სიტყვები კარგად უნდა გაიცნობიეროს, გაითავისოს და გაისიგრძეგანოს თითოეულმა ჩვენგანმა (მხედველობაში მყავს პედაგოგები) და ყველა იმან, ვისაც მასწავლებელზე ზრუნვა და მისდამი პატივისცემა ევალება.

4. ძირითადი მოთხოვნები მასწავლებლისადმი

მასწავლებელმა რომ წარმატებით შეასრულოს მასზე დაკსრებული საპატიო მოვალეობა, იგი უნდა იყოს მასწავლებლის მაღალი მოწოდებისათვის საფუძვლიანად მომზადებული. ვერავითარ კონტროლს, ვერავითარ პროგრამას, ვერავითარ სახელმძღვანელოს არ ძალუძს შეცვალოს მასწავლებელი. მასწავლებელი სკოლის სული და გულია.იგი უნდა იყოს ღრმად განათლებული, ერუდირებული და თავისი საქმის ზედმიწევნით მოყვარული.

მასწავლებლის განათლება ძირითადად სამი ასპექტით განიხილება: სპეციალური, პროფესიული და ზოგადი განათლების მიხედვით.

1. სპეციალური განათლება ნიშნავს მასწავლებლის მიერ თავისი სასწავლო საგნის ცოდნას. იგი ღრმად უნდა ფლობდეს თავის სპეციალობას, იმ საგანს, რომელსაც ასწავლის. მისთვის საკმარისი არ არის ის ცოდნა-მომზადება, რომელიც მან ერთ დროს უმაღლეს სასწავლებელში

მიიღო. საგანში მასწავლებლის ცოდნა საშუალო სკოლის პროგრამის ან სახელმძღვანელოს მოცულობით კი არ იზომება,არამედ მოცემული მეცნიერების არსებული მდგომარეობით. მასწავლებელმა სრულყოფილად უნდა იცოდეს თავისი სასწავლო დისციპლინის ისტორია, მისი ყველა პრობლემატიკა, გადაჭრილი თუ სადისკუსიო, თეორია თუ პრაქტიკა. მასწავლებელი ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდეს მეცნიერების განვითარების სწრაფ ტემპს, რათა არ ჩამორჩეს ცხოვრებას.

მაგრამ ცოდნაც არის და ცოდნაც. მასწავლებელი ღრმად უნდა ფლობდეს თავის საგანს, რადგან პედაგოგიურ საქმეში ზერელე ცოდნა მოუთმენელია. „ვაი, იმ მასწავლებელს, ვის ცოდნაშიც დაეჭვდებიან მისი მოსწავლეები“, — წერდა დობროლუბიოვი. „მასწავლებელმა ათჯერ, ოცჯერ უფრო მეტი უნდა იცოდეს, ვიდრე გაკვეთილის გადაცემისათვისაა საჭირო“, — წერდა ვ. სუხომლინსკი. ა. ს. მაკარენკო სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მოსწავლეები თავიანთ მასწავლებელს აპატიებენ სიმკაცრეს, გულცივობას და ჩაციებასაც კი, მაგრამ საქმის ცუდ ცოდნას არ აპატიებენ, რადგან, როგორც ა. დისტერვეგი აღნიშნავდა, „შეუძლებელია სხვას მისცე ის, რაც შენ არ გაგაჩნია“.

თავისი საგნის ცოდნა აუცილებელია, მაგრამ წარმატებისათვის საკმარისი არაა. მას ზოგადი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს თავისი სპეციალობის მონათესავე საგნებზეც, ვინაიდან მოსწავლეებში მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება ხდება საგანთა შორის კავშირის საფუძველზე. თანამედროვე ქიმიის მასწავლებელმა არ შეიძლება არ იცოდეს კვანტური მექანიკის საფუძვლები, ფიზიკის მასწავლებელმა — ელემენტთა პერიოდული სისტემა. ლიტერატურის მასწავლებელი გვერდს ვერ აუვლის ისტორიას, ისტორიის მასწავლებელი — გეოგრაფიას და ა.შ.

2. პროფესიული განათლება გულისხმობს მასწავლებლის მიერ ისეთი პედაგოგიკური მეცნიერებების დაუფლებას, როგორიცაა: პედაგოგიკა, პედაგოგიკის ისტორია, ზოგადი და ბავშვის ფსიქოლოგია, პედაგოგიური ფსიქოლო-

გია და საგნის სწავლების მეთოდიკა.

აღნიშნული მეცნიერებებიდან მასწავლებელს, პირველ რიგში, მოეთხოვება პედაგოგიკის თეორიის ცოდნა, რადგან კ. უშინსკის გამოთქმით, „მასწავლებელი უთეორიოდ იგივეა, რაც ექიმბაში მედიცინაში“. პედაგოგიკა კი არის მეცნიერება ადამიანის აღზრდის,სწავლებისა და განათლების შესახებ.

პედაგოგიკის გარდა,მასწავლებლის პროფესიული განათლება გულისხმობს ასევე პედაგოგიკის ისტორიის ცოდნას. პედაგოგიკის ისტორია შეისწავლის სხვადასხვა ეპოქის ხალხთა აღზრდის, განათლებისა და სწავლების თეორიასა და პრაქტიკას. წარსული გამოცდილების შესწავლითა და მისი გააზრებით მასწავლებელი სრულყოფს თავის პედაგოგიურ განათლებას, წარსულის გათვალისწინებით შეძლებს სწორად შეაფასოს ახლანდელი და განჭვრიტოს მომავალი. პედაგოგიკის ისტორიის შესწავლის შედეგად მასწავლებელი რწმუნდება, რომ საზოგადოების ეკონომიკური წყობა განსაზღვრავს როგორც პედაგოგიკური თეორიის, ისე პრაქტიკის შინაარსს, რომ სწავლება სკოლაში განისაზღვრება საზოგადოებრივი მოთხოვნებით.

ზოგადი და ბავშვის ფსიქოლოგია ისევე აუცილებელია მასწავლებლისათვის, როგორც პედაგოგიკა და პედაგოგიკის ისტორია.ზოგადი ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანის სულიერ ცხოვრებას, ფსიქიკურ პროცესებს, რომელთა გარეშე მასწავლებელს გაუჭირდება სწავლებისა და აღზრდის კანონზომიერებათა შესწავლა. ბავშვის ფსიქოლოგია კი ზოგადი ფსიქოლოგიის ის დარგია, რომელიც ბავშვის განვითარების ფაქტორებსა და კანონზომიერებებს იკვლევს. მისი ცოდნა მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს, შეგნებულად წარმართოს ბავშვის ფსიქიკური განვითარება აღზრდის საჭიროების შესაბამისად.

პედაგოგიური ფსქოლოგია სწავლობს მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის ფსიქოლოგიურ პრობლემებს. მისი ცოდნა აუცილებელია ყველა მასწავლებლისათვის, რათა სწორად ააგოს პედაგოგიური პროცესი.

მასწავლებელი არ უნდა კმაყოფილდებოდეს მარტო

სწავლების ზოგადი კანონზომიერებების, ე.ი. პედაგოგიკის იმ ნაწილის შესწავლით, რომელსაც დიდაქტიკა ეწოდება, არამედ იგი სრულყოფილად უნდა ფლობდეს აგრეთვე თავისი საგნის სწავლების მეთოდიკასაც, ე.ი. კერძო დიდაქტიკასაც, რომლის ამოცანაა, გამონახოს სწავლების ეფექტური საშუალებანი, სწორი მეთოდი. XVII საუკუნის ცნობილი ინგლისელი მოაზროვნე **ფრანსის ბეკონი** მეთოდს ადარებს იმ ჩირაღდანს, რომელიც გზას უნათებს მგზავრს. იმ მეცნიერს კი, რომელიც სწორი მეთოდით არ არის შეიარაღებული — მგზავრს, რომელიც წყვდიადში დაძრწის და ხელების ცეცებით მიიკვლევს გზას. უგზოუკვლოდ მორბენალს კი სწორი გზით მიმავალი კოჭლიც გაასწრებსო, — ამბობდა იგი.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა მასწავლებლისადმი არის საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, ახლისადმი მუდმივი ძიება და განუწყვეტელი სრულყოფა. მისი მუშაობა მიმდინარეობს მუდმივ ცვალებად პირობებში, რაშიც იგულისხმება ძირითადად მეცნიერების განუწყვეტელი ცვალებადობა.ამიტომ მასწავლებელს მუდმივად უხდება ახლისაკენ ძიება. იგი არა მარტო მასწავლებელია, არამედ მოსწავლეცაა: ერთი მხრივ გადასცემს მოსწავლეებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას, ხოლო მეორე მხრივ ხალხისგან, ცხოვრებისგან, მეცნიერებისგან იღებს ყოველივე საუკეთესოს და ამ საუკეთესოს ისევ უბრუნებს ბავშვებს.

3. ყოველივე ზემოთქმულის გარდა, მასწავლებელს უნდა გააჩნდეს ასევე ***ზოგადი განათლება.*** ზოგად განათლებაში იგულისხმება მასწავლებლის საერთო კულტურის დონე. იგი უნდა ერკვევოდეს მეცნიერების ნებისმიერი დარგში. მას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია თანაბარ დონეზე ღრმად იცოდეს ყველაფერი ის, რაც მის მოსწავლეებს აინტერესებთ, მაგრამ მასწავლებელს ზოგადი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ლიტერატურის, ხელოვნების, სპორტის, პოლიტიკის თუ სხვა საკითხებზე.

ბავშვი რთული ორგანიზმია. იგი მოითხოვს დიდ მომზადებას იმათგან, ვინც ამ რთული ორგანიზმის ფორმირე-

ბის საქმეს ჰკიდებს ხელს. „ბავშვის სული, — წერდა ნ. დობროლიუბოვი, — ძალიან რთული და ნაზი ინსტრუმენტია. მას ძალიან ფრთხილი, ყურადღებანი და უნარიანი მოპყრობა სჭირდება, რათა არ გააფუჭო, არ გატეხო“. იგივეს ამბობდა იან ამოს კომენსკი. იგი წერდა: „ბავშვი უფრო ძვირფასი საუნჯეა, ვიდრე ოქრო, მაგრამ უფრო სათუთი, ვიდრე მინა“. ამიტომ მარტო ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერებების ცოდნა არაა საკმარისი მასწავლებლისათვის. ეს მხოლოდ ობიექტური შენაძენია, შრომის, სწავლის გზითაა შეთვისებული, მასწავლებელს კი სუბიექტური მონაცემებიც უნდა გააჩნდეს. ასეთ სუბიექტურ მონაცემებად, ჩვეულებრივ, პედაგოგიურ ნიჭს ან უნარს მიიჩნევენ.

ნიჭი და უნარი მასწავლებლის ის ინდივიდუალური თვისებებია,რომელზეც დამოკიდებულია პედაგოგიური მოღვაწეობის საქმეში მაღალი წარმატება. პედაგოგიური ნიჭი და უნარი თანდაყოლილი თვისება არაა, მას ვერ გავუთანაბრებთ სპეციალურ თანდაყოლილ ნიჭს, როგორიცაა: მუსიკის, ხატვის, პოეტობის და ა.შ. ნიჭი, მაგრამ ფიგურალურ გამოთქმას — „მასწავლებლად უნდა დაიბადო და არა გახდე“ — გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ. პედაგოგიური პროფესიისადმი მიდრეკილება და მოწოდება, ინტერესი და სიყვარული, უნარი და ხელოვნება ყოველი მასწავლებლის დამახასათებელ ნიშან-თვისებას უნდა წარმოადგენდეს. მასწავლებელი საკუთარი ცხოვრების მთავარ დანიშნულებას უნდა ხედავდეს თავის პროფესიულ საქმიანობაში, სკოლასა და მასწავლებლებთან ურთიერთობაში. „მე საკუთარი ბავშვები მყავს, — წერს ერთ-ერთი მასწავლებელი, — მაქვს ოჯახი, მაგრამ მაინც მჭირდება ჩემი ბედნიერებისათვის ის ორმოცი წყვილი თვალი, რომლებიც ყოველდღიურად ჩემკენ არიან მოპყრობილი... ყოველდღიურად ჭაღარა ემატება ჩემს თმებს, მაგრამ ოდნავადაც არ მცირდება სკოლისადმი, ბავშვისადმი, პედაგოგიური საქმიანობისადმი ჩემი სიყვარული. რომ შეიძლებოდეს ცხოვრების თავიდან დაწყება,მე კვლავ ამ ჩემს საყვარელ პროფესიას, მასწავლებლობას ავირჩევდი“.

ფსიქოლოგიური მეცნიერება ნიჭიერებაში გულისხმობს პიროვნების ისეთ ინდივიდუალურ თვისებებს, რითაც იგი ამა თუ იმ საქმიანობას განსაკუთრებული წარმატებით ასრულებს. ნიჭიერიაო იტყვიან ისეთ ადამიანზე, რომელიც მის წინ წამოჭრილ ამოცანას ნაკლები ენერგიისა და დროის დახარჯვით წყვეტს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნიჭიერი ადამიანი მუშაობის პროცესში ენერგიას არ ხარჯავს. ნიჭიერი ადამიანი წინააღმდეგობებს უფრო ჩქარა და ადვილად გადალახავს, ვიდრე ის, რომელსაც ასეთი ნიჭი არ გააჩნია.

ნიჭი შეიძლება ადამიანმა გამოამჟღავნოს ერთი ან რამდენიმე მიმართულებით. ნებისმიერ ადამიანს აქვს რაღაც ერთი მიმართულებით მიდრეკილება, სადაც იგი მეტ წარმატებას აღწევს. შეიძლება ასეთი მიდრეკილება აღმოაჩნდეს ადამიანს მასწავლებლობისადმი. სწორედ ეს არის პედაგოგიური ნიჭი, რომელიც ნიჭიერების განსაკუთრებული სახეობაა. პედაგოგიური ნიჭი მოიცავს მრავალმხრივი აქტივობის უნარს. ის მასწავლებელი, რომელიც დაჯილდოებულია ისეთი სპეციალური ნიჭით, როგორიცაა მჭერმეტყველება, იმუშავებს უფრო წარმატებით,ვიდრე ის, ვისაც ეს უნარი არ გააჩნია.

პედაგოგიური ნიჭი და მიდრეკილება არარაობად იქცევა, თუ მასწავლებელი არ დაეუფლა პედაგოგიურ ოსტატობასა და პედაგოგიურ ტექნიკას. პედაგოგიური ოსტატობა გულისხმობს პედაგოგიური ტექნიკის დაუფლებას. **პედაგოგიური ტექნიკა** კი არის უნარ-ჩვევათა და ცოდნათა ის კომპლექსი, რომელიც აუცილებელია პედაგოგისათვის, რათა ეფექტურად გამოიყენოს სწავლებისა და აღზრდის მეთოდები.

პედაგოგიური ტექნიკა გულისხმობს პედაგოგიურ საქმიანობაში *ტემპის გრძნობას.* პედაგოგიური შეცდომის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მასწავლებლები და მშობლები თავიანთ აღმზრდელობით მუშაობაში ვერ იცავენ ოპტიმალურ ტემპს, ან ძალზე აჩქარებულად მოქმედებენ, ან აგვიანებენ,რაც უკარგავს პედაგოგიურ ღონისძიებას ზემოქმედების ძალას.

მასწავლებლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს **მეტყველების კულტურას** — დიქციას, ინტონაციას, ხმის დაყენებას, სიტყვასთან მიმიკისა და ჟესტიკულაციის შეერთებას. „არ შეუძლია იყოს კარგი აღმზრდელი ის, — წერს ა. მაკარენკო, — რომელიც არ ფლობს მიმიკას, რომელსაც არ ძალუძს თავის სახეს მისცეს აუცილებელი გამოსახულება ან შეიკავოს თავისი განწყობილება“. ეს არა მარტო იმიტომ სჭირდება მასწავლებელს, რომ მას ბევრი ლაპარაკი, ახსნა-განმარტება და მსჯელობა უხდება ბავშვებთან, არამედ იმიტომაც, რომ მხატვრული მეტყველება აძლიერებს პედაგოგიურ ზემოქმედებას.

მეტყველების კულტურასთან მჭიდროდაა დაკავშირებული **ცოდნის გადაცემის უნარი.** როგორი ცოდნა-გამოცდილებაც არ უნდა გააჩნდეს მასწავლებელს, თუ მას არ გააჩნია ცოდნის გადაცემის უნარი და მეტყველების კულტურა, იგი ვერ იქნება სრულფასოვანი მასწავლებელი, რამეთუ ასათვისებელი მასალა მან უნდა გახადოს მოსწავლეთათვის მისაწვდომი, გასაგები და საინტერერესო.

პედაგოგს მოეთხოვება ასევე **ბავშვის, მოსწავლისა და პროფესიის სიყვარული. ლ. ტოლსტოი** წერდა: *„თუ მასწავლებელს უყვარს მხოლოდ საქმე, ის კარგი მასწავლებელი იქნება... თუ მასწავლებელი აერთებს თავისთავში საქმისადმი და მოსწავლეებისადმი სიყვარულს, ის სრულყოფილი მასწავლებელია“.* [1]

მასწავლებელი ბავშვებთან ურთიერთობისას უნდა იყოს მკაცრი მომთხოვნი, მაგრამ სამართლიანი. „რაც შეიძლება მეტი მოსთხოვე ადამიანს, მაგრამ ამასთან, რაც შეიძლება მეტი პატივი ეცი მას“, — ამბობდა **ა. მაკარენკო. ვ. სუხომლინსკის** აზრით კი, მასწავლებელს, უწინარეს ყოვლისა, უნდა უყვარდეს ბავშვები, უნდა იყოს მათი ჭირ-ვარამის მოზიარე და არასოდეს არ უნდა ივიწყებს, რომ ოდესღაც თვითონაც იყო ბავშვი.

მასწავლებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა

---

[1] *კრებული: „ბრძნული აზრების სამყაროში“, თბ., „ნაკადული“, 1967, გვ. 194.*

ოპტიმიზმის რწმენა. მას გულწრფელად უნდა სჯეროდეს მოსწავლის,მისი შესაძლებლობის,მისი ხვალინდელი დღის. დაუშვებელია, როცა ზოგიერთი მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეს: „შენგან არაფერი გამოვა“, „შენგან კაცი არ დადგება“ და ა. შ. ი. ა. კომენსკის აზრით, არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელზეც განათლებამ რაიმე დადებითი კვალი არ დააჩნიოს.

მასწავლებელს მოეთხოვება ასევე ზედმიწევნითი **სამართლიანობა.** ეს, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში.არაობიექტურად დაწერილი ნიშანი იწვევს მოსწავლეთა უკმაყოფილებასა და გაბოროტებას, სწავლაზე გულის აცრუებას. დაუშვებელია მასწავლებლის მიერ მიკერძოებით ნიშნის დაწერა. მისთვის ყველა მოსწავლე ერთნაირი უნდა იყოს, ყველას ერთი საზომით უნდა მიუდგეს. გერმანელი მეცნიერი **ლ. კლიმბერგი** წერს: „სწორ შეფასებას შეუძლია გააბედნიეროს მოსწავლე..., ხოლო არაობიექტურ ნიშანს შეუძლია წელში გატეხოს, დააეჭვოს იგი თავის ძალებში“. მასწავლებლის ხშირი, არასამართლიანი მოქმედება იწვევს მოსწავლეში სასკოლო ნერვოზს, რომელსაც დიდაქტოგენიას უწოდებენ.

მასწავლებელს უნდა გააჩნდეს **ორგანიზატორული ნიჭი,** რომელიც გამოიხატება კოლექტივისადმი ხელმძღვანელობის, დისციპლინის დაცვის, ბავშვთა სწავლისა და შრომის სწორი ორგანიზაციის უნარით.

მასწავლებელს მოეთხოვება ასევე **პედაგოგიური ტაქტის დაცვა.** „ტაქტი“ — ზომიერების გრძნობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ პედაგოგიურ ზემოქმედებას აქვს საზღვრები, რომელთა გადალახვა უკვე ანტიპედაგოგიურ მოქმედებად ითვლება. მასწავლებლის ტაქტი ვლინდება მოსწავლეებისადმი მის დამოკიდებულებაში, მის სიტყვასა და მოქმედებაში, ტონში, ჟესტსა და მიმიკაში, მოსწავლის პიროვნების პატივისცემაში, თავდაჭერილობაში, უნარში — უხეშობისა და გაღიზიანების გარეშე მიაღწიოს სასურველ შედეგებს.

როგორც ცნობილია, აღზრდაში დასაშვებია დარწმუ-

ნებაცა და თხოვნაც, რჩევაც და დარიგებაც, შენიშნვაც და გაფრთხილებაც, დასჯაც და წახალისებაც, მაგრამ ყოველივე ამისათვის საჭიროა ზომიერების გრძნობა, ანუ ტაქტის დაცვა. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ბავშვს მივმართოთ თხოვნით, მაგრამ ეს დასაშვებია გარკვეულ ფარგლებში, რასაც აღმზრდელს პედაგოგიური ტაქტი უკარნახებს.

პედაგოგიური ტაქტის დაცვა განსაკუთრებით საჭიროა გარდამავალი ასაკის ბავშვებთან.

ზოგიერთის აზრით, თუ მასწავლებელი არ უყვირის ბავშვებს, არ მიმართავს მათ უხეშად, არამედ ყოველთვის თავაზიანად დაარიგებს, დასჯის ნაცვლად იყენებს დამრიგებლურ საუბარს, მაშინ ის არის სწორი პედაგოგიური ტაქტის აღმზრდელი. ა.მაკარენკო გრძელ, დაუსრულებელ ნოტაციას პედაგოგიური უტაქტობის ერთ-ერთ მაჩვენებლად მიიჩნევდა.

ა. მაკარენკოს აზრით, ტაქტიანობა ნიშნავს აღსაზრდელებზე გულისხმიერ, მაგრამ ამავე დროს ძლიერ ზემოქმედებას ყოველგვარი ზედმეტი დამრიგებლობის გარეშე, რადგან გადაჭარბებული შეგონებები და სენტენციები ბავშვისთვის ძალზე მოსაბეზრებელია. ცალკეულ პიროვნებაზე ზემოქმედება უმჯობესია მოვაწყოთ, გვირჩევს ა. მაკარენკო, კოლექტივის მეშვეობით, რასაც იგი „პარალელური ზემოქმედების პრინციპს“ უწოდებს.

გამოცდილი მასწავლებელი იშვიათად მიმართავს მოსწავლეს: „გაჩუმდი“, „ნუ ლაპარაკობ“, „ნუ კარნახობ“ და ა. შ. ასეთი აკრძალვის შემთხვევაში ბავშვები ხშირად საწინააღმდეგოდ იქცევიან. მოსწავლეებს, რომლებიც უკანა რიგებში ლაპარაკობენ, გონიერი მასწავლებელი გაჩუმებისაკენ კი არ მოუწოდებს, არამედ ეუბნება: „არ შეიძლება, ცოტა ხმამაღლა ილაპარაკოთ, რომ მეც გავიგონო?“. ანდა, მოსწავლეს, რომელსაც თავი დაუხრია და თვლემს, მასწავლებელი მიმართავს: „ბოდიში, ხელს ხომ არ გიშლით დაძინებაში?“

ტაქტიანი მაწავლებელი უტაქტოსაგან იმით განსხვავდება, რომ, თუ რამეში შეცდა (შეუცდომელი კი არავი-

ნაა), შეუძლია, აღიაროს თავისი შეცდომა და ბოდიში მოიხადოს მოსწავლეთა წინაშე. ამის გამო მოსწავლეები მას არ გაასამართლებენ, თუ ის ხშირად არ ცდება. ხოლო თუ მასწავლებელი არ გაასწორებს თავის შეცდომას, ანდა, რაც უარესია, დაიწყებს მის დაცვას, ამით ის საგრძნობლად დასცემს თავის ერუდიციასა და ავტორიტეტს.

პედაგოგიური ტაქტის საუცხოო მაგალითს გვთავაზობს თავისი პედაგოგიური გამოცდილებიდან ქ. კიევის ყოფილი სასკოლო ინსპექტორი **ი. სინიცა**: „ამბავი მოხდა სოფლის დაწყებით სკოლაში ჩემი მასწავლებლად მუშაობის მეორე წელს. ერთ-ერთმა ჩემმა მოსწავლემ, რომელსაც არაჩვეულებრივი (უნდა იყოს უცნაური — **ნ. ბ.**) სახელი — აქსენი ერქვა, სკოლაში მოიტანა ავტომატური კალამი. ასეთი კალამი მაშინ სიახლე იყო არა მარტო მოსწავლეებისათვის, არამედ ჩემთვისაც.შესვენებისას ბავშვები ჯგროდ ეხვეოდნენ აქსენს, რათა ერთხელ კიდევ ენახათ ავტომატური კალმისტარი მუდმივი კალმით; გაკვეთილზე მე კი არ მიცქერდნენ, არამედ აქსენს აკვირდებოდნენ, ჩუმად ხომ არ ჩააწებდა იგი კალამს სამელნეში.

უკანასკნელი გაკვეთილის დამთავრებას ათიოდე წუთი აკლდა, როცა ვიღაცის წამოტირება მომესმა — აქსენი არის. — რა მოგივიდა? — ვკითხე მას. ბავშვმა ტირილით განაცხადა, რომ მას ავტოკალამი დაეკარგა.

— ვიღაცამ მოიპარა! — ნახევრად წყრომით თუ კმაყოფილი კილოთი წამოიძახა მეორეწლიანმა პარფენმა...

ბოლოს გადავწყვიტე დამნაშავე აღმომეჩინა „საეჭვოდ მიჩნეულ“ მოსწავლეთა შემოწმების გზით. პირველად კლასიდან გავუშვი ყველა გოგონა, მათზე არ ვრცელდებოდა ეჭვი, რადგან ისინი აქსენთან არ მისულან. შემდეგ სათითოოდ გავისტუმრე ის მოსწავლეები, რომლებიც, ჩემი აზრით, არაფრის გულისათვის ხელს არ ახლებდნენ სხვის ნივთს. როდესაც კლასში დაახლოებით ათიოდე ბავშვი დარჩა, ვიფიქრე, გავჩხრიკო თუ არა ისინი... ამ დროს კლასში შემოვიდა მიხეილ კარპეზის ძე, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე. ბავშვებს უკვე ეთქვათ მისთვის, რომ ჩემს კლასში ასეთი ამბავი მოხდა.

— რას აკეთებთ? — იკითხა მან.

— დაკარგულ ნივთს ვეძებ. — მიხეილ კარპეზის ძეს დავანახე აცრემლებული აქსენი და ვუთხარი, რომ მას ვი-ვიღაცამ ავტოკალამი მოჰპარა.

— მიეცით ბავშვს სამაგიერო, — თქვა მიხეილ კარპე-ზის ძემ.

— სამწუხაროდ, ისეთი მე არა მაქვს. ის ავტომა-ტური კალამია, კიდევ რამდენიმე წუთი და ჩვენ მას ვი-პოვით; ის, ვინც კალამი წაიღო, ნამდვილად აქ არის.

— ნუთუ თქვენ კიდევ ვერ ხედავთ მას? — წყნარად და ისე ჩუმად და ტაქტიანად მითხრა მიხეილ კარპეზის ძემ, რომ ბავშვებს არაფერი გაუგიათ...

მე უკვე გადავწყვიტე მივსულიყავი მასთან, მაგრამ მიხეილ კარპეზის ძემ შემაჩერა, ბოდიში მოიხადა და ამ-ჯობინა თვითონ დაემთავრებინა საქმე.

— თქვენ კარგად შეამოწმეთ მერხები? — ჰკითხა მან მოსწავლეებს.

— კარგად! კარგად! — ერთხმად უპასუხეს ბავშვებმა.

— საჭიროა ერთხელ კიდევ შევამოწმოთ, შეიძლება, მან, ვინც ავტოკალამი წაიღო, რომელიმე თქვენგანს მი-უგდო ის ხუმრობით ან სურს თავისი შეცდომა სხვას გა-დააბრალოს. შენ კი კარგად გახსოვს, რომ ავტოკალამი შენსაში და არა სხვის მერხში შეინახე? — ჰკითხა მი-ხეილ კარპეზის ძემ აქსენს, რომელიც არ მოელოდა ასეთ შეკითხვას და დაიბნა.

— მე მგონია, რომ ჩემსაში... სხვისაში რისთვის შე-ვინახავდი?.. — გგონია! საქმეც ეგ არის, რომ შენ მხო-ლოდ გგონია. ერთხელ მეც მეგონა, რომ ჟურნალი მა-გიდაზე დავდე, მაგრამ ის კარადაში აღმოჩნდა...

— აი, ხედავთ! როგორი სასაცილო შემთხვევები ხდე-ბა? შესაძლებელია, ახლაც მსგავსი რამ მოხდა. აბა, გა-სინჯეთ სწრაფად თქვენი მერხები, ოღონდ გულმოდგინედ, არ დაიზაროთ...

— ჩემს მერხშია ეს ავტოკალამი. გასაკვირველია, სა-იდან... ნამდვილად ვიღაცამ... — საშა ბავშვებს არ უყურებ-და, ხელები ისე უცახცახებდა, როგორც ავადმყოფს.

მიხეილ კარპეზის ძე მივიდა ბავშვთან და დაიწყო მისი დამშვიდება: — ნუ ღელავ, საშა, შენ ხომ დამნაშავე არა ხარ, ვიღაცამ იხუმრა ნამდვილად. მაგრამ შეიძლება არავისაც არ უხუმრია, არც რაიმე დანაშაული ჩაუდენია, — თქვა მიხეილ კარპეზის ძემ ხმამაღლა და კლასს გადახედა.

— შეიძლება თვითონ აქსენმა დადო იგი აქ შეცდომით, — თქვა პარფენმა.

— ესეც შესაძლებელია. მეც ასე ვფიქრობ, — დაეთანხმა მას მიხეილ კარპეზის ძე.

— აი, რამდენი დავიდარაბა გამოიწვია შენმა ავტოკალამმა, — მიმართა მიხეილ კარპეზის ძემ აქსენს. — საჭიროა შეხედო და დაიხსომო, სად ინახავ შენს სასწავლო ინვენტარს.

აქსენს უნდოდა თავის მართლება დაეწყო, მაგრამ მიხეილ კარპეზის ძემ შეაჩერა: — ეს დიდი ცოდვა არ არის, ასეთი რამ შეიძლება ყოველ ადამიანს შეემთხვეს, — თქვა მან.

ბავშვებმა დატოვეს კლასი. საშა ფედორუკიც მათთან ერთად წავიდა.

— აი ასე, კოლეგა! — მითხრა მხარზე მეგობრული შეხებით მიხეილ კარპეზის ძემ. — კარგი საქმე გავაკეთეთ მე და შენ: თავიდან ავიცილეთ მოსწავლის სულიერი ტრავმა.

— ეს თქვენ გააკეთეთ. მე კი უკვე მზად ვიყავი ფედორუკის გასაჩხრეკად.

— დიდ შეცდომას ჩაიდენდით. წარმოიდგინეთ, რა შედეგი მოჰყვებოდა ამას. საშას დაუძახებდნენ ქურდს, და არ მარტო მოწაფეები, უფროსებიც, ხოლო თქვენ კარგად გესმით, რა საშინელი სიტყვაა ეს, ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო და შეურაცხჰმყოფელი ადამიანის ღირსებისათვის. უმართებულოც იქნებოდა, დაეძახებინათ მისთვის ქურდი, იგი ხომ მხოლოდ თერთმეტი წლის არის ჯერ. კალამმა, რომელსაც მელანში ჩაწება არ სჭირდება, მოხიბლა ის. ბავშვმა ვერ შეძლო, დაეძლია ცდუნება და აიღო ეს მიმზიდველი ნივთი. განა შეიძლება ეს ბავშვური უნე-

ბისყოფობა გავუთანაბროდ ნამდვილ ქურდობას?“ [1]

პედაგოგიური ტაქტის საუცხოო მაგალითს გვთავაზობს **ილია ჭავჭავაძეც** თავის ვრცელ სტატიაში „პედაგოგიის საფუძვლები“.

ახალგაზრდა კაცი უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მუშაობას იწყებს ერთ-ერთ სასწავლებელში. პირველი გაკვეთილის ჩატარება მას მოუხდა კლასში, წერს ილია, რომელშიც ბავშვობიდან ყრმობაში გადამდგარი მოსწავლეები იყვნენ თავმოყრილი. ახალი მასწავლებელი კლასს წარუდგინა სკოლის დირექტორმა. მასწავლებელმა „ორიოდა თბილი სიტყვა უთხრა ყმაწვილებს და დაუყოვნებლივ შეუდგა სწავლების საქმეს“. ახალი მასალის ახსნისას მას დაფა დასჭირდა და როცა წერას შეუდგა, რომელიღაც მოსწავლემ უკანა რიგებიდან დაღეჭილი ქაღალდი ესროლა, რომელიც, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, დაფას „ზედ დააჯდა“. მასწავლებელმა, თითქოს არაფერი მომხდარაო, წერა განაგრძო ისე, რომ უკან არ მოუხედავს. როცა წერას მორჩა, იგი მაშინ შებრუნდა მოსწავლეებისკენ და მიმართა: „მე არ მინდა ვიცოდე... ვინ არის ამ უკადრისი ცელქობის მომქმედი. დამნაშავის სახელი რომ შევიტყო, — ვინ იცის, მეც კაცი ვარ — იქნება გულში იმისი ჯავრი ჩავიყოლიო და ჯავრმა ცოტად თუ ბევრად იმაზე გული ამაყრევინოს“. მაგრამ მიკვირს, რატომ ჩქარობთ, იქნებ თქვენთვის საყვარელი მასწავლებელი გამოვდგე, ჯერ კარგად გამიცანით და შემდეგ გამიკითხეთო.

მასწავლებლის ამ სიტყვების შემდეგ მოსწავლეებში ჩურჩული ატყდა. ბოლოს ერთ-ერთი მათგანი წამოდგა და მასწავლებელს ყველას სახელით პატიება სთხოვა, თან აღუთქვა, რომ ასეთი რამ მომავალში არ გამეორდებოდა. მასწავლებელმაც სულგრძელობა გამოიჩინა და დავიწყებას მისცა ეს უსიამოვნო შემთხვევა.

ბოლოს ილია დაასკვნის: *„ერთი ასეთი ჭკვიანური,გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედებს ბავშის გაადამიანებაზედ, ვიდრე სამისა და ოთხის წლის*

---

[1] *ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1967, №1, გვ. 35-37.*

ზეპირობა გრამატიკისა, თუ სხვა რისამე ამისთანანისა“.[1]

პედაგოგიური ტაქტის როლსა და მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს ასევე **აკაკი წერეთელი** თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი“. მასში იგი ძველი სკოლის უარყოფითი ტიპის პედაგოგთა გვერდით,იგონებს დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელ ტროეს,რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა მასში და გარკვეული როლი შეასრულა მის აღზრდასა და კაცურკაცად ჩამოყალიბებაში. ტროე დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა მოსწავლეთა შორის. მას უყვარდა თავისი პროფესიაც და ბავშვებიც. ის გულმოდგინედ აკვირდებოდა თითოეულ მათგანს და სწავლობდა მათ ინდივიდუალურ თავისებურებებს, ამჩნევდა და ასწორებდა სწავლების პროცესში არსებულ მანკიერ მხარეებს.

ტროესთან დაკავშირებით აკაკი წერეთელი იგონებს ერთ ასეთ შემთხვევას, რომელიც პედაგოგის დიდ ტაქტსა და საზრიანობაზე მიუთითებს.

ერთხელ დილით პატარა კაკო უჭმელი წასულა სკოლაში. დიდ დასვენებაზე შინ შეურბენია, ცხელი მჭადის კოკორი აუღია, ახალუხის ჯიბეში ჩაუდვია და სკოლაში დაბრუნებულა. მასწავლებელ ტროეს ფეხად შეუსწრია გაკვეთილზე. მას უკვე ხუთი მოსწავლე გამოეძახა და აკაკიც მათ ამოუყენა გვერდით. ცხელი მჭადი რომ მიდებია ბარძაყზე, ბავშვი შეტოკებულა. როცა ყველაფერი გარკვეულა, მოსწავლეებს სიცილი დაუწყიათ. მასწავლებელს კაკოსათვის მჭადი გამოურთმევია და მაგიდაზე დაუდვია. სწორედ ამ დროს კლასში ის ინსპექტორი შესულა, რომელსაც „ყმაწვილის „გაროზგვას“არა ერჩია რა.“მას თვალი მოუკრავს მჭადისათვის და დაუღრიალია: ამ მჭადს აქ რა უნდა, ვინ მოიტანაო! ერთ მოსწავლეს უთქვამს — წერეთელს ამოუღეს ჯიბიდანო.

— რად მოგიტანიაო, — მრისხანედ უკითხავს ინსპექ-

---

[1] *ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987, გვ. 211.*

ტორს. კაკოს ენა ჩავარდნია და საქმეში ტროე ჩარეულა, ინსპექტორისათვის უთქვამს, ახლავე ყველაფერს გაიგებთო და წერეთლისათვის უკითხავს: — ეს რა არისო?

— მჭადიო, — უპასუხია ბიჭს.

მასწავლებელს შეკითხვები გაუგრძელებია: რისგან კეთდება, როდის სთესენ სიმინდს, როგორ იზრდება, როგორ ამუშავებენ და ა.შ. ყველა შეკითხვაზე ტროე დამაჯერებელ პასუხს იღებდა. ბოლოს მასწავლებელს უთქვამს: ხვალ ბრინჯის მოტანა არ დაგავიწყდეს და იმის შესახებ ვისაუბროთო.

ინსპექტორს უფიქრია, ბავშვს მჭადი მასწავლებლის დავალებით მოუტანიაო და ხმაამოუღებლად გასულა კლასიდან.

ტროეს მაბეზღარა მოსწავლე გაუხმია და უკითხავს: — შენ არაფერი გაქვს ჯიბეშიო? გაუსინჯავს და კოჭი აღმოუჩენია. ეს ხომ სათამაშოა, რომელიც სკოლაში არ გჭირდება და შენ ჯიბით დაატარებ. წერეთელმა მჭადი იმიტომ მოიტანა, რომ შიოდა და შეჭმა ვეღარ მოასწრო, შენ კი სკოლაში სათამაშოდ დადიხარო, უთქვამს მასწავლებელს და მაბეზღარა დაუმოძღვრავს: „რაც შენ არ გინდოდეს, იმას ნურც სხვას უზამო“. [1]

ასე დამთავრებულა ეს ინციდენტი.

ამრიგად, პედაგოგიური ტაქტი მასწავლებლის შემოქმედების უნარის მაჩვენებელია. შემოქმედება კი უარყოფს ტრაფარეტს, შაბლონს. იგი გულისხმობს ახალი გზებისა და საშუალებების ძიებას,რაც ზოგჯერ შეცდომასთან არის დაკავშირებული. მასწავლებლის მიერ საცდელად გამოყენებული ყოველი ხერხი გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული. ა. მაკარენკო ასეთ რისკს დასაშვებად მიიჩნევდა.

პედაგოგიური რისკის მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება **ა. მაკარენკოს** ცხოვრებიდან. დიდ პედაგოგიურ ნიჭთან, უნართან და გამოცდილებასთან ერთად, იგი დაჯილდოებული იყო ზომიერების გრძნობით. მან ზედმი-

---

[1] *აკ. წერეთელი, თხზ., თბ., 1980, გვ. 763.*

წევნით იცოდა თავისი აღსაზრდელების პიროვნული თვისებები. ამიტომ ადვილად ახერხებდა ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი მცირეწლოვანი დამნაშავეების დამორჩილებას, კოლექტივის ორგანიზაციას და მისი თითოეული წევრის სრულყოფილ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. მ. გორკის სახელობის კოლონიაში აღსაზრდელები პირდაპირ ქუჩიდან ან საპატიმროდან მოდიოდნენ, ა. მაკარენკო მათ უქმნიდა სრულიად ახალ გარემოს, რაც ბავშვებს აიძულებდა მთლიანად დაევიწყებინათ წარსული და ცხოვრების ახალ გზას დადგომოდნენ. ამის ნათელი მაგალითია მისი დამოკიდებულება პროფესინალი ქურდის – სიმონ ათანასეს ძე კალაბალინისადმი („პედაგოგიური პოემის“ მიხედვით კარაბანოვი).

პედაგოგიური ოსტატობა, სრულყოფილი პედაგოგიური ტექნიკა, მასწავლებლის ფართო განათლება და ერუდიცია სათანადო ტაქტის გარეშე ვერ აქცევს მასწავლებელს ავტორიტეტიან პედაგოგად.

საილუსტრაციო მოვიყვან ასეთ მაგალითს:

თბილისის ერთ-ერთი სკოლის სამი სხვადასხვა VIII კლასის მოსწავლეებს დაავალეს დაეწერათ პასუხი შემდეგ ორ კითხვაზე:

1. რომელი მასწავლებლის გაკვეთილი გირჩევნიათ გაგიცდეთ და რატომ?

2. გაცდენილი გაკვეთილის ნაცვლად რომელი მასწავლებლის გაკვეთილი გირჩევნიათ ჩაგიტარდეთ და რატომ?

106 მოსწავლიდან 96 მოსწავლემ დაასახელა ქიმიის მასწავლებელი, რომლის გაკვეთილიც უნდოდათ გაცდენოდათ, ხოლო 79 მოსწავლემ დაასახელა ფიზიკის მასწავლებელი, რომლის გაკვეთილიც უნდოდათ ჩატარებოდათ გაცდენილი გაკვეთილის ნაცვლად. მოსწავლეები თავიანთ აზრს იმით ასაბუთებდნენ, რომ ქიმიის მასწავლებელი ძალზე მკაცრია, რომ მის გაკვეთილზე ბავშვებს ხასიათი უფუჭდებათ, დაძაბული არიან და ა.შ. ხოლო ფიზიკის მასწავლებელი იმიტომ უყვართ, რომ მისი გაკვეთილი ხალისიანად ტარდება, მას ესმის მოსწავლეების, რომ „ის

არასდროს შეურაცხყოფას არ გვაყენებს, ვგრძნობთ, რომ ვუყვარვართო“ და სხვ.

ერთი კვირის შემდეგ იმავე მოსწავლეებს დაავალეს, დაესახელებინათ ერთი მასწავლებელი, რომელიც სკოლის პრესტიჟს დაიცავდა საქალაქო შეკრებაზე და დაესაბუთებინათ თავიანთი აზრი. დასახელებულ მასწავლებელთაგან ყველაზე მეტი ხმა ქიმიის მასწავლებელმა მიიღო (62 – 104-დან), ხოლო ფიზიკის მასწავლებელმა თითქმის ორჯერ ნაკლები (32 – 104-დან). აანალიზებს რა ამ ფაქტს, პროფ. **შალვა ჩხარტიშვილი** წერს: მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად გამოირკვა, რომ ისინი ქიმიის მასწავლებელს დიდ ინტელექტუალურ ავტორიტეტად თვლიდნენ. ამასთან, იგი მაღალი მორალის მქონე პიროვნებადაც მიაჩნდათ და ამის გამო მას შესაფერი პატივისცემითაც ეკიდებოდნენ, მაგრამ იგი მათ არ უყვარდათ, მოსწავლეები მასთან მძიმე უსიამოვნო დაძაბულობას გრძნობდნენ.[1]

აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს აღმზრდელის ***პირად მაგალითს.*** „აღზრდის სულისკვეთება ცოცხლობს არა სკოლის კედლებში, არამედ მასწავლებლის პიროვნებაში“, – წერდა **კ. დ. უშინსკი** და განაგრძობდა: „აღზრდისას ყველაფერი აღმზრდელის პიროვნებაზეა დამოკიდებული“. **ა. ს. მაკარენკო** კი ამბობდა, რომ მასწავლებელმა საკუთარი თავი მიკროსკოპის ქვეშ უნდა დააყენოსო. მასწავლებელს უნდა გააჩნდეს ისეთი მაღალზნეობრივი თვისებები, როგორიცაა: კაცთმოყვარეობა (ჰუმანიზმი),სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული (პატრიოტიზმი), სხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხებისადმი სიყვარული და პატივისცემა (ინტერნაციონალიზმი), შეგნებული დისციპლინა, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის მაღალი გრძნობა, ოჯახის ერთგულება და სხვ. იგი თვითონ უნდა იყოს ისეთი, რასაც თავისი მოსწავლეებისგან მოითხოვს.

მასწავლებლის პირადი მაგალითის აღმზრდელობითი

---

[1] *შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974, გვ. 149-152.*

ძალა დამოკიდებულია, ერთი მხრივ, მისი პიროვნების შთამაგონებელ ძალაზე და, მეორე მხრივ, მოსწავლის მიმბაძველობით თვისებაზე. ამიტომ მასწავლებელს მოეთხოვება – იყოს დინჯი, აუღელვებელი და მოთმინებით აღჭურვილი რთულ სიტუაციებსა და მოულოდნელი სიძნელეების შემთხვევაშიც კი. ბავშვმა არასოდეს არ უნდა შენიშნოს მასწავლებელს დაბნეულობა ან უიმედობა. მასწავლებელი ყოველთვის უნდა ინარჩუნებდეს თავის წამყვან როლს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. **ა. მაკარენკო** თავშეუკავებელ მასწავლებელს ადარებდა მანქანას, რომელსაც მუხრუჭები მოშლილი აქვს და რომლის მართვა შეუძლებელია. მასწავლებელი მუდამ კონტროლს უნდა უწევდეს თავის ქცევასა და მოქმედებას. სულგრძელობა, მოთმინება და წონასწორობა უნდა გამოიჩინოს მოსწავლეთა მიმართ, როცა ისინი რაიმეს აშავებენ. მხოლოდ ასეთი მასწავლებელი დაიმსახურებს მოსწავლეთა ნდობას, სიყვარულს, პატივისცემას. იგი მისაბაძ მაგალითად დარჩება ბავშვებისათვის.

რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო ბაძავს იგი მასწავლებელს, აღმზრდელს, მით უფრო დიდია მისი გავლენა ბავშვზე.

აი, მაგალითად, რას მოგვითხრობს მწერალი **თედორე გლადკოვი,** რომელიც თავადაც იყო ერთხანს მასწავლებელი:

„როდესაც მე მოსწავლე ვიყავ და ხარბად ვეწაფებოდი ცოდნას, მაშინ არაჩვეულებრივ არსებად მეჩვენებოდა ჩემი მასწავლებელი – ახალგაზრდა ქალიშვილი. მან გააღვიძა ჩემში დაუშრეტელი სიყვარული მხატვრული ლიტერატურისადმი; მისი წყალობით სადღაც მიყრუებულ კუთხეში მე გავიცანი ყველა ჩვენი კლასიკოსი. მან ამამოძრავა მთელი მომავალი ცხოვრებისათვის და მე ვიგრძენ მაშინ, რომ ქვეყანაზე არის ისეთი საკვირველი რამეები, რომლებზედაც სოფელს არასოდეს არ უფიქრია. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ქალიშვილში, რომელიც ჩვენთან მოვიდა დიდი ქალაქიდან, იმდენი მშვენიერება და მიუღწევლად ამაღელვებელი რამ იყო, რომ მე ღამეები ვფი-

ქრობდი მასზე. იყო ისეთი მომენტები, როდესაც მე შეუ-
კავებლად ვტრიალებდი მისი სახლის ახლოს, შევყურებ-
დი მის ფანჯრებს და მზად ვიყავ მომკვდარიყავ მისთვის.
ჩემი მაშინდელი სიცოცხლის იდეალი იყო — მიმეღწია
უდიდესი ბედენიერებისათვის, გავმხდარიყავი მასწავლებე-
ლი და მასავით კარგად და სიყვარულით მეცხოვრა ადა-
მიანთა შორის“. [1]

მოსწავლეებზე მასწავლებლის ზემოქმედების მთავარი
ძალაა მისი სიტყვისა და საქმის ერთიანობა. საკმარისია
მოსწავლემ ერთხელ ნახოს მასწავლებლის სიტყვის საწი-
ნააღმდეგო მოქმედება, რომ ამ უკანასკნელმა მის თვალში
ავტორიტეტი დაკარგოს. როგორ უნდა დაარწმუნოს მას-
წავლებელმა მოსწავლე, რომ პაპიროსის წევა საზიანოა,
როცა იგი თვითონ ეწევა. დაინახავს თუ არა მოსწავლე
მასწავლებელს პაპიროსის წევაში, იგი აუცილებლად მი-
ბაძავს მას. მიბაძვა კი უფროსებისაგან იმის გადმოღებაა,
რაც ბავშვს ჯერ კიდევ არ გააჩნია. ამიტომაც ექცევა მა-
სწავლებლის პირად მაგალითს ასე დიდი ყურადღება.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავ-
ლებლის პატიოსნებას და თავმდაბლობას. მასწავლებელი,
ერთი მხრივ, დიდად განათლებული, კულტურული, ხოლო,
მეორე მხრივ, კრისტალურად პატიოსანი უნდა იყოს, მისი
სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ უნდა სცილდებოდეს, რაც
მისი **ავტორიტეტის** საწინდარია.

რაც უფრო დიდი ავტორიტეტით სარგებლობდეს მას-
წავლებელი მოსწავლეებში, მით უფრო ბაძავენ ისინი მას,
ე. ი. მასწავლებლის შთამაგონებელი ძალა მის ავტორი-
ტეტულობაში მდგომარეობს.

თუ მასწავლებელი შემკული იქნება ყველა იმ თვისე-
ბით, რაზეც ზემოთ იყო საუბარი, მაშინ იგი იქნება ავტო-
რიტეტული პიროვნება სკოლაში, დაიმსახურებს მოსწავ-
ლეთა ნდობასა და სიყვარულს.

ავტორიტეტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ძალაუ-

---

[1] *ბ. პ. ესიპოვი და ნ. კ. გონჩაროვი, პედაგოგიკა, სოხუმი, 1950, გვ. 472.*

ფლებას, გავლენიანობას, ძლიერებას. ავტორიტეტული მასწავლებლის სიტყვას კანონის ძალა აქვს. მისი ავტორიტეტი მჟღავნდება მოსწავლეებთან ურთიერთობის პროცესში. ვერავითარი სიმდიდრე, ცოდნა და განათლება, თუგინდ დიდი თანამდებობა ვერ შეუქმნის ადამიანს ავტორიტეტს, თუ იგი პიროვნული თვისებებით არ იმსახურებს მას. **კ.დ. უშინსკი** წერდა: „ვერავითარი წესდება და პროგრამა, ვერავითარი ხელოვნური ორგანიზმი სასწავლებლისა, რაც უნდა მოხერხებულად იყოს მოსაზრებული, ვერ შეცვლის აღმზრდელს აღზრდაში“.

ბავშვები თავიანთი მასწავლებლის პიროვნებაში ადრეული ასაკიდან ხედავენ იმ ზნეობრივ იდეალს, რომლის მისაღწევად ისინი ისწრაფვიან. ამიტომ მასწავლებლის მუშაობაში დიდ როლს ასრულებს მისი მორალური სახე. თუ მასწავლებელი ავტორიტეტულია, მაშინ ამ მასწავლებლის კვალი ზოგიერთ ადამიანში მთელი ცხოვრების მანძილზე რჩება. აი, ამიტომაა მთავარი, რომ მასწავლებელმა ყველგან და ყოველთვის კონტროლი გაუწიოს თავის ქცევასა და მოქმედებას.

გამოჩენილი პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები მასწავლებლისაგან მოითხოვდნენ, რომ მათ ჰქონოდათ მაღალი ზნეობრივი თვისებები. მაგალითად, **ი. ა. კომენსკი** თვლიდა, რომ აღზრდის საქმე არ შეიძლება მივანდოთ ზნეობრივად სუსტ ადამიანს.

მასწავლებლის ავტორიტეტი განისაზღვრება შრომისადმი და ბავშვებისადმი მისი დამოკიდებულებით, იდეური წრთობით, მისი მომზადების დონით, პედაგოგიური ოსტატობით და სხვა თვისებებით.

ამრიგად, ავტორიტეტი მასწავლებლის პიროვნული შენაძენია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვა პირებსაც არ ეკისრებათ მასწავლებლის ავტორიტეტის შენარჩუნება და მისი განმტკიცებისთვის ზრუნვა. კარგ კოლექტივში მასწავლებლის ავტორიტეტს ვერავინ შეარყევს, თვით კოლექტივი იცავს მისი თითოეული წევრის ავტორიტეტს. მაგრამ, სამწუხაროდ, შეხვდებით სკოლის ისეთ ხელმძღვანელსაც კი, რომელიც მხოლოდ საკუთარ

ავტორიტეტს უფრთხილდება,მასწავლებლის ავტორიტეტს კი ყოველი ფეხის ნაბიჯზე ბღალავს.

ერთხელ ერთ მეგობარ მასწავლებელს მივაკითხე სკოლაში. ეზოში ვიდექით და გულთბილად ვსაუბრობდით. ამ დროს ფანჯრიდან გადმოიხედა სკოლის დირექტორმა და ჩემს მეგობარს დაუძახა: — მაქ რომ დაყუდებულხარ და საუბრობ, რატომ არ გახსოვს, რომ დღეს პედაგოგიური საბჭოს სხდომაა. როცა მე გაოცება გამოვხატე, მეგობარმა მითხრა: — ნუ გიკვირს, ეს ყოველთვის ასეა, ჩვენ მაგის ასეთ საქციელს შეჩვეული ვართო.

არა, ასეთ რამეზე შეჩვევა არ შეიძლება. ამის წინააღმდეგ ყველამ უნდა იბრძოლოს, რადგან მასწავლებლის ავტორიტეტის დაცვა ყველას ვალია.

5. მასწავლებელთა კადრების მომზადება და გადამზადება

სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული მასწავლებელთა კადრების მომზადებაზე. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მასწავლებლებს ამზადებდნენ პედაგოგიური კურსები, ხოლო შემდეგ პედაგოგიური ტექნიკუმები და პედაგოგიური ინსტიტუტები. 1923 წელს გაიხსნა თბილისის მ. ორახელაშვილის სახელობის ცენტრალური პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელმაც იარსება 1928 წლამდე. 1930 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გადაკეთდა პედაგოგიურ ინსტიტუტად, რომელიც ფუნქციონირებდა 1933 წლამდე, ხოლო 1933 წელს აღსდგა უნივერსიტეტი, პედაგოგიური ინსტიტუტი კი გადატანილ იქნა ქუთაისში. 30-იანი წლების დასაწყისში სამასწავლებლო ინსტიტუტები გაიხსნა თბილისში, ბათუმში, თელავში, გორში, ზუგდიდში. ეს უკანასკნელი დაიხურა 1952 წელს. 40-იან წლებში სამასწავლებლო ინსტიტუტები გადაკეთდა სახელმწიფო პედა-

გოგიურ ინსტიტუტებად და სწავლება გახდა 4-წლიანი, ხოლო 50-იან წლებში – ხუთწლიანი.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მასწავლებლებს ამზადებენ მრავალპროფილიანი უნივერსიტეტები, პედაგოგიური უნივერსიტეტები და პედაგოგიური კოლეჯები. ეს უკანასკნელი ამზადებს მხოლოდ დაწყებითი კლასების საშუალო განათლების მქონე მასწავლებლებს. უცხოური ენების მასწავლებლებს ამზადებენ უცხო ენათა უნივერსიტეტები, ხატვის მასწავლებლებს – სამხატვრო აკადემიები და სხვ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 3 სექტემბრის №453 დადგენილებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გადაკეთდა უნივერსიტეტად და 1994 წელს გაიხსნა ასპირანტურა, ხოლო 1996 წელს უნივერსიტეტი გადავიდა ორსაფეხურიან სწავლებაზე. პირველი საფეხური – ბაკალავრიატი კურსდამთავრებულს აძლევს ზოგადსაუნივერსიტეტო და ზოგადსპეციალურ განათლებას. აღნიშნული საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ეძლევა შესაბამისი დიპლომი. სწავლების ხანგრძლივობა ბაკალავრიატში 4 წელია. მეორე საფეხური – მაგისტრატურა ემსახურება განსაზღვრულ სპეციალობაში საუკეთესო ბაკალავრების მაგისტრანტებად მომზადებას. აღნიშნულ საფეხურზე სწავლების ხანგრძლივობა 2 წელია და იგი სრულდება კურსდამთავრებულის მიერ სამაგისტრო ნაშრომის დაცვით, რის შემდეგაც მას ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

ამჟამად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლება სამსაფეხურიანია. ესენია: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა (ადრინდელი ასპირანტურის ნაცვლად). დოქტორანტურაში სწავლების ხანგრძლივობა 3 წელია, რომლის დამთავრების შემდეგ დოქტორანტი იცავს სადოქტორო დისერტაციას და ენიჭება შესაბამისი სპეციალობის აკადემიუმიური დოქტორის ხარისხი.

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის (და არა მარტო

ბათუმის) უნივერსიტეტად რეორგანიზაციის შემდეგ თითქმის მთლიანად შეწყდა კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადება, რადგან, დაწყებითი კლასებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა გარდა, ცალკეული საგნების მასწავლებლებს უნივერსიტეტი ფაქტობრივად არ ამზადებს. მათი მომზადება ხდება მხოლოდ მაგისტრატურაში და ისიც, თუ ბაკალავრიატდამთავრებულები საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის განყოფილებას დაამთავრებენ, სადაც ხუთი პროცენტი თუ სწავლობს. ამ პრობლემას ვერ შველის ასევე ბათუმის უნივერსიტეტთან შექმნილი მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. ასე რომ, გავა რამდენიმე წელი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მასწავლებლები საძებარი დაურჩებათ, რაც საფრთხეს შეუქმნის ჩვენი ქვეყნის მომავალს, რადგან „ქვეყნის მომავალი დამოკიდებულია იმ მიმართულებაზე, რომელსაც მისცემენ მოზარდ თაობას“ (ი. ჭავჭავაძე).

მასწავლებელთა კადრების მომზადებაში დიდ როლს ასრულებს თვითგანათლება, თავისთავზე დამოუკიდებელი მუშაობა და პედაგოგიური პრაქტიკა, რომლებსაც სტუდენტები უკანასკნელ დამამთავრებელ კურსებზე გადიან; ჯერ ისინი გადიან პასიურ, ხოლო შემდეგ აქტიურ პრაქტიკას, ანუ თავად გადასცემენ რამდენიმე გაკვეთილს სპეციალობაში. პრაქტიკანტის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს ესწრება და სათანადო ნიშნით აფასებს საგნის მეთოდისტი. მეთოდისტის გარდა, პრაქტიკანტის მიერ გადაცემულ გაკვეთილებს ესწრებიან ასევე თანაკურსელები, მისი ჯგუფის წევრები.

პრაქტიკანტი, გაკვეთილის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, წინასწარ გულდასმით ემზადება და ბოლოს ადგენს გაკვეთილის გეგმა-კონსპექტს, რომელსაც ამტკიცებს საგნის მეთოდისტი. გეგმაში პრაქტიკანტმა კარგად უნდა განჭვრიტოს გაკვეთილის მსვლელობა. გაკვეთილის ჩატარების დროს პრაქტიკანტი, ან მასწავლებელი შეიძლება ზუსტად არ გაჰყვეს გეგმა-კონსპექტს, მაგრამ მისი შედგენა მაინც აუცილებელია. **ვასილ სუხომლინსკის** აზრით,

კარგი გაკვეთილი ის კი არ არის, რომელიც ზუსტად ისე ტარდება, როგორც ეს წინასწარ იყო დაგეგმილი, არამედ ის, რომელსაც მასწავლებელი მისი ჩატარების პროცესში ქმნის. კარგმა მასწავლებელმა, წერს იგი, წინასწარ არც კი იცის, როგორ წარიმართება მისი გაკვეთილი, მაგრამ მან ძალიან კარგად იცის, როგორ მოიქცეს შექმნილი სიტუაციის დროს.[1]

გარდა გაკვეთილებისა, სტუდენტ-პრაქტიკანტი ატარებს თავის სადამრიგებლო კლასში აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს და ერთ ჩასათვლელ ღონისძიებას პედაგოგიკაში, რომელსაც სათანადო ნიშნით უფასებს პედაგოგიკის მეთოდისტი.

სტუდენტ-პრაქტიკანტი ვალდებულია ასევე პრაქტიკის მანძილზე შეისწავლოს და დაახასიათოს ერთი რომელიმე მოსწავლე ან კლასი, რასაც პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ დახასიათებას უწოდებენ. მის მიერ შესრულებულ ნაშრომს ამოწმებს და სათანადო ნიშნით აფასებს ფსიქოლოგიის მეთოდისტი. შემდეგ სამივე საგანში მიღებული ნიშნები ჯამდება და პრაქტიკანტს ეწერება ერთი ნიშანი პედაგოგიურ პრაქტიკაში, რომელიც მოქმედებს სტიპენდიაზეც და პირველი ხარისხის დიპლომის მიღებაზეც.

---

[1] *Сухомлинский В. А. Разговор с молодым директором школы. – М., 1981, с. 182*

თავი II

პედაგოგიკის საგანი და კვლევის მეთოდები

1. პედაგოგიკის განსაზღვრება, მისი როლი და მნიშვნელობა

სიტყვა პედაგოგიკა წარმოსდგება ორი ძველბერძნული სიტყვისაგან (პაიდს – ბავშვი და აგოგოს – ტარება) და სიტყვასიტყვით ნიშნავს ბავშვის ტარებას, ბავშვზე გაძღოლას, მეგზურობას, წინამძღოლობას. ძველ საბერძნეთში პედაგოგს უწოდებდნენ მონას, რომელიც მონათმფლობელის ბავშვს დაატარებდა სკოლაში და მეთვალყურეობდა. შემდეგ ამ სიტყვამ მნიშვნელობა შეიცვალა და დღეს პედაგოგი ეწოდება იმ პირს, რომელიც ასწავლის და ზრდის ბავშვს, ამზადებს მას ცხოვრებისათვის.

ყველა მეცნიერებას თავისი კვლევის საგანი, ობიექტი გააჩნია. აქედან გამომდინარე, პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, საგანია ბავშვი, მისი პიროვნებად, კაცურ კაცად ჩამოყალიბება.

არსებობს პედაგოგიკის მრავალი განსაზღვრება. ზოგიერთების აზრით, პედაგოგიკა არის მეცნიერება ბავშვის შესახებ. ეს განსაზღვრება არ არის სრულყოფილი, რადგან ბავშვი არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი რომელიმე მეცნიერების კვლევის საგანს. ბავშვს სწავლობს არა მარტო პედაგოგიკა, არამედ ფსიქოლოგიაც, ფიზიოლოგიაც, ანატომიაც, პედიატრიაც და ა.შ. ყოველ მათგანს ბავშვის სხვადასხვა მხარე აინტერესებს. მაგალითად,ბავშვის ფსიქოლოგია შეისწავლის ბავშვისა და მოზარდის ფსიქიკასა და მის კანონზომიერებებს, ფიზიოლოგია – ფიზიოლოგიურ პროცესებს, ანატომია – ორგანიზმის აგებულებას, პედიატრია – ბავშვის დაავადებებს და მათი თავიდან აცი-

ლების გზებსა და საშუალებებს და ა.შ., პედაგოგიკას კი ბავშვი აინტერესებს მხოლოდ როგორც აღზრდის ობიექტი. ამიტომაც იყო, რომ დიდმა რუსმა პედაგოგმა **კ. დ. უშინსკიმ** თავის კლასიკურ ნაშრომს *„ადამიანი როგორც აღზრდის საგანი“* უწოდა.

მეცნიერთა მეორე ჯგუფის აზრით, *პედაგოგიკა არის მეცნიერება აღზრდის შესახებ.* ასეთ განსაზღვრებას ვხვდებით პედაგოგიკის სახელმძღვანელოში, რომლის რედაქტორია აკადემიკოსი **იური ბაბანსკი** (მ.1983,გვ.7). ეს განსაზღვრებაც არ არის სრულყოფილი, რადგან მასში არ ჩანს, ვის აღზრდაზეა ლაპარაკი.

სრულყოფილი არაა ის განსაზღვრებაც, რომლის მიხედვითაც *პედაგოგიკა არის მეცნიერება მოზარდი თაობის აღზრდის შესახებ,* რადგან მასში იგნორირებულია პედაგოგიკის სხვა კატეგორიები, როგორიცაა სწავლება და განათლება. მართალია, აქ აღზრდა ფართო გაგებითაა ნახმარი, რომელშიც სწავლება და განათლებაც იგულისხმება, მაგრამ ასეთი განსაზღვრება მაინც არ არის სრულლი.

იბადება კითხვა: მაშ, რა არის პედაგოგიკა?

პედაგოგიკის ტრადიციული განსაზღვრება ასეთია: *პედაგოგიკა არის მეცნიერება ადამიანის აღზრდის, სწავლებისა და განათლების შესახებ.*

საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის პედაგოგიკას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. იგი ფართო დიაპაზონის მეცნიერებაა. განუსაზღვრელია მისი როლი ქვეყნის წინსვლა-განვითარებაში. საზოგადოების ისტორიული განვითარების ყველა პერიოდში ის ქვეყანა იყო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი, რომელსაც უკეთ ჰქონდა გადაწყვეტილი მომავალი თაობის აღზრდის პრობლემა, რასაც პედაგოგიკა ემსახურება. ამ თვალსაზრისით, პედაგოგიკას ვერ შეედრება თითქმის ვერც ერთი მეცნიერება. მისი ცოდნა ყველას სჭირდება, რა დარგსაც უნდა ემსახურებოდეს იგი. ამიტომაც ამბობდა **ვ. სუხომლინსკი:** *პედაგოგიკა ყველას მეცნიერება უნდა გახდეს — პედაგოგებისაც და მშობლებისაც.* ყველა ექიმი, ინჟინერი და პედაგოგი ვერ გამოვა, დასძენს იგი, მაგრამ კარგი დედა და მამა კი ყვე-

ლა უნდა იყოს. ეს არის ყოველი ადამიანის უპირველესი მისია. *„შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა,–* წერრდა **ილია ჭავჭავაძე,** – *უწმინდაესი და უდიდესი ვალია მშობლებისა“,* რომელსაც, მისი აზრით, ყველაფერი უნდა შევწიროთ.

იმისათვის,რომ შვილი წესიერად აღზარდოს,მშობელმა კარგად უნდა იცოდეს პედაგოგიკა. მაგრამ პედაგოგიკა სჭირდება არა მარტო მშობელს, არამედ იმასაც, ვინც დაოჯახებული არ არის და შვილები არ ჰყავს, რადგან საზოგადოებაში თავისი მოქმედებითა და ქცევით ყოველი ადამიანი გარკვეულ გავლენას ახდენს მოზარდ თაობაზე, მისი მორალური სახის ფორმირებაზე.

პედაგოგიკის ცოდნა კი ყველაზე მეტად სჭირდება პედაგოგს, რომლის უშუალო მოვალეობაა მოზარდი თაობის აღზრდა. ამიტომ ეს დისციპლინა ისწავლება მხოლოდ იმ უმაღლეს და საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში, რომლებიც პედაგოგებს ამზადებენ. პედაგოგიკის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში სასურველი შედეგების მიღწევა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ვერც ერთი აღმზრდელი, დაწყებითი თუ საშუალო სკოლის ვერც ერთი მასწავლებელი, უმაღლესი სასწავლებლის ვერც ერთი პროფესორი, რა მეცნიერულ დისციპლინასაც არ უნდა ასწავლიდნენ ისინი, გვერდს ვერ აუვლიან პედაგოგიკის მეცნიერებას. უფრო მეტიც, მთელი მათი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ფლობენ ისინი ამ მეცნიერებას და რამდენად შემოქმედებითად შეუძლიათ გამოიყენონ იგი თავიანთ ყოველდღიურ პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

პედაგოგიკის მეცნიერება არა მარტო ეხმარება პედაგოგს მასზე დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებაში, არამედ იგი ზოგავს მის დროსა და ენერგიას, უ-დვილებს დაბრკოლებათა გადალახვას და აყვარებს პროფესიას. ამიტომ ყველა პედაგოგის ვალია ამ მეტად საჭირო და კეთილშობილური მეცნიერების სრულყოფილად დაუფლება.

2. პედაგოგიკის ძირითადი ცნებები (კატეგორიები)

ყოველ მეცნიერებას თავისი ძირითადი ცნებები, კატეგორიები გააჩნია, რომლებიც ზოგადი სახით წარმოგვიდგენენ ობიექტური სინამდვილის ამა თუ იმ მხარეს, მათ ურთიერთკავშირსა და მიმართულებას. მაგალითად, მათემატიკის ცნებებია: სიდიდე, რიცხვი, შეკრება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა, ფიზიკისა – წონა, მასა, ძალა, სიჩქარე, ენისა – ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება, გარემოება, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა, ზმნიზედა და ა.შ. პედაგოგიკის ცნებები კი, როგორც ეს მისი განსაზღვრებიდან ჩანს, არის აღზრდა, სწავლება და განათლება. ზოგიერთი მეცნიერი (მაგალითად, პროფ. შ. მალაზონია) პედაგოგიკის ძირითად ცნებად განვითარებასაც მიიჩნევს. კაცმა რომ თქვას, განვითარებაც არ არის პედაგოგიკისათვის უცხო, მაგრამ იგი სხვა მეცნიერებებშიც გვხვდება, მაგალითად, ისტორიაში, ბიოლოგიაში, ფილოსოფიაში და ა.შ. ამიტომ ჩვენ მივიჩნევთ, რომ პედაგოგიკის უზოგადესი ცნებებია აღზრდა, სწავლება და განათლება, რომლებთანაც დაკავშირებულია ასევე სხვა ცნებები: საზოგადოებრივი და საოჯახო აღზრდა, ზოგადი და პროფესიული განათლება, სწავლა, ცოდნა, უნარი, ჩვევა, შეთვისება და სხვ.

აღზრდა არის პიროვნების ფორმირების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, საზოგადოების წინსვლა-განვითარების აუცილებელი პირობა. ამიტომაც არის იგი პედაგოგიკის უზოგადესი კატეგორია. ზოგადი სახით აღზრდა არის პიროვნების ჩამოყალიბების, მისი კაცურ კაცად გადაქცევის პროცესი, რადგან ახალშობილი, ჩვილი ბავშვი ჯერ კიდევ ადამიანი არ არის; იგი პიროვნებად არ იბადება, არამედ შემდეგ ფორმირდება, ყალიბდება და ვითარდება, რაშიც გადამწყვეტ როლს აღზრდა ასრულებს. ამიტომაცაა აღზრდა საზოგადოების მუდმივი თანამგზავრი. აღზრდის პროცესში ხდება უფროსი თაობის მიერ მოზარდი თაობისათვის იმ ცოდნა-ჩვევებისა და გამოცდილების გადაცემა, რაც კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე

დაუგროვებია. აღზრდის ამ ფუნქციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოების არა თუ განვითარება, არამედ მისი არსებობაც კი.

უფრო სრულყოფილი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ აღზრდის არსსა და ხასიათზე, სასურველია წინასწარ გამოვყოთ და ყურადღება გავამახვილოთ მის დამახასიათებელ თვისებებზე:

1. აღზრდა სოციალური, საზოგადოებრივი მოვლენაა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არსებობს მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაში და სხვა ცოცხალი არსებისათვის სრულიად უცხოა. თუმცა ზოგიერთები ცხოველის ინსტინქტურ, თანდაყოლილ ქცევასაც აღზრდას მიაწერენ, რითაც ისინი უარყოფენ აღზრდის შეგნებულ, მიზანმიმართულ ხასიათს და მასში ხედავენ „სტიქიურ ბუნებრივ“ პროცესს, რასაც არავითარი საერთო არა აქვს აღზრდასთან.

2. აღზრდა გეგმაზომიერი, ორგანიზებული და მიზანმიმართული პროცესია. იგი ტარდება ორგანიზებულ გარემოში (სკოლაში) აღმზრდელის, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, რომელსაც გააჩნია აღზრდის გარკვეული გეგმა, მიზანი და ამოცანები. ამ მიზანსა და ამოცანებს განსაზღვრავს საზოგადოების ეკონომიკური წყობა.

არ არსებობს ბუნებაში არც ერთი ცოცხალი არსება, რომელსაც თავისი საქმიანობის წინასწარი გააზრება შეეძლოს. ასეთი არსება მხოლოდ ადამიანია, სხვა არსებანი კი ინსტინქტურად მოქმედებენ. „ბევრი ეცადეს მეცნიერებმა, აღმოეჩინათ ცხოველებში თუ სხვა ცოცხალ არსებებში წინასწარ გააზრებული მოქმედების უნარი, მაგრამ – უშედეგოდ“. [1]

3. აღზრდა მარადიული მოვლენაა. იგი გაჩნდა მაშინ, როცა ადამიანები გაჩნდნენ და იარსებებს მანამ, სანამ არსებობს ადმიანთა საზოგადოება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი უცვლელი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული კატეგორიაა.რამდენად აღზრდა მარადიული მოვლენაა, იმდენად იგი ცვალებადია. ერთი ფორმაციიდან მეორე

---

[1] *კ. მელაშვილი, პედაგოგიური ხელოვნება,თბ., 2004, გვ.90.*

ში გადასვლისას იცვლება აღზრდის მიზანი, შინაარსი, ფორმები და მეთოდები. კიდევ მეტი, აღზრდა იცვლება, იხვეწება და უფრო სრულყოფილი ხდება თვით ფორმაციის შიგნითაც.

4. აღზრდა ორმხრივი, მართვადი პროცესია. იგი წარმოუდგენელია, ერთი მხრივ, აღმზრდელ-მასწავლებლის და, მეორე მხრივ, აღსაზრდელის გარეშე. აღზრდა აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთკავშირია, რომლის დროსაც აღმზრდელი ზრდის, აღსაზრდელი კი იზრდება. ამ ორმხრივი პროცესის წარმმართველი, მისი სული და გული აღმზრდელია. იგი აღზრდის სუბიექტია, მოსწავლე კი ობიექტი. მაგრამ აღზრდის პროცესში აღსაზრდელი მარტო ობიექტი როდია. იგი სუბიექტიცაა, აქტიურად მონაწილეობს მასში. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ აღიზრდება. „აღზრდა მასში თვით აღსაზრდელის მონაწილეობის გარეშე არ არსებობს“, — წერდა პოლონელი პედაგოგი და მწერალი **იანუს კორჩაკი.** რაც უფრო აქტიურად არის ჩართული აღზრდის პროცესში აღსაზრდელი, მით უფრო მაღალია აღზრდის შედეგი. სწორედ ამას გულისხმობს აღზრდის პროცესში აღსაზრდელის აქტიურობა.

ამრიგად, აღზრდის შედეგი დამოკიდებულია არა მარტო აღმზრდელზე, არამედ აღსაზრდელზეც, კერძოდ იმაზე, თუ ვისთან გვაქვს საქმე, როგორია მისი ფსიქოფიზიკური თავისებურებანი: ყურადღება, აზროვნება, მეხსიერება, ნებისყოფა, შეგნება, პასუხისმგებლობის გრძნობა, თვითაღზრდის უნარი და ა.შ.

როცა საუბარია აღზრდაზე,არ შეიძლება გვერდი ავუაროთ *თვითაღზრდას,* რადგან აღზრდა თვითაღზრდის გარეშე არ არსებობს და, პირიქით. ისინი დიალექტურად დაკავშირებული არიან ერთმანეთთან. რაც უფრო აღზრდილია ადამიანი, მით უფრო ზრდის იგი თავის თავს, მით უფრო ცდილობს საკუთარი ნაკლოვანებების გამოვლენას და მათ აღმოფხვრას.

მოზარდი თაობის აღზრდის პროცესში ზოგჯერ ადგილი აქვს *ხელახალ აღზრდასაც,* რაც გაცილებით უფრო

რთულია, ვიდრე თავიდან სწორად აღზრდა.

აღზრდა, თვითაღზრდა და ხელახალი აღზრდა ურთიერთდაკავშირებული პროცესებია. მათი ცალ-ცალკე არსებობა შეუძლებელია.

5. აღზრდა, სწავლებასთან შედარებით, ***რთული პროცესია.*** იგი წყვეტს პიროვნების ჰარმონიული განვითარების უფრო ფართო წრის ამოცანებს, ვიდრე სწავლება. ამ უკანასკნელს მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია ამ ამოცანის გადაწყვეტა. გარდა ამისა, სწავლებასთან შედარებით აღზრდა რთულია იმიტომ, რომ იგი ხანგრძლივი პროცესია, ამასთან, მისი შედეგი ძნელი გამოსავლინებელია.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია გავაკეთოთ აღზრდის უფრო სრულყოფილი განსაზღვრება. ამრიგად, ***აღზრდა არის პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება, მისი ფიზიკურად, გონებრივად, ზნეობრივად, ესთეტიკურად და მშრომელ ადამიანად ჩამოყალიბების რთული, სოციალური, ორგანიზებული და მიზანმიმართული პროცესი აღმზრდელის, მასწავლებლის ხელმძღვანელობით.***

არსებობს აღზრდის კიდევ სხვა მრავალი განსაზღვრება, მაგრამ ჩვენ მოგვწონს ზემოთ წარმოდგენილი განსაზღვრება, რომელიც მოცემულია თბილისის სახ. უნივერსიტეტის ლექტორთა მიერ 1994 წელს პროფ. ჯონდო ბერიშვილის რედაქციით გამოცემულ სახელმძღვანელოში.

ტერმინი „აღზრდა“ იხმარება ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით აღზრდა მოიცავს განათლებას,სწავლებასა და თვით ვიწრო გაგებით აღზრდას.

ვიწრო გაგებით აღზრდა განიხილება პედაგოგიკის იმ ნაწილში, რომელსაც აღზრდის თეორია ეწოდება და გულისხმობს პიროვნების ფიზიკურ, გონებრივ,ზნეობრივ, ესთეტიკურ, შრომით, პატრიოტულ, ინტერნაციონალურ და ა.შ. აღზრდას და იმ თვისებების ფორმირებას, რაც ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება, როგორც სოციალურ არსებას. ესენია: ყურადღება, აზროვნება, მეხსიერება, ნებისყოფა და ა.შ., ხოლო რაც შეეხება ფართო გაგებით აღზრდას, მასში იგულისხმება მთელი ის პროცესი, რომელსაც ახალ-

შობილი ბავშვი აჰყავს ფიზიკურად სრულყოფილ, ზნეობრივად წმინდა, ცოდნით, უნარითა და ჩვევებით აღჭურვილ ადამიანამდე.

აღზრდის როლი პიროვნების ფორმირებაში განუზომლად დიდია. **რობერტ ოუენის** აზრით, „აღზრდა ქვეყნად არსებული ყოველი სიკეთისა და ბოროტების, უბედურებისა და ბედნიერების პირველწყაროა“.[1] **ბესარიონ ბელინსკის** აზრით კი, „აღზრდა... ყველაფერია — სიცოცხლეცა და სიკვდილიც, ხსნაც და დაღუპვაც“. „ის წყვეტს ადამიანის ბედს“. [2] **რაბინდრანათ თაგორს** მიაჩნდა, რომ „კაცობრიობის ყველა პრობლემა აღზრდაში პოულობს გადაწყვეტას“.

სწავლება აღზრდისა და განათლების ძირითადი გზა და საშუალებაა. **კ. უშინსკიმ** სწავლებას *„აღზრდის მთავარი ორგანო“* უწოდა.

სწავლების პროცესში ხდება მოსწავლეთა შეიარაღება მეცნიერული ცოდნის საფუძვლებით, მოწინავე პრაქტიკული გამოცდილებით და ამის შედეგად მათი წინსვლა არცოდნიდან ცოდნისაკენ. იგი, ისევე როგორც აღზრდა, ორმხრივი, მართვადი პროცესია. ეს პროცესი გულისხმობს იმ პირს, ვინც ასწავლის (მასწავლებელი) და იმათ, ვინც სწავლობს (მოსწავლეები). მასწავლებელი გადასცემს მათ ცოდნა-ჩვევებს, ხოლო მოსწავლეები ითვისებენ ამ გადაცემულს. ეს ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ ერთიანი პროცესებია, რადგან არ არსებობს ცალკე გადაცემა და ცალკე შეთვისება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწავლება მხოლოდ ცოდნის გადაცემას და ამ გადაცემულის შეთვისებას როდი გულისხმობს. სწავლებას ყოველთვის ჰქონდა და აქვს აღმზრდელობითი ხასიათი. სწავლების პროცესში მოსწავლე იძენს არა მარტო ცოდნას, არამედ კიდევაც იზრდება — უვითარდება მსოფლმხედველობა,შეგნება,უყალიბდება ზნეობრივი ჩვევები, ესთეტიკური გემოვნება, უმტკიცდება ნე-

---

[1] *პედაგოგიკის ისტორია, თბ., 2004, გვ. 163.*

2 ბ. ბელინსკი, რჩეული პედ. თხზ., თბ., 1950, გვ.43 და 39.

ბისყოფა, ხასიათი და ა.შ. სწავლების პროცესის წარმმართველია მასწავლებელი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მოსწავლე პასიურია და იგი მხოლოდ ზემოქმედების ობიექტად გვევლინება. მოსწავლე სწავლების პროცესში არა მარტო ობიექტია, არამედ სუბიექტიცაა, რაშიც მისი აქტივობა იგულისხმება. ამის გარეშე შეუძლებელია სწავლების პროცესში დასახული მიზნის მიღწევა, ანუ მოსწავლეთა შეიარაღება მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნით,მოწინავე პრაქტიკული გამოცდილებითა და მომავალი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებით. ამ თვალსაზრისით,სწავლება თვითგანათლებას, ანუ თავის თავზე დამოუკიდებელ მუშაობასაც გულისხმობს, რასაც სწავლა ეწოდება. თუ სწავლება ორმხრივი, მართვადი პროცესია, სწავლა ცალმხრივი, თვითმართვადი პროცესია. სწავლის პროცესში მოსწავლე მარტოა და საკუთარ თავს თვითონ მართავს, დამოუკიდებლად იძენს ცოდნას.

სწავლება ძირითადად გაკვეთილზე მიმდინარეობს, რასაც *პედაგოგიურ პროცესს* უწოდებენ. პროფ. **გიორგი თავზიშვილის** აზრით, ცნება „პედაგოგიური პროცესი“ პირველად შემოიტანა რუსმა პედაგოგმა *კაპტერევმა.* პედაგოგიური პროცესი გულისხმობს იმას, ვინც სწავლობს, ვინც ასწავლის და იმ გარემო პირობებს, რომელშიც ეს პროცესი მიმდინარეობს, ე. ი. მოსწავლეს, მასწავლებელსა და სკოლას, პედაგოგიურად ორგანიზებულ გარემოს.[1]

პედაგოგიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა ასევე ***განათლება.*** იგი ორი მნიშვნელობით იხმარება. ერთ შემთხვევაში ის აღნიშნავს ადამიანის მიერ ცოდნის შეთვისების პროცესს, ხოლო მეორე შემთხვევაში ამ ცოდნის განსაზღვრულ დონეს. მაგალითად, როცა ამბობენ: *„გურამი სისტემატურად იმაღლებს თავისი ცოდნის დონეს“*,ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვთ ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეთვისების პროცესი,ხოლო როცა ამბობენ: „მას უმაღლესი *განათლება აქვს“*, მაშინ მხედველობაში აქვთ შეძენილი

---

1 გ. თავზიშვილი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბ., „განათლება“, 1968, გვ. 7.

ცოდნის გარკვეული დონე,რაც შესაბამისი სასწავლებლის პროგრამებითაა განსაზღვრული.

ამრიგად, განათლების ცნებაში იგულისხმება პიროვნების მიერ მეცნიერული ცოდნისა და მოწინავე პრაქტიკული გამოცდილების დაუფლება. *„განათლებული ეწოდება იმ ადამიანს, – წერს ნ. ჩერნიშევსკი, – ვინც შეიძინა დიდი ცოდნა და, გარდა ამისა, მიჩვეულია სწრაფად და სწორად მოიაზროს, თუ რა არის კარგი და რა – ცუდი, რაა უსამართლო და რა – სამართლიანი, ან, როგორც ერთი სიტყვით გამოხატავენ, მიჩვეულია „აზროვნებას“.* [1]

განათლების მიღების მთავარი გზა არის სწავლება. იგი სწავლების შედეგია, მაგრამ განათლების მიღება შეიძლება არა მარტო სწავლების გზით, არამედ თვითგანათლებითაც, ანუ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობით.

სიტყვა „განათლება“ რუსულ ენაში ორი ტერმინით გამოიხატება – „образование“ („образ“ – ხატი) და „просвещение“ („свет“ – სინათლე, შუქი), გერმანულად კი, „die Bildung“, რაც ქართულად სურათს, ხატს ნიშნავს. ქართულად ამ ტერმინების გამომხატველი სიტყვაა „განათლება“, რაც ნათებასთანაა დაკავშირებული და ნიშნავს ადამიანის სულის განათებას, ნათლით შემოსვას, ნათლით კი ხატი იმოსება.

პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკაში განათლება განიხილება სხვადასხვა ასპექტით. როცა მხედველობაში აქვთ ***განათლების საფეხურები,*** მაშინ იყენებენ ტერმინებს: „დაწყებითი“, „საშუალო“ და „უმაღლესი“ განათლება, როცა ყურადღებას ამახვილებენ ***განათლების სპეციალიზაციაზე,*** მაშინ ხმარობენ ტერმინებს: სამედიცინო, პედაგოგიური, ფილოლოგიური, საინჟინრო, სასოფლო-სამეურნეო თუ სხვა სახის განათლება, ხოლო როცა მხედველობაში აქვთ ***განათლების შინაარსი და ხასიათი,*** მაშინ იხმარება ტერმინები: „ზოგადი“, „პოლიტექნიკური“ და „პროფესიული“ განათლება.

---

[1] *ნ. ჩერნიშევსკი, რჩ. პედ. შეხედულებანი, თბ., 1938, გვ. 53.*

ზოგად განათლებას მოსწავლე იძენს სკოლაში. ამიტომაც ჰქვია ჩვენს სკოლებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. ზოგადი განათლების ამოცანაა, შეაიარაღოს მოსწავლეები მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა ცოდნითა და ამ ცოდნის პრაქტიკაში შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევებით.

ზოგად განათლებას ეფუძნება საშუალო და უმაღლესი პროფესიული განათლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველას, ვისაც უმაღლესი განათლება აქვს, მაგრამ არ ძალუძს თავისი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, არ შეიძლება ეწოდოს განათლებული. **ილია ჭავჭავაძე** ადამიანის განათლებულობას სწორედ თეორიული ცოდნისა და მოწინავე პრაქტიკული გამოცდილების ერთიანობაში ხედავდა. ამიტომაც ამბობდა იგი: *„არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვაო“.* ყოველი ადამიანის ვალია მიღებული ცოდნა სისტემატურად გაიღრმაოს და ცხოვრების სამსახურში ჩააყენოს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ განათლება გულისხმობს მეცნიერული ცოდნის სისტემატურ დაუფლებასა და პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარს. კაპიკია იმ ცოდნის ფასი, რომელსაც ადამიანი ვერ იყენებს ცხოვრებაში, პრაქტიკაში.

3. პედაგოგიკის ძირითადი წყაროები

ყოველ მეცნიერებას, კვლევის საგანთან ერთად, გააჩნია თავისი წყაროები, რომლითაც ის საზრდოობს. ამ მხრივ გამონაკლისს არც პედაგოგიკა წარმოადგენს. ეს წყაროები ორგვარია: პრაქტიკული და თეორიული.

პედაგოგიკის პრაქტიკულ წყაროს წარმოადგენს სკოლისა და მასწავლებლის მოწინავე გამოცდილება. ეს გამოცდილება იყო ერთ-ერთი ძირითადი წყარო, რომელზეც აღმოცენდა პედაგოგიკა როგორც მეცნიერება და დღესაც რჩება ასეთივე წყაროდ მისი შემდგომი განვითარებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე მოწინავე, ნოვატორ მასწავლებელთა გამოცდი-

ლებას. იმაზე, თუ რამდენად საფუძვლიანად შეისწავლის პედაგოგიკის მეცნიერება სწავლებისა და აღზრდის ამ გამოცდილებას,დიდადაა დამოკიდებული მისი შემდგომი განვითარება, მისი ხვალინდელი დღე. პედაგოგიკაში ასახული ეს გამოცდილება, თავის მხრივ, იქნება თვით პედაგოგიკის შემდგომი განვითარების ნოყიერი ნიადაგი და წყარო. ასე გაგრძელდება მისი დაუსრულებელი წინსვლა-განვითარება.

პედაგოგიკის თეორიულ წყაროს წარმოადგენს პედაგოგიკის კლასიკოსთა შრომები და მისი მონათესავე მეცნიერებების სათანადო მონაცემები. კომენსკის, რუსოს, დისტერვეგის, უშინსკის, გოგებაშვილის, მაკარენკოს, სუხომლინსკისა და სხვათა პედაგოგიკური მემკვიდრეობის ათვისების გარეშე შეუძლებელია აწმყოს აშენება და მომავლის განჭვრეტა. „ერის დაცემა იწყება იქიდამ, — წერდა დიდი ილია, — სადაც თავდება წარსულის ხსოვნა“. ამიტომ მკვლევართა ყოველდღიური ყურადღების ცენტრში უნდა იყოს გამოჩენილი კლასიკოსი პედაგოგების შრომები. მაგრამ ყოველი მათგანის შრომას უნდა მივუდგეთ შემოქმედებითად, ეპოქისა და ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით.

პედაგოგიკის თეორიულ წყაროს წარმოადგენს ასევე ის მხატვრული ლიტერატურა, რომელშიც გაშუქებულია მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის პრობლემები, როგორიცაა, მაგალითად, ფ. რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“, ჟ.-ჟ. რუსოს „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, დ. გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“, აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ და, საერთოდ, ყველა მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც გმირის ხასიათის ფორმირება აისახება.

4. პედაგოგიკის კვლევის მეთოდები

პედაგოგიკა თავის ძირითად ცნებებს (კატეგორიებს) — აღზრდას, სწავლებას, განათლებასა და ზემოთ ჩამოთვლილ წყაროებს იკვლევს გარკვეული მეთოდების გამო-

ყენებით. ეს მეთოდებია: *დაკვირვება, ექსპერიმენტი, საუბარი, ანკეტირება, სასკოლო დოკუმენტაციის გაცნობა, მოსწავლეთა დამოუკიდებელი ნამუშევრების შესწავლა-გაანალიზება* და სხვა. სიტყვა მეთოდი წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან „მეტოდოს“ და ნიშნავს ბუნებისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა კვლევის, შეცნობის გზას, ხერხსა და საშუალებას. მეთოდი არის შემეცნების ინსტრუმენტი. მის სწორად შერჩევასა და გამოყენებაზე დიდადაა დამოკიდებული კვლევის შედეგის ეფექტურობა.

1. დაკვირვება პედაგოგიკური მოვლენების შესწავლის ყველაზე გავრცელებული მეთოდია. იგი გულისხმობს ამ მოვლენების შესწავლას ჩვეულებრივ ბუნებრივ პირობებში. დაკვირვება არის გეგმაზომიერი და მიზანმიმართული აღქმა იმ პროცესებისა, რომლებიც დაკვირვების ობიექტად გაგვიხდა. დაკვირვების მეთოდს იყენებს როგორც მკვლევარი, ისე ნებისმიერი აღმზრდელი. მაგალითად, მკვლევარს ამ მეთოდის გამოყენებით შეუძლია შეისწავლოს მასწავლებლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნებისმიერი მხარე, რომელიც მას აინტერესებს ან რომელშიც მასწავლებელს უკეთესი წარმატებები (შედეგები) აქვს. დაკვირვების საგნად შეიძლება გავიხადოთ რომელიმე მასწავლებლის გაკვეთილი, კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიება (საგნობრივი თუ სხვა წრეების მუშაობა, სასკოლო თუ მშობელთა კრება, კლასის ხელმძღვანელის საუბარი მოსწავლეებთან, მისი მუშაობა მოსწავლეთა მშობლებთან და ა.შ.).

დაკირვების მეთოდი არ გამორიცხავს ცალკეული მოსწავლის შესწავლასაც. ეს მეთოდი შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული ასევე ბავშვთა ოჯახური აღზრდის, სკოლის მართვა-ხელმძღვანელობის და სხვა საკითხების შესწავლისას. მშობლებმა კი ეს მეთოდი შეიძლება გამოიყენონ თავიანთი შვილების უკეთ შესასწავლად.

დაკვირვების შედეგად გვიგროვდება მრავალი ფაქტობრივი მასალა, რომელთა მეცნიერული ანალიზი და განზოგადება გვაძლევს ჩვენთვის სასურველი პედაგოგიკური

მოვლენის კანონზომიერების დადგენის საშუალებას.

ბავშვებზე დაკვირვებას უნდა ვახდენდეთ მათი ძირითადი საქმიანობის პროცესში. სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე დაკვირვება წარმოებს თამაშის, სასკოლო ასაკის ბავშვებზე კი — სწავლის პროცესში.

ერთსა და იმავე მოვლენაზე დაკვირვება უნდა ხდებოდეს სისტემატურად და ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ასე აგროვებს დამკვირვებელი სათანადო მასალას და შემდეგ ამუშავებს მას.

დაკვირვება ორგვარია: უშუალო და გაშუალებული. *უშუალო დაკვირვება* გულისხმობს დასაკვირვებელი ობიექტის საკუთარი თვალით ნახვას, *გაშუალებული* კი სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებათა (ფარული კამერა, ფოტოგრაფირება, მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერა და ა.შ.) გამოყენებით კვლევას, ასევე სხვათა მიერ დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებას.

დაკვირვება შეიძლება წარმოებდეს საერთო პედაგოგიკურ პროცესზე — მთელ ჯგუფზე ან ცალკეულ პირზე. ცხადია, ამას განაპირობებს დაკვირვების მიზანი და ამოცანები. დაკვირვება შეიძლება აწარმოოს როგორც ერთმა, ისე რამდენიმე პირმა. მთავარია, რომ დამკვირებელი არ ჩაერიოს პედაგოგიკურ პროცესში და რაიმე ცვლილება არ შეიტანოს მის მსვლელობაში, არ დაარღვიოს შესასწავლი მოვლენის ბუნებრივი მსვლელობა.

დაკვირვება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ყოველ მეცნიერულ დაკვირვებას წინ უნდა უძღოდეს დაკვირვების თემატიკისა და მიზნის განსაზღვრა;

ბ) დაკვირვება უნდა მიმდინარეობდეს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით;

გ) დაკვირვების შედეგების აღრიცხვა უნდა მოხდეს ზუსტად;

დ) დაკვირვების შედეგები უნდა შევადაროთ ანალოგიურ სიტუაციაში ჩატარებული დაკვირვებისაგან მიღებულ შედეგებს და არ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ერთი დაკვირვებით.

ყველაზე საიმედოა ისეთი დაკვირვება, რომელიც მიმდინარეობს მოსწავლისათვის ჩვეულებრივ პირობებში, როცა მან არ იცის, რომ იგი დაკვირვების ობიექტია. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება ბავშვის არაბუნებრივ ქცევასთან, რაც მისთვის არაა დამახასიათებელი.

2. დაკვირვების გზით მოვლენათა ღრმად შესწავლა ყოველთვის არ ხერხდება. ამიტომ პედაგოგიური კვლევის პროცესში ფართოდ გამოიყენება ***ექსპერიმენტის მეთოდი.***

ექსპერიმენტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს *სინჯვას, ცდას.* ამ მეთოდის საშუალებით შეგვიძლია დავადგინოთ ამა თუ იმ მეთოდის ვარგისიანობა და ეფექტურობა. გარდა ამისა, ექსპერიმენტის პროცესში საშუალება გვეძლევა რთული აპარატურის გამოყენებით დავაკვირდეთ ისეთ პროცესებს, რომლებიც ძალზე ნელა მიმდინარეობენ და ჩვეულებრივ პირობებში მათი შემჩნევა შეუძლებელია.

ექსპერიმენტიც ორგვარია: ხელოვნური, ანუ ლაბორატორიული და ბუნებრივი, ანუ პედაგოგიური. პროფ. გ. თავზიშვილის აზრით, ხელოვნური ექსპერიმენტი პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში პირველად შემოიტანა გერმანელმა ფიზიოლოგმა და ფსიქოლოგმა *ვ. ვუნდტმა.* ის ტარდება ლაბორატორიაში ან სპეციალურად შექმნილ გარემოში, სადაც შესაძლებელია დასაკვირვებელი მოვლენის ხელოვნურად გამოწვევა, მისი განმეორება და შემოწმება. ამ მეთოდით შეიძლება გამოვიკვლიოთ მრავალი პედაგოგიკური მოვლენა. მაგრამ მას, დადებითთან ერთად, გააჩნია ნაკლოვანებებიც. პირველი ის, რომ მოვლენის კვლევა ხდება ცდისპირისათვის არაბუნებრივ, უჩვეულო ვითარებაში, მეორე კი ის, რომ ცდისპირმა იცის, მასზე ახდენენ ექსპერიმენტს და ცდილობს უკეთესი შედეგი აჩვენოს, კარგი შთაბეჭდილება დატოვოს. ამიტომ რუსმა ფსიქოლოგმა *ა. ლაზურსკიმ* შემოიტანა *ბუნებრივი, ანუ პედაგოგიური ექსპერიმენტი.* ის ტარდება ცდისპირისათვის სავსებით ნორმალურ პირობებსა და ვითარებაში, რადგან მან არ იცის, რომ მასზე ცდას ახდენენ და მისი რეაგირება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ ჩვეულებრივი, მისთვის დამახასიათებელია. მაგალითად, მოსწავლისათვის ჩვეულებრივია

გაკვეთილი, თამაში, ფიზკულტურული ვარჯიშობანი. ასეთ ბუნებრივ ვითარებაში ჩატარებული ცდის შედეგები რეალურია, შეეფერება სინამდვილეს. პედაგოგიკის მკვლევარები ამ მეთოდს იყენებენ სასწავლო გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელოების, სწავლების ორგანიზაციის ფორმების ვარგისიანობის დასადგენად, ბავშვთა ინტერესების შესასწავლად და სხვა.

ექსპერიმენტი არ გამორიცხავს დაკვირვებას. პირიქით, იგი დაკვირვების გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ექსპერიმენტული კვლევის დროს დაკვირვება ხდება ხელოვნურად გამოწვეულ ფაქტებსა და მოვლენებზე. მკვლევარი არ უნდა მოექცეს წინასწარ შემუშავებული ჰიპოთეზის გავლენის ქვეშ და არ უნდა ეცადოს მოვლენის ისე წარმართვას, რომ მისთვის სასურველი შედეგი მიიღოს.

საექსპერიმენტოდ უნდა შეირჩეს ისეთი სკოლები, კლასები და მასწავლებლები, რომლებსაც სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალური პირობები აქვთ. დაუშვებელია,როცა საექსპერიმენტოდ ვიღებთ მოწინავე მასწავლებელსა და კლასს. ამ მიზნით უნდა შეირჩეს საშუალო სიძლიერის რამდენიმე კლასი, რომლებსაც დაახლოებით თანაბარი პირობები აქვთ.

ექსპერიმენტის შედეგები დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ზუსტად იქნება განსაზღვრული ექსპერიმენტის თემა, მისი ჩატარების გეგმა და ცდის დაყენებისათვის საჭირო ყველა ტექნიკური საშუალება.

3. საუბრის მეთოდი. ეს მეთოდი მკვლევარს საშუალებას აძლევს უშუალო კავშირი დაამყაროს იმ პირთან, ვის მუშაობასაც სწავლობს, ან ვისი გაცნობაც სურს. საამისოდ იგი წინასწარ ადგენს საუბრის ზუსტ გეგმას. იმისათვის, რომ საუბარი გულახდილ ვითარებაში წარიმართოს, მკვლევარი კარგად უნდა გაეცნოს და დაუახლოვდეს თანამოსაუბრეს. საუბრის დროს უნდა გამოვიყენოთ ხმის ჩამწერი აპარატი, რათა დავიცვათ სიზუსტე.

საუბრის მეთოდის ნაირსახეობას წარმოადგენს ***ინტერვიუ.*** იგი შეიძლება ავიღოთ მასწავლებლისგან, მოსწავლისგან, მშობლისგან და ა.შ. ჩვენთვის სასურველ ნე-

ბისმიერ თემაზე თუ საკითხზე. კვლევის ეს მეთოდი პედაგოგიკაში შემოვიდა უკანასკნელ ხანს. ადრე იგი გამოიყენებოდა მხოლოდ სოციოლოგიაში. საუბრის მეთოდისაგან განსხვავებით, რომელიც ტარდება თავისუფალ, ბუნებრივ პირობებში, ინტერვიუს აღების პროცესში მკვლევარი ზუსტად მიჰყვება წინასწარ შედგენილ გეგმასა და კითხვებს. ამ კითხვებს იგი უსვამს რესპონდენტს (რესპონდენტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ცდისპირს, იმ პირს, ვისაც რაიმეს ეკითხებიან) და პასუხებს იწერს მაგნიტოფონზე ან ახდენს სტენოგრაფირებას, შემდეგ კი დაწვრილებით აანალიზებს მოპოვებულ ინფორმაციას.

4. მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესასწავლად უკანასკნელ ხანებში წარმატებით გამოიყენება ასევე ***ანკეტური გამოკითხვის მეთოდი.*** ამ მეთოდს ის უპირატესობა აქვს, რომ იგი შესაძლებლობას იძლევა მოკლე დროში გამოვკითხოთ დიდი რაოდენობის რესპონდენტს. ეს არის ერთგვარი წერითი პედაგოგიური საუბარი. ანკეტაში მკვლევარს შეაქვს მისთვის საინტერესო კითხვები, რომლებზეც სურს მიიღოს წერილობითი პასუხები. ანკეტის შევსების წინ მკვლევარი აძლევს ცდისპირს სათანადო მითითებებს, რათა ამ უკანასკნელმა დასმულ კითხვებზე გასცეს ზუსტი და სწორი პასუხები. თუ რესპონდენტი სხვადასხვა მიზეზის გამო ცდილობს დასმულ კითხვებზე თავის არიდებას, მაშინ ანკეტა ანონიმურად უნდა შეივსოს. კვლევის ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ შემთხვევითობა და საკვლევი საკითხის ირგვლივ მოვიპოვოთ უფრო ზუსტი და მეცნიერული თვალსაზრისით სანდო ცნობები. ანკეტაში უნდა აღინიშნოს პასუხის გაცემის თარიღი და ცდისპირის ასაკი. სხვა დანარჩენი მონაცემების აღნიშნვის მოთხოვნა ანონიმურობას უკარგავს ანკეტას და ამიტომ პასუხი შეიძლება გულწრფელი არ იყოს.

5. სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლა-გაანალიზება. ამ მეთოდის გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, თუ ვის და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის რა საკითხს ვსწავლობთ. თუ სკოლის რომელიმე

მოსწავლეს ვსწავლობთ, მაშინ უნდა შევისწავლოთ ამ მოსწავლის პირადი საქმე, საკლასო ჟურნალი, ბრძანების წიგნი, საკონტროლო წერის რვეულები, საკლასო კრებების ოქმები და ა.შ. ხოლო როცა სკოლის ან რომელიმე მასწავლებლის მუშაობას ვსწავლობთ, მაშინ (ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებთან ერთად) უნდა შევისწავლოთ სკოლის წლიური სამუშაო გეგმა, კლასის ხელმძღვანელთა, სკოლის ბიბლიოთეკარის, მეთოდგაერთიანებების, პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი თუ სხვა სახის წრეების გეგმები და ოქმები, სკოლის დირექტორისა და მისი მოადგილის (სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში) მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები, მშობელთა კრებების ოქმები, მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მაჩვენებლები, სკოლის დირექტორის მოხსენებითი ბარათები სკოლის მუშაობის შესახებ და სხვ. მკვლევარი გულდასმით სწავლობს ამ დოკუმენტებს, აკეთებს სათანადო დასკვნებს და შეიმუშავებს ერთგვარ რეკომენდაციებს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

6. მოსწავლეთა დამოუკიდებელი ნამუშევრების შესწავლა. პედაგოგიური კვლევის პროცესში წარმატებით გამოიყენება ასევე მოსწავლეთა დამოუკიდებელი ნამუშევრების შესწავლის მეთოდი. კერძოდ, ისეთი ნამუშევრებისა, როგორიცაა: ნახატები, ნახაზები, ნაქარგები, დღიურები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, წერილები, ნარკვევები, კერამიკული ნაკეთობანი, თუნუქის, ხისა თუ მუყაოს კონსტრუქციები, თვითნაკეთი ხელსაწყოები, მოდელები და სხვა. ამ სახის მასალები მკვლევარს საშუალებას აძლევს რამდენადმე გაარკვიოს ბავშვთა ინტერესები, სურვილები, მიდრეკილებებ; გაიგოს, როგორ ესმის ბავშვს თავისი დანიშნულება მომავალ ცხოვრებაში, როგორია მისი იდეური და მორალური სამყარო, საკუთარი საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება, შრომის ჩვევები, ნებისყოფა, ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა, პროფესიული მიდრეკილებანი და სხვა. ყოველივე ეს ნათლად მჟღავნდება ბავშვთა ნამუშევრებში და გვეხმარება მათ საფუძვლიანად

გაცნობაში.

მოსწავლეთა მიდრეკილების შესწავლაში, სხვადასხვ ნამუშევართა შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ მიერ თავისუფალ თემებზე შესრულებულ თხზულებებს. VIII კლასში მრავალგზის ჩატარებული ცდები ადასტურებს, წერს პროფესორი **გ. თავზიშვილი,** რომ აღნიშნულ თემებზე დაწერილ თხზულებებში სჭარბობს ერთი და იგივე თემა. მაგალითად, ერთი მოსწავლის მიერ დაწერილი 10 თხზულებიდან 9 მოგზაურობას ეხებოდა, მეორისა, ამდენივე თხზულებიდან, 7 ეხებოდა მონადირეობას. ეს ლაპარაკობს ამ მოსწავლეთა ცალმხრივ ინტერესებზე, მათი ცნობიერების ერთგვარ შეზღუდულობაზე. ამიტომ დამკვირვებელს, პედაგოგს, მშობელს ევალება ასეთ მოსწავლეთა ცნობიერებისა და ინტერესების გაფართოების მიზნით მიმართოს სათანადო ზომებს.[1]

რთული პედაგოგიკური მოვლენების შესასწავლად უნდა იქნას გამოყენებული არა ერთი რომელიმე მეთოდი (დანარჩენთაგან იზოლირებული), არამედ რამდენიმე. ამასთან, ერთი მეთოდით მიღებული შედეგების სისწორე უნდა შევამოწმოთ მეორე მეთოდით, ან სხვა მკვლევარის მიერ ანალოგიური გზით მიღებული შედეგებით, შემდეგ კი უნდა მოვახდინოთ მიღებული შედეგების ურთიერთშეჯერება და სათანადო დასკვნების გაკეთება.

ამრიგად, პედაგოგიკური კვლევის მეთოდები, ხერხები და საშუალებანი ურთიერთისაგან იზოლირებულად კი არ არსებობენ, არამედ ერთმანეთს ავსებენ. ამიტომ საჭიროა მათი გამოყენება კომპლექსურად, ურთიერთკავშირსა და ერთიანობაში, რაც ხელს შეუწყობს აღზრდის, სწავლებისა და განათლების პროცესების სიღრმისეულ შეცნობას და პედაგოგიკური თეორიის შემდგომ განვითარება-სრულყოფას. როცა ერთი რომელიმე მეთოდის გამოყენებით ვერ ვაღწევთ დასახულ მიზანს, მივმართავთ მეორეს, მესამეს და ა. შ. ასე ვაგრძელებთ მანამ, სანამ სასურველ შედეგს არ მივაღწევთ.

---

[1] *გ. თავზიშვილი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბ., „განათლება“, 1968, გვ. 22*

5. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემა

მოზარდი თაობის აღზრდას, განათლებასა და სწავლებას შეისწავლის მრავალი ურთიერთდაკავშირებული მეცნიერება, რომელთა ერთობლიობას პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემას უწოდებენ. ამ სისტემაში შემავალი მეცნიერებებია: ზოგადი პედაგოგიკა, ასაკობრივი პედაგოგიკა, სპეციალური პედაგოგიკა, სამხედრო პედაგოგიკა, ცალკეულ საგანთა სწავლების მეთოდიკები და პედაგოგიკის ისტორია. ზოგიერთი მკვლევარი პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემაში შემავალ დისციპლინებს შორის ასახლებს ასევე სასკოლო ჰიგიენას, ბავშვის ფსიქოლოგიას და პედაგოგიკურ ფსიქოლოგიას (გ. თავზიშვილი, ნ. მექვაბიშვილი, ი. ჭკუასელი). ზოგიერთები კი ამ სისტემაში შემავალ საგნებს პედაგოგიკის დარგებს უწოდებენ (ა. გობრონიძე, ზ. ცუცქირიძე, შ. მალაზონია).

1. ზოგადი პედაგოგიკა სწავლობს აღზრდის, განათლებისა და სწავლების ზოგად კანონზომიერებებს ყველა ტიპის სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებისათვის.იგი წარმოადგენს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემაში შემავალი საგნების საფუძველს. მაგრამ ეს საგნები თავის მხრივ გარკვეულ დახმარებას უწევენ მას ზოგადპედაგოგიკური საკითხების კვლევაში.

2. ასაკობრივი პედაგოგიკა სწავლობს გარკვეული ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა აღზრდის საკითხებს. იგი იყოფა ქვედარგებად. ესენია: ა) სკოლამდელი, ბ) დაწყებითი სკოლის, გ) საშუალო სკოლის, დ) უმაღლესი სკოლისა და ე) მოზრდილთა პედაგოგიკა (ანდროგოგიკა). აქედან ყველაზე უკეთ არის დამუშავებული სასკოლო პედაგოგიკა, ხოლო რაც შეეხება მოზრდილთა პედაგოგიკას, იგი მეცნიერების სრულიად ახალი დარგია და შეისწავლის სტუდენტურ ასაკსგადაცილებული ადამიანების სწავლა-აღზრდის პრობლემებს.

3. სპეციალური პედაგოგიკა, ანუ დეფექტოლოგია, პედაგოგიკის განსაკუთრებული დარგია. იგი სწავლობს ანომალიური, ანუ ნორმის ფარგლებიდან გადახრილი ბავ-

შვების აღზრდის, სწავლებისა და განათლების საკითხებს. მისი დარგებია: *სურდოპედაგოგიკა, ტიფლოპედაგოგიკა, ოლიგოფრენოპედაგოგიკა და ლოგოპედია.*

ა) *სურდოპედაგოგიკა* შეისწავლის ყრუ-მუნჯ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სწავლა-აღზრდის საკითხებს, *ბ) ტიფლოპედაგოგიკა* – უსინათლოთა და მცირე მხედველობის მქონე ბავშვთა ამავე საკითხებს, გ) *ოლიგოფრენოპედაგოგიკა* – გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სწავლა-აღზრდის საკითხებს, დ) *ლოგოპედია* კი იკვლევს ბავშვთა მეტყველებაში არსებულ დეფექტებს და მათი აღმოფხვრის გზებსა და საშუალებებს.

4. სამხედრო პედაგოგიკა შედარებით ახალი დარგია. იგი სწავლობს წვევამდელთა, ჯარისკაცთა და მომავალ ოფიცერთა საბრძოლო მომზადებისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკითხებს. მისი დანიშნულებაა ისეთი მებრძოლების მომზადება, რომლებსაც უსაზღვროდ ეყვარებათ თავიანთი სამშობლო და, თუ საჭირო დარჩა, სიცოცხლესაც არ დაიშურებენ მისთვის.

5. ცალკეულ საგანთა სწავლების მეთოდიკებს საპატიო ადგილი უჭირავს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემაში. მათში განიხილება შესაბამისი საგნის სწავლების ამოცანები, შინაარსი, პრინციპები, ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები. საუბარია იმ საგნებზე, რომლებიც გათვალისწინებულია სკოლის სასწავლო გეგმით. ასეთებია: მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ქიმიის, მათემატკისა თუ სხვა საგანთა სწავლების მეთოდიკები.

თავისი საგნის სწავლების მეთოდიკის ცოდნა, პედაგოგიკის ცოდნასთან ერთად, უადვილებს მასწავლებელს შრომას, ზოგავს მის დროსა და ენერგიას.

6. პედაგოგიკის ისტორია სწავლობს სხვადასხვა ეპოქისა და ხალხის აღზრდის, სწავლებისა და განათლების ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე; იკვლევს მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებასა და იდეებს, რომლებმაც გაუძლეს დროის მკაცრ გამოცდას და დღესაც ინარჩუნებენ აქტუალობას. ამ გამოცდილების საფუძვლიანად

შესწავლა და სკოლის სამსახურში ჩაყენება პედაგოგ-მკვლევართა უპირველესი ამოცანაა.

პედაგოგიკის სისტემაში შემავალ ზემოთ ჩამოთვლილ მეცნიერებათა გარდა, ზოგიერთი ავტორი ასახელებს და განიხილავს ასევე პედაგოგიკის ისეთ ახალ დარგებს, როგორიცაა: *სოციალური პედაგოგიკა, სამკურნალო პედაგოგიკა, სპორტული პედაგოგიკა, საოჯახო პედაგოგიკა* და სხვა. პედაგოგიკის ასეთი დიფერენციაცია, ანუ ცალკეულ დარგებად და დისციპლინებად დაყოფა გამოიწვია ადამიანისათვის საჭირო ცოდნის მოცულობის გაზრდამ და მეცნიერების შეჭრამ ცხოვრების ყველა სფეროში.

6. პედაგოგიკის კავშირი სხვა მეცნიერებებთან

პედაგოგიკას, როგორც მეცნიერებას, გააჩნია მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა არა მარტო მის სისტემაში შემავალ დისციპლინებთან, არამედ მონათესავე დისციპლინებთანაც, რომლებსაც საქმე აქვთ ადამიანებთან. ასეთ მონათესავე მეცნიერებებს წარმოადგენენ: *ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ფილოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია, სასკოლო ჰიგიენა, ეთიკა, ესთეტიკა, ისტორია, ლიტერატურა* და სხვა. არ არსებობს სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არც ერთი დისციპლინა, რომელთანაც კავშირი არ ჰქონდეს პედაგოგიკას, მაგრამ იგი ყველაზე ახლოს დგას ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიასთან.

ფილოსოფია წარმოადგენს ყველა მეცნიერებისა და მათ შორის პედაგოგიკის მეთოდოლოგიურ საფუძველს. მართალია, იგი არ წყვეტს პედაგოგიკის წინაშე მდგარ კონკრეტულ ამოცანებს, მაგრამ მათი სწორად გადაწყვეტა, მოვლენათა არსში წვდომა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა პოზიციებზე დგას, რა ფილოსოფიურ თვალსაზრისს ატარებს მეცნიერი, რომელიც იკვლევს ადამიანის აღზრდის, სწავლებისა და განათლების პრობლემებს.

ფილოსოფია აღიარებს სინამდვილის მოვლენათა შორის საყოველთაო კავშირს, რომელზე დაყრდნობითაც პე-

დაგოგიკა აღზრდას განიხილავს არა როგორც დამოუკიდებელ, იზოლირებულ მოვლენას, არამედ სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან მჭიდრო კავშირში. მკვლევარმა კარგად უნდა იცოდეს, რომ აღზრდის კანონზომიერებათა სწორად დადგენა შეუძლებელია სხვა მოვლენებთან კავშირის გარეშე.

პედაგოგიკა იყენებს ასევე დიალექტიკის კანონს რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრიობაში თანდათანობით გადასვლის შესახებ. ამ კანონიდან გამომდინარე პედაგოგმა, აღმზრდელმა უნდა იცოდეს, რომ ბავშვში ამა თუ იმ თვისების ჩამოყალიბება ერთბაშად არ ხდება, არამედ მასში თანდათანობითი ცვლილებების შეტანით, რაც გარკვეულ დროსა და თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს.

ფილოსოფიასა და პედაგოგიკას გააჩნია მრავალი საერთო საკითხი თუ პრობლება, მათ შორის: აღზრდის მიზნის პრობლემა, მისი სოციალური და განვითარებადი ხასიათი, მსოფლმხედველობის ფორმირების, ზნეობრივი, ესთეტიკური აღზრდის პრობლემები, კოლექტივისა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, აღზრდისა და საზოგადოებრივი მოვლენების ურთიერთკავშირი და სხვა.

ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდა შეუძლებელია ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის გარეშე. ამიტომ პედაგოგიკას ახლო კავშირი აქვს ფილოსოფიის ისეთ დამოუკიდებელ დარგებთან, როგორიცაა *ეთიკა და ესთეტიკა.* აღნიშნული დისციპლინები ეხმარებიან პედაგოგიკას შესაბამისად ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის გზებისა და საშუალებების დადგენაში.

იყო დრო, როცა პედაგოგიკისა და ფილოსოფიის კავშირი არასწორად განიხილებოდა. თითქმის XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე პედაგოგიკას მიიჩნევდნენ ფილოსოფიის ნაწილად. ზოგიერთები კი (*პ. ნატორფი, ფ. პაულსენი, გ. კერშენშტაინერი და სხვები*) ცდილობდნენ პედაგოგიკის დაყვანას გამოყენებით ფილოსოფიამდე.

პედაგოგიკას მჭიდრო კავშირი აქვს ასევე *ფსიქოლოგიასთან.* და ეს გასაკვირი როდია, რადგან ფსიქოლოგია

შეისწავლის ადამიანის ფსიქიკურ მოვლენებს, აღზრდის, სწავლებისა და განათლების პროცესები კი უშუალოდაა დაკავშირებული ბავშვის ფსიქიკასთან, რომლის განვითარების კანონზომიერებათა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია სწავლა-აღზრდის კანონზომიერებების დადგენა. ამ მხრივ პედაგოგიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეგრძნება, აღქმა, აზროვნება, ნებისყოფა, ემოციები, მეხსიერება, ყურადღება და სხვა კატეგორიები, რომელთაც ზოგადი და ბავშვის ფსიქლოგია შეისწავლის.

პედაგოგიკას განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა აქვს *პედაგოგიკურ ფსიქოლოგიასთან.* იგი ეხმარება მასწავლებელს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ეფექტური გზების გამონახვასა და პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაში.

პედაგოგიკის კავშირი ფსიქოლოგიასთან იმდენად დიდია, რომ მეცნიერთა ერთი ჯგუფი პედაგოგიკას გამოყენებით ფსიქოლოგიად მიიჩნევდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფსიქოლოგიის საფუძვლიანი ცოდნა მოეთხოვება ყოველ პედაგოგს, რადგან მის გარეშე შეუძლებელია სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბებაში დიდი როლი ენიჭება ასევე *ბიოლოგიის, ანატომიისა და ფიზიოლოგიის* მონაცემების გათვალისწინებას, რადგან პედაგოგიკას საქმე აქვს ადამიანთან არა მარტო როგორც საზოგადოებრივ მოვლენასთან, არამედ აგრეთვე როგორც ცოცხალ ორგანიზმთან. ამიტომ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორი ორგანიზაციისათვის საჭიროა მისი ორგანიზმისა და განვითარების ბიოლოგიური კანონზომიერების ცოდნა. ასაკობრივი ფიზიოლოგიისა და ნერვული სისტემის მოქმედების კანონზომიერების ცოდნის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სასწავლო დატვირთვის მოწესრიგება. პედაგოგიკამ ანგარიში უნდა გაუწიოს ძვლის, კუნთების, სისხლის მიმოქცევისა და სხვა სისტემის კანონზომიერებებს, რასაც ანატომია შეისწავლის.

პედაგოგის მეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა

აქვს დიდი რუსი ფიზიოლოგის **ივანე პავლოვის** მოძღვრებას პირობითი და უპირობო რეფლექსების, I და II სასიგნალო სისტემების შესახებ და ა.შ.

უაღრესად დიდია პედაგოგიკის კავშირი *სასკოლო ჰიგიენასთან,* როგორც პედაგოგიკის მონათესავე მეცნიერებასთან. მაგალითად, მოსწავლის სწავლის, შრომისა და დასვენების ჰიგიენური რეჟიმის დაცვა სკოლასა და ოჯახში, საკლასო ოთახების, კაბინეტ-ლაბორატორიების, სპორტული დარბაზების სისტემატური ჰიგიენური გამართულობა სრულიად აუცილებელს ხდის ამ მეცნიერების მონაცემების გათვალისწინებას.

პედაგოგიკას მტკიცე კავშირი აქვს ასევე *პოლიტიკასთან.* იგი მიმართულებას აძლევს პედაგოგიკის მეცნიერებას მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში, რადგან აღზრდა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია შესაბამისი ქვეყნის პოლიტიკაზე — როგორიცაა ამ ქვეყნის პოლიტიკა, ისეთია საზოგადოებრივი აღზრდა. ასე რომ, პოლიტიკა აღზრდის რეგულატორის როლს ასრულებს.

პედაგოგიკა მჭიდროდაა დაკავშირშირებული ასევე *სოციოლოგიასთან.* სოციოლოგია, როგორც მეცნიერება საზოგადოების შესახებ, გავლენას ახდენს მოზარდი თაობის აღზრდაზე, აღზრდა კი, თავის მხრივ, გარკვეულ როლს ასრულებს საზოგადოების განვითარებაში. ამდენად, პედაგოგიკასა და სოციოლოგიას ბევრი საერთო აქვს. სოციოლოგია პედაგოგიკას აწვდის სტატისტიკურ მონაცემებს ახალგაზრდობის შრომისა და ცხოვრების შესახებ, რომელთა ანალიზის საფუძველზე პედაგოგიკა ადგენს მოზარდი თაობის აღზრდის პერსპექტიულ გეგმებს.

პედაგოგიკა წარმოუდგენელია საზოგადოების განვითარების ისტორიასთან შემოქმედებითი თანამშრომლობის გარეშე. ხალხთა *ისტორია* ხომ აღზრდის თავისებური ისტორიაცაა. ამიტომ პედაგოგიკა საზრდოობს ისტორიის მონაცემებითაც.

პედაგოგიკას მდიდარ მასალას აწვდის *მხატვრული ლიტერატურა,* განსაკუთრებით იმ ავტორების ნაწარმოებები, რომლებშიც გადმოცემულია აღზრდის, სწავლებისა და

განათლების საკითხები (მაგალითად, ფ. რაბლე, ჟ.-ჟ. რუსო, ლ. ნ. ტოლსტოი, ს.-ს. ორბელიანი, დ. გურამიშვილი, ა. წერეთელი და სხვ.). პედაგოგიკისათვის საინტერესო მასალას იძლევა ის მხატვრული ლიტერატურაც, რომელშიც ასახულია სკოლისა და მასწავლებლის მუშაობა, ბავშვთა აღზრდა ოჯახში და სხვა. ასეთი ლიტერატურული ნაწარმოები ხშირად გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია პედაგოგიკისათვის, ვიდრე რომელიმე ისტორიული დოკუმენტი და საარქივო მასალა, რადგან მასში ნაჩვენებია პერსონაჟის ხასიათის განვითარების დინამიკა.

უკანასკნელ ხანებში პედაგოგიკის სფეროში შეიჭრა მეცნიერების ისეთი ახალი დარგები, როგორიცაა *კიბერნეტიკა და ინფორმატიკა.* ამ მეცნიერებების გარეშე შეუძლებელია პედაგოგიკის შემდგომი განვითარება. ეს ეხება განსაკუთრებით დაპროგრამებულ სწავლებასა და საინფორმაციო მასალების გამოყენებას სწავლა-აღზრდის პროცესში.

7. პედაგოგიკის კურსის სტრუქტურა

პედაგოგიკა ოთხი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. ესენია: 1. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები; 2. აღზრდის თეორია; 3. დიდაქტიკა, ანუ განათლებისა და სწავლების თეორია; 4. სკოლათმცოდნეობა,

1. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები. მასში განხილულია: პედაგოგიკის საგანი, ძირითადი ცნებები, წყაროები და კვლევის მეთოდები, პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემა და მისი კავშირი სხვა მეცნიერებებთან; პიროვნების განვითარების მამოძრავებელი ძალები, ფაქტორები და თეორიები; მოზარდის განვითარების ასაკობრივი პერიოდიზაცია და თავისებურებანი; აღზრდის მიზანი და ამოცანები; განათლების სისტემა და სხვ.

2. აღზრდის თეორია. პედაგოგიკის ამ ნაწილში განიხილება: აღზრდის პროცესის არსი, მისი პრინციპები და კანონზომიერებანი, აღზრდის მეთოდები, მოსწავლეთა კოლექტივის ჩამოყალიბების პრობლემები, მსოფლმხედველო-

ბის ფორმირება, აღზრდის ძირითადი მიმართულებები (ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა), კლასის ხელმძღვანელისა და კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობა, ოჯახი და ბავშვის აღზრდა, სკოლისა და ოჯახის ერთობლივი აღმზრდელობითი მუშაობა.

3. დიდაქტიკა *(განათლებისა და სწავლების თეორია).* პედაგოგიკის ეს ნაწილი აშუქებს დიდაქტკის საგანსა და ამოცანებს, მის ძირითად ცნებებს, სწავლების პროცესის არსსა და კანონზომიერებებს, მის პრინციპებსა და მეთოდებს, განათლებისა და სწავლების შინაარსს, სწავლების ორგანიზაციის ფორმებს და მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებასა და შეფასებას.

4. სკოლათმცოდნეობა. ამ ნაწილში განიხილება სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობის საკითხები, გეგმიანობა და კონტროლი სკოლაში, პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოსა და მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის ფორმები და მეთოდები, მასწავლებელთა გაკვეთილების მოსმენა-გაანალიზება,გაკვეთილების ცხრილი და სხვ.

პედაგოგიკის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული სკოლისა და ოჯახის წარმატება მოზარდი თაობის სასახელო მამულიშვილებად ჩამოყალიბებაში.

თავი III

აღზრდა, განვითარება, პიროვნების ფორმირება

1. პიროვნებისა და განვითარების ცნება პედაგოგიკაში

ტერმინი „პიროვნება“ იხმარება მხოლოდ ადამიანის მიმართ. ადამიანი არის ცოცხალ არსებათა შორის ყველაზე რთული და გონიერი არსება — **ჰომო საპიენს** (გონიერი ადამიანი). პიროვნებაში მეტწილად გულისხმობენ ცალკეულ კონკრეტულ ადამიანს. პიროვნების ნაცვლად ზოგჯერ იხმარება ტერმინი „ინდივიდი“. ინდივიდი არის ცალკული ადამიანი, როგორც ადამიანური გვარის ან რომელიმე სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი.

ადამიანი სოციალური, საზოგადოებრივი არსებაა. იგი ჩნდება ამ ქვეყანაზე როგორც ბიოლოგიური არსება, პიროვნებად, ანუ სოციალურ არსებად კი იქცევა მაშინ, როცა გაივლის თავისი განვითარების რთულსა და გრძელ გზას, რაშიც გადამწყვეტ როლს საოჯახო აღზრდა და განათლება ასრულებს. „ჩვენი ცხოვრების პირველი შვიდი ან რვა წლის განმავლობაში, — ამბობდა კ. დ. უშინსკი, — ჩვენი მეხსიერება ითვისებს იმდენს, რამდენსაც ვერ ითვისებს მთელი ჩვენი დანარჩენი ცხოვრების მანძილზე“.[1]

ცოცხალ არსებათა შორის ახალშობილი ბავშვი ყველაზე უსუსური არსებაა. ფრანგი ფილოსოფოსის, ლამეტრის აზრით, ახალდაბადებული ცხოველი უკვე მომზადებულია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის: მას შეუძლია დამოუკიდებლად სიარული, ჭამა, ამასთან, იცის, რა უნდა

---

[1] *ბ. პ. ესიპოვი და ნ. კ. გონჩაროვი, პედაგოგიკა, სოხუმი, 1950, გვ. 68.*

ჭამოს და რა – არა. წიწილას რომ პურის მარცვალთან ერთად ქვიშაც დაუყაროთ, ის პურის მარცვალს დაუწყებს კენკვას და არა ქვიშას. ადამიანი კი ყოვლად უსუსური იბადება. მას დიდი დრო სჭირდება, რომ ისწავლოს სიარული, ჭამა და დამოუკიდებელი ცხოვრება.

უფსკრულის პირას რომ ბავშვიც დასვა და ძაღლის ლეკვიც, ბავშვი განაგრძობს სვლას და უფსკრულში გადაიჩეხება, ლეკვი კი სწორ გზას დაადგება და თავიდან აიცილებს უბედურებას.[1]

ამრიგად, ბავშვი პიროვნებად არ იბადება, არამედ ასეთად შემდეგ იქცევა. ჯერ კიდევ სამი წლის ბავშვი ცდილობს საკუთარი „მე"-ს წარმოჩენას. თუ მანამდე იგი მესამე პირში ლაპარაკობდა – „ნიკას შია", „ნიკას სტკივა", ახლა ამბობს: „მე მშია", „მე მტკივა", „მე თვითონ", „ჩემით" და ა.შ., ანდა, „ნახე, სად ავედი", „მიყურე, როგორ ვკოტრიალობ" და სხვა.

ეს პროცესი, ანუ ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბება, გრძელდება ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე. ყველა პიროვნება ადამიანია, მაგრამ ყველა ადამიანი პიროვნება არ არის. პიროვნება ადამიანზე მაღლა დგას. იმისათვის, რომ ადამიანი პიროვნებად იქცეს, აღნიშნავს პროფესორი **რევაზ ბალანჩივაძე,** მას უნდა ახასიათებდეს ისეთი ნიშნები, როგორიცაა: ნორმალურობა, ზრდასრულობა, სოციალურობა, გონი, მოსაზრების უნარი, ინდივიდუალობა და სხვა თვისებები.[2]

ამრიგად, აღზრდის ძირითადი მიზანია ბავშვის განვითარება, მისი პიროვნებად გადაქცევა.

ზოგჯერ ტერმინ „განვითარების" ნაცვლად ხმარობენ „ჩამოყალიბებას,"„ფორმირებას,"როცა მხედველობაში აქვთ პიროვნების მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ შეძენილი თვისებები გარკვეული დასრულებული სახით, მაგრამ განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „ჩამოყალიბება" და „ფორმირება".

---

[1] *რ. ბალანჩივაძე, ანთროპოლოგიური პედაგოგიკა, თბ., „უნივერსალი", 2011, გვ. 64.*

[2] *იქვე, გვ. 190-202.*

განვითარება ყოველი ცოცხალი არსების დამახასიათებელი თვისებაა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია სამყარო, მცენარეთა და ცხოველთა სამეფო, ადამიანთა საზოგადოება. ეს ორგანული სამყაროს ობიექტური კანონია.

პედაგოგიკურ ლიტერატურაში ავტორთა უმრავლესობა განვითარებაში გულისხმობს იმ ცვალებადობას, რომელსაც პიროვნება თუ მოვლენა უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს და სრულყოფს. აკადემიკოს **დ. ლორთქიფანიძის** მთავარი რედაქციით გამოცემულ პედაგოგიკის სახელმძღვანელოში (თბ., 1969, გვ. 41) ვკითხულობთ: „განვითარება არის ცვალებადობა, რომელშიც ისეთი ახალი თვისებრივი თავისებურება ჩნდება, რაც მოცემულ ინდივიდს (მოვლენას) უფრო სრულყოფილს ხდის“.

პროფ. **ვ. გაგუა** წერს: „განვითარება არის ცვალებადობა, რომელსაც ესა თუ ის საგანი, მოვლენა ახალ საფეხურზე აჰყავს“.[1]

აკადემიკოს **ი. ბაბანსკის** რედაქციით გამოცემულ პედაგოგიკის სახელმძღვანელოში (მ., 1983, გვ. 8) კი ნათქვამია: „ადამიანის განვითარება — ეს არის მისი პიროვნების ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესი გარეგანი და შინაგანი, მართვადი და უმართავი ფაქტორების გავლენით, რომელთა შორის წამყვან როლს მიზანმიმართული აღზრდა და სწავლება ასრულებს“.

გარეგან ზემოქმედებას განეკუთვნება საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები, გარემო და აღზრდა, ხოლო შინაგან ზემოქმედებაში იგულისხმება პიროვნების მემკვიდრეობითი, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი, რაც ერთ ადამიანს მეორისაგან განასხვავებს.

პიროვნების განვითარება დიდადაა დამოკიდებული აგრეთვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ქვეყნის ბუნებრივ პირობებზე (კლიმატზე), თვით პიროვნების აქტიურობაზე და სხვა მხარეებზე. მაგალითად, ხელსაყრელი საყოფაცხოვრებო პირობები აჩქარებს ბავშვის განვითარებას, ცუდი პირობები კი — აფერხებს.

---

[1] *ვ. გაგუა, პედაგოგიკა, თბ., 1996, გვ. 31.*

ასევე თბილი კლიმატის ქვეყნებში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარება უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ცივ ქვეყნებში.

განვითარება გულისხმობს ძველის დაძლევას ყველა მისი დადებითისა და პროგრესულის შენახვით და გამოყენებით ახლის შესაქმნელად.

განვითარება ახლის შეძენასაც გულისხმობს, მაგრამ ყოველგვარი სიახლე განვითარების წინაპირობა არაა. მაგალითად, ფაშიზმი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი მოვლენა იყო, მაგრამ მას საზოგადოება არ განუვითარებია, პირიქით, რამდენიმე წლით შეაფერხა.

განვითარება გულისხმობს ასევე ცოდნის შეძენას, მაგრამ ყოველგვარი ცოდნა განვითარების მაუწყებელი არ არის. ცოდნა გადადის განვითარებაში მხოლოდ მაშინ, როცა ის აუმჯობესებს პიროვნების საერთო მდგომარეობას, კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის მას, ხელს უწყობს მის გონებრივ ზრდას, ამაღლებს მის ზნეობას და აძლევს მას ახლის შეძენის სტიმულს. ცოდნის გადატანა ასეთ აქტიურ მოქმედებაში ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანს ესმის თავისი საზოგადოებრივი დანიშნულება. ამის შეგნება კი მას ეძლევა მხოლოდ აღზრდის გზით.

ცოცხალი არსების განვითარების პროცესი მიჰყავს იმ წინააღმდეგობას, რაც არსებობს პიროვნების მოთხოვნილებასა და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების რეალურ შესაძლებლობას შორის.

პირველყოფილი ადამიანი რომ შიმშილით არ მომკვდარიყო, იძულებული იყო ჯერ შეექმნა შრომის იარაღები და შემდეგ ეშრომა, მოეპოვებინა საარსებო საშუალებანი. ამიტომ ამბობენ — შრომამ შექმნა ადამიანიო.

შრომით აქტივობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ღღესაც მოზარდისაგან სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბებაში. შრომა უვითარებს და უნარჩუნებს ადამიანს იმ ფსიქოფიზიკურ ბუნებას, რომელიც შრომისსავე საშუალებით მოიპოვა მისმა გვარმა ხანგრძლივი განვითარების გზაზე. ადამიანმა რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე არ იშრომოს, მისი ფსიქოფიზიკური სტრუქტურა გა-

დაგადაგვარდება და იგი ცხოველის დონემდე დაეშვება.

ჩვენი უშორესი წინაპრის მემკვიდრეობაში თავიდანვე არ იყო მოცემული შინაგანი ტენდენცია, რომ იგი ადამიანად ქცეულიყო. მისი ადამიანად გადაქცევა ხდებოდა თანდათანობით, საარსებო საშუალებათა მოპოვებისათვის მძიმე ბრძოლაში, რაც მისგან საკუთარ თავზე ძალდატანებას, დიდ ნებისყოფასა და გამძლეობას მოითხოვდა.

„ასე რომ, ადამიანის წინაპარმა შრომას მოჰკიდა ხელი არა იმის გამო, რომ იგი იქითკენ განვითარების შინაგან ტენდენციას, სპონტანური განვითარების ტენდენციას მიჰყავდა, — წერს პროფ. შ.ჩხარტიშვილი, — არამედ იმის გამო, რომ შიმშილით არ დაღუპულიყო და არსებობა შეენარჩუნებინა. შრომა მას მძიმე გაჭირვებამ დააწყებინა“. [1]

ამრიგად, ადამიანის გვარის განვითარება მიმდინარეობდა იძულების გზით, საარსებო საშუალებათა მოპოვებისათვის მძიმე ბრძოლაში.

თანამედროვე ბავშვს მემკვიდრეობით მოაქვს ის ფსიქოფიზიკური თავისებურებანი, რაც ზრდადასრულებული ადამიანებისათვისაა დამახასიათებელი. ამიტომ მასში თავიდანვეა მოცემული ტენდენცია — განვითარდეს და თანამედროვე ადამიანი გახდეს. ეს ტენდენცია თავს იჩენს თავისთავად, ყოველგვარი გარეგანი ძალდატანების გარეშე, რა თქმა უნდა, თუ ამისათვის სათანადო ობიექტური პირობები არსებობს. როცა საამისო ასაკი მოვა, მოზარდი თვითონ, უფროსების ჩარევის გარეშეც, დიდი ხალისით იწყებს სიარულს, ლაპარაკს, ინტერესდება გარე სინამდვილით, რისთვისაც ხშირად მშობლებს თავს აბეზრებს გაუთავებელი შეკითხვებით.

ამრიგად, მოზარდის განვითარებას მემკვიდრეობაში მოცემული შესაძლებლობის საზღვრებში სპონტანური, ანუ თავისთავადი ხასიათი აქვს. მაგრამ ყველაფერი, რასაც სრულყოფილი ადამიანის ცნება გულისხმობს, მოზარდში სპონტანურად არ ვითარდება. ჰარმონიულად განვითარებული, ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბება

---

[1] *შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974, გვ. 12.*

შეუძლებელია თავისთავადი განვითარების გზით,ადამიანის ჩარევის გარეშე. ეს ჩარევა გულისხმობს აღზრდას. აღზრდა კი სოციალურ გარემოში მიმდინარეობს, რადგან მოზარდი არსებობს და ვითარდება გარემოში.

ტერმინი „გარემო“ ფართო ცნებაა, რადგან იგი თავის თავში აერთიანებს ყოველივე იმას, რაც ბავშვს გარს არტყია დაბადებიდან სიცოცხლის ბოლომდე, დაწყებული ოჯახიდან და სოციალური გარემოთი დამთავრებული, იმ გარემოთი, რომელშიც ადამიანი დაიბადა და უხდება ცხოვრება.

გარემო ორი სახისაა — სოციალური და ბუნებრივი. როცა გარემოზეა საუბარი, მხედველობაში აქვთ სოციალური, ანუ საზოგადოებრივი გარემო, რადგან ბუნებრივი გარემოს ზეგავლენა ბავშვის განვითარებაზე, სოციალურ გარემოსთან შედარებით, უმნიშვნელოა.

სოციალური გარემოც ორი სახისაა — მიკრო და მაკრო გარემო, ანუ გარემო ვიწრო და ფართო გაგებით. მოზარდის განვითარებაზე გავლენას ახდენს როგორც მიკრო, ისე მაკრო გარემო.

მიკრო გარემოში იგულისხმება: სკოლა, ოჯახი, ამხანაგების, მეგობრების, ნაცნობ-ნათესავების წრე, რომელშიც უხდება მოზარდს ყოფნა, ცხოვრება, სწავლა და შრომა, ყოველდღიური საქმიანობა.

მაკრო გარემო თავისთავში მოიცავს მიკრო გარემოსა და იმ სოფელს, ქალაქს, რესპუბლიკას თუ ქვეყანას, რომლის წევრი და მოქალაქეც თვით ეს პიროვნებაა და რომელთანაც იგი დაკავშირებულია გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებით.

2. პიროვნების განვითარების მამოძრავებელი ძალები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიროვნების განვითარებაში ადგილი აქვს გარკვეულ წინააღმდეგობას, რომელიც წარმოიშობა ადამიანის მოთხოვნილებას, ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების რეალურ შესაძლებლობასა და გარე-

მოს შორის. სწორედ ეს წინააღმდეგობა არის პიროვნების განვითარების მამოძრავებელი ძალა. მაგრამ პიროვნებასა და გარემოს შორის არსებული გარეგანი წინააღმდეგობა მხოლოდ მაშინ იქცევა განვითარების მამოძრავებელ ძალად, თუ ადამიანი ამ წინააღმდეგობას დაუპირისპირებს თავის აქტივობას და გადალახავს მას. სხვა შემთხვევაში წინააღმდეგობა წინააღმდეგობად დარჩება და იგი ვერ იქცევა პიროვნების განვითარების მამოძრავებელ ძალად. ამიტომ ის ადამიანი, რომელიც გარემო სინამდვილეს პასიურად ეგუება, ნაკლებად ვითარდება. გარემო, რომელიც მზამზარეულად აძლევს ადამიანს ყოველგვარ საარსებო საშუალებას და მათი მოპოვებისათვის ცოცხალ არსებას წინააღმდეგობის დაძლევა არ უხდება, განვითარების ფაქტორად ვერ იქცევა. **კ. დ. უშინსკის** აზრით, ბუნებრივი სიმდიდრე, ნაყოფიერი ნიადაგი ადამიანს ზრდის ზარმაცსა და უძლურს. ინდოეთის არქიპელაგის კუნძულთა ბუნებრივმა სიმდიდრემ ადამიანი დატოვა შიშველი, ველური და უძლური. იგი წერს: *„ადამიანებს რომ ეპოვნათ ზღაპრული ტომარა, საიდანაც ცვივა ყოველივე, რასაც კი კაცი ინატრებს ან რომ გამოეგონათ ისეთი მანქანა, რომელიც სრულიად შეცვლიდა ადამიანის ყოველგვარ შრომას, ...მაშინ შეწყდებოდა კაცობრიობის განვითარება“.* [1]

ამრიგად, ადამიანი ზემოქმედებს ბუნებაზე და თვითვე იქმნის ცხოვრებისათვის საჭირო პირობებს, ცხოველი კი პასიურად ეგუება ბუნებას. იგი ბუნებისაგან იღებს მხოლოდ იმას, რასაც მასში პოულობს და რაც მას საკვებად გამოადგება. სწორედ ამაშია ძირითადი განსხვავება ადამიანსა და ცხოველს შორის. ამიტომაც ამბობდა ბ. ბელინსკი: „ადამიანი იწყება იქ, სადაც მთავრდება ცხოველი“.

3. პიროვნების განვითარების ფაქტორები და თეორიები

ბავშვის განვითარების მთელ პროცესს განაპირობებს *აღზრდა, სოციალური გარემო და მემკვიდრეობა.* ამ ფაქ-

---

[1] *კ. უშინსკი, რჩეული პედ. თხზ., თბ., 1974, გვ. 169.*

ტორებს ბავშვის განვითარებაში თანაბარი მნიშვნელობა არა აქვთ. ამიტომ უძველესი დროიდან დღემდე გამოჩენილ ფილოსოფოსებსა და პედაგოგებს შორის მიმდინარეობდა და მიმდინარეობს დავა იმის შესახებ, თუ რომელ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთაგანს უნდა მიეცეს უპირატესობა პიროვნების განვითარებაში. დავას უმთავრესად იწვევდა ერთი რომელიმე ფაქტორის გადაჭარბებული შეფასება პიროვნების განვითარებაში და ამით მეორე ფაქტორის შეუფასებლობა ან დამცირება. დამცირებული ფაქტორის როლში ხანგრძლივი დროის განმავლობაში გვევლინებოდა მემკვიდრული მონაცემები, ხოლო რაც შეეხება სოციალურ გარემოსა და აღზრდას, მათი როლი ბავშვის განვითარებაში გადაჭარბებულად ფასდებოდა.

ანტიკური ხანის დიდი მოაზროვნეები **დემოკრიტე და არისტოტელე** ფიქრობდნენ, რომ ადამიანის სული არის *დაუწერელი, სუფთა დაფა* (ტაბულა რასა), რომელზეც მემკვიდრეობით არაფერია დაწერილი, მაგრამ შეიძლება ყველაფერი დაიწეროს. ამრიგად, ისინი უარყოფდნენ ადამიანში მემკვიდრულ მონაცემებს და აზვიადებდნენ აღზრდისა და გარემოს როლს პიროვნების განვითარებაში. მათი აზრით, აღზრდაა ის მწერალი, რომელიც ამ სუფთა დაფას ავსებს ყველა იმ თვისებით, რაც ზრდადასრულებული ადამიანისათვისაა დამახასიათებელი.

სრულიად საწინააღმდეგო აზრს ავითარებდა ანტიკური საზოგადოების მეორე დიდი მოაზროვნე **სენეკა.** ის აღნიშნავდა, რომ ადამიანი იბადება ადამიანად გახდომის გარკვეული მონაცემებით, რომ მას შემეცნების შესაძლებლობის თესლი დაბადებიდანვე დაჰყვება, როგორც იტყვიან – *„ადამიანს მისი ბედი შუბლზე აწერიაო“.* ამით სენეკა ამცირებს აღზრდისა და სოციალური გარემოს როლს პიროვნების განვითარებაში.

ეს საკითხი მოგვიანებით განავითარა პედაგოგიკის ფუძემდებელმა **იან ამოს კომენსკიმ.** იგი არ უარყოფს როგორც დემოკრიტესა და არისტოტელეს, ისე სენეკას ზემოაღნიშნულ შეხედულებებს და ამით, შეიძლება ითქვას, თანაბარ როლს ანიჭებს ორივე ფაქტორს პიროვნე-

ბის ფორმირებაში, მაგრამ, ამასთანავე, არ ივიწყებს აღზრდისა და აღმზრდელის უდიდეს როლს ბავშვის გაადამიანებაში. მისი აზრით, *„ადამიანის მთელი შემდგომი ცხოვრება ბავშვობის ასაკისაგან და აღზრდისაგან არის დამოკიდებული“.* [1]

აღმზრდელის, მასწავლებლის შესახებ იგი წერს: *„როგორც თავისი საქმის კარგად მცოდნე მწერალს შეუძლია სუფთა დაფაზე დაწეროს, რაც სურს, და მხატვარს დახატოს, ისე ადამიანის გონებაში ყველაფრის მოხაზვა ერთნაირად ეადვილება იმას, ვინც დახელოვნებულია სწავლების საქმეში“.* [2]

ამასთან, ი. ა. კომენსკი არ უარყოფდა მემკვიდრული მონაცემების როლს ახალშობილი ბავშვის გაადამიანებაში. მისი აზრით, ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება ამა თუ იმ საქმის კეთების ნიჭი, უნარი, მზადყოფნა შრომისათვის, რაც სწორი აღზრდისა და გარემოს მეშვეობით ვითარდება და ღრმავდება.

ამ საკითხის გარშემო დავა შემდგომშიც გაგრძელდა და ჩამოყალიბდა სამი თეორია: *ემპირიზმი, ნატივიზმი და კონვერგენცია.*

აღნიშნული თეორიებიდან დროის მიხედვით ყველაზე ადრე ჩამოყალიბდა ***ემპირიზმი,*** რომელმაც თავისი გამოხატულება პოვა XVII საუკუნეში გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ ლოკისა და XVIII საუკუნეში ფრანგი განმანათლებლების მოძღვრებაში.

ჯ. ლოკი (1632-1704) იმეორებს დემოკრიტესა და არისტოტელეს „სუფთა დაფის“ თეორიას და ამტკიცებს, რომ ადამიანს დაბადებიდან არ დაჰყვება არავითარი იდეა და სხვა რამ მემკვიდრული თვისება, რომლითაც ერთი ადამიანი მეორისაგან განსხვავდება.*„თუ ახალდაბადებულს ყურადღებით დავაკვირდებით, — წერს იგი, — მცირე საფუძველი გვექნება ვიფიქროთ, რომ მათ ქვეყანაზე თან მოაქვთ ბევრი იდეა, გარდა შიმშილის, წყურვილის, სით-*

---

[1] *ი. ა. კომენსკი, რჩეული პედ. თხზ., თბ., 1949, გვ. 87.*

[2] *იქვე.*

ბოსი და ზოგიერთი განცდის ბუნდოვანი იდეებისა, რომლებსაც დედის საშოში განიცდიან. მათ არა აქვთ რაიმე იდეის მცირე ნიშანიც კი“. [1]

აქედან გამომდინარე, ჯ. ლოკის აზრით, პიროვნებას ესა თუ ის თვისება უვითარდება აღზრდისა და ცხოვრების პირობების, გარემოს ზეგავლენით. ლოკი იმდენად აზვიადებდა აღზრდის როლს პიროვნების ფორმირებაში, რომ თამამად აცხადებდა: ცხრა მეათედი იმ ადამიანებისა, რომლებსაც ჩვენ ვხვდებით, არიან კეთილნი თუ ბოროტნი, სასარგებლონი თუ უსარგებლონი აღზრდის წყალობით. მისი აზრით, ადამიანთა შორის ყოველგვარი განსხვავება მხოლოდ და მხოლოდ აღზრდის შედეგია, რაც, ცხადია, სწორი არაა. მიუხედავად ამისა, ჯ. ლოკის მიერ თანდაყოლილი იდეების კრიტიკამ დადებითი როლი შეასრულა ფეოდალური არისტოკრატიის შეხედულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის თანახმადაც, არისტოკრატიას მემკვიდრეობით აქვს თანდაყოლილი იდეები, „რაინდული თვისებები“, სახელმწიფოს მართვის უნარი, განათლების მიღების განსაკუთრებული უფლებები და სხვა.

როგორც დავინახეთ, ემპირისტული თეორია იმ დროისათვის პროგრესული იყო. ამიტომ ამ თეორიას მხარი დაუჭირეს XVIII საუკუნის გამოჩენილმა ფრანგმა ფილოსოფოს-მატერიალისტებმა, როგორიც იყვნენ: *კ. ჰელვეციუსი, ე. კონდილაკი, დ. დიდრო* და სხვები. მათი აზრით, *„ადამიანი გარემოებისა და აღზრდის პროდუქტია“.* თუ რა გამოვა ახალშობილი ბავშვისაგან, ეს მთლიანად გარემოსა და აღზრდაზეა დამოკიდებული. **კლოდ ჰელვეციუსი** (1715-1771) იმდენად აზვიადებდა აღზრდის როლს, რომ იგი ადამიანის განვითარების ყოვლისშემძლე ფაქტორად მიაჩნდა. *„აღზრდას ყველაფერი შეუძლია, — ამბობდა იგი, — მას გენიოსების წარმოქმნაც კი ძალუძს“.*

აღნიშნულ საკითხზე იგივე აზრის იყო **ეტიენ კონდილაკი** (1715-1780). მისი აზრით, *„ადამიანი არის ის,რაც მან შეიძინა“.*

---

[1] *Локк Д. Опыт о человеческом разуме. – М., 1898, с.60.*

ფრანგ ფილოსოფოს-მატერიალისტთა შორის ადამიანის ფორმირების საკითხი ყველაზე უკეთ გაიგო **დენი დიდრომ** (1713-1784). იგი, უწინარეს ყოვლისა, უარყოფდა აღზრდის „ყოვლისშემძლეობას“ და გადაჭარბებულად მიაჩნდა ჰელვეციუსის მტკიცება იმის შესახებ, რომ „აღზრდას ყველაფერი შეუძლია“. ეს გამოთქმა დიდრომ ასე შეცვალა: *„აღზრდით ბევრს შეიძლება მივაღწიოთ“.* ის სავსებით მართებულად მიიჩნევდა, რომ კარგი აღზრდით შეიძლება ნიჭის განვითარება, ყოველმხრივი განათლება, კარგი ჩვევების შემუშავება და ცუდის დაძლევა, მაგრამ, რაგინდ კარგი იყოს ეს აღზრდა, იგი ჩვეულებრივ ადამიანს გენიოსად ვერ აქცევს, თუ მასში დაბადებიდან არ იქნება მოცემული გენიოსის ნიჭი.აღზრდა ავითარებს მხოლოდ იმას, რაც ბავშვს ბუნებამ მისცა.

ამავე აზრის იყო პიროვნების განვითარების საკითხზე **ბესარიონ ბელინსკი** (1811-1848). თუმცა იგი ამბობდა, რომ *„აღზრდა დიდი საქმეა: ის წყვეტს ადამიანის ბედს“,* მაგრამ გამოჩენილი კრიტიკოსი შორს იყო აღზრდის ყოვლისშემძლეობის აღიარებისაგან და იგი მხოლოდ ბუნების თანაშემწედ მიაჩნდა. მისი აზრით, ახალშობილი, ჩვილი ბავშვი არის „ხე ნაყოფში, ადამიანი შესაძლებლობაში“, მაგრამ ეს შესაძლებლობა რომ რეალურ სინამდვილედ იქცეს, საჭიროა შესაბამისი გარემო პირობები და აღზრდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი ვერ შეძლებს ცხოვლური წარმოშობის დაძლევას და საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში ჩაბმას. ცხოველი, აღნიშნავს ბელინსკი, იბადება ცხოველად და იგი ვერ იქცევა ვერც უკეთესად და ვერც უარესად, ვიდრე ბუნებამ გააჩინა, ადამიანი კი გონიერი, მოაზროვნე არსებაა და „იგი იქ იწყება, სადაც მთავრდება ცხოველი“. კარგი აღზრდა, ბელინსკის აზრით, ბავშვს ადამიანად აქცევს, ცუდმა კი იგი შეიძლება ცხოველის დონეზე დატოვოს ან ველურად აქციოს. „გონივრული აღზრდა, — წერს იგი, — ბუნებით ბოროტსაც გარდაქმნის და ნაკლებ ბოროტად ან კეთილადაც კი აქცევს“, მაგრამ გენიოსად ვერასოდეს აქცევს, თუ მასში დაბადებიდან არ იქნება ბუნებით მომადლებული გენიოსის ნიჭი.

ემპირიზმის ძირითადი ნაკლი იყო ის, რომ იგი ადამიანის განვითარებაში გარემოს როლს მეტისმეტად აზვიადებდა, თანდაყოლილი თვისებების მნიშვნელობას კი სრულებით არ ცნობდა, რაც აშკარა შეცდომაა.

ამჟამად მეცნიერულად დასაბუთებული და საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გამოჩენილ მხატვრებს, მუსიკოსებს, დაბადებისას, ჩვეულებრივ ადამიანებთან შედარებით, აღქმისა და სმენის განსაკუთრებული ნიჭი, ნასახები დაჰყვებათ. ამის დაუნახველობა და უარყოფა არ შეიძლება. ამასთან, ემპირისტები ადამიანს წარმოგვიდგენენ მეტისმეტად პასიურ არსებად. მათ არ ესმით, რომ ადამიანები თვითონ არიან თავიანთი ბედის მჭედელნი. ისინი მხოლოდ გარემოს გავლენის ქვეშ კი არ იმყოფებიან, არამედ თვითონაც შეუძლიათ ამ გარემოში ჩარევა, მისი შეცვლა და ადამიანის სამსახურში ჩაყენება.

ბავშვის განვითარების თეორიებიდან გამოირჩევა ასევე ***ნატივიზმი.*** იგი ემპირიზმისაგან სრულიად საწინააღმდეგო თეორიაა. ამ თეორიის მიხედვით, ბავშვის განვითარება მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი მემკვიდრული მონაცემები აქვს მას. სოციალურ გარემოს შეუძლია დააჩქაროს ან შეაფერხოს მისი ნიჭისა და სხვა ფუნქციების გამოვლენა და განვითარება, მათი შეცვლა კი არ ძალუძს. გარემო ავლენს და ავითარებს მხოლოდ იმას, რაც ბავშვში მემკვიდრეობითაა მოცემული. იგი ვერც დაუმატებს ამ თვისებებს და ვერც მოაკლებს.

ამგვარად,ნატივიზმი ამცირებს საზოგადოებრივი ცხოვრების, სოციალური გარემოსა და აღზრდის როლს ბავშვის განვითარებაში. მათი როლი ნატივიზმს თითქმის ნულამდე დაჰყავს.

ნატივიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია გერმანელი ფიზიოლოგი და ფსიქოლოგი **ევალდ გერინგი** (1834-1918). მისი აზრით, ადამიანი იბადება ყველა იმ თვისებებით, რომლებიც მას შემდეგ ცხოვრებაში აღმოაჩნდება. ამიტომ განვითარება მემკვიდრეობაში მოცემული თვისებების რაოდენობრივი ზრდაა და მეტი არაფერი. იგი პიროვნებას რაიმე ახალ თვისებას არ მატებს.

პიროვნების განვითარების საკითხზე ასეთივე შეხედულება გააჩნდა ამერიკელ ფსიქოლოგს, სოციოლოგსა და პედაგოგს **ედუარდ თორნდაიკს** (1874-1949). მისი აზრით, პიროვნების განვითარების მთელ პროცესს წარმართავენ გენები. ადამიანის გონებრივი ნიჭი და შეგნება ბუნების ნაბოძებია ისე, როგორც მისი "თვალები, კბილები და თითები". გენები თაობიდან თაობას გადაეცემა და მთლიანად განსაზღვრავს პიროვნების ყველა თვისებასა და მომავალს. ამით თორნდაიკმა უარყო აღზრდის აქტიური, გარდამქმნელი როლი და იგი უძლურად გამოაცხადა.

ნატივისტურ თეორიაზე დაყრდნობით, კრიმინალისტთა ერთი ჯგუფი ცდილობს ბოროტმოქმედებანი ადამიანის ანატომიური, ფიზიოლოგიური და ფსიქიკური თვისებებით ახსნას. მათი აზრით, დამნაშავენი ნორმალური ადამიანებისაგან განსხვავდებიან თავიანთი ფსიქიკური წყობით. აქედან მათ გამოაქვთ დასკვნა, რომ ზოგიერთი ადამიანი ბოროტმოქმედად იბადება და არა ხდება, რაც აშკარა შეცდომაა.

ნატივისტურ თეორიას ბევრი რამ საერთო აქვს ფაშიზმთან, მის რასისტულ თეორიასთან, რომელიც ხალხების დაბალ და მაღალ რასებად დაყოფასა და ერთი რასის მეორეზე ბატონობას ქადაგებს.

ამგვარი შეხედულების სიყალბე და რეაქციული არსი მთელი სისრულით გამოააშკარავა აკადემიკოსმა **ივანე პავლოვმა** (1849-1936). მან მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ცოცხალი ორგანიზმისა და, კერძოდ, ადამიანის ორგანიზმის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ პირობებს, რომელშიაც ისინი იმყოფებიან. *„ხუთი წლის ბეთჰოვენი უკვე მუსიკალურ ნაწარმოებებს ქმნიდა, — წერს* ***ვასილ სუხომლინსკი,*** *— მაგრამ ეს, უწინარეს ყოვლისა, აიხსნება მხოლოდ განსაკუთრებული ხელსაყრელი პირობებით, რომელშიც მისი ბავშვობა მიმდინარეობდა. ის რომ ისეთ გარემოში მოხვედრილიყო, სადაც არც ერთი სახის მუსიკალური ინსტრუმენტი არ იშოვება და ადამიანებმა არ იციან, რა არის მელოდია, მისგან მუსიკოსი არ დადგებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ ათასობით ადამიან-*

ში ჯერ კიდევ ქრება ბუნების მიერ ნაბოძები ნიჭი; ათასობით ადამიანს შეეძლო გამხდარიყო გამოჩენილი მეცნიერი, პოეტი, კომპოზიტორი, მათი ბავშვობა რომ თანშობილი ნიჭის შესაბამის გარემო პირობებში წარმართულიყო".[1]

ცნობილია, რომ იოჰან *სებასტიან ბახის* წინაპართა ოჯახმა ხუთი თაობის განმავლობაში ოცამდე მეტ-ნაკლებად ცნობილი მუსიკოსი მისცა ქვეყანას. ამიტომ არაა გასაკვირი ბახის უდიდესი მიღწევები მუსიკაში. ეს, უწინარეს ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ იგი მაღალი კულტურის მუსიკალურ გარემოში ცხოვრობდა, იზრდებოდა და ვითარდებოდა.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ემპირისტული თეორია მოზარდის განვითარებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს გარეგან ფაქტორებს – აღზრდასა და გარემოს, მემკვიდრულ მონაცემებს კი უგულებელყოფს. რაც შეეხება ნატივიზმს, იგი, პირიქით, განვითარების მთელ პროცესს შინაგან ფაქტორებს მიაწერს და უარყოფს აღზრდისა და გარემოს როლს ამ საქმეში. ცხადია, ორივე თეორია უკიდურესად ცალმხრივი და მცდარია. ეს მცდარობა კარგად შენიშნა ცნობილმა გერმანელმა ფსიქოლოგმა **ვილიამს შტერნმა** (1871-1938) და შეიმუშავა ***კონვერგენციის თეორია,*** რომლის მიხედვითაც მემკვიდრეობა და სოციალური გარემო მოზარდის განვითარებაში თამაშობენ არა დამოუკიდებელ როლს, არამედ ორივე ეს ფაქტორი ურთიერთგანპირობებულია და მხოლოდ მათი კონვერგენცია, ანუ ურთიერთშეხვედრა ქმნის განვითარების რეალურ საფუძველს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განვითარება მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ ადგილი აქვს მემკვიდრული მონაცემებისა და მათი შესატყვისი გარემო პირობების ურთიერთშეხვედრას (კონვერგენციას). ამიტომ საკითხის ალტერნატიული დაყენება, მემკვიდრეობა თუ გარემო, მართებული არაა. ადამიანის განვითარება არც მარტო მემკვიდრეობით თანდაყოლილ თვისებათა გამოვლენას წარმოადგენს და არც მხოლოდ გარეზემოქმედებათა შედეგად მიღებულ უბრალო

---

[1] *ვ.სუხომლინსკი, წერილები ვაჟიშვილს, ბათუმი, 1996, გვ.21.*

ცვლილებას. ისინი ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ, ერთი მეორის გარეშე არ არსებობს.

კონვერგენციის თეორია, მართალია, ემპირიზმზე და ნატივიზმზე მაღლა დგას, რადგან ორივე მათგანის შეცდომებს ითვალისწინებს,მაგრამ განვითარების საკითხს მაინც სრულყოფილად ვერ ხსნის, ვინაიდან შინაგანი და გარეგანი ფაქტორების დამთხვევას, ანუ კონვერგენციას შემთხვევითი ხასიათი აქვს, შემთხვევითობა კი კანონზომიერ მოვლენად არ ჩაითვლება.

ამრიგად, კონვერგენციის თეორია მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს,ვინაიდან მისი წარმომადგენლები ივიწყებენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ პიროვნების განვითარება ხდება არა მარტო მისთვის შესაფერის, არამედ შეუფერებელ, ზოგჯერ კი სრულიად საწინააღმდეგო გარემოშიც.

4. განვითარების მთავარი ფაქტორი – აღზრდა, გარემო თუ მემკვიდრეობა?

როგორც აღინიშნა, ემპირისტული თეორია პიროვნების ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ანიჭებს აღზრდასა და გარემოს, მემკვიდრეობის როლი კი თითქმის ნულამდე დაჰყავს, რაც აშკარა შეცდომაა. ბავშვს თან დაჰყვება არა მარტო ბიოლოგიური ორგანიზმი, რომლითაც ის ემსგავსება თავის მშობელს ან უახლოეს წინაპარს, არამედ აგრეთვე ადამიანად გადაქცევის გარკვეული შესაძლებლობანი. იგი იბადება როგორც „ხე ნაყოფში, ადამიანი შესაძლებლობაში“ (ბ. ბელინსკი). ახალშობილი ბავშვისაგან განვითარებული ადამიანის მიღება შეუძლებელი იქნებოდა, იგი რომ განსაზღვრული მემკვიდრული მონაცემებით არ იბადებოდეს. ეს მემკვიდრული მონაცემები გადადის თაობიდან თაობაზე, მაგრამ არა უცვლელი სახით, არამედ როგორც ცვალებადი, გარემოთი განპირობებული ფაქტორი. მემკვიდრეობით მიღებული ბიოფსიქიკური თვისებები იცვლება ადამიანის ორგანიზმთან ერთად. დროთა განმავლობაში ზოგიერთი მათგანი ქრება ან ისპობა, ძველის ნაცვლად კი

ჩნდება ახალი ნიშან-თვისება, რომელიც მომავალ თაობას მემკვიდრეობით გადაეცემა. ბავშვს მემკვიდრეობით გადაეცემა წინაპრების მთელი რიგი თვისებები და ნიშნები, როგორიცაა: კანის, თვალების, თმის ფერი, ნიჭი, უნარი, მიდრეკილება, გარეგნობა და სხვა, მაგრამ ყველა მათგანს თანაბარი მნიშვნელობა როდი ენიჭება ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. მაგალითად, აღზრდით ვერ შეცვლი ბავშვის კანის თუ თმის ფერს, და ეს, კაცმა რომ თქვას, არცაა საჭირო, მის ზნე-ხასიათს კი, როგორც დიდი ილია იტყოდა, სასურველ მიმართულებას მისცემ. მემკვიდრული თვისებები ახალშობილ ბავშვში მოცემულია ჩანასახის სახით და მათი შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა შესატყვისი გარემო პირობები და აღზრდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჩანასახშივე ჩაკვდებიან. ამიტომ ეს მონაცემები არ შეიძლება იქნას მიჩნეული განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად.

როცა ლაპარაკია ბავშვის განვითარების შესატყვის გარემო პირობებზე, მეცნიერებს მხედველობასში აქვთ სოციალური გარემო, ანუ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები და არა ბუნებრივი გარემო, რომელიც ნაკლებ ზეგავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე.

ადამიანი სოციალური გარემოს პროდუქტია, იმ საზოგადოებრივ-ისტორიული პირობების პროდუქტი, რომელშიც მას უხდება ცხოვრება, შრომა, სწავლა და დასვენება. ამ მხრივ არც ბავშვები წარმოადგენენ გამონაკლისს. ისინი იმყოფებიან საზოგადოებაში, თავიანთი ამხანაგების წრეში, კოლექტივში,მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ყოველივე ეს მათ ცნობიერებას ასვამს ღრმა კვალს, აყალიბებს მათ გამოცდილებას,წარმოდგენებს, ცნებებს, ყოფაქცევას, უვითარებს ისეთ მაღალზნეობრივ თვისებებს, როგორიცაა: ამხანაგობა, მეგობრობა, პასუხისმგებლობა, მოვალეობის გრძნობა და შეგნება, წესრიგი, დისციპლინა, შრომისმოყვარეობა და ა.შ.

ამრიგად, მოწესრიგებული სოციალური გარემო ბავშვის განვითარების არა მარტო მიზანია, არამედ აუცილებელი პირობაც.

განვითარება ყოველთვის შინაგანი მონაცემებითა და შესატყვისი გარემო პირობების ურთიერთობის გზით მიდის. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ისეთი თანდაყოლილი ადამიანური მიდრეკილებანი, როგორიცაა: ვერტიკალურ მდგომარეობაში სიარული, მეტყველების, შრომისა და აზროვნების უნარი, შეიძლება განუვითარდეს ბავშვს მხოლოდ ადამიანებთან ურთიერთობაში, სოციალურ გარემოში. ცნობილია, რომ ბავშვები, რომლებიც გაიზარდნენ მათთვის შეუფერებელ გარემოში, მაგალითად, ცხოველთა შორის, მიუხედავად იმისა, რომ გააჩნდათ მემკვიდრეობით შეძენილი ადამიანური თვისებები, პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდნენ. ამიტომ აღზრდის პროცესში, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა იმ გარემოს მოწესრიგება, რომელშიც ბავშვი იმყოფება.

ახლა იბადება კითხვა: არის თუ არა სოციალური გარემო ბავშვის განვითარებაში გადამწყვეტი ფაქტორი? ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკმარისია თუ არა ის განვითარება, რასაც პიროვნება სოციალური გარემოს ზემოქმედების შედეგად ღებულობს? რა თქმა უნდა, არა. ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების მისაღებად მარტო სოციალურ გარემოში შეძენილი ცოდნა საკმარისი არაა. ამიტომ საზოგადოება სპეციალურად ქმნის ისეთ გარემოს, სადაც განსაკუთრებული პროცესი – აღზრდა მიმდინარეობს.

აღზრდის პროცესი განსხვავდება განვითარების იმ პროცესისაგან, რასაც ადამიანი სოციალურ გარემოში ღებულობს. ეს განსხვავება მდგომარეობს შემდეგში:

1. აღზრდის პროცესს ყოველთვის ორგანიზებული, წინასწარ განზრახული, მიზანმიმართული ხასიათი აქვს, სოციალური გარემოს გავლენით მიმდინარე ბავშვთა განვითარების პროცესს კი წინასწარგანზრახულობა და მიზანმიმართულობა ყოველთვის შეიძლება არ ჰქონდეს.

2. აღზრდა ხორციელდება სპეციალური გეგმითა და პროგრამით ორგანიზებულ, მოწესრიგებულ გარემოში აღმზრდელისა და მასწავლებლის ხელმძღვანელობით, ბავშვთა სოციალური განვითარების პროცესი კი, რომელიც გა-

რემო პირობების გავლენით მიმდინარეობს,ზოგჯერ სტიქიურად, მოზრდილთა მონაწილეობის გარეშე წარიმართება.

3. გარემოსთან ურთიერთობის პროცესში ბავშვები იძენენ სწორ და არასწორ ცნებებსა და წარმოდგენებს, იზრდებიან საჭირო, ხოლო ზოგ შემთხვევაში საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის უცხო მიმართულებით. ამასთან, რაც უფრო წინააღმდეგობრივია საზოგადოებრივი გარემო, მით უფრო წინააღმდეგობრივია ადამიანთა სოციალური განვითარების პროცესი. აღზრდის პროცესში კი ბავშვთა განვითარებისათვის იქმნება სპეციალური პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათში საზოგადოებრივად აუცილებელ ნიშან-თვისებათა გამომუშავებას.

4. აღზრდისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ იგი ხორციელდება ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების, მათი მომზადებისა და განვითარების შესაბამისად, მაშინ როცა გარემომცველი გარემო, უმეტეს შემთხვევაში, ერთნაირ გავლენას ახდენს როგორც ბავშვებზე, ისე მოზრდილებზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ბავშვის განვითარების მთავარი ფაქტორი არის სწორი, გეგმაზომიერი, ორგანიზებული და მიზანმიმართული აღზრდა.

თავი IV

თვითაღზრდის პროცესის არსი და როლი პიროვნების განვითარებაში

პიროვნების განვითარების პროცესის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს თვითაღზრდა. ამ შემთხვევაში აღსაზრდელი ზემოქმედების ობიექტი კი არ არის, არამედ თავისი განვითარების აქტიური შემოქმედი,სუბიექტია.იგი ერთი და იმავე დროს აღმზრდელიცაა და აღსაზრდელიც, სუბიექტიც და ობიექტიც.

თვითაღზრდა რთული, ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია, ადამიანის შეგნებული მისწრაფებაა – გახდეს სრულყოფილი,გამოიმუშაოს საკუთარ თავში როგორც მისთვის, ისე საზოგადოებისათვის მისაღები თვისებები, დაძლიოს ნაკლოვანებანი შეგნებაში, ქცევასა და მოქმედებაში. საამისოდ მან სწორად უნდა შეფასოს საკუთარი თავი, რასაც თვითშეფასება ჰქვია. თვითაღზრდა თვითშეფასების გარეშე არ არსებობს, მაგრამ ამის უნარი ბავშვს თანდაყოლილი კი არა აქვს, არამედ იგი აღზრდისა და სწავლების შედეგია. ეს უნარი მოსწავლეებს უმუშავდებათ მხოლოდ საშუალო და უფროს სასკოლო ასაკში. ამ ასაკის მოსწავლეები ცდილობენ, დაძლიონ ნაკლოვანებები მეტყველებაში, ქცევაში, ამხანაგებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობაში და გამოიმუშაონ ისეთი თვისებები, როგორიცაა: სიმამაცე, გამბედაობა, შეუდრეკლობა, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცე, კულტურული ჩვევები და სხვ.

თვითაღზრდა პიროვნების ფორმირების, მისი კაცურ კაცად, ჭეშმარიტ მამულიშვილად ჩამოყალიბების მძლავრი საშუალებაა. მის სიძლიერეზე დიდადაა დამოკიდებული თითოეული ადამიანის წარმატებები პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კაცობრიობის თითქმის ყველა გამო-

ჩენილმა მოაზროვნემ ძირითადად თვითაღზრდითა და თვითგანათლებით მიაღწია სრულყოფილების იმ დონეს,რომელზეც შესაძლებელი გახდა ეპოქალურ მოვლენათა მსვლელობის განჭვრეტა, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების დადგენა.

თვითაღზრდის შინაარსი ძირითადად განისაზღვრება იმ საზოგადოებრივი პირობებით, რომელშიც ცხოვრობს და ვითარდება ადამიანი. მისი ხასიათი დიდადაა დამოკიდებული ასევე თავად პიროვნების შინაგან ბუნებაზე, მის ნებისყოფაზე, აღზრდილობის, შეგნების დონეზე, მის წარმოდგენაზე ცხოვრების აზრისა და ადამიანის დანიშნულების შესახებ. ცხოვრება გვარწმუნებს, რომ მხოლოდ ის ადამიანები აღწევენ წარმატებებს თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში, რომლებსაც ძალუძთ, დამოუკიდებლად გამოიმუშაონ საკუთარ თავში ესა თუ ის დადებითი თვისება და აღმოფხვრან უარყოფითი.

მიუხედავად იმისა, რომ თვითაღზრდის შესახებ უძველესი დროიდან მოგვეპოვება საყურადღებო მოსაზრებები, ტერმინი„თვითაღზრდა“ პედაგოგიკურ ლიტერატურაში დამკვიდრდა მხოლოდ XIX საუკუნის შუა ხანებში. თავდაპირველად იგი ნიშნავდა საკუთარი თავის ფლობას (ნ. ა. მილერ-კრასოვსკი, 1859 წ.). გერმანელი პედაგოგის **გ. კერშენშტაინერის** შრომებში (XX საუკუნის დასაწყისი) თვითაღზრდა გაგებულია როგორც ადამიანის ბრძოლა თავისი ბუნების, ცუდი ინსტინქტების წინააღმდეგ, როგორც ცხოველური მოთხოვნილების დაძლევა. „თავისუფალი აღზრდის“ იდეის მომხრენი (ჟ.-ჟ რუსო, ლ. ნ. ტოლსტოი) თვითაღზრდას მიიჩნევდნენ პიროვნების ფორმირების ყოვლისმომცველ პროცესად, ადამიანის განვითარების ძირითად საშუალებად, ამასთან, ისინი თვითაღზრდას უპირისპირებდნენ აღზრდას.

ამერიკელი მეცნიერი **ე. ფრომი** თავის უკანასკნელ ნაშრომებში მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა უნდა მოხდეს არა რევოლუციური გზით, არამედ თითოეული ადამიანის მიერ საკუთარი თავის გარდაქმნით.

პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში მეცნიერები თვითაღზრდას დღესაც სხვადასხვაგვარად განმარტავენ, მაგრამ ისინი ერთსულოვანი არიან იმაში, რომ თვითაღზრდა გულისხმობს საკუთარ თავში ნაკლოვანებების აღმოფხვრას, საკუთარი თავის მოწესრიგებას, სრულყოფასა და გაკეთილშობილებას, რასაც, უმრავლეს შემთხვევაში, შეგნებული და მიზანმიმართული ხასიათი აქვს. მაგალითად, *„პედაგოგიურ ლექსიკონში“* (მოსკოვი,1960, გვ. 315) თვითაღზრდა განმარტებულია როგორც „ადამიანის საქმიანობა, რომელიც მიმართულია საკუთარ თავში დადებითი თვისებების გამომუშავებისაკენ“.

ცნობილი რუსი ფსიქოლოგის, პროფესორ **ლ. რუვინსკის** აზრით, „თვითაღზრდა არის ადამიანის საქმიანობა საკუთარი პიროვნების შეცვლის მიზნით“. [1]

თვითაღზრდის პრობლემის აღიარებული მკვლევარი, პროფესორი **ა.კოვალევი** თავის წიგნში *„პიროვნება ზრდის თავის თავს“* წერს: *„თვითაღზრდა, ფართო გაგებით, არის მიზანმიმართული, შეგნებული და სისტემატური მუშაობა საკუთარ თავზე იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს საკუთარი პიროვნების განვითარება იმ დონით, რომელიც უპასუხებს საზოგადოებრივ მოთხოვნებსა და პირად იდეალს“.* [2]

ანალოგიური განმარტებაა მოცემული *„პედაგოგიურ ენციკლოპედიაში“* (მოსკოვი, 1966, გვ. 768). მასში ვკითხულობთ: *„თვითაღზრდა არის ადამიანის სისტემატური და შეგნებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია საკუთარ თავში დადებითი თვისებების გამომუშავების, სრულყოფისა და უარყოფითის დაძლევისაკენ“.*

ვ. ბონდარევსკის აზრით, თვითაღზრდა ისევე როგორც აღზრდა, ორი მნიშვნელობით იხმარება — *ფართო გაგებით და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით თვითაღზრდა — ეს არის ადამიანის შეგნებული და გეგმაზომიერი*

---

[1] *Рувинский Л. И. Самовоспитание школьников - М.: Просвещение, 1969, с. 9.*

[2] *Ковалев А. Г. Личность воспитывает себя. - М. Политиздат, 1983, с. 48.*

საქმიანობა, რომელიც მიმართულია პიროვნების ყოველმხრივი სრულყოფისაკენ. ვიწრო გაგებით თვითაღზრდა კი დაკავშირებულია საზოგადოებრივი ქცევის ნორმებისა და წესების დაუფლებასთან და საკუთარი თავის განსაზღვრული პროგრამის მიხედვით ვარჯიშთან. [1]

თვითაღზრდა თავის თავზე მუშაობაა. ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში,საკუთარ თავზე მუშაობაში გულისხმობენ მხოლოდ თვითგანათლებას, რაც არაა სწორი, რადგან თავის თავზე მუშაობა პიროვნების მარტო გონებრივ აღზრდას, მისი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას როდი გულისხმობს. მასში იგულისხმება ასევე პიროვნების ფორმირების სხვა მხარეების განვითარებაც. ეს პროცესი იწყება გარდამავალ ასაკში და გრძელდება ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

პიროვნების თვითაღზრდის დონე მჟღავნდება საქმისადმი მის დამოკიდებულებაში, ამხანაგებთან, მეგობრებთან, კოლეგებთან ურთიერთობაში, სიტყვა-პასუხში, ჩაცმა-დახურვაში და ა.შ. ამ მიზნით პიროვნებამ ისეთი თვისებები უნდა შეიმუშაოს, როგორიცაა: თავდაჭერილობა, საკუთარი თავის მართვა, სხვისი სატკივარის გულთან მიტანა, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცე, საკუთარი ქცევისა და მოქმედების შეფასება და სხვ.

XX საუკუნის დიდმა უკრაინელმა პედაგოგმა **ვასილ სუხომლინსკიმ** ერთხელ პატიმრებთან შეხვედრისას განაცხადა: *„თუ კაცს თავდაჭერის უნარი არა აქვს, თუ საკუთარ თავს ვერ იმორჩილებს, შეიძლება დამნაშავე გახდეს... ხელი უნდა მოკიდოთ საკუთარი თავის აღზრდას. საკუთარი თავის აღზრდა – ეს კაცის უდიდესი სულიერი ბრძოლაა საკუთარ თავთან... საშიში მანკია სუსტი ნებისყოფა, საკუთარი ქცევისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის უქონლობა“.* [2] მისი აზრით,

---

[1] *Бондаревский В.Б. Воспитание интереса к знаниям и потребности к самовоспитанию: Книга для учителя. - М.: Просвещение, 1985, с. 120.*

[2] *ვ. სუხომლინსკი, კეთილყავ გული შენი, გაზ. „კომუნისტი“, 1979 წლის, 26 აგვისტო.*

აქედან გამომდინარე, ვ. სუხომლინსკი თავის მოსწავ-ვლეებს არწმუნებდა, რომ ადამიანის მისწრაფებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საკუთარი თავის სრულყოფისაკენ მისწრაფება. იგი დღენიადაგ მოუწოდებდა აღსაზრდელებს საკუთარი თავის აღზრდის, თვითდისციპლინისა და თვითკონტროლისაკენ. მისი აზრით, „თვითაღზრდა საკუთარი თავის შეცნობით იწყება“. ამისათვის ადამიანმა მეტი უნდა იკითხოს იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც გმირობის ნათელი მაგალითები დაგვიტოვეს. ზრდიდე საკუთარ თავს – ნიშნავს გულთან ახლოს მიგქონდეს შენი სოფლის, შენი ქალაქის, რესპუბლიკის სახელი, გტკიოდეს მისი ტკივილი და გვერდს არ უვლიდე ყოველგვარ ნაკლს, არ მოქმედებდე პრინციპით: „ეს ჩემი საქმე არაა“, „ეს მე არ მეხება“, იბრძოდე ადამიანში სიკეთის, ზნეობისა და სამართლიანობის დამკვიდრებისათვის; და, რაც მთავარია, არ იღლებოდე, არ ჩაიმუხლებდე ამ ბრძოლაში.

თვითაღზრდის პროცესში პიროვნებამ თავის თავს უნდა შეხედოს, თუ შეიძლება ასე იქვას, გვერდიდან, სხვისი თვალით, კარგად უნდა შეიცნოს საკუთარი თავი და შეეცადოს იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრას, რაც მას გააჩნია. გამოჩენილი ინდოელი კლასიკოსი მწერალი და პედაგოგი რაბინდრანათ თაგორი წერდა: *„...თუ ბავშვს სურს, გახდეს ადამიანი, მაშინ მან პატარაობიდანვე უნდა აღზარდოს საკუთარ თავში ადამიანი, თორემ იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ბავშვადვე დარჩება“.* [1] საკუთარი თავის სრულყოფის გზაზე, გვმოძღვრავს რ. თაგორი, ადამიანმა უნდა „გადალახოს ყველა დაბრკოლება და... ისწავლოს საკუთარი თავის მართვა, თავშეკავება“.

ძველ ბერძენ ფილოსოფოს სოკრატეს ადამიანის ერთ-ერთ ძირითად ღირსებად საკუთარი თავის შეცნობის, თვითკონტროლის, თვითშეფასების უნარი მიაჩნდა. ის ხშირად იშველიებდა ძველებურ გამოთქმას: *„შეიცან თავი შენი“.*ერთ-ერთ თავის მოსწავლეს ის მიმართავდა: *„განა ნა-*

---

[2] *Тагор Р. Соч.: В 12-ти томах, т. 11, М., 1965, с. 131.*

ნათელი არ არის, რომ საკუთარი თავის ცოდნას ადამიანებისათვის ბევრი სიკეთე მოაქვს, ხოლო საკუთარ თავში გაურკვევლობას – ბევრი უბედურება? ვინც კარგად იცნობს თავს, მან იცის, რა არის მისთვის კარგი და რა – ცუდი, რა შეუძლია და რა – არა. თუ ადამიანი რასაც აკეთებს, ის საქმე კარგად იცის, ბედნიერად ცხოვრობს და ხელს არ კიდებს იმას, რაც არ იცის. ამით ის თავიდან იცილებს უბედურებას“. [1]

ამრიგად, აღზრდის შედეგი დამოკიდებულია არა მარტო აღმზრდელზე,არამედ აღსაზრდელზეც, კერძოდ იმაზე, თუ ვისთან გვაქვს საქმე, როგორია მისი ფსიქოფიზიკური თავისებურებანი: ყურადღება, აზროვნება, მეხსიერება, ნებისყოფა, შეგნება, პასუხისმგებლობის გრძნობა, თვითაღზრდის უნარი და ა.შ. **ვ. სუხომლინსკის** აზრით, არავის ძალუძს აღზარდოს ის ადამიანი, რომელიც არ ზრდის თავის თავს, არ ცდილობს საკუთარ თავში ნაკლოვანებების აღმოჩენას და მათ აღმოფხვრას. *„აღზრდილი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, შეიძლება ვუწოდოთ იმ ადამიანს,– წერს იგი,– რომელსაც შეუძლია საკუთარი თავის აღზრდა“.* [2] *„კაპიკია იმათი ფასი, ვინც ვერ მოიშლის ცუდ ჩვევებს“* (ნ. ოსტროვსკი).

თვითაღზრდა არ არსებობს ასევე თავმოყვარეობის, საკუთარი თავის ღირსების გრძნობის გარეშე. ვისაც თავმოყვარეობა არ გააჩნია, მისთვის სულერთია, რას ფიქრობს ხალხი მასზე. ასეთი ადამიანი იმას აკეთებს, რაც მოესურვება და ანგარიშს არ უწევს სხვის აზრს, სხვის შეხედულებას, მოქმედებს პრინციპით – „მე ვარ და ჩემი ნაბადი“. ასეთი ადამიანი საზოგადოების სიყვარულსა და პატივისცემას ვერ დაიმსახურებს.

იმისათვის, რომ ადამიანი ზრდიდეს თავის თავს, იგი უნდა იყოს საკუთარი თავის უფალი, გამგებელი. სიტყვა

---

[1] *პედაგოგიკის ისტორია, პროფ. ნ. ვასაძის რედაქციით, თბ., 1988, გვ. 22.*

[2] *ვ.სუხონლინსკი, მშობელთა პედაგოგიკა, თბ., 1981, გვ.17.*

„უფალი“, – წერს პროფესორი ***თამაზ კვაჭანტირაძე,*** *– ძველად პატრონს, მფლობელს, უფლების მქონეს აღნიშნავდა... მაგრამ ქართულმა ენამ სხვათა ფლობას, სხვათა უფლად ყოფნას კი არ დაუკავშირა ყველაზე ამაღლებული და ყველაზე ადამიანური მდგომარეობა სულისა, რასაც „თავისუფლება“ ჰქვია, არამედ – საკუთარი თავის ბატონპატრონობას; თავისუფალი ის არის, ვინც უფალი ანუ გამგებელია თავისი თავისა, თავისი პიროვნების, თავისი ჭკუა-გონებისა და ემოციების...“* [1]

ამრიგად, ჭეშმარიტი ადამიანი არის ის, ვისაც ძალუძს საკუთარი თავის ფლობა, მისი მართვა, ვინც საკუთარი თავის მბრძანებელი, დირიჟორია. ამისათვის იგი კარგად უნდა სწავლობდეს, იძენდეს ცოდნას, რადგან ცოდნის გარეშე საკუთარი თავის სრულყოფილად შეცნობა შეუძლებელია. თავის დროზე დ. გურამიშვილი ამბობდა: *„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისთავადო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“.* კაცი უსწავლელად, უცოდნელად ვერც საკუთარ თავს შეიცნობს და ვერც სხვას, და ვერც გზას გაიკვლევს ცხოვრებაში.

თვითაღზრდის პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის,რომ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს რაიმე საქმის კეთების სურვილი (ინტერესი), მაგრამ არ გააჩნდეს მისი განხორციელების უნარი. მაგალითად, მუსიკოსისათვის აუცილებელია სმენა, რიტმისა და მელოდიის გრძნობა, მხატვრისათვის – დაკვირვებისა და წარმოსახვის უნარი, ფერის გრძნობა, მომღერალისათვის – ხმა და ა.შ

ამა თუ იმ საქმის კეთების ნიჭი ადამიანს ეძლევა დაბადებიდან. ასე, მაგალითად, ზოგს დაბადებიდან დაყვება მუსიკის, პოეტობის, ხატვის, მათემატიკის, ჭადრაკის თუ სხვა საქმის კეთების ნიჭი, რომელთა განვითარება აღმზრდელზეა დამოკიდებული, მაგრამ არანაკლები როლი ენიჭება ამ საქმეში თვით ამ ნიჭის პატრონის აქტიურობას.

---

[1] *თ. კვაჭანტირაძე, სიტყვა, თბ., „სამშობლო ფორტე“, თბ., 2002 გვ. 27.*

ზარმაცს თანდაყოლილი ნიჭი ვერ უშველის ვერც სწავ-
ლაში და ვერც შრომაში.

ადამიანმა ნიჭი შეიძლება გამოავლინოს ადრეულ ასა-
კშიც და მოგვიანებითაც. მაგალითად, პასკალი, ლაიბნიცი,
გაუსი პატარაობიდანვე აოცებდნენ ყველას მათემატიკური
ნიჭით. მოცარტმა მუსიკალური ნიჭი სამი წლისამ გამო-
ავლინა. სახელოვანი რუსი მხატვარი კარლ ბრიულოვი
ცხრა წლისა სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა,
ალექსანდრე ივანოვი კი — თერთმეტისა. რვა წლის გოე-
თემ მშობლიური ენის გარდა, უკვე იცოდა ბერძნული,
ლათინური, ფრანგული და იტალიური ენები. რვა წლის
პაგანინი საუცხოოდ უკრავდა ვიოლინოზე. შოპენი ექვსი
წლის იყო, როცა ფორტეპიანოს დაკვრა დაიწყო, ხოლო
ცხრა წლისა პირველად გამოვიდა საჯარო კონცერტზე.
პროკოფიევი რვა წლის ასაკში გახდა კომპოზიტორი, შუ-
ბერტი — თერთმეტი წლის ასაკში, ვებერი — თორმეტი
წლისა და ა.შ.

დიდი ნიჭის პატრონი იყო ასევე **ალექსანდრე გრიბო-
ედოვი.** მან ბავშვობაში შეისწავლა ლათინური, ბერძნული,
ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენები, ხოლო მო-
გვიანებით — იტალიური, სპარსული და არაბული.11 წლის
იყო იგი, როცა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი გა-
ხდა და თანმიმდევრობით დაამთავრა სამი ფაკულტეტი —
სიტყვიერების, იურიდიული და საბუნებისმეტყველო-მა-
თემატიკური.

1988 წლის 8 მარტის გაზეთი „სახალხო განათლება“
(და კიდევ სხვა მრავალი ჟურნალ-გაზეთი) იუწყებოდა:
„ბათუმის III საშუალო სკოლის X-ა კლასის მოსწავლე
მარიუს ქუთათელაძე, რომელიც მხოლოდ 11 წლისაა, ამას
წინათ შეუდგა თემის „ღრუ სხეულის წინაღობა“ დამუშა-
ვებას.

უკვე ორი წლისას კითხვა შეეძლო, სამი წლისამ მე-
ზობლის ბავშვები გააოცა იმით, რომ ამოხსნა არითმეტი-
კული მაგალითი.

დადგა სკოლაში წასვლის დროც. ამ დროისათვის მა-
რიუსმა იცოდა გამრავლების ტაბულა, თავისუფლად ხსნი-

და მათემატიკურ მაგალითებს ორნიშნა რიცხვებზე და პატარა ამოცანებსაც კი ადგენდა. ექვსი წლის ბიჭუნა მეორე კლასში მიიღეს, მაგრამ აქაც დიდხანს არ დაყოვნებულა — საქართველოს განათლების სამინისტროს სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა მარიუსის მონაცემები და ნება დართო მეხუთე კლასში ევლო.

1983 წელს...მარიუს ქუთათელაძე მონაწილეობს ნორჩ მათემატიკოსთა ტრადიციულ საკავშირო დღესასწაულში, რომლის დამაარსებელიც გახლდათ ამ სკოლის პედაგოგი მედეა ჟღენტი. წამყვანმა სწავლულმა მათემატიკოსებმა, რომლებიც დღესასწაულზე ჩამოვიდნენ, შესთავაზეს მარიუსს, შესულიყო ლენინგრადის უნივერსიტეტთან არსებულ სამწლიან დაუსწრებელ მათემატიკურ სკოლაში. ეს სკოლა მარიუსმა შარშან წარჩინებით დაამთავრა.

მარიუსის არაჩვეულებრივ მათემატიკურ ნიჭს ყურადღება მიაქცია ტალინის კიბერნეტიკის პროფესორმა პეტერ ლორენსმაც, რომელმაც შესთავაზა მას თემა „ცილინდრული რგოლის წინაღობა“. მარიუსი მას ტალინში ამუშავებდა. აქვე გააკეთა მოხსენება. მოხსენების მოსმენის შემდეგ მეცნიერებმა ერთსულოვანი აზრი გამოთქვეს: მიეღოთ მარიუს ქუთათელაძე პრაქტიკული მათემატიკის სექტორის ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების წევრად“.[1]

სწავლულებიც მნიშვნელოვან რამეს, როგორც წესი, ახალგაზრდობისას ქმნიან ხოლმე. მაგალითად, ნიუტონი 25 წლისაც არ იყო, მიზიდულობის კანონი რომ აღმოაჩინა, ფიზიკოსი ენრიკო ფერი 25 წლისა უკვე პროფესორი და ატომური პრობლემების უდიდესი სპეციალისტი იყო, ლანდაუ 24 წლისა უკვე თეორიული ფიზიკის კათედრას ხელმძღვანელობდა. ოცდაათ წლამდე გამოიჩინეს თავი ბოტანიკოსმა ვავილოვმა, ფიზიკოსმა კურჩატოვმა და ავიაკონსტრუქტორმა იაკოვლევმა.

ცნობილი მათემატიკოსი სერგეი მერგელიანი 16 წლისა შევიდა ფიზიკა-მატემატიკის ფაკულტეტის II კურსზე და ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიიღეს ასპირანტუ-

---

[1] *გაზ. „სახალხო განათლება“, 1988 წლის 8 მარტი.*

რაში. წელიწადნახევარში დაწერა საკანდიდატო ნაშრომი, მაგრამ დისერტაცია იმდენად მაღალი დონის იყო, რომ სამეცნიერო საბჭომ გადაწყვიტა, 20 წლის მაძიებლისათვის მიენიჭებინა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. მეორე ცნობილი მათემატიკოსი ს. ლ. სობოლევი 25 წლისა უკვე მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და პროფესორი იყო.[1]

მაგრამ ყველა დიდი ადამიანი პატარაობიდანვე როდი იჩენდა თავს, როგორც ფენომენი. ბევრი მათგანი ბავშვობისას და ყმაწვილობისას უნიჭო, ყეყეჩი ადამიანის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებდა. ჯემს უატი, ჯონათან სვიფტი, კარლ გაუსი „სკოლის გერები“ იყვნენ და უნიჭო მოსწავლეებად ითვლებოდნენ. აინშტაინი არავითარ ინტერესს არ იჩენდა ფიზიკისა და მათემატიკისისადმი და, საერთოდ, სუსტ მოსწავლედ ითვლებოდა. მას ბიძა იაკობი ეუბნებოდა: „არა უშავს, ალბერტ, ყველა როდი ხდება პროფესორი, შენგანაც რაღაც გამოვა“. კარლ ლინეიზე ამბობდნენ, მაგისგან ხარაზის მეტი არაფერი დადგებაო. ჩარლზ დარვინს მისი მამა უნიჭოს უწოდებდა, ედისონი კი დებილად მიაჩნდათ.

ისეთი ცნობილი მწერლები, როგორიც იყვნენ: ჟიულ ვერნი, ბალზაკი, ალექსანდრე დიუმა (მამა), დანიელ დეფო, კრილოვი, გონჩაროვი, ალექსანდრე ყაზბეგი და ბევრი სხვა, გვიან გამოვიოდნენ სამწერლო ასპარეზზე და მხოლოდ შუახნის ასაკში გაითქვეს სახელი.

ყოველმა ადამიანმა კარგად უნდა შეიცნოს საკუთარი თავი და ხელი მიჰყოს იმ საქმეს,რისი ნიჭიცა და უნარიც გააჩნია. ამით იგი მეტ სარგებლობას მოუტანს როგორც საკუთარ თავს, ისე ქვეყანას, საზოგადოებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის უნარი ყველას როდი შესწევს. ეს ეხება, უწინარეს ყოვლისა, მოზარდებს. ისინი ხან ერთ პროფესიაზე ოცნებობენ და ხან – მეორეზე, არ იციან, რომელი პროფესია აირჩიონ და რა გზას დაადგნენ. ამ საქმეში მათ

---

[1] *ვ. პეკელისი, შენი შესაძლებლობანი, ადამიანო! თბ., „ნაკადული“, 1978, გვ. 39.*

სჭირდებათ პედაგოგების, გამოცდილი ადამიანების, ავტორიტეტული პიროვნებების რჩევა-დარიგებანი, მაგრამ *„სხვისი სიბრძნის აღქმისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა თავისთავზე დამოუკიდებელი მუშაობა“* (ლ. ტოლსტოი). *„რარიგ ბრძენ ადამიანთა შორისაც უნდა ტრიალებდე, — გვასწავლის* ***ვ. სუხომლინსკი,*** *— ბრძენად ვერ იქცევი, თუ არ გაირჯები... ჭკუა რომ შეიძინო, საკუთარი „ტვინი უნდა გაანძრიო“.*[1] ამიტომაც ამბობდა რუსთაველი: *„თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“.*

თვითაღზრდის პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ასევე ის, თუ როგორი წარმოდგენა აქვს პიროვნებას საკუთარ თავზე. როცა იგი სათანადოდ ვერ აფასებს თავის თავს, არ სჯერა თავისი ძალებისა და შესაძლებლობისა, მაშინ მისი ნიჭი სრულყოფილად ვერ განვითარდება. *„ჭონების უდიდესი სისუსტის მაჩვენებელია უნდობლობა ჭონების ძალებისადმი“,* — წერდა დიდი რუსი კრიტიკოსი **ბესარიონ ბელინსკი.**

ადამიანი არასოდეს არ უნდა უშინდებოდეს სიძნელეებს, მისი ბრძოლის ჟინი არასოდეს არ უნდა ცხრებოდეს. ზნეობრივად სრულყოფილმა ადამიანმა მაშინაც კი არ უნდა შეწყვიტოს ბრძოლა, ფარ-ხმალი არ უნდა დაყაროს, როცა თითქოსდა სიკვდილი გარდაუვალია. ამის ნათელი მაგალითი გვიჩვენა გამოჩენილმა ფრანგმა მწერლმა და მფრინავმა **ანტუან დე სენტ-ეგზიუპერმა.** თვითმფრინავის ავარიის შედეგად ეგზიუპერი და მისი მექანიკოსი პრევო უდაბნოში უწყლოდ და ულუკმაპუროდ რჩებიან და გადარჩენის არავითარი შანსი არ გააჩნიათ, მაგრამ ისინი ბედს არ ურიგდებიან, სიკვდილს არ ნებდებიან, მშიერ-მწყურვალი განაგრძობენ გზას და შინ მშვიდობიანად ბრუნდებიან.

ასევე უარყოფითად მოქმედებს პიროვნების საქმიანობაზე მისი თვითდაჯერებულობა, გადაჭარბებული წარმოდგენა საკუთარ თავზე, რასაც,ხშირ შემთხვევაში,მივყავართ საკუთარი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო, არასერიო -

---

[1] *ვ. სუხომლინსკი, წერილები შვილებს, ბათუმი, „ალიონი“, 2008, გვ. 90.*

ზული დამოკიდებულებისა და უნარ-ჩვევების დაქვეითებისაკენ.

პიროვნების თვითაღზრდაში ქცევის მოტივად გვევლინება ***ინტერესი.*** იგი წარმოშობს ადამიანში თავისთავზე სისტემატური მუშაობის სურვილს და ძირითადად მჟღავნდება ადამიანის მიერ თავისი უშუალო მოვალეობის შესრულების პროცესში. ეს ინტერესი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. დადებითი ინტერესი ააxლოებს პიროვნებას კოლექტივთან, უარყოფითი კი — აშორებს, იწვევს მისი სულიერი მოთxოვნილების დაქვეითებას, დეგრადაციას. **კ. უშინსკის** სამართლიანი მტკიცებით, მოსწავლე, რომელიც სწავლობს მxოლოდ იძულებით, ყოველგვარი ინტერესის გარეშე, გულს იცრუებს სწავლაზე და კარგავს მისდამი ინტერესს. და პირიქით, როცა ადამიანს ცოდნის შეძენის სურვილი აქვს, იგი გატაცებით მუშაობს წიგნზე და ამასთან, ნაკლებად იღლება, ვიდრე არასაინტერესო საქმის კეთებისას.

ინტერესთა უქონლობა ან მათი სიღარიბე ჭაბუკისა და ქალიშვილის ცxოვრებას უფერულსა და უშინაარსოს xდის და xელს უშლის მათი პიროვნების სრულფასოვან ჩამოყალიბებას.

V-VI კლასებში საქმისადმი ინტერესის გარდა, თვითაღზრდის მოტივის როლში გვევლინება აგრეთვე მოსწავლის ***სურვილი*** — ასიამოვნოს მასწავლებლებს, მშობლებს, ახლობელ ადამიანებს და დაიმსახუროს მათი შექება.

VII-VIII კლასებში თვითაღზრდისაკენ წამაქეზებელ ძირითად მოტივად გვევლინება ***იდეალი.*** ამ კლასებში შესამჩნევად იზრდება გონებრივი აღზრდის როლი თვითაღზრდის მოტივაციაში.

თვითაღზრდის დროს მxედველობაში უნდა იქნას მიღებული ასევე ***სინდისი,***რომელსაც **ვ.სუxომლინსკი** *„თვითაღზრდის მთავარ ძრავას“* უწოდებს, **ნოდარ დუმბაძე** კი — *„საკუთარ შინაგან დიციპლინას“.*სინდისიერი ადამიანი ყველგან და ყოველთვის xნეობრივად იქცევა, მაშინაც კი,როცა არავინ უთვალთვალებს; ამასთან,დარწმუნებულია, რომ მის სასიკეთო საქმეს ვერავინ გაიგებს ვერც მაშინ, როცა

იგი ასეთ საქციელს სჩადის და ვერც შემდგომში. ასეთ კაცს კარგად ესმის ლევ ტოლსტოის სიტყვების აზრი: *„თუ სიკეთეს მიზეზი აქვს, ის უკვე აღარ არის სიკეთე, თუ ამ სიკეთეს აქვს შედეგი – ჯილდო, ესეც აღარ არის სიკეთე. ასე რომ, სიკეთე მიზეზ-შედეგთა ჯაჭვის გარეშეა“.* [1]

ამრიგად,რაც უფრო აღზრდილი და შეგნებულია ადამიანი, მით უფრო მეტ კონტროლს უწევს საკუთარ ქცევასა და მოქმედებას. თვითაღზრდის პროცესში კი პიროვნებას უყალიბდება საკუთარი თავის თვითშეფასების უნარი და ასე თანდათანობით ვითარდება იგი, მიდის საზოგადოებრივი და მორალური მოთხოვნილების შეგნებამდე.

აკად. **დიმიტრი უზნაძის** აზრით, საკუთარი თავის მართვა, საკუთარ თავზე ბატონობა დიდადაა დამოკიდებული ***ფიზიკურ ვარჯიშზე.*** ფიზიკური ვარჯიში, მისივე აზრით, ძლიერი ნებისყოფის, ამტანობის აღზრდისა და საკუთარი სხეულის მიზანდასახულად მართვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ამიტომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სკოლაში საგიმნასტიკო დარბაზისა და სათამაშო მოედნის მოწყობას.

თვითაღზრდაში არანაკლები როლი ენიჭება ***შრომას.*** *„შრომის პროცესში,* – წერს **ვ. სუხომლინსკი,** – *ადამიანს ეძლევა თვითაღზრდის, თვითშემეცნების, საკუთარი თავის სრულყოფის უსაზღვრო შესაძლებლობა. შრომის ამოუწურაობის გამო, ადამიანი თვით ხდება ამოუწურავი და მის სრულყოფას საზღვარი არ ექნება“.* [2]

შრომაში ადამიანს უვითარდება არა მარტო უნარ-ჩვევები, არამედ ნიჭიც. შრომა მოითხოვს წესრიგს, დისციპლინას, ორგანიზებულობას, მანქანისა და საკუთარი თავის მართვის უნარს და ა. შ. მაგრამ აღმზრდელობითია მხოლოდ თავისუფალი შრომა, რომელიც საკუთარი გონებითაა ნაკარნახევი, როცა თავი და ხელები ერთდროულად, შეთანხმებულად და გააზრებულად მოქმედებენ.ასეთი შრო-

---

1 ლ. ტოლსტოი, ანა კარენინა, ტ.VIII, თბ., 1964, გვ. 443.

2 ვ. სუხომლინსკი, წერილები შვილებს, ბათუმი, 2008, გვ. 117.

მა შემოქმედებაა და იგი სიხარულსა და კმაყოფილებას გვრის ადამიანს, საბოლოო ჯამში კი, აბედნიერებს მას, ხოლო მონური შრომა უინტერესო და ადამიანის პიროვნების შეურაცხმყოფელია. *„მთელს ჩემს ცხოვრებაში მიყვარდა და მიყვარს გონებრივი და ფიზიკური შრომა, — წერდა აკადემიკოსი* ***ივანე პავლოვი,*** *— და მგონი, მეორე უფრო მეტად. განსაკუთრებით კმაყოფილებას ვგრძნობდი მაშინ, როცა... თავსა და ხელებს ვაერთებდი“.* [1]

ხელისა და თავის შეერთებაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ **ჟან-ჟაკ რუსო,** ჩვენს დროში კი — **ვ. სუხომლინსკი.** ლევ ტოლსტოი ერთდროულად რამდენიმე ნაწარმოებზე მუშაობდა. ერთ ნაწარმოებზე მუშაობით რომ დაიღლებოდა, მეორე მაგიდას მიუჯდებოდა და მუშაობას აგრძელებდა, აქაც რომ დაიღლებოდა, გუთანს ან თოხსა და ბარს მიეძალებოდა, თიბვაშიც არავის ჩამოუვარდებოდა, უყვარდა შეშის დაჩეხვა და ღუმელებთან ჩამორიგება, შემდეგ ისევ გონებრივ შრომას უბრუნდებოდა. გონებრივი და ფიზიკური შრომის ასეთი შენაცვლებით იგი ისვენებდა და ისევ თავიდან იწყებდა ყველაფერს.

გონებრივი შრომით გადაღლის შემთხვევაში სასურველია გადავერთოთ ისეთ სამუშაოზე, რომელიც გონების დააძაბვას არ მოითხოვს. შეიძლება ფიზიკური ვარჯიშების ჩატარებაც ან სატელევიზიო გადაცემების ნახვა,მაგრამ ამ უკანასკნელით ზედმეტად გატაცება მიზანშეწონილი არაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანი გარკვეული ნიჭით იბადება და მისი ნიჭის შემდგომი გაშლა-განვითარება აღმზრდელზეა დამოკიდებული, მაგრამ ამ საქმეში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება თვით ამ ნიჭის პატრონის ***აქტიურობას.*** ამიტომ აქტიურობა პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში მიჩნეულია განვითარების ძირითად წყაროდ.

ამრიგად,ნამდვილ აღზრდასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როცა მასში თვით აღსაზრდელიცაა ჩაბმული, რა-

---

[1] *Рувинский Л. И. Самовоспитание чувств, интелекта, воли. - М.: Знание, 1983, с. 87.*

საც იგი თავისი აქტიურობით გამოხატავს. ამ შემთხვევა-ში ბავშვი აღზრდის მარტო ობიექტი კი არ არის, არამედ თავისი განვითარების აქტიური შემოქმედი, სუბიექტიცაა.

თვითაღზრდა დინამიკური პროცესია. პიროვნების გან-ვითარების მიხედვით იცვლება მისი როგორც მიზანი და შინაარსი, ისე საკუთარ თავზე ზემოქმედების საშუალებე-ბი. ეს დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე, კერძოდ: თვითაღზრდის პროცესში წარმატებებსა თუ წარუმატებ-ლობაზე, შექმნილ ვითარებაზე, საკუთარი თავისადმი მომ-თხოვნელობის გაზრდაზე, იმის შეგნებაზე, თუ რა თვისება უნდა იქნას გამომუშავებული პირველად და რა – შემდეგ.

თვითაღზრდის სიძლიერეზე დიდადაა დამოკიდებული ადამინის წარმატებები პირად და საზოგადოებრივ ცხოვ-რებაში. კაცობრიობის თითქმის ყველა გამოჩენილმა მოა-ზროვნემ ძირითადად თვითაღზრდითა და თვითგანათლებით მიაღწია სრულქმნილების იმ დონეს, რომელზეც შესაძლე-ბელი გახდა ეპოქალურ მოვლენათა მსვლელობის განჭვ-რეტა, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონე-ბის დადგენა.

თვითაღზრდის დიდ ძალას ყოველთვის აღიარებდნენ საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები. მაგალითად, გამოჩენილი მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ი. გრი-შაშვილი, შ. დადიანი, პ. ინგოროყვა, ა. ჩეხოვი, მ გორკი, ლ. ტოლსტოი, კ. ციოლკოვსკი, ჩ. დარვინი, ი. მიჩურინი, ჟან-ჟაკ რუსო, რ. ოუენი და სხვები მთელი თავიანთი სი-ცოცხლის მანძილზე ეწეოდნენ თვითაღზრდას, თვითგანათ-ლებას, საკუთარი თავის სრულყოფას. სწორედ საკუთარ თავზე განუწყვეტელი და დაუღალავი მუშაობით შეძლო **მაქსიმ გორკიმ** გამხდარიყო ცნობილი მწერალი. ამიტომაც იგი ყველა თავის წარმატებას წიგნს უმადლოდა. იგივე შეიძლება ითქვას **იოსებ გრიშაშვილზე,** რომელიც წერს:

წიგნს შევსწირე ყველაფერი,
გამიჩინა გულს იარა.
მთხოვე, რაც გსურს, მთხოვე, რაც გსურს,
პერანგს მოგცემ, წიგნს კი არა.

ან კიდევ, მისივე:

მიყვარდა კითხვა, წიგნს ვსახავდი მე თვალისსჩინად,
მიყვარდა კითხვა და ამ კითხვამ გადამარჩინა.

*„ყველაფერი, რაც ძვირფასია ჩემში,— წერდა **ჩ. დარ-ვინი,** — მივიღე მხოლოდ და მხოლოდ თვითგანათლებით“.*

მეცნიერული ექსპერიმენტებით დადასტურებულია,რომ ადამიანს საკუთარი თავის განვითარების უდიდესი შესაძ-ლებლობანი გააჩნია, რასაც ყველა ეპოქისა და დროის გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიები ადასტურებს. ასე, მა-გალითად, დემოსთენე, მიუხედავად თანდაყოლილი ენა-ბლუობისა, უდიდესი ორატორი გახდა, ფიზიკურად სუსტი ყმაწვილი ალექსანდრე სუვოროვი თავის თავზე გულმოდ-გინე მუშაობის შედეგად ამტანიანი მეომარი დადგა.

თვითაღზრდა, როგორც საკუთარი პიროვნების სრულ-ყოფისაკენ მიმართული მოქმედება, სხვადასხვა ასაკში სხვადასხვაგვარია. სკოლამდელი ასაკის ბავშვის დამახა-სიათებელი თვისებაა მიმბაძველობა. მიმბაძველობით შეძე-ნილი ესა თუ ის თვისება მიმდინარეობს თვითაღზრდის გარეშე, ვინაიდან იგი წარმოადგენს დანახულის შეუგნე-ბელ განმეორებას. ე.ი. ამ ასაკში ბავშვის ქცევასა და მო-ქმედებას სტიქიური, იმპულსური, გაუცნობიერებელი ხა-სიათი აქვს. შემდგომ, ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად, მიმბაძველობა თანდათანობით მცირდება და შესაბამისად იზრდება თვითაღზრდა, მაგრამ უმცროს სასკოლო ასაკში მისი როლი მაინც უმნიშვნელოა. ამ ასაკის ბავშვს არ ძა-ლუძს კონტროლი გაუწიოს საკუთარ ქცევასა და მოქმე-დებას. იგი ვერ ამყარებს კავშირს საკუთარ ღირსებასა და მის უკმარისობას შორის. იგივე შეიძლება ითქვას გარდა-მავალ ასაკზე. ამ ასაკის მოზარდების მთავარი საზრუნა-ვია საკუთარი ნებისყოფისა და ხასიათის აღზრდა. აი, ზო-გიერთი მათგანის ნაფიქრ-ნააზრევი:

„საჭიროა ყველაფერი გააკეთო სინდისიერად, თავს ძალა დააატანო და გაკვეთილები ისწავლო მაშინაც კი, როცა შენი ამხანაგები ფეხბურთს თამაშობენ“; „როცა მთხოვენ რაიმე დავალების შესრულებას (მაგალითად, გა-ზეთის გაფორმებას), მაგრამ მე არ მსურს მისი შესრუ-ლება, ვაიძულო საკუთარი თავი და შევასრულო იგი“;

„როცა საჭიროა გაკვეთილების მომზადება, საინტერესო წიგნის კითხვას თავს ვანებებ“; „უნდა აკეთო ის საქმე, რაც საჭიროა და არა ის, რაც მოგწონს“; „როცა საქმეს ხელს ჰკიდებ, ბოლომდე მიიყვანე იგი“ და ა.შ. [1]

გარდამავალი ასაკის ბავშვებისათვის დამახასიათებელია დამოუკიდებლობისა და საგმირო საქმეებისაკენ მისწრაფება, მაგრამ ბევრი მათგანი არასწორი გზით ცდილობს საკუთარი თავის აღზრდას. იმისათვის, რომ გვიჩვენოს თავისი „გმირობა“, მოზარდი იწყებს ყირაზე შემდგარი მოაჯირზე სიარულს, გადაცურავს ადიდებულ მდინარეს, ხტება სატვირთო ავტომანქანის ძარიდან და ა.შ., რითაც თავს საფრთხეში იგდებს. აი, რას წერს ერთ-ერთი ბიჭი საბჭოთა კავშირის გმირს **ალექსეი მარესიევს:** „მე თითს ვყოფ ღია კარის ხვრელში, ჩემი ამხანაგი კი ნელა იწყებს კარის დახურვას. სულ უფრო და უფრო მაწუხებს ტკივილი, მაგრამ ვითმენ. რაც უფრო დიდხანს გავძლებ ასე, მით უფრო გამოიწრთობა ჩემი ხასიათი. შემდეგ იგი ყოფს კარში თითს და ახლა მე ვიწყებ კარის დახურვას“.[2] აი, სწორედ აქ გვჭირდება აღმზრდელებს დიდი სიფრთხთხილე, ზომიერება და ტაქტი, რათა მოზარდები დავარწმუნოთ თვითაღზრდის მათეული „მეთოდის“ მცდარობაში.

სულ სხვა მდგომარეობაა უფროს სასკოლო ასაკში. ამ დროს პიროვნებას უჩნდება საკუთარი შეხედულებები და თავს იჩენს თვითაღზრდის პროცესის შეგნებული მართვა.ამ ასაკის მოსწავლე უკვე თავს ვალდებულად თვლის იმოქმედოს საკუთარი სურვილით, სხვისი ბრძანების გარეშე, მოსთხოვოს საკუთარ თავს ზნეობრივი ნორმების დაცვა. ამასთან, მას ძალუძს თვითვე შეაფასოს საკუთარი მოქმედება საზოგადოებრივი ღირებულების თვალსაზრისით. ხედავს რა წინააღმდეგობას საკუთარ ქცევასა და მისდამი წაყენებულ მოთხოვნას შორის, ცდილობს ამ წინააღმდე-

---

[1] *Ковалев А. Г. самовоспитание школьников. – М.: Просвещение, 1967, с. 60.*

[2] *Рувинский Л. И. Самовоспитание чувств, интелекта, воли. - М.: Знание, 1983, с. 138.*

გობის დაძლევას.

ახლა გავეცნოთ უფროსკლასელთა მოსაზრებებს თვითაღზრდაზე: „ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს ზრდიან, ხდებიან უფრო თავშეკავებულნი, შინაარსიანი, ჭკვიანი და ლამაზიც კი“; „აღზარდო საკუთარი თავი – ნიშნავს იყო საკუთარი ხასიათის მჭედელი“; „მე არასოდეს მივისწრაფოდი გავმხდარიყავი „უნივერსალური“ პიროვნება, იდეალური ადამიანი, მაგრამ ყოველი ადამიანი... უნდა მიისწრაფოდეს – გახდეს სულ უფრო და უფრო უკეთესი. ამის მიღწევა კი თვითაღზრდის გარეშე შეუძლებელია“.[1]

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი უფროსკლასელისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნობია. მან ჯერ კიდევ არ იცის „ჟამი რას ითხოვს“, რას მოითხოვს მისგან საზოგადოება. თუმცა ამის ცოდნაც არაა საკმარისი. ბევრმა მოსწავლემ კარგად იცის, რასაც მისგან მოითხოვენ, მაგრამ არ ასრულებს. ეს იმიტომ, რომ იგი დარწმუნებული არ არის ამ მოთხოვნის შესრულების აუცილებლობაში და ნაკლებად ცდილობს შექმნილი სიტუაციის შეცვლას, ნაკლებად მიმართავს თვითღზრდას. მეორე მიზეზი ამისა შეიძლება იყოს ის, რომ ცოდნა, რომელიც მოსწავლეს გააჩნია, არაა მყარი, მის მიერ შეგნებულად და გააზრებულად შეთვისებული, რწმენად ქცეული. ცოდნა გადადის თვითაღზრდაში მაშინ, როცა იგი შეგნებულად შეთვისებული, ღრმად გააზრებული და რწმენადაა ქცეული. რწმენა კი შეგნების უმაღლესი საფეხურია.

თვითაღზრდა ასევე მოითხოვს არა მარტო საზოგადოდოებრივი ნორმების ცოდნას, არამედ ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას და ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცესაც. ბევრი ადამიანის სიტყვისა და საქმის გათიშულობის მიზეზი სწორედ მტკიცე ნებისყოფის უქონლობაა, რომლის გარეშეც თვითაღზრდა არ არსებობს. შეუპოვარი შრომით, ნებისყოფის დაძაბვით შეიძლება მივაღწიოთ იმას, რასაც სხვები ვერ აღწევენ. ასეთ

---

[1] *Ковалев А. Г. самовоспитание школьников. – М.: Просвещение, 1967, с. 14-15.*

ადამიანებს საქმე უკეთ გამოსდით, ვიდრე „გენიალურ ზარმაცებს“. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერ **ედისონს,** როცა ამბობდა: *გენიოსობა ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი შრომაა და ხუთი პროცენტი ნიჭიო.* თავისი ელექტრონათურის ძაფისათვის შესაფერისი მასალის შესარჩევად ედისონმა თანაშემწეებთან ერთად ათასობით ცდა ჩაატარა და ორასამდე უბის წიგნაკი შეავსო.

ნებისყოფის აღზრდის მთავარი გზაა გარკვეული მიზნის დასახვა და მისი განხორციელებისათვის საკუთარ თავთან შეუპოვარი ბრძოლა. ე. ი. იმისათვის, რომ ვეწეოდეთ თვითაღზრდას, უნდა ვაჯობოთ საკუთარ თავს, დავძლიოთ სიზარმაცე და საკუთარი თავისადმი უნდობლობა. ეს კი წარმატების საწინდარია. თვითაღზრდა სწორედ შეუპოვრობისა და საკუთარი თავის გამოსაცდელად გადადგმული პირველი ნაბიჯიდან იწყება. ცნობილი რუსი მწერლის **ნ. გოგოლის** აზრით, ამა თუ იმ საქმეში წარუმატებლობის შემთხვევაში საკუთარ თავს უნდა მივუდგეთ ოპტიმისტურად და „ისევ და ისევ შეტევაზე უნდა გადავიდეთ“ ნ. ოსტროვსკი), რადგან ყველა წარუმატებლობა ჩვენი დაუდევრობის შედეგია – ან ვიჩქარეთ, ანდა რაღაც გამოგვრჩა, ამიტომ ისევ უნდა ვცადოთ, ისევ უნდა მივუბრუნდეთ იმავე საქმეს და გული არ გავიტეხოთ, როცა მეორე თუ მესამე ცდაზეც ვერ ვაღწევთ დასახულ მიზანს. *„დიდი ადამიანები იმიტომაც იქცნენ დიდებად,* – წერდა ნ. გოგოლი, – *რომ ისინი არასგზით არ შემკრთალან პირველი წარუმატებლობისას და არა მარტო პირველი, არამედ რამდენიმე წარუმატებლობის შემთხვევაშიც კი“.* [1]

თვითაღზრდის მიმართულების განსაზღვრაში დიდ როლს ასრულებს ***ინტერესი.*** იგი წარმოშობს ადამიანში თავისთავზე სისტემატიური მუშაობის აუცილებლობას. ინტერესთა უქონლობა ან მათი სიღარიბე ჭაბუკისა და ქალიშვილის ცხოვრებას უფერულსა და უშინაარსოს ხდის

---

[1] *Наука и Жизнь, 1966, № 36 с. 91.*

და ხელს უშლის მათი პიროვნების სრულფასოვან ჩამოყალიბებას.

ამრიგად, რაც უფრო აღზრდილი და შეგნებულია ადამიანი, მით უფრო მეტ კონტროლს უწევს საკუთარ ქცევასა და მოქმედებას. თვითაღზრდის პროცესში კი პიროვნებას უყალიბდება საკუთარი ქცევისა და მოქმედების თვითშეფასების უნარი და ასე თანდათანობით ვითარდება იგი, მიდის საზოგადოებრივი და მორალური მოთხოვნილების შეგნებამდე.

თვითაღზრდაში დიდ როლს ასრულებს ის ***კოლექტივი,*** ის გარემო, რომელშიც პიროვნებას უხდება ცხოვრება. თუ მოსწავლეს სურს კოლექტივში დადებით პიროვნებად იყოს მიჩნეული, მაშინ იგი ცდილობს იმ თვისებების შეძენას, რომლებიც კოლექტივის მოწონებას იმსახურებს და მიმართავს თვითაღზრდას. მაგრამ ეს არც ისე ადვილია. ძმისადმი მიწერილ წერილში **ა. ჩეხოვი** წერდა: *„იმ გარემოს დონის შესაბამისად რომ აღიზარდო, რომელშიც მოხვდი, ...საჭიროა დღე და ღამე განუწყვეტელი შრომა, გამუდმებით კითხვა, საფუძვლიანი სწავლა, ნებისყოფა... ამ დროს ძვირფასია ყოველი საათი“.* [1]

თვითაღზრდის საუკეთესო გზაა საკუთარ თავზე მუშაობის გეგმის (პროგრამის) შედგენა. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ამ გეგმის შედგენაში. მაგრამ საკუთარი საქმიანობისა და საკუთარი პიროვნების დაგეგმვას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ დასახული მიზანი უთუოდ სრულდება.საამისოდ საჭიროა თვითკონტროლი,საკუთარი თავის სხვისი თვალით დანახვა.სათანადოდ განვითარებული თვითკონტროლის გარეშე თვითაღზრდაზე ლაპარაკი ზედმეტია.

კლასის ხელმძღვანელმა შეიძლება გააცნოს მოსწავლეებს თვითაღზრდის პროგრამა, რომელიც სიჭაბუკეში შეიდგინა **ლევ ტოლსტოიმ:**

1. რაც აუცილებლად გასაკეთებელია, გააკეთე ყველა-

---

[1] *საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია, თბ., „განათლება“, 1986, გვ. 3.*

ფრის მიუხედავად;

2. რასაც გააკეთებ, გააკეთე კარგად;

3. თუ რაიმე დაგავიწყდეს, ნუ ჩაიხედავ წიგნში, ეცადე, თვითონ მოიგონო;

4. აიძულე გონება, მუდამ მოქმედებდეს მთელი ძალით... [1]

თავისთავზე მუშაობის ანალოგიური პროგრამა ჰქონდა შედგენილი **კ. დ. უშინსკის.** აი, ზოგიერთი პუნქტი ამ პროგრამიდან:

1. სრული სიმშვიდე, უკიდურეს შემთხვევაში, გარეგნული მაინც;

2. საჭიროების გარეშე არც ერთი სიტყვა თავისთავზე;

3. არ გავფლანგო დრო, ვაკეთო ის, რაც საჭიროა და არა ის, რაც მსურს. [1]

4. ვხარჯო დრო მხოლოდ აუცილებელზე ან სასიამოვნოზე, მაგრამ არა ვნებით ნაკარნახევზე;

5. ყოველ საღამოს კეთილსინდისიერად ჩავაბარო ანგარიში საკუთარ თავს ჩემი ქცევის შესახებ.

6. არავითარი ტრაბახი — არც იმით, რაც იყო, არც იმით, რაც არის და არც იმით, რაც იქნება.

7. არავის არ ვაჩვენო ეს დღიური. [2]

თვითაღზრდისათვის დიდი მნიშვნელოვანია ენიჭება ცოდნის გაღრმავებას, ინტელექტუალური დონის ამაღლებისაკენ სწრაფვას.

მოსწავლეებში თვითაღზრდის შემუშავების მთავარი გზაა ***დარწმუნება.*** დარწმუნების ეფექტური საშუალებებია: ახსნა-განმარტებითი მუშაობა, მასწავლებლის პირადი მაგალითი და გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან აღებული ქცევის სანიმუშო მაგალითების ჩვენება, რჩევა-დარიგება, ბრძანება და აკრძალვა, დავალების მიცემა, შეგონება და დაჯერება; ასევე კითხვა-პასუხის საღამოები, ლიტერატურული დილა-საღამოები ისეთ თემებზე, როგორიცაა: „რო-

---

[1] *Толстой Л. Н. Пол. собр. соч., т. 46, М.-Л., 1934, с. 8-9.*

[2] *Ушинский К.Д. Собр. соч., т. 11, М., 1952, с. 27.*

გორ მესახება თანამედროვე ადამიანი,“„რატომ უნდა ვცეთ პატივი აღმზრდელებს“, „ვის შეიძლება ეწოდოს ნამდვილი მეგობარი“, „როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი პატრიოტი“ და ა.შ.

სამეცნიერო ლიტერატურაში თვითაღზრდის საშუალებათა შორის მიუთითებენ ასევე ცნებებს, როგორიცაა: თვითკრიტიკა, თვითდარწმუნება, თვითშეგონება, თვითიძულება, თვითვალდებულება, თვითკონტროლი, თვითშეფასება, საკუთარი თავის სხვის მდგომარეობაში გადაყვანა (ემპატია), თვითწახალისება, თვითდასჯა და სხვ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტურობა, მისი შედეგი დამოკიდებულია არა მარტო აღმზრდელზე, არამედ აღსაზრდელზეც, კერძოდ იმაზე, თუ ვისთან გვაქვს საქმე, როგორია მისი ფსიქოფიზიკური თავისებურებანი (ყურადღება, აზროვნება, მეხსიერება, ნებისყოფა, პასუხისმგებლობის გრძნობა, თვითაღზრდის უნარი და სხვ.), რამდენად მონაწილეობს იგი საკუთარი თავის აღზრდაში, რადგან არავის ძალუძს აღზარდოს ის ადამიანი, რომელიც არ ცდილობს საკუთარ თავში ნაკლოვანებების აღმოჩენას და მათ აღმოფხვრას. *„აღზრდილი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, შეიძლება ვუწოდოთ იმ ადამიანს, —* **წერს ვ. სუხომლინსკი,** *— რომელსაც შეუძლია საკუთარი თავის აღზრდა“.* [1]

---

[1] *ვ. სუხომლინსკი, მშობელთა პედაგოგიკა, თბ., „ცოდნა“, 1981, გვ. 17.*

თავი V

გარემოს როლი პიროვნების ფორმირებაში

ბავშვს ამქვეყნად მოვლენის პირველი დღეებიდანვე თან დაჰყვება ადამიანიად გახდომის გარკვეული მონაცემები. იგი ჩვენი (აღმზრდელების) ყოველგვარი ჩარევის გარეში დაიწყებს ლაპარაკს, სიარულს, დაინტერესდება გარესამყაროთი და ა.შ. მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაიზრდება საზოგადოებაში, ადამიანთა შორის,რადგან მის პიროვნებად ჩამოყალიბებაში, აღზრდასა და მემკვიდრეობასთან ერთად, დიდ როლს ასრულებს ის გარემო, რომელშიც უხდება ბავშვს ცხოვრება. ქათმის წიწილას იხვი გამოჩეკავს და გაზრდის თუ ბატი, ის მაინც ქათმად იქცევა, ხოლო რაც შეეხება ადამიანის ნაშობ არსებას, იგი ადამიანად ჩამოყალიბდება მხოლოდ მაშინ, თუ იგი ადამიანთა შორის, ადამიანთა წრეში გაიზრდება. ამასთან დაკავშირებით **რობერტ ოუენი** ამბობდა: *„ადამიანი შეიძლება იქცეს სისხლისმსმელ ველურად, კაციჭამიად ან უაღრესად მაღალკულტურულ და კეთილ არსებად,რაც დამოკიდებულია იმ გარემო პირობებზე, რომელშიც იქნება იგი ჩაყენებული დაბადების დღიდან.“* [1] დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი **ბესარიონ ბელინსკი** კი წერს: ცხოველი იბადება ცხოველად და იგი ვერ იქცევა ვერც უკეთესად და ვერც უარესად, ვიდრე ბუნებამ გააჩინა, ადამიანი კი გონიერი, მოაზროვნე არსებაა და იგი იქ იწყება, სადაც მთავრდება ცხოველი. *„ლომის ლეკვი ლომადვე იქცევა ისე, — ამბობს ბ. ბელინსკი, — რომ თვითონ მას ამისათვის არავითარი მონდომება არ სჭირდებდება... ადამიანი კი, რომელიც დაიბადა არა ლომად ან ვე-*

---

[1] *პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 2004, გვ. 163.*

*ფხვად, არამედ სწორედ ადამიანად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, შეიძლება გახდეს (გარემოსა და აღზრდის გარეშე – **ნ. ბ.**) მგელიც, სახედარიც და რაც გნებავთ“.*[1]

არაერთი ცდის მიხედვად, მეცნიერებმა ვერასგზით ვერ მოახერხეს ტყეში ნადირთა მიერ გაზრდილი ბავშვის სრულყოფილ ადამიანად გადაქცევა, რადგან მას პატარაობიდან შეთვისებული აქვს ის თვისებები, რაც მისი გამზრდელისათვისაა დამახასიათებელი. მართალია, დათვის თუ ვეფხვის მიერ გაზრდილი ბავშვი ნამდვილ დათვად ან ვეფხვად ვერ იქცევა, მაგრამ მისგან გადაიღებს იმ თვისებებს, რაც აღნიშნული ცხოველისათვისაა დამახასიათებელი.

როცა პიროვნების ფორმირებაში გარემოს როლზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს სოციალური, საზოგადოებრივი გარემო, რადგან ბუნებრივი გარემო ნაკლებ ზეგავლენას ახდენს ბავშვის გაადამიანებაზე.

ბუნებრივი გარემოა: მზე, ჰაერი, წყალი, ჩვენი ფლორა და ფაუნა, ანუ ბუნება მთელი მრავალფეროვნებით, ხოლო სოციალური, ანუ საზოგადოებრივი გარემო – ოჯახი, სკოლა, კინო, თეატრი, წიგნი, რადიო, ტელევიზორი, კომპიუტერი, ამხანაგებისა და მეგობრების წრე და ა. შ.

ბავშვი ადამიანის შვილია და იგი საზოგადოებაში, ადამიანთა შორის უნდა ცხოვრობდეს, ადამიანთა შორის უნდა ტრიალებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ცხოველის დონეს ვერ გასცდება და მისგან ჭეშმარიტი ადამიანი არ დადგება. ამის მაგალითი ისტორიამ ძალიან ბევრი იცის. ცნობილია, მაგალითად, ცხოველების მიერ (მათ შორის მტაცებელი ცხოველების) გაზრდილი ბავშვები, მაგრამ ისინი ადამიანებად არ ჩამოყალიბებულან. მაგალითად: 1920 წელს ინდოელმა ფსიქოლოგმა **რიდ სინგხუმ** მგლების ხროვაში აღმოაჩინა ორი გოგონა, რომელთა შორის ერთი იყო, დაახლოებით, წლინახევრის, მეორე კი – რვა წლის. როგორც ჩანს, მგლებს ისინი ჩვილობაში გაუტაც-

---

[1] *Белинский В.Г. Избр. пед. соч., М.-Л., 1948, с. 44.*

ნიათ. გოგონები ოთხფეხზე დარბოდნენ და იღრინებოდნენ, ღამით კი მგლებივით ყმუოდნენ. სინგხუ შეეცადა მათ აღზრდას და ადამიანთა საზოგადოებაში ცხოვრების უნარჩვევების გამომუშავებას, მაგრამ ამაოდ. პატარა გოგონა ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა, უფროსმა კი 17 წლამდე იცოცხლა. მიუხედავად ამისა, მან ვერ ისწავლა ლაპარაკი და ადამიანთა შორის ცხოვრება. იგი გადაეჩვია მხოლოდ ზოგიერთ მგლურ თვისებას და ისწავლა ორმოცამდე სიტყვის სწორად გამოყენება. ეს იყო და ეს.

1973 წელს გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ცეილონის სამხრეთით, ჯუნგლებში, დაიჭირეს თეთრკანიანი ბიჭი, რომელიც, დაახლოებით, 10-12 წლის იქნებოდა. იგი მაიმუნთა შორის ცხოვრობდა და მთლიანად გადაღებული ჰქონდა მათი თვისებები. ადამიანების მიერ დიდი მცდელობის მიუხედავად, ტისამ (ასე შეარქვეს მას) ლაპარაკი ვერ ისწავლა, დადიოდა მხოლოდ ოთხით,მაიმუნივით იმანჭებოდა და საჭმელს მხოლოდ მაშინ ჭამდა, როცა იგი მიწაზე იდო.

აი, სხვაგვარი მაგალითიც.პარაგვაიში ცხოვრობს გუაიკელთა ტომი, რომელიც დღეისათვის ცნობილ ტომთა შორის ყველაზე ჩამორჩენილია. გუაიკილები ადამიანებთან ყოველგვარ კონტაქტს გაურბიან. მათ სადგომში ფრანგმა ეთნოგრაფმა **ველარმა** იპოვა მარტოდმარტო მიტოვებული ორი წლის გოგონა, საფრანგეთში ჩაიყვანა და თავის დედას ჩააბარა აღსაზრდელად. 20 წლის შემდეგ (1958 წელს) თავისი განვითარებით იგი არაფრით ჩამოუვარდებოდა ინტელიგენტ ევრპელ ქალებს. შეისწავლა ფრანგული, ესპანური და პორტუგალიური ენები, დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და გახდა ეთნოგრაფი.

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ამ ფაქტებიდან? — სვამს კითხვას აკად. **შალვა ამონაშვილი** და ასეთ პასუხს იძლევა:

ადამიანის მემკვიდრეობით თანდაყოლილი თვისებების რეალიზაცია ხდება ძირითადად მისი პირველი 8-10 წლის ცხოვრების მანძილზე. ამიტომ გოგონამ, რომელმაც ალბათ დაახლოებით 7 წელი იცხოვრა მგელთა შორის, ვერ შე-

ძლო ლაპარაკი და ორფეხზე გამართულად სიარული, რადგან იგი 8 წლამდე მგლების ხროვაში იმყოფებოდა და გადაიღო მხოლოდ მათი ჩვევები. იმ დროს, როცა ენის შეთვისების მისმა მექანიზმმა ფუნქციონირება იწყო (ამოქმედდა), მას მხოლოდ მგლების ყმუილი ესმოდა და ამიტომ მათი ჩვევა გადაიღო, ხოლო შემდეგ, როცა ამ ფუნნქციამ თავისი მისია შეასრულა, ბავშვმა ენის შეთვისების უნარი სამუდამოდ დაკარგა.

ცნობილი ფსიქოლოგი **ლეონტიევი** თავის წიგნში *„ფსიქიკის განვითარების* პრობლემები“ წერს: *„...თუ ბავშვები ყველაზე ადრეული ასაკიდან ვითარდებიან საზოგადოებისაგან იზოლირებულად, ისინი ცხოველთა განვითარების დონეზე რჩებიან“.*[1]

რაც შეეხება გუაიკელ ბავშვს, იგი მხოლოდ 2 წლის იყო და ახალად იწყებდა ლაპარაკს. ეს გოგონაც რომ 8-10 წლის ყოფილიყო, მისი აღზრდის შედეგი ასეთ ნაყოფს არ გამოიღებდა. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს. როგორც დიდი ჩეხი პედაგოგი **იან ამოს კომენსკი** აღნიშნავდა, ხე სანამ ნორჩია, მას მებაღე საითაც სურს იქით გადახრის, ასევე აღმზრდელსაც, სანამ ბავშვი პატარაა, შეუძლია მისი აღზრდა წაიყვანოს იმ მიმარ|თულებით, რომელიც მას სურს, შემდეგ კი გვიან იქნება, რადგან ბავშვის თავიდან სწორად აღზრდა გაცილებით ადვილია, ვიდრე მისი ხელახალი აღზრდა, ზოგჯერ კი ეს შეუძლებელიცაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ბავშვი შეიძლება ადამიანად იქცეს მხოლოდ აღზრდის წყალობითა და გარემო პირობების მეშვეობით. ამიტომ იგი ადამიანთა შორის უნდა ცხოვრობდეს და კარგი აღმზრდელის ხელმძღვანელობით იზრდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისგან ადამიანი არ დადგება.

---

[1] *Амонашвили Ш. В школу - с шести лет. В книге: Педагогический поиск. - М.: "Педагогика", 1987, с.. 24-25.*

თავი VI

მოზარდის განვითარების ასაკობრივი პერიოდიზაცია და თავისებურებანი

ბავშვი, როგორც ყოველი ადამიანი და საზოგადოებრივი თუ ბუნებრივი მოვლენა, მუდმივი განვითარების პროცესშია. განვითარება კი განუწყვეტელ მოძრაობას, აღმავლობასა და ცვალებადობას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, მოზარდის* ცხოვრება შეიძლება დაიყოს ცალკეულ პერიოდებად.

ადამიანის განვითარება ერთი მთლიანი პროცესია, მაგრამ ყოველ მის პერიოდს, ანუ ასაკს თავისი საკუთარი ფსიქოფიზიკური კანონზომიერება გააჩნია. ამიტომ რამდენადაც უკეთ გვეცოდინება ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებანი, მით უფრო უკეთ წარვმართავთ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას სკოლაში და ბავშვის მთელ განვითარებას, საერთოდ.

სწორედ მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარება ედება საფუძვლად სკოლის მთელ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას,მოსწავლეთა დღის რეჟიმს, გაკვეთილს და სხვა.

ავიღოთ, მაგალითად, გაკვეთილი. თუ სწავლების დაბალ საფეხურზე ერთ გაკვეთილზე ვიყენებთ გაკვეთილისათვის დამახასიათებელ ყველა ძირითად მომენტს, მაღალ კლასებში შეიძლება მთელი გაკვეთილი დაეთმოს თხრობას, მის ერთ რომელიმე მომენტს ან სასწავლო მუშაობის ერთ სახეს: სასკოლო ლექციას,საუბარს, ლაბორატორიულ მე-ცადინეობას და სხვა. სწავლების პროცესში ყველა ეს ცვლილებანი გამოწვეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებით.

---

* *ტერმინ „მოზარდში“ ჩვენ ვგულისხმობთ ყველა იმას, ვინც იზრდება, ზრდის პროცესშია.*

მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარება საფუძვლად ედება გაკვეთილების ცხრილის შედგენას სკოლაში, კლასის ხელმძღვანელის მუშაობას, ბავშვთა აღზრდას ოჯახში და ა.შ. განსაკუთრებით აუცილებელია ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება ოჯახში. ამიტომაც იყო, რომ ძველთაგანვე გამოჩენილი პედაგოგები და ფსიქოლოგები ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ მოზარდის განვითარების ბუნებას, დაედგინათ მისი განვითარების კანონზომიერებანი. ჯერ კიდევ ანტიკურმა მოაზროვნემ **არისტოტელემ** (384-322) მოზარდის განვითარება დაყო სამ პერიოდად:

I. დაბადებიდან 7 წლამდე;

II. 7 წლიდან 14 წლამდე;

III. 14 წლიდან 21 წლამდე.

არისტოტელეს აზრით, პირველ პერიოდში, დაბადებიდან 7 წლამდე, მთავარია ბავშვის ჯანმრთელობის დაცვა, მასში ამტანობის გამომუშავება და ელემენტარული ზნეობრივი ცნებების ფორმირება, რაც მას უნდა მიეცეს ზღაპრებისა და პატარ-პატარა მოთხრობების სახით.

მეორე პერიოდი – 7 წლიდან 14 წლამდე – არის დაწყებითი სწავლებისა და მოზარდის შემდგომი ფიზიკური და ზნეობრივი განვითარების ასაკი. ამავე პერიოდში იწყება მუსიკალური, ანუ ესთეტიკური აღზრდა.

მესამე პერიოდში – 14 წლიდან 21 წლამდე – ახალგაზრდები იძენენ მეცნიერულ ცოდნას და აღწევენ ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარების მაღალ საფეხურს, სრულყოფენ შრომის უნარ-ჩვევებს.

მოგვიანებით მოზარდის ასაკობრივი განვითარების საყურადღებო პერიოდიზაცია მოგვცა მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელმა **იან ამოს კომენსკიმ** (1592-1670). იგი მოზარდის განვითარებას 4 პერიოდად ყოფს. თითოეული პერიოდი მოიცავს 6-6 წელს:

I. ბავშვობა – დაბადებიდან 6 წლამდე;

II. ყრმობა – 6 წლიდან 12 წლამდე;

III. სიჭაბუკე – 12 წლიდან 18 წლამდე;

IV. მოწიფულობა – 18 წლიდან 24 წლამდე.

ყოველ პერიოდს, რომელიც ექვსწლიანი ასაკით განისაზღვრება, კომენსკიმ შეუფარდა შესაბამისი სკოლა: ბავშვობას — დედობრივი სკოლა, ყრმობას — ელემენტარული, ანუ მშობლიური ენის სკოლა, სიჭაბუკეს — ლათინური ენის სკოლა, ანუ გიმნაზია და მოწიფულობას — აკადემია, ანუ უმაღლესი სასწავლებელი.

ი.ა. კომენსკიმ ადამიანის განვითარებას საფუძვლად დაუდო ბუნებისშესაბამისობის პრინციპი. ადამიანი აღიარა ბუნების ნაწილად და მისი განვითარების პერიოდები დღისა და წლის ანალოგიად მიიჩნია. მაგალითად, ბავშვობა მან მიამსგავსა დილასა და გაზაფხულს, ახალგაზრდობა შუადღესა და ზაფხულს, მოწიფულობა — საღამოსა და შემოდგომას, სიბერე — ღამესა და ზამთარს.

უფრო მოგვიანებით, კერძოდ, XVII საუკუნის მეორე ნახევარში, მოზარდის განვითარების ასაკობრივი პერიოდიზაცია მოგვცა აგრეთვე გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა **სულხან-საბა ორბელიანმა** (1658-1725). მოზარდის განვითარება ორბელიანმაც 4 პერიოდად დაყო, მაგრამ მისი თითოეული პერიოდი მოიცავს 5-5 წელს. პროფესორ გ. თავზიშვილის აზრით, სულხან-საბა მოზარდის ასაკობრივი განვითარების პერიოდებს უკავშირებდა სწავლა-განათლების იმ საფეხურებს, რომლებიც იმდროინდელ საქართველოში იყო: 5 წლამდე სწავლების წინა საფეხური, 5-დან 10 წლამდე — დაბალი განათლება, 10-დან 15 წლამდე — საშუალო განათლება, ხოლო 15-დან 20-მდე — მაღალი განათლება.[1]

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოზარდის განვითარების ასაკობრივი პერიოდიზაცია მოგვცა ცნობილმა ფრანგმა მწერალმა და განმანათლებელმა **ჟან-ჟაკ რუსომ** (1712-1778).

რუსოც თავისი აღსაზრდელის (ემილის) ცხოვრებას 4 პერიოდად ყოფს:

I პერიოდია დაბადებიდან 2 წლამდე. მასში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის ფიზიკურ აღზრდას.

---

1 გ. თავზიშვილი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბ., „განათლება“, 1969, გვ. 50.

II პერიოდი, 2 წლიდან 12 წლამდე, რუსოს გამოთქმით, არის „გონების ძილის“ პერიოდი, როცა ბავშვს ჯერ კიდევ არ შეუძლია მსჯელობა. ამ დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მისი გრძნობათა ორგანოების განვითარებას.

III პერიოდში, 12 წლიდან 15 წლამდე, ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის გონებრივ განვითარებას.

IV პერიოდი არის 15 წლიდან სრულწლოვანებამდე, ზრდადასრულებამდე (დაახლოებით 21 წლამდე). ამ პერიოდში ძირითადად ხორციელდება მოზარდის ზნეობრივი აღზრდა, რადგან, რუსოს აზრით, ეს არის „ქარიშხლებისა და ვნებათა“ პერიოდი.

რუსო ცდილობს ღრმად ჩასწვდეს ბავშვის განვითარების ბუნებას, მაგრამ მან მაინც ვერ შეძლო მოზარდის განვითარების კანონების დადგენა. მაგალითად, იგი აშკარად ცდება, როცა ამტკიცებს, რომ 12 წლამდე ბავშვისათვის დამახასიათებელია „გონების ძილი“ და მისთვის ზნეობრივი ცნებები მიუწვდომელიაო. არსებითს წარმოადგენს ის, რომ რუსო მოითხოვს აღმზრდელობით მუშაობაში მოზარდის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას. იგი გაბედულად ილაშქრებს აღზრდაში ტრაფარეტული, ერთნაირი მიდგომის წინააღმდეგ. მისი აზრით, მასწავლებელმა კარგად უნდა შეისწავლოს მოზარდის განვითარების ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი და ისე წარმართოს თავისი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

როგორც რევოლუციამდე, ისე მის შემდგომ პედაგოგიკურ ლიტერატურაში ჩვენ ვხვდებით მოზარდის განვითარების კიდევ მრავალ სხვა პერიოდიზაციას (ა. დისტერვეგის, პ. ბლონსკის, დ.უზნაძისა და სხვათა), მაგრამ ყველა მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ეს იმიტომ, რომ ასაკობრივ პერიოდიზაციას ისინი ახდენენ სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. ამასთან, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ზოგიერთ წარმომადგენელს ბავშვის ფსიქოფიზიკური თავისებურებანი მიაჩნია თანდაყოლილ და უცვლელ მემკვიდრეობად და არა ხანგრძლივი განვითარე-

ბის მანძილზე შემუშავებულ და შენაძენ თვისებად, რომ-ლებიც მუდმივი ცვალებადობის კანონს ექვემდებარებიან. აქედან გამომდინარე, ასაკობრივ განვითარებას საფუძვლად ედება ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების გარკვეული სტადიები და აღზრდა-განათლე-ბის სისტემა. ამის მიხედვით დღეისათვის პედაგოგიკაში მიღებულია სასკოლო ასაკის მოზარდის შემდეგი პერიო-დიზაცია:

1. საბავშვო ბაგის ასაკი – დაბადებიდან 3 წლამდე;
2. საბავშვო ბაღის ასაკი – 3 წლიდან 6 წლამდე;
3. უმცროსი სასკოლო ასაკი – 6 წლიდან 12 წლამ-დე;
4. საშუალო სასკოლო ასაკი – 12 წლიდან 15 წლამ-დე;
5. უფროსი სასკოლო ასაკი – 15 წლიდან 18 წლამდე.

თითოეულ ასაკობრივ პერიოდს განვითარების თავისი კანონზომიერება აქვს, რომელიც ამ პერიოდის ბავშვის ქცევითაა განპირობებული და რომლის მიხედვითაც გარე-მოსთან ბავშვის თავისებური დამოკიდებულება მყარდება. ამ კანონზომიერების ცოდნა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში წარმატების წინაპირობაა. ამიტომ მოზარდის განვითარებას თითოეულ ასაკში ცალ-ცალკე ვიხილავთ.

1. საბავშვო ბაგის ასაკი, როგორც აღვნიშნეთ, იწყება ბავშვის დაბადებიდან და გრძელდება 3 წლამდე. ამ პერი-ოდს ზოგიერთები უმცროს სკოლამდელ პერიოდსაც უწო-დებენ. საერთოდ, სკოლამდელ პერიოდს ადამიანის აღზრ-დასა და განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭი-რავს. ამ პერიოდში იწყება პიროვნების საზოგადოებრივი ფორმირების პროცესი. აქ ეყრება საფუძველი მომავალი მოღვაწის ჩამოყალიბებას. ამ პერიოდში ხდება ადამიანის ხასიათის შემუშავება, რომელიც მას ხშირად მთელი სი-ცოცხლის მანძილზე გაყვება და მის მოქმედებას განსაზ-ღვრავს.

სკოლამდელ ასაკში იწყება ბავშვის არა მარტო ფი-ზიკური, არამედ გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა-განვითარებაც. აქვე იწყება შრომითი აღზრდაც

და, ამგვარად, სკოლამდელ ასაკში საფუძველი ეყრება ბავშვის ყოველმხრივ განვითარებას.

უმცროს სკოლამდელ ასაკში ბავშვის საზოგადოებრივი აღზრდის ფორმას წარმოადგენს საბავშვო ბაგა. ამიტომ ამ ასაკს საბავშვო ბაგის ასაკსაც უწოდებენ.

საბავშვო ბაგის ასაკში შეიძლება ცალკე გამოიყოს *ძუძუს ბავშვობის ხანა,* რომელიც ერთ წლამდე გრძელდება. ძუძუთა ბავშვის ხერხემალი ხრტილოვანი და ელასტიკურია. ამ ასაკში ბავშვი სწრაფად, როგორც იტყვიან, თვალდათვალ იზრდება. ცნობილია, რომ ახალშობილი ბავშვი ერთი კვირის განმავლობაში წონაში ცოტათი კლებულობს, რადგან მას აშრება თანდაყოლილი ტენი და ცხიმი, მაგრამ,სამაგიეროდ, შემდეგ ისე სწრაფად მატულობს წონაში, რომ პირველი წლის დამლევს სამჯერ მეტს იწონის, ვიდრე დაბადების პირველ დღეს იწონიდა. ამ პერიოდში ბავშვი სწრაფად ვითარდება როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქიკურად: ამოსდის წინა კბილები, სწავლობს სიარულს, უვითარდება აღქმა, მეხსიერება და სხვა ფსიქიკური ფუნქციები. ასევე სწრაფად უვითარდება ნერვული სისტემა. ბავშვი, საერთოდ, უპირობო რეფლექსით იბადება, მაგრამ ერთი თვის შემდეგ მას უჩნდება პირობითი რეფლექსები და ემოციები, იწყებს სიხარულის, სიამოვნების გამოხატვას, სიხარული კი „ისეთივე ნიშანია შინაგანი ფსიქიკური განვითარებისა, როგორც წონაში მომატება“ (მ. მონტესორი).

ჩვილი ბავშვი დაახლოებით მესამე თვიდან იწყებს ნაცნობის გახსენებას და მის გარჩევას უცნობისაგან (ვ. შტერნი, კ.ბიულერი), მაგრამ მისი მეხსიერება ხანმოკლეა.

ერთი წლის ბავშვი უკვე იწყებს ენის ამოდგმას, მაგრამ მისი საარტიკულაციო აპარატი ჯერ კიდევ მოუმწიფებელია და სიტყვის სწორად წარმოთქმა არ ძალუძს. ხშირად ერთი სიტყვით, მაგალითად, „დედა“, გამოხატავს გარკვეულ წინადადებებს: მომეცი, ამიყვანე ხელში, გამასეირნე, მშია და ა.შ. სამი წლის ბავშვი კი იწყებს ტიტინს, სწავლობს პატარ-პატარა ლექსებს, ზღაპრებს, შეუძლია ერთი და იგივე ზღაპრის რამდენიმეჯერ მოსმენა.

საბავშვო ბაგის ასაკის მოზარდები იჩენენ სიტყვების დამახსოვრებისა და ენების შესწავლის ცხოველ ნიჭს. ამ ასაკში ისინი სწავლობენ მშობლიურ ენას და მასთან ერთად ხშირად ეუფლებიან ასევე ორ-სამ უცხო ენას. ეს ხდება იმიტომ, რომ ბავშვის ცნობიერება უფრო სწრაფად იზრდება და ვითარდება, ვიდრე მისთვის მისაწვდომი გარემომცველი საგნები და მოვლენები.

ამავე ასაკში საფუძველი ეყრება ბავშვის ზნეობრივ აღზრდას, რაშიც გადამწყვეტ როლს მშობლების პირადი მაგალითი ასრულებს.

2. საბავშვო ბაღის ასაკი. ამ ასაკის ბავშვის ქცევის მთავარი ფორმა, ისე როგორც საბავშვო ბაგის ასაკში, არის თამაში. იგი ძირითადად თამაშის პროცესში ეცნობა გარესამყაროს, ადამიანებს და ამყარებს მათთან კონტაქტს.

ამ ასაკის ბავშვებს კიდევ უფრო უვითარდებათ მიმბაძველობის უნარი, უჩნდებათ რთული სურვილები და როცა ისინი ამ სურვილებს ვერ იკმაყოფილებენ ან მშობლები არ აძლევენ მათი შესრულების უფლებას, ჯიუტობენ. მაგრამ თუ მათთან დამოკიდებულებაში დავიცავთ ზომიერებას, შეუძლიათ თავშეკავება, დამორჩილება, ჩვენი მოთხოვნების შესრულება.

უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვები არიან ზედმეტად ცნობისმოყვარენი, სურთ ყველაფერი გაიგონ — საგნების სახელები, მოვლენათა მიზეზები და ამიტომ მშობლებს არ ასვენებენ თავიანთი გაუთავებელი შეკითხვებით: რა არის ეს? რატომ წვიმს? საიდან მოდის წვიმა? თოვლი? და ა.შ. ზოგიერთი მშობელი თავს არიდებს ასეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემას და ამით აფერხებს ბავშვის განვითარებას.

საბავშვო ბაღის ასაკში ბავშვებს ეწყებათ კბილების ამოსვლა, უვითარდებათ ნებისყოფა, მეხსიერება, ყურადღება და სხვა. ისინი ამჟღავნებენ ტენდენციას კონკრეტული აღქმიდან აბსტრაქტულისაკენ, ხშირად ამჩნევენ მიზეზშედეგობრივ კავშირებს ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებს შორის.

ამ ასაკის ბავშვებს საკმაო სიცხადით უვითარდებათ

გემოვნება. დიდ სიამოვნებას ანიჭებს მათ ლამაზი სურათები, სათამაშოები, საბავშვო წიგნების ილუსტრაციები, მათი ასაკისათვის მისაწვდომი ლექსები, მუსიკალური მელოდიები და სხვა. ისინი უკვე იწყებენ გამართულად ლაპარაკს, თავისუფლად შეუძლიათ თავიანთი განცდებისა და სურვილების გადმოცემა.

საბავშვო ბაღის ასაკში ბავშვები შედარებით უფრო დამოუკიდებელი ხდებიან, რაც იწვევს მათი აქტივობის განვითარებას. ამიტომ მათ 3-4 წლიდან უნდა ვასწავლოთ თვითმომსახურება: დამოუკიდებლად ჩაცმა, ხელ-პირის დაბანა, ჭამა და სხვა, 5-6 წლიდან კი უნდა ჩავაბათ მარტივ საოჯახო-საყოფაცხოვრებო შრომაში: ბინის დალაგებაში, სუფრის გაშლა-ალაგებაში, ჭურჭლის დარეცხვაში და ა.შ.

3. უმცროსი სასკოლო ასაკი გრძელდება 6-დან 12 წლამდე. ეს არის ძირითადად დაწყებითი სკოლის პერიოდი. ამ ასაკის ბავშვის ქცევის მთავარი ფორმა ხდება სწავლა – გონებრივი შრომა, მაგრამ, შრომის პარალელურად, თამაში კვლავ რჩება უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ქცევისა და მოქმედების ერთ-ერთ სახედ, მაგრამ თამაში ამ ასაკში, სკოლამდელთაგან განსხვავებით, კოლექტიურ ხასიათს იღებს და გარკვეულ წესებს ექვემდებარება. ბავშვი იძენს მორალურ თვისებებს – კოლექტივიზმს, დისციპლინის, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას.

უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვებს უმთავრდებათ მუდმივი კბილების ამოსვლა, უმაგრდებათ ძვალკუნთოვანი სისტემა, რის გამოც მათში თავს იჩენს დიდი სასიცოცხლო ენერგია, აქტივობის ძლიერი ტენდენცია, რაც ხშირად გაკვეთილზე ცელქობისა და წესრიგის დარღვევის მიზეზად იქცევა. ამ ასაკის ბავშვები ამაყობენ იმ ენერგიით, რომელსაც თავიანთ თავში გრძნობენ. ისინი საკუთარ თავსაც და სხვებსაც, უწინარეს ყოვლისა, ფიზიკური მონაცემების მიხედვით აფასებენ – ვაჟები ფიზიკურ ძალას, სისწრაფესა და მოქნილობას თვლიან პირველხარისხოვან თვისებად, გოგონები კი სილამაზისა და ქცევის მანერების მიხედვით მსჯელობენ ერთმანეთზე. მათთვის გონებრივ

მონაცემებს, რომლებიც სწავლების პროცესში იჩენს თავს, ჯერჯერობით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ვაჟები ხშირად ეჯიბრებიან ერთმანეთს სირბილში, ხტომაში, ჭიდაობაში. ამავე მიზეზის გამო განსაკუთრებით იზიდავს მათ ფიზკულტურის გაკვეთილები.

მიუხედავად დიდი ენერგიისა,უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლე ფიზიკურად ჯერ კიდევ ბავშვია. მართალია, წინა ასაკთან შედარებით მისი ძვალკუნთოვანი სისტემა საკმაოდ გამაგრებულია, მაგრამ ეს პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა,მასში ჯერ კიდევ ბევრია ხრტილოვანი ქსოვილები. ასევე საკმაოდ არაა განვითარებული გულ-სისხლძარღვთა სისტემა. სწავლების პირველ დღეებში ბავშვები ცდილობენ შეასრულონ მასწავლებლის ყოველგვარი მოთხოვნა, მაგრამ ხშირად ამისათვის ნებისყოფა არ ყოფნით, რაც მხედველობაში უნდა მიიღოს მასწავლებელმა. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის აზროვნება კონკრეტულ-საგნობრივია. მას ჯერ კიდევ ნაკლებად შესწევს განზოგადების უნარი. ამიტომ იგი უკეთ იმახსოვრებს თვალსაჩინო მასალას, იმას, რასაც ხედავს. ამ ასაკის ბავშვის მეხსიერება უფრო მექანიკურია, ვიდრე გააზრებული. ერთი და იგივე მასალის რამდენიმეჯერ განმეორებით ისინი აღწევენ მის დამახსოვრებას, მეტწილად, დაზეპირებას. ამის მიზეზი კი, პირველ რიგში, არის ის, რომ ისინი დაუფლებული არ არიან ცოდნის შეძენის ხერხებს, მაგრამ აზროვნებისა და მეხსიერების კონკრეტულობა თანდათანობით იცვლება და უკვე ამ ასაკის დასასრულისათვის ბავშვები ავლენენ ლოგიკური აზროვნებისა და ნებისყოფის დიდ უნარს. გონებრივი შრომა უკვე იძენს მიზანმიმართულ ხასიათს.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი ძალზე მიმნდობია. იგი უკრიტიკოდ აღიარებს უფროსების ავტორიტეტს და მათ ყველა ბრძანებასა და განკარგულებას სამართლიანად თვლის. ამიტომ ეს ასაკი მასწავლებელს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში რაიმე განსაკუთრებულ სიძნელეს არ უქმნის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სასიცოცხლო ენერგიისა და აქტივობის მოთხოვნილებით შეპი-

რობებულ ცელქობას, რომელიც ჩვეულებრივ წმინდა გულუბრყვილო ხასიათს ატარებს. მეცნიერული გამოკვლევებით დასტურდება, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დიდად იზიდავთ სწავლა, სიახლე ცხოვრებაში. სკოლაში მისვლის პირველი დღეებიდანვე მათში თავს იჩენს გარკვეული მოთხოვნილებანი – ისწავლონ კარგად კითხვა, სწორად და ლამაზად წერა, ზუსტად შეასრულონ მასწავლებლის დავალება, დაიმსახურონ მისი შექება და ა.შ. ამასთან, მათ იტაცებთ უფრო სერიოზული საქმიანობა და საკმაოდ ცივად ეკიდებიან ისეთ საქმეს, რომელიც მათ საბავშვო ბაღის საქმიანობას აგონებს. ფსიქოლოგ **ლ. ბოჟოვიჩის** მონაცემებით, I-II კლასის მოსწავლეებს უფრო უყვართ კითხვის, წერისა და არითმეტიკის გაკვეთილები, ვიდრე ხელგარჯილობის, ფიზკულტურისა და სიმღერის გაკვეთილები. მათ გაკვეთილი შესვენებას ურჩევნიათ და სწყინთ, რომ არ აძლევენ საშინაო დავალებას.

უმცროს სასკოლო ასაკში სწავლის მოტივაცია ისე ძლიერია, რომ ბავშვები არც კი ცდილობენ გაიგონ, რისთვისაა საჭირო ამა თუ იმ დავალების შესრულება. მოსკოვის ერთ-ერთ სკოლაში I, II და III კლასის მოსწავლეებს წინადადება მისცეს – სურვილის მიხედვით დარჩენილიყვნენ დამატებით მეცადინეობაზე. დარჩა პირველი და მეორე კლასის ყველა მოსწავლე, ვინც კი სკოლაში იყო იმ დღეს, და მესამე კლასელთა უმრავლესობა. მეცადინეობაზე მათ მისცეს მეტად მოსაწყენი დავალება – ლათინური ასოების ელემენტების წერა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტატორმა წინასწარ გააფრთხილა, რომ ისინი შეისწავლიან ლათინურ ასოებს, რომლებიც მათ შეიძლება არასოდეს დასჭირდეთ ცხოვრებაში, ბავშვებმა მისი დავალება პირნათლად შეასრულეს.სამუშაოს დასრულების შემდეგ ბევრმა მათგანმა მოითხოვა შემოეღოთ სპეციალური რვეული ამ საქმიანობისათვის და მიეცათ საშინაო დავალება.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები დიდი ხნის განმავლობაში ნიშანს აღიქვამენ როგორც თავიანთი მონდომე-

ბის შეფასებას და არა როგორც შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას. მათი გაგებით, მონდომება, სიბეჯითე ნიშნავს კარგად სწავლას, რაც მაღალი ნიშნით უნდა შეფასდეს. სწორედ ამაზე მიუთითებდა თავის დროზე დიდი უკრაინელი პედაგოგი **ვასილ სუხომლინსკი.**

4. ბავშვის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბების გზაზე აღმზრდელს არც ერთი ასაკი არ უქმნის იმდენ სიძნელეს, როგორც ***საშუალო სასკოლო ასაკი,*** რომელიც გრძელდება 11 წლიდან 15 წლამდე. ამ ასაკის ბავშვთა აღზრდა-განათლების ფორმას წარმოადგენს საშუალო სკოლის მეორე საფეხური. ფსიქოლოგები ამ ასაკს გარდამავალ ასაკსაც უწოდებენ. ეს სახელწოდება მან იმიტომ მიიღო, რომ ამ ასაკის მოზარდი ამჟღავნებს როგორც ბავშვის, ისე მოზრდილის თვისებებს. ეს ასაკი სხვა ასაკობრივ საფეხურებს შორის ყველაზე მკვეთრად გამოკვეთილი ნიშნებით ხასიათდება. ამ ნიშნებიდან მთავარია სქესობრივი მომწიფება და მასთან დაკავშირებული ფიზიკური და ფსიქიკური ცვლილებები.

გოგონებში სქესობრივი მომწიფება იწყება დაახლოებით 10 წლიდან და 14 წლის ასაკში მთავრდება, ვაჟებში კი ეს პროცესი ერთი წლით გვიან იწყება და ისევ ერთი წლით გვიან მთავრდება.

საშუალო სასკოლო ასაკში მოზარდი მხოლოდ სქესობრივ მომწიფებას ასრულებს, ფიზიკური, გონებრივი და სოციალური მომწიფების პროცესები კი უფროსი სასკოლო ასაკის მთელ მანძილზე გრძელდება და ძირითადად ამ ასაკთან ერთად მთავრდება. ამიტომ სახელწოდება „გარდამავალი“, პროფესორ შ. ჩხარტიშვილის აზრით, მხოლოდ ერთ ასპექტზე მიუთითებს.

სქესობრივი მომწიფება ძირითადად ბიოლოგიური კანონზომიერების მიხედვით მიმდინარეობს, მაგრამ მასზე ზეგავლენას ახდენს გარე ფაქტორებიც, კერძოდ, კვება, კლიმატი, ტემპერატურა და სხვა. ზომაზე მეტი და ნოყიერი საჭმელი ხელს უწყობს ნაადრევ სქესობრივ მომწიფებასაც. ასევე თბილი ქვეყნების მცხოვრებლებში, ზომიერი სარტყლის მცხოვრებლებთან შედარებით, ეს პროცესი

1-2 წლით ადრე იწყება და მთავრდება.

სქესობრივი მომწიფების პროცესი გავლენას ახდენს ბავშვის მთელი ორგანიზმის განვითარებაზე. მოზარდი სწრაფად იზრდება სიმაღლეში და, შესაბამისად, მატულობს წონაში. წინა ასაკობრივ საფეხურთან შედარებით, გარდამავალ ასაკში უფრო სწრაფად მიმდინარეობს ხერხემლის გაძვალება; მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ასევე მოზარდის ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაში. გარდამავალ ასაკში მოზარდები ხდებიან მოუქნელი, ტლანქები, ხშირად კარგავენ წონასწორობას მოძრაობაში, რაღაცას ფეხს წამოსდებენ და იქცევიან ან ხელიდან უვარდებათ ყველაფერი. მიუხედავად დიდი მონდომებისა, მათ არ გამოსდით დახვეწილი და ფაქიზი მანერები, რაც იწვევს მათი გუნება-განწყობილების დაქვეითებას, გაღიზიანებას, ნერვული სისტემის მოშლას. ამის გამო ისინი ხშირად თავშეუკავებელი და ანჩხლები არიან.

ასეთ შემთხვევაში აღმზრდელებმა, დაცინვის ნაცვვლად, რასაც,სამწუხაროდ, ადგილი აქვს ზოგიერთ ოჯახში, უნდა აუხსნან მოზარდებს, რომ ყველაფერი ეს გარდამავალი ასაკის ბრალია და ასაკთან ერთად გაივლის.

ამ ასაკში სხეულის ცალკეული ნაწილები ვითარდება არაპროპორციულად, რასაც დისჰარმონია შეაქვს ორგანიზმის საერთო განვითარებაში. ასე გრძელდება მთელი გარდამავალი ასაკის მანძილზე და ჰარმონია მხოლოდ შემდგომ ასაკობრივ საფეხურზე მყარდება.

მოზარდი ყოველნაირად ცდილობს თავი მოგვაჩვენოს მოზრდილად, ფაქტობრივად კი სრულფასოვანი მოზრდილის შეგნება ჯერ კიდევ არ გააჩნია. თავიანთი დიდობა, მოზრდილობა რომ დაგვიმტკიცონ, ვაჟები ამ ასაკში იწყებენ პაპიროსის წევას, გული მიუწევთ საგმირო საქმეებისაკენ, რის გამოც ხშირად თავს იგდებენ საფრთხეში: შეახტებიან მიმავალ სატვირთო ავტომანქანას,მოაჯირზე დადიან ყირაზე და ა. შ. ამით მათ სურთ თავი გამოიჩინონ გოგონების წინაშე. სწორედ ამიტომაა, რომ ვაჟები ამ ასაკში ხშირად უარს ამბობენ მასწავლებლის ამა თუ იმ განკარგულების შესრულებაზე – *„შემომხედეთ, როგორი*

ვაჟკაცი ვარ, არავისი და არაფრის არ მეშინია“, — ფიქრობს იგი.

გარდამავალ ასაკში გოგონები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ საკუთარ გარეგნობას — ჩაცმა-დახურვას, თმის ვარცხნილობას, მიხრა-მოხრას და ა.შ. ამ ასაკში ისინი იწყებენ დღიურების წერას, ალბომების შედგენას, მსახიობებისა და სხვა გამოჩენილი ადამიანების სურათების შეგროვებას; მსჯელობენ სიყვარულზე, მეგობრობაზე და მათთვის საინტერესო სხვა საკითხზე.

მოზარდის მისწრაფება — იყოს მოწიფული, ნათლად ვლინდება უფროსებთან ურთიერთობაში. იგი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს და მაშინვე „ჯანყდება“,როცა მას ისე ექცევიან, როგორც პატარას: აკონტროლებენ, სჯიან, მოითხოვენ უსიტყვო, მონურ მორჩილებას, ნებისმიერი განკარგულების უყოყმანოდ შესრულებას, ანგარიშს არ უწევენ მის სურვილსა და ინტერესებს.

მოზარდის მიმართ უფროსების ასეთი დამოკიდებულება ქმნის კონფლიქტურ სიტუაციას, რომლის აღმოფხვრა შემდგომ ძალზე ძნელია. და თუ უფროსები (მშობლები, მასწავლებლები) მათ მიმართ ანალოგიურ დამოკიდებულებას განაგრძობენ, მოზარდს კიდევ უფრო უვითარდება ნეგატიური განწყობილება და უფროსებთან მიმართებაში უხეში, ჯიუტი და ჟინიანი ხდება. ხშირად მოზარდის აფექტურ რეაქციებზე უფროსები აფექტური რეაქციებითვე პასუხობენ,რაც აფერხებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად წარმართვას. ასეთ ვითარებაში აღმზრდელმა უნდა გამოიჩინოს სიმშვიდე და მოთმინება, რათა დადებითი ზემოქმედება მოახდინოს აღსაზრდელზე. აღმზრდელის ნერვული ტონი, ხმააწეული ლაპარაკი კიდევ უფრო აღიზიანებს მოზარდს და მათ ურთიერთობას ისეთ მიმართულებას აძლევს, რომელიც სრულიად უვარგისია პედაგოგიური მუშაობისათვის.

ამრიგად, გარდამავალ ასაკში აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის კონფლიქტი გამოწვეულია იმით, რომ, ერთი მხრივ, მოზარდი თავის ძალებს გადაჭარბებულად აფასებს და მოითხოვს მეტ უფლებებს, ვიდრე იგი ამას

იმსახურებს, ხოლო მეორე მხრივ, უფროსები მის ძალებს მეტისმეტად ამცირებენ და მოზარდს იმდენ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობასაც არ აძლევენ, რასაც იგი ფაქტობრივად იმსახურებს.[1]

გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ემოციურ განწყობილებათა სწრაფი ცვლა — ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლა. ამ ასაკის ვაჟი ან გოგონა, რომელიც რაიმე შემთხვევის გამო უზომოდ გახარებულია, ერთბაშად შეიძლება საწინააღმდეგო ემოციურ მდგომარეობაში გადავიდეს სრულიად უბრალო მიზეზის გამო, მაგრამ ისევ მცირე მიზეზია საჭირო, რომ თავის პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდეს და ისევ გამხიარულდეს.

საშუალო სასკოლო ასაკში იწყება მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. მოზარდს უმუშავდება გარკვეული შეხედულებები ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაზე. მას უკვე არ აკმაყოფილებს მზამზარეული პასუხი. იგი ცდილობს იქონიოს საკუთარი აზრები და შეხედულებები, თვითვე ახსნას მისთვის უცნობი მოვლენები, მოძებნოს საკუთარი არგუმენტები და დამოუკიდებელი გზით მივიდეს გარკვეულ დასკვნამდე. იგი კრიტიკულად ეკიდება უფროსების, მშობლებისა და მასწავლებლების მოსაზრებებს, წაკითხულ წიგნებში განვითარებულ შეხედულებებს.

შესაბამისად იცვლება მოსწავლის დამოკიდებულება მასწავლებლისადმი. იგი არ კმაყოფილდება იმ ნდობით, რომელიც მას გააჩნდა მასწავლებლის მიმართ თავისი განვითარებისა და სწავლების ადრინდელ საფეხურზე. მასწავლებელში ის აფასებს ისეთ თვისებებს,როგორიცაა: მეცნიერული ცოდნის დონე, კულტურა,პედაგოგიური ტაქტი, საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება და სხვა. ამავე ასაკში დიდი გარდატეხა ხდება მოზარდის ინტელექტუალურ განვითარებაშიც. თავს იჩენს აზროვნების ახალი, უფრო მაღალი ფორმები და მიმართულებანი. მოზარ-

---

[1] *შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974, გვ.75-76.*

დი სწრაფი ტემპით იწყებს გადასვლას თვალსაჩინო, კონ-კრეტული აზროვნებიდან აბსტრაქტულ, განყენებულ აზ-როვნებაზე, მაგრამ ამ ასაკის პირველ ეტაპზე ჯერ კიდევ ადგილი აქვს ზეპირობას. V-VI კლასელები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ მექანიკური აღქმის ტყვეობიდან თავის დაღწევას და ხშირად ისევ თვალსაჩინოებას უბრუნდებიან, რაც მხედველობაში უნდა იქონიოს მასწავლებელმა.

აღმზრდელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ასევე იმ გარემოებას, რომ გარდამავალ ასაკში არსებითად იცვლება მოზარდის დამოკიდებულება სწავლისადმი. თუ უმცროს-კლასელები სწავლას სარგებლიანობის თვალით არ უცქე-რიან და, გამოადგებათ თუ არა, ყველაფერს სწავლობენ, ამ ასაკის მოზარდები ხშირად ეკითხებიან მასწავლებელს: „რაში გამომადგება?“ „რატომ უნდა ვისწავლო?“ და ა.შ. მაგალითად, მეშვიდეკლასელმა ხშირად არ იცის და არც ცდილობს ისწავლოს გრამატიკული წესები,ვინაიდან სჯე-რა, რომ მათი ცოდნის გარეშეც შეძლებს სწორად და გა-მართულად წერას.

გარდამავალი ასაკის მოსწავლეს უჩნდება გადაჭარბე-ბული წარმოდგენა საკუთარ თავზე, თავის შესაძლებლო-ბებზე, სინამდვილეში კი არც ისე ყოჩაღია. ოდნავი წარუ-მატებლობის შემთხვევაში იგი ფარ-ხმალს ყრის და სასო-წარკვეთილებაში ვარდება.

ექსპერიმენტებით დადასტურებულია, რომ ამ ასაკის მოზარდებს, სხვა ასაკის ბავშვებთან შედარებით, საგრძ-ნობლად დაქვეითებული აქვთ ნებისყოფა, ვინაიდან სასი-ცოცხლო ენერგიის დიდი ნაწილი მომწიფების პროცესზე იხარჯება. ეს კი იწვევს მათში ფიზიკური და სულიერი ძალების გადაღლას, გადაქანცვას, რაც კარგად დასტურ-დება ცდებით. მოსწავლეებს მეოთხე კლასიდან მეცხრე კლასის ჩათვლით მიეცათ დავალება — ჩვეულებრივი ბრო-შურის ტექსტში გადაეშალათ *ь* და *э* ასო მანამ, სანამ უკიდურეს დაღლილობას არ იგრძნობდნენ. შედეგები მე-ტად დამაფიქრებელი აღმოჩნდა: მეოთხეკლასელებმა შეუს-ვენებლად იმუშავეს საშუალოდ 102 წუთი, მეექვსეკლასე ლებმა — 53, მერვეკლასელებმა — 83 და ყველას აჯობეს

მეცხრეკლასელებმა.[1]

ეს მოვლენა იმით უნდა აიხსნას, რომ მეექვსეკლასელები იმყოფებიან გარდამავალი ასაკის შუა პერიოდში და ენერგიისაგან ყველაზე მეტად არიან დაცლილი, დაქანცული, მეცხრეკლასელებისათვის კი გარდამავალი ასაკი განვლილი ეტაპია.

ამ ასაკის მოზარდებში მთელი სიცხადით ვლინდება პატრიოტიზმის, ეროვნული სიამაყის, მაღალი იდეალების მოქალაქეობრივი გრძნობა. მათ მხურვალედ უყვართ თავიანთი სამშობლო, მიისწრაფვიან, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანონ საზოგადოებას, ოცნებობენ — ასახელონ სამშობლო საგმირო საქმეებით. გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა ეს თვისება შესანიშნავად გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში. ამის ნათელი მაგალითია სამშობლოს ნორჩი დამცველების ვალოდია დუბინინის, საშა კოვალიოვის, ლარისა მიხეენკოს, ევგენი ტოპრაკაშვილის, ვახტანგ ქანთარიასა და სხვათა საგმირო საქმეები.

5. უფროსი სასკოლო ასაკი გრძელდება 15-დან 18 წლამდე. ამ ასაკის მოსწავლეთა საზოგადოებრივი აღზრდა-განათლების ძირითად ფორმას წარმოადგენს საშუალო სკოლის მესამე (ბოლო) საფეხური. ეს არის ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების, ადრეული ჭაბუკობის ასაკი. ის არაპროპორციულობა, რაც შეიმჩნეოდა წინა ასაკში სხეულის ცალკეული ნაწილების განვითარებაში, ქრება და ახალგაზრდა ზრდადასრულებული ადამიანის სახეს იღებს.

უფროს სასკოლო ასაკს ზოგჯერ მსოფლმხედველობით ასაკსაც უწოდებენ და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ძირითადად ამ ასაკში უყალიბდება ახალგაზრდას მსოფლმხედველობა; აზროვნების განვითარება აღწევს მაღალ საფეხურს, ყალიბდება ლოგიკური, განყენებული მსჯელობის უნარი, მაღლდება ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა, ესთეტიკური შეხედულებები. ამავე ასაკში უვითარ-

---

[1] *შ. ჩხარტიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 47-48.*

დებათ მოზარდებს რწმენა, ნებისყოფა, გამბედაობა, პრინ-ციპულობა. უკვე ყალიბდება პიროვნება და ირკვევა მისი საზოგადოებრივი დანიშნულება.

უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ყურადღება და ინტერესი სულ უფრო მყარი და მიზანმიმართული ხდება. იზრდება ნებისმიერი ყურადღება და მოვლენების მიზანმიმართული აღქმა.

ამ ასაკში ახალგაზრდები უფრო შეგნებულად ეკიდე-ბიან სწავლას, ვიდრე მოზარდები. უჩნდებათ ამა თუ იმ საგანში ცოდნის გაღრმავების სურვილი, რისთვისაც მი-მართავენ თვითგანათლებას, საკუთარ თავზე დამოუკიდე-ბელ მუშაობას. ისინი ყურადრებით ადევნებენ თვალს მეცნ-იერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს. ცოდნისაკენ მისწრაფება, უწინარეს ყოვლისა, იზრდება მათ მიერ კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის ინტენსიურ ზრდაში. უფროსკლასელები მეტწილად ეტანებიან რომანებს, საშუ-ალო სასკოლო ასაკის მოსწავლეები კი სათავგადასავლო ნაწარმოებების კითხვით არიან გატაცებულნი. ჭაბუკებსა და ქალიშვილებს საშუალო სკოლაში, განსაკუთრებით და-მამთავრებელ კლასში, გადასაწყვეტი აქვთ მეტად მნიშვნე-ლოვანი პრობლემა – პროფესიის არჩევა. ამ პრობლემის სწორად გადაწყვეტამ უნდა განსაზღვროს მთელი მათი შემდგომი ცხოვრების გზა.

პროფესიაზე ფიქრს ახალგაზრდა ჯერ კიდევ საშუა-ლო სასკოლო ასაკში იწყებს, მაგრამ მისი აზრი ამ ასაკ-ში მერყევია. იგი ხშირად იცვლის ამა თუ იმ პროფესიაზე შეხედულებას. გარდამავალი ასაკის მოსწავლეები მომა-ვალს უყურებენ აწმყოს პოზიციებიდან, უფროსკლასელები კი, პირიქით, აწმყოს შესცქერიან მომავლის პოზიციები-დან. გარდა ამისა, საშუალო სასკოლო ასაკის მოსწავლე პროფესიის არჩევისას ხშირად თვით პროფესიის ამა თუ იმ გარეგანი თავისებურებებითაა გატაცებული და საკუ-თარ შესაძლებლობას ანგარიშს არ უწევს, უფროსკლასე-ლი კი, უმეტეს შემთხვევაში, საკუთარი შესაძლებლობისა და პროფესიის საზოგადოებრივი ღირებულების გათვა-ლისწინებით ირჩევს სპაციალობას. მაგრამ, სამწუხაროდ,

უფროსკლასელებიც ხშირად ცდებიან პროფესიის არჩევაში, ანგარიშს არ უწევენ თავიანთ შესაძლებლობებს და ოცნებობენ ისეთ სპეციალობაზე, რომლის დაძლევის უნარი მათ არ გააჩნიათ. ამიტომ საჭიროა ამ საქმეში სკოლისა და ოჯახის ერთიანი, შეთანხმებული მოქმედება. იქ, სადაც სკოლა და ოჯახი მოსწავლეს საკუთარ შესაძლებლობათა შემეცნების საქმეში სათანადო დახმარებას უწევენ, მოსწავლე ირჩევს ისეთ პროფესიას, რომელშიც მას მეტი წარმატებით შეუძლია იმუშაოს და მეტი სარგებლობა მოუტანოს როგორც საკუთარ თავს, ისე ქვეყანას, საზოგადოებას.

უფროსკლასელებს უფრო ძლიერი ნებისყოფა გააჩნიათ, ვიდრე საშუალო სასკოლო ასაკის მოსწავლეებს. ამ ასაკის მოზარდს შეუძლია ხანგრძლივად აკეთოს ერთი და იგივე საქმე, იკითხოს დიდხანს, იმუშაოს და დაჟინებით ისწრაფოდეს დასახული მიზნის მისაღწევად. ეს ზემოთ მოყვანილი ექსპერიმენტის შედეგებითაც დასტურდება, სადაც მეცხრეკლასელებმა ყველას აჯობეს.

უფროსკლასელთა ზნეობრივი განვითარების ნიშანია ზნეობრივი რწმენის, შეგნებისა და ქცევის, სიტყვისა და საქმის ერთიანობა. ისინი ხშირად დაობენ, კამათობენ ეთიკური, ზნეობრივი ხასიათის პრობლემებზე. მათ აინტერესებთ არა რომელიმე კონკრეტული შემთხვევა, არამედ სურთ იცოდნენ მათი პრინციპული არსი. ამ ასაკის მოსწავლეებში ხდება ადრინდელი შეხედულებების გადაფასება — ამხანაგობის, მეგობრობის, სიყვარულის და სხვა საკითხებზე. მათი მეგობრობის ნიშანი ხდება არა მარტო ინტერესთა ერთიანობა, არამედ შეხედულებათა, რწმენათა ერთიანობაც. მეგობრობა ხშირად ინტიმურ ხასიათს ატარებს. უფროსკლასელი მეგობრები ერთმანეთს უზიარებენ აზრს, საიდუმლოებას. ასეთი მეგობრობა ჭაბუკებსა და ქალიშვილებს შორის ზოგჯერ სიყვარულში გადაიზრდება ხოლმე.

უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ემოციებს შორის ყველაზე გამოკვეთილი ადგილი პირველ სიყვარულს უჭირავს. ისინი ეძებენ პასუხს კითხვაზე: რას

წარმოადგენს ნამდვილი მეგობრობა და სიყვარული. თუ პედაგოგი ან მშობელი ვერ გასცემს მათ ამ კითხვაზე სწორ პასუხს, ისინი იძულებული ხდებიან შემთხვევითი პირების ინფორმაციებით დაკმაყოფილდნენ ან მხოლოდ წიგნების მიხედვით იმსჯელონ, რაც ხშირად მოვლენათა არასწორი შეფასების საფუძველი ხდება.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჭაბუკებისა და ქალიშვილების უმრავლესობა ქმნის ოჯახს. ამ ასაკში ქორწინება, ოჯახის შექმნა, ნებადართულია კანონით. სკოლა და ოჯახი უნდა ამზადებდნენ ახალგაზრდას როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. სწორედ ამ მიზანს ისახავს *„საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია“,* რომლის სწავლებაც სკოლებში უკანასკნელ ხანს შემოიღეს.

სიყვარულის, ოჯახისა და ქორწინების საკითხში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ქალ-ვაჟთა ურთიერთდამოკიდებულების აღზრდას, რაც ოჯახის სიმტკიცის საფუძველია. სამწუხაროდ, ოჯახის შექმნისას, ჩვენი ახალგაზრდების ერთი ნაწილი საწინააღმდეგო სქესის მხოლოდ გარეგანი, ფიზიკური მონაცემებით იფარგლება და ვერ ხედავს უფრო არსებითს — პიროვნების შინაგან ბუნებას, რასაც ხშირად საბედისწერო შედეგი მოსდევს. „იქ, სადაც სიყვარული აგებულია გარეგან მომხიბვლელობაზე, — წერს ვ. სუხომლინსკი, — სადაც ადამიანი კმაყოფილდება მხოლოდ სახისა და ფიგურის სილამაზით, დროთა განმავლობაში გარდაუვალია იმედის გაცრუება და ხასიათის შეუწყობლობა“.[1] ამიტომ მასწავლებლები, მშობლები სისტემატურად უნდა ადევნებდნენ თვალყურს უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა მეგობრობას, ურთიერთობას, შეხვედრებს და ერთმანეთს უზიარებდნენ თავი- ანთ შთაბეჭდილებებს ამ საკითხში, მშობლებმა უნდა იცო-დნენ, ვის ხვდება მათი ვაჟი თუ ქალიშვილი, რა მოტივი ამოძრავებს მათ შეხვედრებს და ა.შ. *„ყოველმა მშობელმა, ყოველმა დედ-მამამ,* — წერდა ა. მაკარენკო, — *მიზნად უნ-*

---

[1] *ვ. სუხომლინსკი, წერილები ვაჟიშვილს, ბათუმი, 1996, გვ. 56.*

უნდა დაისახოს, რომ მომავალი მოქალაქე კაცი და ქალი, რომელთაც ისინი ზრდიან, ბედნიერი იყვნენ მხოლოდ ოჯახური სიყვარულით... თუ მშობლები ასეთ მიზანს არ დაისახავენ, თუ ამას არ მიაღწევენ, მათი შვილები იცხოვრებენ უწესო სქესობრივი ცხოვრებით, მაშასადამე, მათი ცხოვრება სავსე იქნება ყოველგვარი დრამით, უბედურებით, ყოველგვარი სიბინძურით და საზოგადოებრივი მავნებლობით". [1]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყოველი მასწავლებელი ვალდებულია საფუძვლიანად გაეცნოს ბავშვის განვითარების ასაკობრივ თავისებურებებს და მათი გათვალისწინებით წარმართოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში. წინააღმდეგ შემთხვევაში დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

---

[1] *ა. მაკარენკო, თხზ., ტ. 4, თბ., 1973, გვ. 412.*

თავი VII

მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლა და მათი გათვალისწინება სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში

სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ მათი ინდივიდუალური თავისებურებებიც. ამის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ ყოველ ბავშვს თავისებური ხედვისა და აზროვნების უნარი აქვს, მისთვის დამახასიათებელი გემოვნება, ტემპერამენტი, ინტერესი, მიდრეკილება გააჩნია. ერთი სიტყვით, რამდენი ბავშვიცაა, იმდენი განსხვავებული ხასიათი, იმდენი განსხვავებული პიროვნებაა. ზუსტად ერთნაირ პირობებში აღზრდილი დაძმები, ტყუპებიც კი, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ფსიქოფიზიკური თავისებურებებით. ეს განსხვავება გამოწვეულია თანდაყოლილი თვისებებით, გარემოთი და პირველდაწყებითი აღზრდით. იგი ვლინდება სხვადასხვაგვარად: ადამიანთა ერთი ჯგუფი სწრაფად უღებს ალღოს სიტუაციას, მეორენი კი ნელა და ძნელად რეაგირებენ; ერთნი არიან აჩქარებულნი, ფიცხნი, მეორენი კი — ზომიერნი, წინდახედულნი; ზოგი ბავშვი შეკითხვაზე სწრაფად პასუხობს, ზოგს კი დაფიქრება სჭირდება; ზოგი მკვირცხლი, მოძრავი და ენერგიულია, ზოგი კი — დინჯი და აუჩქარებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნული კარგად უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი საგნის მასწავლებელმა, აღმზრდელმა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეძლებს სწავლა-აღზრდის საქმეში მოსწავლეთა ჩამორჩენის თავიდან აცილებას, ან ჩამორჩენის შემთხვევაში ვერ გამონახავს მისი დაძლევის სწორ გზას. გარდა ამისა, ბავშვთა ინდივიდუა-

ლური თავისებურებების გაუთვალისწინებლობა პედაგოგსა და მშობელს სხვა სიძნელეებსაც უქმნის. კერძოდ, ძნელდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია, აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის წარმოიშობა კონფლიქტი, საბოლოოდ კი, ბავშვს შეიძლება შეძულდეს სკოლა, სწავლა, გახდეს გულჩახვეული, უდისციპლინო და უხეში.

ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნა მასწავლებელს საშუალებას აძლევს სრულად გამოავლინოს და განავითაროს მოსწავლის ნიჭი და უნარი, სისტემატური პედაგოგიური ზემოქმედებით ხელი შეუწყოს მასში ახალი, დადებითი თვისებების ჩამოყალიბებას და უარყოფითის აღმოფხვრას.

მოზარდის ინდივიდუალურ თავისებურებებს პროფ. შ. ჩხარტიშვილი ორ ჯგუფად ყოფს. ესენია: თანშობილი მონაცემები და განვლილი ცხოვრების მანძილზე შეძენილი თვისებები. თანშობილ მონაცემებში,რომლებიც დიდ როლს ასრულებენ აღზრდისა და განვითარების პროცესში, წამყვანი ადგილი ნიჭიერებას ეკუთვნის. ნიჭი არის ბუნებრივ მონაცემთა ერთიანობა, რომელიც თავს იჩენს ამა თუ იმ მოქმედების ათვისებაში. მოსწავლეები ძირითადად ნიჭით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ნიჭი ადამიანში მოცემულია ჩანასახის ფორმაში, შესაძლებლობის სახით. რეალურ ძალად იგი იქცევა მხოლოდ შესატყვისი ცოდნა-ჩვევების მიღების პროცესში. მარტო ნიჭი ვერაფერს იზამს, თუ იგი სათანადო წვრთნისა და ვარჯიშის გზით არ განვითარდა. ამიტომ ამბობენ — ნიჭს წახალისება უნდაო.

განასხვავებენ ზოგად და სპეციალურ ნიჭს. ზოგად ნიჭში გულისხმობენ გონიერებას. მას ზოგადს იმიტომ უწოდებენ, რომ იგი მონაწილეობს ადამიანის ყოველგვარ საქმიანობაში. ზოგადი ნიჭის გარეშე სპეციალური ნიჭიც არ არსებობს.

სპეციალური ნიჭი ეწოდება უნართა ისეთ ერთობლიობას, რომელიც საფუძვლად ედება აქტივობას მხოლოდ ერთი გარკვეული მიმართულებით და უზრუნველყოფს მის წარმატებით განხორციელებას. ასეთია, მაგალითად, მუსი-

კის, ხატვის, პოეტური შემოქმედების, ჭადრაკის თამაშის ნიჭი და ა.შ.

ნიჭის მიხედვით ადამიანები იყოფიან სამ ჯგუფად. ადამიანთა უმრავლესობა მოქცეულია ძირითად ჯგუფში. ეს ჯგუფი ითვლება ნორმად. ნორმის ზემოთ დგანან ტალანტები და გენიოსები, ქვემოთ კი დებილები, ინბეცილები და იდიოტები.

ინბეცილები და იდიოტები სკოლებში საერთოდ არ შეჰყავთ, რადგან ისინი თავიანთი გონებრივი „განვითარებით“ სწავლას ვერ ახერხებენ, დებილებს კი ათავსებენ სპეციალურად მათთვის შექმნილ სკოლებში.

ჩვენს სკოლებში, ჩვეულებრივ, სწავლობენ ნორმალური ბავშვები, მაგრამ ისინი დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მასწავლებელმა რომ სწორად წარმართოს მათი ინტელექტუალური განვითარება, მან უნდა გამოარკვიოს თითოეული მათგანის ინდივიდუალური შესაძლებლობანი და ყოველ მათგანს მისცეს მისი ნიჭისა და უნარის შესაბამისი დავალება, ხოლო ამ დავალების შესრულება მოითხოვოს მაქსიმალურ დონეზე. ერთი მოსწავლის ცოდნა შეიძლება „დამაკმაყოფილებელზე“ შეფასდეს და ეს იყოს ამ მოსწავლის დიდი წარმატების მაჩვენებელი, მაშინ როცა მეორე მოსწავლემ შეიძლება მაღალი შეფასება მიიღოს, მაგრამ მისი პასუხი მაინც არ იყოს ისეთი, რომელიც მის ნიჭსა და უნარს შეეფერება. ამიტომ ამ უკანასკნელს კიდევ უფრო მეტი უნდა მოეთხოვოს, რომ იგი თავისი შესაძლებლობის შესატყვისად განვითარდეს. სწავლებისა და აღზრდის ასეთ პროცესთა ინდივიდუალიზაციას, რომელიც უკანასკნელ წლებში წარმატებით გამოიყენება ჩვენს სკოლებში, დიფერენცირებული სწავლება ეწოდება. იგი, როგორც დავინახეთ, გამოწვეულია იმით, რომ ყველა მოსწავლეს არა აქვს სწავლის ერთნაირი უნარი, მომზადებისა და განვითარების ერთნაირი დონე.

მასწავლებელმა მუშაობის პროცესში პირველი დღეებიდანვე უნდა შეამჩნიოს გულმოდგინე, უყურადღებო, სუსტი ნებისყოფის, ნერვული, ნელი ან ჩქარი აზროვნების მოსწავლე.

განსაკუთრებით სიფრთხილე მართებს მასწავლებელს ნერვულ მოსწავლეთა მიმართ. ნერვული ბავშვი ხასიათდება სუსტი ყურადღებითა და ნებელობით, რის გამოც სრულყოფილად ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს. წარუმატებლობის შემთხვევაში ეკარგება სწავლისადმი ინტერესი, მოუსვენრობს, ტირის. თუ ასეთ მოსწავლეს მასწავლებელი დახმარების ნაცვლად უნდობლობას უცხადებს და მას ზარმაცსა და უქნარას უწოდებს, ეს გამოიწვევს ბავშვში თავისი ძალებისადმი რწმენის დაკარგვას, უიმედობას. იგი რწმუნდება, რომ მას სწავლის უნარი არა აქვს, სასოწარკვეთილებას ეძლევა და მუშაობას თავს ანებებს. ასეთ შემთხვევაში ჩვენი წარმატების აუცილებელი პირობაა ბავშვს ჩავუნერგოთ თავისი ძალებისადმი რწმენა, რომ, თუ მოინდომებს, შეუძლია კარგად ისწავლოს და წარჩინებული მოსწავლე გახდეს.

მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომა საჭიროა არა მარტო პედაგოგიური ეფექტურობისათვის,არამედ ასეთი საჭიროება ჰუმანიზმის პრინციპიდანაც გამომდინარეობს. ჭეშმარიტი ჰუმანიზმი ხომ პიროვნების პატივისცემას, მისი ფიზიკური და სულიერი ძალების გათვალისწინებას მოითხოვს.

ზოგიერთი მასწავლებელი არ სწავლობს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, არ გებულობს ამა თუ იმ მოსწავლის ჩამორჩენისა და უდისციპლინობის მიზეზებს,არ ღებულობს მის გამოსასწორებლად სათანადო პედაგოგიურ ზომებს და ცდილობს მოსწავლის თავიდან მოშორებას,მოითხოვს ბავშვის სკოლიდან გარიცხვას ან სხვა სკოლაში გადაყვანას. ცხადია, ასეთი პრაქტიკა ძირშივე უნდა დაიგმოს, ვინაიდან მას, ზიანის გარდა, არაფერი სასიკეთო არ მოაქვს ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში.

იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ ესა თუ ის მოვლენა ბავშვის განვითარებასა და სიცოცხლისუნარიანობაში, არ შეიძლება ის განვიხილოთ მთელი ორგანიზმის განვითარებისა და გარეგანი პირობებისაგან იზოლირებულად. ბავშვის სიცელქე, ზომაზე მეტად მოძრაობა არ შე-

იძლება ავხსნათ მარტოოდენ მისი უყურადღებობით, როგორც ამას ადგილი აქვს ზოგჯერ პრაქტიკაში. ეს მოვლენა შეიძლება სწორად იქნას გაგებული ბავშვის განვითარების მთლიანობაში განხილვისა და მისი ცხოვრებისა და აღზრდის პირობების ყოველმხრივი გათვალისწინებით. მოსწავლის გარემოს შესწავლისას უნდა გავარკვიოთ არა მარტო ის, თუ რა გავლენას ახდენს გარემო მის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა გარდაიქმნას თვითონ გარემო, რათა მისი გავლენით შეიქმნას ხელსაყრელი პირობები მოსწავლეში ჭეშმარიტი ადამიანური თვისებების ჩამოყალიბებისათვის.

ამრიგად, როცა საკითხი მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებებისათვის ანგარიშის გაწევას ეხება, მაშინ მასწავლებლის წინაშე დგას ორი ამოცანა:

1. მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნა;

2. რა პირობებში მოხდა ამ თავისებურებათა ჩამოყალიბება.

მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლისას მასწავლებელმა ყურადრება უნდა გაამახვილოს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

1. საერთო ცნობები მოსწავლის შესახებ: გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური განვითარება.

2. მოსწავლის ოჯახური პირობები: ოჯახის შემადგენლობა, მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრების განათლება და საქმიანობა, მატერიალური მდგომარეობა, ოჯახის წევრთა დამოკიდებულება ერთმანეთისა და ბავშვისადმი.

3. მოსწავლის ფსიქიკური თავისებურებანი: აღქმა, ყურადღება, აზროვნება, მეხსიერება, მეტყველება, ნებისყოფა, ტემპერამენტი, გულმართალობა, გულწრფელობა, გულისხმიერება, პატიოსნება, ამხანაგებისადმი დამოკიდებულება, დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა, საზოგადოებრივი და პირადი ქონებისადმი დამო კიდებულება, მშობლებისა და მასწავლებლებისადმი დამო-

დამოკიდებულება და ა.შ.

4. მოსწავლის პედაგოგიური დახასიათება: აკადემიური წარმატება სასწავლო წლის განმავლობაში, დისციპლინა და ქცევა სკოლაში, მონდომება და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა როგორც სწავლაში, ისე საშინაო დავალებათა შესრულებაში, რომელი საგნისადმი იჩენს მიდრეკილებას, რა პროფესიაზე ოცნებობს, უყვარს თუ არა მხატვრული ლიტერატურის კითხვა და სხვა.

5. მოსწავლის საზოგადოებრივი დახასიათება: მონაწილეობა სკოლის საერთო ცხოვრებაში,თვითმოქმედ წრეებში და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, რა ინტერესები და მიდრეკილებები სჭარბობს მასში, იცავს თუ არა დღის რეჟიმს, სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს და ა.შ.

მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლის მეთოდები

მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული მეთოდია ***დაკვირვება.*** მასწავლებელი სასწავლო წლის დაწყების პირველი დღიდანვე უნდა აკვირდებოდეს მოსწავლეებს და სწავლობდეს მათ ინდივიდუალურ თავისებურებებს. დაკვირვება წარმოებს გაკვეთილზე, დასვენებაზე, კლასგარეშე მეცადინეობისას, ექსკურსიაზე, თეატრსა და კინოში, მოსწავლეთა საერთო კრებებზე, ოთახში და, საერთოდ, ყველგან, სადაც კი თვალი მიუწვდება პედაგოგს.

სხვადასხვა პირობებში მოსწავლეთა შესწავლა საჭიროა იმიტომ, რომ ბავშვები ყველგან ერთნაირად არ იქცევიან. ზოგჯერ მათი მოქმედება არსებითად ეწინააღმდეგება ბავშვის საერთო მიმართულებას. ზოგიერთი მასწავლებელი, რომელსაც საფუძვლიანად, სხვადასხვა ვითარებასა და სიტუაციაში არა ჰყავს შესწავლილი აღსაზრდელები, ხშირად მიმართავს ამა თუ იმ მოსწავლეს: *„არ გრცხვენია?“ „შენგან ამას არ მოველოდი“, „შენგან მიკვირს ასეთი საქციელი“* ა.შ.

სასკოლო პირობებში შედარებით ადვილად შესამჩნევია მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებანი. მოსწავლეზე დაკვირვების ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს საშინაო დავალების გამოკითხვა, ახალი მასალის ახსნა, მისი განმტკიცება და სხვა.

გაკვეთილზე მასწავლებელი ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს, თუ როგორ ითვისებს ცოდნას კლასი და ცალკეული მოსწავლე, რას ითვისებენ ადვილად და რაში განიცდიან სიძნელეებს, როგორია მათი ყურადღება და ინტერესი სწავლისადმი.

მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებათა შესწავლისათვის შედარებით ნაკლებ მასალას იძლევა მის ისეთ ქცევაზე დაკვირვება, რომელიც საკმარისად განმტკიცებულია მასში. ახალი პირობები, უჩვეულო გარემო პიროვნების ახალსა და მანამდე უჩვეულო ქცევას საჭიროებს. როცა მოსწავლე ექსკურსიაზეა და მისთვის მანამდე უცნობ საგნებს ათვალიერებს, მაშინ უჩვეულო შთაბეჭდილებებზე მის რეაქციას ბუნებრივი ხასიათი ექნება, რომლის შემჩნევა ადვილია. მაგრამ,ხშირ შემთხვევაში, ბავშვის ამა თუ იმ მოქმედების მოტივი შენიღბულია და მისი გამოკვლევა მარტო დაკვირვებით შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლა და ამის საფუძველზე სწორი მიდგომის შემუშავება მოითხოვს დიდ დროსა და შესაფერის პირობებს, ხოლო აღმზრდელისაგან – გულმოდგინებას, მოთმინებას, სათანადო გამოცდილებასა და ტაქტს.

კლასის ხელმძღვანელს მოსწავლეთა კრებებზე დასწრებით შეუძლია მიიღოს უმდიდრესი მასალა როგორც კლასის კოლექტივის, ისე მისი ცალკეული წევრების ორგანიზებულობის, დისციპლინისა და ზნეობრივი შეგნებულობის შესახებ.

მასწავლებელი არა მარტო პასიურად აკვირდება მოსწავლეთა ყოფაქცევას და ახდენს მათ ფიქსირებას, არამედ, ამავე დროს, არკვევს ამგვარი ყოფაქცევის წარმოშობის მიზეზებს და სახავს მათ შეგნებაში ცუდი თვისებების უკუგდებისა და კარგის დანერგვის მეთოდებს.

მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლის შემდეგი მეთოდია ***საუბარი.*** იგი უნდა წარმოებდეს როგორც მოსწავლეებთან, ისე მათ მშობლებთან და მასწავლებლებთან.

მოსწავლეებთან საუბრისას მასწავლებელს საშუალება აქვს გაიგოს მათი ინტერესები, მიზნები და მისწრაფებანი. საუბრები შეიძლება წარიმართოს რომელიმე საგანში მეცადინეობის შესახებ, კლასგარეშე კითხვის შესახებ, დისციპლინისა და ზრდილობის შესახებ, ქცევის შესახებ სკოლაში, ქუჩაში,ოჯახში,საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და სხვა.ზოგჯერ ასეთ საუბარში ვლინდება ბავშვისათვის დამახასიათებელი ისეთი თვისებები, რომლებიც ახალ გზებსა და საშუალებებს აძლევენ მასწავლებელს მოსწავლეებზე აღმზრდელობითი ზემოქმედების უკეთ წარმართვისათვის.

ობიექტური მონაცემების მისაღებად საჭიროა მოსწავლე განვაწყოთ გულწრფელობისათვის და შევქმნათ მთელი საუბრის მანძილზე კეთილსასურველი ატმოსფერო. საუბრისას მიღებული ცნობების ობიექტურობა დიდად არის დამოკიდებული მასწავლებლის ტაქტსა და ადამიანებთან ურთიერთობის უნარზე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოსწავლის ქცევას სკოლაში ძირითადად განსაზღვრავს ოჯახური აღზრდა. არის შემთხვევები, როცა მშობელი ანებივრებს ბავშვს, დაუმსახურებლად აქებს ან ყველა მოთხოვნას უსრულებს და ა.შ. ასეთი ბავშვი ვერ ეგუება სასკოლო რეჟიმსა და დისციპლინას, ავლენს ეგოისტურ მიდრეკილებებს, ცდილობს სხვებთან უპირატესობის მოპოვებას, უხეშად ეპყრობა არა მარტო თავის ამხანაგებს, არამედ უფროსებსაც კი

მშობელთა ერთი ნაწილი ბავშვის თანდასწრებით ცუდად ახასიათებს მასწავლებელს, ზოგიერთები უცოდინარობასაც მიაწერენ ხოლმე. ამით ისინი ძირს უთხრიან სასკოლო აღზრდის მთელ სისტემას.

პედაგოგიურ პრაქტიკაში შეხვდებით ისეთ მშობელსაც, რომელიც არ არის დაინტერესებული ბავშვის სწავ-

ლით და არ ზრუნავს შვილზე: ზედმეტად ტვირთავს საოჯახო საქმეებით, დროზე არ უძენს სახელმღვანელოებს, სასწავლო ნივთებს და ა.შ.

ზოგიერთი მშობელი კი ზედმეტ ნდობას უცხადებს თავის შვილს: ყველაფერს უჯერებს, ყველაფერში ენდობა და თუ მისი შვილი ტყუილს იტყვის, არ ჰგონია.

მასწავლებლის ხშირი მისვლა მოსწავლის ოჯახში და მშობლებთან საუბარი ფარდას ხდის ოჯახში შექმნილ ვითარებას. საუბრები მშობლებთან უნდა წარმოებდეს ბავშვების გარეშე, საუბრის შინაარსი კი წინასწარ უნდა იყოს მოფიქრებული. ჩვეულებრივ, მასწავლებლები მშობლებისაგან გებულობენ, თუ როგორ ატარებენ მათი შვილები თავისუფალ დროს, როგორ იქცევიან ოჯახში, ვისთან მეგობრობენ.

კლასის ხელმძღვანელი ესაუბრება ასევე მის კლასში შემავალ მასწავლებლებს, მათ შორის იმ მასწავლებლებსაც, რომლებიც წინა წლებში ასწავლიდნენ მის მოსწავლეებს.

მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების გაცნობის შემდეგი მეთოდია მათი ***დამოუკიდებელი ნამუშევრების შესწავლა-გაანალიზება.***

განსაკუთრებით დიდ დახმარებას გაუწევს მასწავლებელს ამ მხრივ მოსწავლეთა შემოქმედებითი ნაშრომები — თხზულებები, ნახატები, ნაქარგები, მოდელები და სხვა. ისინი ეხმარებიან პედაგოგს მოსწავლეთა ნიჭის, უნარის, ინტერესებისა და მიდრეკილებების შესწავლაში.

ბავშვის სულიერი ცხოვრების, მისი ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლაში მასწავლებელს დიდ დახმარებას გაუწევს ასევე ***სასკოლო დოკუმენტაციისა და მოსწავლის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახასიათების გაცნობა,*** რა თქმა უნდა, თუ ისინი სრულყოფილია და ნათელ წარმოდგენას იძლევიან ამა თუ იმ მოსწავლეზე.

მოსწავლეთა შესწავლის აქ ჩამოთვლილი მეთოდები, ცხადია, ამომწურავი არაა. ჩვენ ჩამოვთვალეთ მხოლოდ ზოგიერთი, უფრო გავრცელებული მეთოდები, პრაქტიკაში კი გამოიყენება გაცილებით მეტი მეთოდი.

მოსწავლეთა სრულყოფილი შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემებით და აკადემიური მოსწრების საფუძველზე კლასის ხელმძღვანელი სასწავლო წლის დასასრულს უნდა ადგენდეს თითოეულ მოსწავლეზე ამომწურავ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ დახასიათებას, რომელიც გარკვეულ დახმარებას გაუწევს ნებისმიერი საგნის მასწავლებელსა და აღმზრდელს.

ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნა კლასის ხელმძღვანელს საშუალებას აძლევს დროზე აღმოფხვრას მოსწავლეთა უდისციპლინობის,აკადემიური ჩამორჩენილობისა და მეორეწლიანობის შემთხვევები კლასში. გარდა ამისა, მას საშუალება ეძლევა კონკრეტულ შემთხვევაში რჩევა-დარიგება მისცეს საგნის მასწავლებლებს და ამით ხელი შეუწყოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას სკოლაში.

თავი VIII

აღზრდის მიზანი და ამოცანები

აღზრდის მიზნის პრობლემა უხსოვარი დროიდან იდგა ადამიანთა ყურადღების ცენტრში. საზოგადოებისა და, მასთან ერთად, აღზრდის წარმოშობისთანავე დღის წესრიგში დაისვა საკითხი: რა არის აღზრდის მიზანი? რად უნდა იქცეს ადამიანი, რომელსაც აღზრდა ემსახურება? ამის გარკვევის გარეშე აღზრდა დაემსგავსებოდა უკომპასო ხომალდს ან ბრმას, რომელიც ხელების ცეცებით მიიკვლევს გზას. *„მიზანი ერთგვარი შუქნიშანია, – წერს პროფესორი* ***თამარ კუკავა,*** *– რომელიც მოქმედს უჩვენებს სწორ მიმართულებას და რომლის გარეშე სიარული სიბნელეში სიარულს, ან თითქმის ბრმად სიარულს ნიშნავს, სიარულს ისე, რომ არ იცი, სად, რატომ და რისთვის მიდიხარ. ასეთი მსვლელობა აუცილებლად მარცხისათვის არის განწირული და პირიქით,სწორად დასახული მიზანი და მიზნის მისაღწევად შერჩეული სათანადო საშუალებები თითქმის გამარჯვების ნახევარს უდრის“.*[1] ამიტომ ყოველ აღმზრდელს, სადაც არ უნდა მუშაობდეს იგი, კარგად უნდა ჰქონდეს გარკვეული თავისი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ვინ უნდა აღზარდოს, როგორი ცოდნის, განათლებისა და საქმიანობის პიროვნება უნდა იყოს მისი აღზრდილი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავისი საქმის ხელოვნად ვერ იქცევა და უბრალო მოხელედ დარჩება. რუსული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი **კ. დ. უშინსკი** წერდა:*„რას იტყოდით არქიტექტორზე, რომელიც საფუძველს უყრის ახალ შენობას და ვერ გიპასუხებთ კითხვაზე,რისი აშენება სურს...იგივე უნდა ვთქვათ*

---

[1] *თ. კუკავა, ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდა, თბ., 2004, გვ.10.*

აღმზრდელზეც, რომელიც ვერ შეძლებს თავისი აღმზრდელობითი საქმიანობის მიზნის ნათლად და სწორად განსაზღვრას“. [1]

მიზნის სიცხადე აუცილებელია ყოველგვარ საქმეში და მით უმეტეს ისეთ საქმეში, როგორიცაა მომავალი თაობის აღზრდა, რომელიც გაცილებით უფრო რთული და საპასუხისმგებლოა, ვიდრე ადამიანის ნებისმიერი სხვა საქმიანობა. მიზნის ნათლად ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებელია აღზრდის მიმართულების, შინაარსის, ორგანიზაციის, ფორმებისა და მეთოდების სწორად განსაზღვრა.

ყოფილ საბჭოთა კავშირში აღზრდის ძირითად მიზნად მიჩნეული იყო პიროვნების ყოველმხრივი,ჰარმონიული განვითარება, რაც დღესაც ძალაშია, მაგრამ ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე,აღზრდის მიზნის ასეთი განმარტება არ გვაკმაყოფილებს.მასში უნდა აისახოს ის მოვლენები, რასაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში და ის პრობლემები, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას.

აქედან გამომდინარე,აღზრდის ძირითადი მიზანია ჰარმონიულად განვითარებული ჭეშმარიტი მამულიშვილის ჩამოყალიბება, რომელიც არ დაიშურებს თავის ძალასა და ენერგიას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, მისი ეკონომიკის გაჯანსაღების, დამოუკიდებლობისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების და ეროვნული ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესებისა და ტრადიციების დაცვისათვის.

ასე უნდა აღიზარდონ საქართველოში მუდმივად მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანებიც, რომლებიც თავიანთ სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევენ. ისინი პატივს უნდა სცემდნენ ქართულ ზნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებს, ქართველი ხალხის ენას, მის კულტურასა და ისტორიას.

ამას ავალებს სკოლასა და მასწავლებელს „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა“ და საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“.

---

[1] *Ушинский К. Д. Человек как предмет воспигания. – Избр. произведения, выпуск I, М.-Л., 1946, с.14.*

ზოგიერთი ე.წ. დასავლეთელი მეცნიერის აზრით, აღზრდის წინაშე საერთოდ არ უნდა დაისახოს მიზანი. მოზარდი თაობა უნდა ჩამოყალიბდეს თავისი ბუნებრივი მონაცემებით,ყოველგვარი წინასწარ განზრახული მიზნის გარეშე. ყოფილ საბჭოთა კავშირში ასეთი შეხედულება იყო გაბატონებული გასული საუკუნის ოციან-ოცდაათიან წლებში, რომელიც უარყო **ა. ს. მაკარენკომ**. სტატიაში *„აღზრდის მიზანი“*. იგი წერდა: *„...პედაგოგიკა ვალდებულია დაამუშაოს აღზრდის მიზნის ურთულესი საკითხი და ამ მიზნის მიღწევის მეთოდები“.* [1] მისი აზრით, აღმზრდელობითი მუშაობა, რომლის პროცესში აღმზდელს შემუშავებული არა აქვს ნათელი, ღრმად გააზრებული მიზანი, იქნება არასრულყოფილი და ნაკლებნაყოფიერი.

იბადება კითხვა: რა განსაზღვრავს აღზრდის მიზანს? რაზეა დამოკიდებული იგი?

აღზრდის მიზანს ცალკეული პიროვნებები როდი განსაზღვრავენ.იგი ადამიანების ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული. აღზრდის მიზანს და ამოცანებს საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე განსაზღვრავდა და განსაზღვრავს ის საზოგადოება, რომელშიც იგი მიმდინარეობს. მას აპირობებს საზოგადოებრვი ყოფიერება, საზოგადოებრივი წყობა და ემორჩილება მისი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს. ამიტომ, თუ გვინდა შევცვალოთ აღზრდა, მაშინ, უწინარეს ყოვლისა, უნდა შევცვალოთ საზოგადოების ეკონომიკური წყობა, საზოგადოებრივი ფორმაცია.

პირველყოფილი თემური წყობილების დროს, როცა საზოგადოება არ იყო დაყოფილი ცალკეულ კლასებად, არ არსებობდა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები და არ იყვნენ პროფესიონალი აღმზრდელები,აღზრდის წინაშე მაინც იდგა მომავალი თაობის ცხოვრებისათვის მომზადების საკითხი. ახალგაზრდები თემის უფროსი წევრებისაგან სწავლობდნენ ნადირობას, ტანსაცმლის დამზადებას, ვარსკვლავებზე დაკვირვებით გზების გაგნებას, ბუნე-

---

[1] *Макаренко А. С. Соч., т. 5, М., 1958, с. 345.*

ბრივი მოვლენებისაგან თავის დაცვას, ეცნობოდნენ თემის ადათ-წესებს და ა.შ. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში ყველა ბავშვი ერთნაირ აღზრდას იღებდა, მონათმფლობელური წყობილების დროს კი, როცა საზოგადოება დაიყო კლასებად, მოხდა აღზრდის მიზნების დიფერენციაცია. თუ აქამდე აღზრდა ყველასათვის ერთნაირი იყო, ახლა იგი უკვე სახელმწიფოს ფუნქცია გახდა და გაბატონებული კლასის – მონათმფლობელობის კუთვნილებად იქცა.

იგივე მდგომარეობა იყო ფეოდალური წყობილების დროს, რომელშიც გაბატონებულ კლასს წარმოადგენდნენ ფეოდალები და ჩაგრულ კლასს – ყმა გლეხები. ეს უკანასკნელნი მოკლებული იყვნენ განათლების მიღების უფლებას. ისინი უფროსებზე მიბაძვით იძენდნენ იმ ცოდნა-ჩვევებს, რაც მათთვის საჭირო იყო.

ამრიგად,სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში არსებული აღზრდის მოკლედ დახასიათებიდანაც კარგად ჩანს, რომ აღზრდის მიზანსა და ამოცანებს განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები და მის შეცვლასთან ერთად იცვლება აღზრდის მიზანიც.

აღზრდის ძირითად მიზნად უძველესი დროიდან მიჩნეული იყო პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება და ფიზიკურ და გონებრივ ძალთა შორის არსებული განსხვავების მოსპობა. ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები დემოკრიტე, პლატონი, არისტოტელე და სხვები მოითხოვდნენ პიროვნების სულიერი და ფიზიკური ძალების ჰარმონიულ განვითარებას, რაც ანტიკური საზოგადოების პედაგოგიკურ ლიტერატურაში გამოიხატა ფორმულით: *„კალოს კაი აგატოს“* – ჩინებული გარეგნულად, ანუ ფიზიკურად და შინაგანად, ანუ სულიერად. ასეთი ადამიანის ჩამოყალიბებაში არისტოტელე გულისხმობდა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ აღზრდას. რაც შეეხება ესთეტიკურ აღზრდას, იგი მაშინ მოიაზრებოდა ზნეობრივ აღზრდაში, შრომითი აღზრდა კი მონათმფლობლის აღზრდის შინაარსში არ შედიოდა. იგი მხოლოდ მონის ხვედრი იყო, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ ადა-

მიანურ უფლებებს და, მათ შორის, აღზრდასაც.

მოგვიანებით აღორძინების ეპოქის ჰუმანისტებმა ყურადღება გაამახვილეს ესთეტიკურ აღზრდაზე,ხოლო პირველმა სოციალისტებმა – ტომას მორმა, ტომაზო კამპანელამ, შემდეგ სენ-სიმონმა, შარლ ფურიემ და რობერტ ოუენმა – შრომით აღზრდაზე და მის უდიდეს როლზე პიროვნების ფორმირებაში.ასე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების შინაარსი – ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდა.

ადრინდელი ხანის ჰუმანისტები ვიტორინო და ფელტრე, ფრანსუა რაბლე, მიშელ მონტენი და სხვები ჰარმონიულ განვითარებას თვლიდნენ პიროვნების თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარების მთავარ პრინციპად, ხოლო **ი. ა. კომენსკი** ჰარმონიულ განვითარებას მიიჩნევდა ადამიანის აღზრდის იდეალად. XIX საუკუნის პირველ ნახევარში **ი. ფ. ჰერბარტმა** პიროვნების ცალმხრივ განვითარებას დაუპირისპირა ადამიანის *„ინტერესთა მრავალმხრივობის“* პრინციპი, რომელშიც იგი პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას გულისხმობდა. [1]

პიროვნების ჰარმონიული განვითარების შესახებ ლაპარაკობდნენ ასევე რუსი რევოლუცონერ-დემოკრატები და რუსული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი კ. დ. უშინსკი, საქართველოში კი – ი. ჭავჭავაძე. ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე და სხვები.

რას ნიშნავს ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მომავალში იქნებიან იდეალური ადამიანები, რომლებსაც ყველაფრის კეთება ეცოდინებათ? რა თქმა უნდა, არა. ეს იქნება დილეტანტობა, ზერელობა. ადამიანი, რომელიც ყველაფრის შესწავლას მოინდომებს და თანაბარ პრეტენზიას განაცხადებს სრულიად განსხვავებული დარგის ცოდნაზე (გამონაკლისების გარეშე) დონ-კიხოტის როლში აღმოჩნდება. მას

---

[1] *გ. თავზიშვილი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბ., 1968, გვ. 27.*

მხოლოდ ზერელე წარმოდგენა ექნება საგნებსა და მოვლენებზე. ასეთი კაცი სერიოზული საქმისათვის არ გამოდგება. ადამიანი ვერასოდეს გახდება ყველა დარგის სპეციალისტი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი თავის ვიწრო სპეციალობაში იყოს ჩაკეტილი და არ იცოდეს, რა ხდება მისი სპეციალობის მონათესავე დარგებში.

ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანს ზოგადი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგზე, მაგრამ მან ძალიან კარგად, ღრმად და საფუძვლიანად უნდა იცოდეს თავისი ძირითადი პროფესია, საქმე, რომლითაც იგი თავის ხალხს, საზოგადოებას ემსახურება. **კ. ა. ტიმირიაზევის** გამოთქმით, ყოველმხრივად განვითარებულმა ადამიანმა *„ყველაფერზე უნდა იცოდეს ცოტა რამ, მაგრამ ცოტაზე – ყველაფერი“.*

ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი კარგად უნდა იყოს აღზრდილი ფიზიკურად, გონებრივად, ზნეობრივად, ესთეტიკურად და უნდა ჰქონდეს მიღებული შრომითი წრთობა. თითოეულ მათგანს ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. რომელიმე მათგანის გამოკლება ან არასრულყოფილად განხორციელება შეაფერხებს პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

ფიზიკური აღზრდა. აღზრდის შემადგენელ ნაწილთა შორის ფიზიკურ აღზრდას განსაკუთრებული როლი ენიჭება პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებაში, რადგან იგი აღზრდის ყველა მხარის საფუძველია, კეთილმყოფელ გავლენას ახდენს პიროვნების გონებრივ განვითარებაზე, ხელს უწყობს მისი ზნეობრივი თვისებებისა და ესთეტიკური გრძნობების სრულყოფას და შრომისათვის მომზადებას, ერთი სიტყვით, პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას.იგი არა მხოლოდ კავშირშია აღზრდის სხვა შემადგენელ ნაწილებთან, არამედ რამდენადმე განაპირობებს კიდეც პიროვნების გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და შრომით აღზრდას.

ფიზიკური აღზრდა გულისხმობს მხნე, ჯანსაღი,შრო-

მისა და ბრძოლის უნარის მქონე ახალგაზრდობის მომზადებას. „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამაში“ (თბ., 1995, გვ. 30) ვკითხულობთ: *„...ჯანსაღი, ფიზიკურად განვითარებული თაობის მომზადება ერის საერთო გაჯანსაღების ფაქტორია. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, რამდენადაც ფიზიკურად მომზადებული ახალგაზრდა – ძლიერი ქართული არმიის შექმნის საწინდარია“.*

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ამოცანებია:

1. მოზარდის ორგანიზმის ნორმალური განვითარება, მასში ისეთი თვისებების ჩამოყალიბება, როგორიცაა: სხეულის ახოვანება,სისწრაფე, მოქნილობა, გამძლეობა, დროსა და სივრცეში სწრაფი ორიენტირება;

2. საკუთარი ძალების მტკიცე რწმენა, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცე.

3. ბავშვის ჯანმრთელობის გაკაჟება და მისი მომზადება სწავლის, შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის.

მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას სკოლაში ემსახურება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანი, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ფიზიკური აღზრდა, რომელსაც ყველა კლასში კვირაში ორ-ორი გაკვეთილი ეთმობა. ამ საქმეში ასევე წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა სახის სპორტული წრეები, შეჯიბრებები, ლაშქრობები, ოლიმპიადები და სხვ. **ვასილ სუხომლინსკის** აზრით, ადამიანი სპორტს უნდა დაეუფლოს არა მარტო შეჯიბრებებში გარკვეული წარმატებების მიღწევისათვის,არამედ, უფრო მეტად, თავისი ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარებისათვის.

გონებრივ აღზრდას პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. მის უდიდეს მნიშვნელობას ამ საქმეში განაპირობებს ის, რომ .ბუნების შეცნობა და მისი ადამიანთა სამსახურში ჩაყენება გონებრივი აღზრდა-განათლების გარეშე შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, ზოგადად, გონებრივი აღზრზრდის მიზანს წარმოადგენს მცოდნე, განათლებული, შე-

მოქმედებითი აზროვნების უნარით აღჭურვილი პიროვნების მომზადება. ეს მიზნები კონკრეტდება გონებრივი აღზრდის ამოცანებში. ამ ამოცანათა შორის უმთავრესია:

1. მოსწავლეთა შეიარაღება მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნით და მოწინავე პრაქტიკული გამოცდილებით, რადგან თითქმის ყველა სხვა ამოცანა, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, ამ ამოცანის გადაჭრის პროცესში ხორციელდება. ამიტომაც მას პირველ ადგილზე ვაყენებთ.

2. მოსწავლეებში წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება. ამის გარეშე შეუძლებელია თვითგანათლება, ცოდნის დამოუკიდებლად შევსება და გაღრმავება, რადგან ვერც საშუალო სკოლა და ვერც უმაღლესი სასწავლებელი ადამიანს ვერ მისცემს ყველა იმ ცოდნას, რაც მას ცხოვრებაში დასჭირდება. გარდა ამისა, მეცნიერებისა და ტექნიკის უჩვეულო განვითარების პროცესი ყოველი ადამიანისაგან მოითხოვს ახალი მეცნიერული აღმოჩენების დაუფლებას. ამას კი იგი ვერ შეძლებს, თუ არ გააჩნია წიგნზე და მეცნიერულ ლიტერატურაზე დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები.

3. მოსწავლეთა აღჭურვა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევებით.ყოველი ადამიანის განათლებულობა და აღზრდილობა განისაზღვრება არა იმის მიხედვით, თუ რა მოცულობის ცოდნას იტევს მისი გონება, არამედ იმით, თუ რამდენად ძალუძს მას თავისი ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება.

4. მოსწავლეთა შემეცნებითი ძალების განვითარება, როგორიცაა:აღქმა, ყურადღება აზროვნება, მეხსიერება, ნებისყოფა და სხვ. ამის გარეშე შეუძლებელია მათი წინსვლა არცოდნიდან ცოდნისაკენ. მოსწავლეთა შემეცნებითი ძალებიდან, ჩვენი აზრით, ყველაზე მთავარია აზროვნების განვითარება. განმავითარებელი და პრობლემური სწავლება, რომლის შესახებაც ახლა ბევრს ლაპარაკობენ, მოსწავლეთა აზროვნების განვითარების გარეშე შეუძლებელია. ნებისმიერი საგნის მასწავლებელი უნდა ცდილობდეს მოსწავლეთა არა მარტო ცოდნით შეიარაღებას, არამედ მათი აზროვნების, ნებისყოფის,მეხსიერებისა და სხვა თვი-

სებების განვითარებასაც. ტყუილად როდი ამბობდა გამოჩენილი გერმანელი პედაგოგი **ა. დისტერვეგი,** რომ კარგმა მასწავლებელმა კი არ უნდა გადასცეს მოსწავლეებს ჭეშმარიტება, არამედ უნდა ასწავლოს მათ ამ ჭეშმარიტების აღმოჩენაო. ამას კი მოსწავლე ვერ შეძლებს ფიქრისა და აზროვნების გარეშე.

5. დაბოლოს, ***გონებრივმა აღზრდამ უნდა ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს მეცნიერული მსოფლმხედველობა.*** ამ საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი მეცნიერებები და საბუნებისმეტყველო ციკლის საგნები.

მოსწავლეთა გონებრივი აღზრდის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა, რომელსაც ემსახურება სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანი, დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მაღალ დონეზე წარმართავს მასწავლებელი თავისი საგნის სწავლებას, რამდენად მჭიდროდ უკავშირებს იგი შესასწავლ მასალას მოსწავლეთა ცხოვრებას, მათ ყოველდღიურ საქმიანობას, იმ გარემოს, რომელშიც უხდება ბავშვს ცხოვრება.

ზნეობრივი აღზრდა პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, ყველაზე რთული პროცესია. მისი სირთულე, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით,რომ იგი მრავალწახნაგოვანი პროცესია. ზნეობრივი აღზრდის შინაარსში შედის: პატრიოტული, ინტერნაციონალური, ჰუმანიზმის, კოლექტივიზმის, ეკოლოგიური, შეგნებული დისციპლინის, კულტურული ჩვვების, შრომისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებისა თუ სხვა მაღალზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბება.

ზნეობა, ანუ მორალი არის საზოგადოების მიერ თავისი არსებობის მანძილზე შემუშავებული ქცევის გარკვეული წესების, პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ, აწესრიგებენ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, ზნეობრივი აღზრდა გულისხმობს მოსწავლეებში ქცევის წესებისა და ნორმების ჩანერგვას და ამ წესებისა და ნორმების შესაბამისი ქცევების გამომუშავებას.

ზნეობა ადამიანის სულიერი კულტურის გამომხატველია. სულიერი კულტურის ცნებაში, ჩვეულებრივ, გულისხმობენ მეცნიერებას, ხელოვნებას, რელიგიას, ზნეობას, სამართალს, პოლიტიკას და სხვ. მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში მათ საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებს უწოდებენ. ამ ფორმათა შორის ყველაზე სპეციფიკური და „ადამიანურია“ ზნეობა, რომელიც, ადამიანის გარდა, არც ერთ ცოცხალ არსებას არ გააჩნია. ზნეობრივია ის, *„რითაც ადამიანი ადამიანობს“* (ბ. ბელინსკი).

ადამიანის მორალურ სახეს საფუძველი ეყრება სკოლამდელ ასაკში, მშობლების, განსაკუთრებით კი დედის უშუალო ხელმძღვანელობით.შემდეგ იგი გრძელდება სკოლამდელ დაწესებულებებში და ინტენიურად ვითარდება და ყალიბდება სასკოლო ასაკში, მოზარდის ქცევის მთელ პროცესში – თამაშში, სწავლაში, შრომაში, ადამიანებთან ურთიერთობაში და ა.შ.

რაა საჭირო იმისათვის, რომ ადამიანი ზნეობრივად იქცეოდეს? ამისათვის საჭიროა სამი რამ, ანუ ზნეობრივმა აღზრდამ უნდა გადაწყვიტოს სამი ამოცანა:

1. ზნეობრივი შეგნებისა და რწმენის აღზრდა;

2. ზნეობრივი გრძნობების აღზრდა და

3. ზნეობრივი ქცევის ჩვევებისა და ჩვეულებების ჩამოყალიბება. *

მაღალზნეობრივ ადამიანს მოეთხოვება თავისი სამშობლოს მგზნებარე სიყვარული და მისთვის თავდადება. ზნეობრივი აღზრდა გულისხმობს ასევე მოზარდ თაობაში *ჰუმანიზმისა და კოლექტივიზმის გრძნობების ფორმირებას.* ჰუმანიზმი – ესაა ადამიანის სიყვარული და პატივისცემა, იმის აღიარება, რომ ადამიანი ცოცხალ არსებათა შორის ყველაზე სრულქმნილი არსებაა და მას ყვე-ლგან და ყოველთვის დაფასება, პატივისცემა და მხარდა-ჭერა სჭირდება. ჰუმანისტი ადამიანი თავის კეთილდღეობას სხვის უბედურებაზე არ ააგებს. იგი ვერ ითმენს პირმოთნეობას,

---

* *ზნეობრივი აღზრდის ამოცანებზე საუბარი გვექნება XV თავში: „ზნეობრივი აღზრდა“.*

მლიქვნელობასა და ადამიანის ღირსების შემლახავ სხვა თვისებებს. ჭეშმარიტი ადამიანის გული სიკეთით სავსე და ბოროტებისადმი შეურიგებლობის გრძნობით არის გამთბარი. ამასთან, იგი სიკეთეს სჩადის არა თავის გამოჩენის ან ჯილდოს გულისათვის,არამედ ასეთი მოქმედება მას ყოველდღიურ, შინაგან მოთხოვნილებად აქვს გადაქცეული.

ზნეობრივ აღზრდაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ასევე *მოვალეობისა და ვალდებულების გრძნობა.* **ჩ. დარვინი** წერდა: *„...ყველაზე მთავარ განმასხვავებელ ნიშანს ადამიანსა და ცხოველს შორის წარმოადგენს ზნეობრივი გრძნობა, ანუ სინდისი... მისი მბრძანებლობა კი გამოიხატება მოკლე, მაგრამ ძლიერი და უაღრესად ტევადი სიტყვით – მევალება“.* [1] **ჟან-ჟაკ რუსოს** აზრით, *„ბავშვებს უნდა შევასწავლოთ მხოლოდ ერთადერთი მეცნიერება: ეს არის ადამიანის მოვალეობათა მეცნიერება“.* [2]

მოვალეობის გარეშე შეუძლებელია პიროვნების ზნეობრივი სრულყოფა. ამიტომაც *„წესები მოსწავლეთათვის“* იწყება სიტყვებით: *„ყოველი მოსწავლე ვალდებულია“...* ბავშვები უნდა გავარკვიოთ მოვალეობისა და ვალდებულების ცნებაში. ისე უნდა აღვზარდოთ ისინი, რომ მოვალეობის გრძნობა მათი ქცევის მიმართულების მიმცემი იყოს და ეს გრძნობა მათ მუდმივ თვისებად იქცეს. *„მოვალეობა და კიდევ მოვალეობა, – წერს ვ. სუხომლინსკი, – აი, ის ატმოსფერო, რომელშიც უნდა ვზრდიდეთ ადამიანის მიერ ნაშობ არსებას, რათა მას ღირსეულად ერქვას ადამიანის დიდი სახელი“.* [3]

მოვალეობის გრძნობა ადამიანის ქცევის, მოქმედების მოტივია. იგი არ არსებობს მოვალეობის შეგნების გარეშე. თუ პიროვნება ასრულებს ზნეობრივ მოვალეობას (მაგალი-

---

[1] *Дарвин Ч. Мое миросозерцание (окончанее). – Библиотека для самообразоваия, 1907, №4, с. 113.*

[2] *ჟ.-ჟ. რუსო, ემილი ანუ აღზრდის შესახებ, თბ.,1949, გვ. 30.*

[3] *ვ. სუხომლინსკი, მშობელთა პედაგოგიკა, თბ., 1981, გვ. 11.*

თად, წყალწაღებულის გადარჩენა დახრჩობისაგან, ცეცხლ-მოკიდებული სახლიდან ადამიანის გამოყვანა და სხვ.), მა-გრამ მასში გამომუშავებული არ არის მოვალეობის ან ადამიანის სიყვარულის, სიბრალულის გრძნობა, მაშინ მი-სი ქცევის მოტივი იქნება პატივმოყვარეობა, ანგარება, ან ეგოიზმი და ა.შ.

ზნეობრივია პიროვნების ქცევა მაშინ, როცა იგი მოქ-მედებს საკუთარი ნებით და არა ვინმეს დავალებით, იძუ-ლებით. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზნეობრივი მოქმედე-ბის არა მარტო შეგნებასთან, არამედ აგრეთვე გრძნობას-თან. ასეთ შემთხვევაში ამბობენ ამა თუ იმ პიროვნებაზე, რომ იგი ზნეობრივი პიროვნებაა.

ზნეობრივი აღზრდის შინაარსში შედის ასევე *შრომი-სა და შრომის პროდუქტებისადმი სათუთი, მზრუნველი, დამოკიდებულება.*ზნეობრივად სრულყოფილ ადამიანს შრო-მა ყოველდღიურ მოთხოვნილებად, საზოგადოებრივ მოვა-ლეობად მიაჩნია. იგი პატივს სცემს შრომასა და მშრო-მელ ადამიანს, უფრთხილდება შრომის პროდუქტებს,საზო-გადოებრივ საკუთრებას. ვინც ბაღებსა და პარკებში სკა-მებს ამტვრევს, მერხებზე და მაგიდებზე დანით ჭრის სა-კუთარი გვარ-სახელის ინიციალებს, ანაგვიანებს ქუჩას, არ უფრთხილდება ბიბლიოთეკის წიგნს, მას არავითარი საერთო არა აქვს ზნეობასთან. [1]

ზნეობრივი აღზრდა წარმოუდგენელია ასევე *შეგნებუ-ლი დისციპლინის გარეშე.* დისციპლინირებულია მოსწავ-ლე, რომელიც იცავს ქცევის წესებს და კეთილსინდისიე-რად ასრულებს თავის უშუალო მოვალეობას: არ აცდენს გაკვეთილებს, ყურადღებით უსმენს მასწავლებელს, დროზე და მაღალხარისხოვნად ასრულებს საშინაო და საზოგადო-ებრივ დავალებებს, კარგად სწავლობს და ა.შ.

შეგნებულ დისციპლინას ა. მაკარენკო „ბრძოლისა და გადალახვის“ დისციპლინას უწოდებდა.

ამრიგად,საკმარისი არაა გაგვაჩნდეს ზნეობრივი შეგ-ნება, ამასთან ერთად, საჭიროა ამ შეგნებისა და გრძნობე-

---

[1] *პ.ჯანელიძე,მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდა, თბ.,1979,გვ.47.*

ბის შესაბამისი ქცევის უნარიც. სწორედ ამ სამი კომპონენტის ერთიანობაა ზნეობა.

ესთეტიკური აღზრდა პიროვნების ყოველმხრივი, ჰარ--მონიული განვითარების განუყოფელი ნაწილია. მისი მიზანია მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნებისა და იდეალების ფორმირება, სილამაზის, მშვენიერების აღქმის,გაგებისა და განცდის უნარის გამომუშავება, მხატვრული გემოვნების განვითარება.

ესთეტიკური აღზრდის ამოცანებია:

1. ესთეტიკური ცოდნა-განათლების დაუფლება და გემოვნების განვითარება;

2. ესთეტიკური გრძნობების დახვეწა-განვითარება;

3. ესთეტიკური აღქმისა და მსჯელობის უნარის ფორმირება.

მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში დიდ როლს ასრულებს ბუნება, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, მხატვრული ტანვარჯიში, თვითმოქმედ (სიმღერის, მუსიკის, ნორჩ მხატვართა, ლიტერატურულ, დრამატულ, ქორეოგრაფიულ, ფოტომოყვარულთა და სხვ.) წრეებში მათი მონაწილეობა.

ამ საქმეში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ასევე ექსკურსიებს, კინოფილმებზე და სპექტაკლებზე კოლექტიურ დასწრებას და ნახულის შესახებ მსჯელობას, სამხატვრო გამოფენების დათვალიერებას.

ესთეტიკური აღზრდა არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მოსწავლე ხელოვნების მუშაკად ვაქციოთ. ეს შეუძლებელიცაა, რადგან შემოქმედებითი ნიჭი ყველას არ გააჩნია, მაგრამ საკვლევით შესაძლებელია აღზრდის ისე დაყენება, რომ ყველას შეეძლოს ლამაზისა და მშვენიერის გაგება და, რაც მთავარია, ამ მშვენიერებაში საკუთარი წვლილის შეტანა.

შრომითი აღზრდა უდიდეს როლს ასრულებს პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებაში, იმდენად დიდ როლს, რომ მარქსიზმის ფუძემდებლები აცხადებდნენ — შრომამ შექმნა ადამიანიო. შრომა ასრულებდა და კვლავაც ასრულებს გადამწყვეტ როლს ადამიანში ადამიანური თვისებების ჩამოყალიბებისა და მათი შენარჩუნების

საქმეში. დიდი რუსი პედაგოგის **კ. დ. უშინსკის** აზრით, *„შრომა შეადგენს ადამიანის განვითარების არა მარტო აუცილებელ პირობას, არამედ იმის აუცილებელ პირობასაც, რომ ადამიანმა შეინარჩუნოს ის ღირსება, რასაც მან უკვე მიაღწია“.* [1]

მოსწავლეებს უნდა ჩავუნერგოთ იმის გრძნობა, რომ შრომა ადამიანის ბედნიერებისა და სიკეთის უშრეტი წყაროა. ამიტომ იგი უნდა უფრთხილდებოდეს შრომის პროდუქტებს, სხვის შრომას, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონებას, რომელიც მშრომელი კაცის ოფლითა და მარჯვენითაა შექმნილი.

შრომის უდიდეს გამაკეთილშობილებელ როლს ხაზი გაუსვა **კ. დ. უშინსკიმ** ნაშრომში *„შრომის ფსიქიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა“.* მასში იგი წერს: *„თვით აღზრდამ, თუ მას სურს ადამიანის ბედნიერება, უნდა აღზარდოს ის არა ბედნიერებისათვის, არამედ მოამზადოს შრომისათვის, ცხოვრებისათვის“.* [2]

შრომით აღზრდას,ისე როგორც აღზრდის ყველა სხვა მხარეს, საფუძველი ეყრება ოჯახში მშობლების უშუალო ხელმძღვანელობით. ვ.სუხომლინსკის აზრით, შრომითი აღზრდა იწყება თვითმომსახურებით, იმ დღიდან, როცა ბავშვი ისწავლის კოვზის ხელში დაჭერას და თეფშიდან კერძის დამოუკიდებლად მიღებას. ამ საქმეში მთავარი როლი უნდა შეასრულოს დედამ. მან უნდა ასწავლოს ბავშვს ჩაცმა-დახურვა, ცხვირსახოცის, წინდის, საცვლების გარეცხვა, ლოგინის გასწორება,სუფრის გაშლა-ალაგება, აწყვეტილი ღილის მიკერება, ოთახის დაგვა-დასუფთავება და ა.შ. ასეთი დავალებები ერთნაირად უნდა მიეცეს როგორც გოგონებს, ისე ვაჟებს, რათა ისინი ყოველგვარ საქმეში გაიწაფონ. მაღალკლასელებმა უნდა შეძლონ ყველა იმ საქმის შესრულება, რასაც უფროსები აკეთებენ, მაგრამ ამ დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული აღსაზრდელთა როგორც ასაკობრივი, ისე სქესობრივი და

---

[1] *კ. დ. უშინსკი, რჩეული პედ. თხზ., თბ., 1974, გვ. 172.*

[2] *იქვე, გვ. 180.*

ინდივიდუალური თავისებურებანი. ასეთი შრომა ხელს უწყობს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას, განსაკუთრებით კი, მის ზნეობრივ სრულყოფას, „ზნე-ხასიათის გაწრთვნას“ (ი. ჭავჭავაძე). ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა საკეთილდღეო შრომას, რომელსაც ვ. სუხომლინსკი „სულის შრომას“ უწოდებს.

შრომითმა აღზრდამ უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. მოამზადოს მოსწავლე ახალგაზრდობა შრომისათვის ფსიქოლოგიურად, ე. ი. იმ რწმენითა და შეგნებით, რომ მან აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენი საზოგადოების წინსვლა-განვითარებაში;

2. მისცეს მოსწავლეებს შრომის თეორიული საფუძვლების ცოდნა, ე. ი. იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა იმუშაოს ნაყოფიერად, მაღალკვალიფიციურად;

3. შეაიარაღოს ისინი შრომისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევებით;

4. გამოუმუშაოს შრომის სიყვარული.

5. მიაჩვიოს შრომის კულტურას.

ამ ამოცანის გადაწვეტას უნდა ემსახურებოდეს სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანი, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, შრომითი აღზრდა, რასაც დღეს ნაკლები ყურადღება ექცევა.

ამრიგად, პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებაში აღზრდის კომპონენტები ცალ-ცალკე კი არ მოქმედებენ, არამედ ერთიანად, კომპლექსურად. ამასთან,ამ საქმეში, სკოლასთან ერთად, დიდ როლს ასრულებს ოჯახი და ის საზოგადოებრივი გარემო, რომლის წევრიცაა პიროვნება. მაგრამ მათ შორის უპირატესობა ენიჭება სკოლას, რომელიც აღზრდას აძლევს ორგანიზებულ, მიზანმიმართულ და გეგმაზომიერ ხასიათს.

თავი IX

განათლების სისტემა*

1. განათლების სისტემის ცნება

მოზარდი თაობის აღზრდას,სწავლებასა და განათლებას სხვადასხვა სახელმწიფო სხვადასხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების მეშვეობით ახორციელებს. ამ დაწესებულებების ერთიანობას განათლების სისტემას უწოდებენ.

განათლების სისტემა განისაზღვრება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით, ისტორიული წარსულით, ტრადიციით, კულტურის განვითარების დონით და სხვა. როგორიცაა სახელმწიფო, ისეთივეა მისი განათლების სისტემა.

განათლების სისტემები უძველეს დროში ჩამოყალიბდა. ცნობილია სპარტანული, ათენური, სპარსული, რომაული, ბიზანტიური, იტალიური, გერმანული,ფრანგული, რუსული და სხვა სახელმწიფოთა განათლების სისტემები. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ თავიანთი მიზნებით, ამოცანებით, შინაარსით, სასწავლებელთა სახელწოდებით,სასწავლო გეგმებით, პროგრამებით, სწავლების ხანგრძლივობით და ა.შ. მაგალითად, ამჟამად ზოგიერთ ქვეყანაში დაწყებითი სკოლა ოთხწლიანია,ზოგან — ხუთწლიანი, ზოგან კი — ექვსწლიანი. ზოგიერთ ქვეყანაში საშუალო სკოლებში სწავლების ხანგრძლივობა 10 წელია, ზოგან — 11, ზოგან კი — 12. ახლოხანს საშუალო სკოლა ჩვენშიც თორმეტწლიანი გახდა, ხოლო დაწყებითი სკოლა — ექვსწლიანი. გარდა ზემოთ აღნიშნულისა,ზოგიერთ ქვეყანაში მეტი საათები ეთმობა ჰუმანიტარული ციკლის სა-

** ეს თავი ძირითადად დაწერილია პროფესორების ვ. გაგუასა და შ. მალაზონიას სახელმძღვანელოების მიხედვით.*

გნებს, ზოგან კი – საბუნებისმეტყველო თუ მათემატიკურ საგნებს. ეს განსხვავება, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია სხვადასხვა ქვეყნის განათლებით, კულტურითა და ეკონომიკური მდგომარეობით.

1917 წლის რევოლუციამდე საქართველოში არსებობდა რუსული განათლების სისტემა.მთელს იმპერიაში მოქმედებდა ერთიანი, უნიფიცირებული სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები. მხოლოდ თითო-ოროლა სამრევლო და კერძო სასწავლებლები იყო ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული.

რუსეთის განათლების სისტემა ძირითადად ორ ჯგუფად იყოფოდა: 1. საერო სკოლებად და 2. სასულიერო სკოლებად.

საერო სკოლების სისტემაში შედიოდა: დაწყებითი სკოლები, გიმნაზიები, რეალური სასწავლებლები, სამასწავლებლო სემინარიები და კომერციული სასწავლებლები, რომლებიც საშუალო განათლებას აძლევდნენ ახალგაზრდებს; უმაღლესი სასწავლებლები (ინსტიტუტები და უნივერსიტეტები), რომლებიც არსებობდა რუსეთის დიდ ქალაქებში: პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ხარკოვში, ყაზანსა და ოდესაში. ამ სასწავლებლებში გამოყოფილი იყო ვაკანსიები კავკასიელი ახალგაზრდებისათვის. სტუდენტების ჩარიცხვა ხდებოდა მისაღები გამოცდების საფუძველზე. სადიპლომო ნაშრომის დაცვის შემდეგ უმაღლესის კურსდამთავრებულს ენიჭებოდა მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

პუბლიცისტისა და ჟურნალისტის სამსონ ფირცხალავას გადმოცემით,XIX საუკუნის მიწურულს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში 200-ზე მეტი ქართველი სტუდენტი სწავლობდა, აქრდან ყველაზე მეტი, კერძოდ, 64 სტუდენტი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში. 50 – მოსკოვის უნივერსიტეტში და ა.შ.

სასულიერო სკოლებში შედიოდა: სამრევლო სკოლები (2-3 წელი), სასულიერო სასწავლებლები (4-5 წელი). ასეთი სასწავლებლები საქართველოში არსებობდა გორში, თბილისში, თელავში, ქუთაისში, ოზურგეთსა და სამეგრე-

ლოში (ჯერ მარტვილში, შემდეგ სენაკში და ბოლოს ფოთში). ამ ტიპის სკოლების კურსდამთავრებულებს შეეძლოთ სწავლის გაგრძელება თბილისისა და ქუთაისის სასულიერო სემინარიებში. გარდა ამისა, არსებობდა სასულიერო აკადემიები, რომლებიც იძლეოდნენ უმაღლეს სასულიერო განათლებას. ასეთი სასწავლებლები იყო მოსკოვში (ზაგორსკში), პეტერბურგში, კიევში, ხარკოვში და ყაზანში, სადაც თითო-ოროლა ქართველი ახალგაზრდაც სწავლობდა (ი. გოგებაშვილი, ი. ცხვედაძე, გ. იოსელიანი, გ. ქიქოძე, გაიოზ რექტორი და სხვ.).

რუსეთის განათლების სისტემა ძირითადად განკუთვნილი იყო საზოგადოების შეძლებული ფენებისათვის. მშრომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ხელი არ მიუწვდებოდა სკოლაზე. მათი შვილები პატარაობიდანვე ემზადებოდნენ მძიმე ფიზიკური შრომისათვის. ამას ითვალისწინებდა მათი აღზრდა.

აღნიშნულ განათლების სისტემას, კლასობრივთან ერთად, წოდებრივი ხასიათიც ჰქონდა. თითოეულ წოდებას მისი მრწამსისა და ინტერესების შესაფერი სკოლები ემსახურებოდა.

თავადაზნაურობა, როგორც წესი, კლასიკურ გიმნაზიებში ასწავლიდა შვილებს, რომლის შემდეგაც საუნივერსიტეტო განათლების მიღება შეიძლებოდა. ამავე წოდების წარმომადგენლები ავსებდნენ კადეტთა კორპუსებს (სამხედრო კარიერის მსახურნი), კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტებს და ა.შ.

სამღვდელოებისათვის განკუთვნილი იყო სასულიერო სასწავლებლები, სემინარიები და აკადემიები.

ბურჟუაზიას არ მოსწონდა კლასიკური გიმნაზია,რომელიც საგრძნობლად დაშორებული იყო ცხოვრებისაგან და ამჯობინებდა რეალურ სასწავლებლებს, სადაც ძირითადად საბუნებისმეტყველო საგნები და თანამედროვე უცხოური ენები ისწავლებოდა, რომლებსაც პრაქტიკული ღირებულება გააჩნდა, უმაღლეს განათლებას კი ღებულობდნენ საინჟინრო, ტექნიკურ, კომერციულ, ტექნოლოგიურ ინსტიტუტებში.

დაბალი ფენების მოზარდები, მშრომელთა შვილები, უმეტესად სკოლის გარეთ რჩებოდნენ. ზოგიერთი მათგანი კი სწავლობდა ერთკლასიან სასწავლებელში, რომელიც ყველა სოფელში არ იყო. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ უფლება ჰქონდათ სწავლა განეგრძოთ ორკლასიან სასწავლებელში, მაგრამ იგი მხოლოდ სამაზრო ცენტრებში არსებობდა. ამის გამო, ხელმოკლეობასთან ერთად, აღნიშნული სასწავლებლები უნიჭიერესი ბავშვებისათვისაც კი მიუწვდომელი იყო.

ორკლასიანი სკოლის კურსდამთავრებულს შეეძლო მასწავლებლად მუშაობა ერთკლასიან სკოლაში ან სწავლა განეგრძო სამასწავლებლო სემინარიაში, რომელიც პედაგოგებს ამზადებდა ორკლასიანი სკოლებისათვის, უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას კი არ იძლეოდა.

იყო შემთხვევები, როცა გიმნაზიებში არათავადაზნაურთა, ხოლო სასულიერო სასწავლებლებში არასამღვდელოების შვილებიც სწავლობდნენ. ასევე ზოგჯერ გლეხის შვილებიც აღწევდნენ გარკვეულ წარმატებებს, მაგრამ ეს იყო გამონაკლისი და საერთო მდგომარეობას არ ცვლიდა.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ ბევრი რამ რადიკალურად შეიცვალა. განათლების სფეროში თავიდანვე აღებულ იქნა გეზი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციასა და სავალდებულო სწავლების თანდათან გაფართოებაზე, მაგრამ პირველ წლებში სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების მუშაობაში დაშვებულ იქნა მთელი რიგი შეცდომები, როგორიცაა: სწავლის (ცოდნის) აღიარება ძველი სკოლის ატრიბუტად და სკოლის ძირითად ამოცანად ახალგაზრდობის შრომისათვის მომზადების მიჩნევა; კომპლექსური პროგრამების შემოღება, რომლებიც საგნების თანმიმდევრულად გადაცემის საშუალებას არ იძლეოდა;სწავლების ბრიგადულ-ლაბორატორიული მეთოდის უკრიტიკოდ გადმოღება, რომელიც აუნივერსალებდა მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას და დევნიდა სიტყვიერ მეთოდებს; ცოდნის ინდივიდუალური შემოწმება-შეფასების უარყოფა; შეფასების ორბალიანი სისტემის შემოღება; მასწავლებლის მოვალეობის შემოფარგვლა კონსულტანტის

ფუნქციით და სხვ.

ამ შეცდომების დაძლევის შემდეგ საბჭოთა განათლების სისტემამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია, რითაც მსოფლიოში ცნობილ ადამიანთა (*რაბინდრანათ თაგორი, ალბერტ აინშტაინი, რომენ როლანი* და სხვ.) გულთბილი შეფასება დაიმსახურა. **ე. კოლერი** (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) წერდა: *„აღმოსავლეთის შიშით ჩვენ ვაგებთ ყაზარმებს და ქვემეხებს.აღმოსავლეთის შიშით აჯობებდა სკოლები გვეშენებინა. კულტურის სფეროში დამარცხების საშიშროება დღეს და მომავალში მეტია, ვიდრე ატომური ომის საფრთხე“.* [1]

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას. შეიცვალა საზოგადოებრივი წყობაც. ამჟამად მიმდინარეობს ჩვენი განათლების სისტემის სრულყოფა, რომლის მიზანია მისი მისადაგება ახლად შექმნილ ვითარებასთან, რაშიც ფართოდ გამოიყენება დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება

2. სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებები დღევანდელ საქართველოში

განათლების საბჭოური სისტემა სამი ძირითადი რგოლისაგან შედგებოდა, რაც დღესაც შენარჩუნებულია. ესენია: *I. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები; II. სკოლები* და *III. სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებები.*

I. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებია საბავშვო ბაგები (დაბადებიდან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის) და საბავშვო ბაღები (3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის). ამ დაწესებულებათა მთავარი ამოცანაა ბავშვთა სწორი ფიზიკური განვითარება და მათი სკოლისათვის მომზადება. აღნიშნული დაწესებულებების რიცხვი უკანასკნელ ხანებში, ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით, გაზრდის ნაცვლად, საგრძნობლად შემცირდა,რის გამოც სკო-

---

[1] *შ. მალაზონია, პედაგოგიკა, თბ., 2001, გვ. 65.*

ლამდელი ასაკის ბავშვთა ნახევარზე მეტი საბავშვო ბაღის გარეთაა დარჩენილი. ამიტომ დღეისათვის ამ მდგომარეობას უფრო მეტი ყურადღება მიექცა. ახლა უკვე ჩვენი ქვეყნის სოფლებსა ქალაქებში ყოველწლიურად იხსნება ახალ-ახალი საბავშვო ბაღები, მაგრამ მათი რიცხვი ჯერჯერობით მაინც ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს.

II. სკოლები განათლების სისტემის ყველაზე მთავარი და მრავალდარგოვანი ჯგუფია. მასში შედის: 1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები; 2. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები; 3. საშუალო სპეციალური სასწავლებლები; 4. უმაღლესი სასწავლებლები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, როგორც ადრე, ახლაც სამსაფეხურიანია (დაწყებითი, საბაზო და საშუალო). განსხვავება მხოლოდ ის არის,რომ დაწყებითი გა ნათლება ექვსწლიანი გახდა, საშუალო განათლება კი — თორმეტწლიანი. დაწყებით დანათლებას მოსდევს სამ-სამწლიანი საბაზო და საშუალო საფეხურები. მათში მოზარდები იღებენ საშუალო განათლებას და ემზადებიან საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების მიღებისათვის.

საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“ განსაზღვრულია შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლეთათვის, ასევე იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდებათ,სპეციალური და კორექციული ხასიათის საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნა, სადაც მოხდება *„ასეთი ბავშვების აღზრდა, სწავლება, მკურნალობა, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია“.*

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გვერდით გახსნილია ლიცეუმები, გიმნაზიები და კოლეჯები.

ლიცეუმი არის პროფილური სასწავლებელი, რომელშიც 3 წლის განმავლობაში (X-XII), მეორე საფეხურის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას შეუძლია, მიიღოს პროფილური განათლება. ლიცეუმის მიერ გაცემული ატესტატი მას უფლებას აძლევს სწავლა განაგრძოს უმაღ-

ლეს სასწავლებელში. აქ ძირითადად ყურადღება ექცევა განსაზღვრული პროფილით გაღრმავებულ სწავლებას და ზოგადსაგანმანათლებლო საგნების საფუძვლების დაუფლებას.

ლიცეუმში შეიძლება არსებობდეს როგორც დღის, ისე საღამოს (მომუშავე ახალგაზრდებისათვის) სწავლების ფორმები.

გიმნაზია არის ზოგადსაგანმანათლებლო ორსაფეხურიანი სასწავლებელი, რომლის თოთოეული საფეხური სამ-სამწლიანია. გიმნაზიის პირველ საფეხურს პროგიმნაზია ეწოდება. ტესტირების გავლის შემდეგ მასში ირიცხებიან ის მოსწავლეები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ელემენტარული სკოლა ან სწავლობენ საბაზო სკოლაში. პროგიმნაზიის წარმატებით დაამთავრების შემდეგ ახალგაზრდები პირდაპირ ირიცხებიან გიმნაზიაში, გიმნაზიადამავრებულებს კი ნება ეძლევათ სწავლა განაგრძონ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

გიმნაზია მოსწავლეს აძლევს ფართო განათლებას სასკოლო დისციპლინებში, განსაკუთრებით კი – ჰუმანიტარულ საგნებში.

კოლეჯი წარმოადგენს საშუალო სპეციალურ სასწავლებელს. კოლეჯში სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია. მასში შესვლა შეუძლიათ ახალგაზრდებს ძირითადი (საშუალო) სკოლის, პროგიმნაზიის ან მათთან გათანაბრებული სასწავლებლების დამთავრების შემდეგ. გიმნაზია- და ლიცეუმდამთავრებული ახალგაზრდები, სათანადო შემოწმების შემდეგ, შეიძლება ჩაირიცხონ შესაბამისი კოლეჯის IV კურსზე. კოლეჯის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს ეძლევათ უმცროსი სპეციალისტის კვალიფიკაცია. თუ კოლეჯის IV-V კურსების პროგრამა არსებითად შეესაბამება უმაღლესი სასწავლებლის გარკვეული სპეციალობის I-II კურსების სასწავლო პროგრამებს, შესაძლებელია კოლეჯის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა აუცილებელი გამოცდების ჩაბარების შემდგომ, ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კონკურსის წესით ჩაირიცხოს უმაღლეს სასწავლებელში III კურსზე. სხვა შემ-

თხვევაში კოლეჯის კურსდამთავრებულს უფლება ეძლევა სწავლა განაგრძოს უმაღლეს სასწავლებელში დადგენილი წესის მიხედვით. [1]

უმაღლესი სასწავლებლები სამი სახისაა: უნივერსიტეტები, ინსტიტუტები და სასწავლო აკადემიები.

უნივერსიტეტები 2 სახისაა – სასწავლო უნივერსიტეტები და უნივერსიტეტები. სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლება ხორციელდება ორ ეტაპზე. მისი პირველი საფეხურია ბაკალავრიატი, რომელშიც სწავლების ხანგრძლივობა 4 წელია. მისი დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. მას უფლება აქვს, როგორც უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტს, იმოღვაწოს სათანადო სფეროში, ხოლო ვისაც ცოდნის გაღრმავება სურს, სწავლას აგრძელებს V-VI კურსებზე მაგისტრატურაში და ღებულობს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. უნივერსიტეტი კი შედგება 3 საფეხურისაგან – ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურისაგან (ადრინდელი ასპირანტურის ნაცვლად). დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლები, როგორც წესი, მხოლოდ ბაკალავრებს ამზადებენ.

გარდა განათლების საერო სისტემისა, ჩვენს ქვეყანაში ფუნქციონირებს სასულიერო განათლების კერებიც.

III. სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებში შედის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები და სასახლეები, ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები, საბავშვო კინოთეატრები, ბიბლიოთეკები, სპორტის სახლები და სასახლეები და სხვა, რომლებიც მრავალმხრივ სააღმზრდელო საქმიანობას ეწევიან.

3. საქართველოს განათლების სისტემის პრინციპები.

საქართველოს განათლების სისტემა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

---

[1] *განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა და მისი რეალიზაციის გეგმა, თბ., 1995, გვ. 21.*

1. მშობლიურ ენაზე სწავლება. საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს განათლება მიიღოს თავის მშობლიურ ენაზე. ჩვენს რესპუბლიკაში, ქართული სკოლების გარდა, არის რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ოსური, აფხაზური, ბერძნული სკოლები, რაც საშუალებას აძლევს აღნიშნული ეროვნების წარმომადგენლებს მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე.

2. სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების ერთიანობა და მემკვიდრეობითობა. ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში შემავალი სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულების ყოველი დაბალი საფეხურიდან შეიძლება მომდევნო საფეხურზე დაუბრკოლებლად გადასვლა. მაგალითად, დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა გადადის საბაზო სკოლაში (VII-IX კლასები), შემდეგ კი საშუალო სკოლაში (X-XII კლასები) და, ბოლოს – უმაღლეს სასწავლებელში. ამ საქმეში არავითარი პრივილეგიები და შეზღუდვები არ არსებობს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენი სკოლების ერთიანი ხასიათი მდგომარეობს იმაშიც, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა ახალგაზრდას უფლება აქვს მიიღოს მისთვის სასურველი განათლება თავისი ნიჭის, უნარისა და შესაძლებლობის მიხედვით, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, სარწმუნოებისა და ქონებრივი მდგომარეობისა.

3. საყოველთაო-სავალდებულო სწავლება. ამ პრინციპის განხორციელება დაიწყო საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ. კერძოდ,1930 წელს შემოიღეს საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლება 4 კლასის ფარგლებში, 1949 წელს – 7 კლასის ფარგლებში, 1962-1963 სასწავლო წელს – 8 კლასის ფარგლებში. 1970 წლიდან დაიწყო საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა, რამაც საგრძნობლად დასცა ჩვენი სკოლის ავტორიტეტი. მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია,რომ ყოველ მოსწავლეს არ ძალუძს საშუალო განათლების პროგრამის ღრმად და საფუძვლიანად დაუფლება. ამიტომ სავალდებულოდ არ უნდა გავხადოთ ის,რაც არარეალურია და ფორმალიზმის საფრთხეს ქმნის.

ამჟამად ჩვენში სავალდებულოა არასრული საშუალო განათლება – 9 კლასი.

4. ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება და თანასწორუფლებიანობა განათლების მიღების საქმეში. ამ პრინციპმაც განხორციელება პოვა საბჭოთა წყობილების დროს, რასაც ადგილი არ ჰქონია მანამდე. ეს გადაწყვეტილება, როგორც დრომ გვიჩვენა, სავსებით სწორი იყო. ამიტომ ეს პრინციპი დღესაც ძალაშია.

გოგონები და ვაჟები ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ ყველა ტიპის სასწავლებლებში. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს ქალებს, მამაკაცებთან ერთად, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, ამასთან, გააჩნდეთ იგივე უფლებები, რითაც მამაკაცი სარგებლობს. ახლა ქალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ პროფესიული საქმიანობის ყველა სფეროში – მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის, მრეწველობის, სახელმწიფო მმართველობის თუ სხვა სფეროში. დღეს ჩვეულებრივი მოვლენაა ქალი – პედაგოგი, ქალი – ექიმი, ქალი – ინჟინერი, ქალი – აგრონომი, ქალი – მინისტრი, ქალი – პარლამენტარი და ა.შ.

5. სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის პრინციპი. სწავლება და აღზრდა ჩვენს სკოლებში ერთიანი, განუყოფელი პროცესებია. უნაყოფოა ისეთი სწავლება, რომელიც მოსწავლეს არ ზრდის, არ უნერგავს ჭეშმარიტი ადამიანის თვისებებს და, პირიქით, ყოველმა აღმზრდელობითმა ღონისძიებამ, მაღალზნეობრივ თვისებებთან ერთად, უნდა შეაიარაღოს აღსაზრდელი გარკვეული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით.

6. სწავლების ცხოვრებასთან, საზოგადოებრივ საქმიანობასთან კავშირის პრინციპი. სკოლის უპირველესი ამოცანაა ახალგაზრდობის მომზადება ცხოვრებისათვის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, განათლებისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში აქტიური მონაწილეობისათვის. სხვა მიზანი და დანიშნულება მას არ გააჩნია. ამიტომ ახალგაზრდობას სკოლაში ეძლევა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც მას მომავალში

დასჭირდება და მისი წარმატებული საქმიანობის საწინდარი იქნება.ამ მიზნით ნებისმიერი საგნის სწავლება, სადაც არ უნდა ისწავლებოდეს იგი,მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს შრომას და მოსწავლეთა მიერ პროფესიის სწორად არჩევას.

თანამედროვე პირობებში, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, ცხოვრება ძალზე სწრაფად ვითარდება; შემოდის მეცნიერების ახალ-ახალი დარგები, ინერგება ახალი მიღწევები და ა.შ., რაც მოითხოვს სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სისტემატურ შეცვლასა და განახლება-განვითარებას, რათა სკოლა და სწავლება არ ჩამორჩეს ცხოვრებას.

7. სწავლა-განათლების მეცნიერული ხასიათი. ცოდნა, რომელსაც მოსწავლე იძენს სკოლაში, უნდა იყოს თანამედროვე მეცნიერების ბოლო სიტყვა. არა ვარაუდები, ჰიპოთეზები, დაუსაბუთებელი მოსაზრებები, არამედ ჭეშმარიტი ცოდნის სისტემა. ასეთია ამ პრინციპის დედააზრი.

8. საერო და სასულიერო განათლების შერწყმა-შეხამება. უკანასკნელ ხანებში, როცა საქართველო დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას, ჩვენში არსებითად შეიცვალა ეკლესიასთან, სარწმუნოებასთან დამოკიდებულება. საერო და სასულიერო განათლების ასეთი შერწყმა ხელს უწყობს ყოველმხრივად განვითარებული, სრული პიროვნების, ი. ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სავსე კაცის“ ჩამოყალიბებას.

9. სახელმწიფო და კერძო სკოლების შეთავსება. თუ საბჭოთა ხელისუფლების წლებში განათლების მთელი სისტემა სახელმწიფოს ხელში იყო, დამოუკიდებელ საქართველოში, სახელმწიფო სასწავლებლების გვერდით, ჩამოყალიბებულია კერძო სასწავლებლების ფართო ქსელი,რაც შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერი სწავლის მსურველს მიიღოს განათლება იქ, სადაც მას სურს.

ნაწილი მეორე

აღზრდის თეორია

თავი X

აღზრდის პროცესის არსი და თავისებურებანი

1. აღზრდის ცნების საკითხისათვის

როგორც ვიცით, აღზრდა პედაგოგიკურ ლიტერატურაში ორი გაგებით, ორი მნიშვნელობით იხმარება — ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით აღზრდაში იგულისხმება ყოველივე ის, რასაც ადამიანი იძენს აღზრდის, სწავლებისა და განათლების პროცესში. პედაგოგიკა თავიდან ბოლომდე არის აღზრდა ფართო გაგებით, ხოლო რაც შეეხება აღზრდას ვიწრო გაგებით, იგი განიხილება აღზრდის თეორიაში და გულისხმობს აღსაზრდელში იმ თვისებების ფორმირებას, რაც მას დაბადებიდანვე დაჰყვება, როგორც სოციალურ არსებას. ეს თვისებებია: ყურადღება, აზროვნება, მეხსიერება, ნებისყოფა და სხვ. ვიწრო გაგებით აღზრდაში შედის ასევე ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, შრომითი... აღზრდა და ამის საფუძველზე აღსაზრდელში ისეთი თვისებების გამომუშავება, როგორიცაა: სიკეთე, პატიოსნება, გულწრფელობა, ალალმართლობა, პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი, შრომისმოყვარეობა, შეგნებული დისციპლინა და ა.შ.

იბადება კითხვა: რა არის აღზრდა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თითქოს იოლი საქმეა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, სინამდვილეში კი ყველას როდი აქვს სწორი წარმოდგენა აღზრდაზე, მათ შორის უმაძაღლესი განათლების მქონე პირებსაც. მშობელთა ერთი

ნაწილი ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავს აღზრდასა და გაზრდას შორის და თავის მშობლიურ მოვალეობას შვილის მარტოოდენ გაზრდითა და მატერიალური უზრუნველყოფით ამოწურავს. ყოველმა მშობელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ სიტყვა „გაზრდა“ შვილის ბიოლოგიურ არსებობას გულისხმობს, „აღზრდა“ კი – მის მომზადებას ცხოვრებისათვის და ქვეყნის სასახელო ადამიანად ჩამოყალიბებას. ერთი ბიოლოგიური მოვლენაა, მეორე კი – სოციალური, საზოგადოებრივი. საზოგადოებისაგან იზოლირებული ბავშვი პიროვნებად ვერ იქცევა. ამიტომაც წერდა **ბ. ბელინსკი**: *„ადამიანს ქმნის ბუნება, მაგრამ განავითარებს და აყალიბებს საზოგადოება“.*

მხეცის ლეკვის მხეცად გადაქცევსათვის არავითარი აღზრდა საჭირო არაა, ამას მისი ბუნება არ მოითხოვს, ბავშვი კი აღზრდის გარეშე ადამიანად ვერ იქცევა, იგი იქ იწყება, „სადაც მთავრდება ცხოველი“ (ბ. ბელინსკი).

არც ერთი ცოცხალი არსების განვითარებაში, გარდა ადამიანისა,აღზრდას გადამწყვეტი როლი არ ენიჭება, ადამიანი კი, თუ ის ადამიანთა შორის არ გაიზარდა და ადამიანმა არ აღზარდა, პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდება, იგი იმად იქცევა, ვინც მას ზრდის. მართალია, დათვის თუ ვეფხვის მიერ გაზრდილი ბავშვი ნამდვილ დათვად ან ვეფხვად ვერ იქცევა, მაგრამ მისგან გადაიღებს იმ თვისებებს,რაც აღნიშნული ცხოველისათვისაა დამახასიათებელი.

1996 წელს ჩინეთის ერთ-ერთ რაიონში მონადირეებმა დაიჭირეს პატარა ბიჭი, რომელიც დათვებს შორის ცხოვრობდა. იგი ისე იქცეოდა, როგორც დათვი: ღრინავდა, ოთხზე დარბოდა, ჭამდა ბამბუკის ფოთლებს და ყლორტებს. გარდა ამისა, „დათვი“-ბიჭი ერთიანად ბალნით იყო დაფარული. იგი გარეგნობის მიხედვით წლინახევარი-ორი წლისა იქნებოდა.[1]

აღნიშნული მაგალითი იმის დასტურია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდას, საზოგადოებრივ წრეს და გარემოს პიროვნების ფორმირებაში.

---

[1] *„ახალი ქართული გაზეთი“, 1998 წლის 10 ნოემბერი, №93.*

ადამიანი ყველაზე სუსტ არსებად იბადება. ჩვილობის ასაკში იგი ნებისმიერ ცხოველზე უსუსურია, მაგრამ მას დაბადებიდანვე თან დაჰყვება კოლოსალური შესაძლებლობა, რაც სწორი აღზრდის წყალობით რამდენიმე წლის შემდეგ ნებისმიერ ცხოველზე მაღლა აყენებს. ამაშია აღზრდის გადამწყვეტი როლი ბავშვის გაადამიანებაში.

ამრიგად, აღზრდა საოცარი რამ არის. ბესარიონ ბელინსკის აზრით, „გონივრული აღზრდა ბუნებით ბოროტსაც გარდაქნის და ნაკლებ ბოროტად ან კეთილადაც აქცევს“, მაგრამ იგი ყოვლისშემძლე არ არის და ჩვეულებრივ ადამიანს გენიოსად ვერ აქცევს, თუ მასში მოცემული არ იქნება ბუნებით მომადლებული გენიოსობის ნიჭი.

2. სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა

როცა აღზრდის არსზეა საუბარი, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის საკითხს. სწავლება და აღზრდა ერთიანი, განუყოფელი პროცესებია. არ არსებობს სწავლება აღზრდის გარეშე და პირიქით. *„შეუძლებელია აღზარდო ისე, — წერს **ლ. ტოლსტოი**, — რომ ცოდნა არ გადასცე, ყოველგვარ ცოდნას კი აღმზრდელობითი გავლენა აქვს“.*[1] როცა მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს ახალ მასალას და აწვდის ცოდნას, ამ დროს იგი აიარაღებს მათ არა მარტო მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნით, არამედ კიდევაც ზრდის მათ — უყალიბებს მეცნიერულ მსოფლმხედველობას, უვითარებს ზნეობრივ გრძნობებს, ესთეტიკურ გემოვნებას, უნერგავს შრომის სიყვარულს და ა.შ. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში **ილია ჭავჭავაძეს,** როცა ამბობდა: *„სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთვნიდეს კიდეც ბავშსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთვნა და სწავლა ხელიხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში“.*[2]

ახლა ავიღოთ მეორე, აღზრდის მხარე. ვთქვათ, კლასის ხელმძღვანელი სამშობლოს სიყვარულის ჩანერგვის

---

[1] *„ბრძნული აზრების სამყაროში“, თბ., 1967, გვ. 87.*

[2] *ი.ჭავჭავაძე, რჩ, ნაწ. 5 ტომად,* ტ. IV, თბ., 1987, გვ.*208.*

მიზნით ესაუბრება ბავშვებს ჩვენი ქვეყნის წარსულზე, მისთვის თავდადებულ ადამიანებზე, შრომისა და ბრძოლის გმირებზე და ა.შ. ამ დროს იგი მოსწავლეებს უღვივებს არა მარტო პატრიოტიზმის გრძნობას, არამედ კიდევაც აწვდის მათ ახალ ცოდნას და უვითარებს წარმოდგენას ბუნებასა და საზოგადოებრივ მოვლენებზე. ამიტომაცაა, რომ **კ. უშინსკი** სწავლებას *„აღზრდის მთავარ ორგანოს“ უწოდებს.* მისი აზრით, სწავლება მხოლოდ მაშინაა ნაყოფიერი, როცა ის ზეგავლენას ახდენს არა მარტო გონებაზე, არამედ სულსა და გრძნობებზეც. აქედან გამომდინარე, სწავლება და აღზრდა ურთიერთდაკავშირებული პროცესებია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი იგივური ცნებებია. მათ შორის, მსგავსებასთან ერთად, განსხვავებაცაა. ეს განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: სწავლება უმთავრესად მიმართულია მოსწავლეთა მიერ ბუნებისა და საზოგადოების შესახებ ცოდნის შეთვისებისაკენ, აღზრდას კი, უწინარეს ყოვლისა, მიზნად აქვს მოსწავლეთა მორალური თვისებების ჩამოყალიბება და მათი მომზადება საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის. სწავლება ძირითადად ხორციელდება სკოლაში, გაკვეთილზე, აღზრდა კი — სკოლაშიც და მის გარეთაც. იგი მრავალფაქტორიანი პროცესია. ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბება ხდება სხვადასხვა, პირდაპირი თუ ირიბი, შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებითა და ზეგავლენით. ესენია: სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, ახლობელთა წრე, კინო, თეატრი, რადიო, ტელევიზორი, კომპიუტერი და სხვა. გვზრდის ყველაფერი, აღნიშნავდა ა. მაკარენკო: ადამიანები, საგნები და მოვლენები, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, — მშობლები და პედაგოგები.

სწავლება მოზარდი თაობის აღზრდის მძლავრი იარაღი და საშუალებაა, მაგრამ მარტო მას არ ძალუძს პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება. ამ საქმეში წამყვანი როლი აღზრდას ენიჭება. დიდ ილიას გული წყდებოდა იმის გამო, რომ იმდროინდელ სკოლებში ბავშვის „ზნე ხასიათის წვრთნა“ მივიწყებული იყო და მთელი ყურადღება მისი ცოდნით შეიარაღებაზე იყო გადა-

ტანილი. ანალოგიური მდგომარეობაა თანამედროვე სკოლებშიც. ეს ხდება იმიტომ, რომ სწავლების შედეგი, ანუ პროგრამული მასალის ათვისების მდგომარეობის შემოწმება უფრო ადვილია, ვიდრე აღზრდისა, რადგან აღზრდის შედეგი ნაკლებთვალნათლივი, დაფარული, მიჩქმალულია. აღმზრდელმა ხშირად არც კი იცის, რა შედეგი გამოიღო მისმა აღმზრდელობითმა ღონისძიებამ, რას მიაღწია მან, სწავლების შედეგი კი იმავე გაკვეთილზე ვლინდება. საამისოდ გამოიყენება ცოდნის შემოწმებისა და შეფასების ხუთბალიანი ან ათბალიანი სისტემა, რაც აღზრდაში არ გაგვაჩნია. ადამიანის აღზრდილობა ვლინდება მის შრომაში, დასვენებაში, ჭამა-სმაში, ადამიანებთან ურთიერთობაში, საქმისადმი დამოკიდებულებაში და ა.შ. ყოველივე ეს ართულებს აღზრდას სწავლებასთან შედარებით.

აღზრდა, სწავლებასთან შედარებით, უფრო ხანგრძლივი და განუწყვეტელი პროცესია. იგი იწყება ადამიანის გაჩენის დღიდან და სიკვდილამდე გრძელდება. *„ბავშვის დაბადების საათი არის მისი აღზრდის პირველი საათი“,* — წერდა ცნობილი შვეიცარიელი პედაგოგი **ჰენრიხ პესტალოცი**. აღზრდას წერტილი არ ესმის და არ მთავრდება ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, სეზონურობა ამ საქმეში დაუშვებელია. რაც შეეხება სწავლებას, იგი ახლა ბავშვის 6 წლის შესრულებიდან იწყება და ძირითადად უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მთავრდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თვითგანათლებას, წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, აღზრდა მრავალმხრივი, მრავალწახნაგოვანი მპროცესია, ვიდრე სწავლება. მისი მრავალმხრივობა გამოიხატება იმაში, რომ იგი გულისხმობს აღსაზრდელის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, შრომით, პატრიოტულ და ა.შ. აღზრდას, რაც ხელს უწყობს პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას, სწავლება კი მხოლოდ ნაწილობრივ წყვეტს პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ამოცანას.

დაბოლოს, სწავლებასთან შედარებით, აღზრდას კომპლექსური ხასიათი აქვს. იგი არ გულისხმობს აღსაზ-

რდელში ცალკეულ თვისებათა მონაცვლეობით ჩანერგვას. მაგალითად, დაუშვებელია პირველ კლასში ჩავუნერგოთ ბავშვებს მხოლოდ შრომისმოყვარეობა, მეორეში – პატრიოტიზმის გრძნობა, მესამეში – ინტერნაციონალიზმის, მეოთხეში – ჰუმანიზმის და ა.შ. ყოველივე ეს უნდა მოხდეს ერთდროულად, კომპლექსურად. აღმზრდელობითი მუშაობა თხოულობს პიროვნებისადმი ერთიან მიდგომას,მაგრამ იგი არ გამორიცხავს ზოგჯერ აღზრდის რომელიმე მხარის გამოყოფას და მასზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას. გარდა ამისა, აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა არ ნიშნავს იმას, რომ აღზრდის პროცესში საჭირო არ არის აღმზრდელობითი მუშაობის პროგრამა და აღსაზრდელთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება.

ამრიგად, *აღზრდა არის პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება,მისი ფიზიკურად,გონებრივად, ზნეობრივად, ესთეტიკურად და მშრომელ ადამიანად ჩამოყალიბების რთული, სოციალური, ორგანიზებული, გეგმაზონიერი და მიზანმიმართული პროცესი აღმზრდელის, მასწავლებლის ხელმძღვანელობით.*

3. აღზრდა, თვითაღზრდა და ხელახალი აღზრდა

ახლა განვიხილოთ რა ურთიერთდამოკიდებულება არსებობს აღზრდას, თვითაღზრდასა და ხელახალ აღზრდას შორის.

აღზრდა აქტიური პროცესია, რომელიც ორგანიზებულ და მოწესრიგებულ გარემოში მიმდინარეობს. ამ პროცესში აღსაზრდელი მარტო აღზრდის ობიექტი კი არ არის,არამედ იგი სუბიექტიცაა, თავადაც აქტიურად მონაწილეობს მასში, რასაც თვითაღზრდას უწოდებენ. ***თვითაღზრდა*** ადამიანის შეგნებული ქცევაა, რომელიც მიმართულია საკუთარ თავში ნაკლოვანი მხარეების აღმოფხვრისა და დადებითი თვისებების გამომუშავებისაკენ. აღზრდის პროცესი შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურად მხოლოდ მაშინ, როცა იგი უვითარებს აღსაზრდელს თვითაღზდის, ანუ საკუთარ

თავზე შეგნებული, მიზანმიმართული ზემოქმედების სურვილს. ამისათვის პიროვნებამ საკუთარ თავს უნდა შეხედოს სხვისი თვალით და შეეცადოს იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრას, რაც მას გააჩნია. საამისოდ ადამიანს უნდა გააჩნდეს საკუთარი თავის სწორად შეფასების უნარი, რასაც თვითშეფასება ჰქვია. ამრიგად, თვითაღზრდა თვითშეფასების გარეშე არ არსებობს. ამის უნარი მოზარდს მხოლოდ საშუალო და უფროს სასკოლო ასაკში უვითარდება. ამ ასაკის მოსწავლეები ცდილობენ დაძლიონ ნაკლოვანებები მეტყველებაში, ქცევაში და გამოიმუშაონ ისეთი თვისებები, როგორიცაა: სიმამაცე, გამბედაობა, შეუდრეკელობა, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცე, თავაზიანობა და სხვა.

მოზარდი თაობის აღზრდის პროცესში ზოგჯერ ადგილი აქვს ***ხელახალ აღზრდასაც,*** რაც გულისხმობს აღსაზრდელის ცუდი მანერებისა და ჩვევებისაგან განთავისუფლებას და მასში დადებითი თვისებების ჩანერგვას. ეს ხდება მაშინ, როცა ბავშვი თავიდან სწორად არ არის აღზრდილი (ვთქვათ, ოჯახში) და გვიხდება მისი ხელმეორედ აღზრდა, ანუ მისი ნაკლოვანი მხარეების აღმოფხვრა. ეს გაცილებით უფრო რთული საქმეა, ვიდრე თავიდან სწორად აღზრდა. სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ ბავშვში განმტკიცებული ესა თუ ის უარყოფითი ჩვევა ძნელი აღმოსაფხვრელია, ზოგჯერ შეუძლებელიცაა. ამიტომ მოზარდის ხელახალ აღზრდას დიდი გამოცდილება, ცოდნა, მოთმინება, ნებისყოფა და მუხლჩაუხრელი შრომა სჭირდება. ამის უნარი კი ყველას არ გააჩნია. ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ბავშვი თავიდან სწორად აღიზარდოს და მისი ხელახალი აღზრდა აღარ დაგვჭირდეს.

ხელახალი აღზრდის საუკეთესო მაგალითი გვიჩვენა **ა.ს. მაკარენკომ** მ.გორკის სახელობის აღსაზრდელთა კოლონიასა და ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის შრომით კომუნაში მოღვაწეობის პერიოდში. აქ მან ხელახლა აღზარდა და სწორ გზაზე დააყენა ასობით ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი ახალგაზრდა. ისინი იყვნენ ხულიგანი,

მძარცველი, ქურდი, ყაჩაღი, რეციდივისტი ჭაბუკები და არაწესიერ გზაზე მოსიარულე, მეძავი გოგონები.

4. აღზრდის პროცესის დიალექტიკა და მამოძრავებელი ძალები

აღზრდა დიალექტიკური პროცესია. ა. მაკარენკო პედაგოგიკას თვლიდა ყველაზე დიალექტიკურ მეცნიერებად. აღზრდის არც ერთი გზა, ხერხი და საშუალება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მუდმივად, უცვლელად, რადგან ბავშვი იზრდება, ვითარდება და სხვადასხვაგვარად ერთვება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რაც უფრო იზრდება და ვითარდება იგი,მით უფრო აქტიურად მონაწილეობს საკუთარი თავის აღზრდაში, ანუ გვევლინება აღზრდის არა მარტო ობიექტად, არამედ სუბიექტადაც. საერთოდ, ცნებები „ობიექტი“ და „სუბიექტი“ სწავლებისა და აღზრდის პროცესში შეფარდებითია. ისინი ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ, ერთი მეორის გარეშე არ არსებობს.

აღზრდის პროცესის დიალექტიკურობა გამოიხატება მის განუწყვეტელ განვითარებაში, დინამიკურობასა და ცვალებადობაში. იგი იცვლება და ვითარდება სოციალური მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების მიხედვით. ზოგჯერ აღზრდის ერთი და იგივე მეთოდი თუ საშუალება ერთ შემთხვევაში და ერთი ბავშვის მიმართ იძლევა სასურველ შედეგს, მეორე შემთხვევაში და სხვა ბავშვთან კი გამოუსადეგარია. ყოველივე ეს მხედველობაში უნდა მიიღოს აღმზრდელმა.

აღზრდის პროცესის დიალექტიკა მჟღავნდება მის წინააღმდეგობრივ ხასიათშიც. აღზრდისა და ხელახალი აღზრდის ფუნქციების არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ აღზრდის პროცესი სწორხაზობრივად, წინააღმდეგობების გარეშე არ მიმდინარეობს. ეს წინააღმდეგობანი შეიძლება იყოს შინაგანი, რომელიც წარმოადგენს აღზრდის პროცესის ძირითად მამოძრავებელ ძალას და გარეგანი, რომელიც თან ახლავს მას, როგორც რთულ პროცესს. გარეგა-

ნი წინააღმდეგობანი დროებითია, მაგრამ მათ შეუძლიათ შეაფერხონ ან შეასუსტონ აღზრდის პროცესი.

აღზრდის პროცესის ***შინაგანი წინააღმდეგობებია:***

1. წინააღმდეგობა, რომელიც წარმოიქმნება პედაგოგის მოთხოვნებსა და აღსაზრდელის უკვე ჩამოყალიბებულ შინაგან პოზიციას შორის.

ბავშვი, რომელიც სკოლაში მოდის, დაუწერელი, *„სფთა დაფა“* არ არის. მას გარკვეული შეხედულებები და წარმოდგენა გააჩნია ცხოვრებაზე, ბუნებასა დასაზოგადოებაზე, რაც შეიძლება სრულიად განსხვავდებოდეს იმ შეხედულებებისაგან, რომელთა ფორმირებასაც მასში მასწავლებელი გეგმავს. მოსწავლეთა შეხედულებანი ბუნებასა და საზოგადოებაზე ზოგჯერ მცდარია, არ გამომდინარეობს რეალური სინამდვილიდან და ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ მოთხოვნებს, რაშიც ლომის წილი მშობლებს მიუძღვით.ზოგიერთი მშობელი შვილს უნერგავს თავკერძობას, ეგოისტურ თვისებებს,მასწავლებელს კი სურს ჩაუნერგოს მას ამხანაგების სიყვარული, პატივისცემა, ჰუმანიზმისა და კოლექტივიზმის გრძნობები, რაც ქმნის მათ შორის კონფლიქტურ სიტუაციას. ეს კი ართულებს აღზრდის პროცესს.

2. წინააღმდეგობა აღმზრდელის მიერ წაყენებულ მოთხოვნებსა და აღსაზრდელის მიერ ამ მოთხოვნების შესრულების რეალურ შესაძლებლობებს შორის.

ზოგჯერ აღმზრდელები არ ითვალისწინებენ ბავშვის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს და მას სთხოვენ ისეთი რამის შესრულებას, რაც მის ძალებსა და შესაძლებლობებს აღემატება. ამაზე მიუთითებდა აკადემიკოსი **დიმიტრი უზნაძე**. იგი წერდა: *„თანამედროვე სკოლა ბავშვის ფსიქოლოგიას ნაკლებ ყურადღებას აქცევს და ხშირად მას ისეთ რამეს აწვდის და მოითხოვს, რაც ბავშვის ძალასაც აღემატება და არც მის სურვილს შეეფერება“.* [1]

---

[1] *დ. უზნაძე, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1980, №2, გვ. 47-48.*

აქედან გამომდინარე, ბავშვს ისეთი რამ არ უნდა მოვთხოვოთ, რის შესრულებასაც ის ვერ შეძლებს. ამისათვის იგი კარგად უნდა შევისწავლოთ და შემდეგ წავუყენოთ ესა თუ ის მოთხოვნა.

3. წინააღმდეგობა აღსაზრდელის შეგნებასა და ქცევას შორის.

ზოგიერთმა მოსწავლ.ემ ძალზე კარგად იცის, როგორ მოიქცეს სკოლასა და ოჯახში, როგორი საქციელია მოსაწონი და როგორი დასაგმობი, მიუღებელი, მაგრამ მაინც აშავებს. ამ წინააღმდეგობას ადგილი აქვს მაშინ, როცა პედაგოგები თავიანთ აღმზრდელობით მუშაობაში იფარგლებიან მხოლოდ სიტყვიერი შეგონებებით და არ მიმართავენ სათანადო ვარჯიშს.

გარეგანი წინააღმდეგობანი აფერხებს აღზრდის პროცესს და დიდ სირთულეებს უქმნის აღმზრდელს. ეს წინააღმდეგობანი, უწინარეს ყოვლისა, თავს იჩენს სკოლისა და ოჯახის, პედაგოგებისა და მშობლების ურთიერთდამოკიდებულებაში. იშვიათი როდია შემთხვევა, როცა სკოლა, აღმზრდელი ერთ მოთხოვნას უყენებს ბავშვს, ოჯახი, მშობელი კი მეორეს. ზოგჯერ აღმზრდელობით მუშაობაში შეუთანხმებლობას აქვს ადგილი ოჯახში ცოლ-ქმარსა და სკოლაში მასწავლებელთა შორის. ასეთ შემთხვევაში ბავშვმა არ იცის, როგორ მოიქცეს და ირჩევს იმ გზას, რომელიც მას ხელს აძლევს.

აღზრდის პროცესს ართულებს ასევე აღსაზრდელებზე სოციალური გარემოს ზეგავლენა. მოზარდები ხშირად მოწმე ხდებიან უფროსების, მშობლებისა და პედაგოგებისაც კი, უზნეო საქციელისა, რაც უარყოფით დაღს ასვამს მათ ზნეობრივ სრულყოფას.

ყველა ანალოგიური და სხვა წინააღმდეგობანი მოითხოვს აღმზრდელთა დიდ გულისყურსა და მუხლჩაუხრელ შრომას, ასევე მშობლებთან ერთიან, შეთანხმებულ მოქმედებას. წინააღმდეგ შემთხვევაში აღმზრდელობით მუშაობაში წარმატებების მიღწევა შეუძლებელია.

თავი XI

აღზრდის პრინციპები

სიტყვა „პრინციპი“ წარმოსდგება ლათინური სიტყვისაგან „პრინციპიუმ“ და ნიშნავს რაიმეს ძირითად ამოსავალ დებულებას, სახელმძღვანელო იდეას. აღზრდის პრინციპი ეწოდება იმ ამოსავალ დებულებას, რომელიც საფუძვლად ედება აღმზრდელობითი მუშაობის მთელ სისტემას და რომელსაც ეყრდნობა აღმზრდელი თავისი აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში, სააღმზრდელო საქმიანობაში.

აღზრდის პრინციპებს, სწავლების პრინციპების მსგავსად, განსაზღვრავენ აღზრდის მიზნები და ამოცანები. როგორიცაა აღზრდის მიზანი და ამოცანები, ისეთივეა აღზრდა მთლიანად. აქედან გამომდინარე, პრინციპი აღზრდის მუდმივი თანამგზავრია.

აღზრდის პრინციპები დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ აღზრდის მიზნების ცვლასთან ერთად ისინი იცვლებოდნენ და იცვლებიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი რაოდენობისა და შინაარსის საკითხში მეცნიერთა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. ჩვენ ვიხილავთ იმ პრინციპებს, რომლებიც დღეისათვის უფრო აქტუალურად მიგვაჩნია. ესენია:

1. ***აღზრდის იდეურობისა და მიზანსწრაფულობის პრინციპი.*** *აღზრდის იდეურობის პრინციპი* ახალი არ არის, მაგრამ ზოგიერთი პედაგოგი – მეცნიერი ფიქრობს, რომ იგი საბჭოური, კომუნისტურია და აქედან გამომდინარე, დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისათვის მიუღებელია, რაშიც ისინი აშკარად ცდებიან. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ პროფესორ **შ. მალაზონიას** აზრს, რომელიც წერს: *„მთელი სააღმზრდელო საქმიანობა, აღზრდის მთელი სისტემა გამსჭვალული უნდა იყოს მაღალი იდეურობით, რომელიც*

აღზრდის ახლანდელ მიზნებსა და ამოცანებს შეესაბამება. ეს არის ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და მთელი კულტურის ახალი აღმავლობის იდეები".[1] სრული ჭეშმარიტებაა, რამეთუ ადამიანი, რომელიც მოკლებულია ამაღლებულ გრძნობებს, იდეალს, არავითარ საქმეში არ გამოდგება. ასეთი ადამიანი საზოგადოებისათვის თითსაც არ გაანძრევს, თუ ამისგან რაიმე სარგებელს არ მოელის. მისთვის უცხოა ერისა და ქვეყნის საზრუნავი, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების სურვილი, პატრიოტიზმის უპირველესი და უწმინდესი გრძნობა. აქედან გამომდინარე, იდეური მიმართულება საფუძვლად უნდა დაედოს აღზრდის მთელ სისტემას, მთელ აღმზრდელობით მუშაობას სკოლაში.

რაც შეეხება *მიზანსწრაფულობის პრინციპს,* იგი გულისხმობს აღზრდის მთელი პროცესის – შინაარსის,ფორმებისა და მეთოდების წინასწარ გააზრებას, ნათელი მიზნის ჩამოყალიბებას და შესაბამისი გეგმის შემუშავებას. XVII საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსი **ფრანსის ბეკონი** მიზანს ადარებდა იმ ჩირაღდანს, რომელიც გზას უნათებს მგზავრს. მისი აზრით, *„უმიზნო მოქმედება, საქმიანობა უკომპასო ხომალდს ჰგავს, რომელმაც შეიძლება ნაპირს გვიან ან სულ ვერ მიაღწიოს".*[2]აღზრდაში წარმატების მოპოვება შეუძლებელია მიზანდასახული მუშაობის გარეშე. მაგრამ აღმზრდელობით მუშაობაში მიზნის დასახვა არც ისე ადვილია, რადგან, აღზრდის შედეგების ნაკლებთვალნათლივობის გამო,აღმზრდელმა ხშირად არ იცის რა ნაკლოვანებანი გააჩნიათ მის აღსაზრდელებს. ამიტომ იგი ვერ ისახავს მისი აღმოფხვრის გზებს, ანდა არასწორ გზებს ირჩევს. ისევე როგორც სწორი დიაგნოზის გარეშე წარმოუდგენელია ავადმყოფის მკურნალობა, აღმზრდელობით მუშაობაშიც აღსაზრდელთა ნაკლოვანებების უცოდინრად შეუძლებელია ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის სწო-

---

[1] *შ. მალაზონია, პედაგოგიკა, თბ. 2001, გვ. 234.*

[2] *ვ. გაგუა, პედაგოგიკა, თბ., 1996, გვ. 151.*

რი გზების დასახვა. მაგრამ ყოველივე ეს არ ათავისუფ-ლებს აღმზრდელს გეგმაზომიერი, მიზანდასახული მუშაობისაგან. გამოცდილი აღმზრდელი სისტემატურად აკვირდება ბავშვებს და სწავლობს მათ დადებით და უარყოფით მხარეებს. აღსაზრდელთა ასეთი სისტემატური შესწავლის საფუძველზე იგი ცდილობს მათში დადებითი თვისებების განმტკიცებას და უარყოფითის აღმოფხვრას.

„ამრიგად, მიზანსწრაფულობის პრინციპი მოითხოვს არა მარტო კარგად მოფიქრებულ, გააზრებულ აღმზრდელობით ღონისძიებათა დასახვას და გატარებას, არამედ სისტემატურ კონტროლსა და იმის შემოწმებას, თუ რა შედეგს იძლევა ეს მუშაობა, როგორ სრულდება დასახული მიზნები და ამოცანები“. [1]

2. ცხოვრებასთან აღზრდის კავშირის პრინციპი. აღზრდის უმთავრესი მიზანია მოზარდი თაობის მომზადება ცხოვრებისათვის. სხვა მიზანი და დანიშნულება მას არ გააჩნია.

აღზრდის ცხოვრებასთან კავშირი იწყება ოჯახში. საამისოდ მშობლები პატარაობიდანვე აჩვევენ ბავშვებს მათი ასაკისათვის შესაფერის შრომა-საქმიანობაში მონაწილეობას, რასაც ისინი თვითმომსახურებით იწყებენ. შემდეგ კი, ასაკის კვალობაზე, მშობლები შვილებს აბამენ ყველა სახის საოჯახო, საყოფაცხოვრებო-სამეურნეო საქმიანობაში. მაგრამ ცხოვრებასთან აღზრდის კავშირის პრინციპის რეალიზაცია მარტო ამით როდი ამოიწურება. თუმცა ზოგიერთები ამ პრინციპის განხორციელებას მხოლოდ აღზრდის მწარმოებლურ შრომასთან კავშირში ხედავენ, რაც არაა საკმარისი. იგი მოითხოვს აღსაზრდელების ჩაბმას არა მარტო ფიზიკურ შრომაში, არამედ ცხოვრების ყველა სფეროში, რადგან სიტყვა „ცხოვრება“ უფრო ფართო შინაარსის შემცველი ცნებაა. იგი გულისხმობს ადამიანის როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ საქმიანობას, სულიერ თუ კულტურულ ფასეულობათა შეცნობას, ერის ბრძოლი-

---

[1] *პედაგოგიკა, დ. ლორთქიფანიძის მთავარი რედაქციით, თბ., 1969, გვ. 301.*

სა და შრომის, ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესების, მისი ყოველდღიური საფიქრალ-საზრუნავის გულთან მიტანას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას, რასაც დიდი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. მოსწავლეები უნდა გავარკვიოთ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, მისი ეკონომიკის, კულტურისა და განათლების საკითხებში, რამეთუ მათი ვალია ჩვენი ქვეყნის „დაცემული ვინაობის აღდგენა“ (ი. ჭავჭავაძე), მისი გაერთიანება, გამთლიანება და კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა. საამისოდ ისინი კარგად უნდა იცნობდნენ ცხოვრებას, ქვეყნის სატკივარსა და საზრუნავს, მის წარსულსა და მომავალს. ყოველივე ამას ისინი უნდა ეუფლებოდნენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში. პედაგოგებმა მოსწავლეებს უნდა დაუსახონ ქვეყნის მთლიანობის აღდგენისა და მისი შემდგომი წინსვლა-განვითარების პერსპექტიული გეგმები. სკოლაში სისტემატურად უნდა აღინიშნებოდეს გამოჩენილ ადამიანთა, საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღები, შეხვედრები ბრძოლისა და შრომის გმირებთან, ექსკურსიები ფაბრიკა-ქარხნებში,წარმოება-დაწესებულებებში და ა.შ. ყოველივე ეს გაზრდის მათ აქტივობას და აღუძრავს შრომის პროცესში, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის სურვილს.

3. ***მტკიცე მომთხოვნელობის შეხამება აღსაზრდელის პიროვნების პატივისცემასა და ნდობასთან.*** ყოველი აღმზრდელი, სადაც არ უნდა მუშაობდეს იგი — სკოლაში, სკოლამდელ თუ სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებში, მუდამ უნდა ხელმძღვანელობდეს **ა. ს. მაკარენკოს** მიერ შემუშავებული პრინციპით: *„რაც შეიძლება მეტი მომთხოვნელობა ადამიანისადმი, მაგრამ, ამასთან ერთად, რაც შეიძლება მეტი პატივისცემა მისდამი“.*[1]

მომთხოვნელობის გარეშე შეუძლებელია სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში წარმატებების მიღწევა. პედაგოგმა სკოლაში მიღების პირველი დღეებიდანვე უნდა წაუყენოს ბავშვს მტკიცე და შეუქცევადი მოთხოვნები, *„რა-*

---

[1] *Макаренко А.С. Соч., т. 5, М., 1958, с. 229.*

თა მან იცოდეს, რა შეიძლება და რა – არა, რაა საქები და რა – საძრახისი“ **(ა. მაკარენკო).**

ვ. სუხომლინსკის აზრით, მომთხოვნელობა სიკეთის, ჰუმანიზმის გამოხატულებაა. იგი უნდა ემყარებოდეს, ერთი მხრივ, პიროვნების დიდ პატივისცემასა და ნდობას, მეორე მხრივ კი, მისდამი განუწყვეტელ მომთხოვნელობას. სადაც არ არის მტკიცე, გონივრული მომთხოვნელობა, გვასწავლის გამოცდილი პედაგოგი, იქ არც აღზრდაა, რამეთუ შეუძლებელია აღიზარდოს ჭეშმარიტი მოქალაქე, თუ საზოგადოება მისგან არაფერს მოითხოვს, თუ არ ვუნერგავთ ცნებას: „საჭიროა“, „უნდა“, „გევალება“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღმზრდელს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება წაუყენოს აღსაზრდელს მტკიცე მოთხოვნები, თუ მათ შორის არის მეგობრული ურთიერთნდობა, სიყვარული და პატივისცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში აღმზრდელობით მუშაობაში წარმატების მიღწევაზე ლაპარაკი ზედმეტია.

მტკიცე მომთხოვნელობის შეხამება მოსწავლის პიროვნების პატივისცემასა და ნდობასთან სრულიად გამორიცხავს კონფლიქტურ სიტუაციას მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის. მათი ურთიერთობა უნდა იყოს დამყარებული დემოკრატიზმსა და ჰუმანურ საწყისებზე. ასეთი დამოკიდებულება ძალასა და ენერგიას მატებს მოსწავლეს, აღაფრთოვანებს მას, უმუშავებს წინააღმდეგობისა და დაბრკოლების დაძლევის უნარს, უნერგავს მომავლის რწმენას, ოპტიმიზმს. ასეთი მოსწავლე უფრო მეტი ენერგიითა და ხალისით მუშაობს, იჩენს ინიციატივას, აქტივობასა და დამოუკიდებლობას, ამჟღავნებს შემოქმედებით უნარს. ა.ს. მაკარენკომ სწორედ ამ პრინციპის მარჯვედ და მოხერხებულად გამოყენებით მიაღწია თავის დიდ წარმატებებს აღმზრდელობით მუშაობაში. მან ძალზე კარგად იცოდა, ვისთვის და როგორ მოეთხოვა. ამის საშუალებას მას აძლევდა დიდი პედაგოგიური ალღო, ტაქტი და აღსაზრდელთა ფსიქოლოგიური ბუნების შესწავლის საუცხოო ნიჭი.

მოსწავლე თავის აღმზრდელში უნდა ხედავდეს მოსი-

ყვარულე და მზრუნველ ადამიანს. ასეთი დამოკიდებულება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის განსაკუთრებით აუცილებელია დაწყებით კლასებში, რადგან უმცროსკლასელთა ბუნება მოითხოვს დიდ სითბოსა და სიყვარულს, გულისხმიერებასა და ყურადღებას. მოსიყვარულე, გულისხმიერი და მზრუნველი მასწავლებლის მოთხოვნებს კი ბავშვი სიამოვნებით ასრულებს. და, პირიქით, როცა მასწავლებელი არ ითვალისწინებს ბავშვის ბუნებას, არ ენდობა მას, ერთი სიტყვით, არ იყენებს აღზრდის ზემოთ დასახელებულ ნაცად „იარაღს“, ბავშვი მას გაურბის, შორს იჭერს მისგან თავს, ზოგჯერ კი ჯიბრზეც მოქმედებს, რადგან დარწმუნებულია, რომ უსამართლოდ ექცევიან, ყურადღებას არ იჩენენ მისდამი. ყოველივე ეს კი აძნელებს მასზე აღმზრდელობით ზემოქმედებას.

მაგრამ ნდობის გამოცხადება ბავშვის ნებაზე მიშვებას, უკონტროლობასა და მის ნაკლოვანებებზე თვალის არიდებას როდი ნიშნავს. ბავშვის უნდა გვჯეროდეს, მაგრამ, ამასთან, უნდა ვამოწმებდეთ მის ყოველ მოქმედებას, რათა გავიგოთ – ამართლებს თუ არა ის ამ ნდობას. მუდამ უნდა ვხელმძღვანელობდეთ პრინციპით: ენდე, მაგრამ შეამოწმე. ამ შემოწმებას ფარული ხასიათი უნდა ჰქონდეს. ბავშვმა არ უნდა იცოდეს, რომ მას არ ენდობიან და ყოველი ფეხის ნაბიჯზე უთვალთვალებენ,თორემ მის თვალში ავტორიტეტს დავკარგავთ და იგი ჩვენ აღარ გვენდობა.

პედაგოგმა უნდა დაარწმუნოს მოსწავლეები,რომ ნდობას გამართლება უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში დანაშაულს არ აპატიებენ და დაისჯებიან. ერთი სიტყვით, პედაგოგმა ყველა საშუალებით უნდა აღკვეთოს ნდობის ბოროტად გამოყენების შემთხვევები.

მოსწავლეებისადმი მოთხოვნების წაყენებისას უნდა დავიცვათ შემდეგი წესები:

1. *აღსაზრდელისადმი წაყენებული მოთხოვნა უნდა იყოს განხორციელებადი, ბავშვის რეალურ შესაძლებლობებზე დამყარებული.* აღსაზრდელს ისეთი რამ არ უნდა მოვთხოვოთ, რომლის შესრულებას იგი ვერ შეძლებს. ამ

დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მისი როგორც ასაკობრივი, ისე ინდივიდუალური და სქესობრივი თავისებურებანი.

2. *არ შეიძლება ბავშვისადმი ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნის წაყენება.*

3. *ასევე დაუშვებელია აღსაზრდელისადმი, განსაკუთრებით გარდამავალი ასაკის ბავშვისადმი, კატეგორიული მოთხოვნის წაყენება.* ასეთი მოთხოვნა მოზარდს აღიზიანებს და იგი, ხშირ შემთხვევაში, საწინააღმდეგოდ იქცევა. ბავშვები ვერ იტანენ ისეთ მიმართვას, როგორიცაა: *„გააკეთე, რასაც გეუბნებიან“*. აღმზრდელის ყოველ მოქმედებაში უნდა მჟღავნდებოდეს ბავშვისადმი ნდობა და მისი პიროვნების პატივისცემა, ვინაიდან *„იქ, სადაც არ არის ადამიანისადმი, მისი კეთილი საწყისისადმი რწმენა, ნებისმიერი პედაგოგიკური სისტემა გაცამტვერდება“* **(ვ.სუხომლინსკი).**

4. *წაყენებული მოთხოვნა აღსაზრდელისათვის უნდა იყოს გასაგები.* მას უნდა ესმოდეს მისდამი წაყენებული მოთხოვნის შესრულების მიზანშეწონილობა და ღირებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნის შესრულებას იძულებითი, ძალდატანებითი ხასიათი ექნება და ის თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს.

5. *მოთხოვნა უნდა იყოს სამართლიანი და გონივრული.* მაგალითად, თუ დაწყებითი კლასების მასწავლებელი მოსწავლეებს აიძულებს გაკვეთილებს შორის შესვენებაზე არ ირბინონ, გვასწავლის კ. უშინსკი, ეს იქნება მათდამი წაყენებული უსამართლო, არაგონივრული მოთხოვნა, ვინაიდან ამ ასაკის ბავშვს გააჩნია მეტი ენერგია და არ შეუძლია ერთ ადგილზე გაჩერდეს და თავისი ენერგია რაღაცაში არ გამოიყენოს.

6. *მოთხოვნების წაყენებისას უნდა დავიცვათ თანმიმდევრობა* — გადავიდეთ ადვილიდან ძნელზე, ნაცნობიდან უცნობზე, მარტივიდან რთულზე და ა.შ.

7. დაბოლოს, *სკოლაში უნდა იყოს დანერგილი აღსაზრდელებისადმი ერთიანი მომთხოვნელობა.* შეუთანხმებლობა საზიანოა ნებისმიერ საქმეში და, მით უმეტეს, ისეთ

ფაქიზ საქმეში, როგორიცაა მოზარდი თაობის აღზრდა. სამწუხაროდ, პედაგოგთა ერთი ნაწილი ამას ანგარიშს არ უწევს. ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს მასწავლებელთა მიერ მოსწავლეებისადმი განსხვავებულ მოთხოვნებს. ერთი ერთს თხოვს მოსწავლეს და მეორე – სხვას. ერთი მასწავლებელი მოითხოვს გაკვეთილზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვას, მეორე კი უფრო ლმობიერი და ლიბერალია. ბავშმა არ იცის, რომელს დაუჯეროს და ირჩევს იმ გზას, რომელიც მას ხელს აძლევს, რაც, საბოლოო ჯამში, ვნებს მის სწორად აღზრდას. **ა.ს. მაკარენკო** წერდა: *„არც ერთ აღმზრდელს უფლება არა აქვს მოქმედებდეს დამოუკიდებლად, საკუთარი რისკითა და პასუხისმგებლობით. იქ, სადაც აღმზრდელები არ არიან გაერთიანებული კოლექტივში და კოლექტივს არ გააჩნია მუშაობის ერთიანი გეგმა, ერთიანი სტილი, ერთიანი მიდგომა ბავშვისადმი, იქ აღმზრდელობით მუშაობაზე ლაპარაკი ზედმეტია“.* [1]

მოსწავლეთა აღზრდაში ვხვდებით შეუთანხმებლობას არა მარტო მასწავლებელთა შორის, არამედ მასწავლებლებსა და მშობლებს შორისაც. უფრო მეტიც, ზოგიერთ სკოლაში მასწავლებლებისა და მშობლების ურთიერთობაში ადგილი აქვს შეხლა-შემოხლას, მოსწავლეთა არასწორი აღზრდის ერთმანეთზე გადაბრალებას და ა.შ., რაც უდიდეს ზიანს აყენებს მოზარდი თაობის აღზრდას და ჩვენი ქვეყნის მომავალს.

4. ***აღზრდა დადებითის მეშვეობით, აღსაზრდელთა დადებით თვისებებზე დაყრდნობით.*** პიროვნების პატივისცემისა და მისდამი ნდობის პრინციპთან მჭიდროდაა დაკავშირებული ბავშვის პიროვნების დადებით თვისებებზე დაყრდნობით მასში უარყოფითი თვისებების აღმოფხვრის პრინციპი.

მოსწავლეთა კოლექტივში მოწინავე, დისციპლინირებულ ბავშვებთან ერთად არიან ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი ბავშვებიც, რომლებშიც უფრო მეტად უარ-

---

[1] *Макаренко А.С. Соч. , т. 5, М., 1958, с. 179.*

ყოფითი თვისებები სჭარბობს. ასეთი ბავშვები მეტწილად ცუდად სწავლობენ და წესრიგს არღვევენ სკოლაში. მათ, ჩვეულებრივ, ძნელადაღსაზრდელებს უწოდებენ. მაგრამ რაგინდ უდისციპლინო და გამოუსწორებელიც არ უნდა იყოს ბავშვი, მას მაინც გააჩნია რაიმე დადებითი თვისება, რაიმეს ნიჭი. ნორმალური ბავშვი უნიჭო არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ასეთად გვეჩვენება იგი იმიტომ, რომ სრულყოფილად არ გვყავს შესწავლილი და არ ვიცნობთ მას, არ ვიცით მისი შესაძლებლობანი და ინდივიდუალური თავისებურებანი. პედაგოგი ვალდებულია ყოველდღიურად აკვირდებოდეს თავის აღსაზრდელებს, ეძებდეს მათში დადებით თვისებებს (საზოგადოებრივი საქმით დაინტერესება, წიგნის ან მუსიკის სიყვარული, სპორტით გატაცება, რაიმე ხელობის ნიჭი) და მათზე დაყრდნობით ავითარებდეს სხვა დადებით თვისებებს. **მაქსიმ გორკი** წერდა: *„არასოდეს არ მიუდგეთ ადამიანს იმ აზრით, რომ მასში ცუდი უფრო მეტია, ვიდრე კარგი. უნდა იფიქროთ, რომ მასში კარგი უფრო მეტია და ასეც იქნება! ადამიანი იძლევა იმას, რასაც მისგან მოითხოვენ! “*

საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ არ არიან არც აბსოლუტურად უიმედო, „ხელიდან წასული“, „წამხდარი“ ბავშვები და არც აბსოლუტურად იდეალურები. ბავშვს, როგორც ა. მაკარენკო გვასწავლის, უნდა მივუდგეთ „ოპტიმისტური ჰიპოთეზით“, გამოსწორების რწმენით. თავად მაკარენკო ყოველთვის ახერხებდა აღსაზრდელებში დადებითის მონახვას და მასზე დაყრდნობით აღწევდა მათში უარყოფითი მხარეების აღმოფხვრას. ასე შეძლო მან პროფესიონალი ქურდის – სიმონ კარაბანოვის (კალაბალინი) გამოსწორება და ცხოვრების სწორ გზაზე დაყენება.

ყოველი პედაგოგი თავის აღსაზრდელებს უნდა უცქერდეს არა მარტო დღევანდელი თვალით, არამედ ხვალინდელი თვალითაც, გამოსწორების იმედით. თითოეულ მათგანში იგი უნდა ხედავდეს მომავლის ადამიანს, ხვალინდელ მოქალაქეს, მამულიშვილს – ინჟინერს, ექიმს, აგრონომს და არ უნდა „ამკობდეს“ ეპითეტებით: *„შენგან არაფერი გამოვა“, „შენგან კაცი არ დადგება“* და ა.შ. „პედა-

გოგიური პროცესის ნამდვილ ოსტატს მხოლოდ მაშინ შეუძლია გაიგოს, ვის ზრდის, — წერდა ***ვ. სუხომლინსკი,*** *— როცა თავის აღსაზრდელს წარმოიდგენს პერსპექტივაში, მომავალში".*[1] ამ პრინციპის გარეშე შეუძლებელია მოზარდის აღზრდა-განვითარების სწორი გზით წარმართვა.

ყოველი პედაგოგის უპირველესი ვალია ბავშვისადმი მომავლის რწმენით მიდგომა. უნდა შეგვეძლოს მისი დადებითი თვისებების აღმოჩენა და მათზე დაყრდნობით სხვა დადებითი თვისებების განვითარება. უნდა გვჯეროდეს და გვწამდეს, რომ მასში არის დაფარული ნიჭი, უნარი, რომელსაც სჭირდება სათანადო პირობების შექმნა, ხელშეწყობა და იგი გაიშლება, გაიფურჩქნება და სასურველ შედეგს მივაღწევთ. აღსაზრდელისადმი ასეთი მიდგომისა და და რწმენის გარეშე აღმზრდელობითი მუშაობა უშედეგოა.

ზოგიერთი პედაგოგი თავს არიდებს აკადემიურად ჩამორჩენილ და ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობას და ცდილობს მათ თავიდან მოშორებას, რაც აშკარად დასაგმობი პოზიციაა, რადგან იგი უპირისპირდება ჰუმანისტურ-დემოკრატიული პედაგოგიკის აღზრდის პრინციპებს.

აღზრდაში დადებით თვისებებზე დაყრდნობის პრინციპი არ ნიშნავს ბავშვის ნაკლოვანებებზე თვალის დახუჭვას, მათ დაფარვას, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ყოველდღე ამ ნაკლოვანებებზე ვამახვილებდეთ ყურადღებას, ვინაიდან ის ბავშვები, რომელთაც წამდაუწუმ ახსენებენ წარსულ „ცოდვებს" და არც დღევანდელ ნაკლოვანებებს ივიწყებენ, კარგავენ საკუთარი თავისადმი რწმენას, გამოსწორების იმედს და, საბოლოოდ, ძნელად ასაზრდელები ხდებიან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მასწავლებლის უპირველესი ვალია ბავშვის მომავალზე ზრუნვა, მისი დაფარული ნიჭის გამოვლენა და სწორი მიმართულებით წარმართვა, რაც აღზრდის ნაყოფიერების საწინდარია. ასეთი მიდგომა აღსაზრდელისადმი საჭიროა არა მარტო პედაგოგიური ეფექტურობისათვის, არამედ ეს ზნეობრივი

---

[1] *Сухомлинский В.А. Нар. образование, 1967, №2, с. 39.*

აღზრდის ზოგადსაკაცობრიო იდეებიდანაც გამომდინარეობს, რაც პიროვნების პატივისცემას, მისდამი გულისხმიერებას და დაფასებას გულისხმობს.

5. ***სისტემატურობა, თანმიმდევრობა და მემკვიდრეობითობა აღზრდაში.*** აღზრდა, როგორც ვიცით, მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია. იგი მოითხოვს აღსაზრდელებთან განუწყვეტელ, *სისტემატურ მუშაობას.* ამ საქმეში დაუშვებელია კამპანიურობა, ეპიზოდურო-ბა, რადგან ერთი ან რამდენიმე აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებით, რაგინდ მაღალ დონეზეც უნდა იყოს იგი ჩატარებული, სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ. ამასთან, როგორც სწავლების პროცესში, ისე აღზრდის დროსაც უნდა იქნას დაცული *თანმიმდევრობის პრინციპი*, უნდა გადავიდეთ მარტივიდან რთულზე, ადვილიდან ძნელზე, ნაცნობიდან უცნობზე და ა.შ. აღსაზრდელებში სასურველი მარტივი ზნეობრივი თვისებებისა და უნარ-ჩვევების გამომუშავების შემდეგ უნდა გადავიდეთ უფრო რთულზე. მაგალითად, დაწყებითი კლასების მასწავლებლები პირველკლასელებს ასწავლიან სკოლაში დაუგვიანებლად გამოცხადებას, გაკვეთილებზე ყურადღებით ყოფნას, დაგვიანების შემთხვევაში კარზე დაკაკუნებას და მასწავლებლისაგან ნებართვის მიღების შემდეგ საკუთარი ადგილის დაკავებას, უფროსებზე ქუდის მოხდით მისალმებას და ა.შ. ანალოგიური მუშაობა უნდა გრძელდებოდეს მანამ, სანამ მოსწავლეებს არ გამოუმუშავდებათ შესაბამისი ჩვევები. შემდეგ, როცა ესა თუ ის ამოცანა გადაიჭრება,მასწავლებელი მოსწავლეებს უსახავს ახალ, უფრო რთულ ამოცანებს. ამაში მდგომარეობს ა. მაკარენკოს „პერსპექტიული ხაზების სისტემა“.

რაც შეეხება *მემკვიდრეობის პრინციპს,* იგი გვასწავლის, რომ აღმზრდელობით მუშაობაში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა მიერ წინა კლასებში შეძენილი უნარ-ჩვევები და მათზე დაყრდნობით გამოვუმუშაოთ მათ სხვა, საზოგადოებრივად ღირებული ჩვევები

6. ***აღზრდაში ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინების პრინციპი.*** ყოფილ საბჭოთა კავშირში მიზნად იყო დასახული ერთიანი საბჭოთა ერის ჩამოყალიბება, რომე-

ლიც, ცხადია, რუსული ენისა და კულტურის მატარებელი იქნებოდა. ასეთ პირობებში ეროვნულ თავისებურებებზე ლაპარაკი ლამის მკრეხელობად ითვლებოდა და ნაციონალიზმად და შოვინიზმად ცხადდებოდა.

დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელია, მთელი ყურადღება უნდა იქნას გადატანილი მოზარდებში სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულისა და ერის ზნე-ჩვეულებების, ტრადიციებისა და ადათ-წესების ჩანერგვაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც არიან ისეთი ქართველები, მათ შორის მაღალი თანამდებობის პირებიც, რომლებსაც ეროვნულობაზე ლაპარაკი წარსულის გადმონაშთად მიაჩნიათ და „ეროვნება – ქართველის“ გაგონებაც კი არ სურთ. სიტყვა „პატრიოტი“ ლამის სალანძღავ სიტყვადაა მიჩნეული. ამიტომაც იყო, რომ ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს პარლამენტმა პირადობის დამადასტურებელ საბუთსა და დაბადების მოწმობაში გააუქმა ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფა.

ერის ფასეულობათა უგულებელყოფა, ყველაფრის ხელაღებით უარყოფა და ყოველგვარი უცხოურის გაფეტიშება-გაიდეალება კარგს არაფერს მოგვიტანს. ეს კარგად უნდა იცოდეს ყველამ, განსაკუთრებით კი იმათ, ვინც მოზარდი თაობის აღზრდის უკეთილშობილეს საქმეს ემსახურება. უპირველესი, რაც ჩვენი ცხოვრების ამ ეტაპზე უნდა მოვიმოქმედოთ, არის ეროვნულ ფასეულობათა დაცვა, რამეთუ მასში მჟღავნდება ჩვენი ეროვნული სული, ჩვენი მეობა. არა მგონია, რომ ისეთი დიდი კულტურისა და წარსულის მქონე ქვეყანა, როგორიცაა საქართველო, შეელიოს ერის უპირველეს ფასეულობას – ეროვნებას, მაგრამ საამისოდ დროზე უნდა ვიზრუნოთ, თორემ შემდეგ, როგორც იტყვიან, გვიან იქნება თითზე კბენანი. ეს კარგად უნდა შეიგნოს ყველა იმან, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ერისა და ქვეყნის მომავალი.

ასევე კარგად უნდა გავიცნობიეროთ **ბ. ბელინსკის** სიტყვების მნიშვნელობა, რომ *„ზოგადი ვლინდება მხოლოდ კერძოში“,* რომ ზოგადსაკაცობრიო კულტურა ეროვნულკულტურის გარეშე ვერ იარსებებს. იგი ჯერ ეროვნული

კულტურის წიაღში იბადება, ვითარდება და შემდეგ იძენს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას.

როცა ეროვნულობასა და ერის ტრადიციებზე, ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებზე ვესაუბრებით მოსწავლე ახალგაზრდობას, ასევე ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ქართველებისათვის დამახასიათებელი ამბიციურობა („რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“) და ჩვენში ჯერ კიდევ შემორჩენილი მავნე ადათ-წესები, ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები, როგორიცაა: ხალხმრავალი ქორწილები და ქელეხები, გადაჭარბებული სტუმარმასპინძლობა, შვილების განებივრება და სხვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყოველგვარი ეროვნულისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება უსაფუძვლო და გაუმართლებელია.

7. მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინება აღზრდაში. აღმზრდელობით მუშაობაში წარმატების მოპოვება შეუძლებელია, თუ აღზრდის პროცესში არ გავითვალისწინებთ აღსაზრდელის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს, თუ არ დავადგენთ იმ განსაკუთრებულს, რითაც ერთი ბავშვი მეორისაგან განსხვავდება. აღზრდის პროცესში მარცხი და წარუმატებლობა, ხშირ შემთხვევაში, გამოწვეულია იმით, რომ პედაგოგმა კარგად არ იცის ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებანი და ცდილობს ყველა მათგანის გათანაბრებას. მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება საჭიროა როგორც სასწავლო, ისე აღმზრდელობითი მუშაობის დროსაც.

სააღმზრდელო ღონისძიებათა შინაარსი და მეთოდები უნდა შეეფარდებოდეს მოსწავლეთა განვითარების ასაკსა და მათ შემეცნებით შესაძლებლობებს. აღმზრდელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ქცევის მთავარი ფორმა არის თამაში, მოსწავლისათვის კი — სწავლა. აღზრდის მეთოდებიდან უმცროსკლასელებში გამოიყენება ძირითადად ახსნა-განმარტება, ვარჯიში და ეთიკური საუბრები, ხოლო მაღალ კლასებში — ლექცია-მოხსენებები და პაექრობა (დისპუტი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მარტო ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება არაა საკმარისი, თუ არ გავითვალისწინებთ თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებს, რადგან ერთი და იგივე ასაკის ბავშვები, ტყუპებიც კი, დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები იცვლება ყოველ მომდევნო კლასში. ეს იმას ნიშნავს, რომ მეოთხე კლასში აღმზრდელობითი მუშაობა არ არის ზუსტად ისეთი, როგორიც იყო მესამე კლასში, ხოლო მეხუთე-მერვე კლასებში ეს მუშაობა საგრძნობლად განსხვავდება პირველ-მეოთხე კლასებში ჩატარებული მუშაობისაგან. აღმზრდელობით მუშაობაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს თითოეული მოსწავლე. კოლექტივი აღზრდის მძლავრი ფაქტორია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმზრდელმა კარგად იცის ყოველი აღსაზრდელის თავისებურებანი, მათი გულებისაკენ მიმავალი გზები, შეუძლია განეწყოს იმ სიმის ხმაზე, რომელიც ყველა ბავშვს საკუთარი აქვს და განსხვავებულად ჟღერს. მოსწავლეთა კოლექტივში შეხვდებით ძლიერი ხასიათისა და ნებისყოფის, ნათელი გონების ბავშვებს და, მათთან ერთად, უნებისყოფო, მშიშარა და მორცხვებსაც, ასევე ე. წ. პედაგოგიურად თავმიშვებულ და ძნელად აღსაზრდელებს. მიუხედავად იმისა, რომ მათ ბევრი საერთო აქვთ, ისინი მაინც დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ ბავშვთა ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნის გარეშე აღმზრდელობით მუშაობაში წარმატებების მიღწევაზე ლაპარაკი ზედმეტია. *„როგორც ექიმი იკვლევს უამრავ ფაქტორს, რომლებზეც დამოკიდებულია ადამიანის ჯანმრთელობა, ასევე პედაგოგმა უნდა გამოიკვლიოს ბავშვის სულიერი სამყარო“,* – წერს **ვ.სუხომლინსკი.**[1] მაგრამ ამის თქმა ადვილია, შესრულება კი ძნელი. ეს სირთულე განპირობებულია თვით ადამიანის რთული ბუნებით. არ არსე-

---

[1] *Сухомлинский В. А. Разговор с молодым директором школы. – М., 1982, с. 53.*

ბობს აბსტრაქტული ბავშვი. ყოველ მათგანს,საერთო, ადა-ადამიანისათვის დამახასიათებელ ტიპურ თვისებებთან ერთად, გააჩნია რაღაც მისეული, მხოლოდ მისთვის დამა-ხასიათებელი ინდივიდუალური თავისებურებანი, რაც მის შესწავლას ართულებს. *„ყოველ ადამიანს, როგორც მიწის წიაღიდან ამოღებულ ალმასს, – წერს* ***ვ. სუხომლინსკი,*** *– ათასი წახნაგი აქვს. აღზრდა სწორედ იმაში მდგომარე-ობს, რომ მოხერხებულად და გონივრულად მივუდგეთ თი-თოეულ წახნაგს, ვიპოვოთ ის წახნაგი, რომელიც ადამია-ნურმა ტალანტმა უნდა გააბრწყინოს“.*[1] პედაგოგი სისტე-მატურად უნდა აკვირდებოდეს მოსწავლეებს და სწავლობ-დეს მათ ინდივიდუალურ თავისებურებებს, რათა, საჭირო-ების შემთხვევაში, შეძლოს სწორი დიაგნოზის დასმა, შე-საბამისი „პედაგოგიური გასაღების“ გამონახვა და სასწავ-ლოა-ღმზრდელობით მუშაობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა. საამისოდ იგი საფუძვლიანად უნდა ფლობდეს პედაგოგიკას, ფსიქოლოგიას, ასაკობრივ ფიზიოლოგიას, დეფექტოლოგიას და ბავშვის შესწავლის ხერხებსა და მე-თოდებს. ამასთან, მან კარგად უნდა იცოდეს, რომ მოსწავ-ლის ყოველმხრივი შესწავლისათვის საკმარისი არ არის მასთან ურთიერთობა მხოლოდ კლასში, მეცადინეობის დროს, არამედ საჭიროა მასზე დაკვირვება და მისი შე-სწავლა სხვადასხვა დროსა და სიტუაციაში: დასვენების დროს, თამაშში, ექსკურსიაზე ყოფნისას და ა.შ. დაკვირ-ვების შედეგები უნდა ჩავიწეროთ უბის წიგნაკში და სა-ჭიროების შემთხვევაში გამოვიყენოთ, განსაკუთრებით სას-წავლო წლის ბოლოს თითოეული მოსწავლის დახასიათე-ბისას.

8. ***აღზრდისადმი ერთიანი, კომპლექსური მიდგომა.*** აღმზრდელობით მუშაობას უნდა ჰქონდეს ერთიანი, კომ-პლექსური ხასიათი. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი დამყარე-ბული უნდა იყოს აღზრდის სხვადასხვა მხარეთა დიალექ-ტიკურ ერთიანობასა და ურთიერთგანპირობებულობაზე.

---

[1] *ვ. სუხომლინსკი, ქედუხრელთა ოჯახი, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1970,* №9, გვ. 60-61.

ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება, როგორიცაა: ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა. *„...პიროვნებაზე ნებისმიერი ზემოქმედება კარგავს თავის ძალას, — წერს* ***ვ. სუხომლინსკი,*** *— თუ არ არის ასობით სხვა ზემოქმედება; ნებისმიერი კანონზომიერება ფუჭად იქცევა, თუ გამოყენებული არ იქნა ასობით სხვა კანონზომიერება“.*[1]

ყოველ აღმზრდელს კარგად უნდა ესმოდეს, *რომ „ადამიანი არ აღიზრდება ნაწილ-ნაწილ“* **(ა. მაკარენკო).** არ შეიძლება ბავშვს ჯერ ჩავუნერგოთ მორალური თვისებები, შემდეგ კი ვასწავლოთ შრომა, ან ჯერ მოვათაოთ ფიზიკური აღზრდა, შემდეგ კი გადავიდეთ ესთეტიკურზე, გონებრივზე და ა.შ. ყოველივე ეს ხორციელდება ერთდროულად, კომპლექსურად. კარგი ექიმის მსგავსად, რომელიც კურნავს არა განყენებულ, ცალკე აღებულ ამა თუ იმ ავადმყოფობას, არამედ მთელ ორგანიზმს, გამოცდილმა პედაგოგმა კარგად იცის, რომ იგი აყალიბებს ბავშვში არა ამა თუ იმ თვისებას, არამედ მის პიროვნებას როგორც ერთიანს, მთლიანს. ვ. სუხომლინსკის აზრით, პიროვნებაზე ამა თუ იმ საშუალების ზემოქმედების პედაგოგიური ეფექტი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გააზრებული, მიზანდასახული და ეფექტურია ზემოქმედების სხვა საშუალებანი.

სკოლის პრაქტიკაში ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ კლასებს (ზოგჯერ სკოლებსაც), სადაც პიროვნების ფორმირების საქმეში მთავარი ყურადღება ექცევა აღზრდის ერთ რომელიმე მხარეს — ფიზიკურს, გონებრივს, შრომითს და ა. შ. სხვა მხარეების მნიშვნელობა კი მივიწყებულია ან, უკიდურეს შემთხვევაში, უკანა პლანზეა გადაწეული. ყოველივე ეს არღვევს აღზრდის პროცესის ერთიანობას, ამცირებს მის ეფექტურობას და პიროვნებას არ აძლევს მრავალმხრივად განვითარების საშუალებას.

---

[1] *ვ. სუხომლინსკი, გულს ვუძღვნი ბავშვებს, თბ., 1980, გვ. 251.*

აღზრდამ გავლენა უნდა მოახდინოს მოსწავლის არა მარტო შეგნებასა და ქცევაზე, არამედ მის სწავლაზეც, შრომაზეც, ადამიანებთან ურთიერთობაზე და ა.შ. ყოველივე ამას კი განაპირობებს, უწინარეს ყოვლისა, მოსწავლის ფიზიკური აღზრდა, მისი ჯანმრთელობა.

აღზრდისადმი კომპლექსურმა მიდგომამ თავისი გამოხატულება უნდა პოვოს ასევე ზემოთ განხილული პრინციპებისა და აღზრდის მეთოდების ერთობლივად გამოყენებაშიც. ამ შემთხვევაში უნდა ვხელმძღვანელობდეთ **ა.მაკაკარენკოს** მითითებით იმის შესახებ, რომ *„არავითარი საშუალება, საერთოდ, რომელიც არ უნდა ავიღოთ, შეუძლებელია მიჩნეულ იქნას კარგად ან ცუდად, თუ მას განვიხილავთ სხვა საშუალებებისაგან,მთელი სისტემისა და კომპლექსისაგან იზოლირებულად“.* [1]

აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის განხორციელება შეუძლებელია სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედების გარეშე. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკოლისა და ოჯახის კავშირს.

დაბოლოს, აღმზრდელობითი მუშაობისადმი კომპლექსური მიდგომის პრინციპის ცხოვრებაში გატარება მოითხოვს მის დაგეგმვას, იმ ამოცანების ზუსტად განსაზღვრას, რაც სკოლისა და კლასის წინაში დგას. გეგმა უნდა იყოს ყოველმხრივ ამომწურავი, მოიცავდეს პიროვნების ფორმირების ყველა მხარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია დასახული მიზნის მიღწევა.

---

[1] *Макаренко А. С. Соч. , т. 5, М., 1958, с.116.*

თავი XII

აღზრდის მეთოდები

1. აღზრდის მეთოდის ცნება

სიტყვა *„მეთოდი“* წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან „მეტოდოს“ და ნიშნავს გზას, ხერხს, საშუალებას დასახული მიზნის მისაღწევად, განსახორციელებლად. აღზრდის მეთოდი ეწოდება იმ გზას, ხერხს ან საშუალებათა ერთობლიობას, რომელსაც აღმზრდელი იყენებს მის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად.

ამა თუ იმ საქმიანობის წარმატებით განხორციელება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა გზებსა და საშუალებებს მივმართავთ მისი შესრულების დროს.ზოგჯერ დასახული სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნის მიღწევა შეუუძლებელი ხდება იმის გამო, რომ სწორად არ არის შერჩეული მისი განხორციელების გზები და საშუალებანი, ან მის შესრულებას სჭირდება გაცილებით მეტი დრო, ვიდრე ეს სწორი გზის არჩევით არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე,კარგად შერჩეული მეთოდი არის შრომის ეფექტურობის ამაღლების, მისი მოკლე დროში, ნაკლები ენერგიის დახარჯვით განხორციელების საშუალება. მაგრამ გააჩნია ვინ და როგორ იყენებს ამა თუ იმ მეთოდს. ზოგჯერ ერთი და იგივე მეთოდი სხვადასხვა მასწავლებლის (აღმზრდელის) ხელში სხვადასხვა შედეგს იძლევა. სწორად შერჩეული მეთოდიც კი ვერ აღწევს მიზანს, თუ მას საქმის ცოდნით, მოხერხებულად,შესაბამისი პირობების გათვალისწინებით არ ვიყენებთ. ერთ შემთხვევაში და ერთი მოსწავლის მიმართ გამოყენებულმა მეთოდმა შეიძლება ერთი შედეგი მოგვცეს, მეორე შემთხვევაში და სხვა მოსწავლესთან კი — სხვა.

აღზრდის მეთოდები მრავალგვარია. ამიტომ მათი გა-

მოყენება განურჩევლად, ხელაღებით არ შეიძლება.მეთოდების შერჩევისას უნდა იქნას გათვალისწინებული აღზრდის მიზანი, აღსაზრდელთა ასაკი, სქესი, მათი აღზრდილობის დონე, ადგილობრივი პირობები და სხვა. ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს რაიმე ერთადერთი, უნივერსალური მეთოდი, რომელიც ერთნაირი წარმატებით გამოდგებოდა ყველგან და ყველა ვითარებაში. ეს იმიტომ, რომ ბავშვები თავიანთი ხასიათით, ნიჭით, უნარითა და შესაძლებლობებით დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ ყველა მეთოდი უნდა იქნას გამოყენებული კომპლექსურად, არსებული სიტუაციისა და ბავშვთა თავისებურებების გათვალისწინებით. ა.მაკარენკოს აზრით, არც ერთი მეთოდი ან ხერხი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას კარგად ან ცუდად, თუ მათ განვიხილავთ სხვა მეთოდებისა და საშუალებებისაგან იზოლირებულად, მოწყვეტით. მხოლოდ მათი ორგანულ კავშირში და შემოქმედებითად გამოყენება იძლევა სასურველ შედეგს. როცა ერთი მეთოდის გამოყენებით ვერ ვაღწევთ დასახულ მიზანს, უნდა მივმართოთ მეორეს, მესამეს და ა.შ. ზოგჯერ საჭიროა მეთოდთა მთელი კომპლექსის გამოყენება.

მეთოდების გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული აგრეთვე ის, თუ რისი აღზრდა გვსურს ბავშვში. მაგალითად, შრომისმოყვარეობის აღზრდის ძირითადი მეთოდია აღსაზრდელთა შრომით საქმიანობაში ჩაბმა, დისციპლინირებული ქცევის უნარ-ჩვევების გამომუშავებას ხელს უწყობს ახსნა-განმარტების, საუბრისა და ვარჯიშის მეთოდები, ასევე მოსწავლის დადებითი ქცევის მოწონება და ქცევის წესების დარღვევისათვის შენიშვნა, გაფრთხილება და გაკიცხვა.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ მეთოდი, ხერხი და საშუალება, თუმცა ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და მათი არსებობა ცალ-ცალკე წარმოუდგენელია. მეთოდი უფრო ფართო ცნებაა. ერთი და იგივე მეთოდის გამოყენებისას შეიძლება მივმართოთ სხვადასხვა ხერხსა და საშუალებას. ხერხი არის მეთოდის

კერძო გამოვლინება, რომელიც უფრო ნაყოფიერს ხდის მეთოდის ეფექტურობას. მეთოდი და ხერხი ზოგჯერ ერთმანეთს ცვლიან, იმისდა მიხედვით, თუ რა მიზნითაა ისინი გამოყენებული. მაგალითად, საუბარი არის პიროვნების შეგნების ამაღლებისა და მისი დარწმუნების საუკეთესო მეთოდი. ამასთან ერთად, იგი შეიძლება მოგვევლინოს ვარჯიშის (მიჩვევის) მეთოდის ხერხად. იგივე შეიძლება ითქვას სხვა მეთოდზეც. ამრიგად, ერთი და იგივე მეთოდი ზოგჯერ გვევლინება დამოუკიდებელ მეთოდად, ზოგჯერ კი გზად, ხერხად ან საშუალებად.

2. აღზრდის მეთოდთა კლასიფიკაციის პრობლემა პედაგოგიკაში

აღზრდის მეთოდები,ისევე როგორც სწავლებისა, მრავალია. ამიტომ მათი დამახსოვრების გაადვილების მიზნით, მეცნიერები გარკვეული ნიშნების,კრიტერიუმების მიხედვით აჯგუფებენ, რასაც აღზრდის მეთოდთა კლასიფიკაცია ეწოდება („კლასიფიკაცია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს რაიმე საგნებისა თუ მოვლენების დაყოფა-დაჯგუფებას მსგავსება-განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა მიხედვით). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში მეცნიერთა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. ამაზე მიუთითებს ის, რომ ზოგიერთი სახელმძღვანელოს ავტორი გამოყოფს აღზრდის მეთოდთა ორ ჯგუფს, ზოგი სამს, ოთხს, ხუთს და ა.შ. ზოგიერთები კი მათ განიხილავენ ცალ-ცალკე, ყოველგვარი კლასიფიკაციის გარეშე. მაგალითად, **ნ. ბოლდირევი, ნ. გონჩაროვი, ფ. კოროლიოვი** და სხვები გამოყოფენ აღზრდის მეთოდთა 3 ჯგუფს, როგორიცაა: 1. *დარწმუნება,* 2. *ვარჯიში,* 3. *წახალისება და დასჯა.* ამ კლასიფიკაციისაგან ოდნავ განსხვავდება **ტ. ილინასა და ი. ოგოროდნიკოვის** მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია. ესენია: 1. *დარწმუნების მეთოდები;* 2. *მოსწავლეთა საქმიანობის ორგანიზაციის მეთოდები*; 3. *მოსწავლეთა ქცევის სტიმულირების მეთოდები.* აკადემიკოს **იური ბაბანსკის**

რედაქციით გამოცემულ პედაგოგიკის სახელმძღვანელოში (მ., 1983) გამოყოფილია აღზრდის მეთოდთა სამი ჯგუფი. ესენია: 1. *პიროვნების შეგნების ჩამოყალიბების მეთოდები;* 2. *საზოგადოებრივი ქცევის გამოცდილებისა და საქმიანობის ორგანიზაციის მეთოდები;* 3. *მოქმედებისა და ქცევის სტიმულირების მეთოდები.*

ახლა გადავხედოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქართველი ავტორების მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში. აკადემიკოს **დავით ლორთქიფანიძის** მთავარი რედაქციით გამოცემულ პედაგოგიკის სახელმძღვანელოში (თბ., 1969) აღზრდის მეთოდები დაყოფილია 5 ჯგუფად: 1. *ბავშვთა ცხოვრების ორგანიზაციის მეთოდები;* 2. *სიტყვიერი მეთოდები;* 3. *საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებისა და პრაქტიკულ-ორგანიზაციული მუშაობის მეთოდები;* 4.*მაგალითი როგორც აღზრდის მეთოდი;* 5. *მოსწავლეთა ქცევის სტიმულირების მეთოდები.* პროფესორ **ა. გობრონიძის** „პედაგოგიკაში“ (ბათუმი,2000) მოცემულია აღზრდის მეთოდთა სამი ჯგუფი: 1. *დარწმუნების მეთოდები;* 2. *მოსწავლეთა ცხოვრებისა და საქმიანობის ორგანიზაციის მეთოდები;* 3.*მასტიმულირებელი და უკუქცევით-შეფასების მეთოდები.*

ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს იმაზე, რომ აღზრდის მეთოდთა კლასიფიკაციისა და რაოდენობის საკითხი ჯერ კიდევ სრულყოფილად არაა შესწავლილი და დადგენილი. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღზრდის მეთოდთა ასეთი დაჯგუფება:

1. *აღზრდის სიტყვიერი მეთოდები;* 2. *მაგალითი და ვარჯიში როგორც აღზრდის მეთოდები;* 3. *ქცევის სტიმულირების მეთოდები.*

1. სიტყვიერი მეთოდები. აღზრდის სიტყვიერ მეთოდებს განეკუთვნება: *ახსნა-განმარტება, საუბარი, თხრობა, ლექცია-მოხსენება, პაექრობა (დისპუტი).* სიტყვიერ მეთოდებს ზოგიერთები დარწმუნების მეთოდებს უწოდებენ, ზოგი კი პიროვნების შეგნების ჩამოყალიბების მეთოდებს. და ეს არცაა გასაკვირი, რადგან სიტყვიერი მეთოდების საშუალებით ხდება მოსწავლეთა შეგნების ამაღლება და მათი დარწმუნება ზნეობრივი ქცევის მართებულობასა თუ

უმართებულობაში, კერძოდ, იმაში, თუ როგორი ქცევაა ზნეობრივი და როგორი უზნეო.

ახსნა-განმარტება, როგორც აღზრდის მეთოდი, მეტწილად გამოიყენება მოსწავლეებში „ქცევის წესებისა“ და ქცევის კულტურის დანერგვის მიზნით. ეს ეხება განსაკუთრებით დაწყებით კლასებს და იმ უფროსკლასელ მოსწავლეებს, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო ვერ ერკვევიან ქცევის კულტურის საკითხებში და არღვევენ „ქცევის წესებს“. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ცდილობს იმოქმედოს მოსწავლის შეგნებასა და გრძნობებზე, მიაღწიოს იმას, რომ მოსწავლე შეგნებულად ეუფლებოდეს ზნეობრივ ნორმებსა და წესებს, აანალიზებდეს თავის ამა თუ იმ საქციელს და საკუთარ მოქმედებას აფასებდეს სხვისი თვალით.

ამ მიზნით სკოლაში მიღების პირველი დღეებიდანვე მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ქცევის წესებს, რომლებიც მათ უნდა დაიცვან სკოლაში, კლასში, ამხანაგებთან ურთიერთობისას; უხსნის, თუ როგორ უნდა ისხდნენ გაკვეთილზე, როგორ უნდა გავიდნენ საკლასო ოთახიდან და შემოვიდნენ ზარის დარეკვის შემდეგ, როგორ უნდა მიესალმონ მასწავლებელს, უფროსს და ა.შ.

„ცოტნემ, ლევანმა და დათომ გოგონებს გზა არ დაუთმეს, ზარის დარეკვისას ისინი პირველები შეცვივდნენ კლასში. შენიშვნა ბიჭებმა ასეთი სახით მიიღეს: „ბიჭებო! განა შეიძლება გოგონებს გზა არ დაუთმოთ? ისინი ხომ თქვენზე წინ უნდა გაატაროთ. გახსოვდეთ! გოგონებს პატივი უნდა სცეთ“. შემდეგში ბიჭები ასე აღარ მოქცეულან“.[1]

საუბარი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, იმისდა მიხედვით, თუ რა მიზნითაა იგი გამოყენებული. მოსწავლეებში საზოგადოებრივი ქცევის წესებისა და ნორმების დანერგვის მიზნით გამოიყენება *ეთიკური საუბრები.* ასეთ საუბრებს უტარებენ ყველა ასაკის მოსწავლეებს, მაგრამ უფრო მეტად უმცროსკლასელებს, რადგან ამ ასაკის ბავ-

---

[1] *ქ. კასრაძე, აღვზარდოთ დარწმუნების საშუალებით, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1985, №11, გვ. 36.*

შვებისათვის ბევრი რამ ჯერ კიდევ უცნობია. ეთიკური საუბრებით მოსწავლეებს უნდა ჩავუნერგოთ საზოგადოებაში დამკვიდრებული მტკიცე ზნეობრივი ნორმები და აღმოვფხვრათ მათში უარყოფითი, უზნეო ქცევები, გავარკვიოთ ისინი მორალის რთულ საკითხებში.

ბავშვებთან საუბრისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ პატარები აზროვნებენ სახეებით. ამიტომ ხშირად უნდა მოვიშველიოთ მათთვის ნაცნობი მაგალითები. ხელიდან არ უნდა გავუშვათ არცერთი შემთხვევა, რომელიც შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული მოსწავლეთა აღზრდის მიზნით.

ეთიკური საუბარი უნდა ავაგოთ სკოლის,სოფლის, ქალაქის თუ ქვეყნის ცხოვრებიდან აღებულ კონკრეტულ მაგალითებზე, რაც საუბარს მეტ დამაჯერებლობას შესძენს და სასურველ შედეგს გამოიღებს. საუბრის ეფექტურობა ასევე გაიზრდება, თუ საუბრის დროს მასწავლებელი გამოიყენებს ტექნიკურ-დიდაქტიკურ საშუალებებს, მოიშველიებს მაგალითებს კინოფილმებიდან,სპექტაკლებიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან, მხატვრული ლიტერატურიდან და ა.შ.

ჰუმანიზმის, ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისათვის თავგანწირვის საუკეთესო მაგალითია გაზეთ *„საბჭოთა აჭარის“* 1971 წლის 26 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული **ავთანდილ დიასამიძის** წერილი – *„იგი 24 წლისა იყო“.* წერილში საუბარია ახალგაზრდა პედაგოგის, *მამული გაბელაიას* შესახებ, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად შავი ზღვის ტალღებს გამოსტაცა ქ. ბათუმის №5 საშუალო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე იგორ ხორევი, თვითონ კი ტალღებში გაუჩინარდა.

ასევე შეიძლება მოვუთხროთ ბავშვებს ცნობილი მეცნიერის **იოსებ ჟორდანიას** შესახებ, რომელმაც თავისი მაშველი რგოლი ერთ უცნობ, უბილეთო გოგონას დაუთმო, თავად კი ცურვა არ იცოდა და ატლანტის ოკეანეში დაასრულა თავისი ლამაზი სიცოცხლე.

ადამიანებისათვის თავგანწირვის საუკეთესო მაგალითია გამოჩენილი პოლონელი მწერლის,პედიატრისა და პედაგოგის **იანუშ კორჩაკის** (ჰენრიკ გოლდშმიდტი) საქცი-

ელი, რომელიც ნებაყოფლობით შევიდა ფაშისტების მიერ მოწყობილ გაზის კამერაში და იქ თავის აღსაზრდელებთან ერთად ჩაიფერფლა.

ასეთი მაგალითები უამრავია, საჭიროა მხოლოდ მათი დაძებნა და მოხერხებულად გამოყენება.

საუბრისას უნდა მოვიშველიოთ არა მარტო დადებითი მაგალითები, არამედ უარყოფითიც და მათი დაგმობით აღმოვფხვრათ მოზარდებში უარყოფითი ქცევები. მაგალითად, გოგებაშვილის „დედა ენაში“ მოთავსებულია მცირე ზომის მოთხრობა *„თხა და გიგო“,* რომელშიც საუბარია პატარა გიგოს სიზარმაცეზე და მასთან დაკავშირებულ კურიოზულ შემთხვევაზე. ეს მაგალითი შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული დაწყებითი კლასების მოსწავლეებში სიბეჯითის, შრომისმოყვარეობის, პიროვნული თვისებების აღზრდისა და მათში სიზარმაცის აღმოფხვრის მიზნით.

საუბრის ნაყოფიერება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აქტიურად არიან ჩაბმული აღსაზრდელები საუბრის პროცესში. საუბრის დროს ისინი პასიური მსმენელები კი არ უნდა იყვნენ, არამედ აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ მასში და გვევლინებოდნენ საუბრის არა მარტო ობიექტებად, არამედ სუბიექტებადაც.

ეთიკურ საუბრებს უნდა ჰქონდეს მასობრივი, ჯგუფური ან ინდივიდუალური ხასიათი. ზოგჯერ ასეთი საუბარი ტარდება მოსწავლეებთან ექსპრომტად,როცა შექმნილ სიტუაციაზე აუცილებელია სწრაფი რეაგირება, ვთქვათ, მოსწავლეთა შორის კონფლიქტის შემთხვევაში.

ეთიკური საუბრის ეფექტურობა დამოკიდებულია ასევე იმაზე, თუ როგორი ავტორიტეტით სარგებლობს მასწავლებელი მოსწავლეებში, რამდენად უყვართ და ენდობიან ისინი მას. საუბრის პროცესში მასწავლებელი უნდა იცავდეს პედაგოგიურ ტაქტს და არ უნდა ივიწყებდეს აღსაზრდელთა პიროვნების პატივისცემის პრინციპს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება მას ავტორიტეტი მოსწავლეთა თვალში.

საუბრის თემის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას აღსაზრდელთა ასაკი, მათი შეგნების,ზნეობრივი აღ-

ზრდილობის დონე და სხვ.

მოსწავლეებთან საუბარი შეიძლება ჩატარდეს არა მარტო ეთიკურ თემებზე, არამედ ასევე ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, ადამიანთა ურთიერთობასა და ყოფაქცევაზე, მხატვრული ნაწარმოების დადებით თუ უარყოფით პერსონაჟზე, ნახულ კინოფილმზე, წაკითხულ წიგნზე და ა.შ. საუბრის თემა უნდა იყოს მოსწავლეებისათვის საინტერესო, გასაგები და მისაწვდომი.

თხრობა, ისევე როგორც ახსნა-განმარტება და საუბარი, აღზრდის საუკეთესო მეთოდია. ეს მეთოდიც ძირითადად დაბალ კლასებში გამოიყენება. თხრობის თემა შეიძლება აღებულ იქნას მხატვრული ლიტერატურიდან, ჩვენი ქვეყნის წარსულიდან,გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან. თხრობა ტარდება ასევე სახელგანთქმულ მწერლებზე, მეცნიერებზე, ხელოვნების დარგის მუშაკებზე,ბრძოლისა და შრომის გმირებზე და ა.შ.

მოსათხრობი მასალა უნდა იყოს მხატვრული, რათა გავლენა მოახდინოს მოსწავლეთა შეგნებასა და გრძნობებზე, გამოიწვიოს მათში ემოციური აღტყინება. თხრობის მიზანი და დანიშნულება სწორედ ამაშია.

თხრობის გავლენა მოსწავლეებზე გაცილებით იზრდება, როცა მთხრობელი იყენებს ტექნიკურ-დიდაქტიკურ საშუალებებს: დიაფილმებს, კინოფილმებს, ვიდეომასალებს და სხვ. თხრობის ენა უნდა იყოს დახვეწილი, სტილისტურად და ლიტერატურულად გამართული. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოახდენს თხრობა ზემოქმედებას მოსწავლის შეგნებასა და გრძნობებზე.

აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვა აღზრდის საუკეთესო საშუალებაა,მის გარეშე აღზრდა არ არსებობს, მაგრამ იგი მხოლოდ მაშინ ასრულებს თავის დანიშნულებას, როცა მას წარმოთქვამს ისეთი პირი, რომელსაც ამის მორალური უფლება აქვს, რომლის სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ სცილდება. *„როგორი კარგი სიტყვაც არ უნდა წარმოთქვას მასწავლებელმა, – წერს* ***ვ. სუხომლინსკი,*** *– მისი სიტყვები აღსაზრდელებისათვის ცარიელ ფრაზებად დარჩება, თუ ისინი თავიანთ დამრიგებელში ვერ დაინახა-*

ვენ ყველა ამ სიტყვისა და მოწოდების განსახიერებას“. [1]

ლექცია-მოხსენება, როგორც აღზრდის მეთოდი, გამოიყენება მხოლოდ მაღალ კლასებში. ლექციის თემად უნდა შეირჩეს ისეთი საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად აღელვებთ ბავშვებს. ასეთია სიყვარულისა და მეგობრობის საკითხი, მოსწავლის უფლება-მოვალეობანი, სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე, ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აშორების გზები და საშუალებანი, საბაზრო ეკონომიკის შუქ-ჩრდილები და სხვ. მაგრამ ლექცია მეტწილად ტარდება ეთიკურ თემებზე, ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, პოლიტიკის საკითხებზე, ცნობილ პირებზე და ა.შ.

ლექცია შესაძლებლობას იძლევა თემა გაშუქდეს უფრო ღრმად და საფუძვლიანად, სათანადო მეცნიერულ დონეზე. იგი თხრობის მეთოდისაგან იმით განსხვავდება, რომ მას გაცილებით მეტი დრო ეთმობა, ვიდრე თხრობას და ტარდება უწყვეტი, მონოლოგიური გზით. მოხსენებებით ძირითადად მასწავლებლები, კლასის ხელმძღვანელები გამოდიან, ლექციებს კი მეტწილად კომპეტენტური პირები ატარებენ. ლექციის დასასრულს, სასურველია, მოსწავლეებს მიეცეთ შეკითხვების მიცემის უფლება, რათა გაიმართოს წაკითხული ლექციის ირგვლივ სჯა-ბაასი და კამათი, რაც უფრო საინტერესოსა და ნაყოფიერს გახდის ლექციის შინაარსს.

პაექრობა (დისპუტი) მოსწავლეთა დარწმუნების საუკეთესო საშუალებაა. იგი გამოიყენება მხოლოდ უფროს კლასებში, რადგან მოითხოვს მოსწავლეთა მაღალ მომზადებას, ცხოვრების ცოდნასა და მსჯელობის უნარს. სადისკუსიოდ აღებული თემა წინასწარ უნდა შეირჩეს, რათა მოსწავლეები კარგად მოემზადონ დისკუსიისათვის. იგი უნდა ეხმაურებოდეს ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს, მოსწავლეთა საფიქრალ-საზრუნავს, რომლებზეც სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს და სადაო, საკამათოა. ასეთ საკითხებად შეიძლება ჩაითვალოს: „რას ნიშნავს მოდა და როგორ უნდა გვესმოდეს იგი“, „ვის შეიძლება ეწოდოს

---

[1] *Сухомлинский В.А. Нар. образование, 1967, №12, с.43.*

ჭეშმარიტი მეგობარი“, „რა არის სიყვარული, ბედნიერება“, „როგორი უნდა იყოს თანამედროვე მასწავლებელი“, „რა არის ადამიანის მთავარი დანიშნულება“, „როგორ უნდა გვესმოდეს რუსთაველის აფორიზმი: „რასაცა გასცემ – შენია, რაც არა – დაკარგულია“, „როგორ გავიგოთ გამოთქმა: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“, „რატომ უნდა გავუფრთხილდეთ საზოგადოებრივ საკუთრებას“, „რაში გამოიხატება მშობლიური ენის დაცვა“ და მრავალი სხვა.

პაექრობის მთავარი ღირსება იმაშია, რომ იგი აჩვევს მოსწავლეებს მსჯელობას, კამათის კულტურას, საკუთარი აზრის დასაბუთებას, სათანადო არგუმენტების მოშველიებას. მასწავლებელმა,დისპუტის ხელმძღვანელმა, თავი უნდა შეიკავოს მაშინაც კი, როცა რომელიმე მათგანი ცდება, არასწორ აზრს ავითარებს. მთავარია, დისპუტმა შეასრულოს თავისი დანიშნულება – განუვითაროს მოსწავლე-ებს ორატორული ნიჭი, მსჯელობისა და აზროვნების უნარი, შეცდომებზე კი მასწავლებელმა შეიძლება მიუთითოს მეცადინეობის დასასრულს, მაგრამ ფრთხილად და ტაქტიანად.

დისპუტის თავისებური ფორმაა *ლიტერატურული გასამართლება*,რაც ადრე სისტემატურად იმართებოდა ჩვენს სკოლებში. ასამართლებდნენ, მაგალითად, ონისეს, ჯაყოს, საფარ-ბეგს, ვარდუას და სხვებს. ერთი მოსწავლე დამცველის როლში გამოდიოდა, მეორე კი – ბრალმდებლის. ირჩევდნენ მსაჯულთა კოლეგიასაც, რომელიც საკითხის გადაჭრის დროს მოკამათეთა არგუმენტებსა და ლოგიკას ემყარებოდა. ასეთი დისპუტები მიმდინარეობდა ძალიან საინტერესოდ და დამსწრე საზოგადოებაზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. ამიტომ ასეთ ღონისძიებას სკოლის თითქმის ყველა მოსწავლე ესწრებოდა, მათ შორის მშობლებიც. მასში თავისი აზრის გამოთქმის უფლება დამსწრესაც ჰქონდა.

დისპუტი აღზრდის ისეთი მეთოდია, რომელიც მოსწავლეს აფიქრებს მორალურ და ამორალურ ქცევებზე, ააშკარავებს ადამიანის დადებით და უარყოფით მხარეებს. მოსწავლე გებულობს, რა არის კარგი და რა – ცუდი,

რაც მას კარგისადმი დადებითად განაწყობს, ცუდისადმი კი – უარყოფითად. ამით იგი იძენს საჭირო ზნეობრივ შეხედულებებს, უვითარდება ზნეობრივი შეგნება და გრძნობები, რაც, საბოლოოდ, ზნეობრივად აყალიბებს მას.

2. მაგალითი და ვარჯიში. აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია ***მაგალითი.*** მის დიდ როლსა და მნიშვნელობაზე მიუთითებს არა ერთი და ორი კლასიკოსი პედაგოგი და მოწინავე მოაზროვნე. დიდი რუსი პედაგოგი **კ. უშინსკი** აღმზრდელის, მასწავლებლის პირად მაგალითს *„მზის გამანაყოფიერებელ სხივს“* უწოდებდა. **ლევ ტოლსტოის** აზრით კი, მაგალითი ბავშვებზე უფრო დიდ გავლენას ახდენს, ვიდრე მჭერმეტყველური და გონიერი დარიგებანი.

სიტყვიერი მეთოდების მეშვეობით აღმზრდელი უვითარებს მოსწავლეებს ზნეობრივ შეგნებას და ზემოქმედებს მათ გრძნობებზე, მაგრამ, როგორც იტყვიან – *„ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი სჯობია“.* ამიტომ აღზრდაში გადამწყვეტი როლი ენიჭება აღმზრდელის პირად მაგალითს, მის სიტყვა-პასუხს, ჩაცმა-დახურვას, ადამიანებისა და საქმისადმი დამოკიდებულებას; ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რასაც იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში აკეთებს.

სკოლამდელი ასაკის ბავშვები, უწინარეს ყოვლისა, ბაძავენ მშობლებს და ოჯახის უფროს წევრებს, ბაძავენ ყველაფერში – ცუდშიც და კარგშიც,რადგან მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ცუდისა და კარგის გარჩევის უნარი. **ი. ა. კომენსკი** წერდა: *„ბავშვებმა, რაც არ უნდა ნახონ, კარგი თუ ცუდი, ცდილობენ მათ მიბაძონ ყოველი მათგანის სტიმულირების გარეშე. ამრიგად, ისინი სწავლობენ მიბაძვას, ვიდრე განსჯა-გაგებას. მე მხედველობაში მაქვს..., უწინარეს ყოვლისა, ცხოვრებიდან აღებული მაგალითები, რადგან ისინი მახლობელია და უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ“.* [1]

იგივე შეიძლება ითქვას უმცროსკლასელებზე. ისინი ბაძავენ უფროსებს შეუგნებლად, გაუაზრებლად, მაგრამ

---

[1] *ციტირებულია: ვ. გაგუა, პედაგოგიკა, თბ., 1996, გვ. 164.*

მათი „სამიზნე“ ახლა არის არა მშობელი, არამედ მასწავ-ლებელი. დაწყებითი კლასების მოსწავლეებს თითქმის ყველაფერი მოსწონთ თავიანთი მასწავლებლისა და ბაძავენ მას. მისი სიტყვა მათთვის კანონია. ამიტომ ისინი ხშირად ედავებიან მშობლებს: *„მასწავლებელმა ასე თქვა“, „მასწავ-ლებელი ასე იქცევა“* და სხვა. ყოველივე ეს ყურად უნდა იღოს მასწავლებელმა, რათა მასში აღსაზრდელები ხედავ-დნენ და მისგან ითვისებდნენ მხოლოდ დადებით მაგალი-თებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობლისა და მას-წავლებლის სიტყვა ერთია, საქმე კი – სხვა. ისინი მო-ზარდებს უკრძალავენ პაპიროსის წევას, თავად კი მათი თანდასწრებით აბოლებენ, ან დისციპლინისაკენ მოუწოდე-ბენ, თავად კი უდისციპლინონი არიან – აგვიანებენ სამსა-ხურში, არღვევენ წესრიგს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ლოთობენ, ილანძღებიან, დებოშს ტეხენ და ა.შ. ყოველივე ეს შეუმჩნეველი არ რჩებათ ბავშვებს და უფროსების აღმზრდელობით ზეგავლენას ძალა ეკარგება.

მოსწავლეებზე გავლენას ახდენს არა მარტო მშობლე-ბისა და მასწავლებლების პირადი მაგალითი, არამედ ასე-ვე უფროსი ამხანაგებისა და თანატოლების მაგალითებიც. ზოგიერთი მაღალი შეგნების მოსწავლე ბაძავს თავის ამ-ხანაგს დადებით ქცევაში და ცდილობს თვითონაც ისე მო-იქცეს, როგორც იგი იქცევა. ამიტომაც ენიჭება ურთიერ-თაღზრდას ესოდენ დიდი როლი პიროვნების ფორმირე-ბაში. ამისათვის საჭიროა მოსწავლეთა მტკიცე კოლექტი-ვი და მის წევრთა შორის ჯანსაღი ურთიერთდამოკიდებუ-ლება. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რათა მოს-წავლეები ბაძავდნენ მოწინავე და დადებითი ამხანაგების პირად მაგალითს და არა გზასაცდენილებს, რომლებიც ცდილობენ თავიანთი გზით ატარონ ისინი. სამწუხაროდ, გარდამავალი ასაკის მოსწავლეები ხშირად ასეთ ამხანა-გებს უფრო ბაძავენ, ვიდრე სანიმუშო ყოფაქცევის თანა-კლასელებს,რადგან, როგორც იტყვიან, *„აკრძალული ხილი უფრო ტკბილია“.*

ცოცხალ მაგალითთან გვაქვს საქმე მაშინაც, როცა სკოლაში შეხვედრას ვუმართავთ რომელიმე გამოჩენილ

პიროვნებას, მწერალსა თუ საზოგადო მოღვაწეს. ამით ჩვენ პატივს მივაგებთ მას. მისი პირადი მაგალითი და მისდამი პატივისცემის ასეთი გამოხატვა დადებით ზეგავლენას ახდენს შეხვედრაში მონაწილე მოსწავლეებზე, რამეთუ, როგორც იტყვიან, წინა კაცი უკანას ხიდია.

როდესაც ლაპარაკია მაგალითის დიდ აღმზრდელობით ძალაზე, არ უნდა შემოვიფარგლოთ მარტო მშობლების, აღმზრდელ-მასწავლებლებისა და მოწინავე ამხანაგების პირადი მაგალითებით. ამ საქმეში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟებს, დადებით გმირებს, ისტორიულ პიროვნებებს, რომელთა ერისა და ქვეყნისადმი სამსახური სამაგალითო და მისაბაძია ყველა ჭეშმარიტი ადამიანისათვის. ჩვენი ერის ისტორია და მხატვრული ლიტერატურა ძალზე მდიდარია ასეთი პერსონაჟებით. ავიღოთ თუნდაც დიმიტრი თავდადებული, თევდორე მღვდელი, სამასი არაგველი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, გიორგი საკაძე, ქეთევან დედოფალი, ზვიად გამსახურდია მერაბ კოსტავა და სხვები, რომელთა მაგალითებზე იზრდებოდნენ და კვლავაც აღიზრდებიან ქართველი ახალგაზრდები, ჩვენი შვილები და შვილიშვილები.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურასა და ისტორიაში, დადებით გმირებთან ერთად, უარყოფით პერსონაჟებსაც ვხვდებით, მაგრამ მათ გვერდს კი არ უნდა ვუვლიდეთ, არამედ მოხერხებულად უნდა ვიყენებდეთ მოსწავლეებში ასეთი პიროვნებებისადმი ზიზღისა და სიძულვილის გამომუშავებისათვის. ზოგიერთების აზრით კი, აღსაზრდელებს უნდა ვუჩვენოთ მხოლოდ დადებითი მაგალითები, რაშიც ისინი, ჩვენი აზრით, ცდებიან. მარტოოდენ დადებით მაგალითებზე აღზრდილი ადამიანები, როცა ცხოვრებაში უარყოფით მოვლენებს აწყდებიან, ვერ იღებენ მათ წინააღმდეგ ბრძოლის სწორ გადაწყვეტილებას და ეგუებიან შექმნილ ვითარებას. ამიტომ ბავშვებს უარყოფითი მაგალითები კი არ უნდა დავუმალოთ, არამედ უნდა აღვზარდოთ ისინი მათდამი შეურიგებლობის გრძნობით, ვასწავლოთ ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა.

ვარჯიში. სიტყვა, როგორც აღინიშნა, მოსწავლეებზე ზემოქმედების საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში აღმზრდელი ზემოქმედებს მხოლოდ მათ შეგნებასა და გრძნობებზე, რაც საკმარისი არაა. საჭიროა ასევე მათში ზნეობრივი ქცევის ჩვევებისა და ჩვეულებების გამომუშავება, რაც ხანგრძლივი შრომისა და ვარჯიშის შედეგია.

ვარჯიში გულისხმობს ერთი და იგივე მოქმედების რამდენიმეჯერ განმეორებას, რაც ხელს უწყობს პიროვნებაში ქცევის ჩვევების გამომუშავებას. ჩვევა არის გაუცნობიერებული, ავტომატური მოქმედება, რაც დროთა განმავლობაში ჩვეულებად იქცევა. ასე ვარჯიშის გზით უნდა გამოვუმუშაოთ პირველკლასელებს გაკვეთილზე წესიერად ჯდომის, მისალმების, ხელის სწორად აწევის და სხვა ჩვევები. პირველ ხანებში პატარებს საამისოდ სჭირდებათ შეხსენება, მითითება, შემდეგ მათ წესიერი ქცევა ჩვევად ექცევად და მითითებას არ საჭიროებენ.

ამავე გზით ვაღწევთ ბავშვებში შრომისმოყვარეობის, კულტურული ჩვევების (დანა-ჩანგლის სწორად ხმარება, ქუდის მოხდით მისალმება, დილით ხელ-პირის დაბანა და კბილების გაწმენდა, ფრჩხილების დასუფთავება, ოთახში შესვლისას ფეხების გაწმენდა და ა.შ.), მოხუცებულებსა და ინვალიდებზე დახმარების გაწევის, თავაზიანობისა და სხვა ჩვევების გამომუშავებას. .

ვარჯიში დამოუკიდებელ მეთოდს არ წარმოადგენს.იგი ხშირად გამოიყენება სიტყვიერ მეთოდებთან ერთად. ვარჯიში საჭიროებს მოკლე სიტყვიერ განმარტებებს და საუბარს ამა თუ იმ ქცევის მიზანშეწონილობის შესახებ. ამ მოთხოვნის დაცვა აუცილებელია განსაკუთრებით დაწყებით კლასებში. სიტყვიერი მეთოდებისა და ვარჯიშის ერთად გამოყენება საჭიროა იმისათვის, რომ მივაღწიოთ სიტყვისა და საქმის ერთიანობას. ხშირად სიტყვასა და საქმეს შორის გათიშულობა იმის მიზეზია, რომ აღმზრდელები თავის დროზე ბავშვებთან მუშაობისას კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ მორალური სენტენციებით და ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ მათში ვარჯიშის გზით მორალუ-

რი პრინციპებისა და ნორმების ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ხდება პირიქითაც, როცა აღმზრდელი გვერდს უვლის სიტყვიერ მეთოდებს და კმაყოფილდება მხოლოდ ვარჯიშით. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეებმა არ იციან რას და რატომ აკეთებენ და იქცევიან რობოტებივით. ეს უფრო წვრთნაა, ვიდრე აღზრდა. მართალია, ვარჯიში ქცევის მრავალგზის გამეორებას გულისხმობს, მაგრამ იგი მექანიკურ წვრთნამდე არ უნდა დავიყვანოთ.თუ ვარჯიშს გაუცნობიერებელი ხასიათი აქვს, ის არ გამოდგება შეგნებული პიროვნების აღზრდისათვის, პირიქით, მივიღებთ დილეტანტს, პედანტს, რომელიც ყველაფერს მექანიკურად, გაუაზრებლად ასრულებს. ამიტომ ზნეობრივ აღზრდაში უნდა ვერიდოთ როგორც ინტელექტუალიზმისაკენ გადახრას, ისე მეორე უკიდურესობას — მექანიკურ წვრთნას. როგორც ერთს, ისე მეორეს შეუძლია მიგვიყვანოს სიტყვისა და საქმის ერთიანობის დარღვევამდე.

ვარჯიშის გზით მოსწავლეს უმუშავდება არა მარტო ჩვევები, არამედ უნარიც, რომელიც ცოდნის საფუძველზე პრაქტიკული მოქმედების შესაძლებლობას წარმოადგენს.

ზნეობრივი ჩვევების გამომუშავებასა და დისციპლინის აღზრდას ხელს უწყობს ასევე მოსწავლეთა მიერ დღის რეჟიმისა და ქცევის წესების დაცვა, რაც ხანგრძლივი და განუწყვეტელი პროცესია.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ვარჯიშის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს მოსწავლეთათვის დავალებების მიცემა და მათ შესრულებაზე თვალყურის დევნება. **ა. მაკარენკოს** აზრით, ბავშვს როგორც ოჯახში, ისე სკოლაში უნდა ჰქონდეს მუდმივი დავალება, რომელსაც იგი უნდა ასრულებდეს რამდენიმე ხნის განმავლობაში. შემდეგ ეს დავალება სხვა დავალებით უნდა შეიცვალოს, რათა იგი გაიწაფოს ყოველგვარ საქმეში. ასე უნდა გამოვუმუშაოთ პატარებს შრომის უნარ-ჩვევები და მასზე მოთხოვნილება.

3. ქცევის სტიმულირების მეთოდებია შეჯიბრება, წახალისება და დასჯა.

შეჯიბრება ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტივობისა და თვითმოქმედების განვითარებას. იმისათვის, რომ შეჯიბრების საგანი და მიზანი მისაწვდომი იყოს, მოსწავლეებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, ვის შეეჯიბრონ და რაში, ე. ი. ინიციატორებად თვითონ მოსწავლეები უნდა გვევლინებოდნენ და პედაგოგები თავიანთ სურვილებს თავს არ უნდა ახვევდნენ მათ. შეჯიბრების პირობებიც თავად ბავშვებმა უნდა შეიმუშაონ.

შეჯიბრების შედეგების შემოწმებისა და შეფასებისას უნდა იქნას დაცული სრული ობიექტურობა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არასასურველ შედეგს გამოიღებს — გამოიწვევს უფროსებისადმი უნდობლობას და შეჯიბრებაში მონაწილეობისადმი გულის აცრუებას.

სასურველი არაა შეჯიბრების გამართვა ცალკეულ მოსწავლეთა და კლასებს შორის აკადემიური მოსწრების დარგში, რადგან მოსწავლეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ნიჭით, უნარითა და შესაძლებლობებით. ზოგიერთ მოსწავლეს ერთი წაკითხვა ყოფნის, რომ გაკვეთილი „სამზე“ მოამზადოს, ზოგიერთი კი იგივე მასალას სამჯერ კითხულობს. ამიტომ შეჯიბრების პირობებში შეტანილი უნდა იქნას მხოლოდ ისეთი საკითხები, რომლებშიც აისახება სწავლისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება. ასეთი საკითხებია: საშინაო დავალებების ხარისხიანად შესრულება, გაკვეთილებზე ყურადღებით ყოფნა, წიგნებისა და რვეულების სანიმუშოდ მოვლა, დღის რეჟიმის დაცვა, გაკვეთილებზე დაუგვიანებლად გამოცხადება, კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა და სხვ.

წახალისება აღზრდის საუკეთესო მეთოდია. იგი გამოიყენება ყველა ტიპის სასწავლებელში და ყველა კლასში, ნებისმიერი ასაკის მოსწავლის მიმართ. წახალისება ნიშნავს მოსწავლის დადებითი ქცევის აღიარებას, მოწონებასა და მხარდაჭერას, რაც მისი შემდგომი კეთილი საქმიანობის მძლავრი სტიმულია. ამ შემთხვევაში ბავშვს უჩნდება სურვილი, ისევ დაიმსახუროს მასწავლებლის შექება და ქცევის მოწონება. წახალისება უვითარებს მოსწავლეებს თავმოყვარეობის გრძნობას, უნერგავს საკუთარი ძა-

ლის რწმენას და უღვივებს სურვილს – მომავალში უკეთ მოიქცეს, ვიდრე იქცეოდა.

წახალისება ორგვარია: მორალური, ანუ სიტყვიერი და მატერიალური, ანუ ფასიანი. *მორალური წახალისების ფორმებია:* ღიმილი, თავის დაკვრა, მოწონება, წაქეზება, შექება, მადლობის გამოცხადება (სიტყვიერად ან წერილობით), გაზეთში გამოქვეყნება და სხვ.

როგორც დავინახეთ, წახალისების ყველაზე დაბალი ფორმაა *ღიმილი.* დიდი ფრანგი მფრინავისა და მწერლის **სენტ-ეკზიუპერის** აზრით, *„ყველაზე მთავარი ხშირად ღიმილია. ღიმილით უხდიან ვალს, ღიმილით აჯილდოებენ, ღიმილით უბრუნებენ სიცოცხლეს. ზოგიერთი ღიმილის გულისათვის თავს გასწირავ“.* [1]

წახალისების ერთ-ერთი ფორმაა ასევე ***წაქეზება.*** წაქეზებისას პედაგოგი ყოველთვის ზემოქმედებს ბავშვის თავმოყვარეობაზე: *„შენ ისეთი ნიჭიერი ხარ, რომ ამას დაძლევ“, „შენისთანა ყოჩაღ ბიჭს ამის გაკეთება არ გაუჭირდება“* და ა.შ. მაგრამ წაქეზება არასოდეს არ უნდა გადაიზარდოს გადაჭარბებულ შექებაში. ქების საგნად არ უნდა ვაქციოთ ელემენტარული მორალური კულტურა. *„ყველაზე საშინელია ის, – წერს* ***ვ. სუხომლინსკი,*** *– რომ ადამიანურ საქციელს ბავშვი დამსახურებად თვლის, გმირობადაც კი მიიჩნევს მას. ამაში ყველაზე ხშირად დამნაშავეა სკოლა. ბავშვმა სადღაც ათკაპიკიანი იპოვნა და სკოლაში მოიტანა. მალე ამ ნაპოვნის შესახებ მთელმა კოლექტივმა იცის“.* [2]

ბავშვი სიკეთეს უნდა სჩადიოდეს არა შექებისა და ჯილდოსათვის, არამედ საკუთარი შინაგანი მოთხოვნილებით, რადგან *„თუ სიკეთეს მიზეზი აქვს, ის უკვე აღარ არის სიკეთე, თუ ამ სიკეთეს აქვს შედეგი – ჯილდო, ესეც აღარ არის სიკეთე“* **(ლ. ტოლსტოი).**

---

[1] *სენტ-ეკზიუპერი, ადამიანთა მიწა, თბ., „ნაკადული“, 1966, გვ. 175-176.*

[2] *ვ.სუხომლინსკი, გულს ვუძღვნი ბავშვებს, თბ.,1980, გვ.243.*

წახალისების საუკეთესო საშუალებაა ***მადლობის გამოცხადება.*** ზოგჯერ კარგი ქცევისათვის მასწავლებელი მადლობას უცხადებს მოსწავლეებს კლასში, ამხანაგების თანდასწრებით, რაც ძალზე ახარებს ბავშვს. ეს მადლობა შეიძლება გამოიხატოს სათანადო ბრძანებითაც, ზოგჯერ პირად საქმეში შეტანითაც კი.

ანალოგიური ქცევებისათვის შეიძლება მივმართოთ *მატერიალური წახალისების* ფორმასაც, როგორიცაა ფასიანი საჩუქრები: წიგნი, სურათების ალბომი, რაიმე ნივთი სათანადო წარწერით, სპექტაკლის ბილეთი,რომელიმე კურორტის საგზური და ა.შ.

ახლო წარსულში მოსწავლეთა წახალისების უმაღლესი ფორმები იყო ვერცხლისა და ოქროს მედლები, რომლითაც ჯილდოვდებოდნენ მოსწავლეები საშუალო სკოლის დამთავრებისას სანიმუშო სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის, მაგრამ ამან ჩვენში ნეგატიური ხასიათი მიიღო და ამიტომ იგი ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით გაუქმდა, ახლახან კი ისევ აღდგა.

წახალისება შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან ჯგუფური (კოლექტიური), მაგრამ არ შეიძლება წავახალისოთ ის კოლექტივი ან პიროვნება, რომელიც არის *„საუკეთესო ცუდებს შორის“* (ვ. სუხომლინსკი).

წახალისების მეთოდის საუკეთესო გამოხატულებად ა. მაკარენკოს მიაჩნდა ***ნდობის გამოცხადება.*** იგი ქმნის ჯანსაღ ატმოსფეროს აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის. როცა ბავშვი ხედავს, რომ აღმზრდელი სიყვარულით, პატივისცემითა და გულისხმიერებით ეპყრობა, ცდილობს გაამართლოს მისი ნდობა და გულმოდგინედ ასრულებს მის ყოველ სიტყვას, დავალებასა და მოთხოვნას.

ნდობის გამოცხადება ეფექტურია განსაკუთრებით ისეთი აღსაზრდელისადმი, რომელსაც ცუდი წარსული აქვს, ადრე რაღაც დააშავა და ამით აღმზრდელთა უნდობლობა დაიმსახურა. ასეთი მოსწავლისადმი ნდობის გამოცხადებას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ეს იმდენად ახარებს ბავშვს, რომ იგი ზოგჯერ სრულიად გარდაიქმნება. სწორედ ამ გზით შეძლო **ა. მაკარენკომ** ყოფილი პრო-

ფესიონალი ქურდის – სიმონ კარაბანოვის (კალაბალინი) გამოსწორება. მაკარენკომ მას დიდი ნდობა გამოუცხადა და ფინგანყოფილებიდან ფულის მოსატანად გაგზავნა. ამ ამბავმა იგი ისე გაახარა, რომ ერთ-ერთი ასეთი დავალების შესრულების შემდეგ მან მაკარენკოს უთხრა: *„გზაზე მოვქროდი და თან ვფიქრობდი: ნეტავ ღმერთი იყოს ქვეყანაზე-მეთქი. ნეტავი ღმერთი გამომიგზავნიდეს ვინმეს, ტყიდან გამოიჭრებოდეს და დამესხმებოდეს-მეთქი... დაე, ათიც იყოს, თუნდ მეტიც...ვესროდი, კბილებით დავკბენდი, ძაღლივით დავგლეჯდი, ვიდრე მომკლავდნენ“*, ფულს კი არ დავთმობდიო.[1]

წახალისების მეთოდის გამოყენებისას უნდა დავიცვათ შემდეგი მოთხოვნები:

1. წახალისების ზომა არ უნდა გავაუფასუროთ. ხშირი გამოყენება ფასს უკარგავს წახალისებას, მაგრამ წახალისებაში არც ზედმეტი სიძუნწეა გამართლებელი;

2. მიზანშეწონილი არაა ერთი და იგივე მოსწავლის ხშირად წახალისება და სხვების დავიწყება;

3. უნდა წავახალისოთ მოსწავლის სიბეჯითე, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, რაც პირადად მასზეა დამოკიდებული და არა ნიჭი, მეხსიერება და სხვა ბუნებრივი მონაცემები.

დასჯა. აღმზრდელობით მუშაობაში, წახალისებასთან ერთად, გამოიყენება დასჯაც, კერძოდ, მისი ისეთი ფორმები, როგორიცაა: შენიშნვა, მითითება, გაფრთხილება, გაკიცხვა, საყვედურის გამოცხადება (სიტყვიერად ან წერილობით), უნდობლობის გამოცხადება, პარალელურ კლასში ან სხვა სკოლაში გადაყვანა, პედსაბჭოს სხდომაზე გამოძახება და მისი საკითხის განხილვა, უკიდურეს შემთხვევაში კი, სკოლიდან გარიცხვა. რაც შეეხება მოსწავლის ფიზიკურ დასჯას, რომელიც ძველ სკოლებში ხშირად გამოიყენებოდა, ჩვენი სკოლებიდან მთლიანად განდევნილია. ასევე დაუშვებელია მოსწავლის პიროვნების აბუჩად აგდება, მისი შეურაცხმყოფელი, თავმოყვარეობის შემლახავი,

---

[1] *ა. ს. მაკარენკო, პედაგოგიური პოემა, თბ., 1975, გვ. 191.*

ღირსების დამამცირებელი ლანძღვა-გინება, როგორიცაა: *„დებილო“, „ტყეში გაზრდილო“, „ვაი, შენს პატრონს“* და ა.შ.,რაც ხშირად ურთიერთშეხლა-შემოხლაში გადაიზრდება ხოლმე, რომელშიც რატომღაც მასწავლებელი მუდამ „მართალია“.

გასული საუკუნის 20-იან წლებში, ჩვენში და სხვაგანაც, ფართოდ იყო გავრცელებული **ჟან-ჟაკ რუსოს** *„თავისუფალი აღზრდის თეორია“,* რომელიც კრძალავდა მოსწავლეთა ყოველგვარ დასჯას. ამ თეორიის მომხრეთა აზრით, ნებისმიერი დასჯა ზრდის მონას, ბრმად მორჩილ პიროვნებას, ჩვენ კი ვზრდით აქტიურ, ინიციატივიან, შემოქმედ ადამიანს, რაც გამორიცხავს ყოველგვარ დასჯას. ამ შეხედულების წინააღმდეგ მკაცრად ილაშქრებდა **ა. მაკარენკო**. იგი ამტკიცებდა, დასჯა, მართალია, ზრდის მონას, მაგრამ დაუსჯელობა უფრო უარესია, იგი ზრდის ხულიგანსო. ამიტომ პედაგოგს უფლება არა აქვს, როცა ამას საჭიროება მოითხოვს, არ დასაჯოს დამნაშავე მოსწავლეო.

პედაგოგთა ერთი ნაწილი, განსაკუთრებით სკოლის დირექტორები და მშობლები, მოსწავლის არა თუ სკოლიდან გარიცხვის, არამედ კლასიდან გაძევების წინააღმდეგაც კი გამოდიან: ქუჩაში რომ უშვებ, იქნებ უარესი რამ ჩაიდინოს ან რაიმე ხიფათს წააწყდესო. *„ამგვარი „ლოგიკით“, — სამართლიანად დასძენს პროფ.* ***შ. მალაზონია,*** *— საბოლოოდ დავღუპავთ სკოლას“.* სამწუხაროდ, ზოგიერთებს დემოკრატია ანარქია ჰგონიათ და მოსწავლეს ყველაფრის უფლებას აძლევენ, რაც ვნებს სკოლას.

კიდევ უფრო დაუშვებლად მიაჩნიათ მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა, რადგან გარიცხული ახალგაზრდა, მათი აზრით, ცხოვრების სწორ გზას ასცდება, დანაშაულს ჩაიდენს და ციხეში აღმოჩნდება. ასეთებს უნდა შევაგნებინოთ, რომ სკოლა მცირეწლოვან დამნაშავეთა თავშესაფარი არ არის. როცა მასწავლებლები, კლასის ხელმძღვანელი და სკოლის დირექცია, მშობლებთან ერთად, ამოწურავენ დამნაშავე მოსწავლეზე ზემოქმედების ყველა საშუალებას და მის გამოსწორებას საშველი არ ადგება, მაშინ

ასეთი მოსწავლე სკოლიდან უნდა გაირიცხოს, რადგან ასის გაფუჭებას, როგორც ა. მაკარენკო აღნიშნავდა, ჯობია, ერთი გაფუჭდეს. გარდა ამისა, სკოლის დირექციის ასეთი გადაწყვეტილება სხვა უდისციპლინო მოსწავლეებისათვის კარგი გაკვეთილი იქნება.

დასჯა, როგორც აღზრდის მეთოდი, მხოლოდ მაშინ იძლევა სასურველ შედეგს, როცა მისი გამოყენებისას დაცული იქნება შემდეგი მოთხოვნები:

1. დასჯის მეთოდის გამოყენებისას უნდა იქნას გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი. მაგალითად, უმცროსკლასელების მიერ წესრიგის დარღვევის ძირითადი მიზეზი არის მათი ჭარბი ენერგია და სათანადო ნორმების უცოდინარობა, რაც მხედველობაში უნდა მიიღოს აღმზრდელმა და მათ მიმართ მხოლოდ შენიშვნით დაკმაყოფილდეს, რასაც ვერ ვიტყვით უფროსკლასელებზე, რომლებმაც ძალზე კარგად იციან, რა შედეგებიც მოყვება მათ მიერ ამა თუ იმ წესის დარღვევას და მაინც აშავებენ. ამიტომ ისინი აუცილებლად უნდა დაისაჯონ და თანაც მკაცრად.

ასაკობრივ თავისებურებებთან ერთად, აღმზრდელობით მუშაობაში საჭიროა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაც. ზედმეტად ემოციური და ნერვული აღსაზრდელის მიმართ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მხოლოდ შენიშვნითა და ახსნა-განმარტებით. ასევე, თუ ვიცით, რომ დასჯა უფრო გააბოროტებს ბავშვს და უარესად მოიქცევა, მაშინ იგი არ უნდა დავსაჯოთ. დასჯა თვითმიზნად არ უნდა გავიხადოთ.

2. სასჯელის ზომა უნდა შეეფარდებოდეს დანაშაულის ხასიათსა და ხარისხს. ამასთან, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ უნებლიეთ, შემთხვევით ჩადენილი დანაშაული და წინასწარ მოფიქრებული, განზრახ ჩადენილი მოქმედება.

3. მოსწავლე, რომელიც ერთი და იგივე დანაშაულს სჩადის განმეორებით ან სისტემატურად, უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს.

4. დამნაშავე მოსწავლეს აღმზრდელი უნდა სჯიდეს

არა ჯავრის ამოსაყრელად, არამედ მისი გამოსწორებისა და სწორ გზაზე დაყენების მიზნით. დამნაშავე მოსწავლე უნდა გრძნობდეს, რომ სამართლიანად დაისაჯა. ამავე აზრის უნდა იყვნენ მისი თანაკლასელებიც.

5. დაუშვებელია მოსწავლის დასჯა ცხელ გულზე, როცა აღელვებული ვართ. ამ შემთხვევაში, რაგინდ სწორი გადაწყვეტილება მივიღოთ, მოსწავლე ჩვენს მოქმედებას მაინც ჩათვლის უსამართლოდ, სამაგიეროს გადახდად.

6. ზოგჯერ შეიძლება მივმართოთ *„განვადებით დასჯასაც“*, რომელსაც ხშირად იყენებდა ა. მაკარენკო, მაგრამ დასჯის დიდი ხნით გადადებაც არაა სასურველი, რადგან იგი ასეთ შემთხვევაში თავის დანიშნულებას კარგავს და მიზანს ვერ აღწევს.

7. დასჯამ ბავშვს ფიზიკური ტანჯვა არ უნდა მიაყენოს, არამედ ზნეობრივად უნდა განაცდევინოს დაშვებული შეცდომა და სათანადო დასკვნა გააკეთებინოს.

ჩვენ განვიხილეთ აღზრდის ძირითადი მეთოდები. აქ განხილული მეთოდების გარდა, ზოგიერთი ავტორი სხვა მეთოდებსაც გვთავაზობს. მაგალითად, პედაგოგიკის სახელმძღვანელოში, რომლის მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი დ. ლორთქიფანიძე ბავშვთა ცხოვრების ორგანიზაციის მეთოდებად მიჩნეულია დღის რეჟიმი და „მოსწავლეთა ქცევის წესები“, მაგრამ ჩვენ მათ აქ არ ვეხებით, რადგან ისინი განხილული გვაქვს თემაში – „შეგნებული დისციპლინისა და ქცევის კულტურის აღზრდა“. გამოყოფენ სხვა მეთოდებსაც, როგორიცაა: თამაში, აღმზრდელობითი სიტუაციის შექმნა და სხვ.

ბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ არც ერთი მეთოდი, ხერხი თუ საშუალება არ მოგვცემს სასურველ შედეგს, თუ მათ გამოვიყენებთ სხვა მეთოდებისაგან იზოლირებულად, განკერძოებულად და არ გავითვალისწინებთ მოსწავლეთა ასაკობრივ, სქესობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს, მათი აღზრდილობის დონეს. ამასთან, როცა ერთი მეთოდით ვერ ვაღწევთ დასახულ მიზანს, უნდა მივმართოთ მეორეს, მესამეს და ასე შემდეგ მანამ, სანამ დასახულ მიზანს არ მივარწევთ.

თავი XIII

მოსწავლეთა კოლექტივი და მისი ჩამოყალიბების გზები და საშუალებანი

1. კოლექტივის არსი, მისი როლისა და დანიშნულების საკითხი პედაგოგიკაში

სიტყვა *„კოლექტივი“* წარმოსდგება ლათინური სიტ-ყვისაგან. collectivus, რაც ნიშნავს კრებითს და მიუთი-თებს იმ ადამიანთა ჯგუფზე, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთო საქმიანობით, საერთო მიზნებით, ინტერესე-ბით და ერთობლივად იბრძვიან მის მისაღწევად, განსა-ხორციელებლად.

კოლექტივი არის მოსწავლეთა მეგობრული სულის-კვეთებით აღზრდის საუკეთესო საშუალება. კარგ კოლექ-ტივში ბავშვებს შეუძლიათ გამოავლინონ და განავითარონ თავიანთი ინდივიდუალური შესაძლებლობანი. ასეთად მხო-ლოდ ის კოლექტივი ითვლება,რომელიც მოქმედებს ჰუმა-ნიზმის პრინციპით, თავის წევრებს აერთიანებს თანასწო-რობის, ძმობის, კეთილმოსურნეობისა და ურთიერთპატი-ვისცემის საფუძველზე. მხოლოდ ასეთ კოლექტივში და მისი მეშვეობით არის შესაძლებელი მოსწავლეებში ისეთი თვისებების განმტკიცება,როგორიცაა: საზოგადოებრივი მო-ვალეობის მაღალი შეგნება, დაკისრებული საქმისადმი პა-სუხისმგებლური დამოკიდებულება, ურთიერთდახმარება, გულისხმიერება, ყურადღებიანობა,მოხუცებულებზე და პა--ტარებზე ზრუნვა და სხვ.

კოლექტივისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლე-მა თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი მწვავე და აქტუალუ-რი პრობლემაა. მისი აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, მასობრივი კო-მუნიკაციის განვითარება,მოსახლეობის ზრდა იწვევს ადა--

მიანთა ურთიერთობის გაძლიერებასა და კოლექტიური კავშირების განმტკიცებას.

კარგი კოლექტივი ბავშვთა აღზრდის მძლავრი საშუალებაა. მაგრამ მასწავლებელს უნდა შეეძლოს ბავშვთა მტკიცე, ერთსულოვანი კოლექტივის ჩამოყალიბება, როგორც ამას ახერხებდა ა.მაკარენკო უფრო ძნელად აღსაზრდელ ბავშვებში. **ა. მაკარენკომ** შეიმუშავა კოლექტივში აღზრდის ფორმულა: *„აღზრდა კოლექტივში, კოლექტივისათვის და კოლექტივის მეშვეობით“,* რაც ნიშნავს სააღმზრდელო მუშაობას არა განცალკევებულ ინდივიდებთან, არამედ მოსწავლეთა ორგანიზაციულ კოლექტივში, სადაც თვით კოლექტივი იქნება მოსწავლეთა გარდაქმნის, მათი სრულყოფილ მოქალაქეებად ფორმირების მძლავრი საშუალება. ამრიგად, კოლექტივი მიზანიცაა და საშუალებაც. მტკიცე კოლექტივში წესრიგს ვერავინ დაარღვევს, დისციპლინას თვით კოლექტივის წევრები იცავენ. მაკარენკოს კოლონიაში კოლონისტების მსჯავრი ყველაზე დიდ სასჯელად ითვლებოდა. ასეთი ერთსულოვანი კოლექტივი წარმოადგენს მოსწავლეთა გარდაქმნის, მათი ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბების მძლავრ საშუალებას.

ვასილ სუხომლინსკიმ, ა.მაკარენკოსაგან განსხვავებით, ახლებურად დააყენა კოლექტივისა და პიროვნების ურთიერთობის საკითხი. **ა. მაკარენკო** კოლექტივის ინტერესებს პიროვნების ინტერესებზე მაღლა აყენებდა. ფორმულაში *„აღზრდა კოლექტივში, კოლექტივისათვის და კოლექტივის მეშვეობით“* იგი პიროვნებას ფაქტობრივად უგულებელყოფდა და მთელი ყურადღება გადაჰქონდა კოლექტივის აღზრდაზე, **ვ. სუხომლინსკიმ** კი აქცენტი გადაიტანა მებრძოლი, აქტიური პიროვნების ჩამოყალიბებაზე და გვიჩვენა კოლექტივსა და პიროვნებას შორის ორმხრივი დამოკიდებულება, დაასაბუთა არა მარტო კოლექტივის გავლენა პიროვნებაზე, არამედ პიროვნების გავლენაც კოლექტივზე. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ *„ნათლად გამოხატული პიროვნების გარეშე კოლექტივი არ არსებობს“.* ისევე როგორც კოლექტივი ახდენს გავლენას პიროვნებაზე, პიროვნებაც ზემოქმედებს კოლექტივზე. *„ადა-*

მიანი ბევრ რამეს იძენს კოლექტივში, – წერს იგი, – მაგრამ კოლექტივიც არ არსებობს, თუ არ არის მასში შემავალი ადამიანების მდიდარი სულიერი სამყარო“.[1]

ყოველდღიურ მეტყველებაში კოლექტივს ჯგუფის, გუნდის მნიშვნელობით ხმარობენ. სამეცნიერო ტერმინოლოგიით კი ყოველი ჯგუფი (თანაკლასელებისა თუ თანამშრომლებისა), თუნდაც მრავალრიცხოვანი, კოლექტივი არ არის. **ანტონ მაკარენკოს** თქმით, *„კოლექტივი პიროვნებათა მიზანსწრაფული კომპლექსია“.* ესე იგი, ეს არის ჯგუფი, რომელიც აქტიურად ილტვის საერთო მიზნისაკენ, საინტერესო პერსპექტივისაკენ, სანუკვარი ოცნებისაკენ, და ეს მიზანი, საერთო საზრუნავი ერთმანეთთან აახლოებს და აკავშირებს ჯგუფის წევრებს. რა თქმა უნდა, ერთსა და იმავე კლასში სწავლა, ერთ სამსახურში ყოფნა და ა.შ. ხელშემწყობი ფაქტორია კოლექტივის ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება გვყავდეს კლასი და იგი კოლექტივს არ წარმოადგენდეს, ისევე როგორც ამა თუ იმ დაწესებულების თანამშრომლები ყოველთვის არ ქმნიან ნამდვილ კოლექტივს. სანამ ყოველი მოსწავლე მხოლოდ თავისი (თუნდაც ყველაზე კეთილშობილური) მიზნებითა და მისწრაფებებით არის გატაცებული,სანამ ჯგუფის ყველა წევრი საერთო საფიქრალს არ მოუცავს, ეს ჯგუფი კოლექტივი არ არის. კოლექტივი საერთო მიზნისაკენ სწრაფვით, ერთი მიმართულებით მოძრაობით ხასიათდება. გამოჩენილი ფრანგი მწერლის **სენტ-ეკზიუპერის** აზრით, *„სიყვარული ნიშნავს არა ერთმანეთის ყურებას, არამედ ყურებას ერთად და ერთი მიმართულებით. ამხანაგები მხოლოდ ისინი არიან, რომელნიც ერთ ბაგირს ეჭიდებიან, საერთო ძალით ადიან მწვერვალზე და ამგვარად აღწევენ ურთიერთსიახლოვეს“.* [2]

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მიზანი, რომელიც ჯგუ-

---

[1] *Сухомлинский В. А. Воспитание коллективизма у школьников. М., 1956, с. 18.*

[2] *სენტ-ეკზიუპერი, ადამიანთა მიწა, თბ., „ნაკადული“, 1966, გვ. 117-118.*

ფის წევრებს აახლოებს და კოლექტივად აერთიანებს, საზოგადოებრივად მისაღები იყოს. საერთო მიზანსწრაფვას დანაშაულებრივი გაერთიანებებიც (მძარცველები, ქურდები, ყაჩაღები, რეციდივისტები) ავლენენ, მაგრამ მათ კოლექტივს არავინ უწოდებს. ეს ავაზაკთა ბანდა, ბრბოა.

პიროვნების განვითარებაში კოლექტივის როლის შესახებ მეცნიერთა შორის სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მეცნიერთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ ყოველი პიროვნება უნდა განთავისუფლდეს კოლექტივის გავლენისაგან, რადგან მასში იგი კარგავს თავის მეობას, ვერ ავლენს თავის სრულ შესაძლებლობებსო. მეორე ჯგუფის აზრით კი, პიროვნება კოლექტივში არამცთუ კარგავს თავისუფლებას, არამედ კოლექტივი ხელს უწყობს მისი ნიჭისა და უნარის გამოვლენასა და გაშლა-გაფურჩქვნას. მეცნიერთა ამ ჯგუფის აზრით, ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა.იგი უხილავი ძაფითაა დაკავშირებული სხვა ადამიანებთან. რომ არ ყოფილიყვნენ სხვა ადამიანები, ჩვენ ვერასოდეს გავიგებდით, რომ ვართ ადამიანები. ადამიანი ადამიანებით ცხოვრობს და სულდგმულობს. მათ გარეშე მას არსებობა არ შეუშლია. თვით რობინზონ კრუზოც კი არ იყო მარტო. მას გაუჩნდა ისეთი თანაშემწე და მეგობარი, როგორიც იყო პარასკევა და მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხა მან თავისი ცხოვრების მოწესრიგება – განმარტოებული კუნძულის ტყვეობიდან თავის დაღწევა.

ამრიგად, ბავშვი მხოლოდ ბავშვებთან უნდა იზრდებოდეს, ბავშვთა წრეში ტრიალებდეს, ბავშვთა კოლექტივის წევრი უნდა იყოს. აი, რას წერს ამის შესახებ აწ გარდაცვლილი ბათუმელი მწერალი **ნესტორ მალაზონია** თავის ნოველაში *„დედისერთა“:*

„თქვენ, რასაკვირველია, გინახავთ ხშირი ტყე: ხეები ამაყად, სწორი, აშოლტილი ტანით მიისწრაფვიან ცისკენ. აქ ისინი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, ერთმანეთს ეხმარებიან კიდეც, ერთიმეორის წახედვით მიიწევენ მაღლა. მაგრამ დააკვირდით, ტყის გარეთ, იქვე ახლოს რომ ხე იზრდება კენტად: უსწორმასწორო ტანი აქვს, რაღაც დახრილი და დაღრეკილი...

ასევეა კოლექტივის გარეთ აღზრდილი ადამიანიც, ცალკე აღზრდილი ბავშვიც. ოჯახი პირველი კოლექტივი, პირველი საზოგადოებაა ბავშვისათვის. რაც უფრო მეტბავშვიანია ოჯახი, მით უფრო კარგად იზრდება ბავშვი...

გახსოვდეთ,ხე ტყეში იზრდება სწორად, ადამიანი,ბავშვი – კოლექტივში". [1]

კოლექტივიზმი მაღალგანვითარებული, მაღალზნეობრივი ადამიანის თვისებაა. იგი უპირისპირდება ეგოიზმს, თავკერძობასა და ჭარბ პრეტენზიულობას და გულისხმობს ბუნებათანაზიარობას, თავმდაბლობას, საზოგადოებრივი ინტერესების პრიორიტეტის აღიარებას, მიდრეკილებას მეგობრობისადმი, უანგარო ურთიერთობისადმი.

წარმოების საბჭოური, სოციალისტური წესის შეცვლის შემდეგ, აღნიშნავს პროფ. შ. მალაზონია, პედაგოგებში შეიმჩნევა ნიჰილიზმი კოლექტივიზმისა და მოსწავლეთა კოლექტივის ორგანიზების საკითხისადმი, რაც დიდი შეცდომაა. კოლექტივიზმი (ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის), დასძენს იგი, უაღრესად კეთილშობილი თვისებაა. ეს პრინციპი სრულიადაც არ წარმოადგენს 1917 წლის ოქტომბრის მონაპოვარს. მას ხშირად მიმართავდნენ ქართველი განმანათლებლები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში შვეიცარიელმა პედაგოგმა ჰენრიხ პესტალოციმ მის მიერ შექმნილ ბავშვთა თავშესაფარში აღზრდა კოლექტიურ საწყისებზე მოაწყო დიდი ოჯახური გარემოს მსგავსად, სადაც კეთილმოსურნეობის, ურთიერთდახმარებისა და შრომითი საქმიანობის ატმოსფერო სუფევდა.

2. კოლექტივის ძირითადი ტიპები, მისი განვითარების ეტაპები (სტადიები) და ორგანიზაციის ფორმები.

აღსაზრდელებში კოლექტივისტური სულისკვეთების დანერგვის ყველაზე ნაღდი გზაა მოსწავლეთა კოლექტივის ჩამოყალიბება. ამიტომ ყოველი კლასის ხელმძღვანე-

---

[1] *ჟურნ. „ლიტ. აჭარა", 1961, №4, გვ.10-11.*

ლი უნდა ცდილობდეს მოსწავლეთა მტკიცე, ერთსულოვანი კოლექტივის ჩამოყალიბებას, რომელიც იქნება მისი დამხმარე აღმზრდელობით მუშაობაში. ასეთი კოლექტივი ხშირად თვითონ ასრულებს იმ ფუნქციებს,რომელიც კლასის ხელმძღვანელის ვალია.

მოსწავლეთა კოლექტივისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ნიშნები: *მიზანსწრაფვა, ორგანიზებულობა, დისციპლინა, წესრიგი, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა.*

დისციპლინის გარეშე წარმოუდგენელია სწავლა,შრომა და საერთოდ ყოველი სასარგებლო საქმიანობა. ამიტომ კოლექტივის მიერ დადგენილი კანონების, წესების, ქცევის ნორმების ზუსტი, შეგნებული შესრულება კოლექტივის აღზრდის საუკეთესო საშუალებაა.

დისციპლინასთან ორგანულად არის დაკავშირებული მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც კოლექტივის თითოეულ წევრში უნდა აღვზარდოთ. თუ ხელმძღვანელები, აქტივისტები არ გრძნობენ პასუხისმგებლობას დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის, ცხადია, საქმე წინ არ წავა და კოლექტივის ცხოვრებაში ფორმალიზმი დაისადგურებს.

კოლექტივის წინაშე მოვალეობის გრძნობის განვითარება ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში იწყება, მაგრამ მას ორგანიზებული ხასიათი სკოლაში ეძლევა.

სკოლაში იქმნება მოსწავლეთა ორი სახის კოლექტივი — *პირველადი და საერთო სასკოლო კოლექტივები.* მოსწავლეთა პირველადი კოლექტივის ორგანიზაციის ძირითადი ფორმაა კლასი, ერთნაირი ასაკისა და დაახლოებით თანაბარი მომზადების მოსწავლეთა მტკიცე შემადგენლობით, მოსწავლეთა აკადემიური, მხატვრული თვითმოქმედების, ტექნიკური, სპორტული, ფიზკულტურული წრეები და გუნდები. სკოლის საერთო კოლექტივს წარმოადგენს მოსწავლეთა მთელი შემადგენლობა სკოლაში.

ამოცანა ის არის, რომ სკოლაში არსებული მოსწავლეთა ეს ორგანიზაციული გაერთიანებანი მტკიცე და ერთსულოვან კოლექტივად ვაქციოთ. ამისათვის მას უნდა

წავუყენოთ განსაზღვრული მოთხოვნები. პირველ ხანებში ამ მოთხოვნების წამყენებლის როლში გვევლინება მხოლოდ მასწავლებელი, შემდეგ, კოლექტივის განვითარების კვალობაზე, მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფი და ბოლოს, კოლექტივის თითოეული წევრი.

კოლექტივის განვითარება პირობითად შეიძლება დაიყოს ოთხ პერიოდად (სტადიად).

კოლექტივის განვითარების ***პირველ სტადიაზე*** საზოგადოებრივი მოთხოვნების როლში გვევლინება მხოლოდ მასწავლებელი, კლასის ხელმძღვანელი. მისი თითოეული წევრი პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარ ქცევაზე. მათ ჯერ კიდევ არ შესწევთ უნარი წაუყენონ ერთმანეთს ესა თუ ის მოთხოვნა, მიუთითონ არასწორ მოქმედებაზე, ნაკლოვანებებზე. ამ ეტაპზე მასწავლებელმა არა მარტო უნდა დაუსახოს მოსწავლეებს მომავლის მიზნები, არამედ კიდევაც უნდა უჩვენოს მათ, თუ როგორ უნდა შეასრულონ ესა თუ ის მოქმედება, ესა თუ ის საქმე.

კოლექტივის განვითარების ***მეორე სტადიაზე*** (ეტაპზე) საზოგადოებრივი მოთხოვნების როლში გვევლინება არა მარტო მასწავლებელი, არამედ მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი, აქტივი. მაგრამ ამ ეტაპზე აქტივი ჯერ კიდევ სუსტია. ყოველ შემთხვევაში, მასწავლებელი უკვე თავს მარტო არ გრძნობს, მას მხარდამჭერები ჰყავს.

კოლექტივის განვითარების ***მესამე სტადიაზე*** მოთხოვნების წამყენებლის როლში გვევლინება მოსწავლეთა უმრავლესობა, რომელსაც ემორჩილება უმცირესობა. ამ ეტაპზე მოსწავლეებში თავს იჩენს თვითაღზრდა. ისინი ცდილობენ მხარი გაუსწორონ მოწინავეებს, რასაც ბიძგს აძლევს საერთო, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საქმითა და იდეით გატაცება. ბავშვებს ახარებს ის, რომ ისინი ტყუილა არ ცხოვრობენ ამქვეყნად, სარგებლობა მოაქვთ ქვეყნისათვის, ხალხისათვის.

კოლექტივის განვითარების ***მეოთხე სტადიაზე*** პიროვნებას ამა თუ იმ მოთხოვნას უყენებს მთელი კოლექტივი. ამ სტადიაზე კოლექტივის ყველა წევრს ძალუძს მიიღოს სწორი გადაწყვეტილება მაშინაც კი, როცა მას არავინ

უთვალთვალებს და დარწმუნებულია, რომ მის სასიკეთო საქმეს ვერავინ გაიგებს ვერც მისი ჩადენის მომენტში და ვერც შემდგომში. მაგრამ ამ სტადიაზე კოლექტივის აყვანა წარმოუდგენელია. მოსწავლეთა კოლექტივში, რომელშიც ირიცხება ოცი, ოცდაათი და უფრო მეტი წევრი, წესრიგისა და დისციპლინის დარღვევის მთლიანად აღმოფხვრა შეუძლებელია.

3. მიზანსწრაფვის, მოტივისა და ტრადიციის როლი კოლექტივის განვითარებაში

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყოველი აღმზრდელის, მასწავლებლის უპირველესი ვალია მოსწავლეთა მტკიცე, ერთსულოვანი კოლექტივის ჩამოყალიბება. რა არის ამისათვის საჭირო? უწინარეს ყოვლისა, ამისათვის საჭიროა ***მიზანსწრაფვა,*** კოლექტივის წინაშე საინტერესო და მიმზიდველი პერსპექტივების დასახვა, რომლებიც დააინტერესებს, გაიტაცებს კოლექტივის მთელ შემადგენლობას, დარაზმავს საერთო მიზნისათვის საბრძოლველად. კოლექტივი უნდა სულდგმულობდეს ხვალინდელი დღის სიხარულით, იგი ყოველთვის რაღაცისაკენ უნდა მიისწრაფოდეს. *„ყოველი, თუნდაც პატარა სიხარული, რომელიც კოლექტივს მოელის მომავალში,* - წერდა ა. მაკარენკო, - *ხდის მას უფრო მტკიცეს, მეგობრულს, მხნეს“.*[1] თუ კოლექტივმა შეასრულა მის წინაშე დასახული ამოცანა, მას სხვა ამოცანა უნდა დავუსახოთ. ამას ა. მაკარენკომ „პერსპექტიული ხაზების სისტემა“ უწოდა,რაც ფაქტობრივად წარმოადგენს ხვალინდელი დღის სიხარულს.

ა. მაკარენკო არჩევდა ახლო, საშუალო და შორეულ მიზნებს. მოსწავლისათვის ახლო მიზანი შეიძლება იყოს გაკვეთილების კარგად მომზადება,კინოში, თეატრში, ღღეობაზე თუ ფეხბურთის მატჩზე წასვლა და ა.შ. საშუალო მიზანი იქნება მომდევნო კლასში მაღალი აკადემიური წარმატებებით გადასვლა, რომელიმე ფიზკულტურულ შე-

---

[1] *Макаренко А. С. Соч. Т. 5, М., 1958, с. 78-79.*

ჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, საზაფხულო არდადეგების შინაარსიანად გატარება და სხვა. შორეული მიზანი კი ყოველთვის დაკავშირებულია პროფესიის დაუფლებასთან, ოჯახის შექმნასთან და საზოგადოების სასარგებლო წევრად გახდომასთან.

კოლექტივის წინაშე ერთდროულად უნდა დაისახოს როგორც ახლო, ისე საშუალო და შორეული მიზანი. პირველადი კოლექტივის წინაშე დასახული მიზანი თუ ამოცანა უნდა გამომდინარეობდეს საერთო სასკოლო კოლექტივის ინტერესებიდან, ხოლო სასკოლო კოლექტივის წინაშე დასახული ამოცანა — ქვეყნის ინტერესებიდან.

მოწინავე სკოლები მშვენივრად ახერხებენ მოსწავლეთა კოლექტივის დარაზმვას ისეთი მიზნებისა და ამოცანების გარშემო, რომლებიც დაკავშირებულია შრომასთან, სწავლასთან, სპორტულ ღონისძიებათა მომზადებასა და ჩატარებასთან, წრეობრივ და მასობრივ მუშაობასთან.

60-70-იან წლებში საქართველოს სკოლებში დიდი მუშაობა იყო გაშლილი მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა გამოსავლინებლად და მათი საგმირო საქმეების შესასწავლად. სკოლებში (და არა მარტო სკოლებში) აკეთებდნენ შინმოუსვლელთა სტენდებს, დგამდნენ ომის მონაწილეთა ბიუსტებს, აწყობდნენ ლაშქრობებს გმირთა ნაკვალევზე. წითელკვალმაძიებელთა დაუღალავი საქმიანობით აღმოჩენილ იქნა მრავალი შინმოუსვლელის საფლავი და დადგენილ იქნა მათი ვინაობა.

ბევრ სკოლაში ბავშვები სწავლობენ თავიანთი სოფლის თუ ქალაქის ისტორიას, აწყობენ გამოფენებს, ადგენენ ალბომებს და ა.შ.

მოსწავლეთა კოლექტივის წინაშე შეიძლება დაისახოს მრავალი სხვა ამოცანაც, როგორიცაა, მაგალითად, წესრიგის უზრუნველყოფა სკოლაში, გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანების აღმოფხვრა, სკოლის ეზოსა და კარ-მიდამოს გამწვანება-დასუფთავება, საიუბილეო თარიღების მომზადება-ჩატარება და სხვა.

მოსწავლეთა კოლექტივის წინაშე ამა თუ იმ მიზნის დასახვისას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მოქმე-

დების ***მოტივის*** განსაზღვრას, იმის გარკვევას, თუ რა ამოძრავებს, რა ასულდგმულებს კოლექტივის თითოეულ წევრს პირადი თუ საერთო მიზნისათვის ბრძოლაში. მაგრამ მოტივის დადგენა არც ისე ადვილია, რადგან ადამიანს თავისი მოქმედების მოტივი შუბლზე არ აწერია. ამიტომ მის მოქმედებას ვაფასებთ მხოლოდ შედეგით, სხვა გამოსავალი ჩვენ არ გაგვაჩნია.

ა. მაკარენკო კოლექტივის ცხოვრებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ***ტრადიციებს.*** მისი აზრით, *„არაფერი ისე არ ამჭიდროებს კოლექტივს, როგორც ტრადიცია“.* მაკარენკოს გამოცდილება ამ საქმეში წარმატებით ინერგება სკოლებსა და საბავშვო სააღმზრდელო დაწესებულებებში.

სასკოლო ტრადიცია ეწოდება ისეთ წესებს, რომლებიც შემუშავებულია გარკვეული წლების განმავლობაში, მტკიცედ არის დამკვიდრებული მოსწავლეთა ცხოვრებაში და რომელთაც ყველა ასრულებს ნებაყოფლობით, როგორც ჩვეულებას, ადათს, წესს. თუ რომელიმე მოსწავლე ამბობს: „ჩვენთან ასეა მიღებული“, – ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე საქმე გვაქვს გარკვეულ ტრადიციასთან.

*„ტრადიციები, – წერდა **ვ. სუხომლინსკი,** – ჩვენი აზრით, შეიძლება შევადაროთ საგანძურს, სადაც ყოველ თაობას შეაქვს თავისი პატარა ძვირფასი წვლილი“.*[1]

პავლიშის საშუალო სკოლაში, რომელსაც სათავეში ედგა ვ.სუხომლინსკი, ტარდებოდა ზღაპრების, ფრინველების, ყვავილების დღესასწაულები. საზეიმო ვითარებაში აღინიშნებოდა პირველი და უკანასკნელი ზარის დღე, ეწყობოდა სხვადასხვა სახის შეხვედრები და მუსიკა-ლური დილა-საღამოები. ტრადიციად იყო ქცეული, მაგალითად, მეცხრე და მეათეკლასელ მოსწავლეთა შეხვედრები იმ მასწავლებლებთან, რომლებიც მათ ასწავლიდნენ I-IV და V-VII კლასებში. ეს შეხვედრები ხშირად გადაიზრდებოდა თავისუფალ, გულახდილ საუბარში და ხელს უწყობდა მოსწავლეებში სკოლის პედაგოგიური კოლექტივის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებას.

---

[1] Сухомлинский В.А. Мудрая власть коллектива. - М.,1975,с.11

ზოგიერთ სკოლაში ტრადიციადაა ქცეული მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, ოლიმპიადები, სპარტაკიადები, პირველკლასელთა საზეიმო კურთხევა და სხვ.

ბევრ სკოლაში ყოველწლიურად დიდი ზეიმი იმართება კურსდამთავრებულთა გამოშვებასთან დაკავშირებით, ეწყობა საინტერესო საღამოები და ექსკურსიები. გარდა ამისა, სკოლებში დროგამოშვებით იკრიბებიან სკოლის ყოფილი მოსწავლეები, ხვდებიან მასწავლებლებს, აბარებენ მათ ანგარიშს თავიანთი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რაც ძალზე კარგი და მისაბაძი ტრადიციაა.

მოსწავლეთა ერთიანი კოლექტივის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს ასევე ***თაობათა მემკვიდრეობა,*** ანუ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა ურთიერთკავშირი. იქ, სადაც უმცროსკლასელთა და უფროსკლასელთა ცხოვრება და საქმიანობა ერთად არ მიმდინარეობს, სადაც პატარები განცალკევებული არიან, თაობათა მემკვიდრეობაზე ლაპარაკი ზედმეტია. სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა ერთიან კოლექტივად გაერთიანება მათი მეგობრული სულისკვეთებით აღზრდის საუკეთესო საშუალებაა. იგი აკავშვირებს ბავშვებს, ხელს უწყობს საკუთარი გამოცდილების შეძენას და შემდგომში ამ გამოცდილების მომავალ თაობაზე გადაცემას. გარდა ამისა, ასეთი გაერთიანება საერთო სასკოლო კოლექტივის შექმნის წინაპირობაა. ასეთ კოლექტივში მოსწავლე თავს გრძნობს არა მარტო როგორც აღსაზრდელი, არამედ როგორც სხვა ადამიანების ბედზე პასუხისმგებელი.

ვ. სუხომლინსკის დირექტორობის დროს, პავლიშის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეები მეორე ცვლაში მეცადინეობდნენ. მათ შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც სოფლის განაპირას ცხოვრობდნენ. პატარებს, როცა მშობლები არ მოდიოდნენ მათ წასაყვანად, უფროსკლასელებს ანდობდნენ და ისინი აცილებდნენ სახლამდის. ზოგჯერ, დიდ თოვლში და წვიმაში, საჭირო იყო პირველკლასელების ხელში აყვანა, მაგრამ ეს სრულებითაც არ აშინებდათ უფროსკლასელებს,პირიქით, სიამოვნებას გვრიდა მათ, რომ სიკეთესა და სიხარულს ანიჭებდნენ ადამია-

ნებს. პატარები თავს უშიშრად გრძნობდნენ, რადგან მათ უფროსი ამხანაგები იცავდნენ.

მოსწავლეთა პირველადი კოლექტივების ერთ მთლიან კოლექტივად გაერთიანებისათვის საჭიროა მათი საერთო სასკოლო საქმიანობაში ჩაბმა, როგორიცაა: მოსწავლეთა სპარტაკიადები, ოლიმპიადები თუ სხვა, სადაც თითოეული მოსწავლე იცავს არა კლასის, არამედ მთელი სკოლის ინტერესებს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უფრო მეტ წარმატებას აღმზრდელები პირველადი კოლექტივების ორგანიზებაში აღწევენ, მტკიცე საერთო-სასკოლო კოლექტივი კი, ა. მაკარენკოს სწორი შენიშვნით, ძალზე იშვიათია, ცალკეული კლასები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან მხოლოდ სკოლის შენობით.

4. აქტივისა და ხელმძღვანელი ორგანოების როლი კოლექტივის ჩამოყალიბებაში

კოლექტივის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მისი ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობაზე და აქტივზე. სკოლაში **აქტივისტები** არიან მაღალი შეგნების მქონე, ინიციატივიანი, საქმიანი მოსწავლეები, რომლებიც კოლექტივის ყველა წევრის პატივისცემით, სიყვარულითა და ნდობით სარგებლობენ. აქტივის შემადგენლობიდან გამოყოფენ კლასის მამასახლისს.

მამასახლისი და აქტივისტები გვერდში უდგანან კლასის ხელმძღვანელს მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებაში. ამიტომ მოსწავლე აქტივისტების გამოვლე-ნა და მათი მუშაობაში ჩაბმა მტკიცე, ერთსულოვანი კოლექტივის შექმნის საწინდარია.

მოსწავლეთა აქტივს პედაგოგიური ხელმძღვანელობა ესაჭიროება. მოსწავლეთა კოლექტივზე ხელმძღვანელობას ახორციელებენ მასწავლებელთა მხრიდან კლასის ხელმძღვანელი, ხოლო მოსწავლეთა მხრიდან მამასახლისი.

კოლექტივის ხელმძღვანელმა თავის ირგვლივ უნდა შემოიკრიბოს აქტივი, რომელიც, თავის მხრივ, გაიყოლიებს და აამოქმედებს კოლექტივის მთელ შემადგენლობას.

კოლექტივის ხელმძღვანელი უნდა იყოს კარგი ორგანიზატორი. მას უნდა შეეძლოს დარაზმოს და გაიყოლიოს მოსწავლეთა მასები. ხელმძღვანელისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს პრინციპულობა, მიუდგომლობა, გულისხმიერება. ეს მოთხოვნები სავალდებულოა როგორც კლასის ხელმძღვანელისათვის, ისე მამასახლისისათვის. ზოგჯერ სწავლაში წარჩინებულ მოსწავლესაც კი არ გააჩნია ორგანიზატორული მუშაობის უნარი და ყველა ის თვისება, რომელიც ხელმძღვანელისათვისაა საჭირო. ამიტომ ხელმძღვანელი მუშაკის არჩევას დიდი დაფიქრება და საქმის აწონ-დაწონა სჭირდება.

კოლექტივის ორგანიზაციისა და აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტივის წევრთა შორის სწორი ურთიერთობის დამყარებას და კოლექტივში ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. ***კოლექტივის წევრთა შორის ურთიერთობა***, როგორც მაკარენკო აღნიშნავს, არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ და მხოლოდ მეგობრობით და ურთიერთსიყვარულით. რა თქმა უნდა, მეგობრობა და სიყვარული კოლექტივში დიდ როლს ასრულებს, მაგრამ აქ მაინც მთავარია პასუხისმგებლური დამოკიდებულება, ე.ი. ისეთი დამოკიდებულება, როცა კოლექტივის ყოველი წევრი პასუხისმგებლობის გრძნობით არის გამსჭვალული კოლექტივისადმი. ამისათვის საჭიროა კოლექტივში გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ა. მაკარენკოს აღმზრდელის როლში გამოყავდა თვით აღსაზრდელთა კოლექტივი. თუ კოლექტივი რაიმეს დაეშავებდა, ამისათვის პასუხს თხოვდა, უპირველეს ყოვლისა, იმ რაზმს, რომელშიც კოლონისტი ირიცხებოდა. ამის შესახებ პირველ შენიშვნას რაზმის მეთაური იღებდა, შემდეგ კი — რაზმი. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, პასუხს მოითხოვდა კოლონისტისაგან და აიძულებდა დაეცვა წესრიგი და დისციპლინა.

ა. მაკარენკოს პრაქტიკაში კოლექტივის მსჯავრი ყველაზე დიდ სასჯელად ითვლებოდა. კოლონისტი მზად იყო მიეღო ყოველგვარი სასჯელი ჩადენილი დანაშაულისათვის, ოღონდ თავიდან აეცილებინა კოლექტივის საერთო

კრების წინაშე გამოსვლა ახსნა-განმარტებით. პიროვნების ზემოქმედების ამ ფორმას ა. მაკარენკომ *„პარალელური პედაგოგიური ზეგავლენა“* უწოდა.

ამ გამოცდილების პირდაპირ გადმოტანა საჯარო სკოლაში მიზანშეწონილი არაა, მაგრამ „პარალელური პედაგოგიური ზეგავლენის“ პრინციპიდან ბევრი რამ შეიძლება შემოქმედებითად იქნას გამოყენებული სკოლაშიც. მაგალითად, თუ სკოლაში ადგილი აქვს დისციპლინის დარღვევას, ამისათვის პასუხი უნდა მოეთხოვოს არა მარტო ამ საქმეში უშუალო დამნაშავე პირს, არამედ კლასის მამასახლისსა და მორიგე მოსწავლეს. დამნაშავე მოსწავლეს კი პასუხი უნდა მოსთხოვოს მისმა კოლექტივმა.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სკოლის პედაგოგიური კოლექტივი არ ჩაერიოს მოსწავლეთა კოლექტივის მუშაობაში და თვითდინებას მიანდოს ეს საქმე. სკოლის კოლექტივი ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უნდა აკლებდნენ მოსწავლეებს, მაგრამ ეს ხელმძღვანელობა და დახმარება არ უნდა იქცეს ზედმეტ მეურვეობად და არ უნდა შეზღუდოს მოსწავლეთა კოლექტივის უფლებები, ინიციატივა და თაოსნობა.

5. პედაგოგიური კოლექტივის როლი მოსწავლეთა კოლექტივის ჩამოყალიბებაში

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა მტკიცე კოლექტივის შექმნა შეუძლებელია მანამ, სანამ არაა შექმნილი მასწავლებელთა კოლექტივი და სკოლაში არაა დანერგილი მოსწავლეებისადმი ერთიანი მოთხოვნა.

სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა საგრძნობლად შეფერხდება, თუ რომელიმე მასწავლებელი განკერძოებულად მუშაობს და დისონანსი შეაქვს სკოლის საერთო საქმიანობაში. სწორედ ამას გვასწავლიდა **ა. მაკარენკო**, როცა აღნიშნავდა: *„სავსებით ცხადია, რომ შეუძლებელია აღვზარდოთ მოსწავლეთა კოლექტივი, თუ თხუთმეტი მასწავლებლისაგან თითოეული ზრდის ისე, რო-*

გორც მას ესმის ან როგორც მას სურს“.[1] ან კიდევ, მისივე *„...ჯობია გყავდეს ხუთი სუსტი აღმზრდელი კარგ კოლექტივად შეკრული, საერთო აზრით, საერთო პრინციპებით, ერთი სტილით მოქმედი, რომლებიც იმუშავებენ ერთად, ვიდრე ათი კარგი აღმზრდელი, რომლებიც მუშაობენ ცალ-ცალკე, ვისაც როგორ სურს“.* [2]

აქედან გამომდინარე, დაასკვნის **მაკარენკო,** *„არც ერთ აღმზრდელს არა აქვს უფლება იმოქმედოს განმარტოებით, საკუთარი რისკით და საკუთარი პასუხისმგებლობით. უნდა არსებობდეს აღმზრდელთა კოლექტივი, და იქ, სადაც აღმზრდელები გაერთიანებულნი არ არიან კოლექტივში და კოლექტივს არა აქვს მუშაობის ერთიანი გეგმა, ერთიანი სტილი, ერთიანი მიდგომა ბავშვებისადმი, იქ შეუძლებელია რაიმე აღმზრდელობითი პროცესი არსებობდეს“.* [3]

ამიტომ კლასის ხელმძღვანელი მჭიდრო კონტაქტში უნდა იყოს მის კლასში შემავალ ყველა მასწავლებელთან და მათთან ერთად იმუშავებდეს საერთო მოთხოვნებს.

მოსწავლეთა და მასწავლებელთა კოლექტივის სიმტკიცე დიდად არის დამოკიდებული ასევე სკოლის დირექტორზე, მის ორგანიზატორულ ნიჭზე, განათლებაზე, პედაგოგიურ ტაქტზე. თუ სკოლის დირექტორი უნდობლობით ეპყრობა მასწავლებლებს და ყველა საკითხს დამოუკიდებლად წყვეტს, სკოლაში იქმნება არაჯანსაღი ატმოსფერო, დაძაბული ვითარება. მასწავლებლები მტრობენ და დასცინიან ერთმანეთს, დირექტორი კი ვერ ახერხებს კოლექტივთან საერთო ენის გამონახვას, უპირისპირდება მას, რის შედეგადაც ეცემა საერთო სასკოლო დისციპლინა და უარესდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

მართალია, დირექტორი ერთმმართველია სკოლაში, მაგრამ იგი არასოდეს არ უნდა დაუპირისპირდეს სკოლის კოლექტივს და პედკოლექტივთან შეუთანხმებლად არ უნდა გადაწყვიტოს ესა თუ ის საკითხი.

---

1 *Макаренко А. С. Соч., т. 5, М., 1958, с. 231.*

2 Там же, с. 179-180.

3 *ა. მაკარენკო, რჩეული პედ. თხზ., თბ., 1846, გვ. 140.*

თავი XIV

მოსწავლეთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება

1. მსოფლმხედველობის არსი

მსოფლმხედველობა არის ადამიანის შეხედულებათა მწყობრი სისტემა გარემომცველი სინამდვილის, ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ პიროვნებას გარკვეული მსოფლმხედველობა გააჩნია,რითაც ერთი ადამიანი მეორისაგან განსხვავდება. როცა მსოფლმხედველობის ფორმირებაზე ვსაუბრობთ, ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს მეცნიერული მსოფლმხედველობა, რომელიც მოიცავს გარე სამყაროს შესახებ ადამიანის ფილოსოფიურ, პოლიტიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, რელიგიურ და სხვა წარმოდგენებსა და შეხედულებებს.

მსოფლმხედველობის საფუძველია მტკიცე მეცნიერული ცოდნა, რადგან ცოდნის გარეშე შეუძლებელია ადამიანმა იქონიოს რაიმე წარმოდგენა ან საკუთარი აზრი ბუნებისა თუ საზოგადოების ამა თუ იმ მოვლენაზე. მსოფლმხედველობა შეხედულებების, რწმენისა და იდეალების განზოგადებული სისტემაა, რომელშიც ადამიანი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას მის გარშემო არსებულ ბუნებრივი და სოციალური გარემოსადმი. ამიტომ მსოფლმხედველობის ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების ღრმად და საფუძვლიანად დაუფლებას. რაც უფრო შეგნებულად და გააზრებულად აქვს მოსწავლეს შეძენილი ცოდნა, მით უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება მასში მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის. *„ცოდნა მხოლოდ მაშინ არის ცოდნა, — წერდა* ***ლ. ტოლსტოი,*** *— რო-*

ცა იგი მოპოვებულია გონების დაძაბვით და არა მეხსიერების წყალობით“. „არის აზრები, რომლებიც წვალებით უნდა შობო. სწორედ ეს აზრები არის ყველაზე ღირებული“, — გვასწავლის ცნობილი პოლონელი პედაგოგი, პედიატრი და საბავშვო მწერალი **იანუშ კორჩაკი** (ჰენრიკ გოლდშმიდტი). ეს ბრძნული შეგონება კარგად უნდა გაისიგრძეგანოს ყოველმა მოსწავლემ, რათა არ შეეჩვიოს ზეპირობას, უაზრო ზუთხვას. სწავლების პროცესში მოსწავლემ უნდა იფიქროს, იაზროვნოს, იმსჯელოს და გაერკვეს მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაზეპირებული ცოდნა არ არის ნამდვილი ცოდნა. ზოგიერთმა მოსწავლემ ძალზე კარგად იცის „ქცევის წესები“, მაგრამ არ ასრულებს. ეს იმიტომ, რომ ცოდნა მას არ შესისხლხორცებია, რწმენად არ გადაქცევია და მისი მოქმედების სახელმძღვანელოდ, სწორი გზის მაჩვენებლად არ ქცეულა. ცოდნა გადადის აქტიურ მოქმედებაში მხოლოდ მაშინ, როცა იგი შეგნებულად შეთვისებული და რწმენად ქცეულია. რწმენა ღრმად გააზრებული ცოდნის შედეგია. იგი შეგნების უმაღლესი საფეხური, მწვერვალია, რომელიც ძირითადად ადამიანის მოქმედებაში, საქმისადმი დამოკიდებულებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში ვლინდება. იგი პიროვნების მტკიცე და ურყევი მოქმედების საფუძველია. ცოდნის რწმენად გადაქცევა რთული და ხანგრძლივი პროცესია. დიდი რუსი პუბლიცისტის **დ. ი. პისარევის** (1840-1868) მოხდენილი გამოთქმით, რწმენას ვერც წიგნის მაღაზიაში იყიდი და ვერც კეთილი მეზობლისაგან ისესხებ. იგი საკუთარ გონებაში უნდა „გამოჭედო“, გადახარშო.

რწმენის გარეშე ადამიანები არიან ინერტულნი, უნებისყოფონი, უბრალო შემსრულებელ-ავტომატები, არასაიმედონი როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე პირად ურთიერთობაში. რწმენა კი ადამიანს ხდის ინიციატივიანს, შემოქმედს, შეუპოვარს ბრძოლაში ყოველივე იმის დასაძლევად, რაც ხელს უშლის მიზნის მიღწევაში.

თუ ცოდნა რწმენადაა ქცეული, მისი უარყოფა ძნელია, მას ვერსად გაექცევი. რწმენა ადამიანის მუდმივი

თანმდევია. რწმენისათვის ადამიანები თავს სწირავენ, იტანენ ყოველგვარ გასაჭირს, ტანჯვა-წამებას, მაგრამ მას არ ღალატობენ. ამის ნათელი მაგალითია ნ. გ. ჩერნიშევსკის ცხოვრება. თავის რწმენაზე უარის თქმას ჩერნიშევსკიმ 20 წელზე მეტი საპყრობილეებსა და გადასახლებებში ტანჯვა-წამება ამჯობინა, რადგან იგი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რისთვისაც იბრძოდა. ჯორდანო ბრუნოს საკმარისი იყო ეთქვა, რომ დედამიწა არ ბრუნავსო და იგი სიცოცხლეს შეინარჩუნებდა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა და არც შეეძლო გაეკეთებინა. აი, როგორ აგვიწერს ყოველივე ამას პოეტი **გიორგი გიგაური** ლექსში *„რწმენა“:*

— უარყავიო! —
ურჩევდნენ ურჩად, —
რომ დედამიწა
ბრუნავს მარადჟამს,
ჯორდანო ბრუნო უძლეველ ბურჯად
დგას სანუკვარი აზრის დარაჯად.
— ნამდვილად ბრუნავს, —
ამბობს და ღელავს, —
კვლავაც იბრუნებს,
ნუ მედავებით!..
მერმე შესწირა სიცოცხლე რწმენას
და დაიმკვიდრა მზე უკვდავების.

მსოფლმხედველობას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც იგი განსაზღვრავს ადამიანის დამოკიდებულებას ობიექტური რეალობისადმი, გარე სინამდვილისადმი, რომლის შეცნობის სურვილი ნებისმიერი ნორმალური ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებაა. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ძირითადად ორი გზით ხორციელდება: უშუალოდ — შრომა-საქმიანობაში პრაქტიკული მონაწილეობით და გაშუალებულად — სწავლა-აღზრდის პროცესში საზოგადოების მიერ თავისი არსებობის მანძილზე შემუშავებული გარკვეული იდეების დაუფლებით.

მსოფლმხედველობა ეხმარება ადამიანს არა მარტო წარსულისა და აწმყოს შეცნობაში, არამედ მომავლის

ობიექტურ განჭვრეტასა და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა-გაუმჯობესებაშიც. მაგრამ მოზარდებში მსოფლმხედველობის ფორმირება ერთბაშად არ ხდება. იგი ძირითადად სკოლაში მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით ყალიბდება. სკოლა მსოფლმხედველობის წრთობის მთავარი ბრძმედია, სადაც მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება ძირითადად სწავლების პროცესში ხდება. ნებისმიერი საგნის მასწავლებელმა მთელი სასწავლო პროცესი უნდა ააგოს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შეცნობის თვალთახედვით. *„სწავლება მიმართული უნდა იყოს არა მარტო ცოდნის მარაგის გამდიდრებისაკენ, — წერდა* ***კ. უშინსკი,*** *— არამედ მეცნიერული მსოფლმხედველობის გამომუშავებისაკენაც“.* [1]

3. მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების გზები და საშუალებანი

მოსწავლეებში მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას საფუძველი ეყრება დაწყებით კლასებში, სადაც უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეები, ელემენტარულ განათლებასთან ერთად და მასთან კავშირში, იძენენ ცოდნას გარე სამყაროს შესახებ. აქ მიღებული ცოდნა წარმოადგენს გზას და ხიდს სისტემატური კურსის შემდგომი შესწავლისათვის. დაწყებითი განათლების საფუძველზე უფროსკლასელებს უფართოვდებათ ცოდნა ბუნებასა და საზოგადოებაზე, რაც მათში მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საუკეთესო საშუალებაა. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ჩვენს სკოლებში არ ისწავლება არც ერთი საგანი, რომელიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსწავლეებში მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოსაყალიბებლად. ამ დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, რომ სკოლაში მოსული ბავშვის გონება დაუწერელი, „სუფთა დაფა“ არაა,რომელზეც ყველა-

[1] *კ. დ. უშინსკი, თხზ., ტ. 1, თბ., 1948, გვ. 28.*

ფრის დაწერა შეიძლება. მართალია, იგი მსოფლმხედველობით შეიარაღებული არ მოდის სკოლაში, მაგრამ მას გარკვეული წარმოდგენა აქვს ცხოვრებასა და გარემომცველ სამყაროზე, რაც ხელს უწყობს შემდგომში მისი მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.სწავლების პროცესში ხდება მოსწავლეთა გონების გამდიდრება არა მარტო მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნით, არამედ აგრეთვე მათი არასწორი წარმოდგენებისა და შეხედულებების დაძლევაც.

ყოველ მოსწავლეს გააჩნია გარკვეული შეხედულება რეალურ სინამდვილეზე – ბუნებაზე,საზოგადოებაზე, ცხოვრებაზე და ა.შ., რაც შეიძლება სრულიად განსხვავდებოდეს იმ შეხედულებებისაგან, რომელთა ფორმირებასაც მათში მასწავლებელი გეგმავს. აქედან გამომდინარე, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესში შეიძლება თავი იჩინოს გარკვეულმა წინააღმდეგობებმა, მაგალითად, წინააღმდეგობამ გარეგან ზემოქმედებასა და მოსწავლის უკვე ჩამოყალიბებულ შინაგან პოზიციას შორის, წინააღმდეგობამ პედაგოგის მიერ მისდამი წაყენებულ მოთხოვნებსა და მათი შესრულების რეალურ შესაძლებლობას შორის და სხვა.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებმა ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე იციან, რომ წელიწადში ოთხი დროა და ბუნება იცვლება წლის დროთა მიხედვით, მაგრამ მათ არ გააჩნიათ სწორი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა იწვევს ბუნების ასეთ ცვალებადობას. ყოველივე ამას ისინი იგებენ უფროს კლასებში ცალკეული საგნების სწავლების პროცესში. ასე დროთა განმავლობაში ისინი მიდიან კანონებისა და დასკვნების შეცნობამდე.

დაწყებით კლასებში აღზრდისა და განათლების საფუძველს წარმოადგენს მშობლიური ენა. ამ საგნის სწავლების პროცესში მოსწავლეები იძენენ ელემენტარულ ცოდნას ადამიანთა ცხოვრებისა და დანიშნულების შესახებ. ბუნებისმცოდნეობის გაკვეთილებზე ისინი ეცნობიან ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას და მათ ურთიერთკავშირს. ამავე საგნისა და მაღალ კლასებში გეოგრაფიის სწავლე-

ბის პროცესში მოსწავლეები იგებენ, რომ მცენარეთა ზრდა-განვითარება დამოკიდებულია ნიადაგის, ჰავის, მზისა და წყლის საერთო მოქმედებაზე, რომ მელიორაცია ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის აღმავლობას და ა.შ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერების გარდა, მოსწავლეთა მსოფლმხედველობის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებენ ასევე ჰუმანიტარული მეცნიერებანი. ამ საგნების სწავლების პროცესში მოსწავლეები ეუფლებიან საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს, რაც ხელს უწყობს მათში მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას და პიროვნების ადგილისა და როლის სწორ გაგებას საზოგადოებაში.

აღნიშნულ მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლება ეხმარება მოსწავლეებს ცხოვრების არსის გარკვევასა და ადამიანის დანიშნულების გაცნობიერებაში, რომ არ შეიძლება იყო საზოგადოების წევრი და არაფერს აკეთებდე მისი კეთილდღეობისათვის. ტყუილა როდი ამბობდა **ნ. ბარათაშვილი:** *„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“.*

მოსწავლეებში მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირების მძლავრ საშუალებას წარმოადგენს ასევე *მხატვრული ლიტერატურა.* იგი უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე საგანი, ერთდროულად ზემოქმედებს ადამიანის როგორც გონებაზე, ისე გრძნობათა ორგანოებზე და ღრმა კვალს ტოვებს ადამიანის ცნობიერებაში. ამაზე მიუთითებდა **მაქსიმ გორკი,** როცა წერდა: *„მეტად დიდია მხატვრული ლიტერატურის აღმზრდელობითი მნიშვნელობა, რადგან იგი ერთდროულად და ერთნაირად მოქმედებს აზროვნებაზე და გრძნობებზე“.*[1]

სხვა საგნებისაგან განსხვავებით, მხატვრული ლიტერატურა ნათელ წარმოდგენას იძლევა ადამიანის ყოფაცხოვრებისა და მისი საზოგადოებასთან ურთიერთობის შესახებ.

---

[1] *მ. გორკი, თხზ. კრებული, ტ. 25, 1953, გვ. 484.*

ჰუმანიტარული საგნებიდან მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს *ისტორია.* ამ საგნის სწავლების პროცესში მოსწავლეები ეცნობიან საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს და ხალხთა მასების როლს ისტორიაში. მასში მოსწავლეები იგებენ ასევე უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლების შესახებ, რაც მათ უღრმავებს სამშობლოს სიყვარულისა და მშობელი ხალხისადმი ერთგულების გრძნობას. ისტორიის სწავლებამ მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა უნდა შეუქმნას ცალკეულ საზოგადოებრივ ფორმაციებზე. ამისათვის წარსული ცხოვრების უბრალო გადაცემა როდია საკმარისი, არამედ საჭიროა მოსწავლეებს ვუჩვენოთ საზოგადოების ისტორიული განვითარების დიალექტიკური გზა.

ფიზიკური გეოგრაფიისა და ასტრონომიის შესწავლა ნათელ წარმოდგენას უქმნის მოსწავლეებს დედამიწისა და სამყაროს წარმოშობაზე და ბუნებრივ მოვლენებზე, როგორიცაა: მზისა და მთვარის დაბნელება, მიწისძვრა, წყალდი-დობა და სხვ. ამავე საგნების სწავლების პროცესში მოსწავლეები იგებენ, რომ დედამიწა ოვალურია და ბრუნავს მზის გარშემო.ამის დასამტკიცებლად მასწავლებელს შეუძლია მოიშველიოს ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენისა და მაგელანის დედამიწის გარშემო მოგზაურობის მაგალითები.

ასტრონომიის სწავლების პროცესში მოსწავლეები როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად რწმუნდებიან იმაში, რომ ადამიანთა ინტელექტუალურ შესაძლებლობებს საზღვარი არა აქვს. ამის მაგალითებია მზისა და მთვარის დაბნელების წინასწარი განჭვრეტა, ქვეყნის ამა თუ იმ ტერიტორიაზე მათი დაწყებისა და დამთავრების დროის ზუსტი განსაზღვრა, კოსმოსის ათვისება და სხვა.

ფიზიკისა და ქიმიის სწავლების პროცესში მოსწავლეები ეცნობიან სამყაროს მატერიალურობას და მისი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს, მოვლენათა საყოველთაო კავშირებსა და ურთიერთდამოკიდებულებას მატერიის მოძრაობის სხვადასხვა ფორმებთან, ნივთიერებათა

სახეცვლილებებსა და სხვა. აღნიშნული ცოდნის საფუძველზე ისინი რწმუნდებიან, რომ *„ბუნებაში ყველაფერი იცვლება, მაგრამ არაფერი იკარგება“* (ოვდიუსი), ადგილი აქვს მხოლოდ ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას, განახლებასა და განვითარებას, სადაც მუდამ რაღაც ძველდება, დრომოჭმული ხდება, ინგრევა და მის ადგილას ახალი ჩნდება და ვითარდება.

მოსწავლეთა მსოფლმხედველობის ფორმირებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება საზოგადოებათმცოდნეობას. იგი მოწოდებულია დაასრულოს მოსწავლეთა საზოგადოებრივ-ისტორიული განათლება, განავითაროს და განაზოგადოს მთელი ის ცოდნა, რასაც ისინი ისტორიისა და სხვა საგნების სწავლების პროცესში ღებულობენ. გარდა ამისა, ზოგადოების განვითარების კანონების შეცნობა აღუძრავს მოსწავლეებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის სურვილს.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში საგანთაშორისი კავშირების დამყარებას. კერძოდ, ეს აუცილებელია მაშინ, როცა სხვადასხვა სასწავლო კურსში განიხილება მსოფლმხედველობის ფორმირების ერთიანი პრობლემის ცალკეული ასპექტები. მაგალითად, ბუნების განვითარების კანონზომიერებანი განიხილება ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვა საგნების სწავლების პროცესში. საზოგადოების განვითარების კანონებსა და ადამიანის როლს საზოგადოებაში მოსწავლეები ეცნობიან ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, ლიტერატურის, ეკონომიკური გეოგრაფიის და სხვა საგნების სწავლების პროცესში.

მოსწავლეებში მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ასევე მათი *შრომით საქმიანობაში ჩაბმა,* რომლის დროსაც ისინი თეორიულ ცოდნას გამოიყენებენ პრაქტიკაში (მაგალითად, სასკოლო მიწის ნაკვეთზე ახალი ჯიშის მცენარეთა გამოყვანა, სასკოლო სახელოსნოში სკოლისათვის დგამ-ავეჯის დამზადება და სხვა).

ამ საქმეში წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული ასევე კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობი-

თი მუშაობა, როგორიცაა: წრეობრივი მუშაობა, საუბრები, ლექცია-მოხსენებები, ექსკურსიები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, კულტურულ-მასობრივი თუ სპორტული ღონისძიებანი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეებში მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება შეუძლია მხოლოდ იმ მასწავლებელს, ვინც თავად არის ამ მსოფლმხედველობით შეიარაღებული. გარდა ამისა, იგი უნდა იყოს თავისი საგნისა და მისი სწავლების მეთოდიკის საუკეთესო მცოდნე და ავტორიტეტული პიროვნება. მას უნდა შეეძლოს თითოეული აღსაზრდელის სრულყოფილად შეცნობა და მათი თავისებურებების გათვალისწინება სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს იგი მოსწავლეებზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენას და დასახული მიზნის მიღწევას

თავი XV

ზნეობრივი აღზრდა

1. ზნეობის, ანუ მორალის ცნება

აღზრდის საერთო სისტემაში ზნეობრივ აღზრდას მთავარი ადგილი უჭირავს. იგი პიროვნების ფორმირების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

ი. ა. კომენსკი ანტიკური ხანის დიდი მოაზროვნის, პლატონის სიტყვების მოშველიებით დასძენდა: „ადამიანი არის ყველაზე უფრო მშვიდი და ყველაზე უფრო ღვთაებრივი სულდგმული, თუ იგი მოშინაურებულია ჭეშმარიტი აღზრდით; და თუ მას არ მიუღია აღზრდა, ან ყალბი აღზრდა მიიღო, მაშინ ის არის ყველაზე უფრო ველური იმ ცხოველთა შორის, რომლებსაც დედამიწა წარმოშობს“.[1]

ადამიანის ამ „მოშინაურებაში” გადამწყვეტ როლს ზნეობრივი აღზრდა ასრულებს. იგი პიროვნების აღზრდის ქვაკუთხედია.

ზნეობრივ აღზრდას დიდი ყურადღება ექცეოდა ყველა დროსა და ეპოქაში. მისი როლი კიდევ უფრო გაიზარდა თანამედროვე პირობებში და განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში,სადაც ძმა ძმას არ ინდობს,შვილი — მამას და მოკეთე — მოკეთეს;სადაც მკვლელობა, ქურდობა, ძარცვა-გლეჯა, ნარკომანია, სქესობრივი თავაშვებულობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ეხლა გავარკვიოთ რა არის ზნეობა, ანუ მორალი? რა იგულისხმება ზნეობრივ აღზდაში?

ზნეობა ადამიანის სულიერი კულტურის ნაწილია. სულიერი კულტურის ცნებაში, ჩვეულებრივ, გულისხმობენ მეცნიერებას, ხელოვნებას,რელიგიას, ზნეობას,სამართალს,

---

1 ი. ა. კომენსკი, დიდი დიდაქტიკა, თბ., 1949, გვ.64.

პოლიტიკას და სხვ. მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში მათ „საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებს" უწოდებენ.

„ზნეობა" წარმოსდგება სიტყვიდან „ზნე". ზნეობის ლათინური სინონიმია „მორალი", რაც ასევე „ზნეს" ნიშნავს. იგივე ითქმის ზნეობის ბერძნულ სინონიმზე „ეთიკაზე", რაც ისტორიულად აღნიშნავდა „ცხოვრების წესს", „კანონს", „ნორმას", „ჩვევას", „ადათს" და ა.შ .[1]

ზნეობა გვიჩვენებს ადამიანის დამოკიდებულებას სხვა ადამიანისადმი, კოლექტივისადმი, საზოგადოებისადმი. ეს დამოკიდებულება შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც. როცა ადამიანი თანაუგრძნობს და ეხმარება სხვა ადამიანს, ვამბობთ, რომ მას „კარგი ზნეობა აქვს" ან, მოკლედ, „ზნეობრივიაო", ხოლო როცა იგი სხვა ადამიანს ავიწროებს, ჯაბნის, აბუჩად იგდებს, მაშინ ვამბობთ, რომ მას „ცუდი ზნეობა აქვს" ან „უზნეოა". ე.ი. კარგი ქცევაც ზნეობრივ სფეროში განიხილება და ცუდიც. ერთს „ზნეობრივი" ჰქვია, მეორეს — „უზნეო". კარგი და ცუდი ქცევები აღინიშნება აგრეთვე სიკეთისა და ბოროტების ცნებებით.[2]

სიკეთე არის ადმიანის შინაგანი, სულიერი მოთხოვნილება კეთილი საქმის კეთებისა,რაც ადამიანებისადმი ზრუნვაში, თანაგრძნობასა და დახმარებაში გამოიხატება, ხოლო ბოროტება — მისდამი უდიერ, არაადამიანურ დამოკიდებულებაში.

ზნეობა, ანუ მორალი არის საზოგადოების ისტორიული განვითარების მანძილზე ჩამოყალიბებული ქცევის ნორმების, წესებისა და პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებენ, არეგულირებენ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას საზოგადოებაში. ეს წესები და ნორმები საზოგადოებაში ჩამოყალიბდა უხსოვარი დროიდან, ჯერ კიდევ მაშინ, როცა არ არსებობდა არც რელიგია და არც სახელმწიფო, რადგან საზოგადოებას ზნეობის გარეშე არ-

---

[1] *გ. ბანძელაძე, რა არის ზნეობა, თბ., „ცოდნა", 1979, გვ. 6.*
[2] *იქვე, გვ. 7.*

ასებობა არ შეუძლია. „ეს ზნეობრივი ნორმები და წესები სწავლებისა და აღზრდის პროცესში უნდა იქნეს შეძენილი. ისინი მაშინ გახდებიან ადამიანისა და საზოგადოების მომწესრიგებელი, როცა პიროვნების რწმენად, ქცევის მოტივად იქცევიან“.[1]

დროთა განმავლობაში მორალის ცნება გაღრმავდა და გაფართოვდა. დღეს იგი გამოხატსავს არა მარტო ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას, არამედ ადამიანის ბუნებისადმი დამოკიდებულებასაც. თანამედროვე პირობებში, როცა ეკოლოგიური პრობლემა სასიცოცხლო მნიშვნელობად იქცა, მორალის, ზნეობის ასეთი გაგება სავსებით გამართლებულია. მართლაც, ბუნებისადმი, ჩვენი ფლორისა და ფაუნისადმი უდიერი დამოკიდებულება ადამიანის უზნეობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ამიტომ ასეთი ადამიანი უზნეოდ უნდა იქნეს მიჩნეული. [2]

ზნეობა გადაეცემა თაობიდან თაობას და საზოგადოების ისტორიული განვითარების კვალობაზე იხვეწება და უფრო სრულყოფილი ხდება. *„...ქვეყნიერებაზე, — წერდა* ***ი. გოგებაშვილი,*** *— არ იკარგება არა მარტო ნივთიერება, არამედ ზნეობრივი ენერგიაც... და ამდიდრებენ ქვეყანას ზნეობრივი თანხით, რომელიც ბევრად უკეთესია ქონებრივს თანხაზედ”.* [3]

თითოეული ადამიანი, ითვისებს რა საზოგადოების ზნეობას, იწყებს თავისი ქცევის რეგულირებას და სხვისი ქცევის შეფასებას.

მორალური, ანუ ზნეობრივი ნორმები ისტორიული ხასიათისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთი ფორმაციიდან მეორეზე გადასვლისას იცვლებიან. არ არსებობს მუდმივი, მარადიული მორალური ნორმები, რომლებიც მისაღები იქნება ადამიანებისათვის ნებისმიერ საზოგადოებრივ ფორმაციაში. ის, რაც მორალურია ერთ ფორმაციაში, მეო-

---

[1] *პ. ჯანელიძე, მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდა, თბ., 1979, გვ. 3.*

[2] *ალ. გობრონიძე, პედაგოგიკა, ბათუმი, 1996, გვ. 241.*

[3] *ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 2, თბ, 1955, გვ. 202.*

რე ფორმაციაში შეიძლება ამორალურად იქცეს. მაგალითად, პირველყოფილი თემური წყობილობის დროს ადამიანები თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ, თემის ქონება ყველას საკუთრება იყო, არ იყვნენ მდიდრები და ღარიბები, მჩაგვრელები და ჩაგრულები, რადგან საზოგადოება არ იყო დაყოფილი კლასებად, რაც პირველად მონათმფლობელური წყობილების დროს მოხდა. აქ გაბატონებულ კლასებს წარმოადგენდნენ მონათმფლობელები, ჩაგრულ კლასს კი — მონები. მონათმფლობელს შეეძლო მონის გაყიდვა, გასაჩუქრება და მოკლაც კი. ყოველივე ეს მორალურ ნორმად ითვლებოდა.

ფეოდალურ წყობილებაში გაბატონებულ კლასს წარმოადგენდნენ ფეოდალები, ხოლო ჩაგრულს — ყმა გლეხები, მაგრამ ფეოდალს უფლება არ ჰქონდა ყმის ყიდვა-გაყიდვისა, მით უმეტეს, მისი მოკვლისა.

ასე იცვლება ზნეობრივი ნორმები ერთი საზოგადოებრივი ფორმაციიდან მეორეზე გადასვლისას, მაგრამ მათ ცვლილებებს ადგილი აქვს თვით ერთსა და იმავე საზოგადოებრივ ფორმაციაშიც კი. მაგალითად, პირველყოფილი თემური წყობილების განვითარების პირველ საფეხურზე მიღებული იყო მრავალცოლიანობა (პოლიგამია), ანუ ქალვაჟს შორის თავისუფალი სქესობრივი ურთიერთობა, რაც არ ეწინაღმდეგებოდა იმ დროს მიღებულ ზნეობრივ ნორმებს, მაგრამ მოგვიანებით ამავე ფორმაციაში პოლიგამია შეცვალა ჯერ ჯგუფურმა ქორწინებამ, შემდეგ კი მონოგამიამ (ერთცოლიანობამ) და მრავალცოლიანობა და სქესობრივი თავისუფლება უზნეო საქციელად იქნა მიჩნეული.

დროთა განმავლობაში შეიცვალა ადამიანთა დამოკიდებულება ასევე სწავლისადმი, შრომისადმი, ქალისადმი და სხვ. ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებული კლასის წარმომადგენლები — რაინდები, გრაფები და ჰერცოგები — წერა-კითხვის უცოდინარები იყვნენ, კაპიტალისტურ წყობილებაში კი სწავლა-განათლება მისაწვდომი იყო მხოლოდ გაბატონებული კლასების წარმომადგენელთა შვილებისათვის.

მონათმფლობელური და ფეოდალური წყობილების დროს

გაბატონებულ კლასებში ფიზიკური შრომა სასირცხვილო საქმედ ითვლებოდა. იგი განკუთვნილი იყო მხოლოდ მონებისა და ყმა გლეხებისათვის. ასე შეიცვალა შეხედულება ქალის როლისა და დანიშნულების შესახებაც. დღეს ქალს იგივე უფლებები გააჩნია, რაც მამაკაცს.

ზნეობა და სამართალი. ზნეობრივი ნორმები მჭიდროდაა დაკავშირებული სამართლებრივ ნორმებთან, რადგან ორივეს ამოცანა ერთი და იგივეა – ადამიანთა ურთიერთობის მოწესრიგება, დარეგულირება საზოგადოებაში. ამაში გამოიხატება მათი მსგავსება, მაგრამ მათ შორის არის განსხვავებაც. კერძოდ, ეს განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ სამართლებრივ ნორმებს სავალდებუ-ლო ხასიათი აქვს, მათი დარღვევისათვის ადამიანი კანონით ისჯება, ზნეობრივი ნორმების შეუსრულებლობისათვის კი მხოლოდ საზოგადოების გაკიცხვას იმსახურებს. მაგალითად, თუ ადამიანმა სამსახურში დააგვიანა, ან არასაპატიო მიზეზით გააცდინა, ის შესაბამისი კანონის ძალით დაისჯება, როგორიცაა, მაგალითად, ხელფასის დაქვითვა, სამსახურიდან დათხოვნა და ა.შ., ხოლო თუ მან პაემანზე დააგვიანდა, მაშინ იგი მომლოდინესაგან მხოლოდ საყვედურს დაიმსახურებს და ამით დამთავრდება ყველაფერი.

ამრიგად, სამართლებრივი, იურიდიული ნორმები დასჯის შიშზეა დამყარებული, ზნეობრივი ნორმები კი – „საკუთარ შინაგან დისციპლინაზე“ (ნ. დუმბაძე), სინდისზე.

ზნეობრივი ნორმები ერთგვარი დაუწერელი კანონია, რომელსაც ადამიანები ნებაყოფლობით ასრულებენ. ამას მათი ზნეობრივი შეგნება კარნახობს. რაც უფრო ამაღლდება ადამიანთა შეგნების დონე და განმტკიცდება მათი შინაგანი სანქცია – სინდისი, მით უფრო ნაკლები იქნება სამართლისა და კანონის გამოყენების საჭიროება. კომუნისტები გვარწმუნებდნენ, რომ კომუნიზმის დროს საზოგადოების წევრთა შორის ურთიერთობა მთლიანად ზნეობას დაეკისრებოდა და სამართალი, პოლიცია, პროკურატურა და ციხეები არ იქნებოდა, წვრილმან „ექცესებს” კი საზოგადოება მოაგვარებდა, მაგრამ ამის დამტკიცება მათ ვერ შეძლეს.

2. ზნეობრივი აღზრდის ამოცანები

ზნეობრივმა აღზრდამ უნდა გადაწყვიტოს, ძირითადად, სამი ამოცანა: ზნეობრივი შეგნებისა და რწმენის აღზრდა, ზნეობრივი გრძნობების აღზრდა და ზნეობრივი ქცევის ჩვევების ჩამოყალიბება.

1. ***ზნეობრივი შეგნებისა და რწმენის აღზრდა.*** როგორც ზემოთ დავინახეთ, იმისათვის, რომ ადამიანები ზნეობრივად იქცეოდნენ, საჭიროა მათი ზნეობრივი შეგნების ამაღლება, ე. ი. იმის ცოდნა, თუ რა არის ზნეობა და რას მოითხოვს იგი ადამიანისაგან. რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი **ნ. ა. დობროლიუბოვი** წერდა: *„დანაშაულობათა და უზნეო ქცევათა უმეტესი ნაწილი ხდება უვიცობის, საგნებზე საღი შეხედულებების უქონლობის გამო... ადამიანთა დიდი ნაწილი დანაშაულს სჩადის იმიტომ, რომ არაფერზე, კაცმა რომ თქვას, არა აქვს გარკვეული წარმოდგენა და მერყეობს სიკეთესა და ბოროტებას შორის".* [1]

ამრიგად, ადამიანს ზნეობრივი ნორმების დაცვა რომ მოვთხოვოთ, მან უნდა იცოდეს, როგორია ეს ნორმები და რას მოითხოვენ ისინი პიროვნებისაგან. ამისათვის კი საჭიროა ადამიანებში ზნეობრივი შეგნების ამაღლება, რაც გულისხმობს საზოგადოებაში მიღებული და ტრდიციად ქცეული ზნეობრივი ნორმების ცოდნას, ანუ იმის ცოდნას, თუ რა არის მორალი და რას ავალებს იგი პიროვნებას, მაგრამ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საგანი „ეთიკა" — მეცნიერება მორალის შესახებ, არ ისწავლება. ამიტომ საჭიროა მოსწავლეებთან სპეციალური მუშაობა. საამისოდ უნდა გამოვიყენოთ საუბრები, ლექცია-მოხსენებები, დისკუსიები, მოწინავე ადამიანებთან შეხვედრები და სხვა. სკოლის, სოფლის, ქალაქის ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული მაგალითების მოშველიებით მოსწავლეები უნდა გავარკვიოთ სიკეთესა და ბოროტებაში, ისეთ ცნებებში, როგორიცაა: ყურადღება, გულისხმიერება, თანაგრძნობა, მოვალეობა, პასუხისმგებლობა, პატიოსნება, სიმამაცე და

---

[1] *Чернышевский Н. Г., Добролюбов Н. А. Избр. пед. высказывания, М., 1949, с.192.*

ა. შ. მაგრამ, როგორც აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, ეს არაა საკმარისი, რადგან ზნეობრივი ნორმების ცოდნა ყოველთვის არ იძლევა იმის გარანტიას, რომ იგი აუცილებლად იქნება პრაქტიკაში გამოყენებული. *„ცოდნა მხოლოდ მაშინ არის ცოდნა, – წერდა ლ. ტოლსტოი, – როცა იგი მოპოვებულია გონების დაძაბვით და არა მეხსიერების წყალობით".* ამრიგად, დაზეპირებული ცოდნა არ არის ნამდვილი ცოდნა. მაგალითად, მოსწავლემ ძალიან კარგად იცის, რომ გაკვეთილზე ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ მაინც ჩურჩულებს და მასწავლებელს არ უსმენს; იცის, უფროსებს უნდა დაუჯეროს, მაგრამ არ უჯერებს; იცის, მოხუცებულს ადგილი უნდა დაუთმოს საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მაგრამ არ უთმობს და ა.შ. ასე ხდება იმიტომ, რომ ცოდნა მას არ შესისხლხორცებია, მისი მოქმედების სახელმძღვანელოდ არ ქცეულა, რადგან იგი მას შეგნებულად არ შეუთვისებია. ცოდნა აქტიურ მოქმედებაში გადადის მხოლოდ მაშინ, როცა იგი შეგნებულად შეთვისებული, ღრმად გააზრებული და რწმენად ქცეულია, რწმენა კი შეგნების უმაღლესი საფეხურია. ცოდნისა და რწმენის გაიგივება არ შეიძლება. მათ შორის დიდი განსხვავებაა. ყოველი რწმენა ცოდნაა, მაგრამ ყოველი ცოდნა რწმენა არ არის. ცოდნა რწმენის საფუძველია, რომელიც პიროვნების მოქმედებით, პრაქტიკით საბუთდება. *„რწმენა და ცოდნა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტად, – წერდა* ***ნ. დობროლიუბოვი,*** *– როცა მან შეაღწია ადამიანში, შეერწყა მის გრძნობასა და ნებისყოფას, არსებობს მასში შეუგნებლად, როცა იგი სრულიად არ ფიქრობს მასზე".* [1]

რწმენა ადამიანს ხდის ინიციატივიანს,შემოქმედს,შეუპოვარს ბრძოლაში ყოველივე იმის დასაძლევად, რაც ხელს უშლის მას მიზნის მიღწევაში.

ადამიანებში რწმენის გამომუშავება მათში კაცურკაცობის ფორმირების საწინდარია. თუ ცოდნა რწმენადაა

---

[1] *ნ. დობროლიუბოვი, რჩეული, ფილოსოფიური თხზ., ტ. 2, მ. 1964, გვ. 250 (რუსულ ენაზე).*

ქცეული, მისი უარყოფა არ შეიძლება, მას ვერსად გაექ-
ცევი. საკმარისი იყო ჯორდანო ბრუნოს ეთქვა, რომ დე-
დამიწა არ ბრუნავსო, ან ზოია კოსმოდემიანსკაიას დაეკ-
მაყოფილებინა ფაშისტების თხოვნა — გაეცა ამხანაგები
და ისინი სიცოცხლეს შეინარჩუნებდნენ, მაგრამ მათ ეს
არ გააკეთეს,რადგან ღრმად სწამდათ ის, რისთვისაც თავს
სწირავდნენ.

რწმენისადმი ერთგულების საუკეთესო მაგალითი გვი-
ჩვენა ქეთევან დედოფალმა. შაჰ-აბასს ცდა არ დაუკლია
თავის რჯულზე მისი მოქცევისათვის. თუ იგი გამაჰმადი-
ანდებოდა, შაჰი მას ცოლად შეირთავდა და ოქრო-ვერც-
ხლით აავსებდა, უარის შემთხვევაში კი ტანჯვა-წამებაში
ამოხდებოდა სული. მიუხედავად ამისა, სარწმუნოების შე-
ცვლას ქეთევანმა სიკვდილი ამჯობინა, რითაც თავისი
რწმენისადმი შესაშური ერთგულება, სიმტკიცე და თავდა-
დება გვიჩვენა.

მოსწავლეთა ცოდნის რწმენად გადაქცევა მხოლოდ
შეგნებული, გააზრებული და კარგად გაცნობიერებული
სწავლებით ხდება, როცა სწავლება და აღზრდა ორგანი-
ზებულად და მიზანმიმართულად წარიმართება. გარდა ამი-
სა, ცოდნის სისტემატიურად გამოყენება შრომა-საქმიანო-
ბაში,სწავლების მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან, პრაქტი-
კასთან ცოდნის რწმენად გადაქცევის საუკეთესო საშუა-
ლებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი ცოდნა ჩაკ-
ვდება და უშედეგო, ფორმალური გახდება.

ნამდვილი რწმენა გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ
არა მარტო გესმოდეს და იცოდე, არამედ იბრძოდე ცხოვ-
რებაში მისი გატარებისათვის, უკან არ დაიხიო სიძნელე-
თა წინაშე. თითოეულმა ადამიანმა ობიექტურად უნდა შე-
აფასოს საზოგადოებრივი ვითარება და მოიქცეს ისე, რო-
გორც ამას საკუთარი სინდისი უკარნახებს.

ამ მიმართულებით მოსწავლეებთან მუშაობისას მხედ-
ველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს აგრეთვე ის ფაქტი, რომ
საკმარისი არ არის, მოსწავლე თვითონ იყოს წესიერი,
შრომისმოყვარე. ამასთან ერთად, იგი უნდა იყოს ყოველ-
გვარი უყაირათობის, დაუდევრობისა და ბოროტების წინა-

აღმდეგ მებრძოლი. ზნეობრივი აღზრდის ამოცანა მარტო ბოროტების წინააღმდეგ იმუნიტეტის შემუშავება კი არ არის, არამედ მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის თვისებების აღზრდაცაა. ეს კარგად ესმოდა **ვ. სუხომლინსკის.** *ყველაზე დიდ მანკიერებად ადამიანში მას გულგრილობა მიაჩნდა. „საცა გულგრილობაა, იქ არ არის ნამდვილი პიროვნება,"* — *ამბობდა იგი და მასწავლებლებს მოუწოდებდა, აღეზარდათ თავიანთი მოსწავლეები უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანებად. „ჩემს საყვარელ მოსწავლეებად მიმაჩნია არა გამგონი და უსიტყვონი, რომლებიც მზად არიან ყველაფერს დაეთანხმონ და ყველაფერი შეასრულონ, — წერდა იგი, — არამედ ჟინიანები, ნებისყოფიანები, მოუსვენრები, ზოგჯერ ოინბაზები და ცელქები, მაგრამ ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ მეამბოხენი, რომლებიც მზად არიან, თავი გასწირონ, მაგრამ დაიცვან, მათი პიროვნებისაგან განუყოფელი პრინციპები".*[1]

ადამიანი, რომელიც არაფერს აშავებს, მაგრამ არც სასიკეთო საქმეს აკეთებს და მისი საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვით ამოიწურება, ზნეობრივ პიროვნებად არ ჩაითვლება. ჯერ კიდევ ჭაბუკი აკაკი წერეთელი წერდა, რომ ადამიანი, რომელიც მხოლოდ თავისი თავისთვის ზრუნავს, ბევრად არ განირჩევა პირუტყვისაგან. მისი კაცური კაცობა იმ დღიდან იწყება, როცა იგი სხვათა ჭირისა და ლხინის მოზიარე ხდება.

ეს აზრი კარგად გამოხატა **ილია ჭავჭავაძემ** მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!" ლუარსაბი ევედრება ღმერთს, შვილი მისცეს: *„წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მამიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს, — რაზედ ვარისხებ ღმერთსა?"* - კითხულობს იგი. დიდი ილია კი ღმერთის პირით პასუხობს: *„მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით — რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია, — ესეც კარგია: უარარაობას ეგ სჯობია. მაგრამ ეხლა ეს*

---

[1] *Сухомлинский В. А. Труд души. – Избр. произведения, т. 5, Киев, 1980, с. 634.*

უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა,ის კი გიქნია?” [1] შენ მხოლოდ საკუთარ კუჭზე ზრუნავდი. ეს იყო შენი მთავარი საზრუნავი და სადარდებელიო, მიანიშნა თავისი პასუხით ილია ჭავჭავაძემ ლუარსაბს.

ამრიგად, ადამიანი, რომელიც ბოროტებას არ სჩადის, მაგრამ არც ებრძვის მას, ზნეობრივ პიროვნებად არ ჩაითვლება, რადგან ნამდვილი ზნეობრიობა მხოლოდ მოქმედებაში, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლასა და სიკეთის დამკვიდრებაშია. ამიტომაც არიგებდა **ვ. სუხომლინსკი** თავის ვაჟიშვილს: *„ადამიანი რწმენის გარეშე ჩვარი არარაობაა. რაკი დარწმუნებული ხარ, რომ შენს თვალწინ ბოროტება ხდება, – დაე, შენი გული ყვიროდეს ამაზე. იბრძოლე ბოროტების წინააღმდეგ, იბრძოლე ჭეშმარიტების გამარჯვებისათვის”.* [2]

ზოგჯერ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს რწმენა, მაგრამ ამ რწმენის შესაბამისად არ მოქმედებდეს. ეს ხდება მაშინ, როცა მას არ ჰყოფნის ნებისყოფა, არ შესწევს უნარი – მოიქცეს მისთვის ცნობილი ზნეობრივი ნორმების შესაბამისად. ამიტომ, ზნეობრივი შეგნებისა და რწმენის შემუშავებასთან ერთად, საჭიროა მოსწავლეებში ნებისყოფისა და ხასიათის აღზრდაც.

ადამიანის მორალური სახისა და რწმენის შეფასებისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, საით არის იგი მიმართული – ბოროტებისა თუ სიკეთის დამკვიდრებისაკენ. თუ პიროვნების რწმენა საზიანოა საზოგადოები სათვის, მაშინ თვით პიროვნებაც უზნეო გამოდის, რადგან მას შეგნებულად მოაქვს ზიანი საზოგადოებისათვის. ნაცისტებიც მოქმედებდნენ რწმენით, მაგრამ ამ რწმენამ კაცობრიობა ლამის კატასტროფის წინაშე დააყენა.

აღზრდა პროცესია, მოძრაობაა, მაგრამ მოძრაობა ყოველთვის პროგრესული არ არის. ერთ შემთხვევში იგი აღმავალი გზით მიდის, სხვა შემთხვევაში კი – დაღმავალით. ხშირად ერთი და იგივე ქცევა სხვადასხვა ფსიქო-

---

[1] *ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ.1, თბ., 1977, გვ. 394.*

[2] *ვ.სუხონლინსკი, წერილები ვაჟიშვილს, ბათუმი, 1996, გვ.9.*

ლოგიური ბუნებისაა, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოტივით სრულდება იგი. ამიტომ საჭიროა, პირველ ყოვლისა, გაირკვეს პიროვნების ქცევის მოტივი, მისი აქტივობის მიზეზი. მაგრამ ამის გარკვევა ძალზედ ძნელია, რადგან ქცევის მიზეზი შუბლზე არავის აწერია. ამიტომ იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ მოქმედების შედეგით.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სიცოცხლე აქტიურობაა. მოზარდს, რომელშიც სიცოცხლე დიდი ძალით ჩქეფს, არ შეუძლია უმოძრაოდ დარჩეს და ცხოვრების გარკვეულ გზას არ დაადგეს. მაგრამ ის გზები, რომელთაც იგი თავისთავად, დამოუკიდებლად ირჩევს და მიჰყვება, ყოველთვის მწვერვალისაკენ არ მიდის, ყოველთვის მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის არაა. ამიტომ აღმზრდელმა მოზარდი იმ გზით უნდა წაიყვანოს, რომელიც მასში მაღალზნეობრივი თვისებების გამომუშავებას უზრუნველყოფს.

2. *ზნეობრივი გრძნობების აღზრდა.* როგორც ზემოთ აღინიშნა, ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი ამოცანაა ასევე ზნეობრივი გრძნობების აღზრდა, რაც „მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნით" (ი. გოგებაშვილი). ზნეობრივი გრძნობა სხვისი სიკეთის, კეთილი საქციელის ჩადენის შინაგანი მოთხოვნილებაა. იგი მჟღავნდება მოქმედებასა და შეფასებაში. ზნეობრივი პიროვნება არა მარტო მოქმედებს ქვეყნად სიკეთის დამკვიდრებისათვის, არამედ კიდევაც შეაფასებს ამ მოქმედებას. *„ზნეობრივი გრძნობის ამ ფუნქციას სინდისი ეწოდება".* [1]

რწმენისა და გრძნობის შეფასებისას პირველობა რწმენას ეკუთნის, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. ხშირად გძნობასა და რწმენა-გონებას შორის ჭიდილია. ამ ჭიდილში ხან ერთი იმარჯვებს და ხან მეორე.

ასეთივე ჭიდილია თვით გრძნობებს შორისაც, რადგან ძველი გრძნობები დიდხანს განაგრძობენ არსებობისათვის ბრძოლას, იმის შემდეგაც კი, როცა პიროვნებამ შეიცნო

---

[1] *გ. ბანძელაძე, ეთიკა, თბ., 1969, გვ. 300.*

მათი უვარგისობა.

ადამიანში შინაგანი გრძნობების ბრძოლა კარგად არის გადმოცემული მ. შოლოხოვის რომანში *„ვატეხილი ყამირი"* (კონდრატე მაიდანიკოვი), კ. ლორთქიფანიძის *„კოლხეთის ცისკარში"* (მექი ვაშაკიძე), ლ. ქიაჩელის *„გვადი ბიგვაში"* (გვადი) და სხვა.

ზნეობრივ გრძნობათა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს მარტივ გრძნობებს, როგორიცაა: გულკეთილობა, სიხარული, სიამოვნება, სირცხვილი, აღშფოთება, გულისწყრომა და სხვა. მოზარდებს საკმაოდ განვითარებული აქვთ ეს გრძნობები, მაგრამ ისინი სხვადასხვაგვარად გამოხატავენ მათ. სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები თავიანთ გრძნობებს გამოხატავენ გულუბრყვილოდ, დაუფარავად. საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის მოზარდები კი გრძნობათა გამოვლინებაში უფრო თავშეკავებულები არიან და ხშირად ფარავენ მათ. ამავე დროს, ასაკით უფროსნი გრძნობათა გამოვლენის მეტი ინტენსივობით ხასიათდებიან. ისინი უფრო ძლიერ განიცდიან აღიარებას ან შეურაცხყოფას, ვიდრე უმცროსკლასელები. ამ ფაქტს ანგარიში უნდა გაუწიოს ყოველმა აღმზრდელმა.

მარტივი გრძნობები ბავშვს უჩნდება, უწინარეს ყოვლისა, დედის მიმართ. ზნეობრივი აღზრდის სწორად წარმართვის შემთხვევაში, ეს მარტივი გრძნობები საფუძვლად ედება ისეთ მაღალ გრძნობებს როგორიცაა: ჰუმანიზმი, კეთილშობილება, ამხანაგობა, მეგობრობა და სხვ. მაგრამ, პიროვნებისათვის ზნეობრივი გრძნობების მარტო ცოდნა როდია საკმარისი, ამასთან ერთად, მას უნდა შეეძლოს, საჭიროების შემთხვევაში, ამ გრძნობების გამოხატვა, სიტ-ყვის საქმედ ქცევა.

კ. დ. უშინსკის აზრით, *„ჩვენ შეიძლება ძალიან გვიყვარდეს ადამიანი, რომელთანაც ვცხოვრობთ, მაგრამ არ განვიცდიდეთ ამ სიყვარულს მანამ, სანამ ესა თუ ის უბედურება არ გვაჩვენებს ჩვენი დამოკიდებულების მთელ სიღრმეს. ადამიანმა შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე არ იცოდეს,როგორ ძლიერ უყვარს სამშობლო, ვიდრე მის-*

გან ხანგრძლივი განშორების შემთხვევა არ გამოავლენს მასში ამ სიყვარულის მთელ ძალას".[1]

ზნეობრივი გრძნობები შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. ერთი და იგივე გრძნობა ერთ შემთხვევაში დადებითია, მეორე შემთხვევაში კი უარყოფითი. მაგალითად, სიხარული დადებითი ზნეობრივი გრძნობაა, როცა იგი გამოწვეულია საკუთარი თუ ახლობელი ადამიანის წარმატებით, მაგრამ თუ იგი გამოწვეულია ვიღაცის წარუმატებლობით, მაშინ ასეთი გრძნობა უზნეო და დასაგმობია. თვით სიყვარულიც კი, რომელიც დაუკითხავად მოდის და მიდის უზნეობად ითვლება, თუ იგი არსებობს ასაკით შეუფერებელ ან დასოჯახებელ და დაოჯახებულ ადამიანებს შორის.[2] ყოველივე ეს მხედველობაში უნდა მიიღოს მასწავლებელმა ბავშვებში ზნეობრივი გრძნობების გამომუშავების დროს. ეს ეხება განსაკუთრებით დაწყებითი კლასების მასწავლებლებს, რადგან გრძნობათა ჩამოყალიბება ძირითად უმცროს სასკოლო ასაკში ხდება.

ზნეობრივ გრძნობათა ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს ასევე სოციალური გარემო, რომელშიც უხდება ბავშვს ცხოვრება. მათ შორის უპირველესია ოჯახი, სადაც იზრდება და დროის უმეტეს ნაწილს ატარებს ბავშვი. აქ ეყრება საფუძველი ბავშვის ისეთ ზნეობრივ გრძნობებს, როგორიცაა: ყურადღება, გულისხმიერება, თანაგრძნობა, თავაზიანობა, თავმდაბლობა, სიბრალული, სირცხვილი, ამხანაგობა, მეგობრობა, შრომისა თუ ადამიანების სიყვარული და სხვა, რასაც განაპირობებს ოჯახში შექმნილი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი. თუ მშობლები არიან ერთმანეთისა და სხვების მიმართ ყურადღებიანი და გულისხმიერები, შვილებიც ასეთივე იქნებიან, და თუ ოჯახში ადგილი აქვს ჭორიკანობას, ამბის მიტან-მოტანას, ცხადია, ბავშვებშიც ეს თვისებები განვითარდება, რადგან ბავშვის აღზრდაში გადამწყვეტი როლი ენიჭება მშობლების პირად მაგალითს, მათი თანაცხოვრების წესს. მშობ-

---

[1] *Ушинский К. Д. Соч., т. 11, М., 1949, с. 122.*

[2] *შ. მალაზონია, პედაგოგიკა, თბ., 2001, გვ. 271.*

ლები ყოველნაირად უნდა ცდილობდნენ ბავშვებში დადებითი ზნეობრივი გრძნობების გამომუშავებას, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელი მძიმე ეკონომიკური ვითარების პირობებში, როცა ოჯახის წინაშე თავს იჩენს ათასგვარი პრობლემა, ისინი საამისოდ ვერ იცლიან.

ანალოგიური მდგომარეობაა სკოლაშიც — მასწავლებელთა შრომის დაბალი ანაზღაურება, ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, გადატვირთული პროგრამები და სხვა ქმნის დაძაბულ ვითარებას, მოსწავლეებისათვის კი აუცილებელია გონებრივი შრომისაგან განტვირთვა, გართობა-დასვენება.საამისოდ სკოლებში დღეისათვის თითქმის არაფერი კეთდება.

მოსწავლეებში ზნეობრივი ნორმების ჩამოყალიბების ძირითადი გზაა საგაკვეთილო პროცესი. მართალია, საშუალო სკოლის ყველა დისციპლინას არ გააჩნია ერთნაირი აღმზრდელობითი მუხტი, მაგრამ ისეთი საგანი, რომელსაც სრულიად არ ჰქონდეს ზნეობრივი მნიშვნელობა, არ არსებობს.ამ საქმეში დაწყებით კლასებში წარმატებით გამოიყენება დედაენის, ხოლო მაღალ კლასებში ლიტერატურის გაკვეთილები. ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში ყურადღებაა გამახვილებული ყველა კეთილ გრძნობაზე. ამასთან, დიდი პედაგოგი არ ივიწყებს ადამიანებში უზნეობის გამოვლინებებსაც და გმობს მათში ჯერ კიდევ შემორჩენილ ისეთ მანკიერ თვისებებს, როგორიცაა: ეგოიზმი, სიხარბე, სიზარმაცე, უსაქმურობა, სიცრუე, უპასუხისმგებლობა, უნებისყოფობა და სხვა.

ყველა კეთილი გრძნობა, რომელსაც საფუძველი ეყრება ოჯახსა და დაწყებით კლასებში, უნდა გაღრმავდეს და განვითარდეს მაღალ კლასებში. საამისოდ წარმატებით უნდა იქნას გამოყენებული როგორც საგაკვეთილო, ისე კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობა, რაც მოითხოვს სკოლის ყველა მუშაკის ერთიან, შეთანხმებულ მოქმედებას.

3. ზნეობრივი ქცევის ჩვევების ჩამოყალიბება. პიროვნების ზნეობრივი ქცევისათვის მარტო ზნეობრივი შეგნება და გრძნობები არაა საკმარისი. ამათთან ერთად, საჭიროა

შეგნებისა და ქცევის, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა. აღზრდა ნაყოფიერია მაშინ, როცა ცოდნა გადაიქცევა რწმენად, ზნეობრივ გრძნობად, პრაქტიკული საქმიანობის წამაქეზებელ მოტივად და ქცევაში ცოდნის გამოსახატავად.

ზნეობრივი ქცევის სისტემატური შესრულების შედეგად მოსწავლეებს უყალიბდებათ ზნეობრივი ჩვევები, რაც დროთა განმავლობაში ჩვეულებად ექცევათ, ჩვეულება კი, როგორც იტყვიან, რჯულზე უმტკიცესია. იგი ადამიანს შინაგან მოთხოვნილებად აქვს გადაქცეული.

ზნეობრივი ქცევა შესაბამისი შეგნებისა და გრძნობის პრაქტიკული გამოვლინებაა, რომელიც გვიჩვენებს პიროვნების მორალურ სახეს. ჩვევა შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც. ყოველი მასწავლებლის ვალია მოსწავლეებში დადებითი ჩვევების განვითარება და უარყოფითის აღმოფხვრა, მაგრამ ჩვეულებაში გადაზრდილი ჩვევების აღმოფხვრა არც ისე ადვილია, რადგან მას ღრმად აქვს გადგმული ფესვები ადამიანში.

ჩვეულება არის ავტომატიზებული, გაუცნობიერებელი მოქმედება. იგი განსაზღვრავს პიროვნების მიმართულებას, მისი აქტივობის ხარისხს. პიროვნების ზნეობრივ სრულყოფასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა იგი ასრულებს საზოგადოებრივად ღირებულ საქმეს მითითების, დავალების გარეშე, საკუთარი სინდისით. ასეთი ადამიანი ზნეობრივად იქცევა მაშინაც კი, როცა მას არავინ უთვალთვალებს, ამასთან, დარწმუნებულია, რომ მის ზნეობრივ საქციელს ვერავინ გაიგებს, ვერც ამ საქციელის ჩადენის მომენტში და ვერც შემდგომ. ა. მაკარენკოს არ აკმაყოფილებდა ის, რომ კომუნარები მისი თანდასწრებით წესიერად იქცეოდნენ. ამიტომ იგი ზოგჯერ აკვირდებოდა თავის აღსაზდელებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში, როცა ისინი მას ვერ ხედავდნენ: აიღებდნენ თუ არა მგზავრობისათვის ბილეთს, დაუთმობდენ თუ არა უფროსებს ადგილს და ა.შ. *„აი, ზის კომუნარი. იგი მე ვერ მხედავს, – წერს* ***ა. მაკარენკო.*** *– ტრამვაიში ამოდის კაცი. კომუნარმა ფრთხილად გაიწია ადგილიდან, რომ არავის შეემჩნია... აი, ამხანაგე-*

ბო, ჯანსაღი ქცევა, ლამაზი ქცევა... გახსოვთ შემთხვევა მოსკოვში, როცა ხანძარი იყო? ვიღაც ახალგაზრდა კაცი მიდიოდა ტრამვაით, დაინახა ალმოდებული სახლის მეოთხე სართულზე გოგონა, გამოიყვანა იგი და მიიმალა ისე, რომ არავის გაუგია, ვინ იყო ის. აი, ეს არის იდეალური ქცევა, ქცევა სწორი იდეისათვის". [1]

აღნიშნულ შემთხვევაში ადამიანს მხოლოდ საკუთარი თავი, საკუთარი სინდისი ჰყავს კონტროლიორად, შემმოწმებლად, მსაჯულად.

ასეთივე სიბრტყით აქვს განხილული ეს საკითხი იაკობ გოგებაშვილს: „მასწავლებლისათვის კონტროლი რას მიქვიან, კონტროლი საკუთარი სინდისი უნდა იყოს", – წერდა იგი.

ჯერ კიდევ პითაგორელები აფრთხილებდნენ ადამიანს: „სიბილწე არ ჩაიდინო, არც მარტო, არც სხვასთან ერთად და ყველაზე უფრო მეტად, საკუთარი თავის გრცხვენოდეს"...

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზნეობრივი აღზრდის მთავარი კერა სკოლაა, რაც, უწინარეს ყოვლისა, საგაკვეთილო პროცესში ხორციელება. სკოლაში არ არსებობს არც ერთი საგანი, რომელიც არ შეიცავს ზნეობრივი აღზრდის მუხტს. ამ საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს პედაგოგი. იგი უნდა ითვალისწინებდეს აღსაზრდელთა ასაკობრივ, სქესობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს და მოხერხებულად იყენებდეს აღზრდის ნაცად მეთოდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელი.

---

[1] *Макаренко А. С. Коллектив и воспитание личности. – М., 1972, с. 24.*

თავი XVI

პატრიოტულ-ინტერნაციონალური აღზრდა

1. პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ცნება

სიტყვა „პატრიოტიზმი“ წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან patris, რაც სამშობლოს, მამულს ნიშნავს. პატრიოტი კი იმ ადამიანს ეწოდება, ვისაც თავდავიწყებით უყვარს თავისი სამშობლო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, ვინც აქტიურ მონაწილეობას იღებს მისი კეთილდღეობისა და დამოუკიდევბლობისათვის ბრძოლაში, მისი სულიერი და მატერიალური კულტურის განვითარებაში, ვინც უფრთხილდება სახალხო დოვლათს, საზოგადოებრივ საკუთრებას და უანგაროდ ემსახურება ერისა და ქვეყნის საქმეს.

პატრიოტიზმი უწმინდესი და უკეთილშობილესი გრძნობაა, რომელსაც, შეიძლება ითქვას, ვერავითარი სხვა გრძნობა ვერ შეედრება. **იაკობ გოგებაშვილი** წერდა: *„არა გვგონია ვისთვისმე უცნობი იყოს ის აზრი, რომ მამულის სიყვარული, მხურვალე ეროვნული გრძნობა, არის უპირველესი თანხა ქვეყნის ბედნიერებისათვის... ამიტომაც ითხოვს იგი საზოგადოებისაგან და ცალკე პირისაგან ისეთსავე ერთგულს ზრუნვას და მოვლას, როგორც კარგის შვილის აღზრდა დედ-მამისაგან“.*[1]

ამ საკითხზე ანალოგიური შეხედულებისაა ი. გოგებაშვილის თანამედროვე მწერალი და საზოგადო მოღვაწე **ალექსანდრე ყიფშიძე** (ფრონელი). 1914 წელს იგი წერდა: *„სიყვარულს, ნამეტნავად სამშობლოსას, ზრდა და ლოლიავობა უნდა... ხელშეუწყობლად ისე ჩაქრება, როგორც*

---

[1] *ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ.1, თბ., 1989, გვ. 232-233.*

წყალდასხმული ცეცხლი“. [1]

ჩვენი დიდი წინაპრების ეს მოსაზრება საოცრად თანამედროვეა და ეხმაურება ჩვენს დღევანდელ პრობლემებს, რადგან, როგორც გასული საუკუნის დასაწყისში, ისე დღესაც, არიან ისეთი ვაი-ქართველები, რომლებიც მოითხოვენ სამშობლოსა და ეროვნების გაუქმებას და მსოფლიოს საერთო ოჯახში გაერთიანებას. ასეთებს თავის დროზე საკადრისი პასუხი გასცა **მემედ აბაშიძემ.** 1916 წელს გაზეთ *„სახალხო ფურცელში“* გამოქვეყნებულ სტატიაში *„მშობელი ერის სიყვარული“* იგი წერდა: *ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, „ეროვნულ, გეოგრაფიულ საზღვრებს, ეროვნულ შემეცნებას და გრძნობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ერთგვარ უზარმაზარ კედლად არიან აღმართულნი და სპობენ ადამიანთა შორის მსოფლიო სოლიდარობასო“.* [2]

ასეთ მოსაზრებას დიდი მამულიშვილი *„თავის არსებობის მომსპობელ უბედურებას“* უწოდებს და წარმოუდგენლად მიაჩნია ცალკეული ქვეყნებისა და ერების გაერთიანება, რადგან, მისი აზრით, ისინი დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. *„განა შესაძლებელია, — წერს იგი, — რომ ჩვენი სამშობლო ჩინეთსა და ერი ზანგებს შევადაროთ?“*

სრული ჭეშმარიტებაა. ამიტომაც გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება მომავალი თაობის პატრიოტულ-ინტერნაციონალურ აღზრდაზე.

პატრიოტიზმის ცნებაში იგულისხმება ორი მხარე: პატრიოტული გრძნობები, იდეები და ამ გრძნობებითა და იდეებით მოტივირებული მოქმედება, სიტყვისა და საქმის ერთიანობა.

პატრიოტიზმს საყოველთაო, საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, მაგრამ მას თითოეული ხალხის ცხოვრების პირობებისა და განვითარების ისტორიული გზის შესაბამი-

---

[1] *შ. ფუტკარაძე, მშობელი ერის სიყვარული, გაზ. „აჭარა“, 2001, 31 მარტი.*

[2] *იქვე.*

სად სპეციფიკური, ეროვნული ნიშნებიც გააჩნია. და ეს არცაა გასაკვირი, რადგან შეუძლებელია მოინახოს მსოფლიოში თუნდაც ორი ისეთი ერი, რომელსაც ზუსტად ერთნაირი გზა გაევლოს. ამავე დროს, პატრიოტიზმს აქვს მსგავსი, ყველა ხალხისათვის საერთო, ზოგადსაკაცობრიო ნიშნები. უწინარეს ყოვლისა, ესაა სიყვარული და თავდადება სამშობლოსათვის. მაგრამ პატრიოტიზმში მარტო მამულის, იმ ადგილის სიყვარული როდი იგულისხმება, სადაც ჩვენ დავიბადეთ, ფეხი ავიდგით და ვცხოვრობთ, არამედ, ფართო გაგებით, პატრიოტიზმი, სამშობლოსთან ერთად, მშობელი ხალხის, მისი ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესების, ტრადიციების სიყვარულსაც გულისხმობს.

„სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია?! — სვამს კითხვას აწ გარდაცვლილი, ყოფილი პარლამენტარი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი **ვახტანგ ბოჭორიშვილი** და, სავსებით სამართლიანად, დასძენს: — *არა! სამშობლო, უპირველეს ყოვლისა, ის არის, ვინც ეს მთა და ბარი, მიწა და წყალი სისხლით და ოფლით, ბრძოლით და შრომით საუკუნეთა უფსკრულიდან ზე ამოსწია, წვითა და დაგვით მეცხრამეტე საუკუნის მიჯნამდე მოიტანა, შემდეგ, მთელ საუკუნეს ხალხთა საჰყრობილეებში მყოფმა არ დაკარგა ენა და ჩვევა... გამოჰგლიჯა ჩვენი ქვეყანა სილატაკეს, შიმშილს, უმეცრებას... ე.ი. საქართველო, ჩვენი სამშობლო, უპირველესად ყოვლისა, ჩვენი ხალხია — კეთილსინდისიერი, მშრომელი ადამიანები, რომელნიც ყველა თავის ადგილზე, ყველა თავისი შესაძლებლობის მიხედვით, აგურს აგურზე ალაგებენ, სვე-სვეზე გააქვთ, სიტყვას სიტყვაზე აბამენ და აშენებენ ჩვენს საზოგადო შენობას“.* [1]

აი, ამ კუთხითა და გაგებით უნდა ვასწავლოთ ჩვენს მოზარდ თაობას სამშობლოს სიყვარული.

ჭეშმარიტი პატრიოტისათვის უცხოა კოსმოპოლიტიზმი, სამშობლოსადმი, ეროვნული თვითმყოფადობისა და კულტურისადმი გულგრილი დამოკიდებულება. მასში მაღალ

---

[1] *გაზ. სახალხო განათლება“, 1971, 28 აპრილი.*

დონეზე დგას ეროვნული სიამაყის გრძნობა. მისთვის უცხოა ასევე კუთხურობის, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ცალკეული გამოვლინებანი.
პატრიოტიზმის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მისი ხალხური,ინტერნაციონალური ხასიათი. *„ძლიერი სიყვარული სამშობლოსი, — წერდა* ***ი. გოგებაშვილი,*** *— ჰბადავს ძლიერს სიყვარულს კაცობრიობისას“.* [1]

აქედან გამომდინარე, სკოლა მოწოდებულია აღზარდოს არა ვიწრო, ნაციონალური ინტერესებით შემოფარგლული ახალგაზრდობა, არამედ ისეთი მომავალი თაობა, რომელსაც, თავის სამშობლოსა და ხალხთან ერთად, ეყვარება მსოფლიოს ყველა ხალხი, ვინაიდან არ შეიძლება იყო ჭეშმარიტი პატრიოტი, თუ არ გიყვარს, პატივს არ სცემ და არ აფასებ სხვა ეროვნების ადამიანს.

ინტერნაციონალიზმის თავისებური გაგება მოგვცა ჩვენმა სასიქადულო მწერალმა **ნოდარ დუმბაძემ:**

„მე ვიცი, ინტერნაციონალიზმია ის, რომ ქართველები ბამზე ნია-გრუზინსკაიას აშენებენ, ინტერნაციონალიზმია ის, რომ ათასობით ქართველი სტუდენტი შრომით სემესტრს მოძმე რესპუბლიკებში ატარებს. ინტერნაციონალიზმია ისიც, რომ თბილისში ასი ეროვნების ხალხი ცხოვრობს. მაგრამ მე ინტერნაციონალიზმი ცოტა სხვაგვარად მესმის. ხანდახან უნდა დაგავიწყდეს, რომ ეს კაცი ქურთია, სომეხია, აზერბაიჯანელია, ებრაელია, რუსია, აფხაზია, ოსი თუ მესოპოტამიელი... მთავარია, შინაგანად გახსოვდეს, რომ შენ კი ხარ ქართველი, მაგრამ ის მეორე კაცი ძმაა შენი, არანაკლებ ამაყობს საკუთარი ეროვნებით და ადვილი შესაძლებელია, შენზე მეტი ღირსებაც ჰქონდეს. ასე მესმის მე ინტერნაციონალიზმი“. [2]

მისივე აზრით, „...მზის ქვეშ არ არსებობს ხალხი და ენა, რომელიც ღირსი არ იყოს სხვათაგან მოკრძალებისა და პატივისცემისა“. სრული ჭეშმარიტებაა.

---

[1] *ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 3, თბ., 1990, გვ. 150.*

[2] *გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1983, 29 ნოემბერი*

4. პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის აღზრდის გზები და საშუალებანი

პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის აღზრდას, ისევე როგორც ზოგადად აღზრდას, საფუძველი ეყრება ოჯახში. იგი სათავეს იღებს დედის კალთიდან და დაკავშირებულია იმ კუთხის, იმ მხარის სიყვარულთან, სადაც დაიბადა და თავისი სიყრმის წლები გაატარა ადამიანმა. შემდგომ ეს გრძნობა კიდევ უფრო იზრდება და ძლიერდება. როგორც პატარა ნაკადული შეიძლება წყალუხვ მდინარედ იქცეს, ისე ადამიანში დედის ტკბილ ნანასთან ერთად შესისხლხორცებული ეს გრძნობა შეიძლება გადაიქცეს პატრიოტიზმის ჭეშმარიტ გრძნობად, თუ საამისოდ დროზე იზრუნებენ მშობლები.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა პატრიოტულ-ინტერნაციონალურ აღზრდაში, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, წამყვან როლს მაინც სკოლა ასრულებს. მოზარდ თაობაში სამშობლოსადმი თავდადების,მშობელი ხალხისადმი ერთგულების, მთელი მხოფლიოს ხალხებისადმი მხარდაჭერისა და ჭეშმარიტი სოლიდარობის გრძნობის გამომუშავება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ამ ამოცანის გადაწყვეტა დაკავშირებულია პიროვნების ფორმირების მთლიან პროცესთან. მისი განხორციელება შეუძლებელია ადამიანში ჰუმანიზმის, შრომისმოყვარეობის, კოლექტივიზმის, შეგნებული დისციპლინის, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცის, გამბედაობისა და სიამაყის გრძნობის აღზრდის გარეშე. ამ საქმეში კი გადამწყვეტი როლი ***სასწავლო პროცესს,საგაკვეთილო მუშაობას*** ენიჭება. სკოლაში არ ისწავლება თითქმის არც ერთი საგანი, რომელსაც არ შეეძლოს მოსწავლეთა პატრიოტულ-ინტერნაციონალური აღზრდა, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე დიდ როლს მაინც საზოგადოებრივი მეცნიერებები (ისტორია, ენა, ლიტერატურა და სხვა) ასრულებენ.

საქართველოს ისტორიის გაკვეთილებზე მოსწავლეები ეცნობიან ჩვენი ქვეყნის გმირულ წარსულს, იმას, თუ როგორი თავდადებით, საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავ-

დნენ ჩვენი წინაპრები საუკუნეების მანძილზე თავიანთ მიწა-წყალს უცხოელი ურდოებისაგან. *„არ შეიძლება მოიძებნოს მსოფლიოში ისეთი მეორე მხარე, — წერს აკადემიკოსი* ***ნ. ბერძენიშვილი,*** *— რომელსაც ამდენი შემოსევა, დაპყრობა, დატაცება განეცადოს, რამდენიც საქართველომ თავისი ისტორიის მანძილზე განიცადა“.* მიუხედავად ამისა, იგი ფენიქსისებურად ყოველთვის ახერხებდა ფეხზე წამოდგომას და მტრისთვის საკადრისი პასუხის გაცემას. გიორგი სააკაძე და ერეკლე მეორე, ბერი თევდორე და დიმიტრი თავდადებული, ცოტნე დადიანი და ქეთევან წამებული, სამასი არაგველი და ცხრა ძმა ხერხეულიძე თუ სამშობლოსათვის თავდადებული სხვა მოღვაწენი ის ადამიანები არიან, რომელთა მაგალითებზე იზრდებოდნენ და კვლავაც აღიზრდებიან მომავალი თაობები.

პატრიოტიზმის სიდიადე, მისი ძალა და ძლიერება ყველაზე მეტად გამოვლინდა დიდ სამამულო ომში. სამშობლოს სიყვარულის საკურთხეველზე მიტანილმა მსხვერპლმა, მილიონობით ჭაბუკისა და ქალიშვილის გმირობამ უზრუნველყვეს ფაშისტ ოკუპანტებზე გამარჯვება. ამ გამარჯვებაში,სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად, თავისი წვლილი შეიტანეს ქართველმა მეომრებმაც. *„ბრესტის ციხესიმაგრეში ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ხალხთა შვილები იბრძოდნენ, — წერს მწერალი* ***სერგეი სმირნოვი****. — ამ მეომართა შორის ძალიან ბევრი ქართველი იყო და ისინი თავგანწირულად იცავდნენ სახელოვან ბუგისპირა ციტადელს — სიცოცხლე შესწირეს, საკუთარი სისხლით მორწყეს ეს წმინდა მიწა“...* [1]

დიდი სამამულო ომის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი შოთა გამცემლიძის, ზოია რუხაძის, ალექსანდრე წურწუმიას, ჭიჭიკო ბენდელიანის, ისრაფილ ჯინჭარაძის, მელიტონ ქანთარიას და სხვათა დიდების შარავანდედით მოსილი სახელები. მათი ცხოვრების ბრწყინვა-ლე მაგალითების უბრალო ხსენებაც კი აღაფრთოვანებს მოსწავლე ახალგაზრდობას სამშობლოს სიყვარულის ჭეშ-

---

[1] *ს. სმირნოვი, ბრესტის ციხესიმაგრე, თბ., 1969, გვ. 5.*

მარიტი გრძნობით.

როცა მოზარდებს ჩვენი სამშობლოს ისტორიის შესახებ ვესაუბრებით, მათი ყურადღება უნდა მივაპყროთ იმაზეც, რომ, ძნელბედობის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა წარსული დიდების იმდენი ხელთუქმნელი ძეგლი, ციხესიმაგრე, ტაძარი თუ სხვა შექმნა, რომ საქართველო მუზეუმს დაამსგავსა. ეს უძველესი კულტურული ფასეულობანი ამშვენებენ არა მარტო ჩვენს, არამედ კაცობრიობის მატერიალურ და სულიერ საგანძურს. ამის ნათელი მაგალითია ცნობილი ინგლისელი მწერლის **ჯეიმს ოლდრიჯის** სიტყვები: *„დიდებულია, დიდებული თქვენი ვარძია. მე ბევრი ქვეყანა მინახავს, მაგრამ ამისთანა საოცრებას არ შევხვედრივარ. ნეტა რა ხელმა გამოკვეთა ეს გამოქვაბული, რა ფუნჯმა მოხატა ეს ფრესკები“.* [1]

ანალოგიური მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.მათი გაცნობა მოზარდებს შთააგონებს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს და მისთვის თავდადების ღრმა გრძნობას.

მოსწავლეთა პატრიოტულ აღზრდაში დიდ როლს ასრულებს ასევე *მშობლიური ენა.* ქართული ენა კი, **ი. გოგებაშვილის** სიტყვებით რომ ვთქვათ, *„ისეთივე მდიდარია... და მრავალფეროვანი, როგორიც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება“...*[2]

დედაენის როლისა და მნიშვნელობის საკითხში ი. გოგებაშვილი მთლიანად იზიარებს დიდი რუსი პედაგოგის **კ. დ. უშინსკის** შეხედულებებს, რომელიც წერდა: *„ენაში სახიერდება მთელი ხალხი და მთელი მისი სამშობლო, მასში... აისახება სამშობლოს ცა, მისი ჰაერი, ფიზიკური მოვლენები, მისი ჰავა, მისი ველები, მთები და ხეობები... მაგრამ ხალხის ენის ნათელ და გამჭირვალე სიღრმეში აირეკლება არა მარტო ბუნება სამშობლო ქვეყნისა, არა-*

---

[1] *ციტირებულია: ა. ზოიძე პატრიოტულ-ინტერნაციონალური აღზრდისათვის, ბათუმი, 1988, 1988, გვ. 9.*

[2] *ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზ. ხუთ ტომად, ტ. II თბ., „განათლება“, 1990, გვ. 6.*

მედ ხალხის სულიერი ცხოვრების მთელი ისტორიაც“. [1]

მშობლიურ ენასთან ერთად, მოსწავლეები ეცნობიან ენის ისტორიასაც და კანონიერი სიამაყის გრძნობით ივსებიან იმის გამო, რომ მსოფლიოში არსებულ 14 დამწერლობათა შორის ერთ-ერთი უძველესი და ორიგინალურია ქართული დამწერლობა, რომელზეც ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნემდე იქმნებოდა და კვლავაც იქმნება არა ერთი და ორი მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოები.

არ არსებობს სიტყვა, რომელიც ქართულად არ გამოითქვას. ამასთან, ქართული ენის უპირატესობა ისიცაა,რომ ამ ენაზე დაწერილი სატყვა ადვილად წასაკითხია, ისე იკითხება, როგორც იწერება. ამიტომაც ამბობს **ილია ჭავჭავაძე:** *„ჩვენს ენას ისეთი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომელსაც ბევრი სხვა წარმატებული ენები შენატრიან“.*

უცხო ენების სწავლების პროცესში მოსწავლეები ეცნობიან ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ყოფა-ცხოვრებას, მათ ზნე-ჩვეულებებს, რაც ხელს უწყობს მოზარდებში სხვა ეროვნების ხალხებისადმი სიყვარულისა და მათდამი სამართლიან საქმეში მხარდაჭერის ჭეშმარიტი გრძნობის განვითარებას.

მშობლიური ლიტერატურის გაკვეთილებზე მოსწავლეები საფუძვლიანად სწავლობენ საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მწერლების შოთა რუსთაველის, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გ. ტაბიძისა და სხვათა ბრწყინვალე ნაწარმოებებს, რომლებიც აღძრავენ მათში ეროვნული სიამაყისა და მშობლიური ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულის გრძნობებს. აქვე იგებენ ისინი, რომ *„როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“* და მას, ისევე როგორც საკუთარ დედას, მოვლა-პატრონობა და გაფრთხილება სჭირდება, რომ *„სამშობლო... არ გაიცვლების სხვაზედა“.*

მოსწავლეთა ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს დასახელებული და

---

[1] *კ. უშინსკი, დედაენა, რჩეული პედ. თხზ., თბ., 1974, გვ.149.*

სხვა მწერლების ნაწარმოებთა შესწავლას. მარტო შოთა რუსთაველის *„ვეფხისტყაოსანი“* რად ღირს! გენიოსმა პოეტმა ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა ხალხთა შორის ურთიერთგაგებას, ძმობასა და მეგობრობას. დიდმა მგოსანმა ნათლად გვიჩვენა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის მეგობრობისა და სიყვარულის ის ცხოველმყოფელი, მძლეთამძლე ძალა, რომელიც ამსხვრევს და ანადგურებს ყოველგვარ ზღუდესა და წინააღმდეგობას.

ლიტერატურის გაკვეთილებზე უფროსკლასელებს შეიძლება ვაწერინოთ თხზულებები თემებზე: *„რად მიყვარს ჩემი სამშობლო“, „რით იწყება სამშობლო“* და სხვ. ამ თემაზე მუშაობისას მოსწავლეებმა უნდა გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება სამშობლოსადმი.

მასწავლებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა ბავშვისათვის ძვირფასი გახადოს ყოველივე ის, რაც ცეცხლითა და მახვილით, წვით, ოფლითა და დაგვითაა მოპოვებული მამა-პაპათა მიერ. ყოველი მოზარდი, ჭაბუკი თუ ქალიშვილი კარგად უნდა ჩაუფიქრდეს თავის საქციელს, უნდა გაერკვეს იმაში, თუ „ვისი გორისაა“, როგორი სახელოვანი წარსულის მემკვიდრეა იგი. მათთვის ზნეობრივ იდეალად უნდა იქცნენ ის ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ბედნიერება სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში პოვეს. აი, რას წერს **ვ. სუხომლინსკის** ერთ-ერთი მეცხრეკლასელი მოსწავლე *ვლადიმერ პროხოროვი* თემაზე – *„რით იწყება სამშობლო?“:*

„ჩემთვის სამშობლო დედის იავნანადან იწყება. სამშობლოს დიდების მწვერვალი კი არის მიხეილ პანიკაკოსა და ალექსანდრე მატროსოვის გმირობა. თუ სამშობლოსათვის სიკვდილი მიწერია, ვისურვებდი, მოვმკვდარიყავი ისე, როგორც მოკვდნენ ისინი, გმირები, რათა ჩემი სიკვდილით მოვუწოდო ამხანაგებს სამშობლოსათვის ბრძოლისაკენ“. [1]

პროხოროვის თანაკლასელი *ოლღა ვერესკუნი* კი წერს: *„ლურჯ ცაზე მიფრინავს წეროების გუნდი. ფრინვე*

---

[1] *Сухомлинский В.А. Слушай, сердце! – Огонек,1969, №18, с.12.*

ლები მიფრინავენ თბილი ქვეყნებისაკენ, მაგრამ მათ არ ახარებთ ეს სითბო, ისინი მოუთმენლად ელიან, როდის გაშრება შორეულ ჩრდილოეთში თოვლი და კვლავ უკანვე ბრუნდებიან. მიფრინავენ ისინი ზღვებისა და მთების გავლით; მიფრინავენ ჩრდილოეთისაკენ, რადგან იგი მათი სამშობლოა. ისინი აქ დაიბადნენ. ასეა ჩვენთვისაც — ყველაზე ძვირფასია ის მიწა, სადაც ჩვენ დავიბადეთ“. [1]

მოსწავლეთა პატრიოტულ აღზრდაში არანაკლები როლი ენიჭება გეოგრაფიის სწავლებას. ამ საგნის გაკვეთილებზე ბავშვები ეცნობიან თავიანთი სოფლის, რაიონის, ქალაქის, ოლქის, მხარისა და მთელი რესპუბლიკის ულამაზეს ადგილებს: მის მინერალურ წყლებს, წყალუხვ მდინარეებს, მქუხარე ჩანჩქერებს, მუდმივი თოვლით დაფარულ მთებს, ყვავილებით მოქარგულ ველ-მინდვრებს, წიაღისეულ სიმდიდრეებს, წარმტაც კურორტებსა და გიგანტურ ჰიდროელექტროსადგურებს, სარწყავ არხებსა და ქარსაცავ ზოლებს.

ბიოლოგიისა და ზოოლოგიის გაკვეთილებზე მოსწავლეები ეცნობიან საქართველოს მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, მის მდიდარ ფლორასა და ფაუნას, რაც აღძრავს მათში ეროვნული სიამაყისა და სამშობლოს სიყვარულის უწმინდეს გრძნობას.

მოსწავლეთა პატრიოტულ-ინტერნაციონალურ აღზრდაში, საგაკვეთილო პროცესთან ერთად, წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული ***კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა,*** კერძოდ, ამ მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა: საუბრები, ლექცია-მოხსენებები, ჟურნალ-გაზეთების ხმამაღალი კითხვა, დისპუტები, კონფერენციები, დილა-საღამოები, წიგნებისა და სპექტაკლების განხილვა, ტურისტული ლაშქრობები, ექსკურსიები, შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან და სხვა.

საუბრები და ლექცია-მოხსენებები შეიძლება ჩატარდეს შემდეგ თემებზე: *„სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“, „მათ ასახელეს სამშობლო“, „რად*

---

[1] *Сухомлинский В.А. Слушай, сердце! – Огонек, 1969, №18, с.11.*

გვიყვარს ჩვენი სამშობლო“, „არავინ და არაფერი არაა დავიწყებული“, „რაც დავიწყებით არ იბინდება“, „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, „მეგობრობამ არ იცის საზღვრები“ , *„ხამს მოყვარე მოყვრისათვის“* და ა.შ.

ბავშვებს უნდა ვესაუბროთ მშობლიური სოფლის, რაიონის, ქალაქის, რესპუბლიკისა თუ მხარის უმშვენიერესი ბუნების, წყალუხვი მდინარეებისა და თვალუწვდენელი ზღვების, ქალაქებისა და კურორტების, ბუნებრივი სიმდიდრეებისა და, რაც მთავარია, ჩვენი ერისა და მისი გმირული წარსულის შესახებ. ყოველივე ეს გამოიწვევს მოზარდებში მშობლიური კუთხისა და ხალხის სიყვარულს, ჩაუნერგავს მათ ეროვნული სიამაყის გრძნობას.

მოსწავლეებში პატრიოტიზმისა და ეროვნული გრძნობების აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ასევე სამხარეთმცოდნეო ლაშქრობებისა და ექსკურსიების მოწყობა — სამრეწველო ქალაქების, მეტალურგიული, მანქანათსაშენი,საფეიქრო,ქიმიური და სხვა ფაბრიკა-ქარხნების, დიდი ელექტროსადგურების, სარწყავი არხების, აუზების დათვალიერება, კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის ექსპონატების შეგროვება და ნახულის ირგვლივ მსჯელობა. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა ღრმად გავაცნოთ მოსწავლეებს ჩვენი ქვეყნის ბუნება და ეთნოგრაფია, მეურნეობა, კულტურა და ხელოვნება. ამიტომაც წერს ნ. ჩერნიშევსკი: „არავითარი სასკოლო მეცადინეობა, არავითარი მუშაობა საკანდიდატო, სამაგისტრო თუ სადოქტორო დისერტაციაზე არ აძლევს ახალგაზრდა კაცს ისეთ სარგებლობას, როგორც მოგზაურობა“. [1]

ამ მიზნით წარმატებით გამოიყენება ასევე დაუსწრებელი მოგზაურობა. აი, როგორ ატარებდა ასეთ „მოგზაურობას“ **ვასილ სუხომლინსკი:** ბავშვები სხედან „მწვანე კლასში“, მათ წინ ხელოვნური „მზით“ განათებული დიდი გლობუსი დგას... *„აი, ბავშვებო, — მიმართავს პედაგოგი პატარებს, — ჩვენი სამშობლოს სივრცეები. ჩვენ ვცხოვრობთ მისი დასავლეთი საზღვრის მახლობლად.მოდით გა-*

---

[1] *ნ. ჩერნიშევსკი, რჩ. პედ. შეხედულებანი, თბ.,1938, გვ. 176.*

ვემგზავროთ შორს, აღმოსავლეთით, ვეწვიოთ ქალაქებსა და სოფლებს, ვნახოთ, როგორ ცხოვრობს იქ ხალხი“. [1]

შემდეგ იგი უყვება ბავშვებს ციმბირის თვალუწვდენელი ველ-მინდვრებისა და მდინარეების შესახებ, რომლებიც მათ გზადაგზა ხვდება. ასე ეცნობიან მოსწავლეები საბჭოეთის ყოველ კუთხეს, მის ბუნებრივ სიმდიდრეებს და სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს — მწყემსებს, მხვნელ-მთესველებს, მშენებლებს, მეშახტეებს, გეოლოგებს, მეთევზეებს. ჩრდილოეთში ისინი ხვდებიან მამაც პოლარელებს, მეირმეებს, ტყისმჭრელებს; სამხრეთში ტკბებიან კავკასიის მუდმივი თოვლით დაფარული მთებით.

ანალოგიური მოგზაურობა შეიძლება ჩატარდეს ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბითაც, რომლის დროსაც ბავშვები გაეცნობიან საქართველოს მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, წიაღისეულ სიმდიდრეებს, მის შრომისმოყვარე ადამიანებს.

მოსწავლეთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდას ხელს უწყობს ასევე პატრიოტული შინაარსის ნაწარმოებთა ხმამაღალი კითხვა და მათი განხილვა. კარგი საბავშვო ნაწარმოების კოლექტიური წაკითხვა და მის შესახებ მსჯელობა ეხმარება ბავშვებს უკეთ გაიგონ ჩვენი ქვეყნის აწმყო, გაეცნონ მის წარსულს და გაიაზრონ მომავალი.

მოსწავლეთა პატრიოტულ-ინტერნაციონალურ აღზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასევე ხალხთა მეგობრობის მუზეუმების ნახვა, კინოსურათების ჩვენება, შესაფერის სპექტაკლებზე დასწრება და ნახულის ირგვლივ მსჯელობა. მაგრამ ამ საქმეში ყველაზე მეტად მაინც მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში აქტიური მონაწილეობა ასრულებს, როგორიცაა: მშობლიური სკოლის კეთილმოწყობა, ეზოს, ქუჩის, ქალაქის, სოფლის გამწვანება-გალამაზება, ბუნების დაცვის ღონისძიებებში მონაწილეობა, გამოჩენილ ადამიანთა საფლავების მოვლა-პატრონობა, ისტორიული ძეგლების დაცვა და სხვა. ყოვე-

---

[1] *ვ. სუხომლინსკი, გულს ვუძღვნი ბავშვებს, თბ.,1980, გვ.158.*

ლივე ამ გზით უნდა დავარწმუნოთ მოსწავლეები, რომ პატრიოტისათვის მარტო რწმენა და გრძნობები არაა საკმარისი, არამედ საჭიროა მათი შესაბამისი მოქმედება, სიტყვის საქმედ ქცევა. არ შეიძლება, მაგალითად, ამაყობდე შენი მშობლიური ქვეყნის ლამაზი მთა-ველით, სიტყვით ქადაგებდე სამშობლოს სიყვარულს და არაფერს აკეთებდე მისი სახელის განდიდებისათვის. ნამდვილი პატრიოტი მხოლოდ ის არის, ვინც ყამირს ტეხს, ფოლადს ადნობს, ნერგებს ახარებს, ხნავს და თესავს, — ქმნის მატერიალურ და სულიერ დოვლათს.

მოსწავლეები უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ მათი უპირველესი მოვალეობაა კარგად სწავლა, რომ გმირობა მარტო ბრძოლის ველზე კი არ იჭედება, არამედ მშვიდობიან შემოქმედებით შრომაშიც. იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი შრომით სამშობლოს წინსვლასა და მის ძლიერებას განამტკიცებენ, ხალხი შრომის გმირს უწოდებს. მოსწავლისათვის კი კარგი სწავლაც გმირობაა, თუ იგი შემდგომ თავის ცოდნას სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოიყენებს.

ზემოთ დასახელებული და სხვა ანალოგიური ღონისძიებებით მოზარდებს ნათლად უნდა დავანახოთ ხალხთა შორის მეგობრობის უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა და სიკეთე, შევაყვაროთ ჩვენი ხალხი, მისი საბრძოლო და შრომითი ტრადიციები, რაც ესოდენ სჭირდება დღევანდელ დაშლილ და დაქუცმაცებულ საქართველოს. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ჩვენი დიადი სამშობლოს საიმედო ფარისა და მახვილის გამოჭედვას, ისეთი მომავალი თაობის აღზრდას, რომელსაც *„...მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მის ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით, და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“.* [1]

---

[1] *ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ.1, თბ., 1989, გვ.* 233.

თავი XVII

ჰუმანიზმის აღზრდა

1. ჰუმანიზმის ცნება, მისი წარმოშობა და განვითარება

სიტყვა „ჰუმანიზმი“ წარმოსდგება ლათინური სიტყვისაგან humanus, რაც ადამიანურს ნიშნავს. მასში იგულისხმება ადამიანის მხურვალე სიყვარული, მისდამი გულისხმიერება, ყურადღება, თანაგრძნობა, მისი ჭირ-ვარამის გაზიარება.

ჭეშმარიტი ჰუმანიზმი გულისხმობს არა მარტო ადამიანის სიყვარულსა და მისი პიროვნების პატივისცემას, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, მისთვის თავდადებაც კი.

ჰუმანიზმის გაგებაში მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ ჰუმანიზმის ცნებაში იგულისხმება ნებისმიერი ადამიანის სიყვარული, განურჩევლად იმისა, თუ რას წარმოადგენს იგი; მეორე ჯგუფის აზრით, ჰუმანიზმი გულისხმობს მხოლოდ პატიოსანი, მშრომელი, საზოგადოებისათვის სასარგებლო პიროვნების სიყვარულს; მეცნიერთა მესამე ჯგუფი კი ჰუმანიზში ათავსებს არა მარტო ადამიანების, არამედ ნებისმიერი ცოცხალი არსების სიყვარულს (ჰუმანიზმის ფართო გაგება).

ჰუმანიზმის იდეები ახალი არ არის. ეს იდეა პირველად ჩაისახა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ჩვენამდე მოღწეული უძველესი დროის ქმნილებები — ბილინები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, ეპიტაფიები,სახვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა — ამის უტყუარი დასტურია.

ჰუმანიზმის იდეებით პირველად გამოვიდნენ ანტიკური ხანის მოაზროვნეები: სოკრატე, პლატონი, არისტოტელე,

ციცერონი, კვინტილიანე, სენეკა და სხვები, მაგრამ ჰუმანიზმმა თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მხოლოდ აღორძინების ეპოქაში (XIV-XVI სს.) მიაღწია. ამიტომაც ამ იდეის წარმოშობას, ჩვეულებრივ, აღორძინების ეპოქას უკავშირებენ.

შუა საუკუნეებში ჰუმანიზმის დროშით გამოვიდნენ ვერჯერიო, ვეჯო, პიკოლომინი, ვიტორინო და ფელტრე (იტალია), ფრანსუა რაბლე, მიშელ მონტენი (საფრანგეთი), ერაზმ როტერდამელი (გერმანია), მოგვიანებით დანტე, ბოკაჩო, პეტრარკა, მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი და სხვები. მათ პირველ ადგილზე დააყენეს ადამიანის კულტი და აქტიური ბრძოლა გამოუცხადეს მოძველებულ, დრომოჭმულ შეხედულებას ადამიანზე, როგორც ცოდვის მატარებელზე. დღის წესრიგში დაისვა ჰარმონიულად განვითარებული, სიცოცხლით სავსე, აქტიური ადამიანის აღზრდის იდეა, რომელსაც უფლება აქვს და გააჩნია უნარი დატკბეს ამქვეყნიური ცხოვრებით. ნაშრომში *„საუბარი ადამიანის ღირსების შესახებ“* **მირანდოლა** სამყაროს შემოქმედის სახელით მიმართავს ადამს: *„მე შენ გსვამ სამყაროს ცენტრში, რათა იქიდან დაინახო ყველაფერი, რაც ქვეყნად არსებობს“.* [1]

ჰუმანისტი პედაგოგები მკაცრად ილაშქრებდნენ სქოლასტიკური სწავლებისა და მოსწავლეთა დასჯის წინააღმდეგ, მოითხოვდნენ ბავშვებისადმი ყურადღებიან, გულისხმიერ დამოკიდებულებას, მათი ბუნებრივი ნიჭის გამოვლენასა და მის შემდგომ განვითარებას. ამის ნათელი მაგალითია იტალიელი ჰუმანისტი პედაგოგის **ვიტორინო და ფელტრეს** (1373-1446) მოღვაწეობა,რომელმაც გახსნა სკოლა სახელწოდებით „სიხარულის სახლი“. სკოლა მდებარეობდა ბუნების წიაღში, უმშვენიერეს სასახლეში, სადაც, შუა საუკუნეების სკოლებისაგან განსხვავებით, კარგი სინათლე და ჰაერი იყო. მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში წარიმართებოდა ჰუმანისტური პრინ-

---

История эстетики. Памятники мировой эстетической мысли, т. 1, М., 1962, с. 507.

ციპების საფუძველზე.ვიტორინო ცდილობდა სკოლა გადა-ექცია ბავშვებისათვის მშობლიურ სახლად, სწავლება კი გაეხადა მოსწავლეებისათვის მისაწვდომი და ხალისიანი. სწავლების პროცესში ფართოდ გამოიყენებოდა თვალსაჩინოება და ექსკურსიები ბუნებაში. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თამაშსა და მოსწავლეთა აქტიურობის, დამოუკიდებლობის განვითარებას.

ბავშვებში ჰუმანური გრძნობების აღზრდას დიდ ყურადღებას აქცევდნენ ასევე მოგვიანებით ტომას მორი, ტომაზო კამპანელა, რობერტ ოუენი, ი. ა. კომენსკი, რუსო, პესტალოცი, ლევ ტოლსტოი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. გამოჩენილმა უკრაინელმა პედაგოგმა **ვასილ სუხომლინსკიმ** კი ჰუმანიზმი ახალ სიმაღლეზე აიყვანა. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მთელ სისტემას იგი საფუძვლად უდებდა ჰუმანიზმს, ადამიანის მხურვალე სიყვარულს.

უძველეს საქართველოში არსებული აღზრდის მაღალი დონე და ჰუმანიზმი კარგად ჩანს ასევე ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. აკადემიკოსების **შ. ნუცუბიძისა** და **დ. ლორთქიფანიძის** აზრით, ქართულმა ჰუმანიზმმა რამდენიმე საუკუნით დაასწრო ევროპულ ჰუმანიზმს. ამის ნათელი დადასტურებაა გამოჩენილი ქართველი მოაზროვნეების იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელისა და სხვათა შრომები.

ჰუმანიზმი ქართული ფოლკლორის ძირითადი ნიშანია. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ ზღაპარი „ამირანი“. მასში გადმოცემულია ადამიანთა კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლის – ამირანის საგმირო საქმეები. ამირანმა, პრომეთეს მსგავსად, ღმერთებს მოსტაცა და ხალხს მოუტანა ცეცხლი, რაც ჭეშმარიტი ჰუმანიზმის გამოხატულებაა.

XII საუკუნის ქართული ჰუმანიზმის უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს შოთა რუსთაველის *„ვეფხისტყაოსანი“.* ჰუმანიზმის ამ სწორუპოვარ ძეგლში რუსთაველი გვიჩვენებს ადამიანებისადმი ახლებურ დამოკიდებულებას. პოემაში დაგმობილია ადამიანთა მიმართ ყოველგვარი უს-

ულგულობა, ბოროტება, სიცრუე და ორპირობა. *„ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“*, — ამბობს **რუსთაველი.** ან კიდევ: *„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“, „რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა“* და ა.შ.

2. ჰუმანიზმის აღზრდის გზები და საშუალებანი

როგორც ნებისნიერ აღზრდას, ჰუმანიზმის აღზრდასაც საფუძველი ოჯახში ეყრება. ბავშვმა ამქვეყნად მოვლენის პირველი დღეებიდანვე უნდა შეიგრძნოს, რომ გარემომცველ სამყაროში ყველაზე ძვირფასი კაპიტალია ადამიანი, რომელსაც ყველგან და ყოველთვის ყურადღება და დაფასება სჭირდება.

ადამიანი, რომელსაც ჩვენ ვზრდით სრულყოფილი და სრულქმნილი არ იქნება, თუ მისი გული სიკეთით სავსე და ბოროტებისადმი შეურიგებლობის გრძნობით არ არის გამთბარი, თუ მის ყოველ მოქმედებაში არ გამოსჭვივის ადამიანის სიყვარული, მისი აღიარება და დაფასება. *„ბავშვი შეიძლება იყოს დისციპლინიანი, გულმოდგინე, წესიერი, შრომისმოყვარე, მაგრამ თუ მისი გული ამხანაგების მწუხარებას, შეშფოთებას ან საზრუნავს არ ეხმაურება, თუ იგი მზად არ არის თავისი კეთილდღეობა შესწიროს სხვა ადამიანს, სამშობლოს, — მთელი მისი ღირსება გროშადაც არ ღირს“,* — გვასწავლის **ვ. სუხომლინსკი.**[1]

ცნობილია, რომ ისეთი ბავშვისაგან, რომელსაც არ გააჩნია მუსიკის, მხატვრობის ან პოეტობის თანდაყოლილი ნიჭი, შეუძლებელია დიდი მუსიკოსის, მხატვრის ან პოეტის აღზრდა, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გულკეთილად აღიზრდება ნებისმიერი ბავშვი, თუ მის აღზრდას დროზე შევუდგებით. აღზრდას კი საფუძველი ოჯახში ეყრება. ბავშვის პირველი გზამკლევი, მისი ზნეობრივი აღზრდის პირველი კერა ოჯახია,რადგან დროის უმეტეს ნაწილს იგი ოჯახში, მშობლებთან ატარებს.

---

[1] *Литературная Россия, 1970, №15.*

ჰუმანიზმის გრძნობა ბავშვს პირველად უნდა გაუჩნდეს თავისი ოჯახის წევრების, ახლობლების, განსაკუთრებით კი დედის მიმართ.

დედის სიყვარული ბავშვმა უნდა გამოხატოს მისდამი ზრუნვაში, რადგან იგი სხვის უნაზეს განცდებს მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა თვითონ აკეთებს რაიმეს ადამიანთა ბედნიერების, სიხარულისა და სულიერი სიმშვიდისათვის. *„დაე, ცხრა წლის ვაჟიშვილმა ღამე უძილოდ გაატაროს ავადმყოფი დედის თუ მამის ლოგინთან, დაე, სხვისმა ტკივილმა აღანთოს მისი გულის ყოველი კუნჭული“,* [1] — დასძენს **ვ.სუხომლინსკი**. ამით იგი ისწავლის ადამიანების სიყვარულს, მათდმი ყურადღებასა და პატივისცემას.

ბავშვი პატარაობიდანვე უნდა შევაჩვიოთ მშობლებისადმი დამჯერებლობას, პატივისცემას, სხვებისადმი ანგარიშის გაწევას. საამისოდ კარგი პირობები იქმნება მრავალშვილიან ოჯახში, სადაც ბავშვი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს და-ძმებს, ხოლო იმ ოჯახში, სადაც ერთი შვილი იზრდება, ბავშვი ხშირად ეგოისტი გამოდის. ამის მიზეზი, მეტწილად, მშობლების გადაჭარბებულ, გრძნობამორეულ სიყვარულში უნდა ვეძიოთ. ასეთ ოჯახში გაზრდილი ბავშვისათვის, როგორც **სუხომლინსკი** გვასწავლის, ცხოვრების პრინციპად იქცევა დევიზი: *„ჩემთვის ნებადართულია ყველაფერი, არავისთან არავითარი საქმე არა მაქვს, მთავარია ჩემი სურვილი“.* ასე ხდება იგი საკუთარი სურვილების მონა, შემდეგ კი — *„სულით ხორცამდე ეგოისტი“,* დესპოტი, რომელსაც არავინ და არაფერი ახსოვს, გარდა საკუთარი თავისა. ასეთ ვაი-შვილს ჰგონია, რომ დედა და მამა მხოლოდ იმიტომ არსებობენ, რომ მას ემსახურონ, და თუ თვითონ ვინმეს წინაშე ვალშია, ვერ წარმოუდგენია

ასე რომ არ მოხდეს, ბავშვს პატარაობიდანვე უნდა გავუღვივოთ კეთილი გრძნობები — სხვისი სამსახურის შინაგანი მოთხოვნილება, სხვათა სიკეთისათვის ზრუნვა;

---

[1] *ვ. ა. სუხომლინსკი, შრომა სულისა, გაზ. „კომუნისტი“, 1971, 11 მარტი.*

უნდა განვუვითაროთ სხვის თვალებში ურვის, შეშფოთების, წყენის, მარტოობის ამოკითხვის უნარი.

ამ თვისებების ჩანერგვა ბავშვებში შეიძლება დავიწყოთ შინაურ ცხოველებთან დაახლოებითა და მათზე ზრუნვით. ამაში გადამწყვეტი როლი დედამ უნდა ითამაშოს, რადგან დედა ბავშვისათვის ყველაზე ძვირფასი და სათნო არსებაა, მის სიტყვასა და მაგალითს დიდი ძალა აქვს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროა ბავშვებს პატარაობიდანვე ჩავუნერგოთ სიკეთის გრძნობა, ვასწავლოთ როგორც ადამიანების, ისე ცხოველების, ფრინველების, მწერებისა და ყველა სხვა ცოცხალი არსების სიბრალული, რადგან *„მადლი სიბრალულისა დედაა ყველა სხვა მადლისა“ (ი. ჭავჭავაძე)*. ხე, ბალახი, ყვავილი, მზის ამოსვლა და ჩასვლა, ფრინველების ჭიკჭიკი, ფუტკრების ზუზუნი, კალიების ჭრიჭინი – ყოველივე ეს უნდა აღიბეჭდოს ბავშვის სულში, რათა იგი გაიზარდოს კეთილი და მისი გული უხვად იყოს გადაშლილი ადამიათა წინაშე. ეს კი ხანგრძლივი და რთული საქმეა. *„ინჟინერი შეიძლება გახდე 5 წელიწადში, – წერს* ***ვ. სუხომლინსკი,*** *– ადამიანობის სწავლას კი მთელი სიცოცხლე სჭირდება“.*[1] რეაგირების გარეშე არ უნდა დავტოვოთ, უბრალო ცელქობად არ უდა მივიჩნიოთ ბავშვობის ასაკში ცოცხალი არსების მიმართ უსულგულო დამოკიდებულების არც ერთი შემთხვევა, თორემ, ზოგიერთების აზრით, ეს წვრილმანი შემდგომში შეიძლება უარყოფით ჩვევებში გადაიზარდოს და მსხვილმანად იქცეს.

სამწუხაროდ, ყველა მშობელი როდი ითვალისწინებს ამას. ზოგიერთი მათგანი არაფრად აგდებს იმას, რომ ბავშვი მის თვალწინ აწვალებს ცხოველებს, ბუდეს უნგრევს ან ხოცავს ფრინველებს. ხალხური სიბრძნე კი გვასწავლის: *„შენმა შვილმა რომ ჭია მოკლას, დასაჯე, რადგან აქედან იწყება კაცის კვლა“.* პედაგოგიურ განათლებას მოკლებული მშობელი კი ყოველივე ამას ბავშვის შეუგნებლობითა და ცელქობით ხსნის, გაიზრდება და ყველაფერს

---

[1] *ვ.სუხომლინსკი, წერილები ვაჟიშვილს, ბათუმი,1996, გვ.33.*

მიხვდებაო, ფიქრობს იგი და ანგარიშს არ უწევს იმას,რომ ამ გზით ბავშვს უმუშავდება შეუბრალებლობა ცხოველებისა და ფრინველების მიმართ, რამაც შემდგომში შეიძლება თავი იჩინოს ადამიანებთან დამოკიდებულებაშიც.

ცნობილი ხელოვანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **სერგეი ობრაზცოვი** წერს: *„იმისათვის, რომ გავზარდოთ კეთილი, ნამდვილი ადამიანი, უნდა ვასწავლოთ მას სიბრალული... თუ ერთი წლის ბავშვი კატის კნუტს კუდზე ექაჩება და კისკისებს, დედა კი იქვე დგას და იღიმება, აღზრდა დაწყებულია — საზიზღარი აღზრდა“.*

ზოგიერთი მშობელი ბავშვებს არა თუ უშლის შინაური ცხოველისა თუ ფრინველის წამებას, არამედ თვითონაც აქეზებს მათ ასეთი საქციელისაკენ.

ჟურნალისტი **ნარგიზა მგელაძე** წერს: *„პატარები ვიყავით, როცა მე და ჩემ ძმას მეზობელმა ჩიტი გვაჩუქა... ეს საჩუქარი არა მარტო ჩვენთვის, მთელი ჩვენი თანატოლებისათვის დიდ ამბად იქცა... დილიდან საღამომდე მოდიოდნენ მნახველები. ჩვენც დიდი ამბით გამოგვქონდა გალია სახლიდან და ხუთი-ათი წუთით უფლებას ვაძლევდით ამხანაგებს დამტკბარიყვნენ ჩიტის მშვენებით.*

იმ დღეებში ერთმა მეზობლის ბიჭმა, როგორც დედა ამბობდა, „უზნეო საქციელი“ ჩაიდინა. როცა ბებიამისს ჭიდან ჩაფით წყალი მოჰქონდა, მხარზე შედგმული ჩაფი ქვით ჩაუმსხვრია, მოხუცი ქალი სულ ერთიანად გაიწუწა და ავად გახდა. ამ საქციელის გამო ჩვენ აგვეკრძალა ამ ბიჭის ეზოში შემოშვება.

ბოროტმა ბიჭმა შურისძიების ორიგინალური ხერხი მოიგონა. ეზოში შემოიპარა, გალიის კარი გააღო და საწყალ ჩიტს ქვით თავი გაუჭიჭყა...

როცა დედა სამსახურიდან დაბრუნდა და ყოველივე გაიგო, მაშინვე ბიჭის დედასთან გადავიდა და პასუხი მოსთხოვა: — მოგცლიათ ერთი თქვენ, — მიიღო პასუხი, — მაგასაც რა, კაცი ხომ არ მოუკლავს, გავუშვებ ხვალ ტყეში, ჩიტების მეტს რას დაიჭერს“. [1]

---

[1] *ნ. მგელაძე, არ შეიძლება განზე იდგე, თბ., 1979, გვ. 30-31.*

ამგვარ დედებს არ სურთ იცოდნენ, რომ სწორედ ასეთი ბავშვებისაგან „იჩეკებიან“ ცინიკოსები, მძარცველები და კაცისმკვლელები, შემდეგ კი უკვირთ, საიდან გამოჰყვა მათ შვილს ასეთი თვისებები.

ოჯახთან ერთად, მოსწავლეთა ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდის საუკეთესო პირობები არსებობს სკოლაში. „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამასა და მისი რეალიზაციის გეგმაში“ (თბ., 1995, გვ.29) ნათქვამია: *„ახალ საზოგადოებრივ ღირებულებათა გაცნობიერება-განმტკიცება, ადამიანური ღირსების შეცნობა და დაცვა, ჭეშმარიტი მოქალაქის, მამულიშვილის აღზრდა, კაცთმოყვარეობის, მიმტევებლობის, ქველმოქმედების ჩანერგვა... — ყველაფერი ეს სასწავლო დაწესებულებათა, უპირველეს ყოვლისა კი — სკოლის საზრუნავია“.* ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ენიჭება ***საგაკვეთილო პროცესს.*** სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნებიდან ამ მხრივ ყველაზე ხელსაყრელია მშობლიური ენის გაკვეთილები. დაწყებით კლასებში ქართული ენის სახელმძღვანელოში შეტანილია მრავალი ლექსი თუ მოთხრობა, რომლებიც ემსახურებიან მოზარდებში კეთილი გრძნობების გაღვივებას. ავიღოთ პატარა მოთხრობა *„კეთილი ძმა“.* მისი შინაარსი ასეთია: გლეხმა, რომელიც ბაღში მწიფე მსხალს კრეფდა, იქვე ჩაცუცქული პატარა სანდრო შენიშნა და ერთი დიდი მსხალი მისცა. ბიჭმა მისი ჩაკბეჩა დააპირა, მაგრამ მაშინვე ავადმყოფი და გაახსენდა და შინისაკენ მოკურცხლა.

— დედილო, კეკეს მსხალი ეჭმევა? — ჰკითხა სანდრომ დედას.

— როგორ არა, შვილო, — უთხრა დედამ.

სანდრო მაშინვე ავადმყოფი დის ლოგინთან გაჩნდა, მსხალი მისცა და „სიამოვნებით უცქერდა, როცა ავადმყოფი პირს იტკბარუნებდა გემრიელი მსხლით“.[1]

ამ პატარა მოთხრობის ძირითადი თემა, როგორც ეს სათაურიდანაც ჩანს, არის სანდროს გულკეთილობა. მისი ერთხელ წაკითხვაც კი საკმარისია, რომ ბავშვმა მიბაძოს

---

[1] *ი. გოგებაშვილი, დედაენა, II ნაწილი, თბ., 1976, გვ. 90-91.*

სანდროს მაგალითს.

ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა, მომავალ თაობაზე ზრუნვაა გამოხატული ი. გოგებაშვილის მოთხრობაში *„ბერიკაცი და ნამყენი“*. მასში ავტორი გვარიგებს, რომ კაცმა დღედაღამ უნდა იშრომოს, სიკეთე უნდა თესოს ერისათვის, ქვეყნისათვის და არა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის. მოთხრობის პერსონაჟი, მოხუცებული კაცი ყმაწვილის შეკითხვაზე – ტყუილა რას წვალობ, შენ ხომ მაგის ნაყოფს ვერ მოესწრებიო – პასუხობს: *„ვიცი, რომ ვერ მოვესწრები, მაგრამ სხვები მოესწრებიან, გაიხარებენ, მომიგონებენ და ცხონებას შემომითვლიან. ფუტკარიც კი მარტო თავისთვის არ შრომობს და ადამიანმა როგორ არ უნდა იზრუნოს თავის მოყვასისათვისაო“*.

ამავე მიზანს ემსახურება **ვაჟა-ფშაველას** ლექსი *„ქორი და წიწილა“*. რაოდენი ჰუმანიზმი და ადამიანური გრძნობებია ჩაქსოვილი ამ ლექსში. ბავშვების გული სიბრალულითა და თანაგრძნობით ივსება კრუხის ქვითინზე, ქათმების მთელი მოდგმის გლოვასა და ზარზე.

ამ მიმართულებით მოსწავლეებთან მუშაობისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ ბავშვი სიკეთეს სჩადიოდეს ყოველგვარი გამორჩენისა და ჯილდოს გარეშე, მაშინაც კი, როცა მას არავინ უთვალთვალებს და დარწმუნებულია, რომ მის სასიკეთო საქმეს ვერავინ გაიგებს. *„თუ სიკეთეს მიზეზი აქვს, – წერს* ***ლ. ტოლსტოი,*** *– ის უკვე აღარ არის სიკეთე, თუ ამ სიკეთეს აქვს შედეგი – ჯილდო, ესეც არ არის სიკეთე. ასე რომ, სიკეთე მიზეზ-შედეგთა ჯაჭვის გარეშეა“*.[1]

ამავე თემას ეძღვნება **გიორგი შატბერაშვილის** მოთხრობა *„კეთილი გული“*, რომელიც III კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოშია შეტანილი. მოთხრობის ლაიტმოტივი ასეთია: დილით სკოლაში მიმავალი თამაზი ცეცხლმოკიდებული სახლიდან პატარა გოგონას გამოიყვანს და სკოლისაკენ მოკურცხლავს. მშობლებმა ბევრი ეძებეს მათი შვილის გადამრჩენი, მაგრამ ვერსად იპოვეს.*„ან რო-*

---

[1] *ლ. ტოლსტოი, ანა კარენინა, თხზ., ტ.8, თბ., 1964, გვ.443.*

გორ იპოვიდნენ?! – წერს ავტორი, – თამაზი უკვე კლასში იჯდა და გულმოდგინედ უსმენდა მასწავლებელს“.

მშობლიური ენის გარდა, მოსწავლეებში ჰუმანური გრძნობების ჩანერგვის მიზნით წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული ბუნებისმცოდნეობისა და ზოოლოგიის გაკვეთილები. ამ საგნების შესწავლისას ბავშვები ეცნობიან, თუ როგორ უვლიან და მზრუნველობით ეპყრობიან ადამიანები ჩვენი ქვეყნის ფლორასა და ფაუნას. ყოველივე ამის შემდეგ მათაც უჩნდებათ ცოცხალი არსებისადმი სათუთი დამოკიდებულების გრძნობა.

გარდა საგაკვეთილო პროცესისა, ჰუმანიზმის აღზრდაში დიდ როლს ასრულებს ***კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა.*** ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას საინტერესო, ემოციური საუბრები. საუბრისას უნდა მოვიშველიოთ ბავშვებისათვის ნაცნობი, სკოლის, სოფლის ან ქალაქის ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული მაგალითები. ხელიდან არ უნდა გავუშვათ არც ერთი შემთხვევა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსწავლეებში ჰუმანური გრძნობების აღზრდისათვის. ბავშვებს უნდა მოვუთხროთ დონ-კიხოტის, ამქვეყნად ყველაზე უანგარო ადამიანის, მუდამ სხვის საქმეს გადაყოლილი კაცის შესახებ, რომელიც, გერცენის სიტყვებით რომ ვთქვათ, ათასჯერ მეტი რაინდია, ვიდრე ვიღაც მედუქნე, რომელსაც ფულის მეტი არაფერი ენაღვლება. ასევე უნდა მოვუთხროთ გამოჩენილი პოლონელი ექიმის, მწერლისა და პედაგოგის, ვარშავის ობოლ ბავშვთა აღმზრდელის **იანუშ კორჩაკის** შესახებ. ფაშისტებმა მისი აღსაზრდელები ტრებლინკის ღუმელების „გასახურებლად“ გასწირეს, კორჩაკს კი შესთავაზეს სიცოცხლე, რაზედაც მან უპასუხა: *„ცდებით, მე სინდისით არ ვვაჭრობ. ყველა როდია არამზადა“* და ვაჟკაცურად შეეგება სიკვდილს – ნებაყოფლობით შევიდა გაზის კამერაში ყველაზე პატარა აღსაზრდელით ხელში.

ამ თემაზე საუბრისას ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ჩვენი თანამემამულე, ცნობილი მეცნიერი **იოსებ ჟორდანია,** რომელმაც თავისი მაშველი რგოლი ერთ უცნობ,უბილეთო გოგონას დაუთმო და ატლანტის ოკეანეში დაასრულა თა-

ვისი ლამაზი სიცოცხლე.

ასეთი მაგალითები საკმაოა, საჭიროა მხოლოდ მათი დაძებნა და მოხერხებულად გამოყენება.

ჰუმანიზმის აღზრდაში დიდ როლს ასრულებს ასევე შეხვედრები გამოჩენილ ადანიანებთან, ექსკურსიები, დილა-საღამოები და სხვა. მაგრამ ამ საქმეში გადამწყვეტი როლი მაინც აღმზრდელთა პირად მაგალითს ენიჭება. თუ სკოლაში ადგილი აქვს მასწავლებელთა შორის კინკლაობას, ჩხუბს, აყალ-მაყალს, ლანძღვა-გინებას, იქ ჰუმანიზმის აღზრდაზე ლაპარაკი ზედმეტია. არავის არ შეუძლია სხვას ჩაუნერგოს ის თვისებები, რაც მას არ გააჩნია.

ყოველ ჩვენგანს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ყველაფერი ბავშვობიდან იწყება, რომ *„ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა“* ***(ი. ჭავჭავაძე),*** რა თვისებებსაც ჩაეყრება საფუძველი მის გრძნობა-გონებაში, ის თვისებები გაღვივდება და განვითარდება მასში. ამიტომ, სანამ გვიან არ არის, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რათა ჩვენს „მომავლის ყვავილებში“ სიკეთის ნერგმა იხაროს.

თავი XVIII

ეკოლოგიური აღზრდა

ტერმინი *„ეკოლოგია“* წარმოსდგება ბერძნული სიტყვებისაგან ოიკოს – სახლი და ლოგოს – მოძღვრება. იგი პირველად გამოიყენა ცნობილმა გერმანელმა ბიოლოგმა, პროფესორმა **ერნსტ ჰეკელმა** 1866 წელს. მანვე მოგვცა ეკოლოგიის, როგორც მეცნიერების, განსაზღვრება. მისი აზრით, ეკოლოგია არის მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმებისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მეორე გერმანელი მეცნიერის **ოდუმის** განმარტებით, ეკოლოგია არის მეცნიერება ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ.

მე-19 საუკუნის შუახანებამდე დედამიწის მოსახლეობა არ იყო ინფორმირებული ეკოლოგიური პრობლემების შესახებ, რადგან ასეთი მეცნიერება ჯერ კიდევ არ არსებობდა. ადამიანებს ბუნების შესაძლებლობანი ამოუწურავი ეგონათ. ამიტომ არავინ ფიქრობდა ბუნებრივი სიმდიდრის ეკონომიურად გამოყენებაზე; წარმოების ყველა ნარჩენი დაუფიქრებლად იყრებოდა გარემოში და აბინძურებდა მდინარეებსა და წყალსატევებს. XX საუკუნეში ცხოვრების დაჩქარებულმა ტემპმა გამოიწვია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ბუნებისადმი ადამიანის მომხმარებლური დამოკიდებულება და შეიქმნა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის საშიშროება. კაცობრიობა მწვავე ეკოლოგიური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. ეკოლოგიურმა პრობლემებმა თავი იჩინა ატმოსფეროს ზედა ფენების გაბინძურებაში, ნიადაგების გამოფიტვასა და ეროზიაში, მტკნარი, სასმელად ვარგისი წყლების დეფიციტში და ა.შ. ყოველივე ამან დღის წესრიგში დააყენა მომავალი თაობის ეკოლოგიური აღზრდის აუცილებლობის საკითხი. XX საუკუნის ოციან

წლებში ჩამოყალიბდა ეკოლოგიის ისეთი დარგები, როგორიცაა მცენარეთა და ცხოველთა ეკოლოგია, ხოლო ამავე საუკუნის 70-იან წლებში – ადამიანის, ანუ სოციალური ეკოლოგია, რომელიც შეისწავლის ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების და ბუნების დაცვის პრობლემებს.

ადამიანის ეკოლოგია ფართო დიაპაზონის, მრავალგანშტოებიანი მეცნიერებაა და მოიცავს ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ, გეოგრაფიულ, პედაგოგიურ, კოსმოსურ და სხვა ასპექტებს. ამჟამად დღის წესრიგში დგას ყველა მეცნიერების ეკოლოგიის საკითხი, რადგან ეკოლოგიური კულტურა თანამედროვე ადამიანის საერთო კულტურის ნაწილად უნდა იქცეს.

1972 წლის ივნისში ქ. სტოკჰოლმში ჩატარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური კონფერენცია, რომელმაც მიიღო დეკლარაცია-მიმართვა მსოფლიოს ხალხებისადმი. ამ მიმართვაში ყურადღება იყო გამახვილებული გარემოს გაბინძურებაზე და ბუნებრივი რესურსების თანდათანობით კლებაზე.

აღნიშნულ კონფერენციაზე 5 ივნისი გამოცხადდა გარემოს დაცვის მსოფლიო დღედ. იგი მიზნად ისახავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ბუნების დაცვის მოთხოვნით ერთ-ერთი პირველი გამოვიდა ცნობილი უკრაინელი პედაგოგი **ვასილ სუხომლინსკი.** მან გაბედულად განაცხადა, რომ *„ბუნებრივი ფასეულობანი ამოუწურავი და უსასრულო არ არის“.* ამიტომ საჭიროა ბუნებისადმი ადამიანის სათუთი და მზრუნველი დამოკიდებულება. ეს კი ეკოლოგიური აღზრდის გარეშე შეუძლებელია.

საქართველოში ამ საკითხზე პირველად ხმა აიმაღლა მწერალმა **გურამ ფანჯიკიძემ.** გასული საუკუნის 70-იან წლებში იგი წერდა: „კაცობრიობა უკვე იმკის თავისი დაუდევრობის შედეგსო“. ნათქვამის დასასაბუთებლად იგი აღნიშნავს: *„მსოფლიოში უკვე ბევრი ტბაა, სადაც ადამიანის დაუდევრობამ მთლიანად ჩაკლა სიცოცხლის ყოველ-*

გვარი ნიშანწყალი. ამის გულსაკლავი და თვალსაჩინო მაგალითია დიდი ტბები კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ტბები ისე დაანაგვიანა წარმოებათა ნარჩენებმა, რომ სიცოცხლე მათში მთლიანად მოისპო“.[1]

მაგრამ **გურამ ფანჯიკიძეს** მარტო შორეული ზღვებისა და ტბების ბედი როდი აწუხებდა. წერილში *„ბათუმს ქათქათას“* იგი წერს: *„ჩვენდა სამწუხაროდ, ...შავი ზღვა მსოფლიოში ეკოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე დაბინძურებული ზღვაა. მის ეკოსისტემას კატასტროფის აშკარა საფრთხე ემუქრება“.* [2]

ამას იგი ამ ოციოდე წლის წინ წერდა. მას შემდეგ ქალაქ ბათუმსა და შავიზღვისპირა ბევრ ქალაქში ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობამ შეწყვიტა მუშაობა, მაგრამ პრობლემა კვლავ პრობლემად დარჩა. შექმნილი ვითარებიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა, ჩვენი აზრით, არის მხოლოდ მოზარდი თაობის ეკოლოგიური აღზრდა. იგი მიზნად ისახავს საზოგადოების თითოეულ წევრს, განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობას, ჩაუნერგოს ბუნებისადმი, ჩვენი ფლორისა და ფაუნისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების გრძნობა, გამოუმუშაოს მისი დაცვისა და გაჯანსაღების უნარ-ჩვევები.

მოსწავლეთა ეკოლოგიურ აღზრდას საფუძველი ეყრება ოჯახში დედის უშუალო ხელმძღვანელობით და ოჯახის უფროს წევრთა პირადი მაგალითით. შემდეგ ეს საქმე წარმატებით უნდა გაგრძელდეს საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ ამ მხრივ გადამწყვეტი სიტყვა მაინც სკოლამ უნდა თქვას. ამ მიზნით მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ გამოჩენილი კლასიკოსი პედაგოგებისა და მწერლების შეხედულებანი ბუნების უდიდეს აღმზრდელობით მნიშვნელობაზე. მაგალითად, რუსული პედაგოგიკის ფუძემდებელი **კ. დ. უშინსკი** წერდა: *„დაე, მიწოდეთ ბარბაროსი პედაგოგიკაში, მაგრამ ჩემი ცხოვრების შთაბეჭდილებიდან მე მივიღე ღრმა რწმენა,*

---

[1] *ახალი ქართული გაზეთი, 1998 წლის ნოემბერი, №98.*

[2] *იქვე.*

რომ მშვენიერ ლანდშაფტს ახალგაზრდა სულის განვითარებაზე ისეთი დიდი აღმზრდელობითი გავლენის მოხდენა შეუძლია, რომელსაც ძნელად თუ შეედრება პედაგოგის გავლენა.“ [1]

ახალგაზრდებს უნდა მოვუთხროთ გამოჩენილი იტალიელი პედაგოგის ვიტორინო და ფელტრეს, ინდოელი კლასიკოსი მწერლისა და პედაგოგის რაბინდრანათ თაგორისა და სხვათა მიერ ბუნების წიაღში გახსნილი გამაჯანსაღებელი სკოლების შესახებ.

ადამიანებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულება აისახება ნებისმიერ სასკოლო დისციპლინაში. თითქმის არ არსებობს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არც ერთი საგანი, რომელთანაც არ იყოს დაკავშირებული ეკოლოგიური აღზრდის პრობლემები. ყოველ მათგანს თავისებური წვლილი შეაქვს მოსწავლეთა ეკოლოგიურ აღზრდაში, მაგრამ ამ მხრივ საბუნებისმეტყველო საგნებს მაინც ვერც ერთი ვერ შეედრება. ამიტომაც წერდა **იაკობ გოგებაშვილი:** *„დაწინაურებულს განათლებულს ქვეყნებში კარგად აქვთ შეგნებული, რომ ბუნების ცოდნა და მის ძალთა დამორჩილება შეადგენს ერთს უმთავრეს ბურჯს ერისა და კაცობრიობის ბედნიერებისას. ამის გამო იქ ბუნების შესწავლას დიდს ადგილს უთმობენ ბავშვების განვითარებაში როგორც ოჯახები, ისე სკოლები“.* [2]

V კლასში ბუნებისმცოდნეობის კურსის სწავლება საუკეთესო საშუალებას იძლევა მოსწავლეთა ეკოლოგიური აღზრდა-განათლებისათვის. მაგალითად, თემა „ჰაერი“-ს შესწავლისას მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ჰაერის მნიშვნელობაზე ცოცხალი ორგანიზმებისათვის, გაჭუჭყიანების მიზეზებსა და გაწმენდის მეთოდებზე.ასევე მოსწავლეთა ყურადღება უნდა მივაპყროთ ტყის უდიდეს როლზე ჟანგბადის წარმოქმნაში, რაც ესოდენ აუცილებელია ცოხალი ორგანიზმებისათვის.

---

[1] *ციტირებულია: დ.ლორთქიფანიძე, კ. დ. უშინსკის პედაგოგიური მოძღვრება, თბ., 1955, გვ. 243.*

[2] *ი. გოგაბაშვილი, ბუნების კარი, თბ., 1976, გვ. 1.*

თემა „*წყალი*“ სწავლებისას მოსწავლეებს უნდა ვესაუბროთ მდინარეების, ტბებისა და ზღვების დაბინძურების თავიდან აცილების გზებსა და საშუალებებზე. უნდა ვასწავლოთ მათ, რომ ყოველგვარი წყალსატევის დაბინძურება ბუნების დაცვის შესახებ არსებული კანონის დარღვევაა.

თემის „*ნიადაგი*“ სწავლებისას მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ნიადაგის გამოყენების, მისი დაშლის, გამოფიტვის, ეროზიის და სხვა საკითხებზე, ხოლო ზოოლოგიის სწავლებისას – ცხოველებისა და ფრინველების მოვლა-პატრონობაზე, მათდამი მზრუნველ დამოკიდებულებაზე და ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე.

VII კლასში ფიზიკის გაკვეთილზე თემის „*დიფუზია*“ სწავლებისას მოსწავლეთა ყურადღება უნდა მივაპყროთ ჰაერის, წყლის, ნიადაგების, მცენარეების დაბინძურების მიზეზებზე და ადამიანის სიცოცხლისუნარიანობისათვის ატმოსფეროს სისუფთავის მნიშვნელობაზე. ბავშვებს უნდა ავუხსნათ, რომ სოფლის მეურნეობაში ქიმიკატების გაძლიერებულმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მათი მოხვედრა ბოსტნეულში, ხილში, ბალახში, აქედან რძეში და ა.შ., რაც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ზრდა-განვითარებაზე, მის სიცოცხლისუნარიანობაზე, შთამომავლობაზე, მემკვიდრეობაზე. ქიმიკატები დღეს ერთ-ერთი გლობალური პრობლემაა, რომელიც ემუქრება ყოველი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობას, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს. მაგალითად, ყუბანში მოწეულ ბრინჯის მოსავალში სახელმწიფომ მიიღო მილიარდი მანეთის მოგება, მაგრამ მისი მაღალი მოსავლის მოწევისათვის ქიმიკატების გამოყენებამ ამავე სახელმწიფოს მისცა აზოვის ზღვაზე არსებულ თევზის მეურნეობაში 2 მილიარდი მანეთის დანაკლისი.[1]

დედამიწის მწვანე საფარველი – ტყე ჯანმრელობის

---

[1] *ლ. თავდგირიძე, ეკოლოგიური აღზრდის საკითხები, ბათუმი, 1997, გვ. 96.*

წყაროა.ამიტომ იგი მოითხოვს ადამიანებისაგან მეტ ზრუნვასა და გაფრთხილებას. მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელი მონაცემებით, ყოველ წუთს მთელს მსოფლიოში დაახლოებით ფეხბურთის სტადიონის სიდიდის ტყე იჩეხება. ყოველივე ეს დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, რადგან ბუნებაში ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მაგალითა, ტყის გაჩეხვას მოსდევს წყლების დაშრობა, მეწყერი, ფაუნის განადგურება და სხვა უბედურება, რაც მოსწავლეებს კარგად უნდა გავაცნობიერებინოთ.

მოსწავლეთა ეკოლოგიურ აღზრდაში დიდ როლს ასრულებს ასევე მშობლიური ენა და ლიტერატურა. მარტო **ვაჟა-ფშაველას** ნაწარმოებების *„ხმელი წიფელი“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“* და სხვათა შესწავლა რად ღირს!

დაბოლოს, ეკოლოგიურ აღზრდაში, საკლასო-საგაკვეთილო პროცესთან ერთად, დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა: სასწავლო კონფერენციები, ექსკურსიები, თემატური საღამოები, შეხვედრები ბუნების ქომაგებთან და სხვა. ბავშვებს უნდა გავაცნოთ ვასილ სუხომლინსკისა და ამ საქმეში გამოჩენილ სხვა ადამიანთა მდიდარი გამოცდილება.

ჩვენს ქვეყანაში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მარტო ზემოთ აღნიშნული როდია საკმარისი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასევე როგორც სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში ზოგადი ეკოლოგიის სწავლების შემოღება და ეკოლოგიური ფაკულტეტებისა და ინსტიტუტების გახსნა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შედეგად ადამიანები დარწმუნდებიან, რომ დედამიწაზე სიცოცხლის გახანგრძლივებისა და ჩვენი ფლორისა და ფაუნის გაჯანსაღების მიზნით საჭიროა ჰაერის, ნიადაგებისა და წყლის გაწმენდა-დასუფთავება და მათი დაბინძურების თავიდან აცილება.

თავი XIX

შეგნებული დისციპლინისა და ქცევის კულტურის აღზრდა

1. დისციპლინის არსი, სახეები და მნიშვნელობა

ზნეობრივი აღზრდის სისტემაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი შეგნებული დისციპლინის აღზრდას უჭირავს. იგი ზნეობრივი აღზრდის შედეგია. ასეთი დისციპლინა გააჩნია მხოლოდ ზნეობრივად სრულყოფილ ადამიანს, რომელსაც შესწევს პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამების უნარი, არის აქტიური, ინიციატივიანი და უსამართლობის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი.

სიტყვა „დისციპლინა“ ლათინურია და ნიშნავს მტკიცედ დადგენილ წესს, რომლის აღიარება და დაცვა სავალდებულოა კოლექტივის ნებისმიერი წევრისათვის, რადგან შრომისნაყოფიერების ამაღლება დისციპლინის გარეშე შეუძლებელია.

დისციპლინა ისტორიული ცნებაა. ყოველ საზოგადოებრივ ფორმაციას თავისი დისციპლინა, თავისი კანონ-წესები და მოთხოვნები გააჩნია, რომელთა დაცვის გარეშე წარმოუდგენელია ნორმალური საზოგადოებრივი ურთიერთობა და ცხოვრება. ამ დადგენილი ნორმებისა და კანონ-წესებისადმი საზოგადოების წევრთა დამორჩილება არის დისციპლინა.

დისციპლინა აუცილებელია ნებისმიერ საქმეში და, მით უმეტეს, ისეთ რთულ და საპატიო საქმეში, როგორიცაა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობა. ამიტომ სკოლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მოსწავლეებში შეგნებული დისციპლინისა და ქცევის კულტურის აღზრდა,რაც გულისხმობს მოსწავლეთა მიერ ქცევის წესების დაცვასა და თავიანთი მოვალეობის პირნათლად შესრულებას. **ი. ა.**

კომენსკის სამართლიანი შენიშვნით, *„სკოლა უდისციპლინოდ იგივეა, რაც წისქვილი უწყლოდ“.* ეს საკითხი ი.ა. კომენსკის განხილული აქვს თავის ნაშრომებში: *„კარგად მოწყობილი სკოლის კანონები“, „დიდი დიდაქტიკა“, „პანსოფიური სკოლა“* და სხვა.

„კარგად მოწყობილ სკოლის კანონებს“ იგი იწყებს დისციპლინის განსაზღვრით და სკოლას ადარებს პატარა სახელმწიფოს, რომლის არსებობისა და განვითარების აუცილებელ პირობად მიაჩნია დისციპლინა. მისი აზრით, ვისაც სახელმწიფოს დანგრევა სურს, იგი, უწინარეს ყოვლისა, მასში დისციპლინის მოშლას იწყებს.

სასკოლო დისციპლინაზე ყურადღებას ამახვილებდნენ ასევე *ჟან-ჟაკ რუსო, ჰენრიხ პესტალოცი, ფრიდრიხ ჰერბარტი, კონსტანტინე უშინსკი, იაკობ გოგებაშვილი, ანტონ მაკარენკო, ვასილ სუხომლინსკი* და სხვები, მაგრამ ყოველ მათგანს დისციპლინის აღზრდა თავისებურად ესმოდა.

ცნობილი გერმანელი პედაგოგი და ფსიქოლოგი **ი. ფ. ჰერბარტი** (1776-1841) აუცილებლად მიიჩნევდა ბავშვის მართვას, რაც გულისხმობს მის დაშინებას, უსადილოდ დატოვებას, თავისუფლების შეზღუდვას, ფიზიკურად დასჯას და ამ გზით მისი „ველური სიანცის“ ჩახშობას. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰერბარტის დასჯას წინ უსწრებს გაფრთხილება, რაც მხედველობაშია მისაღები.

დიდი ფრანგი მწერალი და პედაგოგი **ჟან-ჟაკ რუსო** (1712-1778) დისცილინის აღზრდის საკითხში საპირისპირო პოზიციაზე იდგა. იგი უარყოფდა ბავშვის ყოველგვარ დასჯას, იძულებას და მოითხოვდა მისდამი ჰუმანურ დამოკიდებულებას. მისი აზრით, ბავშვი თვითონ ცხოვრებამ, საკუთარმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ უნდა მიიყვანოს დისციპლინისა და წესრიგის დაცვის აუცილებლობის შეგნებამდე, რასაც „ბუნებრივი შედეგების თეორიას“ უწოდებენ.

კ. დ. უშინსკი (1823-1870) სასტიკად ილაშქრებდა მასწავლებლის შიშზე, ბრმა მორჩილებაზე დამყარებული დისციპლინის წინააღმდეგ, რომელსაც საფუძვლად უდევს

პრინციპი: *„გააკეთე, რასაც გეუბნებიან“.*

ა. ს. მაკარენკო (1888-1939) შეგნებულ დისციპლინას *„ბრძოლისა და გადალახვის“* დისციპლინას უწოდებდა. მისი აზრით, დისციპლინა ამშვენებს კოლექტივს. იგი აღზრდის შედეგიცაა და საშუალებაც. ზოგიერთები მას დამჯერებლობას, მორჩილებას უწოდებენ, რასაც არაფერი საერთო არა აქვს შეგნებულ დისციპლინასთან.

„შეგნებული დისციპლინა გულისხმობს სწავლის მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეგნებას, ადამიანთა თანაცხოვრების წესებისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას, მათ უყოყმანოდ შესრულებას, უფროსებისადმი თავაზიან მოპყრობას, მასწავლებლის პატივისცემას, მოხუცებისა და ავადმყოფებისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას, ამხანაგისადმი გულისხმიერებას, თავაზიანობას, დახმარებას, სკოლის, კლასის სახელისა და ღირსების დაცვისა და ამაღლებისათვის ბრძოლის უნარს, სახალხო ქონების გაფრთხილებას, მოვლასა და დაცვას, სისუფთავის, პირადი ჰიგიენის მოთხოვნათა შესრულების ჩვეულებს“. [1]

ცნობილია სასკოლო დისციპლინის სამი ძირითადი სახე: სასწავლო დისციპლინა, პირადი მოვალეობის დისციპლინა და საზოგადოებრივი მოვალეობის დისციპლინა.

სასწავლო დისციპლინაში ძირითადად იგულისხმება მოსწავლეთა მიერ სკოლის შინაგანაწესის დაცვა: საშინაო დავალებების მაღალხარისხოვნად შესრულება, სკოლაში დაუგვიანებლად გამოცხადება, გაკვეთილზე ყურადღებით ყოფნა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვ.

პირადი მოვალეობის დისციპლინა გულისხმობს მოსწავლეთა მიერ პირადი ჰიგიენისა და დღის რეჟიმის დაცვას, მშობლებისა და მოხუცებისადმი საოჯახო-საყოფაცხოვრებო საქმიანობაში დახმარების გაწევას, უფროსებისადმი თავაზიან და მოკრძალებით დამოკიდებულებას და სხვა. იგი დაკავშირებულია თვითმომსახურებასა და საკუთარი თავის პატივისცემასთან, თავმოყვარეობასთან.

---

1 გ. საყვარელიძე, დისციპლინა სკოლაში, თბ., „განათლება“, 1977, გვ. 29-30.

ოჯახში ბავშვს მშობელმა პატარაობიდანვე უნდა შეაგნებინოს, რომ „უსუფთაო და მოუწესრიგებელი ადამიანი პატივისცემას არ იმსახურებს და ვერც შესაფერის ადგილს დაიმკვიდრებს საზოგადოებაში, თუნდაც მას ბევრი სხვა დადებითი თვისებებიც ჰქონდეს“.[1]

საზოგადოებრივი მოვალეობის დისციპლინაში კი იგულისხმება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წესრიგის დაცვა, პასუხისმგებლობის გრძნობა, თანაკლასელებთან, სკოლის ყველა მოსწავლესთან და, საერთოდ, ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობა. ასევე საზოგადოებრივი დავალებების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულება. ჩვენ ვზრდით არა მარტო ბეჯით, არამედ აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე ახალგაზრდებს, რაც მოითხოვს პიროვნების მაღალ შეგნებას და ზნეობრივ სრულყოფას.

2. დისციპლინის აღზრდის გზები და საშუალებანი

დისციპლინის საფუძველი ზნეობრივი შეგნებაა. შეგნების გარეშე დისციპლინა წარმოუდგენელია. ამიტომ მას შეგნებულ დისციპლინას უწოდებენ. პიროვნება ან დისციპლინირებულია ან უდისციპლინო.

დისციპლინა, როგორც ზნეობრივი მოვლენა, უნდა გამომდინარეობდეს შეგნებიდან, იმის სრული გაგებიდან, თუ რა არის დისციპლინა და რისთვის არის იგი საჭირო. **ა. მაკარენკო** წერდა: *„ჩვენ უფლება გვაქვს დისციპლინირებული ვუწოდოთ მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელიც ყოველთვის, ყოველგვარ პირობებში შეძლებს გამონახოს წესიერი, საზოგადოებისათვის ყველაზე უფრო სასარგებლო მოქმედება და გამოიჩენს სიმტკიცეს – ბოლომდე განაგრძოს ასეთი მოქმედება, ყოველგვარი სიძნელისა და უსიამოვნების მიუხედავად“. 2*

---

1 ზ. ცუცქირიძე, ლექციების კურსი პედაგოგიკაში, I ნაწილი, თბ., 1997, გვ. 279.

2 ა. ს. მაკარენკო, თხზ., ტ. IV, თბ., 1973, გვ. 367.

მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის აღზრდა, უწინარეს ყოვლისა, ხორციელდება სწავლების პროცესში. *გაკვეთილი* მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცების საუკეთესო საშუალებაა. იგი აჩვევს მოსწავლეებს წესრიგს, დისციპლინას, აზროვნებას, უვითარებს მეხსიერებას, ნებისყოფას, ასწავლის საკუთარი თავის მართვას და სხვა თვისებას. არ არსებობს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არცერთი საგანი, რომელიც ხელს არ უწყობდეს მოსწავლეებში შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას, მაგრამ ამ მხრივ ჰუმანიტარულ, საზოგადოებრივ მეცნიერებებს ვერც ერთი ვერ შეედრება. დაწყებით კლასებში მშობლიური ენის გაკვეთილებზე მოსწავლეები სწავლობენ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ხელს უწყობენ მათში სიბეჯითის, შრომისმოყვარეობის, ნებისყოფის, დისციპლინისა და სხვა თვისებების აღზრდას. ასეთი ნაწარმოებებია: *„თხა და გიგო“, „ჯერ შრომა, მერე ხტომა“, „ყინვა და პატარა მოწაფე“, „წამოდექით, ყმაწვილებო“, „დედის დარიგება“, „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“, „გამრჯე ხელები“, „ოჯახის გამხარებელნი“* და სხვ.

ისტორიის გაკვეთილებზე მოსწავლეები რწმუნდებიან, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლაში ხალხთა დამარცხების ძირითადი მიზეზი იყო მათი შეუთანხმებლობა და დაქსაქსულობა. იგივე ითქმის ზოგჯერ ქართველი ხალხის მარცხზე დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში, როცა *„კახელების აღმა ხნული, ქართლელებმა დაღმა ფარცხეს“.*

გაკვეთილი მხოლოდ მაშინ შეუწყობს ხელს მოსწავლეებში დისციპლინის აღზრდას, როცა იგი ტარდება გეგმიანად და ორგანიზებულად. დაუშვებელია გაკვეთილის დაწყება ხმაურში. მოსწავლეები უნდა დავაწყნაროთ, ჩავაყენოთ ნორმალურ, მშვიდ მდგომარეობაში და შემდეგ უნდა შევუდგეთ მუშაობას, თორემ ხმაურში დაწყებული გაკვეთილი ხმაურითვე დამთავრდება. მოსწავლეებს უნდა წავუყენოთ მოთხოვნა, რომ მერხებზე არ ედოთ ის სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები, რომლებიც იმ გაკვეთილებზე არ სჭირდებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაკვეთილზე ადგილი ექნება უწესრიგობას.

ერთი და იგივე მოთხოვნების სისტემატური წაყენებითა და ვარჯიშით უნდა შევაჩვიოთ მოსწავლეები გაკვეთილზე სწორად ჯდომას, დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისათვის ხელის სწორად აწევას, ყურადღებით ყოფნას, გაკვეთილზე დაგვიანების შემთხვევაში საკლასო ოთახში მხოლოდ მასწავლებლის ნებართვის შემდეგ შესვლას და ა.შ.

ვარჯიშით უნდა შევაჩვიოთ მოსწავლეები ასევე გაკვეთილების შემდეგ უხმაუროდ გარეთ გასვლასა და შემოსვლას, რასაც თან უნდა ახლდეს მოკლე ახსნა-განმარტება და საუბარი ამა თუ იმ ქცევის მიზანშეწონილობის შესახებ. აკადემიკოსი შალვა ამონაშვილი წერს:

„ერთ-ერთ დასვენებაზე მასწავლებელმა (დოდო მახარაძე — თბილისის №10 საშუალო სკოლის ექსპერიმენტული I კლასის მასწავლებელი — **ნ. ბ.**) მოსწავლე ვაჟებს სთხოვა კლასში დარჩენილიყვნენ, გოგონებს კი — დერეფანში გასულიყვნენ. ბიჭებთან ასეთი საუბარი გაიმართა:

— ხომ არ დაგითვლიათ რამდენი გოგონაა ჩვენს კლასში?

— არა! — უპასუხეს ბიჭებმა.

— ისინი თექვსმეტნი არიან... თქვენ კი ვინა ხართ?

ბავშვებმა არ იციან რა თქვან.

— ჩვენ ბიჭები ვართ! — თქვა ერთმა.

— არა, თქვენ უბრალოდ ბიჭები კი არა, ვაჟკაცები, მამაცი, მომთმენი და ძლიერი ადამიანები ხართ! მაჩვენე შენი კუნთები!

ბიჭი მომუშტულ მარჯვენა ხელს ღუნავს, სახე ეძაბება. მასწავლებელი ინტერესით უსინჯავს კუნთებს.

— ოჰო, მაგარი კუნთები გქონია! — სერიოზულად ამბობს იგი, — აბა, შენი მაჩვენე!

ასე უსინჯავს იგი კუნთებს ყველა ბიჭსა და აღფრთოვანებას გამოხატავს მათი სიძლიერის გამო.

— ხომ გითხარით, ძლიერები ხართ-მეთქი! ძლიერი კი ყოველთვის იცავს სუსტს, ეხმარება მას, უთმობს. მაშ, ვის გაუფრხილდებით და დაიცავთ კლასში?

— გოგონებს! — პასუხობენ ბიჭები.

— მოდით, დავადგინოთ შემდეგი ვაჟკაცური წესები:

— არასოდეს ვაწყენინოთ გოგონებს, გავუფრთხილდეთ, დავეხმაროთ მათ! თანახმა ხართ?

— დიახ!

— კლასში შესვლისა და კლასიდან გამოსვლისას გზა დაუთმეთ გოგონებს. თანახმა ხართ?

— დიახ!

შემდეგ მასწავლებელი ყოველ გაკვეთილზე ზარის წინ აფრთხილებდა ბავშვებს:

— ბიჭებო, გახსოვდეთ, რომ თქვენ ვაჟკაცები ხართ!“ [1]

ანალოგიური საუბრები გაიმართა გოგონებთანაც. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ვაჟებსა და გოგონებს შორის სწორი ურთიერთდამოკიდებულების ფორმირებას, საბოლოო ჯამში კი მათგან ჭეშმარიტი მამულიშვილების ჩამოყალიბებას.

მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის აღზრდაში ასევე დიდ როლს ასრულებს ***დღის რეჟიმი.*** სწორად შედგენილი დღის რეჟიმი და მისი დაცვა აჩვევს მოსწავლეებს წესრიგსა და დისციპლინას: დილით ადრე ადგომას, ხელ-პირის დაბანას, სკოლაში დროზე წასვლას, გაკვეთილების შემდეგ დროზე შინ დაბრუნებას, სადილობას, სადილობის შემდეგ დასვენებასა და გაკვეთილების მომზადებას, ვახშმობასა და დროზე დაწოლას. დღის დადგენილი რეჟიმის განუხრელი შესრულება უმუშავებს მოსწავლეს ჩვევას, რაც დროთა განმავლობაში მოთხოვნილებად, ჩვეულებად ექცევა. ეს კი დისციპლინის აღზრდის საუკეთესო საშუალებაა.

დღის რეჟიმი ყველა მოსწავლეს განსხვავებული უნდა ჰქონდეს, მათ შორის ტყუპებსაც კი, რადგან ისინიც ზოგჯერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დღის რეჟიმს უდგენს მოსწავლეს კლასის ხელმძღვანელი მშობლებთან ერთად. ამ დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მოსწავლის ასაკი, ოჯახური პირობები, ინდივიდუალური თა-

---

[1] *შ. ამონაშვილი, ურთიერთობა და აღზრდა, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1983, №12, გვ. 8.*

ვისებურებანი და სხვა. იგი უნდა იცვლებოდეს მოსწავლის ასაკის მატებასთან და ოჯახური პირობების შეცვლასთან ერთად ან მისი სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში.

რეჟიმის დაცვას უნდა ვაჩვევდეთ ბავშვებს ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში. და თუ ამას მივაღწევთ, ეს ხელს შეუწყობს მომავალ მოსწავლეებში წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას, რაც მათი კარგი სწავლის საწინდარია. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი მშობელი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. დაწყებითი კლასების მოსწავლეები, ნაცვლად იმისა, რომ საღამოს 9 საათზე დაწვნენ დასაძინებლად, ზოგჯერ 12 საათამდე და უფრო გვიანობამდეც ტელეგადაცემებს უყურებენ, მშობლები კი ამას არ უკრძალავენ.

დღის რეჟიმის დაცვა მაშინ უწყობს ხელს შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას, როცა მოსწავლეს კარგად გაცნობიერებული აქვს მისი მნიშვნელობა და მოთხოვნილებად აქვს იგი გადაქცეული. ამაში კი დიდი როლი უნდა შეასრულონ პედაგოგებმა. სკოლაში მიღების პირველი დღეებიდანვე მათ უნდა წაუყენონ მოსწავლეებს გარკვეული მოთხოვნები, რაც მათი ასაკის კვალობაზე თანდათან იზრდება, ღრმავდება და სრულყოფილი ხდება. მომთხოვნელობის გარეშე დისციპლინის დანერგვა და მისი განმტკიცება შეუძლებელია.

მოსწავლეებში შეგნებული დისციპლინის ფორმირებაში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ***მოსწავლეთა ქცევის წესებს,*** რომელსაც *„წესები მოსწავლეთათვის“* ეწოდება. იგი პირველად შემოღებულ იქნა დიდი სამამულო ომის წლებში, კერძოდ, 1943 წელს, ხოლო 1961 წელს მიღებულ იქნა ახალი „ქცევის წესები“, ცალკეული ასაკობრივი პერიოდების მიხედვით. დღეს სკოლის დირექციას უფლება აქვს შეადგინოს ქცევის ისეთი წესები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი პირობები, სკოლაში დამკვიდრებული ნორმები და ადათ-წესები.

„მოსწავლეთა ქცევის წესებს“ კლასის ხელმძღვანელი, ლამაზად გაფორმებულს და ჩარჩოში ჩასმულს, ჰკი-

დებს საკლასო ოთახში თვალსაჩინო ადგილას, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ შეგნებულად და დაიცვან ყოველდღიურ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ზოგჯერ მოსწავლემ ზეპირად იცის ქცევის წესები, მაგრამ არ ასრულებს. ეს ხდება იმიტომ, რომ წესები მას დაზეპირებული აქვს და არა შეგნებულად და გააზრებულად შეთვისებული, ანდა, არაა დარწმუნებული მათი დაცვის აუცილებლობაში. ასეთ შემთხვევაში პედაგოგი ვალდებულია შეახსენოს მოსწავლეს წესების ის მუხლი, რომელიც მან დაარღვია და აიძულოს იგი, მოიქცეს ისე, როგორც ამას „ქცევის წესები“ მოითხოვს.

ნამდვილ დისციპლინასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა მოსწავლეს შეგნებული და გაცნობიერებული აქვს მისი სიკეთე და დაცვის აუცილებლობა. ამაში გადამწყვეტი როლი მასწავლებელს – კლასის ხელმძღვანელს ენიჭება. მან უნდა გააცნოს მოსწავლეებს „ქცევის წესები“ და აუხსნას თითოეული სიტყვისა და გამოთქმის მნიშვნელობა. ასეთი მუშაობა საჭიროა განსაკუთრებით დაწყებით კლასებში. მაგრამ მარტო ეს როდია საკმარისი. გარდა ამისა, საჭიროა დაწყებითი კლასების მოსწავლეების სისტემატური ვარჯიში წესებით გათვალისწინებული ნორმების დაცვაში, რათა მათი შესრულება ბავშვებს ჩვევად და შემდეგ მოთხოვნილებად ექცეთ.

„მოსწავლეები ისე უნდა შევაჩვიოთ ახალ მოთხოვნათა შესრულებას, – წერდა **ა. მაკარენკო,** *– რომ მათ ყოველთვის აღარ დაიწყონ გონებაში ახალი ქცევისათვის საჭირო პასუხის ძიება“.*[1] მისივე აზრით, ისე უნდა მოვაგვაროთ საქმე, რომ მოსწავლე *„არასასიამოვნოს სიამოვნებით აკეთებდეს“.*

მოსწავლეებში შეგნებული დისციპლინის აღზრდაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე *სკოლის შინაგანაწესის დაცვასა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.* სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ბევრი სკოლა, რომელსაც არ გააჩნია სპორტული მოედნები და დარბაზები,კეთილმოწყობილი სა-

---

[1] *Макаренко А. С. Соч., т. 5, М., 1958, с. 444.*

ხელოსნოები და კაბინეტ-ლაბორატორიები, ხელსაწყო-იარაღები, კომპიუტერები და ა.შ., რაც იწვევს გაკვეთილზე მოსწავლეთა ხმაურსა და წესრიგის დარღვევას. ჯერ კიდევ შეხვდებით ზოგიერთი სოფლის სკოლას, რომელიც ხის შენობაშია მოთავსებული, ერთი საკლასო ოთახიდან მეორეში ისმის ხმა და ხელს უშლის მასწავლებელს გაკვეთილის ნორმალურად წარმართვაში.

საკლასო მუშაობის გარდა, შეგნებული დისციპლინის აღზრდაში შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული ***კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის*** ისეთი ფორმები, როგორიცაა: მოსწავლეთა მონაწილეობა სხვადასხვა სახის წრეებში, ეთიკური საუბრები, რჩევა-დარიგებანი, ლექცია-მოხსენებები, ექსკურსიები,შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და სხვა.

მოსწავლეებში შეგნებული დისციპლინის აღზრდას ხელს უწყობს აგრეთვე დისკუსიების ჩატარება შემდეგ თემებზე: *„ვის შეიძლება ეწოდოს ნამდვილი მეგობარი“, „რა არის სიყვარული“, „რატომ გვიყვარს მშობლები“, „როგორ ადამიანს ეწოდება დისციპლინირებული“* და ა.შ.

დისციპლინის აღზრდაში ნაყოფიერია ასევე ბავშვთა ჩაბმა საოჯახო და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. იგი აყალიბებს ისეთ თვისებებს, როგორიცაა: ურთიერთდახმარება, პასუხისმგებლობის გრძნობა, საკუთარი თავის მართვა და ა.შ.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ამ საქმეში უფროსების, განსაკუთრებით კი, ***მშობლებისა და მასწავლებლების, პირად მაგალითს,*** მათ მორალურ სახეს. თუ მშობელი ან მასწავლებელი აგვიანებს სამუშაოზე, წესიერად არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, ზარმაცი და მცონარაა, ცხადია, მისი აღზრდილიც ასეთი იქნება.

პირადი მაგალითის ეფექტურობა განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში, რადგან ამ ასაკის მოზარდები ცოდნა-გამოცდილებას ძირითადად მიბაძვის გზით იძენენ. ამიტომ მათთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აღმზრდელების – მშობლებისა და მასწავლებლების პირად

მაგალითს, მათი საერთო ცხოვრების წესს.

დარწმუნებისა და პირადი მაგალითის გარდა, დისციპლინის აღზრდაში შეიძლება გამოვიყენოთ ახსნა-განმარტება, რჩევა-დარიგება, თხოვნა და სხვა, მაგრამ ყველაფერში საჭიროა ზომიერების დაცვა. რჩევა-დარიგება არ უნდა გადაიქცეს გაუთავებელ ჭკუის სწავლებად, რეზონიორობად. ამით მხოლოდ თავს მოვაბეზრებთ ბავშვებს და სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ არ ახლავს ვარჯიში.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება წახალისებისა და დასჯის მეთოდების გონივრულად გამოყენებას. მათ შესახებ დაწვრილებით საუბარია აღზრდის მეთოდებში. ამიტომ მათზე აქ ყურადღებას არ გავამახვილებთ.

ბოლოს, მოსწავლეებში დისციპლინის განმტკიცებას ხელს უწყობს ის ***კოლექტივი,*** რომლის წევრებიც ისინი არიან. მტკიცე, ორგანიზებულ კოლექტივში წესრიგს ვერავინ დაარღვევს, რადგან თვით კოლექტივი იცავს მისი ყოველი წევრის დისციპლინას. იგი გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს კოლექტივის წევრებს და ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში პიროვნება ისჯება. ამის საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენა ა.ს. მაკარენკომ მ. გორკის სახელობის კოლონიასა და ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის შრომით კომუნაში..

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ შეგნებული დისციპლინის აღზრდაში დიდ როლს ასრულებს პიროვნების ნებისყოფა და მისი თვითაღზრდის უნარი, ვინაიდან *„არავის ძალუძს აღზარდოს ის ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს არ ზრდის“ (ვ. სუხომლინსკი).*

3. ქცევის კულტურის აღზრდა

დისციპლინა თავის გამოხატულებას პოულობს ქცევის კულტურაში. „კულტურა“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ღრმად განათლებულობას, მრავალმხრივი ცოდნის შეთვისებას, მოწინავე საზოგადოების მიერ შემუშავებულ, საყოველთაო ნორმად აღიარებულ „კარგი“ ტო-

ნის მანერების შესაბამისად მოქცევასა და ერუდირებას გულისხმობს“. [1]

კულტურა მოიცავს პიროვნების როგორც შინაგან, სულიერ, ისე მის გარეგან მხარეს. *„გარეგანი სიწმინდე და მოხდენილობა უნდა იყოს შინაგანი სიწმინდისა და სილამაზის გამოხატულება“* **(ბ.ბელინსკი)**. ამის გარეშე ყოველგვარი ქცევა მოჩვენებითია.

სამწუხაროდ, მოსწავლეთა ერთ ნაწილში შეინიშნება ქცევის კულტურის გარეგანი მხარისადმი, მოჩვენებითობისადმი მიდრეკილება. მოსწავლის კულტურული ქცევის საუკეთესო მაჩვენებელია მისი დამოუკიდებელი მოქმედება, ე. ი. როდესაც იგი კარგად იქცევა ყოველგვარი კონტროლისა და შემოწმების გარეშე, როცა მას თავზე არავინ ადგას და მის ქცევას ვერავინ შეაფასებს.

თანამედროვე გაგებით, კულტურა თავის თავში მოიცავს მაღალ განათლებულობას, ფართო ერუდიციას, რაც, უწინარეს ყოვლისა, სწავლის გზით შეიძინება. თუ პიროვნება სისტემატურად არ იმაღლებს თავისი ცოდნის დონეს, იგი მხარს ვერ აუბამს ცხოვრებას. ცოდნის დაუფლების ძირითადი კერა კი სკოლაა. მასწავლებელმა სკოლაში მიღების პირველი დღეებიდანვე უნდა ასწავლოს ბავშვს სწავლა, წიგნზე მუშაობა და დამოუკიდებლად ცოდნის შეძენა. მაგრამ მარტო ეს როდია საკმარისი. ამასთან ერთად, მას უნდა ვესაუბროთ სკოლაში, ოჯახში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ქცევის წესებზე, ჰიგიენაზე, კარგი ქცევის მანერებზე და ა.შ. ამ საქმეში სკოლამ უნდა ჩააბას ოჯახიც და ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედებით უნდა გამოუმუშაოს ბავშვებს ქცევის მაღალი კულტურა, რომელიც მოიცავს პიროვნების ფორმირების მრავალ ასპექტს. დღეს ძალზე ბევრს ლაპარაკობენ მეტყველების, ჩაცმა-დახურვის, მოსმენის, სუფრასთან მოქცევის, ქუჩაში მოძრაობის კულტურაზე და ა.შ. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

---

[1] *ტ. სარიშვილი, სტუდენტთა კულტურული ყოფაქცევის ფორმირებისათვის, თბ., 1979, გვ. 6.*

მეტყველების კულტურა.კულტურული ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა გამართული, სწორი მეტყველება. ბავშვებში ასეთი მეტყველების გამომუშავება ენის ამოდგმისთანავე უნდა დავიწყოთ და ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ისინი სწორად და გამართულად ლაპარაკობდნენ. საუბრის დროს დაუშვებელია ზედმეტი ემოციები, მანჭვა-გრეხა, უხეში, ვულგარული, უცენზურო სიტყვების ხმარება, მოსაუბრისათვის სიტყვის შეწყვეტინება, საუბრის დამთავრებამდე შეკითხვის მიცემა, უფროსებისადმი შენობით მიმართვა და ა.შ., რაც პიროვნების ავტორიტეტს ლახავს და ჩრდილს აყენებს მას საზოგადოების თვალში. ასეთი პიროვნება ასაკით მასზე უფროსს, თავაზიანი სიტყვების ნაცვლად – „მობრძანდით“, „მიირთვით“, „დაბრძანდით“ და სხვა, ეუბნება: „მოდით“, „ჭამეთ“, „დაჯექით“ და ა.შ. ზოგჯერ ამ სიტყვებს იგი მხოლოობით რიცხვში ხმარობს. ყოველივე ეს მისი მეტყველების კულტურის დაბალი დონის მაჩვენებელია, რასაც დროზე უნდა მიაქციონ ყურადღება მშობლებმაც და მასწავლებლებმაც.

ჩაცმა-დახურვის კულტურა. სუფთად, კოხტად და ლამაზად ჩაცმულობა ადამიანის კულტურის ერთ-ერთი მაჩვენებელია. აუცილებელი არ არის, რომ მოსწავლეს ეცვას ძვირფასი ტანისამოსი, მთავარია იგი იყოს მორგებული, კოხტა და სუფთა. ბავშვებში პატარაობიდანვე უნდა აღვზარდოთ ესთეტიკური გრძნობები – სილამაზის, მშვენიერების აღქმისა და განცდის უნარი. დაუშვებელია მოსწავლეს სკოლასა და ოჯახში ერთი და იგივე ტანსაცმელი ეცვას. სკოლიდან შინ დაბრუნებისთანავე იგი უნდა იცვლიდეს სკოლის ტანისამოსს და საშინაოს იცვამდეს. როგორც საგარეო, ისე საშინაო ტანსაცმელი მას მუდამ „საბრძოლო მზადყოფნაში“ უნდა ჰქონდეს.

ზოგიერთი სკოლადამთავრებული ახალგაზრდა თავს იწონებს თავისი უცნაური ჩაცმულობით,თმის ვარცხნილობით, ოქრო-ვერცხლით და ა.შ., რაც უგემოვნების ნიშანია.

სუფრასთან მოქცევის კულტურა. ყოველმა კულტურულმა ადამიანმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ჭამა-სმა-

საც თავისი წესები და ნორმები აქვს. მოსწავლეებს უნდა შევაგნებინოთ, რომ დაუშვებელია ხმაურით ჭამა, სუფრასთან უწმაწური სიტყვების ხმარება და ანეკდოტების მოყოლა, მაგარი სასმელების მიღება და გამოთრობა, ჭამის დროს ზედმეტი ლაპარაკი და ა.შ.

ქუჩაში მოძრაობის, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის და თავშეყრის ადგილებში მოქცევის კულტურა. *კულტურული* მოქცევა ქუჩაში, უპირველეს ყოვლისა, მოძრაობის წესების დაცვას გულისხმობს. ადამიანი უნდა გადადიოდეს მხოლოდ გადასასვლელზე და ისიც მაშინ, როცა გზა გახსნილია, მიდიოდეს ტროტუარის მარჯვენა მხარეს, გზა დაუთმოს სწრაფად მომავალს. დაუშვებელია ქუჩის გადაკვეთა იქ, სადაც მიწისქვეშა გადასასვლელია, ტრანსპორტში უბილეთოდ მგზავრობა, მზესუმზირის, მანდარინის, ვაშლის, მსხლის თუ სხვა ხილის ჭამა, კევის ღეჭვა, სიგარეტის მოწევა, ხმამაღალი სიცილი და ა. შ. მოსწავლემ ტრანსპორტში ადგილი უნდა დაუთმოს მოხუცებს, ქალებს, ინვალიდებს, ასაკით უფროსებს, ასვლა-ჩამოსვლისას ხელი უნდა შეაშველოს მათ და ა.შ.

ბავშვებს პატარაობიდანვ უნდა ვასწავლოთ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი კინოში, თეატრში, ტოლ-მეგობრებთან, სუფრასთან და ა.შ. *კულტურული* მოქცევა კინოში, თეატრში, კონცერტზე გულისხმობს იმას, რომ იგი იჯდეს წყნარად, ხელი არ შეუშალოს სხვას, აღტაცება არ გამოხატოს მეტისმეტად ხმამაღლა, ილაპარაკოს ხმადაბლა, გარდერობთან დაიცვას რიგი, კარებში გაატაროს უფროსები, გამოვიდეს მოკრძალებით, სხვების შეუწუხებლად და ა.შ.

მოსმენის კულტურაც ყოფაქცევის კულტურის ნიშანია. სამწუხაროდ, ყველას როდი ესმის ეს. ზოგიერთი ახალგაზრდა თავად ბევრს ლაპარაკობს, სხვას კი არ აცლის ლაპარაკს ან არ უსმენს. ასეთ ახალგაზრდას უნდა შევახსენოთ ჭკვიანი კაცის ნათქვამი: *„სიტყვა ვერცხლია, დუმილი კი ოქრო“.* მასწავლებლისადმი, უფროსისადმი ყურისგდება მაღალკულტურულობის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისებაა. *„ბუნებამ მოგვცა ორი ყური და ერთი პირი*

იმისათვის, რომ ცოტა ვილაპარაკოთ და ბევრი მოვის-სმინოთ“, — გვასწავლის ხალხური სიბრძნე.

ესთეტიკური კულტურა საერთო კულტურის ნაწილია. იგი მჟღავნდება ყველაფერში — ჩაცმა-დახურვაში, ჰიგიენის დაცვაში, ოთახში დგამ-ავეჯისა და ნივთების განლაგებაში და სხვა. ზოგიერთი ახალგაზრდა მეტ ყურადღებას უთმობს საკუთარი თავის მორთვას, მაგრამ ნაკლებად ზრუნავს საცხოვრებელი ბინის წესრიგზე,სისუფთავესა და ესთეტიკურ მხარეზე, უწესრიგოდ უყრია წიგნები და ტანსაცმელი, წესიერად ან საერთოდ არა აქვს დალაგებული საწოლი და ა.შ.

შეიძლებოდა ყოფაქცევის კულტურის სხვა მხარეებზეც ყურადღების გამახვილება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

აღნიშნულ თემაზე ახალგაზრდებთან საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ *„არაფერია იმაზე უფრო უსარგებლო და საზიანოც კი, როგორც თუნდაც საუკეთესო რჩევა-დარიგებანი, თუ ეს რჩევა-დარიგებანი განმტკიცებული არ არის მაგალითებით, თუ ისინი მოწაფის თვალში გამართლებული არ არის მისი გარემომცველი სინამდვილის მთელი ერთობლიობით“.* [1]

---

[1] *ბ. ბელინსკი, რჩეული პედ. თხზ., თბ., 1950, გვ. 115.*

თავი XX

შრომითი აღზრდა

1. შრომითი აღზრდის როლი და მნიშვნელობა

ჩვენი ქვეყნის ახალ საზოგადოებრივ წყობასა და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ მოითხოვა შრომისადმი ახლებური დამოკიდებულება, რაც, უწინარეს ყოვლისა, უნდა აისახოს მოზარდი თაობის შრომისათვის მომზადების საქმეში, უნდა შეიცვალოს შრომისადმი ძველებური, კომუნისტური დამოკიდებულება. განსაკუთრებით ეს ეხება მოსწავლეთა შრომით აღზრდასა და მათ შრომით საქმიანობაში ჩაბმას. ყოფილ საბჭოთა კავშირში, აღნიშნავს აკადემიკოსი **ნათელა ვასაძე**, *„ოფიციალურადაც კი აიკრძალა მოსწავლეთა შრომა, იგი კაპიტალიზმის გადმონაშთად იქნა მიჩნეული და ეს მაშინ, როდესაც თავად კაპიტალისტურ სამყაროში მოსწავლის შრომა ჩვეულებრივი ამბავია. ამერიკის სკოლების უფროსკლასელები, ყოველი 10-დან 7, სწავლას მუშაობას უთავსებს, საზაფხულო არდადეგებზე კი თითქმის ყველა შრომობს, მიუხედავად ოჯახური მდგომარეობისა“.*[1] მართალია, მოსწავლეთა უპირველესი მოვალეობა არის სწავლა, გონებრივი შრომა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი პატარაობიდან არ ვაზიაროთ ფიზიკურ შრომას და ამ შრომაში მიღწეული წარმატებებით გამოწვეულ სიხარულს. საამისოდ საჭიროა თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირი, სწავლების აღმზრდელობითი ფუნქციის გაძლიერება, თორემ შემდეგ, როგორც იტყვიან, გვიან იქნება თითზე კბენანი, წამხდარ საქმეს არაფერი ეშველება.

შრომას დიდი ყურადღება ექცეოდა ყველა დროსა და

---

[1] *ნ. ვასაძე, პედაგოგიკა, თბ., 2000, გვ. 217.*

ეპოქაში. ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების დროს თემის უფროსი წევრები პატარა ბავშვებს ასწავლიდნენ საარსებო საშუალებების მოპოვებას. ისინი ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ტყეში და აგროვებდნენ ყველა იმას, რისი გამოყენებაც შეიძლებოდა საკვებად. ამ დროს ხდებოდა მათი სწავლება და აღზრდა. არავითარი შრომის იარაღი მათ არ გააჩნდათ და, ცხადია, რომც ჰქონოდათ, მათი გამოყენებაც არ იცოდნენ.

მონათმფლობელური წყობილების დროს ფიზიკური შრომა მხოლოდ მონების მოვალეობად იქცა, მონათმფლობელები და მათი შვილები კი შრომას სათაკილო საქმედ მიიჩნევდნენ. ამიტომაც იყო, რომ იმდროისათვის შრომით აღზრდაზე არავინ საუბრობდა. პირველი, ვინც მიუთითა შრომის უდიდეს გამაკეთილშობილებელ როლსა და მნიშვნელობაზე, იყო ანტიკური ხანის დიდი მოაზროვნე **დემოკრიტე,** მაგრამ მის მოსაზრებებს ყური არავინ ათხოვა.

იგივე მდგომარეობა იყო ფეოდალური წყობილების დროს. იმ ეპოქაშიც ფიზიკური შრომა მხოლოდ ყმა გლეხების მოვალეობა იყო, თავადაზნაურები კი მას თავს არიდებდნენ და ყმა გლეხების ხარჯზე ცხოვრობდნენ.

პიროვნების ფორმირებაში შრომის როლის აღიარება და დასაბუთება მოხდა მხოლოდ ბურჟუაზიული წყობილების გარიჟრაჟზე. შრომა ადამიანობის საფუძვლად და ფაქტორად ამ ეპოქაში ყველაზე ადრე **ტომას მორმა** გამოაცხადა თავის სოციალურ რომანში „უტოპია“. მართლაც, შრომასთანაა დაკავშირებული ყოველივე ის, რაც კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე შეუქმნია და დაუგროვებია მატერიალური თუ სულიერი კულტურის სფეროში. მხოლოდ შრომით მიაღწია ადამიანმა სრულქმნილების იმ დონეს, რომელზედაც მან შეძლო შეექმნა ხელთუქმნელი ძეგლები ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში მსოფლიოში სახელგანთქმულ ამერიკელ მეცნიერ **ედისონს,** როცა ამბობდა: *გენიოსობა 95 პროცენტი შრომაა და 5 პროცენტი ნიჭიო.*

დიდმა ფრანგმა პედაგოგმა, მწერალმა და განმანათლე-

ლებელმა **ჟან-ჟაკ რუსომ** ფიზიკური შრომა საზოგადოების ყველა წევრისათვის სავალდებულოდ გამოაცხადა, განურჩევლად მათი წოდებრივი კუთვნილებისა და ქონებრივი მდგომარეობისა. მისი აზრით, ის, ვინც სხვისი შრომის ხარჯზე ცხოვრობს, ქურდი და პარაზიტია. ამიტომ ყველა ზრდადასრულებულმა ადამიანმა საკუთარი შრომით უნდა იცხოვროს.

რუსო იმდენად დიდ როლს ანიჭებდა შრომას პიროვნების ფორმირებაში, რომ მშრომელთა შვილების აღზრდას საჭიროდ არ მიიჩნევდა. მათ შრომა ზრდისო, ამბობდა იგი.

შრომის დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობაზე მიუთითებდა აგრეთვე გამოჩენილი შვეიცარიელი პედაგოგი **ჰენრიხ პესტალოცი.** თავის სოციალურ-პედაგოგიკურ რომანში *„ლინჰარდი და ჰერტრუდა“* იგი დიდ ადგილს უთმობს შრომითი აღზრდის საკითხებს. მან პრაქტიკულად სცადა სწავლების შერწყმა მწარმოებულ შრომასთან. რომანში დიდ პედაგოგს მოჰყავს თვალსაჩინო მაგალითები იმისა, თუ როგორ მუშაობენ ბავშვები საქსოვ დაზგასთან, როგორ ამუშავებენ სასკოლო მიწის ნაკვეთს და ა.შ.

თავის ნაშრომში *„შრომის ფსიქიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა“* **კ.დ. უშინსკიმ** გვიჩვენა, რომ შრომა არის არა მარტო მატერიალური ფასეულობის შექმნის ძირითადი საშუალება, არამედ ადამიანის ბედნიერებისა და მისი ჰარმონიული განვითარების ფაქტორიც. ვისაც მისი ბედნიერება სურს, დასძენს უშინსკი, უნდა მოამზადოს იგი არა ბედნიერებისათვის, არამედ შრომისათვის და ეს მოუტანს მას ცხოვრებაში ბედნიერებას. იგი წერდა: *„...მძიმე შრომის შემდეგ... ცაც უფრო ნათელი, მზეც უფრო კაშკაშა და ადამიანებიც უფრო კეთილნი მოსჩანან“.*[1] მისი აზრით, შრომა ადამიანის განვითარების არა მარტო აუცილებელი პირობაა, არამედ იმის აუცილებელი პირობაც, რომ მან შეინარჩუნოს ის ღირსება, რასაც შრომის წყალობით მიაღწია. კიდევ მეტი, უშინსკიმ შრომა არა მარტო ადამიანის, არამედ მთელი საზოგადოების განვითარე-

[1] *კ. დ. უშინსკი, რჩეული პედ. თხზ., თბ. 1974, გვ. 174.*

ბის წინა პირობად და საფუძვლად მიიჩნია. *„...ადამიანებს რომ ეპოვნათ ზღაპრული ტომარა, – წერს იგი, – საიდანაც ცვივა ყოველივე, რასაც კი კაცი ინატრებს, ან რომ გამოეგონათ ისეთი მანქანა, რომელიც სრულიად შეცვლიდა ადამიანის ყოველგვარ შრომას,...მაშინ შეწყდებოდა კაცობრიობის განვითარება, გარყვნილებასა და ველურობაში ჩაეფლობოდა საზოგადოება“...*[1] ტროპიკულმა ჰავამ, აღნიშნავს იგი, ადამიანი დატოვა შიშველი და ველური.

შრომის გამაკეთილშობილებელი როლი პრაქტიკულად გვიჩვენა **ა. ს. მაკარენკომ** მ. გორკის სახელობის კოლონიასა და ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის შრომის კომუნაში. მან ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო შრომის წყალობით შეძლო ასობით გზასაცდენილი და ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი ახალგაზრდის სწორ გზაზე დაყენება. უშინსკის მსგავსად, მაკარენკოსაც შრომა ბედნიერების წყაროდ მიაჩნდა. ჩვენ ყველამ ვიცით, ამბობდა იგი, როგორ ბედნიერად და საამურად ცხოვრობენ ის ადამიანები, რომლებსაც ყველაფერი ეხერხებათ და ემარჯვებად, რომლებსაც ყველაფერი გამოუდით. ასეთი ადამიანები, მისი აზრით, მტკიცე და ბედნიერ ოჯახს ქმნიან, უსაქმურების ცხოვრება კი უსიამოვნებითაა სავსე.

*„სწორედ შრომაშია და შრომაში ადამიანი დიადი, – წერდა **მ. გორკი,** – და რაც უფრო მხურვალეა მისი სიყვარული შრომისადმი, მით უფრო დიდებულია თვითონ იგი, მით უფრო ნაყოფიერია, მით უფრო მშვენიერია მისი შრომა“.* [2]

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საკითხები საფუძვლიანად აქვს დამუშავებული **ვ. სუხომლინსკისაც**. აღნიშნულ პრობლემას მან მიუძღვნა არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი. *„ყოველივე საუკეთესო, რაც კი შეიძლება იყოს ადამიანში, – წერდა იგი, – ...ვლინდება, უწინარეს ყოვლისა, შრომაში“.* [3]

---

[1] *კ. დ. უშინსკი, იქვე, გვ. 169.*

[2] ბრძნული აზრების სამყაროში,თბ., „ნაკადული“,1967, გვ. 57.

[3] *Сухомлинский В. А. – Нач. школа, 1961, №3, с.10.*

ვ. სუხომლინსკის აზრით, ადამიანის ბედნიერებისათვის მისი მარტო შრომისათვის ფიზიკური მომზადება და შრომით საქმიანობაში ჩაბმა არაა საკმარისი, რადგან ყოველგვარი შრომა არ ზრდის ბავშვს. აღმზრდელობითია მხოლოდ ისეთი შრომა,რომელიც საკუთარი გონებითაა ნაკარნახევი და სრულდება შეგნებულად და გააზრებულად, ანუ როცა შრომას წინ უსწრებს ან ერთვის გონება, აზრი. ასეთი შრომა შემოქმედებაა და იგი სიხარულსა და კმაყოფილებას გვრის ადამიანს, საბოლოო ჯამში კი, აბედნიერებს მას.

ბავშვის შრომითი აღზრდა, გვასწავლის სუხომლინსკი, უნდა დავიწყოთ ოჯახში, იმ დღიდან, როცა იგი ისწავლის კოვზის ხელში დაჭერას და თეფშიდან დამოუკიდებლად საჭმლის მიღებას, მაგრამ შრომა ადვილი არ უნდა იყოს, რადგან ბავშვმა პატარაობიდანვე უნდა ისწავლოს წინააღმდეგობის დაძლევა, დაბრკოლებათა გადალახვა. სწორედ ამაში მდგომარეობს შრომის აღმზრდელობითი მნიშვნელობა, მისი გავლენა ბავშვის ზნეობრივ სრულყოფაზე. *„წინააღმდეგობის დაძლევა, – წერს სუხომლინსკი, – შრომითი აღზრდის შარაგზაა“.*[1] ამიტომ მშობლები უნდა ცდილობდნენ, რომ მათ შვილებს პატარაობიდან უხდებოდეთ ამა თუ იმ წინააღმდეგობის დაძლევა, დაბრკოლებების გადალახვა, ოღონდ საჭიროა სიძნელეთა ისეთი დონის მონახვა, რომ შრომა ბავშვისათვის მისაწვდომიც იყოს და ზნეობრივი აღზრდის ფუნქციასაც ასრულებდეს. **ი.ა. კომენსკი** წერდა: *„ბავშვები ყოველთვის რაიმეთი არიან გართულნი, ვინაიდან მათ მჩქეფარე სისხლს მშვიდად ყოფნა არ შეუძლიაეს მეტად სასარგებლოა. ამიტომ არამცთუ ხელი არ უნდა შევუშალოთ ამაში, არამედ უნდა მივიღოთ ზომები, რომ მათ ყოველთვის ჰქონდეთ რაიმე გასაკეთებელი. დაე, ბავშვები იყვნენ ის ჭიანჭველები, რომლებიც გამუდმებით ფუსფუსებენ: რაიმეს მიაგორებენ, მიაქვთ, მიათრევენ, აწყობენ, აქეთ-იქით ალაგებენ; მხოლოდ საჭიროა დავეხმაროთ ბავშვებს, რომ ყოველივე, რაც ხდე-*

---

[1] *Сухомлинский В.А. Павлышская сред. школа. - М., 1979, с.64.*

ბა ხდებოდეს გონივრულად“. [1]

ბავშვებში შრომის სიყვარულის აღზრდას ხელს უწყობს შრომითი წარმატებით გამოწვეული სიხარულის განცდა. ეს სიხარული ორმაგდება, როცა პატარებს უხდებათ გარკვეული, თუნდაც სულ მცირე, დაბრკოლების გადალახვა. ამიტომ სკოლამდელ ასაკში ბავშვების ყოველგვარი შრომა ოჯახში უნდა იძლეოდეს კონკრეტულ, ხილულ შედეგს. თუ ბავშვი წინასწარ ხედავს თავისი შრომის შედეგს (ყვავილების მოვლა, შეშის დახერხვა, წყლის მოტანა და ა.შ.), მაშინ შრომა კარგი გრძნობების აღზრდის საუკეთესო საშუალება იქნება. ასეთ შემთხვევაში საჭირო არაა ხმამაღალი სიტყვა, „ჭკუის სწავლება“, დარიგება. მაგრამ ზოგიერთი მოზარდი მშობლების „წყალობით“ მოკლებულია საკუთარი შრომით გამოწვეული სიხარულის განცდას, ისე ამთავრებს საშუალო სკოლას, რომ ერთხელაც არ უხდება დაბრკოლების გადალახვა. ასეთი ადამიანი ბედნიერი ვერ იქნება, რადგან მისთვის არ არსებობს ძნელად მისაწვდომის მიღწევით გამოწვეული სიხარული და კმაყოფილება, მისთვის უცნობია ის, რასაც ადამიანი შრომის პროცესში და შრომის შედეგად განიცდის.

სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი არ ითვალისწინებს ყოველივე ამას და ნიავსაც კი არ აკარებს თავის პირმშოს: გამუდმებით ეფერება, თავს ევლება, ყველა მოთხოვნას უსრულებს, სამაგიეროს კი მისგან არ მოითხოვს. ასეთი მშობელი დათვურ სამსახურს უწევს თავის შვილს და მისგან გამოყავს უნიათო და უქნარა პიროვნება.

2. შრომითი აღზრდის მიზანი და ამოცანები

შრომითი აღზრდის მიზანია მოსწავლეებში შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება. ამ მიზნის განხორციელება მოითხოვს სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტას, როგორიცაა:

---

[1] *ი. ა. კომენსკი, დედობრივი სკოლა, რჩეული პედ. თხზ., თბ., 1958, გვ. 164.*

1. აღსაზრდელთა ფსიქოლოგიური მომზადება შრომისათვის, რომელიც გულისხმობს შრომის მრავალმხრივი მნიშვნელობის გაცნობიერებას, იმის ღრმა შეგნებას, რომ შრომა ყოველი ზრდადასრულებული ადამიანის უპირველესი მოვალეობა, რომ იგი არის ადამიანის ცხოვრებისათვის აუცილებელი მატერიალური და სულიერი ღირებულებების შემქნელი, რომ შრომასთანაა დაკავშირებული ყოველივე ის, რაც კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე შეუქმნა მატერიალური თუ სულიერი კულტურის სფეროში. პიროვნება,რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული შრომის აუცილებლობა და მისი გამაკეთილშობილებელი როლი, მოქმედებს ყოველგვარი კონტროლისა და მითითების გარეშე, საკუთარი სინდისის კარნახით. ასეთ ადამიანს შრომა ყოველდღიურ მოთხოვნილებად აქვს გადაქცეული. ამასთან, იგი ხასიათდება მაღალმორალური შეგნებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით.

2. შრომის სიყვარულის აღზრდა, რაც მოითხოვს აღსაზრდელის ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისი ასაკისა და შესაძლებლობის შესაბამის შრომით საქმიანობაში ჩაბმას, რომლის დროსაც იგი განიცდის მიღწეულით მორალურ კმაყოფილებას.

3. მოსწავლეებში შრომის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. ზოგჯერ მოსწავლეს ძალზე კარგად ესმის შრომის მნიშვნელობა და აუცილებლობა, მაგრამ არ გააჩნია მისი განხორციელების სათანადო უნარ-ჩვევები, ან პირველივე დაბრკოლებისთანავე ფარ-ხმალს ყრის, რაც მისი ნებისყოფის უქონლობაზე მიუთითებს. ამიტომ, უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასთან ერთად, საჭიროა მოსწავლეებში ნებისყოფის აღზრდაც.

4. მოსწავლეთა გაცნობიერება იმაში, რომ ნებისმიერი სახის შრომა საჭირო და აუცილებელია საზოგადოებისათვის, რომ არ არსებობს ეგრეთ წოდებული სათაკილო, „შავი“ სამუშაო. კაცი ფასდება არა იმით, თუ რას აკეთებს, არამედ იმით, თუ როგორ აკეთებს. დამლაგებელი, რომელიც თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს, გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე ის პედაგოგი ან ექიმი, რო-

მელიც თავის მოვალეობას უპასუხისმგებლოდ ეკიდება და არ ფიქრობს თავისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, პროფესიის სრულყოფაზე.

5. ბავშვებში დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ფიზიკური და გონებრივი შრომის ურთიერთშეხამების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

თანამედროვე სკოლის ყველაზე დიდი ნაკლია ის, რომ იგი მოწყვეტილია ყოველდღიურ ცხოვრებას, არ ხდება მოსწავლეთა აღჭურვა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევებით. ამ ნაკლის აღმოფხვრისათვის საჭიროა დაწყებითი კლასებიდანვე სწავლების მჭიდროდ დაკავშირება ცხოვრებასთან. ეს ეხება სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ნებისმიერ სასწავლო დისციპლინას, უწინარეს ყოვლისა კი, შრომით სწავლებას.

6. მოსწავლეებში შრომის მაღალი მოტივების ფორმირება. ბავშვი ამა თუ იმ საქმეს უნდა ასრულებდეს არა მშობლის ან მასწავლებლის შიშით თუ ხათრით, ანდა მათგან დაპირებული საჩუქრის მიღებისა თუ შექებისათვის, არამედ იმის შეგნებით, რომ მისი შრომა ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცებას.

7. მოზარდებში შრომის კულტურის გამომუშავება, რაც გულისხმობს სამუშაო იარაღების მოვლა-პატრონობას, მათ მუდამ „საბრძოლო მდგომარეობაში“ ქონას, საქმის დამთავრების შემდეგ ხელსაწყო-იარაღების სათანადო ადგილას შენახვას, სამუშაო ადგილის დაგვა-დასუფთავებას, ხელ-პირის დაბანას, სამუშაო ტანისამოსის გამოცვლას და სხვ. ასეთი მოქმედება ადამიანს ჩვევად, მოთხოვნილებად უნდა ექცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია მასში შრომის კულტურის ფორმირება.

3. მოსწავლეთა შრომის ძირითადი სახეები

მოსწავლეთა შრომითი სახეების საკითხში მეცნიერთა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. ზოგი გამოყოფს

შრომის სამ ძირითად სახეს, ზოგი ოთხს, ზოგი ხუთს და ა.შ. მაგალითად, პროფესორი **შ. მალაზონია** გვთავაზობს შრომითი აღზრდის სამ ძირითად სახეს: *თვითმომსახურებას, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასა და მწარმოებლურ შრომას*; პროფესორი **ვ. გაგუა** – ოთხს, ამასთან *იგი თვითმომსახურებასა და საოჯახო-საყოფაცხოვრებო შრომას ერთად განიხილავს.* ზოგიერთები კი თვითმომსახურებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან ერთად განიხილავენ. აკადემიკოს **დ. ლორთქიფანიძის** მთავარი რედაქციით გამოცემულ პადაგოგიკის სახელმძღვანელოში (თბ., 1969) შრომის სამი ძირითადი სახეა განხილული. ესენია: *თვითმომსახურება, საყოფაცხოვრებო ხასიათის შრომა და საწარმოო პროდუქტიული შრომა.* ეს უკანასკნელი, ავტორთა აზრით, მოიცავს მოსწავლეთა შრომითი საქმიანობის ყველა დანარჩენ სახეს.

ანალოგიური მდგომარეობაა რუსი ავტორების მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში.ჩვენ კი გამოვყოფთ შრომის შემდეგ ძირითად სახეებს:

1. თვითმომსახურება;
2. საოჯახო-საყოფაცხოვრებო შრომა;
3. სასოფლო-სამეურნეო შრომა;
4. სასწავლო შრომა;
5. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა;
6. მწარმოებლური (საწარმოო-პროდუქტიული) შრომა.

1. ბავშვის შრომითი აღზრდა იწყება ***თვითმომსახურებით.*** ამას პატარა ბავშვიც კი გამოხატავს: „ჩემით“, „მე თვითონ“, „მაცალე“, ეუბნება იგი დედას და კოვზს ხელიდან ართმევს. შემდეგ იგი სწავლობს დამოუკიდებლად ჩაცმა-დახურვას, ხელ-პირის დაბანას და ა.შ. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვს შეიძლება დაევალოს თავისი სამეცადინო კუთხის წესრიგში მოყვანა, ყვავილების მორწყვა ოთახში, ავეჯიდან და ფანჯრის რაფებიდან მტვრის გადაწმენდა, საკუთარი სუფრისა და ლოგინის გაშლა-ალაგება, ცხვირსახოცისა და წინდების გარეცხვა, ტანსაცმელზე აწყვეტილი ღილის მიკერება, ფეხსაცმლის გაწმენდა და ა.შ. ამასთან, ყოველივე ამის შესრულებას უნდა

ვთხოვდეთ როგორც გოგონებს, ისე ვაჟებს. ამ ასაკში გოგონებისა და ვაჟების აღზრდაში განსხვავება არ უნდა იყოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი არა მარტო სკოლამდელებს,არამედ გაცილებით უფროსებსაც თვითონ ბანენ ხელ-პირს, აცმევენ, აჭმევენ, ულაგებენ საწოლს, შემდეგ კი უკვირთ, საიდან გამოვიდა მათი შვილი ასეთი ზარმაცი და უქნარა.

სკოლაში შესვლის შემდეგ მოსწავლის თვითმომსახურებად ითვლება მორიგეობა სკოლაში თუ კლასში, რომლის დროსაც ხდება დაფის გაწმენდა, ოთახის განიავება, კაბინეტ-ლაბორატორიების დალაგება, დაგვა-დასუფთავება და სხვა.

2. ***საოჯახო-საყოფაცხოვრებო შრომის*** პირველ გაკვეთილებსაც ბავშვი ოჯახში იძენს. იმაზე, თუ როგორია ოჯახი, როგორი შრომითი ატმოსფერო სუფევს მასში, დიდადაა დამოკიდებული ბავშვის შრომითი მომზადება, მისი შეხედულება შრომასა და მშრომელ ადამიანზე.

აკაკი წერეთელი თავის პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდად ემადლიერებოდა იმ გლეხის ოჯახს, სადაც იგი სკოლამდელ ასაკში იზრდებოდა. აქ ისწავლა მან ჭეშმარიტი შრომა და ცხოვრება. *„ხუთი-ექვსი წლისამ, — წერს იგი, — ძალიან კარგად ვიცოდი თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურისგდება, ფრინველების მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტკიცვა, გამოცხობა, სხვადასხვაგვარი შეჭამადის მომზადება და სხვანი. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვანი. ასე რომ, ჩემი შესაფერი ხელსაწყო რომ მქონოდა, ყველაფერს მოვახერხებდი“.* [1]

თუ ოჯახში მთელი საოჯახო საქმიანობა დედას აკისრია და მასში მამა არავითარ მონაწილეობას არ იღებს, მაშინ შვილებიც ასეთივე იქნებიან, არაფერში არ შეეშველებიან დედას. ზოგჯერ თავად დედა უკრძალავს მათ დახმარებას, იმ მოტივით, რომ სწავლაში ხელი არ შეეშალონ. ასე ზრდის ზოგიერთი მშობელი შვილებს.

---

[1] *ა. წერეთელი, რჩეული ნაწ., ტ. III, თბ., 1989, გვ. 11.*

სწავლაც ხომ იგივე შრომაა, გონებრივი შრომა, მაგრამ მეცადინეობა ბავშვებს არ ათავისუფლებს საოჯახო საქმეებისაგან. ბავშვს პატარაობიდანვე უნდა შევაყვაროთ შრომა, წიგნი, დავალებისა და ყოველგვარი საქმის დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულება. დღეში ორი-სამი საათით, ზოგჯერ მეტითაც, საოჯახო საქმეებით დატვირთვა არა თუ ხელს შეუშლის ბავშვს სწავლაში, არამედ, პირიქით, დაეხმარება, რადგან ფიზიკური შრომის დროს იგი გონებრივად ისვენებს და შემდეგ წიგნზე მუშაობა გაუდვილდება.

ოჯახში ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს თავისი საქმე, რომელსაც იგი რამდენიმე თვის განმავლობაში უნდა ასრულებდეს. შემდეგ ეს დავალებები, მაკარენკოს აზრით, უნდა იცვლებოდეს, რათა იგი ყოველგვარ საქმეში გაიწაფოს. მეცნიერული გამოკვლევებით დასაბუთებულია, რომ ყველა ბავშვი ერთნაირი შრომითი მონაცემებით იბადება, მაგრამ ცხოვრებაში ისინი თავიანთი შრომით დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამის მიზეზი ოჯახში მათ სხვადასხვაგვარ შრომით აღზრდაში უნდა ვეძიოთ.

ამრიგად, სკოლას უხდება ოჯახში ბავშვის შრომით აღზრდაში დაშვებული შეცდომების გამოსწორება, რაც ზოგჯერ შეუძლებელიც კია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის ოჯახურ აღზრდაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მეორე უკიდურესობასაც, ანუ მის საოჯახო საქმეებით გადატვირთვას, რაც იწვევს მოსწავლის უშუალო მოვალეობის — სწავლის უკანა პლანზე გადანაცვლებას. ერთიც საზიანოა და მეორეც. ორივე შემთხვევაში საჭიროა ზომიერების დაცვა.

3. სასოფლო-სამეურნეო შრომის უნარ-ჩვევებსაც ბავშვი ძირითადად ოჯახში ეუფლება, თუ, რა თქმა უნდა, ოჯახს შრომის ნაკვეთი გააჩნია, სოფლად კი საამისოდ საუკეთესო პირობებია. ბავშვი მშობლებთან ერთად უნდა მუშაობდეს ბაღ-ბოსტანში — თოხნიდეს, მარგვლიდეს, თესავდეს, რწყავდეს, სარეველა ბალახებისაგან იცავდეს ნათესებს და ა.შ.

სკოლაში ამ ამოცანის გადაწყვეტა ძირითადად ხორ-

ციელდება სასკოლო მიწის ნაკვეთზე მოსწავლეთა მუშაობის დროს. მაგრამ ზოგიერთ სკოლაში მიწის ნაკვეთზე მუშაობა ხშირად მოწყვეტილია პროგრამული მასალისაგან, ან მასზე ისეთ კულტურას თესავენ (სიმინდი, ლობიო), რომელიც მოსწავლეთათვის ისედაც კარგად არის ცნობილი. აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის სკოლის დირექცია არავითარ ზომებს არ ღებულებს.

4. სასწავლო შრომა. მეცნიერთა შორის ჯერ კდევ არ არსებობს ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ როგორი სახის შრომაა სწავლა, არის თუ არა ის საერთოდ შრომა. ზოგიერთების აზრით, სწავლა განსხვავდება როგორც თამაშისაგან,ისე შრომისაგან. ამ უკანასკნელისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ სწავლების პროცესში არ იქმნება *საზოგადოებრივად სასარგებლო პროდუქცია.* ამიტომაცაა, რომ ზოგიერთ სახელმძღვანელოში შრომის სახეებს შორის სასწავლო შრომა არ არის განხილული. დიდი რუსი პედაგოგის **კ. დ. უშინსკის** აზრით, სწავლა იყო და კვლავაც დარჩება გონებრივი შრომის ერთ-ერთ რთულ სახედ, ზოგირთი ბავშვისათვის კი გაცილებით უფრო რთულს, ვიდრე ფიზიკური შრომა. იგი მოითხოვს გონების დიდ დაძაბვას და შემეცნებითი ძალების მაქსიმალურად გამოყენებას.

სასწავლო შრომაში იგულისხმება საშინაო დავალების მაღალხარისხოვნად შესრულება, გაკვეთილზე ყურადღებით ყოფნა, მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა, „ქცევის წესებისა“ და დღის რეჟიმის დაცვა და სხვა. დაუშვებელია, როცა შვილების ნაცვლად მშობლები ან უფროსი და-ძმები ხსნიან მაგალითებს და ამოცანებს, წერენ თემებს ან თუ თავად არ შეუძლიათ, სხვას აწერინებენ, ბავშვი კი ამ დროს ბურთის თამაშით თუ სხვა საქმით არის გართული. ასეთ მშობლებს ავიწყდებათ, რომ ესა თუ ის საშინაო დავალება შეესაბამება ბავშვის ძალებს და იგი თავად უნდა შეასრულოს, მშობელმა კი მისი შესრულების გზები უნდა უჩვენოს და მითითებები მისცეს.

სასწავლო შრომა უნდა იყოს ბავშვისათვის დასაძლე-

ვი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს მისი შესრულებისადმი ბავშვის გულის აცრუება და სწავლაზე ხელი ააღებინოს. მაგრამ იგი არც ისე ადვილი არ უნდა იყოს, რომ მოსწავლემ მისი შესრულება შეძლოს შემეცნებითი ძალების ყოველგვარი დაძაბვის, წინააღმდეგობათა დაძლევის გარეშე. ყოველივე ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა და მოსწავლეებს ისეთი დავალება უნდა მისცეს, რომელიც მათი განვითარების ასაკს შეესაბამება. სასწავლო მუშაობის ძირითადი ამოცანაა — ასწავლოს ბავშვს სწავლა, წიგნზე მუშაობა და განუვითაროს ცოდნის დამოუკიდებლად შეძენის უნარი.

5. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა წარმოადგენს შრომითი აღზრდის მთელი სისტემის საფუძველს. იგი გულისხმობს სხვებზე ზრუნვას, სხვათათვის სიხარულის მინიჭებას, სხვათა მწუხარებისა და ტანჯვის გულთან მიტანას, რასაც ვ. სუხომლინსკი *„სულის შრომას“* უწოდებდა. ეს არის ქუჩების გამწვანება, მარტოხელა მოხუცებსა და ინვალიდებზე დახმარების გაწევა, სკოლის ეზოში ყვავილების გაშენება, სპორტული მოედნის კეთილმოწყობა, სამკურნალო მცენარეების შეგროვება და ა.შ.

პავლიშის საშუალო სკოლის მოსწავლეები სკოლაში მიღების პირველი დღეებიდანვე სწავლობდნენ საზოგადოების საკეთილდღეო შრომას: თხრიდნენ სანერგე ორმოებს, რგავდნენ ნაყოფის მომცემ ხეთა ნერგებს, ჩითილებს, ყვავილებს, რწყავდნენ ნარგავებს, სასუქი შეჰქონდათ მიწის ნაკვეთში. წამოიზრდებოდნენ თუ არა, მუშაობას იწყებდნენ სასკოლო სახელოსნოში, ეხმარებოდნენ კოლმეურნეობას თესვაში, თოხნაში, მოსავლის აღებაში. უფროსკლასელები სწავლობდნენ ტრაქტორისა და მანქანის მართვას, ბალახის თიბვას, მუშაობდნენ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადაში, მოჰყავდათ ხორბალი და ა.შ. ხშირად მათთან ერთად მუშაობდა ვ. სუხომლინსკიც.

სხვადასხვა სახის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის პროცესში მონაწილეობის დროს მოსწავლეები ვითარდებიან გონებრივად, ზნეობრივად, ესთეტიკურად, ფიზიკურად, უვითარდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა, სა-

ზოგადოებრივი საკუთრებისადმი სათუთი დამოკიდებულე
ბა, დისციპლინირებულობა,შემოქმედებითი აქტიურობა, და-
მოუკიდებლობა და ინიციატივა.

***6. მწარმოებლური (საწარმოო-პროდუქტიული) შრო-
მის*** პროცესში ხდება მოსწავლეთა მიერ ცალკეული საგ-
ნების სწავლების დროს მიღებული თეორიული ცოდნის
პრაქტიკაში გამოყენება. ასეთია მოსწავლეთა მუშაობა სა-
სკოლო მიწის ნაკვეთზე და სახელოსნოში, სადაც ვაჟები
ამზადებენ სკოლის ინვენტარს, გოგონები კი კერავენ მარ-
ტივი სახის ტანსაცმელს, ზაფხულის არდადეგების დროს
ისინი მონაწილეობას იღებენ შრომით ბრიგადებში, საყო-
ფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში და ა.შ.

ასეთი სახის შრომა განსაკუთრებით ფართოდ იყო
გავრცელებული ყოფილ საბჭოთა კავშირში, მაგრამ მოს-
წავლეები საამისოდ არავითარ ანაზღაურებას არ იღებ-
დნენ. **ვ. სუხომლინსკის** აზრით, საჭიროა მოსწავლეთა
შრომის ანაზღაურება, რათა მათ იცოდნენ ფულის ყადრი,
საკუთარი წვლილი შეიტანონ ოჯახის ბიუჯეტში, გაახა-
რონ მშობლები და თვითონაც გაიხარონ. მაგრამ მარტო
ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ამასთან ერთად, ბავშვე-
ბი უნდა ჩავაბათ უფასო, უსასყიდლო შრომაშიც, რომე-
ლიც საზოგადოების საკეთილდღეოდ სრულდება, ყოველ-
გვარი ანაზღაურების გარეშე.

როგორც დავინახეთ, ზემოთ განხილული მოსწავლეთა
შრომის ძირითადი სახეები ერთმანეთისასაგან ჩინური კე-
დლით კი არ არიან გამიჯნული,არამედ მათ შორის მტკი--
ცე კავშირ-ურთიერთობაა, ერთი მეორის გარეშე არ არსე-
ბობს. სასწავლო შრომა შრომის ყველა სახეს ერთ მთლი-
ანობაში აერთიანებს. ერთიანობის ამ რთულ პროცესში
აღსაზრდელებს უყალიბდებათ მაღალადამიანური გრძნობე-
ბი და, რაც მთავარია, შრომისა და საზოგადოებრივი სა-
კუთრებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება.

შრომითი აღზრდა მჭიდროდაა დაკავშირებული ასევე
აღზრდის სხვა მხარეებთან, როგორიცაა: ფიზიკური, გო-
ნებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა. ყველა მათ-
განის საფუძველს კი ფიზიკური აღზრდა წარმოადგენს.

4. ძირითადი მოთხოვნები შრომითი აღზრდისადმი

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის დროს უნდა დავიცვათ შემდეგი ძირითადი მოთხოვნები:

1. შრომა თავისი ხასათით, შინაარსით, ხანგრძლივობითა და სირთულით უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და შესაძლებლობებს, უნდა იყოს ბავშვისათვის მისაწვდომი და დასაძლევი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოიწვევს ბავშვებში საკუთარი ძალებისადმი რწმენის დაკარგვას და შრომაზე გულის აცრუებას.

2. შრომა-საქმიანობას სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს, რადგან მოზარდებში შრომის სიყვარულისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება შეუძლებელია, თუ მას ეპიზოდური ხასიათი ექნება.

3. სწავლების დაბალ საფეხურზე შრომას თვალნათლივი, ხილული ხასიათი უნდა ჰქონდეს, რათა ბავშვმა საკუთარი თვალით ნახოს თავისი შრომის შედეგი და დატკბეს მიღწეულით.

4. შრომას უნდა ჰქონდეს შემოქმედებითი, მაღალზნეობრივი, საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათი. მოსწავლეს ისეთი შრომითი დავალება უნდა მიეცეს, რომელიც მოითხოვს გონების დაძაბვას, ფიქრს, აზროვნებას და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. ეს ეხება განსაკუთრებით საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებს. ამ ასაკის მოზარდებს არავითარ სიამოვნებას არ ანიჭებს ისეთი შრომა, რომელიც არაა დაკავშირებული რაიმე მატერიალური ღირებულების შექმნასთან და არა აქვს საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათი.

5. შრომის პროცესში მტკიცედ უნდა იქნეს დაცული შეგნებულობის პრინციპი. ბავშვს უნდა ესმოდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მის შრომას საზოგადოებისათვის, პირადად მისთვის და იმ კოლექტივისათვის, რომლის წევრიცაა იგი.

6. ბავშვთა შრომით აღზრდაში უნდა დავიცვათ შრომის სახეების მონაცვლეობა, მრავალგვარობა, რათა ბავშვი

გაიწაფოს შრომის ყველა სახეში. გარდა ამისა, ერთფეროვანი მუშაობა უფრო დამღლელი, დამქანცველი და მომაბეზრებელია ბავშვისთვის. ამიტომ ისინი შრომის ერთი სახიდან უნდა გადავიყვანოთ მეორეზე, მესამეზე და ა.შ. ეს ეხება სასწავლო შრომასაც. როცა ბავშვი მათემატიკურ ამოცანებზე მუშაობისას გადაიღლება, უნდა გადავიდეს ჰუმანიტარული ციკლის საგნებზე ან გონებრივ შრომას უნდა შეუხამოს ფიზიკური და ა.შ.

7. შრომაში ბავშვს უნდა გაეწიოს ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი; ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული წახალისების, ვარჯიშისა და დარწმუნების მეთოდები. მაგრამ ამ საქმეში ყველაზე დიდი როლი მაინც აღმზრდელის პირად მაგალითს ენიჭება.

8. შრომის შედეგების შემოწმება-შეფასება უნდა მოხდეს რაც შეიძლება ობიექტურად. მიკერძოება ამ საქმეში დამღუპველია.

9. მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასებას უნდა ჰქონდეს როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური ხასიათი. როცა რაიმე დავალებას მთელი კლასის კოლექტივი ასრულებს, მაშინ იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ შესრულებული სამუშაოს მხოლოდ კოლექტიური შეფასებით, რადგან ამ შემთხვევაში შეუძლებელია თითოეული მოსწავლის მიერ გაწეული წვლილის გამოვლენა და შეფასება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელი ავიღოთ ინდივიდუალურ შეფასებაზე. როცა ამის შესაძლებლობა არის, მოსწავლეთა მიერ გაწეულ სამუშაოს ვაფასებთ ინდივიდუალურად და მივუთითებთ მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე.

5. შრომითი აღზრდის საშუალებები

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის ძირითადი საშუალებაა ***სწავლება.*** ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს ნებისმიერი საგნის სწავლება. დაწყებით კლასებში კი ამ მხრივ მშობლიურ ენას ვერც ერთი საგანი ვერ შეედრება. ამ საგანში მოსწავლეები სწავლობენ ლექსებსა და მოთხრო-

ბებს, რაც მათ უღვივებს შრომის სიყვარულსა და მშრომელი ადამიანის პატივისცემის გრძნობას. ანალოგიური ნაწარმოებებია შეტანილი მაღალი კლასების ლიტერატურის პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში, ასევე კლასგარეშე ლიტერატურაში.

მოსწავლეებში შრომის სიყვარულის აღზრდას ხელს უწყობს ასევე ცალკეული საგნების სწავლების პროცესში მათ მიერ გამოჩენილი მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგის მუშაკების მიღწევების ამსახველი მასალების გაცნობა. ამ მხრივ მარტო საქვეყნოდ ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ედისონის ცხოვრების გაცნობაც საკმარისია. იმისათვის, რომ ნათურა აღმოეჩინა, **ედისონმა** თავის ასისტენტებთან ერთად ათასობით ცდა ჩაატარა და ორასამდე უბის წიგნაკი შეავსო. ამიტომ მას ყველა საფუძველი ჰქონდა ეთქვა: *„გენიოსობა — ესაა 1 პროცენტი აღმაფრენა და 99 პროცენტი ოფლის დენა“.* [1]

ბიოლოგიის მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს **ივანე მიჩურინის** საქმიანობას, მის უდიდეს ღვაწლსა და შრომისმოყვარეობას, რომ იგი ათეული წლების განმავლობაში სისტემატურად და დაუღალავად მუშაობდა არა მარტო გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც. იგი აშენებდა თავის ბაღებსა და სანერგეებს მწირ და მოუსავლიან ადგილებში, შეუპოვრად ებრძოდა ბუნების სტიქიას და სულიერად არ ეცემოდა მაშინაც კი, როცა მისი მუშაობა უშედეგოდ მთავრდებოდა. ასეთი თავდაუზოგავი და შეუპოვარი შრომით შეძლო გამხდარიყო ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი ბიოლოგიაში.

ანალოგიური მაგალითების გაცნობით მოსწავლეები უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ ყოველმა ადამიანმა შეიძლება გაითქვას საქვეყნოდ სახელი, თუ იგი მოინდომებს, საჭიროა მხოლოდ მონდომება, დასახული მიზნისაკენ შეუპოვარი ლტოლვა და მუხლჩაუხრელი შრომა.

მოსწავლეთა შრომით აღზრდაში არანაკლებ როლს ასრულებს ***შრომის გაკვეთილები.*** დაწყებით კლასებში,რო-

---

[1] *ა. რაფავა, ადამიანის ფაქტორი და თვითაღზრდა, თბ., 1987, გვ. 12.*

გორც ქალაქში, ისე სოფლად, იგი ტარდება ხელგარჯილობის სახით, საშუალო და უფროს კლასებში კი დიფერენცირებულია ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით და გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო, საყოფაცხოვრებო, ტექნიკური თუ სხვა სახის შრომა, რომელიც ძირითადად ტარდება სასკოლო მიწის ნაკვეთზე თუ სახელოსნოში.

დაწყებით კლასებში ხელგარჯილობა გულისხმობს ქაღალდის, თიხისა და პლასტელინის გამოყენებით ბავშვებში შრომის უმარტივესი ჩვევების გამომუშავებას. მაღალ კლასებში გოგონები სწავლობენ ჭრა-კერვას, ვაჟები კი ხისა და ლითონის დამუშავებას. **ვ.სუხომლინსკის** აზრით, ცალკეული საგნების სწავლების პროცესში მოსწავლეებს სიყვარულის ნაცვლად ვაძულებთ შრომას, ვაჩვევთ უსაქმურობას, დაუმსახურებელი ნიშნების მიღებას, რაც მორალურად ხრწნის, ამახინჯებს მის სულს, რომლის აღმოფხვრას ვერ შეძლებს შემდეგში ვერც სასკოლო მიწის ნაკვეთზე და ვერც სახელოსნოში მუშაობა.

შრომითი აღზრდის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს აგრეთვე *ეთიკური საუბრები, ახსნა-განმარტებები, ლექცია-მოხსენებები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და შრომის მოწინავეებთან, წარჩინებულ მუშაკებთან* და სხვა. საუბრები და ლექცია-მოხსენებები შეიძლება ჩატარდეს შემდეგ თემებზე:*„შრომა აკეთილშობილებს ადამიანს“, „შრომა პატივისა და ღირსების საქმეა“, „სწავლა ძნელი და სერიოზული საქმეა“, „ბედნიერება და შრომისმოყვარეობა წარმატების საწინდარია“, „ფიზიკური და გონებრივი შრომის ურთიერთშეხამება“* და სხვ.

მოსწავლეთა შრომით აღზრდაში დიდ როლს ასრულებს მშობლების, მასწავლებლებისა და უფროსი ადამიანების ***პირადი მაგალითი,*** მათი შრომითი საქმიანობა. ზარმაცი და უქნარა მშობელი შრომის სიყვარულს ვერ ჩაუნერგავს შვილებს. იგივე ითქმის მასწავლებლებზე და სხვებზე, რომელთა წაბაძვით სწავლობენ ჩვენი შვილები ცხოვრებას.

ამრიგად, შრომა უდიდეს როლს ასრულებს პიროვნე-

ბის ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებაში. ადამიანი შრომისათვისაა გაჩენილი, ისევე როგორც ჩიტი ფრენისათვის. ყოველივე ეს კარგად უნდა შეიგნოს ყველა იმან, ვინც მოზარდი თაობის აღზრდისა და მისი ცხოვრებისათვის მომზადების უკეთილშობილეს საქმეს ემსახურება.

6. მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია

მოსწავლეებში შრომის სიყვარულისა და მისდამი შეგნებული დამოკიდებულების აღზრდა მჭიდროდაა დაკავშირებული მათ მიერ პროფესიის სწორად არჩევასთან. იმაზე, თუ რა პროფესიას აირჩევს ახალგაზრდა თავისი შემდგომი მოღვაწეობისათვის, დიდად იქნება დამოკიდებული მისი შრომის ნაყოფიერება. აქედან გამომდინარე, პროფესიის სწორად არჩევა მომავალი ბედნიერი ცხოვრების საფუძველია. ამიტომ სკოლამ და ოჯახმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რათა მოსწავლეები პროფესიას ირჩევდნენ თავიანთი ნიჭის, უნარისა და შესაძლებლობების მიხედვით. ეს პრობლემა დღის წესრიგში დადგა უკანასკნელ ხანს, რადგან პროფესიათა რიცხვი დღითიდღე იზრდება და მათში სწორად გარკვევა დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს, რაც მოსწავლეებს არ გააჩნიათ. ამიტომაცაა საჭირო მათთან ამ მიმართულებით მუშაობა.

მოზარდი თაობის პროფესიული ორიენტაცია სათავეს იღებს იმ დროიდან, როცა ადამიანი შრომით საქმიანობას შეუდგა. პირველყოფილი წყობილების დროს პროფესიები არ არსებობდა. ამ დროს საზოგადოების ყველა სრულწლოვანი წევრის მოვალეობა იყო აქტიური მონაწილეობა მიეღო საარსებო საშუალებების შეგროვებაში. ამ საქმეში, ვაჟებთან ერთად, გოგონებიც მონაწილეობდნენ. მოგვიანებით კი მათი საქმიანობა გაიყო. გოგონები ძირითადად საოჯახო საქმეებით იყვნენ დაკავებული, ვაჟები კი ნადირობდნენ, თევზაობდნენ, ნიადაგებს ამუშავებდნენ და ა.შ.

დროთა დანმავლობაში ადამიანებს დაუგროვდათ იმდენი ცოდნა-გამოცდილება, რომ საჭირო შეიქმნა ამ ცოდნის

სხვებზე გადაცემის აუცილებლობა, რისთვისაც საჭირო გახდა სკოლების გახსნა. შემდეგ მოხდა შრომის დანაწილება და ახალ-ახალი დარგებისა და პროფესიების ჩამოყალიბება. ასე თანდათანობით გაჩნდა უძველესი პროფესიები – პედაგოგის, ინჟინრის აგრონომის, ექიმის და სხვა. თანდათანობით მოხდა ამ პროფესიათა დიფერენციაციაც, რაც დღესაც გრძელდება. ყოველივე ეს მოითხოვს მოსწავლეთა შორის საპროფორიენტაციო მუშაობის გაძლიერებას. ეს მუშაობა უნდა დაიწყოს დაწყებით კლასებში და არა X კლასიდან, როგორც ამას ადგილი აქვს ხოლმე ზოგიერთ სკოლაში.

მოსწავლეებს დაწყებითი კლასებიდანვე უნდა გავაცნოთ ძირითადი პროფესიები და მათი სწორად არჩევის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში. ისინი უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ ცუდი პროფესია არ არსებობს, არსებობენ მხოლოდ მისი ცუდად შემსრულებლები. ყოველი პროფესია საპატიო და საამაყოა, თუ მას ადამიანი სრულყოფილად ფლობს და მაქსიმალურ შედეგებს აღწევს თავის მუშაობაში. ამასთან, მას კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული *„შრომის ზნეობრივი ღირებულება და საზოგადოებრივი მნიშვნელობა“* (ზ. ცუცქირიძე). ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ჩვენი აღსაზრდელები პროფესიას ირჩევდნენ თავიანთი ნიჭის, უნარის, მიდრეკილებისა და მოთხოვნილების შესაბამისად, და არა პროფესიის პრესტიჟულობისა და სარფიანობის მიხედვით, რასაც ადგილი აქვს ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში. საშუალო სკოლადამთავრებულთა უმრავლესობას სურს გამოვიდეს ექიმი, იურისტი ან ეკონომისტი, სხვა პროფესიები კი ნაკლებპრესტიჟულად მიაჩნიათ. ამ შემთხვევაში უნდა გაირკვეს მათ მიერ პროფესიის არჩევის მოტივი, ანუ ის, თუ რა მიზნით ირჩევს იგი ამა თუ იმ პროფესიას.

პროფესიის არჩევისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ასევე ქვეყნის, სახელმწიფოს ინტერესები, მაგრამ, ვიმეორებ, ყველაზე მთავარი მაინც მოსწავლის შესაძლებლობაა. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიაღწევს იგი დასახულ მიზანს.

თავი XXI

ესთეტიკური აღზრდა

1. ესთეტიკური აღზრდის არსი და როლი პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაში

ესთეტიკური აღზრდა აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. იგი მიზნად ისახავს მოსწავლეებში ესთეტიკური კულტურის ჩამოყალიბებას და პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას. ესთეტიკურ აღზრდას სწავლობს მეცნიერება, რომელსაც ესთეტიკა ეწოდება.

ესთეტიკურმა აღზრდამ უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები: ესთეტიკური შეგნება, ესთეტიკური გრძნობები და ესთეტიკური ქცევისა და მოქმედების უნარ-ჩვევები.

სიტყვა „ესთეტიკა“ წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან aisthesis, რაც შეგრძნებას ნიშნავს. ესთეტიკა ზოგადი განმარტებით არის მეცნიერება მშვენიერების შესახებ, მშვენიერება კი ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს ბუნებაში. დიდი რუსი პედაგოგი **კ. დ. უშინსკი** აღნიშნავდა, რომ მშვენიერ ლანდშაფტს ადამიანის სულიერ ჩამოყალიბებაში ისეთი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, რომ მას პედაგოგიც კი ვერ შეედრებაო.

პროფ. **ვ. გაგუას** აზრით, ესთეტიკის ფილოსოფიისაგან ჩამოშორება და დამოუკიდებელ მეცნიერებად გაფორმება დაკავშირებულია გერმანელი ფილოსოფოსის ა. ბაუმგარტენის სახელთან (1714-1762).[1] ამ მეცნიერების სახელწოდებაც (ესთეტიკა) მას ეკუთვნის, ხოლო რაც შეეხება ცნებას „ესთეტიკური აღზრდა“, იგი პედაგოგიკასა და ეს-

---

[1] *ვ. გაგუა, პედაგოგიკა, თბ., 1996, გვ. 223.*

თეტიკაში, აღნიშნავს პროფ. **ო. ალავიძე,** პირველად შემოიტანა და დაამკვიდრა ცნობილმა გერმანელმა მწერალმა *ფრ. შილერმა* 1725 წელს გამოქვეყნებულ თავის ცნობილ ნაშრომში *„წერილები ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ“.* [1]

ესთეტიკურ აღზრდას საპატიო ადგილი უჭირავს აღზრდის საერთო სისტემაში, პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებაში, იმდენად დიდი, რომ ძველი ბერძნები ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდაზე ზრუნვას მის გაჩენამდე იწყებდნენ. ისინი ფეხმძიმე ქალის ოთახს ლამაზი სურათებით რთავდნენ, რათა ჩვილ ბავშვს თვალის გახელისთანავე აღექვა სილამაზე.

ესთეტიკური აღზრდის ამოცანებია:

1. პიროვნებაში ლამაზის, მშვენიერის აღქმის, გაგების, შეფასების, მსჯელობისა და განცდის უნარის გამომუშავება;

2. ესთეტიკურმა აღზრდამ ადამიანს უნდა მისცეს ზოგადი ესთეტიკური განათლება და განუვითაროს თანდაყოლილი, შემოქმედებითი ნიჭი, რათა მან სწორად აღიქვას მშვენიერი ხელოვნებასა და ცხოვრებაში;

3. ესთეტიკურმა აღზრდამ უნდა განუვითაროს მოზარდს ლამაზის დანახვის უნარი და გაუძლიეროს მისკენ სწრაფვა, სილამაზის კანონებით ცხოვრება, მშვენიერებაში საკუთარი წვლილის შეტანის სურვილი;

4. საბოლოო ჯამში, ესთეტიკურმა აღზრდამ უნდა განუვითაროს მოზარდს ესთეტიკური გემოვნება.

ესთეტიკურად განათლებულ ადამიანს უნდა ჰქონდეს უნარი — დაინახოს ლამაზი, მშვენიერი, სადაც კი იგი შეიძლება არსებობდეს — ბუნებაში, ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში თუ ხელოვნების ნიმუშებში და დატკბეს მშვენიერებით.

ესთეტიკურ აღზრდას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების (ჩინეთი, ინდოეთი,

---

[1] *ზ. ცუცქირიძე, ლექციების კურსი პედაგოგიკაში, ნაწილი I (აღზრდის თეორია), თბ., 1997, გვ. 248.*

შუამდინარეთი, ეგვიპტე) ხელოვნების ძეგლები, ათენისა და რომის არქიტექტურა შეუძლებელი იყო შექმნილიყო ესთეტიკური განათლების გარეშე.

აღორძინების ეპოქაში ახალი ძალით იფეთქა ხელოვნებამ, რამაც შემდგომ დიდი გავლენა მოახდინა ყველა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაზე.

2. ესთეტიკური აღზრდის გზები და საშუალებანი

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა ძირითადად სწავლების პროცესში ხორციელდება. არ არსებობს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არც ერთი საგანი, რომელიც ხელს არ უწყობდეს მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას, მაგრამ ამ საქმეში ხელოვნებას ვერაფერი შეედრება. სკოლაში ხელოვნების 3 დარგი ისწავლება – ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება (ხატვა) და მუსიკა. აქედან თავისი მნიშვნელობით უპირატესობა ***მხატვრულ ლიტერატურას*** ენიჭება. ლიტერატურა ის საგანია,რომელიც ყველაზე დიდხანს ისწავლება სკოლაში.

ლიტერატურის სასკოლო კურსის წინაშე დგას რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა, სახელდობრ:

1. მოსწავლეთა ფართო მხატვრულ-ესთეტიკური განათლება;
2. მხატვრული ინტერესების, მოთხოვნილებებისა და გემოვნების განვითარება;
3. ესთეტიკური აღქმის უნარის ფორმირება;
4. ესთეტიკური მსჯელობის უნარის განვითარება.[1]

მხატვრული ლიტერატურისადმი ინტერესი ბავშვს ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში უჩნდება,რომელიც შემდეგ სასკოლო ასაკში ვითარდება, რაშიც გადამწყვეტ როლს ***საგაკვეთილო პროცესი*** ასრულებს. *შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის* და სხვათა ლექსები ღრმა ესთეტიკურ ზემოქმედებას ახდენს მოსწავლეთა გრძნობებზე.

ქართველი მწერლების – *ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნა-*

---

[1] *ზ. ცუცქირიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 257.*

ტე ნინოშვილის, დავით კლდიაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ნოდარ დუმბაძის, ჭაბუა ამირეჯიბისა და სხვათა ნაწარმოებები მოსწავლეებში მაღალი ესთეტიკური გემოვნების გამომუშავების საუკეთესო საშუალებაა.

ლიტერატურის სწავლების პროცესში მოსწავლეები ეცნობიან ლექსის ზომას, მის სახეებსა და რიტმს, რაც მათ ლექსის წერის სურვილსაც აღუძრავს.

ლიტერატურის გაკვეთილებზე მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაზე დიდ გავლენას ახდენს მხატვრული ნაწარმოებების გამომეტყველებით კითხვა. მასწავლებელი სისტემატურად უნდა უკითხავდეს მოსწავლეებს, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, ლექსებსა და პატარ-პატარა მოთხრობებს, რათა მათ იგრძნონ მხატვრული სიტყვის ძალა და განიცადონ ესთეტიკური ტკბობა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მარტო მასწავლებელი კითხულობდეს და მოსწავლეები მხოლოდ მსმენელების როლში გვევლინებოდნენ. მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმა და მისი ზემოქმედება გაცილებით ძლიერია მაშინ, როცა პიროვნება მას თავად კითხულობს. ამიტომ საჭიროა მოსწავლეები თვითონ დაეუფლონ გამომეტყველებითი კითხვის უნარ-ჩვევებს. ამაშიც პირველი სიტყვა მასწავლებელმა უნდა თქვას. მან უნდა ასწავლოს მოსწავლეებს ლექსის თუ სხვა მხატვრული ნაწარმოების გამომეტყველებით კითხვა, რაც ხელოვნების ერთ-ერთი სახეა. საამისოდ მოსწავლეები მშობლიური ენის გაკვეთილებზე ეუფლებიან გამომეტყველებითი კითხვის ჩვევებს, სწავლობენ შედარებებს, ეპითეტებს, მეტაფორებს, რითაც მდიდრდება მათი ლექსიკური მარაგი და ვითარდება მხატვრული მეტყველების უნარ-ჩვევები.

საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა შორის გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც თავადაც წერენ ლექსებს, ზღაპრებს, მოთხრობებს თუ სხვა ჟანრის ნაწარმოებს. ეს შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს ლიტერატურის მასწავლებელს. იგი უნდა დაეხმაროს მათ შემოქმედებითი ნიჭის გაშლა-განვითარებაში. ხშირია შემთხვევა, როცა ბა-

ვშვის ბუნებრივი ნიჭი იკარგება, როცა მას დროზე არ გამოუჩნდება ჭეშმარიტი დამხმარე და ხელის შემწყობი.

მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში არანაკლები როლი ენიჭება ***სიმღერა-მუსიკას.*** **ი. გოგებაშვილის** აზრით, *„სიმღერა სამართლიანად ითვლება... სკოლის სულად და გულად“.* იგი უვითარებს ბავშვს მუსიკალურ გრძნობებს, აჩვევს ჰარმონიას და უქმნის ამაღლებულ განწყობილებას. *„კარგის სიმღერით, — დასძენს იაკობი, — ერთნაირად სტკბებიან: ქალნიც, კაცნიც, პატარებიც, დიდებიც, განათლებულნიც, გაუნათლებელნიც, შინაურნიც და გარეულნიც, ჩვენებურნიც და უცხოელნიც“.* [1]

მუსიკა ესთეტიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებაა. იგი ხელს უწყობს მოსწავლეთა ესთეტიკური გრძნობების განვითარებას, აფაქიზებს მათ მხატვრულ გემოვნებას, უყალიბებს მუსიკალურ-ესთეტიკურ კულტურას, ასწავლის მუსიკალური ნაწარმოების მოსმენას და მის შესახებ მსჯელობას.

მასწავლებელმა დაწყებითი კლასებიდანვე უნდა ასწავლოს მოსწავლეებს მუსიკის მოსმენის პროცესში მიღებული შთაბეჭდილებების სიტყვიერად გადმოცემა, ერთი ნაწარმოების მეორესთან შედარება და მსგავსება-განსხვავების დადგენა. მაღალ კლასებში ასეთი მუშაობა კიდევ უფრო ვითარდება და ღრმავდება, რაც უვითარებს მოსწავლეებს მუსიკის მოსმენის უნარს, რიტმის გრძნობას, მუსიკალურ მეხსიერებას, შემსრულებლობით მონაცემებს და სხვა. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია ხალხური მუსიკა და სიმღერები. ქართული მრავალხმიანი მუსიკა, ხალხური სიმღერები თუ საგალობლები მოზარდ თაობაზე ემოციური ზემოქმედების უშრეტი წყაროა. მუსიკის სამყაროსთან ბავშვის ზიარება ხალხური სიმღერით იწყება. ამის გარეშე შეუძლებელია პროფესიული მუსიკის ღრმა წვდომა, მისი საფუძვლიანად დაუფლება. სამწუხაროდ, დღეს ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ტელევიზორში, რადიოში თუ

---

[1] *ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზ., ტ. III, თბ., 1990, გვ. 132.*

თუ ქორწილებში იშვიათად გაიგონებთ ქართულ ხალხურ სიმღერებს. მუსიკის გაკვეთილებზე მოსწავლეები სწავლობენ არა მარტო სიმღერებს, არამედ იძენენ სასიმღერო გუნდის ჩვევებს, სწავლობენ მუსიკის ანბანს, ეცნობიან გამოჩენილი ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ცხოვრებას და მათ შემოქმედებას.

მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ***სახვითი ხელოვნების გაკვეთილები.*** იგი ხელს უწყობს ბავშვის ბუნებრივი ნიჭის გამოვლენასა და მის შემდგომ განვითარებას, რაც მასში ჩანასახის ფორმით არის მოცემული.

დაწყებით კლასებში პროგრამა ითვალისწინებს ნატურიდან ხატვას, რაც მოითხოვს მოსწავლეებში დაკვირვების უნარის გამომუშავებას. საკლასო ოთახში მასწავლებელი თვალსაჩინო ადგილზე დებს რაიმე ნივთს, ვთქვათ, დოქს და მოსწავლეებს ავალებს მის ზუსტად დახატვას. ამისათვის ბავშვმა კარგად უნდა წარმოიდგინოს ის საგანი, რომელსაც იგი ხატავს, მისი ფერი, ფორმა, დამახასიათებელი ნიშნები. ეს განსაკუთრებით საჭიროა მაშინ, როცა მოსწავლე ხატავს რაიმე საგანს დამახსოვრებისა და წარმოდგენის საფუძველზე.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებში ხატვის სწავლება დაკავშირებულია შრომის გაკვეთილებზე სხვადასხვა საგნების ძერწვასთან. ასე, მაგალითად, I კლასში მოსწავლეები ძერწავენ კომბოსტოს, სტაფილოს, კარტოფილს, მსხალს, ვაშლს და სხვა, II-III კლასებში კი — შინაურ და გარეულ ფრინველებს, ცხოველებს, ადამიანს და ა.შ. ძერწვა მოსწავლეებს ეხმარება საგნების ფორმის მოყვანილობისა და მათი პროპორციულად განლაგების აღქმაში; ავითარებს მათში სიმეტრიისა და სიზუსტის დაცვის უნარს. საგნების ძერწვა ხატვის წინაპირობას წარმოადგენს. მასში ბავშვი ისეთ ჩვევებს იძენს, რომლებიც საჭიროა ხატვის ხელოვნების დაუფლებისათვის.

მაღალ კლასებში ეს პროცესი თანდათანობით რთულდება და იხვეწება. ნატურიდან ხატვასთან ერთად, აქ მასწავლებელი აჩვევს მოსწავლეებს თავისუფალ თემებზე ხა-

ტვას, როგორიცაა: *„გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“, „ზამთარი“, „მოსავლის აღება“, „ნადირობა“, „თევზაობა“* და სხვ.

გენიალური მხატვრების – *ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, რაფაელის, ზიჩის, რეპინის, აივაზოვსკის, ფიროსმანის, გაბაშვილის, გუდიაშვილის* და სხვათა ნაწარმოებები აღაფრთოვანებენ მნახველებს და წარუშლელ კვალს ტოვებენ.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა მარტო ლიტერატურის, ხატვისა და სიმღერა-მუსიკის გაკვეთილებზე როდი ხორციელდება. ამ საქმეში არანაკლები როლი ენიჭება სხვა საგნებსაც, დაწყებით კლასებში კი, უწინარეს ყოვლისა, მშობლიურ ენასა და არითმეტიკას. ქართული ასოები საქვეყნოდ ცნობილია თავისი სილამაზითა და მიმზიდველობით. მოსწავლეთა მიერ ლამაზი კალიგრაფიით შესრულებული ნაწერები ესთეტიკურ გრძნობას აღძრავს მკითხველში. არითმეტიკის მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა ასწავლოს ციფრების ლამაზად წერა და ნახაზების მიმზიდველად შესრულება, რასაც დიდი ესთეტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მასწავლებელი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. მისთვის სულერთია როგორ ციფრებს დაწერს დაფაზე თავად თუ მოსწავლე, ოღონდ ამოცანა თუ მაგალითი სწორად ამოიხსნას. ასეთი მასწავლებლები ივიწყებენ იმას, რომ სწავლების პროცესს, საგანმანათლებლო ფუნქციასთან ერთად, აღმზრდელობითი ფუნქციაც აკისრია.

მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში საგრძნობი წვლილი შეაქვს ასევე ***ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს.*** ფიზიკური კულტურის ისეთი სახეები, როგორიცაა – მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, ფიგურული სრიალი და სხვა, ხიბლავს ადამიანს თავისი პლასტიკურობითა და გრაციით, იწვევს მოსწავლეებში მაღალ ესთეტიკურ განცდებს.

მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ***სკოლისა და მისი გარემოს კეთილმოწყობა.*** როგორც კი მოსწავლე ფეხს შედგამს სკოლაში, მას

მაშინვე თვალში უნდა ეცეს სკოლის კარ-მიდამოს სილამაზე, სისუფთავე და მიმზიდველობა. ძალზე უარყოფითად მოქმედებს ბავშვზე დანაგვიანებული და ატალახებული სკოლის ეზო,საკლასო ოთახში მინებჩამტვრეული ფანჯრები, შეუღებავი კედლები, უსუფთაო საპირფარეშო და ა.შ.

უკანასკნელ ხანს დიდი ყურადღება მიექცა ჩვენში სკოლების კეთილმოწყობას, რაც მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებაა. 2005-2006 სასწავლო წელს ქალაქ ბათუმის ყველა სკოლა გარემონტდა ევროპულ დონეზე. თვალს ახარებს ლამაზად შეღებილი სკოლის კედლები, ჭერი, იატაკი, მოასფალტებული ეზო და სხვ. ასეთ გარემოში ბავშვი ესთეტიკურადაც იზრდება და სკოლის ინვენტარსა და საკუთარ თავსაც მეტ ყურადღებას აქცევს.

იგივე უნდა ითქვას ბინების კეთილმოწყობასა და მათში სისუფთავეზე.

გარდა საგაკვეთილო პროცესისა, მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებაა ***კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა.*** მოსწავლეთა ჩაბმა მათი ნიჭისა და უნარის მიხედვით მხატვრული თვითმოქმედების, ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების წრეებში, ფოტოგამოფენებისა და მხატვართა ნამუშევრების დათვალიერება, ექსკურსია-გასეირნებები ბუნებაში, კონფერენციები, ოლიმპიადები, სპექტაკლებისა და კინოფილმების ნახვა და ნახულის შესახებ მსჯელობა მათი ესთეტიკური გრძნობის განვითარების საუკეთესო საშუალებაა. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს ასევე შეხვედრები ხელოვნებისა და კულტურის დარგის მუშაკებთან, მოდელიორებთან, დიზაინერებთან და სხვა, რომლის დროსაც განიხილება ქცევის ესთეტიკის საკითხები, ფაქიზი მანერები (მოდა, ჩაცმა-დახურა) თუ სხვა, რაც ყოფაქცევის ესთეტიკის საგანია.

მშვენიერებით უნდა განიმსჭვალოს ადამიანთა ცხოვრების ყველა მხარე, განსაკუთრებით კი, შრომის პროცესი. შრომა ალამაზებს და აკეთილშობილებს ადამიანს. **ვ. სუხომლინსკის** აზრით, უმაღლესი მშვენიერება ადამიან-

შია, მეტადრე მშრომელ ადამიანში. „უსაქმურობა სილამაზის მტერია, – წერს იგი. – გახსოვდეს ეს, შვილო. ლამაზია მშრომელი ადამიანი – კომბაინერი, ტრაქტორისტი, თვითმფრინავის შტურვალთან მჯდომი მფრინავი, საყვარელ ხესთან მდგარი მებაღე... თუ გინდა, რომ ლამაზი იყო, იმუშავე თავდავიწყებით, იმუშავე ისე, რომ თავი იგრძნო შემოქმედად,ოსტატად საყვარელი საქმის მეუფედ“.[1]

ცნობილ უკრაინელ მწერალს, **„ოლეს გონჩარს,** – *განაგრძობს სუხომლინსკი, – აქვს ნოველა „მზესუმზირები“. მასში მოთხრობილია სკულპტორზე, რომელსაც დაავალეს მზესუნზირის მაღალი მოსავლის ოსტატის – ქალიშვილის ბიუსტის გამოქანდაკება. ქალიშვილი ისე უშნო იყო, რომ სკულპტორმა დავალების შესრულებაზე უარი თქვა. ერთხელ მან, სადგურში მიმავალმა, ჩაუარა აყვავებული მზესუმზირის მინდორს. აქ იგი ისევ შეხვდა თავის გმირს. იგი მინდორში მუშაობდა და სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. მისი სახე შრომის სილამაზით იყო გაცისკროვნებული, მის ნაკვთებში გამოკრთოდა სულიერი სილამაზე. „ლამაზია!“ – წამოიძახა ხელოვანმა და გონებაში უკვე ქალიშვილის სახის ნაკვთებს ძერწავდა“.*[2]

ვ. სუხომლინსკი მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას ბუნების შეცნობით იწყებდა. მოსწავლეთა სმენისა და მხედველობის გავარჯიშების მიზნით „სიხარულის სკოლისა“ და დაწყებითი კლასების მოსწავლეები კვირაში ორჯერ გაჰყავდა ბუნებაში, სადაც ისინი უსმენდნენ ფოთლების ჩურჩულს, ფუტკრების ზუზუნს, კალიების ჭრიჭინს, ტოროლას გალობას, ტრაქტორის გუგუნს, აკვირდებოდნენ მზის ამოსვლასა და ჩასვლას, ცისარტყელას ფერებს, მეწამულ ცას და სხვ. ასე შეიქმნა ცნობილი „პავლიშური ზღაპრები“ და ფერწერული ტილოები.

ესთეტიკურ აღზრდას **ვ.სუხომლინსკი** განიხილავდა აღზრდის სხვა მხარეებთან, განსაკუთრებით კი ზნეობრივ აღზრდასთან, მჭიდრო კავშირში. მშვენიერი მას მიაჩნდა

---

[1] *ვ.სუხომლინსკი,წერილები ვაჟიშვილს, ბათუმი, 1996, გვ.73.*
[2] *იქვე.*

ადამიანის სულიერი სიმდიდრის, ზნეობრივი სიწმინდის წყაროდ, *„ადამიანურობის აღზრდის საუკეთესო საშუალებად“.* მისი აზრით, პატარა ბავშვი ადამიანად იქცა მხოლოდ მას შემდეგ, როცა *„შეიგრძნო ფოთლების ჩურჩული და კალიების ჭრიჭინი, გაზაფხულზე ნაკადულების რაკრაკი, ვერცხლისფერი მაჩიტების ბზინვა, ზაფხულის ცხელ ცაზე ტოროლების წკრიალი, თოვლის ფანტელების შრიალი, ფანჯრის მიღმა ქარის კვნესა, ტალღების საამო შხაპუნი და ღამის იდუმალი სიჩუმე“.* [1] აქედან გამომდინარე, დიდ პედაგოგს აუცილებლად მიაჩნდა მოსწავლეთა გრძნობების დახვეწა, განსაკუთრებით კი სმენისა და მხედველობის გავარჯიშება, რადგან იგი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ბუნების ესთეტიკურ საიდუმლოებათა წვდომასთან ერთად, ადამიანში თანდათან ყალიბდება პატივისცემა და სიყვარული მისდამი, მისი დაცვა-პატრონობისა და მფარველობის გრძნობა.

პავლიშელი მოსწავლეები „ბუნების მუსიკიდან“ თანდათანობით გადადიოდნენ მუსიკალურ შემოქმედებაზე — სწავლობდნენ სალამურზე დაკვრას, რომლის უმთავრესი მიზანი იყო პატარებში ადამიანური გრძნობების ჩანერგვა, მათი გაკეთილშობილება და არა მუსიკოსის აღზრდა.

3. ესთეტიკური აღზრდის პრინციპები

ისევე, როგორც აღზრდის სხვა მხარეებში, ესთეტიკური აღზრდის პროცესშიც უნდა იქნას დაცული შემდეგი პრინციპები:

1. ***ესთეტიკურისა და ზნეობრივის ერთიანობის პრინციპი.*** ეს იმას ნიშნავს, რომ ის ნაწარმოებები, ხელოვნების ნიმუშები, რომლებსაც მოსწავლეებს ვთავაზობთ უნდა იყოს არა მარტო ესთეტიკური,არამედ მაღალზნეობრივიც, მაღალი ზნეობის მატარებელი. ძალადობა და სადიზმი,შიშველი ეროტიზმი და აღვირახსნილობა კი არ უნდა ზეიმობდეს მათში, არამედ კაცთმოყვარეობა და უანგარობა,

---

[1] *ვ.სუხომლინსკი,წერილები ვაჟიშვილს, ბათუმი,1996, გვ.72.*

სამართლიანობა და წმინდა სიყვარული.

მშვენიერება, ისევე როგორც მაღალი ზნეობა, სათანადო განცდებს – მოწონების, კმაყოფილების, სიხარულის ემოციებს აღუძრავს ადამიანს. ეს სავსებით ბუნებრივია. დამაფიქრებელი ის უნდა იყოს, თუ მოზარდი გულგრილია სილამაზისა და კეთილშობილების,უმსგავსობისა და უხამსობის მიმართ. ზოგიერთების აზრით, ემოციები ძველი გადმონაშთია და დროთა განმავლობაში საერთოდ გაქრება. ასეთი მოსაზრება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, რადგან ადამიანი ყველგან და ყოველთვის ადამიანად რჩება. იგი მანქანად ვერ იქცევა. მას ყოველთვის გააახარებს სიკეთე და დაანაღვლიანებს, გულს დაწყვეტს ბოროტება, ყოველთვის ექნება სათანადო რეაქცია გმირულ საქციელზე, ტრაგიკულსა და კომიკურზე.

რუსმა ფსიქოლოგებმა ჩაატარეს ასეთი ექსპერიმენტი: სხვადასხვა ქვეყნის 3000 ბავშვს მისცეს ასეთი დავალება, დაეხატათ, მათი აზრით, ყველაზე მშვენიერი და ყველაზე მახინჯი სურათი და მიეცათ შესაბამისი ახსნა. 9 წლის ბავშვმა დახატა მეხანძრე და ასეთი მინაწერი გაუკეთა: „ყველაზე მშვენიერია მეხანძრე. მას წითელი კასკა ახურავს და ძალიან ლამაზად გამოიყურება იმიტომ, რომ ის გულადია და თავს არ ზოგავს ადამიანების გადასარჩენად“. 11 წლის ბავშვი კი წერს: „ყველაზე მახინჯია რობოტი. მასში არაფერია ადამიანური. ყველაზე ლამაზია ბუნება. ის აღმაფრთოვანებელია. მდელოზე ითამაშებ, მდინარეში იცურავებ“. [1]

ემოცია დიდი მამოძრავებელი ძალაც არის. ემოციური დამოკიდებულების გარეშე შეუძლებელია მნიშვნელოვანი საქმეების კეთება. მაგრამ ემოციაც არის და ემოციაც. როგორც ყველაფერში, ისე ემოციის გამოხატვაშიც საჭიროა ზომიერების დაცვა.

2. მხატვრულისა და იდეურის ერთიანობის პრინციპი. ეს პრინციპი მოითხოვს, რომ ესთეტიკური აღზრდის საშუალებები – ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოე-

---

[1] *გ. ხუხუა, პედაგოგიკა, თბ., 2009, გვ. 202-203.*

— არა მარტო მაღალმხატვრული იყოს, არამედ გარკვეული იდეის მატარებელიც. ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები ყოველთვის ამკვიდრებს ცხოვრებაში სამართლიანობის, მშვენიერების, სიკეთის პათოსს, უმღერის ხალხის სწრაფვას პროგრესის, დემოკრატიის, ზოგადსაკაცობრიო იდეალებისაკენ, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისაკენ. ჭეშმარიტი პატრიოტიზმი, ხალხთა შორის მეგობრობა და სიყვარული, ჰუმანიზმი, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა — ასეთია ჭეშმარიტი ნაწარმოების იდეურ-ზნეობრივი მიმართულება. რა თქმა უნდა, ხელოვნება ვერ იქნება შიშველი აგიტაცია. მისთვის მთავარია ესთეტიკური მექანიზმი, იდეები კი შეფარვით ექსოვება მხატვრულ ქარგას. მაგრამ ეს უიდეობას როდი ნიშნავს.ამიტომ ახალგაზრდობის აღზრდისათვის ისეთ ნა--წარმოებებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რომლებიც არა მარტო ესთეტიკურ და ზნეობრივ ზემოქმედებას ახდენენ მოზარდებზე, არამედ მშობელი ქვეყნისა და მთელი კაცობრიობის სასიკეთო ფიქრებსაც აღუძრავენ მათ.

3. მისაწვდომობის პრინციპი. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მხოლოდ მაშინ აღწევს მიზანს, თუ მისი შინაარსი და მეთოდიკა მისაწვდომია, ანუ შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ეს მოთხოვნა ესთეტიკური აღზრდის სფეროზეც ვრცელდება. უმცროსკლასელთა ესთეტიკური აღზრდა იწყება მარტივი, მაგრამ უდავოდ კარგი ლექსებითა და მოთხრობებით, ყვავილების სილამაზეზე ყურადღების გამახვილებით, ადვილი მელოდიების შეთვისებით. მათთვის მიუწვდომელია დიდი ხელოვნების რთული მხატვრულ-ესთეტიკური სამყარო. არ უნდა გავიმეოროთ რუსოს ცნობილი შეცდომა: მან მზის ამოსვლის დიდებული სურათი უჩვენა პატარა ბავშვს, მაგრამ მასზე ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ამ სილამაზემ — სწორედ მისი სიდიადის გამო. დიადი და ამაღლებული მისაწვდომია მხოლოდ ესთეტიკურად განვითარებული ადამიანისათვის. ამიტომ საჭიროა პატარები ვაზიაროთ მშვენიერების ელემენტარულ გამოვლინებებს. ასე უნდა დავიწ-

ყოთ მათი ესთეტიკური აღზრდა, რომელიც თანდათან უნდა ღრმავდებოდეს და ბუნებისა და ხელოვნების, ადამიანური ურთიერთობის მთელი სილამაზის ადეკვატური აღქმისა და განცდის უნარს აყალიბებდეს.

4. უწყვეტობისა და მემკვიდრეობითობის პრინციპი. ესთეტიკური აღზრდა არ უნდა იყოს ეპიზოდური და დროებითი მოვლენა. იგი უმცროსი ასაკიდანვე უნდა იწყებოდეს და სწავლების მთელ პროცესში გრძელდებოდეს. ამ ხნის მანძილზე ადამიანს უნდა ჩამოუყალიბდეს უტყუარი მხატვრული გემოვნება და ესთეტიკური მოთხოვნილება, რაც მისთვის აუცილებელს გახდის ლიტერატურის კითხვას, სპექტაკლებისა და კინოფილმების ნახვას, მხატვრული გამოფენების დათვალიერებას. ეს მოთხოვნილება ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა გაჰყვეს.

აუცილებელია ასევე მემკვიდრეობითობის დაცვაც: ესთეტიკური აღზრდა, რომელიც დაწყებით კლასებში ხორციელდება, სკოლამდელ ასაკში (ოჯახი, საბავშვო ბაღი) მიღებულ ესთეტიკურ შთაბეჭდილებებს უნდა ითვალისწინებდეს და მათ გაღრმავება-სრულყოფას წარმოადგენდეს, ხოლო დაწყებით კლასებში მიღწეულ დონეს უნდა ითვალისწინებდნენ და ემყარებოდნენ უფროს კლასებში მომუშავე პედაგოგები.

5. საყოველთაობის პრინციპი. ხელოვნებით, მშვენიერებით ტკბობა მთელი საზოგადოებისათვის უნდა იყოს მისაწვდომი.არ არის სწორი,თითქოს უბრალო ხალხს, მშრომელ ადამიანებს ხელოვნება არ სჭირდებოდეთ. ხელოვნება მხნეობას მატებს და აკეთილშობილებს ნებისმიერი რანგისა და პროფესიის ადამიანს.

გარდა ამისა, „დაბალი ფენებიდან“ იშვიათად როდი გამოდიან ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები. სწორად არის ნათქვამი: *„ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობა“* **(გრ. ორბელიანი).** ამიტომ ესთეტიკურ აღზრდას მთელი ახალგაზრდობა უნდა ღებულობდეს, განურჩევლად მათი ეროვნების, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და კონფესიისა. ეს ხომ საზოგადოების სულიერი სიმდიდრეა.

6. სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების პედაგოგიურ მოთხოვნათა ერთიანობის პრინციპი. ბავშვთა და მოზარდთა ესთეტიკური აღზრდა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეთანხმებულად მოქმედებენ სკოლა, ოჯახი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებები. სამწუხაროდ, მათი ერთობლივი შეთანხმებული მუშაობის ნაცვლად, ზოგჯერ ადგილი აქვს მშობლებსა და პედაგოგებს შორის შეუთანხმებლობას, ურთიერთდაპირისპირებას და დანაშაულის ერთმანეთზე გადაბრალებას.

არის შემთხვევები, როცა სკოლა მოსწავლეს აერთიანებს სასკოლო გუნდში ან მხატვრული აღზრდის წრეში, მაგრამ მშობელი ამის წინააღმდეგ გამოდის; ან კლასი მიდის ექსკურსიაზე, მშობელი კი თავის შვილს, რომელიც ამ კლასში სწავლობს, არ უშვებს და ამხანაგებს უპირისპირებს. მშობლის ასეთი მოქმედება აფერხებს და ზიანს აყენებს მოზარდი თაობის არა მარტო ესთეტიკურ აღზრდას, არამედ მის საერთო განვითარებასაც. აქედან გამომდინარე, სკოლა ოჯახს უნდა ეხმარებოდეს, ოჯახი კი სკოლას. წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალი თაობის აღზრდაში დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება.

4. ესთეტიკური აღზრდა ოჯახში

ესთეტიკურ აღზრდას, ისევე როგორც აღზრდის სხვა მხარეს, საფუძველი ეყრება ოჯახში. აქ უმუშავდება ბავშვს სილამაზის, მშვენიერების აღქმის უნარი, ფერისა და რიტმის გრძნობა, სისუფთავისა და სიკოხტავის მოთხოვნილება. სკოლამდელი ასაკის ბავშვს იზიდავს სხვადასხვა ფერისა და ფორმის სათამაშოები, საბავშვო ლექსები და სიმღერები, რომელთა კვალი ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე რჩება მეხსიერებაში. ამაზე მიუთითებს ი.გოგებაშვილის მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა?!“

მშობელმა ბავშვი პატარაობიდანვე უნდა მიაჩვიოს სისუფთავეს, სიკოხტავეს, ჰიგიენური წესების დაცვას. ბავშვს უნდა მოვუთხროთ მისი ასაკის შესაფერისი ზღაპრები, წავუკითხოთ ლექსები, მოვასმენინოთ სიმღერები,

გავასეირნოთ ბუნებაში და დავატკბოთ ბუნების სილამაზით, რაც ხელს შეუწყობს მისი გრძნობებისა და ესთეტიკური გემოვნების განვითარებას. მუსიკალური მონაცემების მქონე ბავშვებს მშობლებმა უნდა შეუძინონ სათანადო ინსტრუმენტები და ლიტერატურა, უნდა შეაჩვიონ ისინი ოჯახში შრომა-საქმიანობას, დაგვა-დასუფთავებას, სათამაშოების მოვლა-პატრონობას და მათ სათანადო ადგილას დალაგებას.

ზოგიერთ ოჯახში ტრადიციად არის ქცეული დასვენების დღეების ქალაგარეთ – ტყეში, ზღვის სანაპიროზე, მდინარის პირას, ჩანჩქერთან გატარება, ერთობლივად დათვალიერება გამოფენების, მუზეუმების, სპექტაკლებისა და კინოფილმების ნახვა და სხვ.

ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდაში დიდ როლს ასრულებს ბუნება. ლაჟვარდოვანი ტბების, მოჩუხჩუხე ნაკადულების, მქუხარე ჩანჩქერების, ყვავილებით მორთული ველ-მინდვრების ხილვა წარუშლელ კვალს ტოვებს ბავშვთა მეხსიერებაში, აყვარებს მათ ბუნებას და უნერგავს მისი დაცვის გრძნობას.

ესთეტიკური აღზრდის ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს, იხილონ ადამიანთა ყოფაქცევის ესთეტიკა სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში. მათი ყურადღება უნდა მივაპყროთ განსაკუთრებით ადამიანთა ფაქიზ, კულტურულ მანერებზე და მოვითხოვოთ მათგან ამ მანერების გადაღება.

თავი XXII

ფიზიკური აღზრდა

1. ფიზიკური აღზრდის წარმოშობა და განვითარება

აღზრდის სხვა ძირითად მიმართულებათა შორის ფიზიკურ აღზრდას ყველაზე დიდი ხნის ისტორია გააჩნია. მას დიდი ყურადღება ექცეოდა ყველა დროსა და ეპოქაში, მაშინაც კი, როცა არ იყო არც სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებები და არ იყვნენ პროფესიონალი აღმზრდელები. პირველყოფილი თემური წყობილების დროს ადამიანთა მთავარი საზრუნავი იყო საარსებო საშუალებების მოპოვება, რაშიც ბავშვებიც მონაწილეობდნენ. ეს კი მოითხოვდა მათ ფიზიკურ აღზრდასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვას.

მონათმფლობელური წყობილების დროს არსებული ფიზიკური აღზრდის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა სპარტანული და ათენური აღზრდა. ძველ საბერძნეთსა და რომში გავრცელებული იყო გამოთქმა: „*ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია*“. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა სპარტანული აღზრდა. აქ ფიზიკურად ჯანსაღი პიროვნების აღზრდის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მონების ხშირი შემოსევისაგან თავის დაცვა და მათთან ბრძოლაში გამარჯვება. ახალშობილ ბავშვს მიუყვანდნენ მამას და თუ იგი მასში რაიმე ფიზიკურ ნაკლს აღმოაჩენდა,ხრამში გადაუძახებდა, რადგან მისგან კარგი მეომარი არ დადგებოდა. 7 წლიდან ჯანმრთელი ბავშვების (ვაჟების) აღზრდას ხელს ჰკიდებდა სახელმწიფო, 17-18 წლის ასაკში კი ისინი მუდმივ სამხედრო სამსახურს იწყებდნენ. აქ მოზარდებს წვრთნიდნენ და აჩვევდნენ შიმშილის,სიცივის, წყურვილის მოთმენას და ტკივილების ატანას .ნორჩი სპარტანელები (სპარტიატები) გადიოდნენ სამხედრო წვრთნას.

მათ ასწავლიდნენ სირბილს,ხტომას,შუბის ტყორცნას, ჭი--
დაობას, ხელჩართულ ბრძოლას, კრივს,ბურთაობას და ა.შ.

შუა საუკუნეებში, ფეოდალური წყობილების დროს, მთავარი ყურადღება ექცეოდა საერო ფეოდალების — რაინდების ფიზიკურ აღზრდას. იგი მოიცავდა სპორტის სხვადასხვა სახეს, როგორიცაა: სირბილი, ხტომა, შუბისა და ფარ-ხმლის ფლობა, ჭიდაობა, ცურვა, ცხენოსნობა, ფარიკაობა და სხვა. წერა-კითხვის ცოდნა რაინდისათვის სავალდებულო არ იყო. ეს სამღვდელოების საქმედ ითვლებოდა. რაინდთა წოდების მაღალი ფენების ზოგიერთი წარმომადგენელი (გრაფები, ჰერცოგები) ადრინდელ საუკუნეებში წერა-კითხვის უცოდინარები იყვნენ.

მონათმფლობელური და ფეოდალური წყობილების ეპოქაში საქართველო არავის ჩამოუვარდებოდა ფიზიკურ აღზრდაში, რაზეც ნათლად მეტყველებს „ვეფხისტყაოსანი“. განუწყვეტელი ომები ქართველებს აიძულებდა მუდამ ფიზიკურ და სამხედრო მზადყოფნაში ყოფილიყვნენ. ამ პერიოდის საქართველოში ფართო პოპულარობით სარგებლობდა ცხენოსნობა, მშვილდოსნობა, ბურთაობა, ნადირობა, ფარ-ხმლის, შუბისა და შურდულის ხმარება. თავიანთი სპორტული ოსტატობის დემონსტრაცია ქართველებს არაერთხელ მოუხდენიათ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, განსაკუთრებით ცხენოსნობასა და ბურთაობაში.

XVIII-XIX საუკუნეებში, კაპიტალიზმის განვითარების შემდგომ ეტაპზე, ევროპის ქვეყნებში შეიქმნა ფიზიკური აღზრდის სხვადასხვა სისტემა, მათ შორის გერმანული, ფრანგული, ინგლისური,შვედური და სხვა სისტემები, რომლებიც მილიტარისტული ხასიათის იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა გერმანული სისტემა. იგი მიზნად ისახავდა ახალგაზრდებისათვის სხვა რასებთან შედარებით გერმანელთა უპირატესობის გრძნობის ჩანერგვას და მათ მომზადებას მსოფლიო ბატონობისათვის.

ფიზიკური აღზრდის ფრანგული სისტემაც საომარი ხასიათის იყო. მისი მიზანი იყო ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ევროპაში დაკარგული ბატონობის აღდგენა.

დაახლოებით ანალოგიური მიზნები გააჩნდა სხვა სისტემებსაც.[1]

ფიზიკური აღზრდის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ამჟამად — მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, როცა ადამიანის მოთხოვნილება და მისთვის საჭირო ცოდნის მოცულობა დღითიდღე იზრდება. ყოველივე ეს გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მის ყოფა-ცხოვრებაზე, შრომასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ფართო, ზოგადი განათლებისა და პროფესიული მომზადების მაღალი დონის მიღწევისათვის საჭიროა მოზღვავებული ინფორმაციის ათვისება, რაც ზედმეტად ტვირთავს ადამიანის გონებასა და მის ინტელექტუალურ ძალებს. ამასთან ერთად, ქალაქელ მოსწავლეებში შეიმჩნევა მოძრაობის უნარის დაქვეითება (ჰიპოდინამია), რასაც იწვევს სასწავლო პროგრამების გადატვირთვა, მოძრავი თამაშობების შემცირება ბავშვებში და ტრანსპორტით სარგებლობა, მოკლე მანძილზეც კი. ბავშვებში მოძრავი თამაშობების ადგილი უკანასკნელ წლებში დაიკავა ტელევიზორმა და კომპიუტერულმა თამაშობებმა. ამიტომ მოსწავლეებს ნაკლებად უხდებათ მოძრაობა. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შეფერხდა.

2. ფიზიკური აღზრდის როლი აღზრდის საერთო სისტემაში

ფიზიკური აღზრდა, როგორც აღზრდის მთელი სისტემის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ როლს ასრულებს პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებაში, მაგრამ იგი იზოლირებული როდია პიროვნების ფორმირების სხვა მხარეებისაგან.

ფიზიკურ აღზრდას მჭიდრო კავშირი აქვს აღზრდის სხვა კომპონენტებთან, როგორიცაა: გონებრივი, ზნეობ-

რივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდა. იგი აღზრდის ყველა აქ ჩამოთვლილი მხარის საფუძველთა საფუძველია. კარგი ჯანმრთელობა ნებისმიერი საქმიანობის წარმატებით შესრულების საწინდარია. თუკი პიროვნებას ჯანმრთელობა ხელს არ უწყობს,იგი თავს ვერ გაართმევს ვერავითარ საქმეს. აქედან გამომდინარე, ფიზიკური აღზრდა ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს მოსწავლეთა ***გონებრივ აღზრდაზე.*** პედაგოგიური და ფსიქოლოგიური გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობისა და მეორეწლიანობის დაახლოებით 80% სუსტი ჯანმრთელობითა და ფიზიკური ნაკლოვანებებით აიხსნება, როგორიცაა: გულის, ფილტვებისა და სხვა შინაგანი ორგანოების დაავადება, სმენისა და მხედველობის დაქვეითება და ა.შ.

ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული ბავშვის ყურადღება, აზროვნება, მეხსიერება, ნებისყოფა და სხვა თვისებები, საბოლოო ჯამში კი, მისი ინტელექტუალური განვითარება და გონებრივი შრომის ნაყოფიერება.

ფიზიკურ აღზრდას გარკვეული წვლილი შეაქვს ***ზნეობრივ აღზრდაშიც***. ზნეობრივი ქცევისა და მტკიცე ნებისყოფის გამოვლენა შეუძლებელია პიროვნების ფიზიკური წრთობისა და ძალ-ღონის დაძაბვის გარეშე. გარდა ამისა, სპორტულ შეჯიბრებებში ამხანაგების წარმატებებზე თანაკლასელები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ. ზოგს ახარებს მათი წარმატებები, ზოგს შურს, ზოგი კი ყველაფრისადმი გულგრილია. დაკვირვებულ მასწავლებელს ყოველივე ეს მხედველობიდან არ უნდა გამოეპაროს და მოსწავლეთა ასეთი გამოვლინებები უნდა გამოიყენოს მათში ისეთი ზნეობრივი გრძნობების აღზრდის მიზნით, როგორიცაა: გულისხმიერება, ყურადღება, თანაგრძნობა, თანაზიარობა, მეგობრობა და სხვა, რითაც ადამიანი ადამიანობს.

სპორტული თამაშობები – ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი თუ სხვა ხელს უწყობს მოსწავლეთა პატრიოტიზმისა და კოლექტივიზმის სულისკვეთებით აღზრდას, მათში შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას.

ფიზიკურ აღზრდას არანაკლები როლი ენიჭება მოსწავლეთა ***ესთეტიკურ აღზრდაში***. ფიზკულტურისა და სპორტის ისეთი სახეები, როგორიცაა: ფიგურული სრიალი, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, სათხილამურო სპორტი, წყალში ხტომა და სხვა, უვითარებს მოზარდებს ესთეტიკურ გემოვნებას, სილამაზისა და მშვენიერების აღქმის უნარს, გრაციოზულობას, ელასტიკურობას, რიტმულობას და სხვა.

ფიზიკური აღზრდა მჭიდროდაა დაკავშირებული ასევე ***შრომით აღზრდასთან.*** იგი ხელს უწყობს მოზარდებში შრომისუნარიანობისა და ნებისყოფის განმტკიცებას, მათ მომზადებას შრომისათვის როგორც პრაქტიკულად, ისე ფსიქოლოგიურად.

ასეთია ფიზიკური აღზრდის როლი პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაში.

3. ფიზიკური აღზრდის მიზანი და ამოცანები

ფიზიკური აღზრდის მიზანია პიროვნების ყოფელმხრივი, ჰარმონიული განვითარება, მისი ჯანმრთელობის გაკაჟება და შრომისა და ქვეყნის დაცვისათვის მომზადება. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, ფიზიკურმა აღზრდამ უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები:

1. მოზარდის ორგანიზმის ნორმალური განვითარება, მასში ისეთი თვისებების ჩამოყალიბება, როგორიცაა: ტანის ახოვანება, სისწრაფე, მოქნილობა, გამძლეობა, დროსა და სივრცეში სწრაფი ორიენტირება;
2. საკუთარი ძალების მტკიცე რწმენა, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცე;
3. ამხანაგობის, მეგობრობის, კოლექტივიზმის, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის და სხვა თვისებების განვითარება;
4. ესთეტიკური გრძნობებისა და გემოვნების დახვეწა;
5. მოზარდის ჯანმრთელობის გაკაჟება და მისი მომზადება სწავლის, შრომის, სამშობლოს დაცვისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური აღზრდა მიზნად ისახავს პიროვნების არა მარტო ჯანმრთელობის გაკაჟებასა და მასში სისწრაფის, მოქნილობის, ამტანობის, გამძლეობის გამომუშავებას, არამედ მასში კეთილშობილური თვისებების განვითარებასაც და ზნეობრივ სრულყოფას. წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო ფიზიკურად განვითარებული პიროვნება შეიძლება საზოგადოებისათვის სა-შიშიც კი აღმოჩნდეს.

მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას სკოლაში ემსახურება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი საგანი, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ფიზიკური აღზრდა. ამ საქმეში ასევე წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა სახის სპორტული წრეები, შეჯიბრებები, ლაშქრობები, ოლიმპიადები და სხვ. მაგრამ ადამიანი სპორტს უნდა დაეუფლოს არა მარტო შეჯიბრებებში გარკვეული წარმატებების მიღწევისათვის, არამედ, უფრო მეტად, თავისი ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარებისათვის. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა. მას ფიზკულტურულ-პედაგოგიურ განათლებასთან ერთად, უნდა გააჩნდეს პირადი ფიზიკური მომზადებაც, რათა მოსწავლეებს უჩვენოს ამა თუ იმ ვარჯიშის შესრულების ნიმუში.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს სკოლის ექიმთან. იგი მისგან უნდა იგებდეს თითოეული მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობას და ითვალისწინებდეს თავის მუშაობაში. გარდა ამისა, იგი დახმარებას უნდა უწევდეს მოსწავლეთა მშობლებს ოჯახში ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საქმეში.

4. ფიზიკური აღზრდის შინაარსი

ფიზიკურ აღზრდას ყველა კლასში ეთმობა ორ-ორი აკადემიური საათი კვირაში. ის, სხვა საგნების მსგავსად, სავალდებულო სასწავლო საგანია. მისი შინაარსი განსაზღვრულია სასწავლო პროგრამებით. ეს პროგრამები, სხვა საგნებისაგან განსხვავებით, ხასიათდება სპეციფიკური თა-

თავისებურებებით. ესენია:

1. პროგრამული მასალა დიფერენცირებულია მოსწავლეთა ასაკისა და სქესის მიხედვით. ვაჟებთან შედარებით, გოგონებისათვის ნაკლებია სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომის, ცურვის და სხვა სახეობათა ნორმები, შემცირებულია სარბენი დისტანციები, დრო და ა.შ.

2. პროგრამა ითვალისწინებს სკოლის გეოგრაფიულ, კლიმატურ და ადგილობრივ პირობებს. სკოლის დირექციას, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, შეუძლია არსებული პირობების შესაბამისად გაადიდოს ან შეამციროს სპორტის ამა თუ იმ სახეობისათვის განკუთვნილი საათები, ზოგჯერ კი მთლიანად შეცვალოს სპორტის ერთი სახეობა მეორეთი. მაგალითად, მთიანი რაიონების სკოლებში ცურვა შეიძლება შეიცვალოს სათხილამურო სპორტით და პირიქით.

3. ფიზიკური აღზრდის პროგრამა შესაძლებლობას იძლევა ასევე უფრო მეტად იქნას გათვალისწინებული მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებანი, ვიდრე სხვა საგნების პროგრამები. სუსტი და ავადმყოფი ბავშვებისათვის გათვალისწინებულია სამკურნალო ფიზკულტურის სახეები. ინდივიდუალური მუშაობა ტარდება ასევე იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც სპორტის ამა თუ იმ სახეობაში განსაკუთრებული მონაცემები გააჩნიათ.

5. ფიზიკური აღზრდის საშუალებები

ფიზიკური აღზრდის *ძირითადი საშუალებებია:* ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ძალოსნობა, თამაშობანი, სათხილამურო სპორტი, ცურვა, ტურიზმი.

ტანვარჯიში ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. იგი აუმჯობესებს შინაგანი ორგანოების მოქმედებას, ნივთიერებათა ცვლას, სისხლის მიმოქცევას, სუნთქვას, ავითარებს ძალას, გამძლეობას, მოქნილობას და განამტკიცებს პიროვნების საერთო ჯანმრთელობას.

არჩევენ ტანვარჯიშის სამ სახეს: ძირითად, სპორტულ და სამკურნალო ტანვარჯიშს.

ძირითადი ტანვარჯიში გამოიყენება სკოლაში ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე. იგი ემსახურება მოსწავლეთა მომზადებას გაკვეთილის ძირითადი ნაწილის მაღალ დონეზე წარმართვისათვის და ტარდება გაკვეთილის შესავალ ნაწილში. ასეთი ვარჯიშებია: ხელების, ფეხების, ტანის მოძრაობა, სიარული და სხვა, რომლებსაც ორგანიზმის საერთო განმავითარებელი და გამამხნევებელი მნიშვნელობა აქვთ. მათი შესრულება მეტად ადვილი და ყველა მოსწავლისათვის სავალდებულოა.

ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად, პროფ. შოთა მალაზონია ძირითად ტანვარჯიშს აკუთვნებს ასევე დილის გამამხნევებელ და საწარმოო ვარჯიშებს, ზოგი კი მათ ვარჯიშის დამოუკიდებელ სახედ მიიჩნევს და ცალ-ცალკე განიხილავს. ჩვენ ვემხრობით შ. მალაზონიას, რადგან დილის გამამხნევებელი ვარჯიშებისა და საწარმოო ვარჯიშების მიზანი იგივეა, რაც ძირითადი ტანვარჯიშისა — გაამხნევოს და მოამზადოს ადამიანი ამა თუ იმ საქმის მაღალ დონეზე შესრულებისათვის. ამიტომ მათი მიკუთვნება ძირითად ტანვარჯიშზე, ჩვენი აზრით, სავსებით გამართლებულია.

სპორტულ ტანვარჯიშში ორ სახეს გამოყოფენ — მხატვრულ ტანვარჯიშსა და აკრობატიკას. პირველი — მხატვრული ტანვარჯიში ძირითადად გოგონებისათვისაა გათვალისწინებული, აკრობატიკა კი — ვაჟებისათვის, მაგრამ ეს სპორტსმენის სურვილზეა დამოკიდებული.

სამკურნალო, ანუ დამხმარე ტანვარჯიში განკუთვნილია ავადმყოფებისათვის.იგი ხელს უწყობს ზოგიერთი დაავადების სწრაფად განკურნებას და აჩქარებს ავადმყოფის გამოჯანმრთელებას.

მძლეოსნობაში შედის: სხვადასხვა მანძილზე სირბილი, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, ბადროს, ბირთვისა და შუბის ტყორცნა და სხვა.

მძლეოსნობის ყველა დასახელებულ სახეს აქვს თავისი დანიშნულება. თითოეული მათგანი ავითარებს ამა თუ იმ ორგანოს, პიროვნების ამა თუ იმ თვისებას. აღნიშნულ სახეობებში ვარჯიში ხელს უწყობს მოზარდი თაობის ყო-

ველმხრივ ფიზიკურ განვითარებას.

ძალოსნობაში იგულისხმება: სიმძიმეების აწევა, კრივი და ჭიდაობა. აქედან მოსწავლეთა შორის უფრო მეტად გამოიყენება ჭიდაობა.

თამაშობანი ორი სახისაა – მოძრავი და სპორტული. *მოძრავი თამაშობები* გამოიყენება სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში. მათ განეკუთვნება: დამალობანას (კუკუმალობანა), ომობანას, კატათაგვობანას და სხვა სახის თამაშობები. აღნიშნული თამაშობანი ხელს უწყობენ მოსწავლეებში ისეთი ფიზიკური თვისებების განვითარებას, როგორიცაა: სისწრაფე, მოქნილობა, საზრიანობა, დროსა და სივრცეში სწრაფი ორიენტირება და სხვა.

სპორტულ თამაშობებს განეკუთვნება: ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, წყალბურთი, ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში, ბილიარდი და სხვა. მოძრავი თამაშობებისაგან განსხვავებით, სპორტული თამაშობები უფრო რთული და შრომატევადია, მოითხოვს ხანგრძლივ წვრთნასა და ვარჯიშს.

სათხილამურო სპორტი ასევე მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. იგი ნებადართულია სკოლაში მესამე კლასიდან და გამოიყენება მხოლოდ მთიან რაიონებში, სადაც საამისოდ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია. საქართველოში სათხილამურო სპორტის განვითარების საუკეთესო პირობებია ბაკურიანში, გუდაურში, ხულოს რაიონში და სხვაგან. სამწუხაროდ, ყველა რაიონსა და სკოლას საამისო პირობები არ გააჩნია.

ცურვა ორგანიზმის გაჯანსაღების საუკეთესო საშუალებაა. იგი ხელს უწყობს კუნთოვანი სისტემის განვითარებას, ამაგრებს ნერვულ სისტემას, აუმჯობესებს სუნთქვას, სისხლის მიმოქცევას და სხვ.

ტურიზმი გულისხმობს ხანმოკლე თუ ხანგრძლივ გასეირნებას, ექსკურსიას, ლაშქრობას, მოგზაურობას თუ სხვა, რაც მიზნად ისახავს მშობლიური მხარის ღირსშესანიშნაობების, ისტორიული და კულტურული ძეგლების,

ბუნებრივი პირობების გაცნობა-შესწავლას. იგი ხელს უწყობს მოზარდის ორგანიზმის საერთო განვითარებას და მასში მოძრაობითი ჩვევების გამომუშავებას.

6. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა საგაკვეთილო პროცესში

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა ძირითადად ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე ხორციელდება. ამიტომ მის სწორად დაგეგმვასა და წარმართვაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ფიზიკური კულტურის გაკვეთილი, ისევე როგორც სხვა საგნებისა, პირობითად იყოფა სამ ნაწილად — შესავალ, ძირითად და დასკვნით ნაწილებად.

შესავალი ნაწილის დანიშნულებაა მოსწავლეთა მომზადება გაკვეთილის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის. ამიტომ მას ზოგიერთები მოსამზადებელ ნაწილსაც უწოდებენ. ამ ნაწილში ხდება მოსწავლეებში საერთო განწყობის შექმნა, მსუბუქი ვარჯიშების შესრულება, სიარული, სირბილი და ორგანიზმის „გახურება“ გაკვეთილის ძირითად ნაწილზე გადასასვლელად.

ძირითად ნაწილში ხდება გაკვეთილის გეგმით გათვალისწინებული ვარჯიშების შესრულება, რაც მიზნად ისახავს მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცებას, მათში სისწრაფის, მოქნილობის, გამძლეობის გამომუშავებას,სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას. გაკვეთილის ამ ნაწილში ძირითადად გამოიყენება სპორტული თამაშობანი, სირბილი, ხტომა, ტყორცნა და ა. შ. ამ ნაწილს ძირითადი ეწოდება იმიტომ, რომ გაკვეთილის მთავარი ამოცანა აქ წყდება.

დასკვნით ნაწილში ხდება გაკვეთილის შეჯამება, მოსწავლეთა ორგანიზმის მშვიდ მდგომარეობაში ჩაყენება და გაკვეთილის ორგანიზებულად დამთავრება. ზოგიერთები გაკვეთილის ამ ნაწილს დამამშვიდებელ ნაწილს უწოდებენ.

გაკვეთილის დასკვნითი ნაწილის ხანგრძლივობა და ვარჯიშის სახეები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის და რა სირთულის ვარჯიშებს და დატვირთვას ჰქონდა ადგილი გაკვეთილის ძირითად ნაწილში. მოსწავლეთა მშვიდ მდგომარეობაში გადაყვანა ხდება მათი ფიზიკური დატვირთვის შემცირებით და ისეთი ვარჯიშების შესრულებით, რომლებიც არ მოითხოვენ ორგანიზმის დაძაბვას, პირიქით, ხელს უწყობენ კუნთების განთავისუფლებას დაძაბულობისაგან და ორგანიზმის მშვიდ მდგომარეობაში ჩაყენებას.

ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი უნდა დამთავრდეს 3-4 წუთით ადრე, რათა ბავშვებმა დაიბანონ ხელ-პირი, გამოიცვალონ სპორტული ტანისამოსი და მოემზადონ შემდეგი გაკვეთილისათვის..

გარდა ფიზიკური კულტურის გაკვეთილებისა, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული სხვა საგნების გაკვეთილებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევასაბუნებისმეტყველო საგნების გაკვეთილები. ანატომიისა და ფიზიოლოგიის სწავლების პროცესში მოსწავლეები იძენენ საჭირო ცნობებს ორგანიზმის ნორმალური განვითარებისა და ჯანმრთელობისათვის ჰიგიენის, კვების, შრომისა და დასვენების რეჟიმის, ბუნებრივი ფაქტორების (მზე, წყალი, ჰაერი) მნიშვნელობის შესახებ. ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა საგნების სწავლების პროცესში მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებაზე, კერძოდ იმაზე, თუ როგორ უხამებდნენ ისინი გონებრივ შრომას ფიზიკურს, როგორ იკაჟებდნენ ორგანიზმს და ა.შ.

გარდა ამისა, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მაღალ დონეზე დაყენებისათვის უნდა ვიზრუნოთ სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ფიზკულტურის დარბაზსა და საკლასო ოთახებში სისუფთავის დაცვაზე, მერხების ზომაზე, მათზე მოსწავლეთა სწორად დასმაზე და ა.შ.

7. ფიზიკური აღზრდის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ფორმები

გარდა საგაკვეთილო პროცესისა, მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში წარმატებით გამოიყენება კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა: წრეობრივი და სექციური მეცადინეობები, სპარტაკიადები, ოლიმპიადები, სხვადასხვა სახის სპორტული შეჯიბრებები, ტურისტული ლაშქრობები და სხვა. სკოლაში შეიძლება ჩამოყალიბდეს ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის, ჩოგბურთის, ტანვარჯიშის, ცურვის, სათხილამურო სპორტის და სხვა სახის წრეები და სექციები, რომლებშიც მოსწავლეები გაერთიანდებიან საკუთარი სურვილის, უნარის, შესაძლებლობის მიხედვით და მასწავლებლის რეკომენდაციით.

მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ასევე მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები და სასპორტო სახლები და სასახლეები. აღნიშნულ დაწესებულებებში, რომლებსაც სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებს უწოდებენ, შექმნილია სექციები და წრეები სპორტის თითქმის ყველა სახეობაში.

სკოლებსა და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებში პერიოდულად იმართება შინასასკოლო, რაიონული (საქალაქო) და რესპუბლიკური შეჯიბრებები, რაც ხელს უწყობს სპორტის პოპულარიზაციას, მოსწავლეთა ჯანმრთელობის გაკაჟებას და მათ პატრიოტიზმის, კოლექტივიზმის, მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდას.

მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში სკოლას გარკვეულ დახმარებას უწევენ სასპორტო სკოლები. ისინი ეხმარებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ფიზკულტურასა და სპორტში ნიჭიერ ბავშვთა გამოვლენასა და აღზრდაში, რაც მოითხოვს მათ ერთობლივ შეთანხმებულ მუშაობას.

სკოლის დირექციამ და ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ სპორტულ წრეებსა და სექციებში ჩაბმული იყოს მოსწავლეთა უმრავლესობა, მაგრამ, ამავე დროს, ყურადღება უნდა

მიექცეს იმასაც, რომ ადგილი არ დაურჩეს ცალკეულ მოსწავლეთა მეტისმეტად გადატვირთვას სპორტით,რაც მათ ხელს შეუშლის სწავლაში.

წრეობრივი და სექციური მუშაობის გარდა, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას ასევე კლასგარეშე მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა: საუბრები, ლექცია-მოხსენებები, დილა-საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ სპორტსმენებთან, მსოფლიოს და ოლიმპიურ ჩემპიონებთან და სხვა.

ფიზიკური აღზრდა, ისევე როგორც ცალკეული საგნების სწავლება, მოითხოვს ისეთი დიდაქტიკური პრინციპების გამოყენებას, როგორიცაა: თვალსაჩინოების, შეგნებულობისა და აქტიურობის, სისტემატურობისა და თანმიმდევრობის, ასაკობრივ, სქესობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინების, მისაწვდომობის, ცოდნაჩვევათა მტკიცედ დაუფლების პრინციპი და სხვა. რაც შეეხება ფიზიკური აღზრდის მეთოდებს,აქ უფრო მეტად გამოიყენება სიტყვიერი, დემონსტრირებისა და ვარჯიშის მეთოდები.

თავი XXIII

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა

1. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ცნება

როგორც ვიცით, სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა არის გაკვეთილი, მაგრამ მოსწავლეთა სწავლება და აღზრდა მიმდინარეობს არა მარტო გაკვეთილზე, სწავლების პროცესში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ასეთ არასაგაკვეთილო ფორმებს წარმოადგენს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა.

კლასგარეშე ეწოდება იმ მუშაობას, რომელსაც ატარებს სკოლა, მასწავლებელი გაკვეთილების შემდეგ, ხოლო იმ მუშაობას, რომელსაც ატარებენ სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მუშაკები, ეწოდება სკოლისგარეშე მუშაობა.

როგორც ცნობილია, მოსწავლეები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მარტო ნიჭით, უნარითა და შესაძლებლობებით, არამედ თავიანთი სურვილებითა და მიდრეკილებითაც. ზოგს იზიდავს მათემატიკური ციკლის საგნები, ზოგს ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო თუ სხვა. ზოგიერთი მოსწავლე გატაცებულია სპორტის რომელიმე სახეობით, ზოგი ხელოვნების დარგებით და ა.შ. ყველა მათგანის ინტერესების დაკმაყოფილება გაკვეთილებზე, ცალკეული საგნების სწავლების პროცესში, ცხადია, შეუძლებელია. ამიტომაც, გაკვეთილებთან ერთად, არსებობს სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ორგანიზაციის დამატებითი ფორმები კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის სახით. ამ მუშაობის ძირითადი მიზანია მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილება და მათი დასვენებისა და გართობის გონივრული ორგანიზაცია, თა-

ვისუფალი დროის შინაარსიანად გატარება,საბოლოო ჯამ-
ში კი, მათი ყოველმხრივი,ჰარმონიული განვითარება. სკო-
ლისათვის სულერთი როდია, თუ როგორ ატარებს თავი-
სუფალ დროს მოსწავლე. ამიტომ სკოლა, კერძოდ, კლა-
სის ხელმძღვანელი ვალდებულია ჩააბას მოსწავლეები
კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაში. მაგრამ კლა-
სის ხელმძღვანელის მუშაობა მარტო ამით როდი ამოიწუ-
რება. იგი ვალდებულია ასევე სისტემატური კონტროლი
და დახმარება გაუწიოს აღნიშნულ მუშაობაში ჩაბმულ
მოსწავლეებს.

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა საგაკვეთი-
ლო პროცესის გაგრძელებაა. იგი ხელს უწყობს მოსწავ-
ლეთა ნიჭის შემდგომ განვითარებას და ცოდნის ჰორი-
ზონტის გაფართოებას. გარდა ამისა, ამ დროს მტკიცდება
მოსწავლეთა დისციპლინა, კოლექტივი და იზრდება სწავ-
ლისადმი შეგნებული დამოკიდებულება, რაც მათ ცხოვრე-
ბას უფრო საინტერესოსა და შინაარსიანს ხდის.

კლასგარეშე მუშაობის პროცესში მოსწავლეები ეჩვე-
ვიან შრომას და გაკვეთილზე მიღებული თეორიული ცოდ-
ნის პრაქტიკაში გამოყენებას. ამას ისინი, უწინარეს ყოვ-
ლისა, გაკვეთილზე სწავლობენ, მაგრამ ბავშვის გონებრი-
ვი შრომის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება გაკვეთილზე არ
მთავრდება. გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას სჭირდება გაღ-
რმავება, განმტკიცება და გამდიდრება, რაშიც სკოლასა
და მასწავლებელს უდიდეს სამსახურს უწევს კლასგარეშე
მუშაობა. ამ მუშაობის დროს მოსწავლეები აწყდებიან
სხვადასხვაგვარ დაბრკოლებებს, რომელთა გადალახვის
პროცესში უვითარდებათ ნებისყოფა და ხასიათი, ეჩვევიან
შეუპოვრობას და დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას.
ყოველივე ეს დადებითად მოქმედებს მათ საერთო პიროვ-
ნულ განვითარებაზე.

საკლასო მეცადინეობასა და კლასგარეშე და სკოლის-
გარეშე მუშაობას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა
როგორც შინაარსის, ისე ორგანიზაციის თვალსაზრისით.
ეს განსხვავება მდგომარეობს შემდეგში:

1. საკლასო მუშაობა სავალდებულოა ყველა მოსწავლი-

სათვის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა კი მოსწავლეთა ნებაყოფლობის საფუძველზეა აგებული. მათში ჩაბმა ხდება მოსწავლეთა საკუთარი სურვილისა და მიდრეკილების მიხედვით. მოსწავლეზე ყოველგვარი ძალადატენება ამ საქმეში დაუშვებელია.

2. ყოველი გაკვეთილი გულისხმობს დროის მტკიცე მონაკვეთს – 45 წუთს, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ხანგრძლივობის წინასწარ განსაზღვრა ხშირად შეუძლებელია. მისი ხანგრძლივობა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დამოკიდებულია მუშაობის შინაარსზე, მოსწავლეთა ასაკსა და კონკრეტულ პირობებზე.

3. საკლასო მუშაობა ტარდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შედგენილი და დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით, კლასგარეშე მუშაობის გეგმებს კი, მეტწილად, თვითონ მოსწავლეები ადგენენ მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით, ადგილობრივი პირობებისა და საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით.

4. სწავლების პროცესში ცენტრალური ფიგურაა მასწავლებელი, კლასგარეშე მუშაობაში კი იგი კონსულტანტის, ორგანიზატორის როლში გვევლინება. აქ უფრო მეტი გასაქანი ეძლევა მოსწავლეთა დამოუკიდებელ საქმიანობას, მათ ინიციატივას, თვითმოქმედებასა და აქტივობას, რასაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

5. გაკვეთილზე მასწავლებელი მუშაობს მოსწავლეთა გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფთან, რომლის შემადგენლობა მუდმივი და უცვლელია, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობისას კი მოსწავლეთა შემადგენლობა ხშირად იცვლება.

6. გაკვეთილზე მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება და შეფასება ხდება ხუთბალიანი ან ათბალიანი სისტემის მიხედვით, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დროს კი შედეგების შემოწმებისა და შეფასების მიზნით ტარდება საანგარიშო და თემატური დილა-საღამოები, გამოფენები, შეჯიბრებები, კონკურსები, ოლიმპიადები, სპარტაკიადები და სხვა.

კლასგარეშე მუშაობის ძირითადი ამოცანებია:

1. გაუღრმავოს და განუმტკიცოს მოსწავლეს კლასში, გაკვეთილზე მიღებული ცოდნა;

2. მიაჩვიოს და შეაყვაროს გონებრივი და ფიზიკური შრომა, განუვითაროს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და სწავლების პროცესში სიძნელეთა დაძლევის უნარი;

3. გამოავლინოს და შემდგომ განავითაროს მოსწავლეთა ზოგადი და სპეციალური ნიჭი;

4. ხელი შეუწყოს მათი ინიციატივის, დამოუკიდებლობისა და თვითმოქმედების უნარ-ჩვევების შემდგომ განვითარებას;

5. დაეხმაროს მშობლებს მათი შვილების მოუწესრიგებელი გარემოსაგან იზოლაციასა და თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების საქმეში.

2. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ძირითადი პრინციპები

1. მიზანსწარფულობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეს, რომელიც კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაშია ჩაბმული უნდა გააჩნდეს გარკვეული მიზანი. მან კარგად უნდა იცოდეს, რას უნდა მიაღწიოს, რა უნდა შეიძინოს ამ მუშაობის პროცესში. მაგრამ მარტო მიზნის სიცხადე არაა საკმარისი. დასახული მიზნის განხორციელებისათვის საჭიროა მუხლჩაუხრელი შრომა და მტკიცე ნებისყოფა, საკუთარ თავზე განუწყვეტელი, სისტემატური მუშაობა.

2. ნებაყოფლობითი ხასიათი. მოსწავლეს უფლება აქვს დამოუკიდებლად აირჩიოს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ნებისმიერი ფორმა საკუთარი ინტერესებისა და უნარ-ჩვევების მიხედვით. ამ მიზნით მოწინავე სკოლები მოსწავლეებში ატარებენ ანკეტურ გამოკითხვას და მათი ინტერესების, სურვილებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ქმნიან წრეებს.

3. სისტემატურობა. ეს პრინციპი შეგვახსენებს, რომ კლასგარეშე მუშაობას უნდა ჰქონდეს არა ეპიზოდური, არამედ სისტემატური ხასიათი. იგი უნდა ტარდებოდეს რეგულარულად. წინააღმდეგ შემთხვევაში დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

4. ინიციატივა და თვითმოქმედება კლასგარეშე მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ყოველი სასკოლო საქმიანობა, რომლის ინიციატორები თვით მოსწავლეები არიან, როგორც წესი, ნაყოფიარად და შემოქმედებითად წარიმართება, ვიდრე სხვის მიერ წამოწყებული და თავსმოხვეული საქმე. მასწავლებელთა ვალია მხარი აუბან მოსწავლეთა სასარგებლო წამოწყებას, ინიციატივას და გაუწიონ სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება.

5. საზოგადოებრივი ღირებულება. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ნებისმიერ სახეს, რომელშიც ჩაბმულია ესა თუ ის მოსწავლე, ჰქონდეს საზოგადოებრივი ღირებულება. მოსწავლემ უნდა იგრძნოს, რომ საქმე, რომელსაც იგი აკეთებს, საჭირო და სასარგებლოა ხალხისათვის, საზოგადოებისათვის და პირადად მისთვის. ამ შემთხვევაში მისი მუშაობა იქნება უფრო ეფექტური და ნაყოფიერი. სწორედ ასეთ მუშაობაში იყვნენ ჩაბმული ახლო წარსულში ეგრეთ წოდებული „წითელკვალმაძიებლები“.

6. აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა წყვეტს არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ, უფრო მეტად, აღმზრდელობით ამოცანებს. აღმზრდელობით მუშაობაში კი, სადაც არ უნდა მიმდინარეობდეს იგი, აუცილებელია აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის პრინციპის დაცვა. ნებისმიერი კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეთა ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას, მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ, შრომით და ესთეტიკურ აღზრდას, ასევე მათი შემეცნებითი ძალების გაშლაგაფურჩქვნას.

7. მასობრივი ხასიათი. ყოველ მოსწავლეს გააჩნია რაღაცის ნიჭი, უნარი და მიდრეკილება, რომელთა შემ-

დგომი განვითარება და დაკმაყოფილება კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის პროცესში ხორციელდება. ამიტომ სასურველია, რომ ამ მუშაობაში ჩავაბათ რაც შეიძლება მეტი მოსწავლე. მართალია, აღნიშნული მუშაობა ნებაყოფლობითი ხასიათისაა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მოსწავლეებს არ ვურჩიოთ თავიანთი ნიჭისა და მიდრეკილების მიხედვით ჩაებან ამა თუ იმ საქმიანობაში.

3. კლასგარეშე მუშაობის ფორმები და სახეები

კლასგარეშე მუშაობის ფორმებია: მასობრივი, წრეობრივი და ინდივიდუალური მუშაობა.

მასობრივი მუშაობა კლასგარეშე მუშაობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. იგი გულისხმობს კლასის ან სკოლის ყველა მოსწავლესთან ერთდროულად მუშაობას. შეიძლება ღონისძიებას კლასის რამდენიმე მოსწავლე ან სკოლის რამდენიმე კლასი აკლდეს, მაგრამ იგი მაინც მასობრივი იქნება.

მასობრივი მუშაობა უფრო მეტად გამოიყენება დაწყებით კლასებში, რადგან აღნიშნული კლასების მოსწავლეებს ჯერ კიდევ გარკვეული არა აქვთ თავიანთი ინტერესები და მისწრაფებები. ამიტომ მუშაობის ეს ფორმა ყველაზე უფრო ხელმისაწვდომია ამ კლასების მოსწავლეებისათვის.

მასობრივი მუშაობის სახეებია: საუბრები, ლექციამოხსენებები, დილა-საღამოები, ექსკურსიები, სპორტული ღონისძიებები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, სპექტაკლებსა და კინოფილმებზე კოლექტიური დასწრება და ნანახის განხილვა, გამოფენების მოწყობა, სხვადასხვა სახის საიუბილეო ღონისძიებების გამართვა, გასეირნება ბუნებაში და სხვა.

ასეთი ღონისძიებები ყველა ასაკის მოსწავლეს იზიდავს. დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის განკუთვნილი მასობრივი ღონისძიების უმრავლესობა სუფთა ჰაერზე, ბუნების წიაღში ტარდება. დიდი უკრაინელი პედაგოგი **ვა-**

სილ სუხომლინსკი ხშირად აწყობდა უმცროსკლასელ მოსწავლეთა გასეირნებას ბუნებაში, რომლის დროსაც პატარები ტკბებოდნენ „ბუნების მუსიკით“, როგორიცაა: ფოთლების შრიალი, ჩიტების ჭიკჭიკი, ფუტკრების ზუზუნი, კალიების ჭრიჭინი და ა.შ. შემდეგ თავიანთი შთაბეჭდილებები ბავშვებს გადაჰქონდათ სახატავ რვეულებში ან პატარ-პატარა მინიატურულ მოთხრობებსა თუ ზღაპრებში. გარდა ამისა, პედაგოგი სისტემატურად აჩვევდა ბავშვებს ბუნების მოვლენებზე დაკვირვებას და მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას.

ექსკურსია-გასეირნების დროს მოსწავლეები აგროვებენ კოლექციებს, ჰერბარიუმებს, ეცნობიან ამა თუ იმ კუთხის ფლორასა და ფაუნას, რაც მათ ცხოვრებასა და საქმიანობას უფრო შინაარსიანსა და საინტერესოს ხდის.

მასობრივი ღონისძიებებიდან დაწყებით კლასებში მეტწილად გამოიყენება მოძრავი თამაშობანი, როგორიცაა: დამალობანა, ომობანა, კატათაგვობანა და სხვ.

თამაში აღზრდის საუკეთესო საშუალებაა. იგი გავლენას ახდენს ბავშვთა ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ა.შ. აღზრდაზე, მათი პიროვნების ჩამოყალიბებასა და საერთო განვითარებაზე.

უმცროსკლასელებს უყვართ ასევე სხვადასხვა საიუბილეო თარიღებისა და საზეიმო დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, რომლებიც ძირითადად მონტაჟის სახით ტარდება. მათში მონაწილე ბავშვები გამომეტყველებით კითხულობენ ლექსებს, ცნობილი ადამიანების გამონათქვამებს, ეპიზოდებს მხატვრული ნაწარმოებებიდან და სხვ.

საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთათვის განკუთვნილი მასობრივი ღონისძიებების შინაარსი უფრო ღრმავდება და საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს. ასეთი ღონისძიებებია: მოხუცებსა და ინვალიდებზე მოსავლის აღებაში თუ სხვა საქმიანობაში დახმარების გაწევა, სკოლის კარ-მიდამოს დაგვა-დასუფთავებასა და გამწვანებაში მონაწილეობის მიღება, სპორტული მოედნის კეთილმოწყობა და სხვა.

მასობრივი ღონისძიებები, თავიანთ ძირითად დანიშნულებასთან ერთად, ხელს უწყობს მოსწავლეთა ურთიერთდაახლოებას, მათ შორის მეგობრული კავშირის დამყარებას და საკლასო თუ სასკოლო კოლექტივის განმტკიცებას.

წრეობრივი მუშაობა. კლასგარეშე მუშაობაში დიდი ადგილი უჭირავს წრეობრივ მუშაობას, რომელშიც მოსწავლეები ერთიანდებიან თავიანთი ნიჭის, უნარისა და ინტერესების მიხედვით. იგი ხელს უწყობს ბავშვთა შემოქმედებითი უნარის განვითარებას.

წრეებში ძირითადად ერთიანდებიან საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეები, რადგან უმცროსკლასელებს ჯერ კიდევ გარკვეული არა აქვთ თავიანთი ინტერესები და მიდრეკილებები. ამიტომ ამ ასაკის მოსწავლეებს აერთიანებენ მხოლოდ ხელგარჯილობის წრეში.

საშუალო სკოლაში შეიძლება შეიქმნას შემდეგი სახის წრეები: საგნობრივი, ტექნიკური, მხატვრული თვითმოქმედების, მხარეთმცოდნეობის, ტურისტული, სპორტული და სხვა. წრეების დაკომპლექტებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მოსწავლეთა ასაკი და მომზადების დონე. წრეში ჩვეულებრივ აერთიანებენ არანაკლებ 5-6 და არაუმეტეს 25-30 მოსწავლეს.

როგორც წესი, წრეების მუშაობას ხელმძღვანელობენ მასწავლებელები (განსაკუთრებით საგნობრივ წრეებს), უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მუშაკები და მშობლები. გამონაკლის შემთხვევაში უმცროსკლასელთა არასაგნობრივ წრეს შეიძლება უხელმძღვანელოს უფროსკლასელმა მოსწავლემაც.

ყოველი წრე ირჩევს ორგანიზატორს. წრის წევრებთან ერთად იგი ადგენს წრის სამუშაო გეგმას. გეგმა შეიძლება იყოს სემესტრული ან წლიური. წრის წევრთა დასწრებისა და გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესრულების მიმდინარეობის აღრიცხვა წარმოებს სპეციალურ ჟურნალში.

ყოველი წრის წევრი ვალდებულია:

1. აკურატულად ცხადდებოდეს წრის მეცადინეობასა და შეკრებებზე;

2. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდეს ყველა ღონისძიებაში;

3. საჭიროების შემთხვევაში თავისი მუშაობის შესახებ ანგარიში ჩააბაროს წრეს.

მოსწავლეთა გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით სასურველია თითოეული მოსწავლის მხოლოდ ერთ წრეში გაერთიანება, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი – ორ წრეში.

წრეობრივი მუშაობის პრაქტიკაში ჩვეულებრივ ტარდება საუბრები, ცდები, ექსკურსიები, დაკვირვებები, რეფერატებისა და მოხსენებების კითხვა, წაკითხულის გარჩევა, წრის გაზეთის გამოშვება, გამოფენებისა და კონკურსების მოწყობა, ალბომების შედგენა და სხვა.

სკოლებში ყველაზე მეტად გავრცელებულია საგნობრივი წრეები. თითქმის არ არსებობს სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არც ერთი საგანი, რომელშიც არ იყოს შექმნილი წრე. საგნობრივი წრეებიდან დიდი პოპულარობით სარგებლობს ლიტერატურული წრე. იშვიათია ისეთი მოსწავლე, რომელსაც არ უყვარდეს საინტერესო მოთხრობების, ლექსებისა და ზღაპრების წაკითხვა-მოსმენა. ამასთან, ზოგიერთი მოსწავლე თვითონაც წერს ლექსებს, მოთხრობებს, ზღაპრებს და ა.შ. განსაკუთრებით ნაყოფიერია მათი ჩაბმა ლიტერატურულ წრეებში.

ჰუმანიტარული ციკლის საგნებიდან გამოირჩევა ქართული, ინგლისური, რუსული და სხვა ენების წრეები, რომლებიც მიზნად ისახავენ ამა თუ იმ ენის უფრო ღრმად და საფუძვლიანად დაუფლებას. უცხოური ენების წრის წევრები აწარმოებენ მიმოწერას შესაბამისი ქვეყნის სკოლების მოსწავლეებთან, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ შთაბეჭდილებებს,წარმატებებს და ა.შ.,რაც ხელს უწყობს მათი ინტერნაციონალური სულისკვეთებით არზრდას. ისტორიის წრის წევრები ეცნობიან და უვლიან ძველ ისტორიულ ძეგლებს, აგროვებენ არქეოლოგიურ მასალებს, აწყობენ სკოლებში მუზეუმებს, სწავლობენ გამოჩენილ

ადამიანთა ბიოგრაფიებს, აღგენენ მათი ცხოვრების ამსახველ ალბომებს და სხვ.

საგნობრივი წრის წევრებს მასწავლებელი აძლევს დასამუშავებლად ცალკეულ თემებს, რომლებიც ითვალისწინებენ პროგრამული მასალის უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას. ამ თემებზე მოსწავლეები წერენ რეფერატებს ან მოხსენებებს და კითხულობენ წრის სხდომებზე, რომლებიც გეგმაზომიერად ტარდება. მოხსენების გარშემო იმართება აზრთა გაცვლა-გაზიარება და ჭეშმარიტების დადგენა. ასეთი მუშაობა არა მარტო ცოდნას უღრმავებს მოსწავლეებს საგანში, არამედ კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევებსაც უვითარებს.

ანალოგიური მუშაობა ტარდება სხვა საგნობრივ წრეებშიც. გარდა საგნობრივი წრეებისა, სკოლებში იქმნება აგრეთვე ტექნიკური (ნორჩ ტექნიკოსთა, კინო- და ფოტომოყვარულთა, ნორჩ კონსტრუქტორთა, ნორჩ ავიატორთა და სხვ.), მხატვრული თვითმოქმედების (მუსიკის, ქორეოგრაფიის, დრამატული) მხარეთმცოდნეობის, ტურისტული, სპორტული (ჭადრაკის, შაშის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ფეხბურთის, კალათბურთის) და სხვა სახის წრეები.

წრეების ნაყოფიერი მუშაობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად არის ისინი დაკომპლექტებული, რამდენად სწორად შეირჩა წრის წევრები და რამდენად სწორად განისაზღვრა მათი ნიჭი, უნარი და შესაძლებლობანი.

ამ საქმეში ბევრი რამ დამოკიდებულია ასევე წრის ხელმძღვანელზე.

ინდივიდუალური მუშაობა. მოსწავლეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი ნიჭით, უნარით, შესაძლებლობებით, მიდრეკილებებით და ა.შ. ყოველივე ეს ავალდებულებს მასწავლებელს ინდივიდუალურად იმუშაოს ასეთ მოსწავლეებთან. ისევე როგორც მასობრივი და წრეობრივი მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობაც ტარდება არასაგაკვეთილო პროცესში და ამიტომ ითვლება კლასგარეშე მუშაობის ერთ-ერთ ფორმად. იგი არაა დაკავშირებული არც

მასობრივ და არც წრეობრივ მუშაობასთან. ის ეხება მხოლოდ ცალკეულ, განსხვავებული ნიჭის მქონე ბავშვებს. არიან ასევე განსაკუთრებული, გასაოცარი ნიჭის მქონე ბავშვებიც, ე.წ. ვუნდერკინდები, რომლებიც მეცნიერების, ხელოვნების თუ სპორტის რომელიმე დარგში პატარაობიდანვე ავლენენ უდიდეს ნიჭს. ასეთ ბავშვებთან საჭიროა ინდივიდუალური მუშაობა, რათა მათ ნიჭს მივცეთ სწორი მიმართულება. მაგრამ ასეთ ბავშვებთან მუშაობისას საჭიროა დიდი სიფრთხილე, ზომიერება და ტაქტი, რათა ისინი არ გადავღალოთ და მათ ჯანმრთელობას ზიანი არ მივაყენოთ. ასეთები იყვნენ მოცარტი, ჰაიდნი, რიმასკი-კორსაკოვი, მენდელსონი, პროკოფიევი, შუბერტი, ვებერი (მუსიკაში), პასკალი (ფიზიკაში), მერგელიანი (მათემატიკაში), რეშევსკი, რ. ფიშერი, ვ. მენჩიკი, მ. ჩიბურდანიძე და სხვები (ჭადრაკში), რეპინი (სახვით ხელოვნებაში) და ა.შ.

4. სკოლისგარეშე მუშაობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლისგარეშე ეწოდება იმ მუშაობას, რომელსაც ატარებენ სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მუშაკები. ასეთი დაწესებულებებია: მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები და სასახლეები, კულტურისა და დასვენების პარკები, საბავშვო კინოთეატრები და ბიბლიოთეკები, ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები, სპორტის სახლები და სასახლეები, მხატვრული აღზრდის სახლები, სპორტული კლუბები თუ სკოლები და სხვა.

აღნიშნულ დაწესებულებათა შორის ყველაზე გავრცელებულია *მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები და სასახლეები.* ისინი არსებობენ ყველა რაიონსა და ქალაქში და ეწევიან მრავალმხრივ აღმზრდელობით მუშაობას. ამ დაწესებულების მუშაობა მრავალფეროვანია, დანარჩენი დაწესებულებები კი მოზარდთა განვითარების ერთ რომელიმე სფეროს ემსახურებიან.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებსა და სასახლეებ-

ში ძირითადად ტარდება მასობრივი, წრეობრივი და მეთოდური მუშაობა. ადრე აღნიშნულ დაწესებულებებში ჩაბმული იყვნენ მხოლოდ უმცროსი და საშუალო სასკოლო ასაკის მოსწავლეები, ძირითადად პიონერები, უკანასკნელ წლებში კი მასში არსებულ სხვადასხვა სახის წრეებში გაერთიანებული არიან უფროსკლასელებიც.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებისა და სასახლეების დახმარებას სკოლებისადმი საგნობრივი, ტექნიკური, სპორტული, ხელმარჯვე და სხვა წრეების მუშაობაში. ისინი თავიანთი სპეციალისტების საშუალებით უშუალო კავშირს ამყარებენ სკოლებთან და კონკრეტულ მითითებებს აძლევენ მათ ცალკეული წრეების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საქმეში.

მოსწავლეთა გონებრივი აღზრდისა და მათში წიგნის სიყვარულის გაძლიერების მიზნით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან *საბავშვო ბიბლიოთეკები.* ისინი აწყობენ შეხვედრებს მწერლებთან, გამოჩენილ მეცნიერებთან, კულტურის მუშაკებთან, ატარებენ კონფერენციებს, დილა-საღამოებს. აქვე შექმნილია ნორჩ შემოქმედთა წრეები, რომლის წევრებიც კითხულობენ თავიანთ ნაწარმოებებს და უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს.

მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში დიდ როლს ასრულებენ ასევე *საბავშვი კინოები და თეატრები.* ბავშვები ესწრებიან კინოფილმებს, სპექტაკლებს, აწყობენ შეხვედრებს მსახიობებთან, რეჟისორებთან.

ყველა დიდ ქალაქში არსებობს *ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები.* მათი მიზანია სასოფლო-სამეურნეო და სასწავლო-ტექნიკური ცოდნის პროპაგანდა, გამოფენების მოწყობა, სკოლებისადმი მეთოდური დახმარების გაწევა და სხვ. გარდა ამისა, ისინი ატარებენ კონკურსებს, ექსკურსიებს, შეჯიბრებებს, გამოფენებს. ნატურალისტთა სადგურები სკოლებს აწვდიან სხვადასხვა სახის მცენარეების თესლებს, ჩითილებს, ნერგებს. ამ წრეებში გაერთიანებული ბავშვები სწავლობენ მყნობას,

სელექციონერობას, ჩითილების გამოყვანას, ნარგავების გადარგვას, გასხვლა-გაფორმებას და სხვა.

სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებს განეკუთვნებიან ასევე *ფიზკულტურისა და სპორტის საბავშვო დაწესებულებები*, როგორიცაა: სპორტული კლუბები, მოედნები, სახლები და სასახლეები, რომლებიც ატარებენ ბავშვებთან სხვადასხვა სახის მუშაობას ფიზკულტურასა და სპორტში. აღნიშნულ დაწესებულებებს გააჩნიათ სათანადო სპორტული ბაზები, სადაც იმართება შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეობებში.

სპორტულ დაწესებულებათა მუშაობაში, დადებითთან ერთად,შეინიშნება ნაკლოვანებებიც. კერძოდ ის, რომ ისინი უფრო სპორტულ შეჯიბრებებში წარმატებების მოპოვებით არიან დაინტერესებული, ვიდრე მასობრივი ფიზკულტურით, მოსწავლეთა ჯანმრთელობის გაკაჟებით, რაც ერის საერთო გაჯანსაღების ფაქტორია.

კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას საგრძნობლად შეუწყო ხელი 1966 წელს სკოლებში ორგანიზატორის შტატის შემოღებამ. სკოლის ორგანიზატორი ითვლება დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. მისი ვალია აღნიშნულ საქმეში მასწავლებლებზე დახმარების გაწევა და მათ მუშაობაზე კონტროლის დაწესება. მიუხედავად ამისა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობით მუშაობაში, დადებითთან ერთად, შეინიშნება ნაკლოვანებებიც. კერძოდ, ზოგიერთი მოსწავლე ჩაბმულია ორ და მეტ წრეში, მაშინ როცა მოსწავლეთა ერთი ნაწილი არც ერთ წრეში არ არის გაერთიანებული. მართალია, წრეებში გაერთიანება ბავშვის სურვილით ხდება, მაგრამ იგი ვერ აფასებს თავის შესაძლებლობებს და ზიანს აყენებს საკუთარ ჯანმრთელობას. აქაც თავისი ავტორიტეტული სიტყვა უნდა თქვას სკოლამ, მასწავლებელმა. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაში მხოლოდ ის მოსწავლეები უნდა ჩავაბათ, რომლებიც კარგად სწავლობენ და ცოდნის გაღრმავების სურვილს ამჟღავნებენ.

ამრიგად, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ამოცანაა მოსწავლეთა ცოდნის ჰორიზონტის გაფართოება-გაღრმავება და მშობლებზე დახმარების გაწევა მათი შვილების მიერ თავისუფალი დროის შინაარსიანად და გონივრულად გამოყენებაში. მომავალი გამოჩენილი სპორტსმენები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების დარგის მუშაკები აქ პოულობენ თავიანთი ნიჭის „გასაღებს“. ამიტომ სკოლამ, ოჯახმა და მთელმა საზოგადოებამ ყველა ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რათა დროზე ჩააბან მოზარდი მისი ნიჭის შესაბამის კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობით მუშაობაში.

თავი XXIV

კლასის ხელმძღვანელის მუშაობა

1. კლასის ხელმძღვანელის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

დღეს, როცა ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს განათლების სისტემის ძირეული გარდაქმნა და ამ გარდაქმნის შესაბამისად იცვლება სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები, მკვიდრდება ახალი ტიპის სკო-\ლები, შემოდის ახალი საგნები, განსაკუთრებით მაღლდება მასწავლებლის როლი და პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე. და ეს არცაა გასაკვირი, რადგან როგორადაც არ უნდა შეიცვალოს სკოლა, როგორი კონცეფციაც არ უნდა იქნას მიღებული და როგორი პროგრამებითაც არ უნდა მოგვიხდეს მუშაობა, მასწავლებლის მაღალი კულტურის, ერუდიციისა და თბილი გულის გარეშე შეუძლებელია მცოდნე, გონებაგახსნილი ადამიანის, ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდა.

ამ საქმეში კი ყველაზე დიდი მისია აღმზრდელ-მასწავლებელს — კლასის ხელმძღვანელს აკისრია. თავის სადამრიგებლო კლასში იგი ითვლება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრალურ ფიგურად და ისეთსავე როლს ასრულებს კლასში, როგორც დირექტორი სკოლაში. იგი ყველაზე ახლოს დგას ბავშვთა კოლექტივის მრავალფეროვან ცხოვრებასთან, ყოველდღიურად ზრდის ბავშვებს, აწესრიგებს მათ შრომასა და დასვენებას, მშობლებთან ერთად ზემოქმედებს მათ ყოფაქცევაზე, ინტერესებზე, შეხედულებებზე, მიზნებსა და მისწრაფებებზე.

კლასის ხელმძღვანელის ძირითადი ამოცანებია: ამა თუ იმ საგანში მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ამაღლება და მათში მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩა-

მოყალიბება, მოსწავლეთა მომზადება შრომისა და პროფესიის შეგნებულად არჩევისათვის, მათში აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის, სიტყვისა და საქმის ერთიანობის გამომუშავება, შეგნებული დისციპლინისა და ქცევის კულტურის აღზრდა, თვითმმართველობის უნარის გამომუშავება, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაში ჩაბმა, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, მშობლებისა და საზოგადოებრიობის ჩაბმა კლასის აღმზრდელობითი მუშაობის გეგმის შესრულებაში და სხვა.

კლასის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციებია: კლასის მოსწავლეთა შესწავლა და მათი ერთსულოვანი,მტკიცე კოლექტივის ჩამოყალიბება, ბავშვთა სხვადასხვა გაერთიანებებში და წრეებში ჩაბმულ მოსწავლეებზე დახმარების გაწევა, მოსწავლეთა მშობლებთან მუშაობა.

ზემოაღნიშნული კლასის ხელმძღვანელისაგან მოითხოვს მიზანსწრაფულობას, ცხოვრების საფუძვლიან ცოდნას, ფართო განათლებასა და ერუდიციას, პედაგოგიურ ოსტატობას, პროფესიისა და ბავშვების სიყვარულს, ზნეობრივ სიწმინდეს, შემოქმედებით აზროვნებას, საკუთარი თავისა და ბავშვებისადმი მომთხოვნელობას, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცეს, პასუხისმგებლობის გრძნობას, მომავლის რწმენას და სხვა თვისებებს.

ყოველივე ეს მასწავლებელ-აღმზრდელის ძირითადი პიროვნული თვისებებია. გარდა ამისა, მასწავლებელს — კლასის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს გარკვეული უნარი, რაც აუცილებელია სასწავლო-სააღმზრდელო ამოცანების ეფექტურობის ამაღლებისათვის. ესენია:

***I. კონსტრუქციული უნარი*:** აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვა; კოლექტივისა და მისი რომელიმე წევრის განვითარების პერსპექტიული გეგმის შემუშავება; ცალკეული აღსაზრდელისადმი ინდივიდუალური მიდგომა, მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება.

II. ორგანიზატორული უნარი: კლასის აქტივის გამოვლენა, მისი დარაზმვა და მართვა; მოსწავლეთა საზოგადოებრივი აქტივობის განვითარება, მათი ჩაბმა სხვადასხვა

სახის საქმიანობაში; მიცემული დავალებების შესრულების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში დახმარების გაწევა; მოსწავლეთა სასკოლო გაერთიანებებისადმი პედაგოგიური ხელმძღვანელობის გაწევა; მოსწავლეთა მშობლებთან და საზოგადოებრიობასთან მუშაობა.

III. კომუნიკაციური უნარი: მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, მასწავლებლებთან და საზოგადოებრიობასთან საჭირო ურთიერთობის, კონტაქტის დამყარება; ცალკეული კოლექტივებისა და კოლექტივის წევრთა ურთიერთობის მოწესრიგება; მოსწავლეებთან ურთიერთობის სათანადო ფორმების გამონახვა; მათზე პედაგოგიური ზემოქმედების შედეგის განჭვრეტა.

IV. გნოსტიკური (შემეცნებითი) უნარი: მოსწავლეთა შესწავლის, შეცნობის უნარი; პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ცოდნის, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილებისა და ლიტერატურის გამოყენების უნარი; აღმზრდელობითი მუშაობის შედეგების განჭვრეტის უნარი.

V. გამოყენებითი უნარი: შემოქმედებითი ხასიათის უნარი: ხატვა, სიმღერა, ცეკვა, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა და სხვა; მასობრივი ღონისძიებების ჩატარების უნარი; ტურისტული და სპორტული ღონისძიებების მოწყობის უნარი და მათში მონაწილეობა; ტექნიკური საშუალებების გამოყენების უნარი.

VI. პედაგოგიური ტექნიკის უნარი: მოსწავლეთა მიზიდვის, დაინტერესების, შთაგონების, გართობის უნარი; თავშეკავების, თავდაჭერის უნარი; ხმის (ტონისა და ინტონაციის) ფლობის უნარი (ხმის დაყენება); მიმიკისა და ჟესტიკულაციის უნარი.

2. კლასის ხელმძღვანელის მიერ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლა და მათი გათვალისწინება სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში

იმისათვის, რომ კლასის ხელმძღვანელმა წარმატებით შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, იგი საფუძვლიანად უნდა იცნობდეს თავისი კლასის თითოეულ მოს-

წავლეს, უნდა იცოდეს, რა უჭირთ და ულხინთ მათ; რა უყვართ, რა აინტერესებთ, როგორი მასწავლებელი მოსწონთ და ა.შ. მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმეა, რადგან რამდენი ბავშვიცაა, იმდენი განსხვავებული ინტერესი და ხასიათია. ყოველ მათგანს საკუთარი აზრი, ნიჭი, უნარი, შესაძლებლობანი, ოცნებები და განცდები აქვს, რომელიც სხვას არ გააჩნია.

მოსწავლეთა კოლექტივში შეხვდებით ძლიერი ხასიათისა და ნებისყოფის, ნათელი გონების ბავშვებს და, მათთან ერთად, უნებისყოფო, მშიშარა და მორცხვებსაც, ასევე ე.წ. პედაგოგიურად თავმიშვებულ და ძნელად აღსაზრდელებს. ამიტომ ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნისა და მათი გათვალისწინების გარეშე აღმზრდელობით მუშაობაში წარმატებების მიღწევა შეუძლებელია.

კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია სისტემატურად აკვირდებოდეს და სწავლობდეს თითოეულ აღსაზრდელს, რათა, საჭიროების შემთხვევაში, შეძლოს სწორი დიაგნოზის დასმა, შესაბამისი „პედაგოგიური გასაღების“ გამონახვა და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა. ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნა კლასის ხელმძღვანელს საშუალებას აძლევს სრულყოფილად გამოავლინოს და განავითაროს მოსწავლის ნიჭი და უნარი, სისტემატური პედაგოგიური ზემოქმედებით ხელი შეუწყოს მასში ახალი, დადებითი თვისებების ჩამოყალიბებას და უარყოფითის აღმოფხვრას. გარდა ამისა, მას საშუალება ეძლევა კონკრეტულ შემთხვევაში რჩევა-დარიგება მისცეს საგნის მასწავლებლებს და ამით ხელი შეუწყოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას სკოლაში. მაგრამ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნა მარტო პედაგოგიური ეფექტურობისათვის როდია საჭირო. ასეთი საჭიროება პიროვნების პატივისცემის, მისი ღირსების აღიარებისა და დაფასების მოთხოვნებიდანაც გამომდინარეობს.

ვასილ სუხომლინსკის აზრით, ნამდვილი აღმზრდელი მხოლოდ ის არის, ვისაც არასოდეს ავიწყდება,რომ ოდეს-

ღაც თვითონაც იყო ბავშვი და ცდილობს პატარებთან ურთიერთობისას (განსაკუთრებით დაწყებით კლასებში) ბავშვად იქცეს, ბავშვად გარდაიქმნას.

მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლის მეთოდებია: დაკვირვება, საუბარი, ექსპერიმენტი, ანკეტური გამოკითხვა, სასკოლო დოკუმენტაციისა და მოსწავლეთა დამოუკიდებელი ნამუშევრების შესწავლა-გაანალიზება და სხვა.

კლასის ხელმძღვანელმა მოსწავლეთა თავისებურებების შესწავლისას ყურადღება უნდა გაამახვილოს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საერთო ცნობები მოსწავლის შესახებ, მოსწავლის ოჯახური პირობები, ფსიქიკური თავისებურებანი, მისი პედაგოგიური და საზოგადოებრივი დახასიათება და სხვა.*

ამრიგად, მოსწავლეთა ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე კლასის ხელმძღვანელისათვის ნათელი ხდება თითოეული აღსაზრდელის სულიერი ცხოვრების, მათი ინტერესების,

ნიჭისა და თავისებურებების ყოველი დეტალი, რაც ეხმარება პედაგოგს თავის სადამრიგებლო კლასში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებაში.

3. კლასის ხელმძღვანელის როლი მოსწავლეთა კოლექტივის ჩამოყალიბებაში

ჭეშმარიტი აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ კოლექტივში, კოლექტივის დახმარებითა და ხელშეწყობით. კოლექტივი ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე, მასში ისეთი მაღალზნეობრივი თვისებების ჩანერგვაზე, როგორიცაა: ამხანაგობა, მეგობრობა, პასუხისმგებლობა, ორგანიზებულობა, წესრიგი, დისციპლინა.

---

* *ამ თემაზე უფრო დაწვრილებით იხილეთ VII თავში — „მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლა და მათი დათვალისწინება სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში“.*

ამიტომ კლასის ხელმძღვანელის უპირველესი ამოცანაა მოსწავლეთა მტკიცე, ერთსულოვანი კოლექტივის ჩამოყალიბება.

ამ პრობლემის მრავალი ასპექტი, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, კარგად დაამუშავეს გამოჩენილმა პედაგოგებმა ა. ს. მაკარენკომ, ს. თ. შაცკიმ, ვ. ა. სუხომლინსკიმ და სხვებმა.

ა. მაკარენკოს საყოველთაოდ ცნობილ წარმატებათა საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ახერხებდა აღსაზრდელთა მტკიცე, მონოლითური კოლექტივის ჩამოყალიბებას.

ა. მაკარენკოს პედაგოგიური გამოცდილების შემოქმედებითად გამოყენებით **ვ. სუხომლინსკიმ,** რომელიც 22 წლის განმავლობაში სათავეში ედგა კიროვოგრადის ოლქის სოფელ პავლიშის საშუალო სკოლას,მიაღწია უდიდეს წარმატებებს. „ადამიანის პიროვნებას შეუძლია იარსებოს, იცხოვროს, განვითარდეს, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი მხოლოდ კოლექტივში. კოლექტივის გარეშე პიროვნება არ არსებობს“, — წერდა იგი.[1]

სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეძლებს კლასის ხელმძღვანელი გახადოს ბავშვთა კოლექტივი მტკიცე და ერთსულოვანი და რამდენად მოახერხებს ასეთი კოლექტივის გამოყენებას თავის მუშაობაში. ბავშვთა მეგობრული კოლექტივი კარგი ხელმძღვანელის ხელში მაღალი წარმატებისა და შეგნებული დისციპლინის აღზრდის საწინდარია.

სკოლაში მოსწავლეთა კოლექტივი ყალიბდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში,მაგრამ კლასის ოთხ კედელს შორის მომწყვდეული მოსწავლეთა ჯგუფი ჯერ კიდევ კოლექტივი არ არის. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც კლასი და კოლექტივი ერთი და იგივეა, მაგრამ ეს აშკარა შეცდომაა. მოსწავლეთა ჯგუფს,

---

[1] *Сухомлинский В. А. Воспитание личности в советской школе. – Киев, 1965, с. 5.*

რომლის წევრები სუსტად ან სულაც არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, არა აქვთ საერთო მიზანი, ერთიანი ინტერესი და შეხედულებანი, არ შეიძლება ეწოდოს კოლექტივი.

სკოლაში იქმნება 2 სახის კოლექტივი — პირველადი და საერთო სასკოლო.

პირველადი კოლექტივის ძირითად ფორმას წარმოადგენს აკადემიური ჯგუფი ან კლასი.

იგი სასკოლო კოლექტივის ძირითადი უჯრედია. კლასის კოლექტივის მეშვეობით ხორციელდება სკოლის მთელი კოლექტივის ჩაბმა იმ ამოცანათა გადასაწყვეტად, რაც სკოლის წინაშეა დასახული.

კლასის კოლექტივის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი აკისრია კლასის ხელმძღვანელს. სანამ იგი საქმეს შეუდგებოდეს, უნდა იცოდეს, რომ კლასის კოლექტივი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ნათელი, მოსწავლეთათვის ადვილად მისაწვდომი დასახული მიზნების საფუძველზე. პირველადი კოლექტივის წინაშე უნდა დაისახოს ისეთი მიზნები, რომლებიც საერთო სასკოლო კოლექტივის წინაშე დგას. ასეთი მიზნები შეამჭიდროებს ბავშვებს, დარაზმავს მათ საერთო საქმისათვის და ხელს შეუწყობს კოლექტივის განმტკიცებას. მომავლის ამ მიზნებს **ა. მაკარენკომ** *„პერსპექტიული ხაზების სისტემა“* უწოდა.

„აღზარდო ადამიანი, — წერდა იგი, — ნიშნავს აღზარდო მასში პერსპექტიული ხაზები, რომელზედაც განლაგდება მისი ხვალინდელი სიხარული... ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს ამქვეყნად, თუ მას წინ სასიხარულო არაფერი აქვს“. [1]

კლასის გამოცდილი ხელმძღვანელები, აფასებენ რა „ხვალინდელი დღის სიხარულის“ პერსპექტივის მამოძრავებელ ძალას, მიისწრაფვიან იქითკენ, რათა კლასისა და თითოეული მოსწავლის წინაშე აუცილებლად იდგეს განსაზღვრული მიზანი — პერსპექტივა, რომელსაც წინ მიჰყავს ბავშვთა კოლექტივი. მთავარი როლი აქ ეკისრება

---

[1] *ა. ს. მაკარენკო, პედაგოგიური პოემა, თბ., 1975, გვ. 564.*

აქტივს, რადგან კლასის აქტივი ის ბირთვია, რომლის ირგვლივ გაერთიანებულია კლასის მთელი კოლექტივი. აქტივისა და კოლექტივის დახმარებით კლასის ხელმძღვანელს შეუძლია გამოასწოროს უდისციპლინო და აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლე, ოღონდ ამისათვის საჭიროა დიდი გამოცდილება, პედაგოგიური ალღო და მოთმინება. კლასის ხელმძღვანელი უნდა იყოს არა მარტო კარგი აღმზრდელი, არამედ ასევე კარგი ორგანიზატორი და გულისხმიერი ადამიანი, მაგრამ როგორი კარგი თვისებებითაც არ უნდა იყოს იგი დაჯილდოებული, მაინც ვერაფერს მიაღწევს, თუ მას არ დაეხმარნენ და გვერდში არ ამოუდგნენ სასკოლო ორგანიზაციები და სკოლის მთელი კოლექტივი, განსაკუთრებით კი დირექცია. შეუძლებელია მოსწავლეთა მტკიცე, ერთსულოვანი კოლექტივის ჩამოყალიბება, თუ სკოლაში შექმნილი არაა მასწავლებელთა კოლექტივი, თუ ისინი ცალ-ცალკე მოქმედებენ და დისონანსი შეაქვთ სკოლის საერთო საქმიანობაში. ამიტომაც აღნიშნავდა **ა. მაკარენკო:** *„ჯობია გყავდეს ხუთი სუსტი აღმზრდელი კარგ კოლექტივად შეკრული, საერთო აზრით, საერთო პრინციპებით, ერთი სტილით მოქმედი, რომლებიც იმუშავებენ ერთად, ვიდრე ათი კარგი აღმზრდელი, რომლებიც მუშაობენ ცალ-ცალკე, ვისაც როგორ სურს“.* [1]

4. კლასის ხელმძღვანელის მუშაობა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის განმტკიცებაში

კლასის ხელმძღვანელის უშუალო მოვალეობაა მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლება და მათში შეგნებული დისციპლინის განმტკიცება. ამ ამოცანის გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი კონტაქტი არსებობს კლასის მასწავლებელთა შორის, რამდენად შეთანხმებულად და ერთიანი მოთხოვნით ეკიდებიან

[1] *Макаренко А. С. Соч., т. 5, М., 1958, с. 179-180.*

ისინი მოსწავლეებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, საგრძნობლად შეფერხდება კლასის მოსწავლეთა წარმატებები, თუ რომელიმე მასწავლებელი მუშაობს განკერძოებულად და დისონანსი შეაქვს საერთო საქმიანობაში. ამიტომ კლასის ხელმძღვანელი მუდამ მჭიდრო კონტაქტში უნდა იყოს მის კლასში შემავალ მასწავლებლებთან. ამ მიზნით იგი საკლასო ჟურნალის მეშვეობით აწესებს სისტემატურ კონტროლს მოსწავლეთა მოსწრებაზე, ესაუბრება მისი კლასის მასწავლებლებს, საჭიროების შემთხვევაში ესწრება მათ გაკვეთილებზე, ყურადღებას აქცევს, რომ ადგილი არ დაურჩეს საშინაო დავალებებით გადატვირთვას, აძლევს მათ შესაბამის მითითებებს და აღწევს ერთიანი მომთხოვნელობის დანერგვას კლასში.

მართალია, ეს ძნელი საქმეა, მაგრამ მისი გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია მოსწავლეთა სრული წარმატების მიღწევა.

იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შეთანხმებულად მოქმედებენ მასწავლებლები კლასში, მისი ხელმძღვანელი ზოგჯერ ატარებს თავის კლასში შემავალ მასწავლებელთა თათბირებს, ე. წ. *„მცირე პედაგოგიურ საბჭოს“.*

ასეთ თათბირებზე ზოგჯერ ვლინდება ცალკეული მოსწავლის ცხოვრების საინტერესო დეტალები, რომლებიც კლასის ხელმძღვანელისა და ყველა მასწავლებლისათვის ცნობილი არაა.

იმ მიზნით, რომ საქმის კურსში შეიყვანოს მოსწავლეთა მშობლები მათი შვილების სწავლის საქმეში, კლასის ხელმძღვანელი ყოველი კვირის ბოლოს ამოწმებს (საკლასო ჟურნალის მიხედვით) ყველა ნიშანი გადატანილია თუ არა მოსწავლეთა დღიურებში; და თუ რომელიმე საგანში მოსწავლეს ნიშანი უწერია ჟურნალში და დღიურში არაა გადატანილი, თვითონ გადააქვს ეს ნიშანი დღიურში და ხელს აწერს.

კლასის ხელმძღვანელი აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეს ამაგრებს რომელიმე ძლიერ მოსწავლეს ან საგნის მასწავლებელს სთხოვს, დამატებით იმუშაოს მასთან. იგი ყურადღებას აქცევს ასევე მოსწავლეთა მიერ

გაკვეთილებზე დასწრებას და უმიზეზოდ გაცდენა-დაგვიანების აღმოჩენის შემთხვევაში იღებს სათანადო ზომებს მათი აღმოფხვრისათვის.

მაღალ კლასებში კლასის ხელმძღვანელს შეუძლია ამ საქმეში ჩაებას თვით მოსწავლეები. ისინი ამოწმებენ თავიანთი ამხანაგების გაცდენა-დაგვიანების შემთხვევებს,დავალების შესრულების ხარისხს, დისციპლინას კლასში და სხვა. ამის შესახებ საინტერესოდ მოგვითხრობს აკაკი წერეთელი თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში„ჩემი თავგადასავალი“.

5. კლასის ხელმძღვანელის როლი კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაციაში

კლასგარეშე მუშაობა, რომელიც კლასის ხელმძღვანელის უშუალო მონაწილეობით ხორციელდება, სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობის ორგანული ნაწილია. იგი ბავშვს ეხმარება სწავლაში, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ჩვევების შემუშავებასა და დასახული მიზნის თანმიმდევრობით მიღწევაში.

კლასგარეშე ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანია ***კლასგარეშე კითხვა,*** განსაკუთრებით დაწყებით კლასებში. კარგი წიგნი არა მარტო ცოდნის წყაროა, არამედ აღზრდის საუკეთესო საშუალებაცაა. „ყოველივე კარგი, რაც ჩემშია, წიგნმა მომცა“, — ამბობდა მ. გორკი. ყოველი მასწავლებელი, რა საგნის სპეციალისტიც არ უნდა იყოს იგი, ყურადღებას უნდა აქცევდეს მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვას, ნერგავდეს და აღვივებდეს მათში წიგნისადმი სიყვარულს. კარგად ორგანიზებული სისტემატური კითხვა მაღალი აკადემიური მოსწრების ეფექტური საშუალებაა.

კლასგარეშე მუშაობის ნაირსახეობათა შორის, რომელსაც საშუალო სკოლის ყველა კლასში იყენებენ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ***წრეობრივ მუშაობას.***

წრეობრივი მუშაობა ხელს უწყობს ბავშვებში აქტიურობის, ინიციატივის, თვითმოქმედებისა და დისციპლინის გამომუშავებას. იგი აჩვევს ასევე ბავშვებს კოლექტივში

მუშაობას.

კლასის ხელმძღვანელმა უნდა იქონიოს ზუსტი აღრიცხვა – ვინ რომელ წრეშია გაერთიანებული და რა როლს ასრულებს იგი ამ წრეში. ეს იქნება საგნობრივი თუ სხვა სახის წრე (ფიზკულტურული, ქორეოგრაფიული, დრამატული, გამომეტყველებითი კითხვის, მხარეთმცოდნეობის და ა.შ.).

მოსწავლეთა კოლექტივის განმტკიცებისა და აკადემიური დონის ამაღლებაში დიდ როლს ასრულებს აგრეთვე სხვადასხვა სახის ***ექსკურსიები.*** მაგრამ ექსკურსია მხოლოდ მაშინ აღწევს დასახულ მიზანს, როცა მის მოსამზადებელ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს მთელი კლასი. კლასის ხელმძღვანელი, საგნების მასწავლებლებთან ერთად, ისახავს ექსკურსიის მიზანს, ადგენს გეგმას და ყველა მოსწავლეს აძლევს სათანადო დავალებას. თითოეულმა მოსწავლემ უნდა იცოდეს, თუ რა გააკეთოს და რა მასალა შეაგროვოს ექსკურსიის დროს. ეს ხელს შეუწყობს მათი ინიციატივისა და მოსაზრებულობის განვითარებას.

ექსკურსია საშუალებას აძლევს კლასის ხელმძღვანელს სასწავლო პროცესისაგან განსხვავებულ გარემოში უკეთ შეისწავლოს თითოეული მოსწავლე, მისი შემოქმედებით-ორგანიზატორული ნიჭი და შესაძლებლობანი, რაც ხელს უწყობს კლასში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლებას.

კლასის ხელმძღვანელის მუშაობაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ასევე ***კლასდღის*** ორგანიზებულად და მიზნობრივად გამოყენებას. ამ დღეს კლასის ხელმძღვანელი აცნობს მოსწავლეებს კლასისა და ცალკეულ მოსწავლეთა მოსწრებას ამა თუ იმ საგანში, ესაუბრება ბავშვებს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, მორალის, ეთიკის საკითხებზე.

კლასის ხელმძღვანელის მიერ თავის სადამრიგებლო კლასში ჩატარებული თითოეული საუბარი, ლექცია-მოხსენება უნდა იყოს სკოლის, სოფლის თუ ქალაქის ცხოვრებიდან აღებული, კონკრეტულ მაგალითებზე დაფუძნებული

და მოსწავლეთა ასაკთან შეფარდებული. მხოლოდ მაშინ შეუძლია ამ საუბარს სარგებლობის მოტანა. საუბრები შეიძლება ჩატარდეს შემდეგ თემებზე: *„რას ნიშნავს იყო პატრიოტი“, „მოსწავლის უპირველესი მოვალეობაა სწავლა“, „ვის შეიძლება ეწოდოს ნამდვილი მეგობარი“ და სხვა.*

6. კლასის ხელმძღვანელის მუშაობის დაგეგმვა და აღრიცხვა

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კლასის ხელმძღვანელის მიერ კარგად მოფიქრებული სამუშაო გეგმის შედგენას. იგი უნდა გამომდინარეობდეს სკოლის წლიური სამუშაო გეგმიდან და პასუხობდეს საერთო სასკოლო და კლასის აღმზრდელობითი მუშაობის კონკრეტულ ამოცანებს.

სწორი გეგმიანობა კლასის ხელმძღვანელის წინაშე მდგარ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტის საწინდარია.

გეგმის შედგენას წინ უნდა უსწრებდეს მოსწავლეთა შემადგენლობის შესწავლა, მათ პირად საქმეში მოცემულ დახასიათებათა გაცნობა, ოჯახური პირობების შესწავლა, მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან და მასწავლებლებთან საუბარი. ყოველივე ეს საჭიროა იმისათვის, რათა სამუშაო გეგმის შედგენისას გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი, მათი ოჯახური პირობები და გონებრივი განვითარების დონე.

კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმა დგება 2 ცალად და სასწავლო წლის დასაწყისში დასამტკიცებლად წარედგინება სკოლის დირექტორს, მანამდე კი მას იხილავენ დირექტორის მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზდელობითი მუშაობის დარგში. გეგმის ერთი პირი ბარდება სკოლის დირექციას კონტროლისათვის, მეორე ცალი კი თვით ხელმძღვანელს რჩება.

კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმას ჩვეულებრივ

წინ უძღვის შესავალი ნაწილი, რომელიც მოიცავს კლასის დახასიათებას (მოსწავლეთა საერთო რაოდენობა კლასში, ბავშვთა ასაკი, ერთი მშობლით ობოლი, უდედმამო, ზედამხედველობას მოკლებული),კლასის წარმატებებს გასულ სასწავლო წელს თუ სემესტრში, აგრეთვე ცნობებს კლასის აქტივის, მშობლების შესახებ და სხვა აუცილებელ მონაცემებს.

მოსწავლეთა შემადგენლობის განსაზღვრისას, საჭიროა კლასის ხელმძღვანელმა ყურადღება მიაქციოს იმას, წინათ ყველა მოსწავლე ამ კლასში სწავლობდა, თუ იგი დაკომპლექტებულია სხვადასხვა სკოლებიდან გადმოსული ბავშვებისაგან. მას მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს ასევე მოსწავლეთა ასაკობრივი შემადგენლობა და ის, თუ რამდენად მტკიცეა მოსწავლეთა კოლექტივი. დახასიათებაში უნდა ვუჩვენოთ: რამდენადაა განვითარებული მეგობრობის, ამხანაგობისა და კოლექტივიზმის სულისკვეთება კლასში, როგორია მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულება, დისციპლინა და ა.შ.

როდესაც კლასს ვეხებით,ზოგჯერ სასურველია დავახასიათოთ ამ კლასის მშობლებიც,რადგან ამის გარეშე შეუძლებელია მათთან ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობა.

ამგვარად, მოკლე დახასიათების შედგენა სასწავლო წლის დაწყებამდე კლასის ხელმძღვანელს საშუალებას მისცემს წარმოიდგინოს კლასისა და ცალკეული მოსწავლის სახე, ყურადღება გაამახვილოს მოსწავლეთა თავისებურებებზე, მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე და უფრო ნათლად გაითვალისწინოს თავისი მომავალი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი. ასეთი წინასწარი მუშაობისა და დაგეგმვის შედეგად კლასის ხელმძღვანელისათვის უფრო კონკრეტდება სადამრიგებლო კლასთან მუშაობის პერსპექტივები.

კლასის ხელმძღვანელის გეგმის სტრუქტურული ფორმა მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს: ბავშვთა კოლექტივის ორგანიზაცია, სწავლების ხარისხის ამაღლების ღონისძიებანი, აღმზრდელობითი მუშაობა, კლასის მასწავლებლებთან მუშაობა, მშობლებთან მუშაობა, ორგანიზაცი-

ული მუშაობა, გეგმიანობა და სხვა.

დაგეგმვის გარდა, კლასის ხელმძღვანელის მუშაობაში დიდ როლს ასრულებს ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა, რასაც ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა სკოლებში.

კლასის ხელმძღვანელის მუშაობის აღრიცხვის საუკეთესო ფორმა, როგორც ეს გამოცდილებამ გვიჩვენა, არის დღიური. მის საფუძველზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ კლასის ცხოვრებაზე, პედაგოგიური მუშაობის მიღწევებზე.

სკოლის პრაქტიკაში არ არის დღიურის წარმოების ერთიანი ფორმა და ეს არცაა საჭირო. ყოველი მასწავლებელი ამ დღიურს თავისებურად ავსებს.

გარდა დღიურისა, კლასის ხელმძღვანელს ევალება საკლასო ჟურნალისა და მოსწავლეთა დღიურების წარმოებაზე კონტროლი.

კლასის ჟურნალი წარმოადგენს ყველა მასწავლებლის მუშაობის სააღრიცხვო დოკუმენტს. ამიტომ სასწავლო დისციპლინების მიხედვით მუშაობის აღრიცხვისათვის პასუხს აგებენ საგნის მასწავლებლები, მაგრამ მოსწავლეთა სიის ჩაწერა ჟურნალში და ჟურნალის იმ ნაწილის წარმოება, სადაც მოცემულია საერთო ცნობები მოსწავლეთა შესახებ, ევალება კლასის ხელმძღვანელს. მან დროულად უნდა შეავსოს საკლასო ჟურნალის ეს განყოფილება.

კლასის ხელმძღვანელი სისტემატურად (კვირაში ერთხელ მაინც) უნდა ათვალიერებდეს მოსწავლეთა დღიურებს, ხელს აწერდეს მათ და მოითხოვდეს ბავშვებისაგან, რომ დღიურები უჩვენონ მშობლებს და ხელი მოაწერინონ.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კლასის ხელმძღვანელმა უნდა იზრუნოს მოსწავლეთა პირადი საქმეების მოწესრიგებისათვის.

ასეთია კლასის ხელმძღვანელის მუშაობის ძირითადი შინაარსი. *

---

* *კლასის ხელმძღვანელის მუშაობა მოსწავლეთა მშობლებთან იხილეთ ბოლო XXVI თავში – „სკოლისა და ოჯახის ერთობლივი აღმზრდელობითი მუშაობა“.*

თავი XXV

ოჯახი და ბავშვის აღზრდა

1. ოჯახის როლი ბავშვის აღზრდაში

ოჯახი, შვილები და მათი აღზრდა ყოველთვის იყო და არის ერისა და ქვეყნის უპირველესი საზრუნავი. საზოგადოების ისტორიული განვითარების ყველა პერიოდში მხოლოდ ის ქვეყანა იყო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი, რომელსაც უკეთ ჰქონდა გადაწყვეტილი ოჯახისა და მომავალი თაობის აღზრდის პრობლემა. ამიტომ აღზრდას დიდი ყურადღება ექცევა უძველესი დროიდან დღემდე, ყველა საზოგადოებრივი ფორმაციის პირობებში. აღზრდის პირველადი კერა კი ოჯახია. აქ იდგამს ბავშვი ენას, აქ იღებს ზნეობის პირველ გაკვეთილებს, აქ უჩნდება პირველი შეხედულებები სამყაროზე, ცხოვრებაზე, ადამიანის დანიშნულებაზე. ოჯახი,თუ შეიძლება ასე ითქვას, ის „საამქროა“,სადაც ინასკვება მომავალი მამულიშვილის ხასიათის კონტურები, იჭედება ადამიანის სული. ის თვისებები, რასაც მოზარდი ოჯახში მშობლების უშუალო ხელმძღვანელობით იძენს, ხშირ შემთხვევაში, საგზლად მიჰყვება ადამიანს მთელი მისი ცხოვრების მანძილზე. ამიტომაცაა ოჯახი სახელმწიფოს პირველადი უჯრედი და დასაყრდენი, მისი წინსვლა-განვითარების აუცილებელი პირობა. ოჯახის სიმტკიცე ნიშნავს საზოგადოების სიმტკიცეს, სიძლიერეს, მისი გამრავლების საწინდარს. როგორიცაა ოჯახი, ისეთივეა სოფელი, ქალაქი, ქვეყანა, საზოგადოება. თითოეული მოქალაქის, თითოეული მშობლის ავკარგიანობაზე მსჯელობენ იმის მიხედვით, თუ როგორი შვილი აღუზარდა მან სამშობლოს, რას წარმოადგენს მისი აღზრდილი საზოგადოებისათვის, ქვეყნისათვის.

ერთხელ, ძველ რომში, ქალებს შორის შეჯიბრება გა-

მართულა, თუ რომელ მათგანს მეტი და ძვირფასი სამკაული ექნებოდა. შეჯიბრება-გამოფენაზე უამრავ ქალს მოუყრია თავი ძვირფასი სამკაულებით. როცა ერთ-ერთი დიდებულის ცოლისათვის – კორნელიასათვის უკითხავთ, საოდაა შენი სამკაულებიო, მას თავისი შვილები წარუდგენია საზოგადოებისათვის და უთქვამს: – აი, ჩემი სამკაულები. ამაზე ძვირფასი სამკაულები მე არ გამაჩნია.ჩემთვის ესენი ყველაზე ძვირფასი მარგალიტები არიანო.

ოჯახის გარდა მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ფართო ქსელი, მაგრამ ყოველივე ეს არ ათავისუფლებს მშობლებს ბავშვთა აღზრდისათვის პასუხისმგებლობისაგან, მათზე ზრუნვისა და აღზრდისაგან. ბავშვთა სწორი აღზრდა ყოველი მშობლის უპირველესი ვალია. არც საბავშვო ბაგასა და ბაღს, არც სკოლასა და სკოლისგარეშე დაწესებულებას არ შეუძლია შეცვალოს ოჯახი, მშობლები. რა კუთხითაც არ უნდა მივუდგეთ საკითხს, დასკვნა ერთია: ოჯახის როლი ბავშვის აღზრდაში განუზომელია. პატარას,რაგინდ კარგ საადმზრდელო დაწესებულებაში იზრდებოდეს, აუცილებლად სჭირდება მშობლების მზრუნველობა, ალერსი და სიყვარული. მამისა და დედის გავლენას ბავშვზე ვერაფერი შეცვლის.[1]

„...შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა, – წერს ***ილია ჭავჭავაძე,*** *– უწმინდაესი და უდიდესი ვალია მშობლებისა... გაზრდა შვილისა... ისეთი მოვალეობაა,რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ... ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები-კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, – აი, რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან“.*[2]

ამრიგად, მამობა და დედობა ადამიანის უდიდესი ღირ-

---

[1] *პედაგოგიკა, დ. ლორთქიფანიძის მთავარი რედაქციით, თბ., 1969, გვ. 516.*

[2] *ი. ჭავჭავაძე, პედ. თხზულებანი, პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1938, გვ. 352-353.*

სება და ფრიად საპატიო მოვალეობაა. ჩვენი ბავშვები არა მარტო ჩვენი შვილები და ჩვენი გვარის გამგრძელებლები არიან,არამედ ისინი, როგორც მომავალი მოქალაქენი, ჩვენი საზოგადოებისა და მთელი ერის განუყრელ წევრებსაც წარმოადგენენ. სამწუხაროდ, ყველა მშობელს როდი აქვს ეს შეგნებული. ზოგიერთი მათგანი შვილის აღზრდა-განათლებას მხოლოდ სკოლას ანდობს და მის ცუდ საქციელსაც სკოლას აბრალებს. მშობელთა ერთი ნაწილი კი აცხადებს: ბავშვი ჩემია და როგორც მინდა, ისე აღვზრდი, სხვისი რა საქმეაო. ასეთ მშობელს უნდა შევაგნებინოთ, რომ ბავშვის აღზრდა დიდი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. საზოგადოებისათვის სრულიადაც არ არის სულერთი, მოზარდისაგან რა გამოვა — პატიოსანი მშრომელი თუ ბოროტების მსახური, სამშობლოს ღირსეული შვილი თუ მისი შემარცხვენელი და თავლაფდამსხმელი.

მშობელი არასოდეს არ უნდა ივიწყებდეს იმ ურყევ ჭეშმარიტებას, რომ ბავშვის აღზრდაზე დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი და მისივე ოჯახის ბედნიერება. კარგი შვილი ოჯახის სიხარულია, ცუდი კი სიმწარე და უბედურება,ზედმეტი ბარგია საზოგადოებისათვის. ამასთანავე, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ კარგი და ცუდი ბავშვი არ იბადება. ბავშვი კარგი ან ცუდი ხდება აღზრდისა და გარემო პირობების მეშვეობით. აღზრდას კი საფუძველი ოჯახში ეყრება.ამიტომ, თუ ცუდადაა აღზრდილი ჩვენი შვილი, ამაში თვითონ ჩვენ ვართ დამნაშავე და პასუხიც უნდა ვაგოთ ჩვენივე შვილისა და საზოგადოების წინაშე.

2. ოჯახში ბავშვის აღზრდის შინაარსი

ოჯახური აღზრდის შინაარსში ძირითადად იგულისხმება ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდა, რაც მისი ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების საწინდარია.

ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი,უწინარეს ყო-

ვლისა, კარგად უნდა იყოს აღზრდილი ***ფიზიკურად.*** იშვიათია ისეთი მშობელი, რომელიც გულგრილად ეკიდებოდეს თავისი შვილის ჯანმრთელობას. ყოველი დედა მხოლოდ მაშინაა ბედნიერი, როცა მისი შვილი ჯანმრთელი და ამტანია. ამიტომ დღეს თითქმის ყველა მშობელი ცდილობს დროზე გაუკეთოს შვილს ყვავილის, დიფტერიის, ტიფის თუ სხვა სახის აცრები.

სხვადასხვა დაავადებისაგან ბავშვის ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარის, ამტანობის გაზრდის, მისი გაკაჟების კიდევ ერთი უტყუარი ხერხია სწორი ფიზიკური აღზრდა. ამასთან, იგი ხელს უწყობს ადამიანში ღრმა მოხუცებულობამდე შრომისუნარიანობისა და კარგი გუნება-განწყობილების შენარჩუნებას. გარდა ამისა, ყოველ მშობელს კარგად უნდა ახსოვდეს ძველი რომაელების შეგონება, რომ „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“. ამიტომ ისინი ყოველ ღონეს უნდა ხმარობდნენ იმისათვის, რათა ბავშვს ოჯახში ჰქონდეს კარგი კვება, ნორმალური ძილი, სუფთა ჰაერი, თამაშისა და დასვენების დრო და სხვა, რაც უზრუნველყოფს მის სწორ ფიზიკურ განვითარებას. ცნობილი რუსი მწერალი **ლ. ტოლსტოი** და აკადემიკოსი **ი. პავლოვი** ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას განაგრძობდნენ 80 წლის ასაკშიც. აკადემიკოსმა ა.შანიძემ კი ეს უნარი 100 წლამდე შეინარჩუნა. ამას მათ მიაღწიეს იმით, რომ ისინი გონებრივ და ფიზიკურ შრომას მარჯვედ უხამებდნენ ერთმანეთს. გამოჩენილმა მხატვარმა **რეპინმა,** რომელიც 86 წლის ასაკში გარდაიცვალა, კითხვაზე — რამ განაპირობა მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა — უპასუხა: ზამთარშიც კი ღია ფანჯარასთან მეძინაო.

დიდი რუსი სარდალი **ალექსანდრე სუვოროვი** ბავშვობაში ძალზე სუსტი და უმწეო ყოფილა. იგი ძველ საბერძნეთში რომ დაბადებულიყო, სპარტანელები მას ხრამში გადაუძახებდნენ. ასეთი იყო ძველი სპარტის მკაცრი კანონი — ყველა სუსტ ბავშვს კლავდნენ, მაგრამ განუწყვეტელი ვარჯიშით, სხეულის წრთობითა და გაკაჟებით ა. სუვოროვმა შეძლო თავისი არმიის ალპებზე გადაყვანა 70 წლის ასაკში, და ისიც ყინვასა და ქარბუქში. ამას იგი,

ცხადია, ვერ მიაღწევდა ენერგიული ვარჯიშისა და ფიზიკური წრთობის გარეშე, **ალექსეი მარესიევი** კი ვერ შეძლებდა ფეხების დაკარგვის შემდეგ მწყობრში დაბრუნებას და თავისი საბრძოლო თვითმფრინავით ისევ მტრის რისხვად ქცევას. თუმცა რაღა შორს მივდივართ. განა უფრო მეტის გაკეთება არ შეძლო 60 წელს მიტანებულმა ქართველმა სპორტსმენმა, მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურმა **ჯუმბერ ლეჟავამ?** მისი სიცოცხლე ხომ, ექიმების თქმით, ბეწვზე ეკიდა.

პლუტარქე აღნიშნავს, რომ ციცერონს კუჭი აწუხებდა და ამის გამო ძალიან გამხდარი და ძალაგამოცლილი ყოფილა, მაგრამ ფიზიკური ვარჯიშის საშუალებით ისე გაიკაჟა ჯანმრთელობა, რომ როცა სიტყვით გამოდიოდა, ხმის სიძლიერის გამო კედლები ზანზარებდაო. [1]

ბავშვის ფიზიკური აღზრდა ოჯახში ძირითადად თამაშში ხორციელდება. პატარები ტოლებთან ერთად უნდა მონაწილეობდნენ სხვადასხვანაირ თამაშობებში, შემდგომ კი თამაშობანი უნდა შეივსოს სპორტული ვარჯიშებით, ფიზიკური კულტურითა და შრომითი საქმიანობით. მშობლებმა ბავშვს პატარაობოდანვე უნდა ასწავლონ ცურვა, გიმნასტიკა, შეაჩვიონ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს, ხელი შეუწყონ მათ მონაწილეობას ლაშქრობებში, შეჯიბრებებში და ა.შ.

ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანს ასევე მოეთხოვება კარგი ***გონებრივი აღზრდა.*** ამ საქმეში ძალზე დიდია ოჯახის როლი, რადგან გონებრივ აღზრდასაც საფუძველი ოჯახში ეყრება.

ბავშვი ამქვეყნად მოვლენის პირველი დღეებიდანვე ინტერესდება გარესამყაროთი — ყველაფერს აკვირდება,ათვალიერებს, სწავლობს, ხოლო როცა წამოიზრდება და ენას ამოიდგამს, გაუთავებელი შეკითხვებით თავს აბეზრებს მშობლებს: — ეს რაა? — რატომ წვიმს? — რატომ თოვს? და ა.შ. გონიერი,დაკვირვებული მშობლები ყოველთვის ნახულობენ დროსა და საშუალებას ბავშვის ცნობისმოყვარე-

---

[1] *გ. ხუხუა, პედაგოგიკა, თბ., 2009, გვ. 213-214.*

ობის დასაკმაყოფილებლად, ხოლო ისინი, ვისაც არ ესმის ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემის მნიშვნელობა, თავიდან იშორებენ ბავშვს. არადა, იგი მხოლოდ ამ გზით ეცნობა სამყაროს, იძენს ცოდნას.მეცნიერული გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ის ბავშვები. რომლებიც მოკლებული არიან მშობელთა ყურადღებასა და ინფორმაციის ნაკადს, თავიანთი ინტელექტუალური განვითარებით რამდენადმე ჩამორჩებიან თავიანთ თანატოლებს, რომლებიც ნორმალურ გარემოში იზრდებოდნენ და მშობელთა მეურვეობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

სამწუხაროდ, ყველა მშობელს როდი აქვს ეს შეგნებული. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ბავშვის ჩაცმა-დახურვითა და გამოკვებით კმაყოფილდება, გონებრივი აღზრდა კი სკოლის მოვალეობად მიაჩნია. XX საუკუნის ცნობილი იაპონელი პედაგოგი **მასარო იბუკა** წიგნში *„3 წლის შემდეგ უკვე გვიანია“,* წერს: „ყველა ბავშვის განვითარება დაბადებიდან უნდა დაიწყოთ. ბავშვი იმ შემთხვევაშიც გაიზრდება, თუ თქვენ მხოლოდ კვებავთ და ზრუნავთ მასზე. მაგრამ თუ თქვენ ამის გარდა მას არაფერს აძლევთ, იგი ვერ განივითარებს იმ პოტენციალს, რომლითაც დაიბადა“.[1]

აქედან გამომდინარე, ყოველმა მშობელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ბავშვის აღზრდა-განვითარებისათვის მისი მარტო ჩაცმა-დახურვითა და ჭამა-სმით უზრუნველყოფა როდია საკმარისი, არამედ საჭიროა მისი ტვინის გამოკვებაც, რათა იგი არ განიცდიდეს ინტელექტუალურ „შიმშილს“ და თანდაყოლილი უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას.

უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვის ქცევის მთავარი ფორმა ხდება სწავლა – გონებრივი შრომა, რაც ზოგიერთი ბავშვისათვის უფრო რთულია, ვიდრე ფიზიკური შრომა. ამიტომ მშობლებმა ხელი უნდა შეუწყონ ბავშვის გონებრივი შრომის მონაცვლეობას ფიზიკურ შრომასთან და გართობასთან.

---

[1] *მ. ხერხეულიძე, ბავშვის განვითარება და მისი ხელშეწყობის ძირითადი პრინციპები, გაზ. „ახალი განათლება“, 2008, 21-27 თებერვალი.*

ყველა მშობელს სურს, რომ მისი შვილები კარგად სწავლობდნენ, მაგრამ ყველა როდი აღწევს ამას. ამის მიზეზია ის, რომ სხვადასხვა ოჯახში სხვადასხვაგვარად წყვეტენ ამ ამოცანას.

განათლებული და კულტურული მშობელი, პირველ რიგში, იმაზე ზრუნავს, რომ შვილს გაუღვივოს ცოდნის შეძენისადმი ინტერესი, სწავლის სურვილი, შემოქმედებითი სიხარული. ასეთი მშობლები სისტემატურად უმოწმებენ ბავშვს საშინაო დავალებების შესრულების ხარისხს, საჭიროების შემთხვევაში კი, ეხმარებიან მათ შესრულებაში, უკონტროლებენ დღიურს და ა.შ. პედაგოგიურად უვიცი მშობლები კი ბავშვებზე სასწავლო მუშაობაში დახმარებას იმით შემოფარგლავენ, რომ მათ გასაკეთებელ საქმეს თვითონ აკეთებენ: უწერენ საკონტროლო წერის თემებს, ხსნიან სავარჯიშოებსა და ამოცანებს, ბავშვი კი ამ დროს თამაშითა თუ სხვა საქმით არის გართული, რითაც შვილებს პატარაობიდანვე აჩვევენ სიცრუეს, თვალთმაქცობასა და ორპირობას, ხოლო საბოლოოდ, ზარმაც და უქნარა ადამიანებად ზრდიან.

ცდებიან ის მშობლებიც, რომლებიც შვილებს კარგი სწავლისათვის წინასწარ საჩუქარს ჰპირდებიან და ამით მოზარდს უვითარებენ სიხარბის, ანგარებისა და მომხვეჭელობის თვისებებს.

ბავშვებს პირველი კლასიდანვე უნდა შევაგნებინოთ, რომ კარგი სწავლა მათი უშუალო მოვალეობაა და ამისათვის საჩუქარს არ უნდა ელოდნენ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბავშვის წახალისება საერთოდ არაა საჭირო. ცხადია, წახალისება საჭიროა, მაგრამ ამის შესახებ მან წინასწარ არაფერი არ უნდა იცოდეს.

ზოგიერთი მშობელი საერთოდ არ იჩენს ინტერესს ბავშვის სწავლისადმი. ამგვარ მშობლებს ავიწყდებათ, რომ ასეთი უკონტროლობის შედეგად შეიძლება დაიღუპოს ტალანტი: სასახელო ინჟინერი, პედაგოგი, ექიმი ან, უბრალოდ, კარგი მშრომელი ადამიანი.

ასეთ ოჯახში, ჩვეულებრივ, მოზარდი გაჭირვებით აღწევს მერვე-მეცხრე კლასამდე და შემდეგ ქუჩა-ქუჩა იწ-

ყებს ხეტიალს. აქედან კი ლოთობამდე, ქურდობამდე, ხულიგნობამდე, ნარკოტიკით გატაცებამდე ერთი ნაბიჯია.

ბავშვის ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს **ზნეობრივი აღზრდა.** თავის მხრივ ეს უკანასკნელი ზემოქმედებს პიროვნების გონებრივ, შრომით და ესთეტიკურ აღზრდაზე.

ადამიანის ზნეობრივი აღზრდა მიმდინარეობს მთელი მისი ცხოვრების მანძილზე. ბავშვის მორალურ სახეს საფუძველი ეყრება სკოლამდელ ასაკში, შემდეგ კი პიროვნების ზნეობრივი თვისებები ინტენსიურად ვითარდება და ყალიბდება სასკოლო ასაკში. ამ ხნის მანძილზე ბავშვები თავიანთ ზნეობრივ განვითარებაში გაივლიან რთულ გზას, რაშიც დიდ როლს ასრულებს ყოველდღიურ საქმიანობაში (თამაში, სწავლა, შრომა) მათი აქტიური მონაწილეობა.

ბავშვი ოჯახში უნდა ეუფლებოდეს ისეთ ცნებებს, როგორიცაა: გულწრფელობა, სამართლიანობა, პატიოსნება, ამხანაგობა, მეგობრობა, პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი, შრომისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცე და სხვა. ამ თვისებების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება მშობელთა პირად მაგალითს. ზოგიერთ მშობელს ჰგონია, რომ ზემოთ აღნიშნული თვისებების ჩამოყალიბებისათვის საკმარისია კარგი რჩევა-დარიგება, გაუთავებელი შეგონებანი და ანგარიშს არ უწევს იმას, რომ მისი პირადი მაგალითი, მისი სიტყვისა და საქმის ერთიანობა გაცილებით უფრო ეფექტური აღმზრდელობითი ფაქტორია, ვიდრე რჩევა-დარიგება. ამიტომ მშობელმა მოხერხებულად უნდა გამოიყენოს ყოველი ხელსაყრელი მომენტი შვილის ზნეობრივი აღზრზრდისათვის. აი, როგორ მაგალითს გვთავაზობს **ა. პინტი** თავის წიგნში *„თქვენთვის, მშობლებო“:* მამა და 13 წლის ვაჟი სასეირნოდ მიდიან. მამა მეტროს სადგურის ავტომატში ათკაპიკიანს აგდებს დასახურდავებლად, მაგრამ ორი ხუთკაპიკიანის ნაცვლად სამს ღებულობს.

— მამა, კიდევ ჩავუშვათ ორშაურიანი. იქნებ ისევ სამი ფული მოგვცეს, — ეუბნება გახარებული ვაჟიშვილი.

— მე კი მგონია, რომ უნდა მივიდეთ მოლარესთან და

ვუთხრათ, რომ ავტომატი მოშლილია.

შეცბუნებული ბიჭი სალაროსაკენ წავიდა, მამა კი იქვე დარჩა მგზავრების გასაფრთხილებლად, რომ ავტომატი წესიერად არ მუშაობდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბიჭი და მეტროს თანამშრომელი საჭირო ხელსაწყოებით ავტომატს მიუახლოვდნენ.

— კარგი ბიჭი გყავთ, პატიოსანი, შეგნებული, — მიმართა მეტროს თანამშრომელმა მამას. ამ უკანასკნელმა კი მრავალმნიშვნელოვნად გადახედა შვილს, რომლის სახეზეც ბედნიერებისა და კმაყოფილების სხივი კიაფობდა. [1]

სამწუხაროდ, ყველა მშობელი როდი იქცევა ასე. ამის ნათელ მაგალითს იძლევა **ვასილ სუხომლინსკი** თავის ერთ-ერთ პატარა მოთხრობაში *„იმიტომ, რომ მე ადამიანი ვარ“*. ამ მოთხრობის შინაარსი ასეთია:

სამი დღის განმავლობაში მამა და შვიდი წლის ვაჟიშვილი ერთი და იმავე გზით დადიან. ყოველ გავლა-გამოვლისას მამა ხვდება შუა გზაზე დაგდებულ დიდ ქვას. მესამე დღეს მამა არიგებს შვილს: „ყურადღებით იყავი, ქვას არ დაეჯახო, გვერდი აუარე“. მაგრამ დახეთ საოცრებას — ქვა ძველ ადგილზე არ აღმოჩნდა. იგი გზიდან გადაეგდო მოხუცებულ კაცს, რომელიც იქვე გზის პირას იჯდა და ისვენებდა.

— თქვენც მიარტყით ქვას ფეხი და იტკინეთ? — ეკითხება ბიჭი მოხუცს.

— არა, მე ქვაზე ფეხი არ მიმირტყამს.

— მაშ, რატომ გადააგდეთ იგი გზიდან?

— იმიტომ, რომ მე ადამიანი ვარ.

ბიჭი მცირე ხნით ჩაფიქრდა და მამას ჰკითხა:

— მამი, შენ ადამიანი არა ხარ? [2]

ოჯახურ აღზრდაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ***ესთეტიკურ აღზრდას.*** ესთეტიკური აღზრდა გულის-

---

[1] *ა. პინტი, თქვენთვის, მშობლებო, თბ., 1976, გვ. 177-178.*

[2] *ნ. ბასილაძე, ვ.ა.სუხომლინსკის პედაგოგიკური სისტემა და თანამედროვეობა, ბათუმი, 2000, გვ. 110.*

ხმობს ბავშვებში მშვენიერების, სილამაზის აღქმა-განცდის უნარის გამომუშავებას და ამ სილამაზეში საკუთარი წვლილის შეტანის უნარის ფორმირებას.

ძველი ბერძნები ესთეტიკურ აღზრდას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პიროვნების ფორმირებაში, რომ მასზე ზრუნვას საჭიროდ თვლიდნენ ბავშვის დაბადებამდე. ისინი ფეხმძიმე ქალის ოთახს ათასნაირი მიმზიდველი ფერებით ამშვენებდნენ, რათა ყოველივე ამას ბავშვის სულიერ ფორმირებაზე კეთილმყოფელი გავლენა მოეხდინა. შეიძლება აქ რაიმე გადაჭარბებას ჰქონდეს ადგილი, მაგრამ მასში კარგად ჩანს ძველი ბერძნების დამოკიდებულება ესთეტიკური აღზრდისადმი.

აქედან გამომდინარე, ბავშვს ოჯახში უნდა შევუქმნათ სათანადო გარემო, სადაც უნდა სუფევდეს წესრიგი და ჰარმონია, უბრალოება და ბუნებრიობა. მშობლების დახმარებით ბავშვმა უნდა განასხვავოს ლამაზი და ჰარმონიული ულამაზოსა და ვულგარულისაგან. ბინა ისე უნდა იყოს მორთული, რომ ბავშვსაც და მოზრდილსაც ესთეტიკურ სიამოვნებას გვრიდეს.

ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი ასაკის შესაფერის შრომა-საქმიანობაში მონაწილეობას, როგორიცაა: ოთახის დალაგება, დაგვა-დასუფთავება, კუთხის მორთვა, მცენარეებისა და ყვავილების გაშენება, მათი მოვლა-პატრონობა, ეზოში მისასვლელი გზების წესრიგში მოყვანა და ა.შ.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებაა ასევე მათი გასეირნება ბუნებაში, ყვავილებისა და ლამაზ-ლამაზი ფოთლების შეგროვება, „ბუნების მუსიკის“ (ჩიტების ჭიკჭიკის, კალიების ჭრიჭინის, ხეთა შრიალის) მოსმენა, მზის ამოსვლისა და ჩასვლის ნახვა და სხვა.

ბავშვის ესთეტიკურ აღზრდაში უდიდეს როლს ასრულებს *მხატვრული ლიტერატურა* და, საერთოდ,*ხელოვნება.* ამიტომ პატარებს გამომეტყველებით უნდა წავუკითხოთ მათი ასაკის შესაფერისი ლექსები,მოთხრობები, ზღაპრები, დავათვალიერებინოთ მხატვართა ნამუშევრების გა-

მოფენები, მოვასმენინოთ სიმღერები და მუსიკალური მელოდიები, დავასწროთ სპექტაკლებს,კინოფილმებს და ა.შ. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მათი სულის გაფაქიზებას და იმ ტლანქი, უხეში ქცევების აღმოფხვრას, რაც ზოგიერთი უკულტურო ადამიანისათვისაა დამახასიათებელი.

დაბოლოს, ესთეტიკურ აღზრდაში, ისე როგორც ნებისმიერ აღზრდაში, დიდ როლს ასრულებს *მშობლების პირადი მაგალითი:* მათი ჩაცმა-დახურვა, სიტყვა-პასუხი, მეტყველება, ხელოვნებისადმი დამოკიდებულება და სხვა. მშობელს, რომელიც თავს იწონებს მდიდარი და მოდური ჩაცმულობით, ძვირფასი ავეჯით გაწყობილი ბინით და ამავე დროს მისთვის არაფერს ნიშნავს საკუთარი აივნიდან გადააგდოს სიგარეტი, ასანთის კოლოფი, გადაყაროს ხილის ნარჩენები თუ ნიგვზის და თხილის ნაჭუჭები, არავითარი საერთო არა აქვს ჭეშმარიტ ზნეობასთან, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ესთეტიკურობაცაა.

ოჯახში ბავშვთა ყოველმხრივ განვითარებაში დიდი როლი ენიჭება ასევე ***შრომით აღზრდას.*** შრომა ალამაზებს და აკეთილშობილებს ადამიანს. კ. დ. უშინსკის სამართლიანი შენიშვნით, შრომა არის არა მარტო არსებობის ძირითადი საშუალება, არამედ ადამიანის ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი სრულყოფის, მისი ადამიანური ღირსების, თავისუფლებისა და ბედნიერების აუცილებელი პირობაც. ამიტომ, დასძენს იგი, თუ აღმზრდელს ბავშვის ბედნიერება სურს, უნდა აღზარდოს ის არა ბედნიერებისათვის, არამედ უნდა მოამზადოს შრომისათვის.

შრომის სიყვარული, მშრომელი ადამიანის პატივისცემა ბავშვს უნდა ჩაენერგოს ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში. სამი წლის ბავშვიც კი ავლენს სურვილს, რაღაც აკეთოს„ჩემით“, „მე თვითონ“, „მაცალე“, — იძახის იგი ხშირად, მაგრამ მშობლები არ ანებებენ; არა მარტო სკოლამდელებს, არამედ უფრო დიდებსაც თვითონ ბანენ ხელპირს, აცმევენ ტანზე, ულაგებენ საწოლს, შემდეგ კი უკვირთ, საიდან გამოვიდა მათი შვილი ასეთი ზარმაცი.

შრომითი აღზრდა ოჯახში ძირითადად თვითმომსახურებით იწყება. 5-6 წლის ბავშვს შეუძლია, უფროსების

დაუხმარებლად, ჩაიცვას, გაიხადოს, ხელ-პირი დაიბანოს, კბილები გაიწმინდოს, სათამაშოები დაალაგოს, შინაური ცხოველები და ფრინველები დააპუროს და ა.შ.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვს შეიძლება დაევალოს ყვავილების მორწყვა ოთახში, ავეჯიდან და ფანჯრის რაფიდან მტვრის გადაწმენდა, სუფრის გაშლა-ალაგება, თავის ტანსაცმელზე აწყვეტილი ღილის მიკერება, ოთახისა და ეზოს დალაგება-დასუფთავება, წყლისა და დაჭრილი შეშის მოტანა, სიმინდის დაფშვნა, ლობიოს გარჩევა, ნათესების მორწყვა, სარეველა ბალახებისაგან გაწმენდა და მრავალი სხვა მისთვის შესაძლებელი საქმიანობა.

საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვები კი უნდა ჩავაბათ ყოველგვარი საოჯახო საქმის შესრულებაში,უნდა შევაჩვიოთ საერთო შრომაში მონაწილეობას, ურთიერთდახმარებას. ამ საქმეში მათ უჩნდებათ ოჯახის წევრთა წინაშე მოვალეობის გრძნობა, რომელიც შემდეგ, მათთან სწორი აღმზრდელობითი მუშაობის პირობებში,გადაიზრდება თავისი კუთხისა და ქვეყნის, ბოლოს კი მთელი საზოგადოების წინაშე მოვალეობის გრძნობად.

ბავშვების ყოველგვარი საქმიანობა ოჯახში უნდა სრულდებოდეს მშობლების ზედამხედველობითა და კონტროლით. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ბავშვს ბოლომდე მიჰყავდეს დაწყებული საქმე. არასოდეს არ უნდა გავკიცხოთ ბავშვი ცუდად შესრულებული საქმისათვის, არამედ უნდა ავუხსნათ, რომ სამუშაო არადამაკმაყოფილებლადაა შესრულებული და მოითხოვს გადაკეთებას, შესწორებას ან ხელახლა შესრულებას, რაც თვითონ ბავშვმა უნდა გააკეთოს და არა ჩვენ, მშობლებმა.

ისე, როგორც ნებისმიერი აღზრდის, შრომითი აღზდის დროსაც უნდა იქნას გათვალისწინებული ბავშვის როგორც ასაკობრივი, ისე ინდივიდუალური თავისებურებანი. არასოდეს არ უნდა მოვთხოვოთ ბავშვს ისეთი საქმის შესრულება, რისი შესრულებაც მას არ ძალუძს.

ზოგიერთი მშობელი ბავშვს არიდებს ყოველგვარ საქმეს იმის შიშით, ვაითუ სწავლაში ხელი შეეშალოს, დაი-

ღალოს, გაცივდეს, რაიმე იტკინოს ან გაუჭირდესო. ასეთ მშობელს ავიწყდება, რომ იმ ბავშვისაგან, რომელსაც ცხოვრებაში არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია და გაჭირვება არ უნახავს, ნამდვილი ადამიანი არ დადგება.

დღეში ორი-სამი საათით, ზოგჯერ მეტითაც, საოჯახო საქმეებით დატვირთვა არა თუ ხელს უშლის ბავშვს სწავლაში, არამედ, პირიქით, სასარგებლოცაა, რადგან ფიზიკური შრომის დროს ბავშვი გონებრივადაც ისვენებს და შემდეგ წიგნზე მუშაობა უადვილდება. ამიტომ, თუ შვილის ნამდვილი სიკეთე გვსურს, ნუ შევიცოდებთ, გავიმეტოთ იგი ძნელი და „შავი“ სამუშაოსათვის. ამით დიდ სარგებლობას მოვუტანთ როგორც თვითონ მას, ისე საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც.

უკანასკნელ ხანებში ჩვენი ქვეყნის სიდუხჭირემ დღის წესრიგში დააყენა მოზარდი თაობის ***ეკონომიკური აღზრდის*** აუცილებლობა. ეს საკითხი ყოველთვის ითვლებოდა უპირველეს ამოცანად, მაგრამ მას დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა. მშობლების ვალია ბავშვებს პატარაობიდანვე ასწავლონ მომჭირნეობა და ყაირათიანობა, მაშინაც კი, როცა ოჯახს ეკონომიკურად არ უჭირს. ამ მიზნით მათ უნდა გააცნონ შვილებს ოჯახის შემოსავალ-გასავალი და ასწავლონ ფულის ყადრი, რასაც, სამწუხაროდ, ყველა მშობელი ვერ ახერხებს. ბევრი მათგანი თვითონ ყველაფერს იკლებს, შვილს კი ოჯახის გაჭირვებას არ აგრძნობინებს, რითაც მას ცხოვრებაზე ფუქსავატურ წარმოდგენას უქმნის.

ამრიგად, ოჯახში იქმნება ხელსაყრელი პირობები ბავშვთა ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარებისათვის, მათი შემეცნებითი ძალების გაშლა-გაფურჩქვნისა და სასახელო პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის.

3. ბავშვთა აღზრდისათვის მშობელთა პედაგოგიური განათლების მნიშვნელობა

იშვიათია ისეთი მშობელი, რომელსაც არ სურდეს თავისი შვილის საზოგადოებისათვის ღირსეულ ადამიანად

ჩამოყალიბება, მაგრამ ყველა როდი ახერხებს ამას. არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა მშობლებმა თითქმის ყველაფერი იღონეს შვილის წესიერად აღზრდისათვის — არ დაუკლიათ მისთვის არც მატერიალური სიკეთე და არც „აღმზრდელობითი ღონისძიებანი“, მაგრამ შვილი მაინც უხეირო ადამიანი დადგა. რით აიხსნება ყოველივე ეს? ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ამ კონკრეტულ შემთხვევაში მშობლებს არ ესმით, როგორ აღზარდონ თავიანთი შვილი, როგორ ჩაუნერგონ ჭეშმარიტი ადამიანის თვისებები.

ხშირად მომავალი თაობის აღზრდას ხელს ჰკიდებს ისეთი ადამიანი, რომელსაც არავითარი პედაგოგიური მომზადება არ გააჩნია და არც ფიქრობს, რომ ასეთი მომზადება საჭიროა. ამის შედეგია პედაგოგიური მარცხი, რასაც მშობელი მიაწერს ბავშვის თანდაყოლილ თვისებებს, „ცუდი“ ამხანაგების წრეს ან სკოლას, თავის თავს კი დამნაშავედ არავინ თვლის.

ყველა მშობელს სურს, რომ შვილი კარგად აღზარდოს, მაგრამ მარტო სურვილი და მონდომება როდია საკმარისი ოჯახში ბავშვის აღზრდის საქმის სწორად წარმართვისათვის. ამ სურვილსა და მონდომებას თან უნდა ახლდეს სათანადო პედაგოგიური მომზადება, მაგრამ არა საერთო ხასიათის, არამედ სპეციალურად საოჯახო აღზრდის დარგში. **კ. უშინსკი** წერდა: „აღზრდის ხელოვნებას ის თავისებურება აქვს, რომ თითქმის ყველას ეჩვენება ნაცნობ და გასაგებ საქმედ, ზოგიერთს კი ადვილ საქმედაც, — და მით უფრო გასაგებად და ადვილად, რაც უფრო ნაკლებად იცნობს მას ადამიანი თეორიულად ან პრაქტიკულად. თითქმის ყველა აღიარებს, რომ აღზრდა *მოთმინებას* მოითხოვს; ზოგიერთს ჰგონია, რომ ამისათვის საჭიროა თანდაყოლილი ნიჭი და უნარი, ე. ი. ჩვევა; მაგრამ ძალიან ცოტანი დარწმუნდნენ, რომ გარდა მოთმინებისა, თანდაყოლილი ნიჭისა და ჩვევისა, საჭიროა კიდევ სპეციალური *ცოდნაც*“.[1]

---

[1] კ. დ. უშინსკი, რჩეული პედ. თხზ., თბ., 1974, გვ. 82

პედაგოგიურ განათლებას მოკლებულ აღმზრდელს კ. უშინსკი ადარებდა იმ ექიმბაშს, რომელსაც არ გააჩნია სამედიცინო განათლება. როგორც არ შეიძლება ექიმბაშის წარმატება კანონზომიერი იყოს, ასევე შეუძლებელია კანონზომიერი იყოს ამა თუ იმ მშობლის წარმატება აღზრდაში, თუ მას არ მიუღია პედაგოგიური განათლება, არ იცნობს აღზრდის წესებსა და კანონებს. ამიტომ შენიშნავდა **ვაჟა-ფშაველა:** *„...საჭიროა ყოველი დედა იყოს განათლებული, განვითარებული, რათა შინ ოჯახში და გარეთ საზოგადოებაში სთესდეს თესლს კეთილსა, დიაღ, ესმოდეს დედაკაცს, შვილი როგორ აღზარდოს..., ვინაიდან მას შეუძლია დაამხოს ერი და კიდევაც აღადგინოს“.* [1]

ზოგიერთი მშობელი ფიქრობს, რომ საჭიროა გამოინახოს ბავშვთა აღზრდის რაღაც ოპტიმალური მეთოდები, ოსტატური რეცეპტები და საქმე მოგვარდება. მათი აზრით, ამ რეცეპტით „შეიარაღებულ“ აღმზრდელს შეუძლია ზარმაცი და უქნარა შრომისმოყვარე ადამიანად აქციოს, ქურდი, ფლიდი და მატყუარა კი – ალალმართალ კაცად.

ყოველმა მშობელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ასეთი სასწაულები ცხოვრებაში არ ხდება. ვერავითარი წინასწარ შედგენილი რეცეპტი ვერ უშველის საქმეს, თუ თვით მშობელი – აღმზრდელი არ დგას მოწოდების სიმაღლეზე, თუ მან არ იცის მოზარდის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი, ვერ ერკვევა აღზრდის ზოგად კანონზომიერებებსა და საშუალებებში.

ამ მხრივ, სამწუხაროდ, სახარბიელო მდგომარეობა არა გვაქვს. ჩვენი შვილები სკოლაში, როგორც **ვ.სუხომლინსკი** აღნიშნავდა, სწავლობენ ძალზე ბევრ რამეს, ზოგჯერ არც ისე საჭიროს, მაგრამ არ სწავლობენ ყველაზე მთავარს - ადამიანის აღზრდას. მომავალმა დედამ არ ცის, როგორ აღზარდოს საკუთარი შვილი, რა თვისებები ჩაუნერგოს მას, რა ჩვევები გამოუმუშაოს და რა საშუალებებით. ამიტომაც ხშირად ადგილი აქვს ოჯახურ აღზრდაში უხეშ შეცდომებს

---

[1] *ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1985, გვ. 731.*

.

ყველა ინჟინერი, ექიმი, აგრონომი და პედაგოგი ვერ გამოვა, გვასწავლის ვ. სუხომლინსკი, მაგრამ კარგი დედა და მამა კი ყველა უნდა იყოს. ეს არის ყოველი ადამიანის უმაღლესი და უკეთილშობილესი მისია. ამას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, თუ სკოლაში სხვა მრავალ საგანთან ერთად, საოჯახო აღზრდის „გრამატიკასაც“ვასწავლით, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, ყველა სხვა გრამატიკაზე მნიშვნელოვანია. ამიტომაც იყო, რომ ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბოლო კლასებში შემოიღეს ახალი საგანი – „*საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია*“, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ სკოლაში ეს საგანი არადამაკმაყოფილებლად ისწავლება. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ისაა, რომ მასწავლებლებს არ გააჩნიათ სათანადო მომზადება, ზოგან კი სკოლების დირექტორები აღნიშნულ საგანს აძლევენ იმ მასწავლებლებს, რომლებსაც ნაკლები დატვირთვა აქვთ. ცხადია, ასეთ პირობებში მისი სწავლება სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყოველ მშობელს, რა პროფესიისაც უნდა იყოს იგი და რა მდგომარეობაც არ უნდა ეჭიროს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მოეთხოვება საკმაოდ საფუძვლიანი თეორიული და პრაქტიკული პედაგოგიური მომზადება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავს ვერ გაართმევს იმ დიდ, საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეს, რასაც შვილების აღზრდა ჰქვია.

4. მშობლის პირადი მაგალითისა და ავტორიტეტის როლი ბავშვის აღზრდაში

იმისათვის, რომ მშობელმა წარმატებით შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, იგი უნდა იყოს თავისი შვილებისათვის სამაგალითო, მისაბაძი, რადგან აღზრდაში ისე არაფერი ფასობს, როგორც აღმზრდელის პირადი მაგალითი. უზნეო მშობელი წესიერ შვილს ვერ აღზრდის.

თუ მშობლის სიტყვა და საქმე ერთმანეთს სცილდება, თუ იგი ვერ ავლენს ჭეშმარიტი ადამიანის თვისებებს, მის დადებით აღმზრდელობით ზეგავლენაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგალითად, რა ფასი აქვს შვილის თვალში ისეთ მშობელს, რომელიც ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. ცოტა როდია ისეთი მშობელი, რომელიც ბავშვისაგან მოითხოვს დისციპლინას, წესიერებას, თავაზიანობას, გულისხმიერებას, ყურადღებიანობას, მაშინ როცა თვითონ სხვებისაგან გამოირჩევა სწორედ უდისციპლინობით, უხეშობით, სიცრუითა და ორპირობით.

ყოველ მშობელს კარგად უნდა ახსოვდეს **ა. მაკარენკოს** შეგონება, რომ ბავშვს მარტო მაშინ კი არ ვზრდით, როცა ველაპარაკებით და ჭკუას ვარიგებთ, არამედ მაშინაც კი, როცა შინ არა ვართ. როგორ იცვამს მშობელი, როგორ ლაპარაკობს, როგორ მსჯელობს სხვა ადამიანებზე, როგორ მოილხენს ან წუხს, როგორ ეპყრობა ტოლამხანაგებს და მეგობრებს, როგორ იცინის, როგორ კითხულობს გაზეთს, — ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაში.

თუ ქურდს ოჯახში მოწიწებით მოიხსენიებენ, თაღლითსა და გაიძვერას აქებენ, პატიოსან, მშრომელ ადამიანს კი დასცინიან — ეგ რა კაცია, ამდენი ხანია მაღალი პოსტი უკავია და შინ კატა არ გაუძღებაო, ასეთ ოჯახში აღზრდილისაგან სიკეთეს ნუ მოელი.

განსაკუთრებით დიდია მოზრდილთა პირადი მაგალითის აღმზრდელობითი მნიშვნელობა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მორალური თვისებების ჩამოყალიბებაში, რადგან ამ ასაკში ბავშვებს არ გააჩნიათ საკმაო ცოდნა და ცხოვრების გამოცდილება. ამიტომ მათში ყველაზე მეტადაა განვითარებული მიმბაძველობის უნარი. აკვირდებიან რა ირგვლივ მყოფ ადამიანთა ყოველდღიურ მოქმედებას, ისინი ბრმად ბაძავენ უფროსებს, ცდილობენ თვითონაც ისე მოიქცნენ, როგორც იქცევიან მათი მშობლები, ახლობელი ადამიანები; ბაძავენ ქცევაში, მოქმედებაში, ლაპარაკში, თავაზიანობაში, ჭამაში, გართობაში და ა.შ. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ უარყოფითი

მაგალითი ხშირად მეტ ეფექტს ახდენს აღსაზრდელზე, ვიდრე დადებითი. *„ათჯერ რომ სიმართლე თქვა ოჯახში, — წერს პროფესორი* ***გ. ბანძელაძე,*** *— ისე არ იმოქმედებს ბავშვზე დადებითად, როგორც ერთხელ ნათქვამი ტყუილი იმოქმედებს უარყოფითად. ცუდი და მანკიერი უფრო გადამდებია, ვიდრე კარგი და სათნო. სათნოების გავრცელებას შრომა-გარჯა, პროპაგანდა სჭირდება, მანკიერება კი თავისთავად ვრცელდება“.* [1] ამიტომ საჭიროა მოზარდების აღზრდა არა მარტო სიტყვით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი პირადი მაგალითით.

პირადი მაგალითის როლი და მნიშვნელობა შესანიშნავად აქვს გამოხატული **ი. ა. კომენსკის** შემდეგ სიტყვებში: *„არავის არ შეუძლია ადამიანი გააბრძენოს, გარდა ბრძენისა, არავის არ შეუძლია ადამიანი მჭერმეტყველი გახადოს, გარდა მჭერმეტყველისა, არავის არ შეუძლია იგი ზნეობრივი ან ხვთისმოშიში გახადოს, თუ არა სწორედ ასეთმა ადამიანმა“.* [2]

XVII საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი **ჯონ ლოკი** კი წერდა: *„როგორი დარიგებებიც არ უნდა აძლიონ ბავშვს და ზრდილობიანობის როგორი ბრძნული გაკვეთილებიც არ უნდა გადასცენ მას ყოველდღიურად, უფრო მეტ გავლენას მის ყოფაქცევაზე მაინც მოახდენს ის წრე, რომელშიაც ის იმყოფება და იმათი ყოფაქცევა, ვინც მას უვლის.“* [3]

აი, ამიტომაც მოითხოვენ ჩვენგან — უფროსებისაგან, რომ ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში ვიყოთ მისაბაძი ბავშვებისათვის. აღმზრდელმა თავისი თავი მიკროსკოპის ქვეშ უნდა დააყენოსო, ამბობდა ა. მაკარენკო. ეს იმას ნიშნავს, რომ უფროსებმა, მშობლებმა, მასწავლებლებმა საკუთარი ცუდი საქციელის თვით უმნიშვნელო მხარეც კი

---

[1] *გ. ბანძელაძე, აღზრდის თავიდათავი, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1968, 18 აპრილი.*

[2] *Коменский Я.А. Избр. пед. соч., М., 1955, с. 531.*

[3] *ნ. ა. კონსტანტინოვი და სხვები, პედაგოგიკის ისტორია, თბ., 1964, გვ. 75.*

უნდა გაადიდონ, გააზვიადონ და ამით ნათლად დაინახონ თავიანთი საქციელის უკმარისობა.

მაგრამ ასრულებს კი ყველა მშობელი ჩვენი საზოგადოების ამ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას? ამ კითხვაზე პასუხი ერთია — არა.

იშვიათი როდია, როცა ბავშვები უფროსების უხეშობის, უტაქტობისა და უზნეო ქცევების მოწმენი ხდებიან. ზოგჯერ ოჯახში შვილების თანდასწრებით ადგილი აქვს ჩხუბს, აყალმაყალს, ლანძღვა-გინებას, ლოთობას, აზარტულ თამაშობებს და ა.შ., რაც უმახინჯებს მოზარდს სულს, უკარგავს მშობლებისადმი და, საერთოდ, ადამიანებისადმი პატივისცემასა და რწმენას.

რა ზნეობრივ აღზრდაზე შეიძლება ლაპარაკი ისეთ ოჯახში, სადაც ბავშვები ხშირად ხედავენ ლოთ მამას, უშვერი სიტყვებით რომ უმასპინძლდება ცოლ-შვილს და, საერთოდ, ყველას, ვისაც შეხვდება ან ვისი სახელიც ენაზე მოადგება.

თითოეული ადამიანის უპირველესი მოვალეობაა საზოგადოების საკეთილდღეო შრომა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი არაკეთილსინდისიერი გზით იძენს ქონებას, თავისუფალ დროს ღრეობაში ატარებს, ჭეშმარიტად პატიოსან ადამიანს კი დასცინის, მათხოვარსა და გლახაკს უწოდებს. ცხადია, ასეთ ოჯახში წესიერი შვილი არ გაიზრდება. ჩვეულებრივ, არც ერთ მრუდე გზით მავალ კაცს არ სურს, შვილიც ცუდ გზაზე დააყენოს. ქურდს, მექრთამეს, კომბინატორს არ უნდა, რომ შვილი მის გზას გაჰყვეს. თუნდაც იმიტომ, რომ მან მშვენივრად იცის, ეს გზა მოლიპულია და საცაა ფეხი დაუცდება, მაგრამ ის, რასაც ბავშვი წლების მანძილზე ხედავს და იწოვს, ის ატმოსფერო, რომელშიც მოზარდი სუნთქავს, წარუშლელ დაღს ასვამს მის სულს.

ბავშვზე გავლენას ახდენს არა მარტო მისი აღმზრდელებისა და ოჯახის უფროსი წევრების პირადი მაგალითი, არამედ ამხანაგების, მეგობრების პირადი მაგალითიც. ამ მაგალითებში შეიძლება ბევრი რამ უარყოფითი და მიუღებელი იყოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბავშვის მოწყვეტა

გარემო სინამდვილიდან, მისი იზოლირება და ჩაკეტვა ოთახში შეუძლებელია, და დაუშვებელიცაა. ბავშვი საზოგადოებრივ წრეში, ტოლ-მეგობრებში უნდა იზრდებოდეს. უარყოფითი მაგალითების გავლენის თავიდან აცილების მიზნით ოჯახმა და სკოლამ უნდა მიაღწიონ იმას, რომ ბავშვმა თავისი შეგნებით, თავისი მაღალი ზნეობრივი თვისებების ძალით შეძლოს თვითონვე არ მიიღოს უარყოფითი მაგალითები, უკუაგდოს ისინი.

მშობლის, როგორც აღმზრდელის, სიტყვას, მის პირად მაგალითს მით უფრო მეტი გავლენა ექნება ბავშვზე, რაც უფრო მეტი ავტორიტეტით სარგებლობს ის ბავშვების თვალში. იმ მშობელს, რომელსაც ავტორიტეტი აქვს, ბავშვები უსიტყვოდ ემორჩილებიან, მის მაგალითს ბაძავენ, ხოლო იმ მშობელს, რომელსაც ეს ავტორიტეტი არ გააჩნია, ბავშვები ანგარიშს არ უწევენ, მის რჩევა-დარიგებებსა და მითითებებს არაფრად აგდებენ. აქედან გამომდინარე, ყოველი მშობელი უნდა ცდილობდეს ავტორიტეტის მოხვეჭას, მაგრამ არა მცდარი, ყალბი გზით, რასაც ხშირად ადგილი აქვს ხოლმე ცხოვრებაში, არამედ მაღალმორალური თვისებებით.

ა. მაკარენკომ პედაგოგიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა ყალბი ავტორიტეტის სახეები. ესენია: ჩახშობის, მანძილის, ყოყოჩობის, პედანტიზმის, რეზონიორობის, სიყვარულის, გულკეთილობის, მეგობრობისა და მოსყიდვის ავტორიტეტი.

ჩახშობის ავტორიტეტი მაკარენკოს მიაჩნდა ავტორიტეტის ყველაზე საშინელ სახედ. ასეთი ავტორიტეტის მქონე მშობლები ცდილობენ მიაღწიონ ბავშვის უსიტყვო მორჩილებას, მისი ყოველი მოთხოვნის ჩახშობას, რასაც საფუძვლად უდევს „ჯოხის პედაგოგიკა“ — ბავშვის ფიზიკური დასჯა.

ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავენ მამები. ბავშვის უბრალო დანაშაულის შემთხვევაშიც კი ხელს ავლებენ ქამარს და შვილს ფიზიკურად სჯიან.

ჯოხითა და ქამრით შეიარაღებულ მშობლებს ავიწყდებათ, რომ ასეთი გზით მიღწეული „წარმატება“ დროე-

ბითი და მოჩვენებითია. ბავშვი მშობლის მოთხოვნას ასრულებს არა იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა უკვე მიაღწია გარკვეულ წარმატებებს მის აღზრდაში, არამედ გაურბის ფიზიკურ დასჯას, ცდილობს აიცდინოს იგი.

ჯოხით „აღზრდილ“ ბავშვს საბოლოოდ უვითარდება ისეთი თვისებები, როგორიცაა: სიანჩხლე, მერყეობა, გაუბედაობა, სიჯიუტე, გულცივობა, ეგოისტობა, შეუბრალებლობა და სხვა, რასაც, სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი არ ითვალისწინებს.

ცრუ, ყალბი ავტორიტეტის ერთ-ერთი სახეა ***მანძილის ავტორიტეტი.*** ამ ავტორიტეტითაც მეტწილად მამები გამოირჩევიან. მათი აზრით, რამდენადაც შორს დაიჭერენ თავს შვილებისაგან, იმდენად შვილებს მეტი ხათრი, რიდი და პატივისცემა ექნებათ მათი, იმდენად მეტად დაუჯერებენ და დააფასებენ ისინი მშობლებს. სინამდვილეში კი მანძილის ავტორიტეტი ხელს უწყობს მშობლებსა და შვილებს შორის „ხიდის ჩატეხვას“, რომლის მთლიანობა ესოდენ საჭირო და აუცილებელია დროული და სწორი პედაგოგიური ზემოქმედებისათვის.

„რა უხეშად ცდებიან ბევრნი, საუკეთესო მამებიც კი, — ამბობს ***ბ. ბელინსკი,*** *— რომლებიც აუცილებლად თვლიან გაემიჯნონ ბავშვებს თავიანთი სიმკაცრით, პირქუშობით, მიუკარებლობითა და ბღენძიობით. ისინი ფიქრობენ, ამით გააღვიძონ შვილებში მათდამი პატივისცემა, რასაც ახერხებენ კიდეც. მაგრამ იგი ცივია, შიშის მომგვრელი და მთრთოლვარე. ამიტომაც გამმიჯვნელნი უნებლიეთ აჩვევენ შვილებს გულჩახვეულობასა და ცბიერებას. შვილები მშობლებს პატივს უნდა სცემდნენ, მაგრამ ეს პატივისცემა უნდა გამომდინარეობდეს სიყვარულიდან“.* [1]

ამრიგად, ბავშვისაგან განდგომა, თავის შორს დაჭერა, საზიანოა, მაგრამ ზედმეტი სიახლოვეც არ იძლევა აღზრდაში სასურველ შედეგს, რაც გამოხატულებას პოულობს ***გულკეთილობისა და სიყვარულის ავტორიტეტში.*** ბავშვის დაუსრულებელი ქება, ფერება, ხვევნა-კოცნა, ყვე-

---

[1] *Белинский В. Г. Избр. пед. соч., М., 1948, с.40.*

ლა მოთხოვნის შესრულება, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთ ოჯახში, ვერ ქმნის მშობლის ნამდვილ ავტორიტეტს.

ყოველ მშობელს უნდა უყვარდეს ბავშვი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი გაუთავებლად ეალერსებოდეს მას და ყველა მოთხოვნას უსრულებდეს, არამედ უნდა უყენებდეს მტკიცე და პედაგოგიურად დასაბუთებულ მოთხოვნებს, რომელთა შესრულება ბავშვისათვის აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში მშობლის ავტორიტეტი, განმტკიცების ნაცვლად, დაეცემა.

აღზრდის პრაქტიკაში ადგილი აქვს ***ყოყოჩობის, ანუ ქედმაღლობის ავტორიტეტსაც.*** მშობელთა ერთ ნაწილს თავი მოაქვს სამსახურეობრივი მდგომარეობით, თანამდებობის პირებთან ახლო ურთიერთობით, წოდებით და ა.შ., რაც საზიანოა ცნობისმოყვარე და მიმბაძველი ბუნების ბავშვებისათვის. ხშირად ისინიც ისევე იქცევიან ამხანაგებში, როგორც მათი მშობლები ოჯახსა და საზოგადოებაში.

რეზონიორობის ავტორიტეტის მქონე მშობლებს **მაკარენკო** ბიუროკრატებს უწოდებს. ისინი *„სიცოცხლეს უმწარებენ ბავშვს გაუთავებელი ჭკუის სწავლებით და დარიგებებით“,* — აღნიშნავს იგი. ასეთი მშობლები როგორც კი შეამჩნევენ, რომ ბავშვი მათი სურვილისამებრ არ იქცევა, დაისვამენ წინ და იწყებენ ჭკუის სწავლებას, იმის გამეორებას, რაც აქამდე არაერთხელ უთქვამთ. ბავშვს კი ერთი სული აქვს, როდის გათავდება ყოველივე ეს, რომ თავის საქმეს მიხედოს.

ცრუ ავტორიტეტის ყველაზე გავრცელებული და მავნე სახეა ***მოსყიდვის ავტორიტეტი,*** როცა შვილებისაგან დამჯერებლობას მშობლები საჩუქრებითა და დაპირებებით ყიდულობენ: *„თუ სასწავლო წელს ხუთებზე დაამთავრებ, ველოსიპედს გიყიდი“, „ოთახს თუ დამილაგებ, კინოში წაგიყვან“* და ა.შ. ასეთი ავტორიტეტით მეტწილად სარგებლობენ შეძლებული, მაგრამ დაბალი შეგნებისა და კულტურის მქონე მშობლები.

მოსყიდვის ავტორიტეტი მოზარდს უვითარებს სიხარბის, ანგარებისა და მომხვეჭელობის თვისებებს. ზოგჯერ

საქმე იქამდე მიდის, რომ ბავშვი მაღაზიაში წასვლისათვისაც კი საჩუქარს მოითხოვს. ასეთი ბავშვები, ხშირ შემთხვევაში, ადვილად მოსასყიდი ხდებიან. გავიხსენოთ ცნობილი ფრანგი მწერლის **პროსპერ მერიმეს** ნოველა *„მატეო ფალკონე“*. ათი წლის ბიჭუნა *ფორტუნატო* ოსტატურად ახერხებს დევნილი ფირალის *ჯანეტოს* დამალვას, რისთვისაც დაჭრილს ხუთ ფრანკს ართმევს. როცა მდევრები მოვიდნენ, ფორტუნატო მათ ისე უშიშრად შეხვდა, როგორც მის მიერ საიმედოდ დამალულ ყაჩაღს. მაგრამ მდევართა მეთაურმა გამბამ ბავშვს ვერცხლის ძეწკვიანი საათი აუთამაშა ცხვირწინ და ბიჭიც მაშინვე „მოლბა“. სიხარბემ და მომხვერჭელობის დაუოკებელმა სურვილმა იგი მოღალატედ აქცია, რამაც ოჯახში ტრაგედია დაატრიალა. მამამ კაცის გაცემისათვის თავისი ერთადერთი შვილი სიცოცხლეს გამოასალმა. ცხადია, ამ ტრაგედიაში ბრალი თვით მშობლებს მიუძღვით. მათ რომ დროზე მიექციათ ყურადრება ფორტუნატოს ამ თვისებისათვის, მისი სიცოცხლე ასე ხანმოკლე არ აღმოჩნდებოდა.

ჩვენ აქ განვიხილეთ მაკარენკოსეული ყალბი ავტორიტეტის რამდენიმე სახე. ვფიქრობთ, ნათქვამიც საკმარისია იმის გასარკვევად, თუ როგორი უნდა იყოს მშობლის ნამდვილი ავტორიტეტი. იგი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემყარებოდეს მის პირად მაგალითს, მის მუდამ სწორ, მართებულ მოქმედებას და მაღალზნეობრივ თვისებებს.

ყოველ მშობელს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ბავშვის აღზრდაზე დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი და მისივე ოჯახის ბედნიერება. ამასთან, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ კარგი ან ცუდი ბავშვი არ იბადება. ბავშვი კარგი ან ცუდი ხდება აღზრდისა და გარემო პირობების მეშვეობით. და თუ გვინდა, რომ ჩვენი შვილები ჭეშმარიტ მამულიშვილებად აღიზარდონ, საჭიროა პასუხისმგებლობის გრძნობით მოვეკიდოთ მშობლიურ მოვალეობას, შევქმნათ ჯანსაღი პედაგოგიური გარემო ოჯახში და, რაც მთავარია, ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში ვიყოთ შვილებისათვის მისაბაძი, სამაგალითო.

თავი XXVI

სკოლისა და ოჯახის ერთობლივი აღმზრდელობითი მუშაობა

ახალი ადამიანის, ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდის უაღრესად რთული და საპატიო ამოცანა ჩვენს ქვეყანაში დაკისრებული აქვს სკოლას. იგი მოწოდებულია, შეაიარაღოს მოზარდი თაობა თეორიული ცოდნით, შეუმუშაოს მეცნიერული მსოფლმხედველობა, ჩაუნერგოს ადამიანის სიყვარული და პატივისცემა. მაგრამ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მარტო სკოლა ვერ გადაწყვეტს მასზე დაკისრებულ ამოცანებს, თუ მასთან მჭიდრო კავშირში არ იქნება ოჯახი, სადაც ბავშვი დროის უმეტეს ნაწილს ატარებს და რომელიც მისი უახლოესი და უპირველესი გარემოა.

სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი დიდადაა დამოკიდებული ასევე მასში საზოგადოების აქტიურ მონაწილეობაზე, ვინაიდან აღზრდა როგორც საზოგადოებრივი მოვლენა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ფუნქცია, იმ აღმზრდელობით ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელსაც მთელი საზოგადოებრიობა ახორციელებს, და თუ ამ ერთობლიობის რომელიმე რგოლში გულგრილი დამოკიდებულება დამკვიდრდა, საბოლოო შედეგიც არასახარბიელო იქნება. ამის დასტურია უკანასკნელ ხანებში ჩვენს რესპუბლიკაში (და არა მარტო ჩვენში) მცირეწლოვან დამნაშავეთა რიცხვის ზრდა. *„განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამისა და მისი რეალიზაციის გეგმის“* მიხედვით, ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ ბოლო წლებში *„გაწყდა ის ჯაჭვი, „სკოლა, ოჯახი და საზოგადოება“ რომ ერქვა“.* ამ სამ რგოლში მოზარდი თაობის ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი მაინც სკოლისა და ოჯახის ერთობლივ, შეთანხმებულ მუშა-

ობას ენიჭება. ამიტომ ოჯახის ვალია ხელი შეუწყოს სკოლას, იყოს მისი პირველი დამხმარე, თანაშემწე და მონაწილე იმ საქმიანობისა, რასაც სკოლა ემსახურება. თუ ოჯახი გვერდში არ ამოუდგა სკოლას, ეს უკანასკნელი ვერ შეძლებს მის წინაშე დასახული ამოცანის გადაწყვეტას. *„ბავშვის ჰარმონიული, ყოველმხრივი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იქ, – წერს* ***ვასილ სუხომლინსკი,*** *– სადაც ორი აღმზრდელი – სკოლა და ოჯახი – არა მარტო მოქმედებენ ერთსულოვნად, უყენებენ რა ბავშვებს ერთი და იგივე მოთხოვნებს, არამედ ითვლებიან ასევე თანამოაზრეებად, იზიარებენ ერთსა და იმავე რწმენას, ემყარებიან ერთი და იმავე პრინციპებს და არასოდეს ურიგდებიან განსხვავებას აღზრდის არც მიზანში, არც პროცესში და არც საშუალებებში“.*[1] მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავს გამოცდილი პედაგოგი, ხშირად სკოლისა და ოჯახის, მასწავლებლებისა და მშობლების ურთიერთობას აქვს მახინჯი, ერთმანეთზე გადაბრალების ხასიათი, რაც უდიდეს ზიანს აყენებს მოზარდი თაობის აღზრდას, მათ სასახელო მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.

მშობელი ყოველმხრივ უნდა ეხმარებოდეს სკოლას, მხარს უჭერდეს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც მიმართულია მომავალი თაობის სწორი აღზრდისაკენ. იგი ხშირად უნდა ცხადდებოდეს სკოლაში და კითხულობდეს თავისი შვილის ამბავს. მაგრამ ზოგიერთი მშობელი სასწავლო წლის მანძილზე ერთხელ თუ შეივლის სკოლაში და ისიც მაშინ, როცა დაიბარებენ. ასეთ მშობელს, უმრავლეს შემთხვევაში, სკოლაში მისვლამდე, სკოლის დირექტორთან თუ კლასის ხელმძღვანელთან შეხვედრამდე, თავისებური გეგმა აქვს შემუშავებული – როგორმე გაამართლოს თავისი შვილი და ბრალი დასდოს აღმზრდელს, მასწავლებელს. ასეთ მშობელთან საუბარი ძალზე ძნელიცაა და ხშირად უშედეგოც.

მუდამ „მოუცლელ“, „საქმით დაკავებულ“ მშობლებს

---

[1] *Сухомлинский В. А. Избр. произведения, т. I, Киев, 1979, с. 93.*

ვ.სუხომლინსკი არიგებს:*„რაგინდ საპასუხისმგებლო, რთული, შემოქმედებითი სამუშაოც უნდა გებაროთ წარმოებაში, იცოდეთ, რომ შინ გელით კიდევ უფრო საპასუხისმგებლო, უფრო რთული, უფრო ფაქიზი სამუშაო – ადამიანის აღზრდა. ეს არა მარტო ყველაზე მთავარი, არამედ ყველაზე საჭირო,ყველაზე გადაუდებელი სამუშაოა თქვენთვის. ამას მოითხოვს ჩვენი საზოგადოების დიადი პრინციპიც. ადამიანი ყველაზე უფრო ძვირფასია მსოფლიოს ყველა ფასეულობათა შორის. თითოეულმა თქვენგანმა უნდა გაიგოს, ძვირფასო მამებო და დედებო, რომ უზრდელი, ზნეობრივად უვიცი, ზერელედ ნასწავლი ადამიანი – ეს იგივეა, რაც აფრენილი თვითმფრინავი, რომელსაც ძრავები დაზიანებული აქვს: იგი თვითონაც დაიღუპება და სხვებსაც დაღუპავს“.* [1]

მოსწავლის მომავალ ქცევაზე, მის სწავლაზე უდიდეს გავლენას ახდენს მისი მშობლების დამოკიდებულება მასწავლებლისადმი. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ მშობლების სიტყვას, მათ აზრს მასწავლებლის შესახებ. ამიტომ თითოეული მათგანი უნდა ცდილობდეს საკუთარი შვილების თვალში მასწავლებლის ავტორიტეტის ამაღლებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი მასწავლებლის ავტორიტეტის განმტკიცების ნაცვლად, ბავშვების თანდასწრებით, ცუდად ახასიათებს მას, ზოგჯერ უცოდინარობასაც მიაწერს ხოლმე. „მაგან რა უნდა გასწავლოს, თვითონ რა იცის, რომ შენ გასწავლოს“, – მიმართავს იგი ბავშვს. ამით ის ძირს უთხრის აღზრდის საქმეს და, უპირველეს ყოვლისა, ზიანს აყენებს საკუთარ შვილს.

მართალია, ჯერ კიდევ არიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ვერ დგანან მოწოდების სიმაღლეზე, მაგრამ ეს იმის უფლებას როდი გვაძლევს, რომ ბავშვებთან ცუდად მოვიხსენიოთ ისინი. მშობლები პატივისცემით უნდა მოეპყრონ მასწავლებლებს, დააფასონ ისინი, რაც საბოლოოდ

---

[1] *Сухомлинский В. А. Родительская педагогика. - Избр. пед. соч., т. 3, М., 1981, с. 404.*

ისევ მათ შვილებს გამოადგებათ. ბევრი მშობელი კი ამას არ ითვალისწინებს. საილუსტრაციოდ მოვიყვან ასეთ მაგალითს: ჩვენი სკოლის დაწყებითი კლასის ერთი მოსწავლე ხშირად არ ასრულებდა წერით საშინაო დავალებებს ან, თუ ასრულებდა, უხარისხოდ. ერთ დღეს, როცა ბავშვმა, ჩვეულებრივ, უსუფთაოდ შესრულებული დავალება უჩვენა მასწავლებელს, ამ უკანასკნელმა იგი დაუხია და ახალი რვეული მისცა, რათა შემდგომში სუფთად და ლამაზად ეწერა. მეორე დღეს სკოლაში გამოცხადდა ბავშვის მამა და შვილის დაცვა დაიწყო. მან არ მოუსმინა პედაგოგებს, დაემუქრა მათ და ამით დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მიაყენა მთელ პედაგოგიურ კოლექტივს. ბავშვი კი მეორე დღეს სიამაყით უამბობდა თანაკლასელებს: გუშინ მამაჩემმა შავი დღე აყარა მასწავლებლებსო.

ვერ ვიტყვით, რამდენად სწორად მოიქცა მასწავლებელი, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია – მშობელმა დათვური სამსახური გაუწია შვილს.

უფრო მეტიც. არის შემთხვევები,როცა მშობლები, დახმარების ნაცვლად, ხელს უშლიან სკოლას, ერთგვარ საწინააღმდეგო პოზიციასაც კი იჭერენ ბავშვებისადმი მასწავლებლის მართებული და პრინციპული პოზიციის მიმართ, რითაც გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ საკუთარი შვილის სწავლა-აღზრდის საქმეს. *„...მშობლები ძალიან ხშირად სრულიად არასწორად ხსნიან სასწავლებლის იმ ფაქტს, – წერს* ***კ. დ. უშინსკი,*** *– რომლებიც მათ ბავშვებს შეეხება: ხან სჯიან მათ იმისათვის, რისთვისაც სრულიად არ არის საჭირო დასჯა,ხან თვითონ უწონებენ ისეთ საქციელს, რომლის წინააღმდეგ იბრძვის სასწავლებელი, ხან კი უნერგავენ ისეთ შეხედულებებს, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ჭეშმარიტ ზნეობრივ აღზრდას, – და შემდეგ თვითონვე უკვირთ, რატომ მიდის მათი ბავშვების აღზრდა ცუდად ან აღზრდას რატომ გამოაქვს ისეთი ნაყოფი, რომლის გემო მათ ემწარებათ“.*[1]

ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი შემთხვევა,რო-

---

[1] *კ. დ. უშინსკი, რჩეული პედ. თხზ., თბ., 1974, გვ. 75.*

მელიც ჩვენს სკოლაში მოხდა. VII კლასში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი,სხვა სკოლიდან გადმოვიდა ერთი მოსწავლე – ვაჟი. იგი გამოირჩეოდა თავისი უდისციპლინობითა და სწავლისადმი გულგრილი დამოკიდებულებით, მაგრამ დიდ ინტერესს იჩენდა მუსიკისადმი, გააჩნდა სასიამოვნო ხმა. დირექტორთან შეთანხმებით, ბავშვი ჩავაბი სასკოლო გუნდში. აქ კიდევ უფრო გამოვლინდა მისი ნიჭი. გარდა ამისა, უკლო წესრიგის დარღვევას და უმატა სწავლას. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ სკოლაში მოვიდა მისი მამა და განაცხადა: – მე შვილი თქვენთან სასწავლებლად გადმოვიყვანე და არა სასიმღეროდ. ცეკვა-სიმღერით აშენებული ქვეყანა არ მინახავსო. განაწყენებულმა მშობელმა დაავლო ხელი თავის შვილს და ისევ სხვა სკოლაში გადაიყვანა. ასეთი მოქმედებით მან ხელი შეუშალა სკოლას თავისი მიზნის განხორციელებაში,რამაც ისევ მის შვილს ავნო.

მშობელს შეიძლება არ მოეწონოს მასწავლებლის მოქმედება, მაგრამ მას მართებს მოთმინება და წინდახედულება. იგი კარგად უნდა გაერკვეს, თუ რატომ ატარებს მასწავლებელი ამა თუ იმ ღონისძიებას, რა მიზანს ისახავს იგი და არ მიიღოს ნაჩქარევი, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

ხშირად მასწავლებლებსა და მშობლებს შორის კონფლიქტის მიზეზი თვით მოსწავლეები ხდებიან, როცა ამ უკანასკნელთ არაობიექტურად ეჩვენებათ მასწავლებლის მიერ დასმული ცოდნის შეფასების ნიშანი ან ესა თუ ის მოქმედება. ზოგჯერ ისინი განზრახ ტყუიან, რათა თავი იმართლონ მშობლების წინაშე. ამ შემთხვევაში მშობელმა უნდა გამოიჩინოს გონიერება და ყველაფერი იღონოს მასწავლებლის ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, უნდა ურჩიოს შვილს – მოიქცეს ისე, როგორც ამას მასწავლებელი მოითხოვს მისგან, მაგრამ მშობელთა უმრავლესობა საწინააღმდეგოდ იქცევა.

ზოგჯერ პედაგოგებსაც ღალატობთ ზომიერების გრძნობა. სკოლაში მოსულ მშობელს, პირად საუბარში თუ საერთო კრებაზე, პირდაპირ მიახლიან: „ამ ბოლო დროს

სულ წახდა თქვენი შვილი“, „არაფერს არ აკეთებს“, „მაგისგან კაცი არ დადგება“ და ა.შ. დიდად ცდება, ვინც ასე ფიქრობს და იქცევა, რადგან წინასწარი დიაგნოზი ყოველთვის როდი მართლდება. ხშირია შემთხვევა, რომ სკოლაში ცელქი, მოუსვენარი და უნიჭოდ აღიარებული ბავშვები შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები გამხდარან. იან ამოს კომენსკი თავის „დიდ დიდაქტიკაში“ წერს, რომ სახელგანთქმული ათენელი სარდალი – თემისტოკლე ახალგაზრდობაში მეტად დაუდეგარი ყოფილა. ამიტომ მასწავლებელი ხშირად ეუბნებოდა: შენ სახელმწიფოსათვის ან უდიდესი სიკეთე იქნები, ანდა ბოროტებაო. შემდეგში როცა ვინმე გაკვირვებას გამოხატავდა მისი ხასიათის დიდი ცვლილებების გამო, თემისტოკლე მას ეუბნებოდა: ძნელად მოსათვინიერებელი კვიცებისაგან საუკეთესო ცხენები გამოდიან, თუ მათ კარგად გავწვრთნითო. ნათქვამის საილუსტრაციოდ კომენსკი იშველიებს ალექსანდრე დიდის ბუცეფალს, რომელიც არც ერთ მხედარს არ იკარებოდა, ალექსანდრემ კი იგი ისე გაწვრთნა, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე მისი ერთგული მსახური იყო.[1]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა ვერიდოთ წინასწარ დიაგნოზებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მშობლებს ვესაუბრებით. ზოგიერთი მასწავლებელი კი,რატომღაც, სავალდებულოდ მიიჩნევს სკოლაში მოსულ თუ ქუჩაში შემხვედრ მშობელს მაინცდამაინც უძაგოს შვილი, ყურადღება გაამახვილოს ბავშვის მხოლოდ ნაკლოვან მხარეებზე. ეს, ხშირ შემთხვევაში, მშობელმაც იცის, მაგრამ ვერ უპოვნია თავის პირმშოსთან მისასვლელი გზა. სკოლაში სწორედ იმიტომ მოდის, რომ ჩვენგან მიიღოს საქმიანი, კვალიფიციური რჩევა-დარიგებანი და არა საყვედურები.

შვილი მშობლისათვის ყველაზე საყვარელი არსებაა. ამიტომ არც ერთ მშობელს არ სიამოვნებს ამ საყვარელი არსების აუგად ხსენება. შეიძლება მშობელმა თვითონაც ბევრი რამ იცოდეს თავისი შვილის ცუდი ქცევების, ხასიათის შესახებ და გულიც შესტკიოდეს ამის გამო, მაგრამ

---

[1] *ი. ა. კომენსკი, დიდი დიდაქტიკა, თბ., 1949, გვ. 103.*

თუ ჩვენ უხეშად შევეხებით ამ მტკივნეულ საკითხს, სავსებით მოსალოდნელია, რომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნოს და რაღაც ცუდი რამ გვაკადროს, რაც ზოგჯერ ურთიერთშეურაცხყოფაში გადაიზრდება ხოლმე. ამიტომ მასწავლებელს მოეთხოვება არა მარტო თავისი აღსაზრდელების ცოდნა, არამედ მათი მშობლებისაც, რათა ინდივიდუალურად მიუდგეს მათ. მასწავლებლის ყოველი დაუფიქრებელი სიტყვა მშობლებთან გაუმართლებელია. ყოველთვის უნდა ვერიდოთ მშობლის ან მათი შვილების ცუდად მოხსენიებას საჯაროდ. ჩვენი სკოლის X კლასის ერთ-ერთი მოსწავლის მშობელმა კრება მიატოვა იმის გამო, რომ კლასის ხელმძღვანელმა ვერ გამოიჩინა საჭირო ტაქტი და მოჭარბებული „ეპითეტებით“ შეამკო მისი ქალიშვილი, რომელიც მანამდე არც თუ ისე ცუდ მოსწავლედ ითვლებოდა. პედაგოგს რომ ამ მშობლის ხასიათი სცოდნოდა, იგი, რა თქმა უნდა, ასე არ მოიქცეოდა.

ყოველ პედაგოგსა და მშობელს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მათ სწორ, შეთანხმებულ ურთიერთობაზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის მომავალი და საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა. ამიტომ მშობელი პედაგოგს უნდა უსმენდეს, პედაგოგი კი მშობელს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

ასეთი ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობის მიღწევის მიზნით ჩვენი რესპუბლიკის ბევრ მოწინავე სკოლაში მტკიცედ დამკვიდრდა და წარმატებით გამოიყენება მშობლებთან ურთიერთობის მრავალი ფორმა, რაც ხელს უწყობს ამ უკანასკნელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლებას და მასწავლებელთა მიერ თავიანთი მოსწავლეებისა და მათი მშობლების უკეთ გაცნობას. ეს ფორმებია: მოსწავლეთა ოჯახებში მისვლა, მშობელთა გამოძახება სკოლაში, მშობელთა კრებები, მშობლის დასწრება გაკვეთილებზე, მშობელთა შორის პედაგოგიური პროპაგანდა (თემატური კონფერენციები, საუბრები, ლექცია-მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, მშობელთა კუთხისა და ღია კარის დღის მოწყობა სკოლაში) და სხვა.

1. მშობლებთან ინდივიდუალური მუშაობისა და მოსწავლეთა ოჯახური პირობების შესწავლის ყველაზე ნაცადი ფორმაა კლასის ხელმძღვანელის თუ რიგითი მასწავლებლის ***მოსწავლეთა ოჯახებში მისვლა.***

კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეთა ოჯახებში მიდის ჯერ კიდევ სწავლის დაწყებამდე, აგვისტოს ბოლო რიცხვებში, ხოლო შემდეგ – საჭიროებისამებრ, როცა მოსწავლე რაიმეს აშავებს ან სწავლაში ჩამორჩება. ოჯახში მასწავლებელი უშუალოდ ეცნობა ბავშვის ცხოვრებას: ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას, საყოფაცხოვრებო პირობებს, მშობლებისა და შვილების ურთიერთდამოკიდებულებას, ამ უკანასკნელთა დამოკიდებულებას ოჯახის სხვა წევრებისადმი, ტოლ-ამხანაგებისა და მეგობრებისადმი; იმას, თუ როგორ ატარებს ბავშვი თავისუფალ დროს, იცავს თუ არა დღის რეჟიმს, ეხმარება თუ არა მშობლებს საოჯახო საქმეების შესრულებაში თუ დროს უქმად ატარებს, კითხულობს თუ არა კლასგარეშე ლიტერატურას, როგორ წიგნებს ეტანება, როგორ ითვისებს წაკითხულს, როდის ასრულებს საშინაო დავალებებს, როგორ ეხმარებიან მშობლები ბავშვს საშინაო დავალებების შესრულებაში და ა.შ. მშობლებთან თუ ოჯახის სხვა წევრებთან საუბრის შედეგად კლასის ხელმძღვანელს ექმნება ერთგვარი წარმოდგენა მოსწავლის ხასიათზე, მის მიდრეკილებებსა და ინტერესებზე. ასევე იმაზე, ბავშვი მშვიდია თუ ფიცხი, გულმართალი თუ ცბიერი, ბეჯითი თუ ზარმაცი, გულღია თუ გულჩათხრობილი და ა.შ.

ოჯახში ბავშვის ყოფაცხოვრების შესწავლა მასწავლებელს ნათელ წარმოდგენას უქმნის მოსწავლის პიროვნებაზე, რაც აადვილებს მასთან ინდივიდუალურ მუშაობას, რომლის გარეშეც სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში წარმატებების მიღწევა შეუძლებელია.

მოსწავლეთა ოჯახებში განმეორებით მისვლისას კლასის ხელმძღვანელი უკვე აცნობს მშობლებს თავის შეხედულებებს ბავშვზე: როგორ სწავლობს, იცავს თუ არა „მოსწავლეთა ქცევის წესებს“, სკოლის შინაგანაწესს, დისციპლინას, მონაწილეობს თუ არა საზოგადოებრივ საქ-

მიანობაში, ასრულებს თუ არა მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა მითითებებს და სხვა. მაგრამ ოჯახში კლასის ხელმძღვანელის საუბარი უნდა ეხებოდეს არა მარტო ბავშვის ყოფაქცევის საკითხს, არამედ აღზრდის ბევრ სხვა საჭირბოროტო საკითხსაც. პედაგოგი უნდა აძლევდეს მშობლებს კონკრეტულ რჩევა-დარიგებებსა და მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარონ ბავშვს საშინაო დავალებების შესრულებაში, დღის რეჟიმის დაცვაში, თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარებაში, როგორ გამოიყენონ წახალისებისა და დასჯის მეთოდები ბავშვთა აღზრდაში და ა.შ.

საუბარი სასურველია ჩატარდეს ოჯახის ყველა წევრთან ერთად. ეს ხელს შეუწყობს ბავშვის აღზრდაში ერთიანი მოთხოვნის შემუშავებას.

დაუშვებელია, როცა ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელი სწავლობს მხოლოდ აკადემიურად ჩამორჩენილ და უდისციპლინო მოსწავლეთა ოჯახურ პირობებს, დისციპლინირებულ და აკადემიურად ძლიერ მოსწავლეთა ოჯახებს კი სათოფეზეც არ ეკარება, კმაყოფილდება მხოლოდ მათ მშობლებთან შემთხვევითი შეხვედრებით, რის გამოც იგი ვერ ახდენს ბავშვთა ოჯახურ აღზრდაში მოწინავე მშობელთა გამოცდილების განზოგადებას.

კლასის ხელმძღვანელის ოჯახში მისვლა უნდა აღირიცხებოდეს დღიურში. ჩაწერის ერთიანი ფორმა არ არსებობს, მაგრამ ჩანაწერში უნდა ჩანდეს ოჯახში მისვლის მიზანი, თარიღი, მშობლებისადმი მიცემული დარიგება, მიღებული გადაწყვეტილება, მოსალოდნელი შედეგი და ა.შ.

მოსწავლეთა ოჯახური პირობების შესწავლისას კლასის ხელმძღვანელი ავლენს და თავის ირგვლივ იკრებს მშობელთა აქტივს, რომელსაც იგი შემდგომ მუშაობაში ეყრდნობა. მშობელთა აქტივთან ერთად კლასის ხელმძღვანელი აწყობს რეიდებს ოჯახებში და ამოწმებს მოსწავლეთა მიერ დღის რეჟიმის დაცვას, არკვევს გაცდენადაგვიანების მიზეზებს და აღწევს მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცებას.

2. მოსწავლეთა ყოფაქცევისა და წარმატების შესახებ

აზრთა გაცვლა-გაზიარების მიზნით ზოგჯერ პედაგოგები მშობლებს იბარებენ სკოლაში. მაგრამ ***მშობლის გამოძახება სკოლაში*** უნდა მოხდეს არა მარტო მაშინ, როცა მისი შვილი რაიმეს დააშავებს ან ცუდად სწავლობს, არამედ მაშინაც კი,როცა იგი კარგი სწავლით გამოირჩევა, მაგრამ საჭიროა მშობლებთან მოლაპარაკება ბავშვის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმის შესახებ ან მისი ნიჭის რომელიმე მიმართულებით განვითარებისათვის.

აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა მშობლებთან საუბრისას პედაგოგს მართებს დიდი სიფრთხილე, წინდახედულება,ზომიერება და ტაქტი. ვ.სუხომლინსკის აზრით, მასწავლებელსა და მშობლებს შორის კონფლიქტი, მეტწილად, გამოწვეულია იმით, რომ პედაგოგები არ უფრთხილდებიან მშობლების გრძნობებს და მოჭარბებული ეპითეტებით „ამკობენ“, ცუდად ახასიათებენ მათ შვილებს.

კლასის ხელმძღვანელად მუშაობის საკმაო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მშობლებთან საუბრის დაწყება უმჯობესია იმ დადებითი თვისებების აღნიშვნით, რომლებიც ბავშვს გააჩნია (ამ თვისებების გარეშე კი არც ერთი ბავშვი არ არსებობს). ჯობია საუბარი ასე დავიწყოთ, ურჩევდა **ვ. სუხომლინსკი** კლასის ხელმძღვანელებს: *„თქვენი ვაჟი საკმაოდ კარგი ბიჭია. გუშინ ამხანაგებთან ერთად თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობით. მგონი მათემატიკაც ესმის, მაგრამ ცუდად აქვს საქმე წერით მეტყველებაში. მოდი, ერთად დავეხმაროთ – მე,როგორც მასწავლებელი, მასთან დამატებით ვიმუშავებ, თქვენ კი უკარნახეთ რამდენიმე ტექსტი და თვალყური ადევნეთ მის საშინაო დავალებებს. აი,ასე ერთად დავეხმაროთ,რომ იგი უკეთესი გახდეს“.*[1]

ზოგჯერ პედაგოგები მშობლებს იბარებენ სკოლაში მოსწავლის დღიურის მეშვეობით. ამისათვის კლასის ხელმძღვანელი დღიურის ბოლოს აკეთებს მოკლე ჩანაწერს მოსწავლის სწავლისა და საზოგადოებრივი საქმიანობისა-

---

[1] *Галаган В., наумец О. Красота человеческая. – Учит. газета, 1977, 12 июля.*

დმი დამოკიდებულების, მის მიერ დისციპლინისა და წესრიგის დარღვევის შესახებ და მშობელს სთხოვს გამოცხადდეს სკოლაში, რათა მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილება ბავშვის სწავლა-აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

ა. ს. მაკარენკო წინააღმდეგი იყო მშობლების სკოლაში გამოძახებისა (როცა ჩვეულებრივ დაიბარებენ მშობელს და ეუბნებიან: *„თქვენი ბიჭი არ სწავლობს და ცუდად იქცევა. მიიღეთ რაიმე ზომები“*), *რადგან იგი დარწმუნებული იყო, რომ „ზოგიერთი მშობელი ასეთი საუბრის შემდეგ მაშინვე ხელს ავლებს ქამარს, ზოგიერთი კი არაფერს არ აკეთებს და ყველაფერი ძველებურად მიდის“.* [1]

ამ საკითხზე ასეთივე აზრის იყო **ვასილ სუხომლინსკიც**. მისი აზრით, როცა მოსწავლის დღიურში ვწერთ: *„თქვენი შვილი არ სწავლობს, მიიღეთ ზომები“, ფაქტობრივად ბავშვს ჩანთაში ვუდებთ მათრახს, რომლითაც მამა სცემს თავის შვილს“.* [2]

3. მოსწავლეთა მშობლებთან სკოლის მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს ასევე ***მშობელთა კრება,*** რაც ხელს უწყობს მშობლების სკოლასთან დაახლოებას და მათ შორის პედაგოგიური ცოდნის გავრცელებას.

მშობელთა კრებები ტარდება როგორც ცალკეული კლასების მიხედვით, ისე მთელი სკოლის მასშტაბით. საკლასო კრებები ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და სემესტრში ორჯერ, საერთო კრება კი — სასწავლო წლის მანძილზე ორ-სამჯერ.

მშობელთა პირველ საკლასო კრებაზე კლასის ხელმძღვანელი აცნობს მშობლებს თავის სამუშაო გეგმას, სახავს მშობელთა და კლასის ამოცანებს მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და მათი აკადემიური დონის ამაღლებისათვის.

მშობელთა კრება მხოლოდ მაშინ იქნება შედეგიანი,

---

[1] *Макаренко А.С. Соч., т. 5., М., 1985, с. 457-458.*

[2] *Сухомлинский В.А. Рождение гражданина. – М., 1971, с. 17.*

თუ კლასის ხელმძღვანელი წინასწარ მოემზადება მის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. კრებაზე განსახილველად მან უნდა გამოიტანოს აქტუალური, ყველასათვის საინტერესო საკითხები და არ დაკმაყოფილდეს მშობელთათვის მხოლოდ სემესტრული შედეგების გაცნობით.სამწუხაროდ, კლასის ხელმძღვანელთა უმრავლესობა ასე იქცევა. ჩვეულებრივ კრებას ატარებენ სემესტრების ბოლოს, სადაც მშობლებს მოკლედ მოუთხრობენ კლასის საერთო წარმატებებზე, გააცნობენ მათი შვილების ნიშნებს და ამით ამოწურავენ მთელ მუშაობას.

ასეთი მოსაწყენი კრება გულს უცრუებს მშობელს სკოლაზე და მას, ცხადია,მშობელთა დიდი ნაწილი არ ესწრება.

მშობელთა საერთო კრებაზე სკოლის დირექტორი გამოდის მოხსენებით სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მიერ ამა თუ იმ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ; მოუთხრობს მშობლებს მოსწავლეთა შორის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული სიძნელეების, წარმატებებისა და ნაკლოვანებების შესახებ და სახავს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში მშობელთა მონაწილეობის კონკრეტულ გზებს.

მშობელთა კრებებზე, სკოლის მუშაკების გარდა, სიტყვით გამოდიან თვით მშობლებიც. ისინი გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს და უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას ბავშვთა აღზრდის საქმეში.

ზოგჯერ სკოლებში ტარდება მხოლოდ მამების კრებები, რომლებზეც განიხილება მამის როლი ბავშვთა ოჯახური აღზრდის საქმეში.

მშობელთა კრებები მაშინ არის საინტერესო და მიმზიდველი, როცა მომხსენებელი იშველიებს ოჯახში ბავშვთა აღზრდის პრაქტიკიდან აღებულ კონკრეტულ მაგალითებს. მაგრამ ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი არაა იმ მშობლების გვარების დასახელება, რომლებიც თავს არიდებენ ან ნაკლებად ინტერესდებიან საკუთარი შვილების აღზრდით.

ზოგჯერ სკოლაში მშობელთა საკლასო კრება შეიძლე-

ბა ჩატარდეს მოსწავლეებთან და იმ მასწავლებლებთან ერთად, რომლებიც ამ კლასში ასწავლიან. ამ შემთხვევაში კრების ძირითადი თემაა კლასში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება.

4. სკოლასა და ოჯახს შორის კავშირის განმტკიცების კიდევ ერთი ფორმაა ***მშობლების დასწრება გაკვეთილებზე*** იმ კლასებში, სადაც მათი შვილები სწავლობენ. როცა მშობელი გაკვეთილს ესწრება, ის ნათლად ხედავს მასწავლებლის მუშაობის მთელ სიმძიმესა და მნიშვნელობას, მის უდიდეს პასუხისმგებლობას ერისა და ქვეყნის წინაშე. ყოველივე ეს ამაღლებს მშობლის თვალში მასწავლებლის ავტორიტეტს. მშობელი საკუთარი თვალით ხედავს და ისმენს, თუ რა მოთხოვნებს უყენებს მასწავლებელი მის შვილს, რა რთული და შრომატევადია პედაგოგის პროფესია.

მშობლების დასწრება გაკვეთილებზე უნდა მოხდეს სკოლის დირექტორის ან მისი მოადგილის (სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში) ნებართვით, მაგრამ ეს არ უნდა ატარებდეს მასობრივ ხასიათს. მშობელი წინასწარ უნდა გავაფრთხილოთ, რომ მან გაკვეთილზე მასწავლებელს არ მისცეს არავითარი შენიშვნა, მაშინაც კი, როცა იგი უხეშ შეცდომებს უშვებს.

5. მშობელთა პედაგოგიზაცია, მათი პედაგოგიური კულტურის ამაღლება ოჯახში ბავშთა აღზრდის მაღალ დონეზე დაყენების საწინდარია. ამასთან, იგი აუმჯობესებს პედაგოგებსა და მშობლებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას და მათ დამოკიდებულებას ბავშვებისადმი. ამიტომაც იყო, რომ აკადემიკოსი **დიმიტრი უზნაძე** ჯერ კიდევ XX საუკუნის 40-იან წლებში მოითხოვდა ყველა მშობლის პედაგოგიურ მომზადებას, განურჩევლად იმისა, თუ რა პროფესიისა იქნება იგი. *„პედაგოგიური მომზადება არა მარტო მომავალ მასწავლებელს უნდა მიეცეს, — წერდა იგი, — არამედ მომავალ აღმზრდელსაც, ე. ი. ყოველ მოქალაქეს, როგორც მომავალ მშობელს“.* [1]

---

[1] ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის, 1947, №7, გვ.17

ყოფილ საბჭოთა კავშირში ამ მიზნით წარმატებით გამოიყენებოდა სკოლებთან არსებული *მშობელთა სახალხო უნივერსიტეტები,* მაგრამ უკანასკნელ ხანებში აღნიშნულმა დაწესებულებებმა მუშაობა შეწყვიტეს, რამაც საგრძნობლად დააქვეითა მშობელთა პედაგოგიური კულტურის დონე და მათი მონაწილეობა მოსწავლეთა აღზრდაში.

6. ბევრ სკოლაში მშობელთა პედაგოგიზაციის მიზნით შემოღებულია კვირაში ერთი დღე მშობელთათვის, რომელსაც ***ღია კარის დღეს,*** ზოგ სკოლაში კი ***მშობელთა დღეს*** უწოდებენ. მშობლებს შეუძლიათ ამ დღეს მივიდნენ სკოლაში და სკოლის დირექტორისაგან, მისი მოადგილეებისაგან თუ კლასის ხელმძღვანელებისაგან მიიღონ ინფორმაციები, კონსულტაციები და რეკომენდაციები ბავშვთა ოჯახური აღზრდის აქტუალურ საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს მათი პედაგოგიური ჰორიზონტის გაფართოებას და სკოლისა და ოჯახის კავშირის განმტკიცებას.

შინაარსი

ავტორისაგან 3

ნაწილი პირველი
პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები

თავი I. – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელი 6
თავი II – პედაგოგიკის საგანი და კვლევის მეთოდები 52
თავი III – აღზრდა, განვითარება, პიროვნების ფორმირება 79
თავი IV – თვითაღზრდის პროცესის არსი და როლი პიროვნების განვითარებაში 97
თავი V – გარემოს როლი პიროვნების ფორმირებაში 119
თავი VI – მოზარდის განვითარების ასაკობრივი პერიოდიზაცია და თავისებურებანი 123
თავი VII – მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლა და მათი გათვალისწინება სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში 143
თავი VIII – აღზრდის მიზანი და ამოცანები 153
თავი IX – განათლების სისტემა 168

ნაწილი მეორე
აღზრდის თეორია

თავი X – აღზრდის პროცესის არსი და თავისებურებანი 179
თავი XI – აღზრდის პრინციპები 189
თავი XII – აღზრდის მეთოდები 206
თავი XIII – მოსწავლეთა კოლექტივი და მისი ჩამოყალიბების გზები და საშუალებანი 228
თავი XIV – მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება 243

თავი XV – ზნეობრივი აღზრდა 252
თავი XVI – პატრიოტულ-ინტერნაციონალური აღზრდა 268
თავი XVII – ჰუმანიზმის აღზრდა 281
თავი XVIII – ეკოლოგიური აღზრდა 292
თავი XIX – შეგნებული დისციპლინისა და ქცევის კულტურის აღზრდა 398
თავი XX – შრომითი აღზრდა 313
თავი XXI – ესთეტიკური აღზრდა 333
თავი XXII – ფიზიკური აღზრდა 348
თავი XXIII – კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა 361
თავი XXIV – კლასის ხელმძღვანელის მუშაობა 375
თავი XXV – ოჯახი და ბავშვის აღზრდა 389
თავი XXVI – სკოლისა და ოჯახის ერთობლივი აღმზრდელობითი მუშაობა 412